

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი  
სოხუმის ფილიალი

თეიმურაზ კაკასქერი

„დიდი სამეულის“ დიკლომატია  
ევროპაში ომის დასკვნით ეტაპზე.  
*1944წ. სექტემბერი – 1945წ. მაისი*

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ  
სოხუმის ფილიალის გამომცემლობა  
თბილისი – 2006

მონოგრაფიაში განხილულია მეორე მსოფლიო ომის ერთ-ერთი კარდინალური პრობლემა — დიდი სამეულის დიპლომატიური ურთიერთობები ევროპაში ომის დასკვნით ეტაპზე. მასში გაშუქებულია კეპბეკის, ღუმბარტონ ოქსის, ყირიმის (იალტის), სან ფრანცისკოს კონფერენციები, უინსტონ ჩერჩილისა და შარლ დე გოლის ვიზიტები მოსკოვში და იქ უმაღლეს დონეზე გამართული მოლაპარაკებები. ყურადღება გამახვილებულია აგრეთვე სხვა დიპლომატიურ მოვლენებზე, რომლებსაც ადგილი ჰქონდა აღნიშნულ პერიოდში.

წიგნი განკუთვნილია როგორც სპეციალისტების, ასევე ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის.

**რედაქტორი:** ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფ. **პოტიმ ანთაქი**

**რეცენზენტები:** ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი  
**თენგიზ ანთელავა**  
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი,  
დოც. **გივი ბოლოთაშვილი**

© თეიმურაზ პაპასჭირი

ISBN 99940-0-817-X

## შესავალი

1944წ. ზაფხულში ანტიჰიტლერული კოალიციის წამყვანი სახელმწიფოების — სსრკ-ს, აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგად მეორე მსოფლიო ომის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო და ნათელი გახდა, რომ გერმანიისა და იაპონიის საბოლოო დამარცხება მხოლოდ დროის საკითხად იქცა. სწორედ ამიტომ, „დიდი სამეულის“ ლიდერთა — საბჭოთა მთავრობის მეთაურის იოსებ სტალინის, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ფრანკლინ დელანო რუზველტისა და დიდი ბრიტანეთის პრემიერ მინისტრის უინსტონ ჩერჩილის დიპლომატიურ ურთიერთობებში მთავარ თემად მსოფლიოს ომისშემდგომი მოწყობის საკითხები იქცა.

„დიდი სამეულის“ დიპლომატიური ურთიერთობები ფართოდაა გაშუქებული მეორე მსოფლიო ომის ისტორიოგრაფიაში, რასაც მოწმობს 1945 წლიდან დღემდე გამოშულ ნაშრომთა რეკორდული რაოდენობა. მიუხედავად ამისა, აღნიშნული პრობლემის მეცნიერული შესწავლა სულაც არ არის დასრულებული. ჯერ კიდევ საკმაოდ მრავლადაა საკითხები, რომელიც მკვლევართა შორის დავას იწვევს და რომელთა შემდგომი დამუშავება-დაზუსტება მეორე მსოფლიო ომის ისტორიოგრაფიის ერთ-ერთ გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს. ამ მხრივ, განსაკუთრებით დიდ ინტერესს იწვევს ომის დასკვნით ეტაპზე „დიდი სამეულის“ ლიდერთა შორის მიმდინარე, უმეტეს შემთხვევაში, ფარული, ხანდახან კი ღია ბრძოლა მსოფლიოს ომისშემდგომი გადანაწილებისათვის, რისი დადასტურებაცაა მათი იმდროინდელი მიმოწერა თუ შეხვედრები. წარმოდგენილი ნაშრომი სწორედ აღნიშნული პრობლემის მონოგრაფიულად დამუშავების ცდაა. კონკრეტულად, მასში გაანალიზებულია ევროპაში ომის დასკვნით ეტაპზე (1944წ. სექტემბერი — 1945წ. მაისი) სსრკ-ს, დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ს ლიდერებს შორის გამართული დიპლომატიური მოლაპარაკებები, მათი მიმოწერა.

ნაშრომის ქრონოლოგიური ჩარჩოებია 1944—1945 წლები: 1944წ. სექტემბრიდან, როდესაც შედგა ჩერჩილისა და რუზველ-

ტის შეხვედრა კვებეკში – 1945წ. 8-9 მაისამდე, ანუ გერმანიის კაპიტულაციამდე. ეს არის ერთგვარი გაგრძელება ჩვენს მიერ ადრე შესრულებული სამუშაოსი, რომელშიც შესწავლილი იყო დასავლეთ ევროპაში მეორე ფრონტის დიპლომატიური მომზადების საკვანძო საკითხები. იმჟამინდელი კვლევა თეირანის კონფერენციით დავასრულეთ<sup>1</sup>. მიუხედავად იმისა, რომ დიპლომატიური ცხოვრება დიდი სამეულის ლიდერთა აღნიშნული სამიტის შემდეგაც საკმაოდ ნაყოფიერად გრძელდებოდა (განსაკუთრებით ეს ეხება ჩერჩილისა და რუზველტის ინტენსიურ მიმოწერას ოპერაცია „ოვერლორდის“ მზადების პერიოდში), თამამად შეიძლება ითქვას, რომ თვისობრივად ახალი, გადამწყვეტი ეტაპი აშშ-ს, დიდი ბრიტანეთისა და სსრკ-ს მთავრობათა მეთაურებს შორის სწორედ 1944წ. სექტემბრიდან, კვებეკის II კონფერენციით დაიწყო. ამიტომაცაა წარმოდგენილი ნაშრომის ქვედა ქრონოლოგიურ ზღვრად აღებული 1944წ. სექტემბერი.

აღნიშნული პრობლემა ყოველთვის იყო მოქცეული ისტორიკოსთა ყურადღების ცენტრში და თამამად შეიძლება ითქვას, რომ სწორედ დიდი სამეულის დიპლომატიური ურთიერთობები, განსაკუთრებით ომის დასკვნით ეტაპზე, იწვევს ყველაზე დიდ დაინტერესებას მკვლევართა მხრიდან. ამ საკითხის დამუშავება უშუალოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყო. „პირველ მერცხლებად“, ბუნებრივია, თვით ამ პროცესების მონაწილენი – უინსტონ ჩერჩილი<sup>2</sup>, ედუარდ სტეტინიუსი<sup>3</sup>, უილიამ ლიპი<sup>4</sup>, სამ-

<sup>1</sup> თ. ჰაპასქირი. მეორე ფრონტის მომზადებისა და გახსნის პრობლემა აშშ-ინგლისის დიპლომატიაში (1941-1943წწ.). დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად (ხელნაწერის უფლებით). თბ., 1998; თ. ჰაპასქირი. მეორე ფრონტის მომზადებისა და გახსნის პრობლემა აშშ-ინგლისის დიპლომატიაში (1941-1943წწ.). თბ., 2002.

<sup>2</sup> W. S. Churchill. The Second World War. Vol. 6. Triumph and Tragedy. Boston, Mass., 1953.

<sup>3</sup> E. Stettinius, Jr. Roosevelt and the Russians: The Yalta Conference. New York, 1949.

<sup>4</sup> W. Leahy. I Was There: The Personal Story of the Chief of Staff to Presidents Roosevelt and Truman. Based on His Notes and Diaries Made at the Time. With a foreword by President Truman. New York, 1950.

ნერ უელესი<sup>1</sup>, რობერტ შერვუდი<sup>2</sup> და სხვები მოგვევლინნენ. მათ დადებითად შეაფასეს ამ პერიოდის დიპლომატიური კონტაქტები, აღნიშნეს, რომ 1944წ. მეორე ნახევარსა და 1945წ. დასაწყისში დიდი სამეულის ლიდერთა ურთიერთობები ღია, გულწრფელი იყო და მათ შორის სრული გაგება სუფევდა<sup>3</sup>. დიდი სამეულის ურთიერთობებს მნიშვნელოვანი ყურადღება მიაქციეს მეორე მსოფლიო ომის ისტორიისადმი მიძღვნილი განმაზოგადებელი გამოკვლევების ავტორებმა. ამ მხრივ, განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ბ. ლიდელ ჰარტის<sup>4</sup>, ჯ. ერმანის<sup>5</sup>, ა. ტეილორის<sup>6</sup>, ა. მიშელის<sup>7</sup>, თ. გრისის<sup>8</sup>, ჯ. კივანის<sup>9</sup>, პ. კალვოკორესის, გ. უინტისა და ჯ. პრიტჩარდის<sup>10</sup>, მ. ჯილბერტის<sup>11</sup>, პ. უილმოტის<sup>12</sup>, მ. ჯიევანეუსკის<sup>13</sup>, ა. პერდიუს<sup>14</sup>, ა. გროთის<sup>15</sup> ნაშრომები. პრობლემა საკმაოდ ვრცლად არის განხილული მეორე მსოფლიო ომისა და დიდი სამამულო ომისადმი მიძღვნილ ზოგადი ხასიათის საბჭოურ

<sup>1</sup> S. Welles. *Seven Decisions that Shaped History*. New York, 1951.

<sup>2</sup> R. Sherwood. *Roosevelt and Hopkins: An Intimate History*. New York, 1948.

<sup>3</sup> W. S. Churchill. *The Second World War*, vol. 6, გვ. 242, 347; R. Sherwood. *Roosevelt and Hopkins*, გვ. 869-870; W. Leahy. *I Was There*, გვ. 122; S. Welles. *Seven Decisions that Shaped History*, გვ. 170; E. Stettinius, Jr. *Roosevelt and the Russians*, გვ. 4-5.

<sup>4</sup> B. H. Liddell Hart. *History of the Second World War*. New York, 1971.

<sup>5</sup> J. Ehrman. *Grand Strategy*. Vol. 5. August 1943 – September 1944. L., 1956; J. Ehrman. *Grand Strategy*. Vol. 6. October 1944 – August 1945. L., 1956.

<sup>6</sup> A. Taylor. *The Second World War*. L., 1975.

<sup>7</sup> H. Michel. *La Seconde Guerre Mondiale*. P., 1971; H. Michel. *The Second World War*. New York, 1975.

<sup>8</sup> Th. E. Griess. *The Second World War: Europe and the Mediterranean*. Wayne, NJ, 1984.

<sup>9</sup> J. Keegan. *The Second World War*. L., 1989.

<sup>10</sup> P. Calvocoressi, G. Wint, J. Pritchard. *Total War. The Causes and Courses of the Second World War*. L., 1989.

<sup>11</sup> M. Gilbert. *The Second World War: A Complete History*. New York, 1989.

<sup>12</sup> H. P. Wilmott. *The Great Crusade: A New Complete History of the Second World War*. L., 1989.

<sup>13</sup> M. K. Dziewanewski. *War at Any Price: World War II in Europe, 1939-1945*. Eaglwood Cliffs, NJ, 1991.

<sup>14</sup> A. W. Purdue. *The Second World War*. New York, 1999.

<sup>15</sup> A. Groth. *Democracies Against Hitler: Myth, Reality and Prologue*. 1999.

გამოცემებშიც<sup>1</sup>.

პარალელურად მიმდინარეობდა უშუალოდ სტალინის, რუზველტისა და ჩერჩილის ომისდროინდელი ურთიერთობების საგანგებოდ კვლევა. ამ მიმართულებით განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ ჰ. ფეისის<sup>2</sup>, კ. საინსბერის<sup>3</sup>, რ. ედმონდსის<sup>4</sup>, რ. კოლიერის<sup>5</sup>, ა. პერლმუტერის<sup>6</sup>, კ. ოლდრიტის<sup>7</sup>, რ. ნისბეტის<sup>8</sup>, დ. სტაფორდის<sup>9</sup> მონოგრაფიები.

განსაკუთრებული ადგილი ეთმობა დიდი სამეულის ურთიერთობებს დიდი ბრიტანეთის, აშშ-სა თუ საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის შემსწავლელ მეცნიერთა გამოკვლევებშიც. ამ მხრივ, განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ ლ. ვუდუორდის<sup>10</sup>, მ. კიჩენის<sup>11</sup>, ჯ. კომბსის<sup>12</sup>, ჯ. სირაკუსას<sup>13</sup>, ე. ბარკერის<sup>14</sup>, ჯ. გე-

---

<sup>1</sup> История дипломатии. В 5 томах, под ред. В. А. Зорина (т. I) и А. А. Громыко (т. II-V), т. IV. М., 1975; История второй мировой войны. В 12 томах. М., 1973-1982; История Великой Отечественной войны. В 6 томах. М., 1960-1965; Г. А. Деборин. Вторая мировая война. М., 1958; А. С. Самсонов. Вторая мировая война, 1939-1945. М., 1985 და ა.შ.

<sup>2</sup> H. Feis. Churchill, Roosevelt and Stalin. The War They Waged and the Peace They Sought, Princeton, NJ, 1957.

<sup>3</sup> K. Sainsbury. Churchill and Roosevelt at War: The War They Fought and the Peace They Hoped to Make. L., 1994.

<sup>4</sup> R. Edmonds. The Big Three: Churchill, Roosevelt and Stalin in Peace and War. L., 1991.

<sup>5</sup> R. Collier. The War that Stalin Won: Tehran-Berlin. L., 1983.

<sup>6</sup> A. Perlmutter. FDR and Stalin: A Not So Grand Alliance, 1943-1945. Columbia, MO, 1993.

<sup>7</sup> K. Aldritt. The Greatest of Friends: Franklin D. Roosevelt and Winston Churchill, 1941-1945. L., 1995.

<sup>8</sup> R. Nisbet. Roosevelt and Stalin: The Failed Courtship. Wash., 1988.

<sup>9</sup> D. Stafford. Roosevelt and Churchill: Men of Secrets. L., 1999.

<sup>10</sup> L.I. Woodward. British Foreign Policy during the Second World War. In 5 vols. L., 1961-1975;

<sup>11</sup> M. Kitchen. British Foreign Policy towards the Soviet Union during the Second World War. Basingstoke, 1986.

<sup>12</sup> J. Kombs. The History of the American Foreign Policy. New York, 1986.

<sup>13</sup> J. M. Siracusa. Into the Dark House: American Diplomacy and the Ideological Origins of the Cold War. Claremont, CT, 1998.

<sup>14</sup> E. Barker. British Policy in the South East Europe during the Second World War. L., 1976.

დისის<sup>1</sup>, გ. სმიტის<sup>2</sup>, რ. დალეკის<sup>3</sup>, გ. მაგუაირის<sup>4</sup>, ს. კაშმანის<sup>5</sup>,  
გ. კოლკოს<sup>6</sup>, ა. რეზისის<sup>7</sup> და სხვ. ნაშრომები.

მოკავშირეთა ურთიერთობებს მეორე მსოფლიო ომის პერიოდში იკვლევდნენ საბჭოთა კავშირშიც, მაგრამ იმთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა მკვლევართა საქმიანობაზე ამ მიმართულებით დიდ გავლენას ახდენდა იმ დროის პოლიტიკური კონიუნქტურა. ვ. ისრაელიანის<sup>8</sup>, ნ. იაკოვლევის<sup>9</sup>, ლ. პოზდევეას<sup>10</sup>, ი. კუზნეცის<sup>11</sup> და სხვ. ნაშრომები მთლიანად გამსჭვალულია სსრკ-ს საგარეო პოლიტიკის ქება-დიდებათა და დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ს პოზიციის კრიტიკით, რაც მათ მეცნიერულ ღირებულებას მეტად აკნინებს.

გარდა განმაზოგადებელი ხასიათის ნაშრომებისა, მრავლად არის ამ პერიოდის კონკრეტული დიპლომატიური პრობლემებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სტატიები თუ მონოგრაფიები. ასე, მაგალითად, ჩერჩილისა და რუზველტის კვებეკის II კონფერენციის მიმდინარეობა და მისი შედეგები განხილულია დ. ვულნერის რედაქციით 1998წ. გამოსულ კრებულში<sup>12</sup>, თუმცა, აქვე უნ-

---

<sup>1</sup> J. Gaddis. The United States and the Origins of the Cold War, 1941-1947.

<sup>2</sup> G. Smith. American Diplomacy during the Second World War, 1941-1945. 1985.

<sup>3</sup> R. Dallek. Franklin D. Roosevelt and American Foreign Policy, 1932-1945. New York, 1995.

<sup>4</sup> G. Maguire. Anglo-American Policy towards the Free French. Oxford, 1995.

<sup>5</sup> S. D. Cashman. America, Roosevelt and World War II. New York, 1989.

<sup>6</sup> G. Kolko. The Politics of War: The World and United States' Foreign Policy, 1943-1945. New York, 1990.

<sup>7</sup> A. Resis. Stalin, the Politburo, and the Onset of the Cold War: 1945-1946. Pittsburgh, PA, 1988.

<sup>8</sup> В. Л. Израэлян. Дипломатическая история Великой Отечественной войны. М., 1959; В. Л. Израэлян. Дипломатия в годы войны. М., 1985.

<sup>9</sup> Н. Н. Яковлев. США и Англия во второй мировой войне, М., 1961; И. Н. Яковлев. Франклин Рузвельт – Человек и политик. Новое прочтение. М., 1981.

<sup>10</sup> Л. В. Поздеева. Англо-американские отношения в годы второй мировой войны. 1941-1945 гг. М., 1969.

<sup>11</sup> Ю. Л. Кузнец. От Перл-Харбора до Потсдама. Киев, 1970.

<sup>12</sup> The Second Quebec Conference Revisited. – Ed. by D. Woolner. New York, 1998.

და აღინიშნოს, რომ ეს არის პრაქტიკულად ერთადერთი წიგნი უშუალოდ ამ სამიტის შესახებ. დასავლეთელ მკვლევართა ინდიფერენტულობას ამ მოვლენისადმი თავისებურ ახსნას უძებნის უ. კიმბოლი, რომელიც აცხადებს, რომ „კონფერენცია უსარგებლო და კონტრპროდუქტიულიც კი იყო“.<sup>1</sup>

მკვლევართა გაცილებით უფრო დიდი ყურადღება მიიპყრო 1944წ. ოქტომბერში მოსკოვში გამართულმა სტალინისა და ჩერჩილის შეხვედრამ, რომელზეც ძირითადი აქცენტი გაკეთდა ცენტრალური ევროპისა და ბალკანეთის ქვეყნების გავლენის სფეროებად დაყოფის საკითხზე. სპეციალური გამოკვლევები ამ პრობლემის შესახებ გამოაქვეყნეს ნ. ბაჩიუმ<sup>2</sup>, რ. ნადომ<sup>3</sup>, რ. რააკმა<sup>4</sup>, ა. რეზისმა<sup>5</sup>, პ. პოლლიჩმა<sup>6</sup>, ჯ. სირაკუზამ<sup>7</sup>, ი. ზემსკოვმა<sup>8</sup> და სხვ. უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხებთან დაკავშირებით ისტორიოგრაფიაში არსებობს საკმაოდ მძაფრი დაპირისპირება დასავლეთელ და საბჭოთა მკვლევართა შორის. ინგლისელ და ამერიკელ ისტორიკოსებს არასდროს არ ეეჭვებოდათ, რომ მოსკოვში მხარეებმა მიაღწიეს შეთანხმებას გავლენის სფეროების შესა-

---

<sup>1</sup> W. F. Kimball. *The Two-Sided Octagon: Roosevelt and Churchill at Quebec, September 1944.* – წგნ.: *The Second Quebec Conference Revisited.* – Ed. by D. Woolner. New York, 1998, გვ. 11.

<sup>2</sup> N. Baciuc. *Sell-Out to Stalin. The Tragic Errors of Churchill and Roosevelt: The Untold Story.* New York, 1984.

<sup>3</sup> R. Nadeau. *Stalin, Churchill and Roosevelt Divide Europe.* New York, 1990.

<sup>4</sup> R. C. Raack. *Stalin's Drive to the West, 1938-1945: The Origins of the Cold War.* Stanford, CA, 1995.

<sup>5</sup> A. Resis. *The Churchill-Stalin Secret "Percentages" Agreement on the Balkans, Moscow, October 1944.* – *American Historical Review*, 83 (1978); A. Resis. *Spheres of Influence in Soviet Wartime Diplomacy.* – *Journal of Modern History*, 53 (September 1981).

<sup>6</sup> P. G. H. Holdich. *A Policy of Percentages? British Foreign Policy and the Balkans after the Moscow Conference of October 1944.* – *International History Review*, 9, 1987.

<sup>7</sup> J. M. Siracusa. *The Meaning of Tolstoy: Churchill, Stalin and the Balkans, Moscow, October 1944.* – *Diplomatic History*, 3 (1979).

<sup>8</sup> И. Земсков. О так называемом „разделе“ Югославии на „сферы влияния“. – „*Международная жизнь*“, 1958, №8.



ზებ<sup>1</sup>, თუმცა მათ ბოლო დრომდე არ გააჩნდათ ამის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტური მასალა იმ უბრალო მიზეზით, რომ შეხვედრების ოფიციალური ინგლისურენოვანი სტენოგრაფიული ანგარიშები არ იყო გამოქვეყნებული<sup>2</sup>, საბჭოთა ჩანაწერებზე კი ხელი მხოლოდ განსაკუთრებით „სანდო“ საბჭოთა მკვლევრებს მიუწვდებოდათ. ამიტომაც ისინი ამ უკანასკნელ ხანებამდე მხოლოდ სამიტიის უშუალო მონაწილეთა მემუარებს ეყრდნობოდნენ. საბჭოური ისტორიოგრაფიის წარმომადგენლებიც კარგად იყენებდნენ ამ გარემოებას და აცხადებდნენ, რომ რუსულ ოქმებში არანაირი შეთანხმება არ იყო დაფიქსირებული. მართალია, ისინი არ უარყოფდნენ ჩერჩილის მიერ ამ საკითხის დაყენებას, მაგრამ აღნიშნავდნენ, რომ ამას სტალინის მხრიდან შემხვედრი ნაბიჯები არ მოჰყოლია<sup>3</sup>. პრინციპში ბრიტანული ჩანაწერების გამოქვეყნებამდეც სრული საფუძველი არსებობდა, რომ საბჭოთა ისტორიკოსები დაგვედანაშაულებინა არაზუსტი ინფორმაციის გავრცელებაში, რადგანაც ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში გამოქვეყნებული ზოგიერთი დოკუმენტი<sup>4</sup>, რომელსაც, ერთი შეხედვით, თითქოს არანაირი შეხება არ ჰქონდა ჩერჩილისა და სტალინის მოსკოვის შეხვედრასთან (როგორც ჩანს, ისინი სწორედ იმიტომაც გამოქვეყნდა, რომ მათში კრამოლური ვერაფერი შენიშნეს საბჭოთა ცენზორებმა – თ.პ.), ცხადყოფს დასავლეთელ მკვლე-

<sup>1</sup> N. Baci. Sell-Out to Stalin, გვ. 170; R. C. Raack. Stalin's Drive to the West, გვ. 324; A. Resis. The Churchill-Stalin Secret "Percentages" Agreement..., გვ. 165; A. Resis. Spheres of Influence..., გვ. 422-430; P. G. H. Holdich. A Policy of Percentages, გვ. 226; J. M. Siracusa. The Meaning of Tolstoy, გვ. 45.

<sup>2</sup> კონფერენციის ბრიტანული ჩანაწერების ის ნაწილი, რომელიც შეეხებოდა ბალკანეთისა და ცენტრალური ევროპის ქვეყნების გავლენის სფეროებად დაყოფას, 1998წ. გამოქვეყნებული იქნა ამერიკელი მკვლევრის ჯ. სირაკუზას მიერ (იხ.: *Tolstoy Documents*. – წგნ.: J. M. Siracusa. Into the Dark House: American Diplomacy & the Ideological Origins of the Cold War. Claremont, CA, c1998, გვ. 160-179).

<sup>3</sup> И. Земсков. О так называемом „разделе“ Югославии на „сферы влияния“, გვ. 74; В. Л. Исраэлян. Дипломатия в годы войны, გვ. 317.

<sup>4</sup> იხ.: *Советско-американские отношения во время Великой Отечественной войны, 1941-1945*гг. Документы и материалы. В 2-х томах. Т. II. М., 1984, გვ. 233-234.

ვართა სისწორეს<sup>1</sup>.

ბუნებრივია, ისტორიოგრაფიაში ყოველთვის იწვევდა განსაკუთრებულ ინტერესს ყირიმის კონფერენცია. ამას ადასტურებს უამრავი გამოკვლევა, რომელიც მიედგენა ან რომელშიც დიდი ადგილი უკავია ამ სამიტის მიმდინარეობას და შედეგების შეფასებას. უნდა აღინიშნოს, რომ ყირიმის კონფერენცია მკვლევართა ერთგვარ საჯილდაო ქვად იქცა, თუმცა, ამ შემთხვევაში, ეს, პირველ რიგში, ეხება დასავლურ ისტორიოგრაფიას. სწორედ, დასავლეთელ ისტორიკოსთა შორის გვხვდება იალტაში მიღებული გადაწყვეტილებების დიამეტრულად განსხვავებული შეფასებები. თუ თავდაპირველად სამიტი შეფასდა როგორც „აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის დიპლომატიური ტრიუმფი“,<sup>2</sup> დროთა განმავლობაში რუზველტის მოქმედებებს კონფერენციაზე უწოდეს „ღალატი“ (ფ. უიტმერი<sup>3</sup>) და „უკანასკნელი ღალატი“ (ჯ. ფლინი<sup>4</sup>). შემდგომში აშშ-ს პრეზიდენტის დაცვა სცადეს რ. ფენომ<sup>5</sup>, მეორე მსოფლიო ომის ოფიციალურმა ამერიკელმა ისტორიკოსებმა — ჯ. სნელმა, ფ. პოგიუმ, ჩ. დელზელმა, ჯ. ლენსენმა<sup>6</sup>, დ. ფლემინგმა<sup>7</sup>, დ. კლემენსმა<sup>8</sup>, რ. ბუჰიტმა<sup>9</sup>, პ. დე სენარკლენმა<sup>10</sup>, ყ. ლა-

<sup>1</sup> *Советско-американские отношения...*, т. II, გვ. 233-234.

<sup>2</sup> E. Stettinius, Jr. Roosevelt and the Russians, გვ. 295; S. Welles. Seven Decisions that Shaped History, გვ. 170.

<sup>3</sup> F. Wittmer. The Yalta Betrayal. Caldwell, 1953, გვ. 5.

<sup>4</sup> J. Flynn. The Roosevelt Myth. Book III. Caldwell, 1953, ch. 13.

<sup>5</sup> R. Fenno, Jr. The Yalta Conference. Boston, MA, 1955, გვ. 3.

<sup>6</sup> *The Meaning of Yalta. The Big Three Diplomacy and the New Balance of Power.* Ed. by J. Snell. With a foreword by Paul H. Clyde. Baton Rouge, LS, 1956.

<sup>7</sup> D. Fleming. The Cold War and Its Origins. Vol. I. New York, 1961, გვ. 252-253.

<sup>8</sup> D. Sh. Clemens. Yalta. New York, 1970, გვ. 290.

<sup>9</sup> R. Buhite. Decisions at Yalta: An Appraisal of Summit Diplomacy. Wilmington, DL, 1986, გვ. 133.

<sup>10</sup> P. de Senarclens. Yalta. New Brunswick, 1988, გვ. 87; P. de Senarclens. De Yalta au rideau de fer: les grandes puissances et les origines de la guerre froide. P., 1993, გვ. 9; P. de Senarclens. From Yalta to the Iron Curtain: The Great Powers and the Origins of the Cold War. Translated from French by Amanda Pingree. Oxford, 1995, გვ. 10.

ლომი<sup>1</sup>, თ. პერიშმა<sup>2</sup>, ს. კაშმანმა<sup>3</sup>, რ. რააკმა<sup>4</sup> და სხვ. ამავე დროს, რუზველტის პოზიციას ახალი კრიტიკოსებიც გამოუჩინებდნენ ფ. მარკს III-ისა<sup>5</sup> და ჰ. კისინჯერის<sup>6</sup> სახით. ყირიმის კონფერენციას ცივი ომის ფაქტობრივ დასაწყისად მიიჩნევს ჟ. მალიარაკისი, რადგანაც, მისი აზრით, სწორედ იალტაში დაიწყო დაპირისპირებული ბლოკების შექმნა<sup>7</sup>.

საინტერესოა, რომ ყირიმის კონფერენცია საბჭოთა კავშირში სპეციალური – კვლევის საგნად პრაქტიკულად არ ქცეულა. ამ მხრივ, ერთგვარი გამონაკლისია ბ. სოსინსკის ნაშრომი „აქცია არგონავტი“,<sup>8</sup> თუმცა ეს გამოკვლევაც მეტად სპეციფიკურ ხასიათს ატარებს. მასში მოყვანილია აშშ-ს ისტორიკოსების შეხედულებები ყირიმის კონფერენციის შესახებ და მოცემულია მათი კრიტიკული ანალიზი.

კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც არც ისე სრულადაა დამუშავებული, არის ბერნის ინციდენტთან დაკავშირებული „დიპლომატიური სკანდალი“. გარდა მემუარული ლიტერატურისა, ამ თემაზე არსებობს მხოლოდ ერთი სპეციალური გამოკვლევა, რომლის ავტორია იტალიელი ისტორიკოსი ე. აგაროსი<sup>9</sup>, შედარებით

<sup>1</sup> J. Laloy. Yalta: hier, aujourd'hui, demain. P., 1988, გვ. 199.

<sup>2</sup> Th. D. Parrish. Roosevelt and Marshall. Partners In Politics And War. The Personal Story. New York, 1988, გვ. 423. თ. პერიშის ნაშრომის შესახებ იხ.: თ. პაპასქირი. თომას დ. პერიში. რუზველტი და მარშალი: პარტნიორები პოლიტიკასა და ომში. პერსონალური ისტორია (რეცენზია). – „საქართველო-ვეროპა-ამერიკა“, №2, 1997.

<sup>3</sup> S. D. Cashman. America, Roosevelt and World War II, გვ. 325-326.

<sup>4</sup> R. C. Raack. Stalin's Drive to the West, გვ. 96.

<sup>5</sup> F. W. Marks III. Wind Over Sand. Diplomacy of Franklin Roosevelt. Athens, GA, 1988, გვ. 341. ფ. მარკს III-ის ნაშრომის შეფასებისათვის იხ.: თ. პაპასქირი. რამდენიმე შენიშვნა ამერიკელი ისტორიკოსის ფრედერიკ უ. მარკს III-ის წიგნზე: „ქარი ქვიშაზე. ფრანკლინ რუზველტის დიპლომატია“. – „საქართველო“, №1, 1998.

<sup>6</sup> H. Kissinger. Diplomacy. New York, 1995, გვ. 414-416.

<sup>7</sup> J. G. Malliarakis. Yalta et la naissance des blocs. P., 1982, გვ. 4-5.

<sup>8</sup> С. Б. Сосинский. Акция „Аргонавт“. Крымская конференция и ее оценка в США. М., 1970.

<sup>9</sup> B. Smith, E. Agarossi (Joint Author). Operation "Sunrise". The Secret Surrender. New York, 1979.

ვრცლად კი თავიანთ ნაშრომებში ბერნში გამართული მოლაპარაკებები გააშუქეს ჰ. ფეისმა<sup>1</sup>, ჯ. ტოლანდმა<sup>2</sup> და ვ. ისრაელიანმა<sup>3</sup>. აღნიშნული მკვლევრები საკმაოდ განსხვავებულ აზრზე დგანან ინციდენტის შეფასებისას: ჰ. ფეისი და ჯ. ტოლანდი მიიჩნევენ, რომ ეს ნამდვილად იყო ომის სასწრაფოდ დასრულების მოსურნე გერმანიის ინიციატივა<sup>4</sup>; ე. აგაროსის აზრით, ყველაფერი დალესის მხრიდან ომის ზედმეტი სისხლისღვრის გარეშე დასრულების სურვილმა გამოიწვია<sup>5</sup>; ვ. ისრაელიანი კი მიიჩნევს, რომ აქ ადგილი ჰქონდა ანტისახკოთა შეთქმულებას ამერიკელებისა და ბრიტანელების მხრიდან<sup>6</sup>. ყველა დანარჩენი მკვლევარი აღნიშნულ პრობლემას ან ზოგადად განიხილავს, ან საერთოდ არ ეხება მას, რაც, ცოტა არ იყოს, უცნაურიცაა, იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად დამაბა დიდი სამეულის შიგნით ურთიერთობები ბერნის ინციდენტმა.

და მაინც, მიუხედავად იმისა, რომ ისტორიოგრაფიაში საკმაოდ ფართოდ არის შესწავლილი დიდი სამეულის დიპლომატიური ურთიერთობები 1944-1945 წლებში, აღნიშნული თემის შემდგომი გაღრმავების შესაძლებლობები სულაც არ არის ამოწურული. ცალკეული საკითხები ნამდვილად ითხოვს შემდგომ შესწავლასა თუ დაზუსტებას. წარმოდგენილი ნაშრომი მიზნად ისახავს აღნიშნულ პრობლემაზე კიდევ ერთხელ ყურადღების გამახვილებასა და მთელი რიგი საკითხების გაშუქებაში მეტი სიცხადის შეტანას. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ქართველი ისტორიკოსები პრაქტიკულად გამოთიშულნი იყვნენ მეორე მსოფლიო ომის გლობალური პრობლემების შესწავლა-დამუშავებას<sup>7</sup> და იძულებული იყ-

<sup>1</sup> H. Feis. Churchill, Roosevelt and Stalin, გვ. 602-615.

<sup>2</sup> J. Toland. The Last 100 Days. New York, 1966, გვ. 73-75, 230-235.

<sup>3</sup> В. Л. Исраэлян. Дипломатия в годы войны, გვ. 367-375.

<sup>4</sup> H. Feis. Churchill, Roosevelt and Stalin, გვ. 614; J. Toland. The Last 100 Days, გვ. 235.

<sup>5</sup> B. Smith, E. Agarossi. Operation "Sunrise", გვ. 80.

<sup>6</sup> В. Л. Исраэлян. Дипломатия в годы войны, გვ. 374.

<sup>7</sup> ამ მხრივ, ერთგვარ გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს ვ. გურულის ნაშრომები: „გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ის-

ვნენ, ძირითადად საქართველოსა და კავკასიის სხვა ხალხების დიდ სამამულო ომში მონაწილეობის საკითხებზე მუშაობას დასჯერებოდნენ<sup>1</sup>. შეიძლება ითქვას, რომ საკუთრივ მეორე მსოფლიო ომის სამხედრო-პოლიტიკური და დიპლომატიური ისტორიის საკითხების კვლევა ჩვენში მხოლოდ საწყის სტადიაზე<sup>2</sup>. ამ-

ტორიოგრაფია მილიტარიზმისა და რევანშიზმის სამსახურში“; „ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიოგრაფია ჰეგემონისტური პოლიტიკის სამსახურში“; და „პარტიზანული მოძრაობის ისტორიის ფალსიფიკატორები“, – *მეორე მსოფლიო ომის ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის კრიტიკა*, 3 ნაკვეთად. თბ., 1985.

<sup>1</sup> ა. იოსელიანი. საქართველო საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში (1941-1945), თბ., 1958; ი. ბაბალაშვილი. საქართველოს წვლილი კავკასიის დაცვაში (1942 წელი), თბ., 1975; ე. კუპატაძე, ე. ციციტიშვილი. გმირული მიწისქვეშა გარნიზონი. 1942 წელი: ქერჩი, აჯიუმუშკაი. თბ., 1985; ე. კუპატაძე. გენერალი ჩანჩიბაძე. თბ., 1984; ე. კუპატაძე. 242-ე სამთო-მსროლელი დივიზიის საბრძოლო გზა დიდ სამამულო ომში. თბ., 1990; ე. კუპატაძე. ქართველი მხედართუფროსების მონაწილეობა ლენინგრადისათვის ბრძოლებში. თბ., 2005; ე. კუპატაძე, შ. ბაბუნაშვილი. ქართული დივიზიების ბრძოლა კავკასიისათვის ბრძოლებში. თბ., 2005; И. Бабалашвили. Грузинская ССР в годы Великой Отечественной войны 1941-1945 гг., Тб., 1977; К. В. Циктишвили. Закавказье в годы Великой Отечественной войны 1941-1945 гг., Тб., 1969 და სხვა. აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ საქართველოში მაინც შეიქმნა დასავლეთის სახელმწიფოების (განსაკუთრებით დიდი ბრიტანეთის) პოლიტიკური ისტორიის მეცნიერული კვლევის გარკვეული ტრადიცია, რომლის დადასტურებას წარმოადგენს ლ. სვანაძისა და ა. ჩიკვაძის გამოკვლევები: ლ. სვანაძე. უინსტონ ჩერჩილი და კონსერვატორები, თბ., 1989; Л. Сванадзе. Великобритания: консерваторы и проблемы послевоенного развития. 1945-1955, М., 1984; А. Чиквадзе. Английский кабинет до второй мировой войны, Тб., 1976.

<sup>2</sup> თ. პაპასქირი. სტალინი, რუზველტი და ჩერჩილი ჰიტლერის წინააღმდეგ. 1941-1945. *დიპლომატიური ქრონიკა და სამხედრო მოქმედებები*. თბ., 1996; თ. პაპასქირი. მეორე ფრონტის მომზადებისა და გახსნის პრობლემა აშშ-ინგლისის დიპლომატიაში (1941-1943წწ.). თბ., 2002; თ. პაპასქირი. დასავლეთ ევროპაში მეორე ფრონტის დიპლომატიური მომზადების ისტორიიდან. კასაბლანკის კონფერენცია (1943 წლის 14-24 იანვარი). – „*ქართული დიპლომატია*“, წელიწადეული, ტ. V. თბ., 1998; თ. პაპასქირი. ანტიჰიტლერული კოალიციის შექმნის სათავეებთან. ატლანტიკური კონფერენცია. – „*საისტორიო ძიებანი*“, I. თბ., 1998; თ. პაპასქირი. არდენის ბრძოლების შეფასების საკითხისათვის. – *ი. ჯავახიშვილის სახელობის თსუ სოხუმის ფილია-*

დენად, ჩვენი ნაშრომი წარმოადგენს პირველ ცდას მეორე მსოფ-  
ლიო ომის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემის მონოგრაფი-  
ულად შესწავლისა საქართველოში. სწორედ ესაა წარმოდგენილი  
ნაშრომის მთავარი მეცნიერული სიახლე.

ლის ახალგაზრდა მეცნიერთა კონფერენციის მასალები. თბ., 1999;  
თ. პაპასქირი. კვებეკის II კონფერენცია (1944. 12-16 IX). – „საისტო-  
რიო ძიებანი“, II. თბ., 1999; თ. პაპასქირი. ბერნის ინციდენტი. – „სა-  
ისტორიო ძიებანი“, III. თბ., 2000; თ. პაპასქირი. ჩერჩილის მეორე ვი-  
ზიტი მოსკოვში (1944წ. 9-18 ოქტომბერი). დიპლომატიური ასპექტე-  
ბი. – „საისტორიო ძიებანი“, IV. თბ., 2001; თ. პაპასქირი. ფრანკლის  
რუზველტი და ბალკანეთის ქვეყნების გავლენის სფეროებად და-  
ყოფის საკითხი 1944 წლის შემოდგომაზე. – „ამერიკის შესწავლის  
საკითხები“, I. თბ., 2002; თ. პაპასქირი. ყირიმის კონფერენციის ზო-  
გიერთი დიპლომატიური ასპექტი. – „საისტორიო ძიებანი“, V. თბ.,  
2002; თ. პაპასქირი. უინსტონ ჩერჩილის 1945წ. 6 იანვრის წერილის  
შეფასებისათვის. – ახალგაზრდა მეცნიერთა ასოციაციის I რეს-  
პუბლიკური სამეცნიერო კონფერენციის შრომები. ქუთაისის სახელ-  
მწიფო უნივერსიტეტი, 2003; თ. პაპასქირი. დუმბარტონ ოქსის კონ-  
ფერენცია. უმნიშვნელოვანესი ეტაპი გაერთიანებული ერების ორ-  
განიზაციის შექმნის გზაზე. – „საისტორიო ძიებანი“, VI. თბ., 2003;  
თ. პაპასქირი. შარლ დე გოლის ვიზიტი მოსკოვში და სსრკ-საფ-  
რანგეთის სამოკავშირეო ხელშეკრულების დადება. – „საისტორიო  
ძიებანი“, VI. თბ., 2003; თ. პაპასქირი. ყირიმის კონფერენციის შედე-  
გების შეფასებისათვის. – „ქართული დიპლომატია“, – წელიწდეუ-  
ლი, ტ. XI. თბ., 2004; თ. პაპასქირი. გერმანიის საკონტროლო კო-  
მისიაში საფრანგეთის შეყვანისა და ფრანგებისათვის საოკუპაციო  
ზონის გამოყოფის საკითხი ყირიმის კონფერენციაზე. – ახალგაზრდა  
მეცნიერთა ასოციაციის II რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენ-  
ციის შრომები. ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2004; თ. პა-  
პასქირი. ყირიმის კონფერენციის ერთი კონფიდენციალური შეხვედ-  
რის შესახებ. – ი. ჯავახიშვილის სახელობის თსუ სოხუმის ფილი-  
ალის მოამბე (სერია B), 2. თბ., 2004, გვ. 114-116; თ. პაპასქირი. სან  
ფრანცისკოს კონფერენცია. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის  
შექმნა. – „საისტორიო ძიებანი“, VII. თბ., 2004; თ. პაპასქირი. გერ-  
მანიის კაპიტულაცია. – „საისტორიო ძიებანი“, VII. თბ., 2004; თ. პა-  
პასქირი. თურქეთის საკითხი ჩერჩილისა და სტალინის მოსკოვის  
შეხვედრაზე. 1944წ. ოქტომბერი. – „საისტორიო ვერტიკალები“, VIII.  
თბ., 2005; გ. კვიციანი. მეორე ფრონტის პრობლემა – კასაბლან-  
კიდან „ოვერლორდამდე“ (1943-1944). – ახალგაზრდა მეცნიერთა ასო-  
ციაციის II რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციის შრომები.  
ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2004.

გარდა ამისა, ნაშრომში გამოთქმულია მოსაზრებები საკვლევი პრობლემის ცალკეულ საკითხებზე. კრიტიკულად არის განალიზებული კვებეკის მეორე კონფერენციის შესახებ ისტორიო-გრაფიაში გაბატონებული შეხედულება და ხაზგასმულია ის გარემოება, რომ ამ კონფერენციაზე მოკავშირეები სამხედრო ოპერაციების დაგეგმვისას ბევრად მეტ ყურადღებას უთმობდნენ მათ პოლიტიკურ ასპექტებს, ვიდრე თავად სამხედრო ეფექტს. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მეორე მსოფლიო ომის დასასრულის მოახლოებასთან ერთად სულ უფრო ნათლად იკვეთებოდა ახალი, ე.წ. „ცივი ომის“ კონტურები.

მონოგრაფიაში გაზიარებულია დასავლელი ისტორიკოსების შეხედულებები კონფერენცია „ტოლსტოის“ მსვლელობისას მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ და ისინი შემაგრებულია ახალი ფაქტობრივი მონაცემებით. ეს მასალა მთლიანად აცლის საფუძველს საბჭოთა და რუსი მკვლევრების განცხადებებს იმის თაობაზე, თითქოს მოსკოვში სტალინსა და ჩერჩილს შორის არ მიღწეულა არანაირი შეთანხმება ცენტრალური ევროპისა და ბალკანეთის ქვეყნების გაკლენის სფეროებად დაყოფის შესახებ.

ნაშრომში საკმაოდ დიდი ადგილი ეთმობა საფრანგეთის დროებითი მთავრობის მეთაურის, გენ. შარლ დე გოლის ვიზიტს მოსკოვში 1944წ. დეკემბერში და ამ პერიოდში საფრანგეთისა და საბჭოთა დელეგაციებს შორის გამართულ მოლაპარაკებებს. აღნიშნულია, რომ ამ სამიტიის მსვლელობისას დადებული ხელშეკრულებები ორივე მხარისათვის იყო ხელსაყრელი და მხოლოდ ჩერჩილისათვის განხლდათ მიუღებელი. მას განსაკუთრებით აღიზიანებდა ის, რომ ფრანგებმა ფაქტობრივად ცნეს პოლონეთის ეროვნული განთავისუფლების კომიტეტი. აქვე ხაზგასმულია ის გარემოება, რომ საბჭოთა მკვლევრები ყოველნაირად ცდილობდნენ, დაემალათ სტალინის მიერ სსრკ-საფრანგეთის ორმხრივი პაქტის გაფორმების საკითხის დაკავშირება პოლონეთის პროსაბჭოური მთავრობის ცნობასთან.

მონოგრაფიაში გადასინჯულია ისტორიოგრაფიაში გაბატონებული შეხედულებები ჩერჩილის 1945წ. 6 იანვრის წერილის შესახებ. გამოთქმულია ვარაუდი, რომ ბრიტანეთის პრემიერი აღ-

ნიშნული დოკუმენტის მომზადებისას საბოლოო მიზნად ისახავდა ბერლინის საბჭოთა ჯარებზე უფრო ადრე აღებას. ჩერჩილის აზრით, ეს შესაძლებელი გახდებოდა, თუ გერმანელები გადაისროდნენ თავიანთ ნაწილებს აღმოსავლეთში და შეაჩერებდნენ იქ საბჭოთა შეტევას დასავლეთის ფრონტის ფაქტობრივი მოშიშვლების ხარჯზე, რითაც ხელს შეუწყობდნენ აშშ-სა და ინგლისის შენაერთების წინსვლას გერმანიის დედაქალაქისაკენ.

ნაშრომში, პირველად ისტორიოგრაფიაში, შედარებულია ყირიმის კონფერენციის ყველა პლენარული სხდომისა თუ მნიშვნელოვანი შეხვედრის ამსახველი ამერიკული და საბჭოთა ჩანაწერების ტექსტები, გამოვლენილია მათში ნებსით თუ უნებლიეთ გაპარული უზუსტობები. ამასთან, ყურადღება გამახვილებულია საბჭოთა ჩანაწერის მიზანმიმართულ „დაჩეხვაზე“ ცალკეული პრობლემების (განსაკუთრებით კი საფრანგეთისათვის გერმანიაში საოკუპაციო ზონისა გამოყოფისა და საკონტროლო მექანიზმის შემადგენლობაში შეყვანის საკითხის) განხილვისას. ნაშრომში დაფიქსირებულია სტალინის მკვეთრად გამოხატული ნეგატიური დამოკიდებულება საფრანგეთის მიმართ ყირიმის კონფერენციის მსვლელობისას, რაც დასავლური ისტორიოგრაფიისათვის დღემდე ფაქტობრივად შეუმჩნეველი რჩებოდა, საბჭოთა მკვლევრების მიერ კი ეს გარემოება საერთოდ იგნორირებული იყო. აღნიშნულია, რომ კონფერენცია პრაქტიკულად სტალინის დიპლომატიური ტრიუმფით დასრულდა, რის დასტურადაც მოყვანილია სამიტზე მიღებული გადაწყვეტილებები გაერო-სთან, პოლონეთთან, შორეულ აღმოსავლეთთან და სამხედრო ტყვეებთან დაკავშირებული საკითხების შესახებ. ამასთან, ხაზგასმულია ის გარემოება, რომ პრინციპული მნიშვნელობის პრობლემებზე სტალინმა თავისთვის სასურველ შედეგს ვერ მიაღწია მხოლოდ რეპარაციების საკითხში.

მონოგრაფიაში ვრცლად არის გაშუქებული ბერნის ინციდენტით გამოწვეული დიპლომატიური პრობლემები დიდი სამეულის ლიდერთა ურთიერთობებში. გამოთქმულია ვარაუდი, რომ ობერგრუპენფიურერ კარლ ვოლფის მთავარი მიზანი იყო მოკავშირეებს შორის შეუღლის ჩამოგდება და ის მოქმედებდა ჰიტლერის თანხმობით. აღნიშნულია, რომ მან თითქმის მიაღწია კიდევ



სასურველ შედეგს, რაშიც დიდი როლი ითამაშა აღენ დალესის მხრიდან სიტუაციის არასწორმა შეფასებამ.

ზემოჩამოთვლილი პრობლემების გარდა ნაშრომში გამახვილებულია ყურადღება გერმანიის კაპიტულაციის საკითხზე და გამოთქმულია მოსაზრება, რომ გერმანელების მიერ ხელმოწერილი ორივე აქტი – 7 მაისის რეიმსისა და 8 მაისის ბერლინის – თანაბარი ძალის იყო, რისი დადასტურებაცაა მათი ტექსტების ფაქტობრივი იდენტურობა.

ნაშრომი აგებულია პრობლემის შესახებ არსებულ დოკუმენტურ მასალებზე. უპირველეს ყოვლისა, ეს არის აშშ-ს, დიდი ბრიტანეთისა და სსრკ-ს სამხხრივი თუ ორმხრივი კონფერენციების მიმდინარეობის ამსახველი ამერიკული<sup>1</sup> და საბჭოთა<sup>2</sup> ჩანა-

---

<sup>1</sup> *Foreign Relations of the United States. The Conferences at Washington, 1941-1942, and Casablanca, 1943.* Wash., 1968; *Sextant/Eureka Conference. November – December 1943. Papers and Minutes of Meetings.* Sextant and Eureka Conferences. Edited and Published by the Office, U.S. Secretary of the Combined Chiefs of Staff. 1943; *Foreign Relations of the United States. The Conferences at Cairo and Tehran.* Wash., 1961; *Octagon Conference. September 1944. Papers and Minutes of Meetings.* Octagon Conference and Minutes of Combined Chiefs of Staff Meetings in London, June 1944. Edited and Published by the Office, U.S. Secretary of the Combined Chiefs of Staff. 1944; *Foreign Relations of the United States. The Conference at Quebec, 1944.* Wash., 1972; *Argonaut Conference. January – February 1945. Papers and Minutes of Meetings.* Argonaut Conference. Edited and Published by the Office, U.S. Secretary of the Combined Chiefs of Staff. 1945; *Foreign Relations of the United States. The Conferences at Malta and Yalta.* Wash., 1957; *Terminal Conference. July 1945. Papers and Minutes of Meetings.* Terminal Conference. Edited and Published by the Office, U.S. Secretary of the Combined Chiefs of Staff. 1945; *Foreign Relations of the United States. The Conference of Berlin (The Potsdam Conference), 1945.* Wash., 1960.

<sup>2</sup> *Советский Союз на международных конференциях периода Великой Отечественной войны 1941-1945гг. Т. I. Московская конференция министров иностранных дел СССР, США и Великобритании (19-30 октября 1943г.). Сборник документов.* М., 1978; *Советский Союз на международных конференциях периода Великой Отечественной войны 1941-1945гг. Т. II. Тегеранская конференция руководителей трёх союзных держав – СССР, США и Великобритании (28 ноября – 1 декабря 1943г.). Сборник документов.* М., 1978; *Советский Союз на международных конференциях периода Великой Отечественной войны 1941-1945гг. Т. III. Конференция представителей СССР, США и Великобритании в Думбартон-Оксе (21 августа – 28 сентября 1944г.). Сборник документов.* М., 1979; *Советский*

წერები, აშშ-სა<sup>1</sup> და სსრკ-ს<sup>2</sup> საგარეო ურთიერთობების ამსახველი სხვა დოკუმენტები, დიდი სამეულის მიმოწერა<sup>3</sup> და სხვ. საისტორიო წყაროს სახით აგრეთვე ფართოდ არის გამოყენებული

*Союз на международных конференциях периода Великой Отечественной войны 1941-1945гг. Т. IV. Крымская конференция руководителей трех союзных держав – СССР, США и Великобритании (4-11 февраля 1945г.). Сборник документов. М., 1979; Советский Союз на международных конференциях периода Великой Отечественной войны 1941-1945гг. Т. V. Конференция объединенных наций в Сан-Франциско (25 апреля-26 июня 1945г.). Сборник документов. М., 1980; Советский Союз на международных конференциях периода Великой Отечественной войны 1941-1945гг. Т. VI. Берлинская (Потсдамская) конференция руководителей трех союзных держав – СССР, США и Великобритании (17 июля – 2 августа 1945г.). Сборник документов. М., 1980.*

<sup>1</sup> *Foreign Relations of the United States. Diplomatic Papers. 1941. Vol. I. General. Wash., 1958; Foreign Relations of the United States. Diplomatic Papers. 1941. Vol. II. Europe. Wash., 1959; Foreign Relations of the United States. Diplomatic Papers. 1943. Vol. I. General. Wash., 1963; Foreign Relations of the United States. Diplomatic Papers. 1944. Vol. IV. Wash., 1966; Foreign Relations of the United States. Diplomatic Papers. 1945. Vol. I. General. Wash., 1969; Postwar Foreign Policy Preparation, 1938-1945. U.S. Department of State. Publication 3580. Wash., 1950.*

<sup>2</sup> *Внешняя политика Советского Союза в период Отечественной войны. Документы и материалы. В 3-х томах. М., 1946-1947; Сборник действующих договоров, соглашений и конвенций, заключенных СССР с иностранными государствами. М., 1955, вып. XI; Советско-французские отношения во время Великой Отечественной войны 1941-1945гг. Документы и материалы. М., 1959; Советско-французские отношения во время Великой Отечественной войны 1941-1945гг. Документы и материалы. В 2-х томах. М., 1983; Советско-английские отношения во время Великой Отечественной войны 1941-1945гг. Документы и материалы. В 2-х томах. М., 1983; Советско-американские отношения во время Великой Отечественной войны 1941-1945гг. Документы и материалы. В 2-х томах. М., 1984; Год кризиса. 1938-1939. Документы и материалы. В 2-х томах. М., 1990; От пакта Молотова-Риббентропа до договора о базах: Документы и материалы. Сост. К. Арьякас. Таллинн, 1990; Документы внешней политики, 1939г. Т. XXII, кн 2. М., 1992.*

<sup>3</sup> *Переписка председателя совета министров СССР с президентами США и премьер-министрами Великобритании во время Великой Отечественной войны 1941-1945гг. В 2-х томах. М., 1957; W. F. Kimball. Churchill and Roosevelt: The Complete Correspondence. – Ed. with commentary by Warren F. Kimball. Princeton, NJ, 1984.*

მემუარული ლიტერატურა<sup>1</sup>.

წარმოდგენილი ნაშრომი ძირითადად შესრულდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის მსოფლიო ისტორიის კათედრაზე. ნაშრომზე მუშაობისას ავტორს საშუალება ჰქონდა, ემუშავა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ნიუ იორკის საჯარო ბიბლიოთეკაში (1999-2000წწ.), აგრეთვე ვისკონსინის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში (2004-2005წწ.), რაც შესაძლებელი გახდა „ფონდ ღია საზოგადოება – საქართველოს“ და ნიუ იორკის ღია საზოგადოების ინსტიტუტის (Open Society Institute – New York) ახალგაზრდა ლექტორთა პროგრამაში მონაწილეობის შედეგად.

დასასრულს, მსურს დიდი მადლობა გადაუხადო წიგნის რედაქტორს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელ-

---

<sup>1</sup> D. Acheson. Present at the Creation. My Years in the State Department. New York, W. W. Norton & Company, 1987; Ch. Bohlen. Witness to History. 1929-1969, New York, 1973; O. Bradley. A Soldier's Story, New York, 1951; A. Bryant. Triumph in the West. 1943-1946. – Based on the Diaries and Autobiographical Notes of Field Marshal the Viscount Alanbrooke, L., 1959; M. W. Clark. Calculated Risk. New York, 1950; W. S. Churchill. The Second World War. In 6 vols. Boston, MA, 1948-1953; A. Dulles. The Secret Surrender. New York, 1956; M. Djilas. Conversations with Stalin. New York, 1962; M. Djilas. Wartime. New York, 1977; A. D. Cooper. Old Men Forget. The Autobiography of Duff Cooper (Viscount Norwich). L., 1953; D. Eisenhower. Crusade in Europe. New York, 1948; Facing the Dictators. *The Memoirs of Sir Anthony Eden*. Vol. 2. L., 1962; The Reckoning. *The Memoirs of Sir Anthony Eden*. Vol. 3. L., 1965; Ch. de Gaulle. Mémoires de guerre. Le Salut. 1944-1946. Paris, 1959; *The Memoirs of Lord Gladwyn*. New York, 1972; W. A. Harriman, E. Abel. Special Envoy to Churchill and Stalin. 1941-1946. Random House, New York, 1975; G. Kennan. Memoirs. 1925-1950. Pantheon Books, New York, 1983; W. D. Leahy. I Was There; *The Memoirs of Field-Marshal the Viscount Montgomery of Alamein*, L., 1958; B. Montgomery. 21-st Army Group. Normandy to the Baltic Germany, L., 1964; Lord Moran. The Struggle for Survival, 1940-1965: Churchill Taken from the Diaries of Lord Moran. Boston, MA, 1966; G. Pawle. The War and Colonel Warden. – Based on Recollections of Commander C. R. Thompson – Personal Assistant to the Prime Minister, 1940-1945. L., 1963; *Diary of H. L. Stimson*. Yale University; H. L. Stimson, M. Bundy. On Active Service in Peace and War, New York, 1971; M. Weibel. Kapitulation in Norditalien. Basel, 1981; A. A. Громько. Памятное. Кн. 1. М., 1988; Н. Краснов. Незабываемое. Сан-Франциско, 1957; В. Шелленберг. Лабиринт. М., 1991; და ა.შ.

მწიფო უნივერსიტეტის ევროპა-ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის პროფესორს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორ კოტე ანთაძეს, რეცენზენტებს – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის მსოფლიო ისტორიის კათედრის გამგეს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორ თენგიზ ანთელავას და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპა-ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის გამგეს, დოც. გივი ბოლოთაშვილს. ასევე მაღლიერებით მინდა მოვიხსენიო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის ქართული ენის კათედრის დოცენტი ლევან ფაჩულია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის ინგლისური ენის კათედრის გამგე, დოც. ემა კილანავა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის რუსული ენისა და ლიტერატურის კათედრის დოცენტი ალტონ ბესელია მონოგრაფიის ძირითადი ტექსტისა და რეზიუმეების რედაქტირებისას გაწეული დახმარებისათვის.

## თავი I

### „დიდი სამეულის“ დიალოგატიური ურთიერთობები 1944წ. სექტემბრიდან 1945წ. თებერვლამდე

#### §1. კვებეკის II კონფერენცია. 1944წ. 12-16 სექტემბერი

1944 წლის 12 სექტემბერს კვებეკში დაიწყო დიდი ბრიტანეთის პრემიერ მინისტრის უინსტონ ჩერჩილისა და აშშ-ს პრეზიდენტის ფრანკლინ რუზველტის მორიგი შეხვედრა. ახალი სამიტიის მოწყობის იდეა საკმაოდ დიდი ხნის წინ გაჩნდა და ეს არც იყო გასაკვირი. კაიროს კონფერენციის<sup>1</sup> შემდეგ რაიმე შეხვედრა უმაღლეს დონეზე არ გამართულა. პირველად წინადადება ახალი კონფერენციის გამართვის შესახებ წამოაყენა ჩერჩილმა, რომელმაც 1944წლის მარტში შესთავაზა რუზველტს სააღდგომო კვირის (5-11 აპრილი – აღდგომა იმ წელს 9 აპრილს იყო) მასთან ერთად ბერმუდის კუნძულებზე გატარება<sup>2</sup>. მისი თქმით,

---

<sup>1</sup> კაიროს კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდნენ ფ. რუზველტი, უ. ჩერჩილი და ჩინეთის მმართველი ჩან კაიში, დაიწყო 1943წ. 22 ნოემბერს, შეწყდა 26 ნოემბერს, როდესაც ჩერჩილი და რუზველტი გაემგზავრნენ თეირანში, განახლდა 2 დეკემბერს, მათი თეირანიდან მობრუნების შემდეგ, და დასრულდა 7 დეკემბერს. ყოველივე ეს გამოწვეული იყო იმით, რომ სტალინმა მაშინ უარი თქვა იაპონიასთან ომის საკითხების განხილვასა და ჩან კაიშისთან შეხვედრაზე. უფრო მეტიც, მან საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ვ. მოლოტოვიც კი არ გაუშვა კაიროში (ამის შესახებ დაწვრილებით იხ.: თ. პაპასქირი. სტალინი, რუზველტი და ჩერჩილი პიტლერის წინააღმდეგ. თბ., 1996, გვ. 53-54) და დამკვირვებლის სახით გააგზავნა მოლოტოვის მოადგილე ა. ვიშინსკი, რომელიც არ დასწრებია იმ სხდომებს, სადაც იაპონიის შესახებ მიმდინარეობდა მსჯელობა (Sextant/Eureka Conference. November – December 1943. *Papers and Minutes of Meetings. Sextant and Eureka Conferences.* Edited and Published by the Office, U.S. Secretary of the Combined Chiefs of Staff. 1943, გვ. 377).

<sup>2</sup> W. F. Kimball. Churchill and Roosevelt: The Complete Correspondence, vol. 3. *Alliance Declining.* February 1944 – April 1945. – Ed. with commentary by Warren F. Kimball. Princeton, NJ, 1984, გვ. 53.

ეს უნდა ყოფილიყო თეირანის მასშტაბის შეხვედრა (არც თუ მრავალრიცხოვანი მრჩეველების თანხლებით) და მისი მოწყობის აუცილებლობა განპირობებული იყო არა იმდენად პოლიტიკაში რაიმე ცვლილებების შეტანის საჭიროებით, რამდენადაც, უბრალოდ, ერთმანეთის ნახვის სურვილით<sup>1</sup>. რუზველტმა, რომელსაც ეშინოდა, რომ ჩერჩილი კვლავ შეეცდებოდა საფრანგეთში შეჭრის გადავადებას, გრიპის მომიზეზებით, უარი თქვა ამ წინადადებაზე და განაცხადა, რომ თავისი შტაბის წარმომადგენლებს გააგზავნიდა ბერმუდებზე<sup>2</sup>.

მაისში ჩერჩილმა უკვე საკუთრივ ლონდონში მოიწვია აშშ-ს პრეზიდენტი (ვიზიტი მხოლოდ ნორმანდიაში შეჭრის შემდეგ უნდა დაწყებულიყო, რათა ეს არ გამხდარიყო გერმანელებისათვის რაიმე სიგნალის მიმცემი) შორეულ აღმოსავლეთში მიმდინარე სამხედრო კამპანიის განსახილველად<sup>3</sup>, მაგრამ რუზველტმა უარი განაცხადა „ოვერლორდის“ დაწყებიდან ახლო პერიოდში უმაღლესი დონის შეხვედრის მოწყობაზე<sup>4</sup>. როდესაც იენისში ჩერჩილმა კვლავ გამოთქვა შეხვედრის სურვილი<sup>5</sup>, რუზველტმა

<sup>1</sup> W. F. Kimball. Churchill and Roosevelt, vol. 3, გვ. 53.

<sup>2</sup> W. F. Kimball. Churchill and Roosevelt, vol. 3, გვ. 59-60.

<sup>3</sup> W. F. Kimball. Churchill and Roosevelt, vol. 3, გვ. 143. დიდი ბრიტანეთის პრემიერის ეს რემარკა გაცეხებას იწვევს: მეორე ფრონტის (ოპერაცია „ოვერლორდი“) გახსნის შემდგომ დღეებში შორეული აღმოსავლეთის ფრონტის საკითხები ნამდვილად არ იქნებოდა კონფერენციის მთავარი თემა. ეტყობა, ჩერჩილს, რომელსაც არ სურდა სამხრეთ საფრანგეთში დამხმარე ოპერაციის (კოდური სახელწოდება „ენვილი“, რომელიც შემდგომში შეიცვალა „დრაგუნით“) განხორციელება, უბრალოდ უნდოდა რუზველტის ლონდონში ჩამოტყუება, მაგრამ, უნდა ითქვას, რომ მას არაფერი არ გამოუვიდა.

<sup>4</sup> W. F. Kimball. Churchill and Roosevelt, vol. 3, გვ. 151. საინტერესოა, რომ უ. კიმბოლს ამ წერილისათვის დართული აქვს შენიშვნა: „not sent“ („არ გაგზავნილა“), თუმცა აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოცემულ კეზეების კონფერენციის მასალებში აღნიშნულია, რომ ეს წერილი გადაეგზავნა აშშ-ს საზღვაო ატაშეს ლონდონში, რაც საკმაოდ ტრადიციულ ხერხს წარმოადგენდა რუზველტის წერილების ჩერჩილისათვის გადასაცემად და პირიქით. იხ.: *Foreign Relations of the United States. The Conference at Quebec, 1944*. Wash., 1972, გვ. 6.

<sup>5</sup> W. F. Kimball. Churchill and Roosevelt, vol. 3, გვ. 195, 221.

უბრალოდ ამ წინადადების იგნორირება მოახდინა და თავის ვრცელ პასუხში, რომელიც 16 პუნქტისაგან შედგებოდა, ადგილი „ვერ მოძებნა“ ამ საკითხის გაშუქებისათვის<sup>1</sup>. როგორც ჩანს, მას უბრალოდ არ სურდა საბოლოო პასუხის გაცემა, რადგანაც, ამავე პერიოდში, ის ცდილობდა, მოეწყო „დიდი სამეულის“ ახალი კონფერენცია და სტალინს გაუგზავნა კიდევ წერილი მსგავსი წინადადებით<sup>2</sup>. ჩერჩილი, რომელსაც „დიდი სამეულის“ შეხვედრამდე რუზველტთან პირისპირ მოლაპარაკების სურვილი ჰქონდა, გულის სიღრმეში ალბათ დიდად აღფრთოვანებული არ დარჩა ამ იდეით, მაგრამ ცდილობდა, არ შეემჩნია ეს და შემოიტანა წინადადება, შეხვედრა მოწყობილიყო დიდ ბრიტანეთში, ინვერგორდონის ყურეში სამხედრო ხომალდებზე<sup>3</sup>. რუზველტის მცდელობა ამო გამოდგა. სტალინმა, ფრონტზე მიმდინარე სამხედრო ოპერაციების ფართო მასშტაბის გამო, უარი განაცხადა უახლოესი თვეების მანძილზე საბჭოთა კავშირის დატოვებაზე<sup>4</sup>. ამის შემდეგ აშშ-ს პრეზიდენტს ისლა დარჩენოდა, რომ დათანხმებოდა ჩერჩილთან შეხვედრას, თუმცა მან თავისი უახლოესი მეგობრის — ჰარი ჰოპკინსის რჩევით, საჭიროდ ჩათვალა შეხვედრის ადგილის (ე. ი. ინვერგორდონის — თ.პ.) შეცვლა და ისევ ბერმუდეზის ვარიანტი გაიხსენა<sup>5</sup>. ჩერჩილმაც თავიდან გაიზიარა ეს წინადადება<sup>6</sup>, მაგრამ შემდეგ, კლიმატური პირობების გათვალისწინებით, მაინც კვებეკი ამჯობინა<sup>7</sup>. რუზველტი, რომლისთვისაც პრინციპული განსხვავება ბერმუდეზსა და კვებეკს შორის არ არსებობდა, უმაღლესად დათანხმდა კანადაში შეხვედრას<sup>8</sup>. ასევე გადაწყდა,

<sup>1</sup> W. F. Kimball. Churchill and Roosevelt, vol. 3, გვ. 221-223.

<sup>2</sup> Переписка председателя совета министров СССР с президентами США и премьер-министрами Великобритании во время Великой Отечественной войны 1941-1945гг. (შემდგომში Переписка...), Т. II. Переписка с Ф. Рузвельтом и Г. Труменом (август 1941г. — декабрь 1945г.). М., 1957, გვ. 149.

<sup>3</sup> W. F. Kimball. Churchill and Roosevelt, vol. 3, გვ. 249.

<sup>4</sup> Переписка..., т. II, გვ. 150.

<sup>5</sup> W. F. Kimball. Churchill and Roosevelt, vol. 3, გვ. 267.

<sup>6</sup> W. F. Kimball. Churchill and Roosevelt, vol. 3, გვ. 268.

<sup>7</sup> W. F. Kimball. Churchill and Roosevelt, vol. 3, გვ. 270.

<sup>8</sup> W. F. Kimball. Churchill and Roosevelt, vol. 3, გვ. 272.

რომ კონფერენცია დაწყებულიყო სექტემბრის მეორე დეკადაში<sup>1</sup>.

როგორც ვხედავთ, კვებეკის მეორე კონფერენციის მთავარ ორგანიზატორად ჩერჩილი მოგვევლინა. სწორედ დიდი ბრიტანეთის პრემიერ მინისტრი იყო მოწადინებული რუზველტთან შეხვედრით, მაშინ როდესაც აშშ-ს პრეზიდენტს ცალკე ჩერჩილთან შეხვედრა აშკარად არ სურდა. რით იყო ყოველივე ეს განპირობებული? პირველ რიგში, ჩერჩილს უნდოდა, და ის არც მალავდა ამას, დაესწრო საბჭოთა ჯარებისათვის ცენტრალურ ევროპაში (კერძოდ, უნგრეთსა და ავსტრიაში).<sup>2</sup> ამ მიზნით, მან კვლავ წარმოადგინა ისტრიის ოპერაციის გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა დესანტის გადასხმას ისტრიის ნ-კ-ზე, ტრიესტისა და ფიუმეს (თან. რიეკა) აღებას და ლიუბლიანის გასასვლელით ცენტრალურ ევროპაში შეჭრას<sup>3</sup>. სწორედ ამიტომ არ სურდა მას, რომ შეხვედრაზე სტალინიც ყოფილიყო. ბუნებრივია, რომ მაშინ ის ამგვარი გეგმების განხილვას ვერ მოახერხებდა (ყოველ შემთხვევაში, იმ კონტექსტში, რომელიც მას სურდა). მთელი ეს ოპერაცია უნდა განხორციელებულიყო პრაქტიკულად მხოლოდ ბრიტანული ძალების გამოყენებით, რასაც, ჩერჩილი, შესაძლოა, დამატებით პოლიტიკურ დატვირთვასაც აძლევდა. როგორც ჩანს, მას სურდა, შეენარჩუნებინა ის გავლენა ევროპაში, რომელიც გააჩნდა საუკუნეების განმავლობაში დიდ ბრიტანეთს. ამიტომ, არ არის გამორიცხული, რომ მას უნდოდა არა მარტო საბჭოთა ჯარების დასწრება ცენტრალურ და სამხრეთ ევროპაში, არამედ ამ რეგიონის სწორედ ბრიტანეთის, ან ბრიტანეთ-ამერიკის (ან უბ-

<sup>1</sup> W. F. Kimball. Churchill and Roosevelt, vol. 3, გვ. 272.

<sup>2</sup> W. S. Churchill. The Second World War. Vol. 6. Triumph and Tragedy, Boston, Mass., 1953, გვ. 148.

<sup>3</sup> აღსანიშნავია, რომ ასეთი ოპერაციის გეგმა პირველად რუზველტმა წამოაყენა თეირანის კონფერენციაზე (იხ.: თეირანი, იაღტა, პოტსდამი. – დოკუმენტების კრებული, თბ., 1969, გვ. 7; *Советский Союз на международных конференциях периода Великой Отечественной войны 1941-1945гг.* Т. II. Тегеранская конференция руководителей трёх союзных держав – СССР, США и Великобритании (28 ноября – 1 декабря 1943г). Сборник документов. М., 1978, გვ. 94-95; *Foreign Relations of the United States. The Conferences at Cairo and Tehran.* Wash., 1961, გვ. 489), მაგრამ შემდეგ თავი შეიკავა ამ თემის განვირცობისაგან.



რალოდ დასავლური) გავლენის სფეროში მოქცევა. ჩერჩილს კარგად ჰქონდა გათვითცნობიერებული, რომ რაც უფრო მეტ ხანს გაგრძელდებოდა საომარი მოქმედებები ევროპაში, მით ნაკლები იქნებოდა ბრიტანეთის როლი „დიდ სამეულში“ და ის თანდათანობით დავიდოდა მესამე მოკავშირის რანგამდე<sup>1</sup>. 1944 წლის ზაფხულში კი ვითარება ჯერ კიდევ არ იყო საბოლოოდ შეცვლილი და დიდ ბრიტანეთს ევროპაში მიმდინარე საომარ მოქმედებებში დაახლოებით იმდენივე ჯარისკაცი ჰყავდა ჩაბმული, რამდენიც აშშ-ს<sup>2</sup>. თავის მხრივ, როგორც ჩანს, სტალინმაც უფრო პოლიტიკური მოსაზრებების გამო თქვა უარი რუზველტსა და ჩერჩილთან შეხვედრაზე. მას კარგად ესმოდა, რომ „დიდი სამეულის“ ახალი სამიტი დაეთმობოდა არა იმდენად სამხედრო გეგმების შეთანხმებას გერმანიის საბოლოოდ გასანადგურებლად, არამედ ომისშემდგომი ევროპის მომავალზე მსჯელობას. ამიტომ მას არ აწყობდა მოლაპარაკება ამ საკითხებზე 1944 წლის გვიან შემოდგომამდე მაინც, სანამ არ გაირკვეოდა, თუ რა წარმატებით ჩაივლიდა საბჭოთა შეტევა რუმინეთისა და ბულგარეთის მიმართულებით.

გარდა საკუთრივ ევროპისა, ჩერჩილს ძალიან აწუხებდა შორეული აღმოსავლეთის საკითხიც. მას უნდოდა, წინასწარ მიეღო თანხმობა ამერიკელებისაგან გერმანიის განადგურების შემდეგ იაპონიის წინააღმდეგ ომში ბრიტანული ძალების ფართო მასშტაბით გამოყენებაზე. არც ამ შემთხვევაში ამოძრავებდა ბრიტანეთის პრემიერს უბრალოდ მოკავშირული ვალდებულებების შესრულების სურვილი. მისი პირველი და უმთავრესი მიზანი იყო ბრიტანეთის კოლონიური იმპერიის შენარჩუნება. ომამდე სამხ-

---

<sup>1</sup> ოფიციალური ბრიტანელი ისტორიკოსი ჯონ ერმანი სინანულით ახდენს იმ ფაქტის კონსტატაციას, რომ „ოქტაგონი“ (კეებეკის კონფერენციის კოდური სახელწოდება) იყო უკანასკნელი ინგლისურ-ამერიკული კონფერენცია, რომელმაც მოახდინა დიდი სტრატეგიის ფორმულირება. 1945 წელს კი, აღნიშნავს ის, იალტისა და პოტსდამის შეხვედრებზე, ბრიტანული გავლენა სულაც არ იყო ისე დიდი, როგორც ადრე (J. Ehrman. Grand Strategy. Vol. 5. August 1943–September 1944. L., 1956, გვ. 506; Дж. Эрман. Большая стратегия. Август 1943 – сентябрь 1944. М., 1958, გვ. 495).

<sup>2</sup> W. S. Churchill. The Second World War, vol. 6, გვ. 150.

რეთ-აღმოსავლეთი აზია (ფრანგული ინდოჩინეთის გამოკლებით) ფაქტობრივად ბრიტანეთის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ასე რომ, იმ შემთხვევაში, თუ ინგლისელები არ მიიღებდნენ უფრო მნიშვნელოვან მონაწილეობას ამ ტერიტორიების განთავისუფლებაში, სავსებით მოსალოდნელი იყო, რომ ისინი დაკარგავდნენ ყოველგვარ გავლენას რეგიონში, ეს კი საბოლოოდ გამოუთხრიდა ძირს მათ მცდელობას, შეენარჩუნებინათ ინდოეთი — „იმპერიის თვალმარგალიტი“.

სულ სხვაგვარი იყო ამერიკელთა მიდგომა ამ საკითხისადმი. რუზველტი, პირველ რიგში, მოწადინებული იყო სწორედ თავისი ქვეყნის ინტერესების დაცვით. მას, ისევე როგორც თითქმის ყველა ამერიკელ პოლიტიკოსს, სურდა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის აშშ-ს გავლენის სფეროში მოქცევა. ამისათვის კი საჭირო იყო ამ რეგიონიდან დიდი ბრიტანეთის გამოძევება<sup>1</sup>. მართალია, აშშ-ს პრეზიდენტი აღნიშნავდა, რომ რეგიონის სახელმწიფოებს დამოუკიდებლად განვითარების საშუალება უნდა მისცემოდა<sup>2</sup>, მაგრამ ფაქტია, რომ მისი შემდგომი პრეზიდენტები ძალ-ღონეს არ იშურებდნენ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში (და პრინციპში მთელ მსოფლიოშიც) შეერთებული შტატების გავლენის დამყარება-განმტკიცებისათვის.

ერთგვარად განსხვავებული იყო რუზველტის პოზიცია ევროპულ საკითხებთან მიმართებაში. „წითელი საფრთხის“ შიში მას მაინცდამაინც არ ჰქონდა, რადგანაც დარწმუნებული იყო, რომ სტალინთან ყოველთვის გამონახავდა საერთო ენას<sup>3</sup>. მიუხედავად ამისა, 1944 წლის ზაფხულისათვის, როგორც ჩანს, რუზველტმა გარკვეულწილად შეცვალა თავისი მიდგომა ცენტრალურ და სამ-

<sup>1</sup> თუ როგორი წარმოდგენა ჰქონდა რუზველტს დიდი ბრიტანეთის მომავალზე, ნათლად ჩანს მისი საუბრიდან სტალინთან თეირანში, როდესაც აშშ-ს პრეზიდენტმა ლაპარაკი ჩამოაგდო ინდოეთის დამოუკიდებლობაზე და განაცხადა, რომ არ იყო საჭირო ამ საკითხის განხილვა ჩერჩილთან, რომელიც ჯერ მზად არ იქნებოდა ამისათვის და სასურველად ჩათვალა მისი ომის შემდგომ გადაწყვეტა (Ch. Bohlen. Witness to history, 1929-1969, New York, 1973, გვ. 140).

<sup>2</sup> R. Sherwood. Roosevelt and Hopkins, გვ. 826.

<sup>3</sup> Ch. Wilmot. The Struggle for Europe. L., 1971, გვ. 447-448.

ზრეთ ევროპაში მოვლენების სტალინისეული სცენარით განვითარებისადმი. ამგვარი დასკვნის გაკეთების საშუალებას ჩვენ, პირველ რიგში, გვაძლევს სწორედ კვებეკში შემდგარი მისი საუბარი ერც-ჰერცოგ ოტო ჰაბსბურგთან, როდესაც რუზველტმა აღნიშნა, რომ არ შეიძლებოდა ავსტრიასა და უნგრეთში კომუნისტების შეშვება<sup>1</sup>.

ზემოაღნიშნულის გარდა, არსებობდა კიდევ ერთი პრობლემა, რომელსაც რუზველტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა და რომლის განხილვაც კვებეკში მას უმთავრეს ამოცანად მიაჩნდა. ეს იყო გერმანიის მომავალი მოწყობის საკითხი. ამ პრობლემას უკვე დიდი ხანია, რუზველტის დავალებით ამუშავებდა აშშ-ს ფინანსთა მინისტრი ჰენრი მორგენტაუ და სწორედ კვებეკის კონფერენციისათვის მომზადდა სათანადო გეგმა (ე.წ. „მორგენტაუს გეგმა“), რომლის თანახმადაც უნდა მომხდარიყო გერმანიის სრული დენაციფიკაცია და დეინდუსტრიალიზაცია. ამ გეგმის დამტკიცების განზრახვით რუზველტმა კვებეკში სწორედ მორგენტაუ იახლა და არა ჰ. ჰოპკინსი ან სახელმწიფო მდივანი კ. ჰალი. ამით მან ფაქტობრივად უჩვენა ჩერჩილს, რომ არ აპირებდა კვებეკში დისკუსიების გამართვას პოლიტიკურ საკითხებზე<sup>2</sup>.

აი, ასეთი გეგმებით ჩამოვიდნენ ჩერჩილი და რუზველტი კვებეკის კონფერენციაზე, რომელიც 1944 წლის 12-16 სექტემბერს გაიმართა<sup>3</sup>. პირველი პლენარული სხდომა შედგა 13 სექტემბერს და გაიხსნა ჩერჩილის სიტყვით. დიდი ბრიტანეთის

<sup>1</sup> The Conference at Quebec, გვ. 367.

<sup>2</sup> კვებეკში რუზველტს მორგენტაუსა და ამ უკანასკნელის თანაშემწის, ჰ. უაიტის გარდა მხოლოდ სამხედრო პირები ახლდნენ.

<sup>3</sup> ჩერჩილი და რუზველტი კვებეკში 11 სექტემბერს ჩავიდნენ. აღსანიშნავია, რომ ბრიტანეთის პრემიერი ძალიან ცდილობდა, დაესწრო აშშ-ს პრეზიდენტისათვის და ლამის გემიდან გაფრენა გადაწყვიტა (ის კვებეკში საბრძოლო ხომალდ „ქუინ მერი“ გაემზავრა), მაგრამ შემდეგ, როდესაც შეამოწმა განრიგი, ჩათვალა, რომ მანაც პირველი აღმოჩნდებოდა დანიშნულების ადგილას და გადაიფიქრა. მისდა სამწუხაროდ, რუზველტმა განრიგი ერთი დღით შეცვალა და ჩერჩილზე ერთი საათით უფრო ადრე ჩავიდა კვებეკში (G. Pawle. The War and Colonel Warden. — Based on Recollections of Commander C. R. Thompson — Personal Assistant to the Prime Minister, 1940-1945. L., 1963, გვ. 318).

პრემიერ მინისტრმა მოკლედ მიმოიხილა კაიროს შეხვედრის შემდგომ მომხდარი მოვლენები და გადავიდა პერსპექტივებზე. ჩერჩილმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი ვენის ალების აუცილებლობას, რასაც, მისი აზრით, რამდენიმე მიზეზი განაპირობებდა: 1) მოკავშირეთა არმიები არ უნდა დარჩენილიყვნენ უმოქმედოდ; 2) საჭირო იყო გერმანელების „ილლიაში დაჭრა“<sup>1</sup>; და 3) საბჭოთა ჯარების ბალკანეთისაკენ სწრაფი წინსვლისა და რეგიონში საბჭოთა გავლენის სახიფათო ზრდის აღკვეთა<sup>2</sup>. რასაკვირველია, ჩერჩილისათვის უმთავრესი მესამე არგუმენტი იყო.

ამის შემდეგ ჩერჩილი გადავიდა შორეული აღმოსავლეთის საკითხზე და შესთავაზა ამერიკელებს ბრიტანული ფლოტის დახმარება იაპონელების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამასთან, მან ხაზი გაუსვა, რომ ბრიტანული ფლოტი სამხედრო ოპერაციების მსვლელობისას დაექვემდებარებოდა ამერიკელთა სარდლობას<sup>3</sup>. რუზველტმა უმაღლესი მთავრობის წინადადება<sup>4</sup>. ჩერჩილმა გამოთქვა აგრეთვე სურვილი, რომ იაპონიის წინააღმდეგ აემოქმედებინათ სამეფო საჰაერო ძალებიც და აღნიშნა, რომ ამ მიზნისათვის შესაძლებელი იქნებოდა 1500 საბრძოლო თვითმფრინავის გამოყოფა. და ბოლოს, ჩერჩილმა განაცხადა, რომ ევროპაში ომის დამთავრების შემდეგ, დიდი ბრიტანეთი აღმოსავლეთში გადაისვრიდა 12 დივიზიას, რომლებიც დაემატებოდა ბირმაში უკვე განლაგებულ 15 დივიზიას<sup>5</sup>.

უნდა აღინიშნოს, რომ ბრიტანელთა ამ წინადადებებს ამერიკელი სამხედროები სულაც არ შეხვედრიან დიდი აღფრთოვანებით. ამერიკელი ისტორიკოსის ფ. ჰოგიუს ცნობით, ფლოტის

<sup>1</sup> "Giving the Germany a stab in the arm-pit" (იხ.: *The Conference at Quebec*, გვ. 314).

<sup>2</sup> *The Conference at Quebec*, გვ. 314.

<sup>3</sup> *The Conference at Quebec*, გვ. 315.

<sup>4</sup> *The Conference at Quebec*, გვ. 315. ბრიტანულ ოფიციალურ გამოცემაში მოყვანილია რუზველტის სიტყვები: "The British fleet was no sooner offered than accepted" („ბრიტანული ფლოტი შემოთავაზებულ იცა არ იყო და ჩვენ უკვე მივიღეთ“, — იხ.: *J. Ehrman. Grand Strategy*, vol. V, გვ. 518).

<sup>5</sup> *The Conference at Quebec*, გვ. 315-316.

შემოთავაზებისას „ადმირალი კინგი (აშშ-ს სამხედრო-საზღვაო ძალების სარდალი) ლამის გასატანი შეიქნა“.<sup>1</sup> როგორც ჩანს, ჩერჩილმა კარგად იცოდა, თუ როგორი განწყობილება სუფევდა ამერიკელ სამხედროებში, რადგანაც სხდომის ბოლოს ის ისევ დაუბრუნდა ამ საკითხს და კიდევ ერთხელ ჰკითხა რუზველტს, მიღებული იყო თუ არა მისი წინადადება ბრიტანული ფლოტის იაპონიის წინააღმდეგ ძირითად საზღვაო ოპერაციებში ჩართვის შესახებ. რუზველტმა განაცხადა, რომ ის მოხარული იქნებოდა, ეხილა ბრიტანეთის ფლოტი ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ადგილას, მაგრამ კინგის პასუხი მეტად ორჭოფული იყო. მისი თქმით, ეს საკითხი აქტიური შესწავლის სტადიაში იყო.<sup>2</sup> ანალოგიური პასუხი გასცა მან ჩერჩილის წინადადებას, შეეცვალათ ბრძოლებში დაზიანებული ამერიკული ხომალდები ბრიტანულით<sup>3</sup>. მაშინ ჩერჩილმა კიდევ ერთხელ გაიმეორა თავისი შეკითხვა და რუზველტისაგან კვლავ ცალსახად მიიღო დასტური. ამის შემდეგ ჩერჩილმა ფლოტის პრობლემა მოგვარებულად ჩათვალა და საჭაერო ძალების გამოყენების საკითხს დაუბრუნდა. არც ეს წინადადება მიიღეს ამერიკელებმა პირველივე შემოთავაზებით. ავიაციით დახმარების იდეა მაინცდამაინც არ მოეწონათ ჯ. მარშალს (მოკავშირეთა გაერთიანებული შტაბის უფროსი) და ჰ. არნოლდს (აშშ-ს სამხედრო-საჭაერო ძალების სარდალი). მარშალმა განაცხადა, რომ აშშ-ს უკვე საჭიროზე ბევრად მეტი თვითმფრინავი ჰყავდა, ეს კი ძალზედ წააგავდა თავაზიან უარს, მაგრამ აშკარა წინააღმდეგობისაგან მან მაინც თავი შეიკავა, რადგანაც შეამჩნია, რომ რუზველტი ეთანხმებოდა ბრიტანეთის პრემიერ მინისტრს. ამიტომ ის დაკმაყოფილდა სამეფო საჭაერო ძალების მარშალ სერ ჩარლზ პორტალის განმარტებით, რომ ბრიტანული ბომბდამშენი „ლანკასტერი“, ფრენისას საწვავის ჩამატების შემთხვევაში, დაახლოებით იმავე მანძილზე შეძლებდა მოქმედებას, როგორც ამერიკული „B-29“. ჩერჩილმა კი ყოველივე

<sup>1</sup> F. Pogue. George C. Marshall: Organizer of Victory, 1943-1945. New York, 1966, გვ. 453.

<sup>2</sup> The Conference at Quebec, გვ. 317.

<sup>3</sup> The Conference at Quebec, გვ. 317-318.

ამას დაამატა, რომ აშშ-მ დიდ ბრიტანეთს უდიდესი დახმარება გაუწია გერმანიის წინააღმდეგ ომში და ახლა ბრიტანეთის იმპერიას სანაცვლოდ მთელი თავისი შესაძლებლობები უნდა გამოეყენებინა იაპონიის დასამარცხებლად<sup>1</sup>. ამით კონფერენციის პირველმა სხდომამ მუშაობა დაასრულა.

უნდა აღინიშნოს, რომ რუზველტი სულაც არ მოტყუებულა „შენიღბული“ სიტყვებით მოკავშირული ვალდებულებების შესახებ და მოგვიანებით მორგენტაუსთან საუბარში აღნიშნა: „მათ მხოლოდ სინგაპურის დაბრუნება სურთ“<sup>2</sup>. ამას ადასტურებს ბრიტანელი ისტორიკოსი მ. ჯილბერტიც, რომელსაც მოჰყავს მონაცემები, რომელთა მიხედვითაც რანგუნის ოპერაცია, ჩერჩილის აზრით, მოსამზადებელი დარტყმა იყო, ხოლო მთავარი შეტევა უნდა განხორციელებულიყო სინგაპურზე<sup>3</sup>.

რუზველტის თანხმობის შემდეგ საკითხი იაპონიასთან ომში ბრიტანული საზღვაო თუ საჰაერო ძალების გამოყენების შესახებ თითქოს საკამათო არ უნდა გამხდარიყო<sup>4</sup>, მაგრამ იმავე დღეს ინგლისელმა სამხედროებმა ამერიკელებისაგან მიიღეს მემორანდუმი, რომელიც დღის სხდომამდე იყო შედგენილი. მემორანდუმში ბრიტანული ფლოტის თავდაპირველი მოქმედების არეალი მკაცრად იყო შემოფარგლული „წყნარი ოკეანის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილით“<sup>5</sup>. მეორე დღიას, მოკავშირეთა გაერთიანებული შტაბის სხდომაზე, ბრიტანეთის იმპერიის გენერალური შტაბის უფროსმა ფელდმარშალმა ალან ბრუკმა განაცხადა, რომ მემორანდუმის ეს

<sup>1</sup> The Conference at Quebec, გვ. 317-318.

<sup>2</sup> W. F. Kimball. Churchill and Roosevelt, vol. 3, გვ. 318.

<sup>3</sup> M. Gilbert. Winston S. Churchill. Road to Victory. Vol. VII. Boston, MA, 1986, გვ. 957.

<sup>4</sup> რაც შეეხება ქვეითი ნაწილებით დახმარებას, ამერიკელ სამხედროებში ამას რაიმე უარყოფითი რეაქცია არ გამოუწვევია, რაც ალბათ განპირობებული იყო, ერთი მხრივ, აშშ-ს არმიის მძიმე დანაკარგებით სახმელეთო ბრძოლებში და, მეორე მხრივ, ინგლისელთა სურვილით, გამოეყენებინათ ეს შენაერთები სინგაპურის გასათავისუფლებლად. რაიმე პრეტენზია ბრიტანული ჯარების საკუთრივ იაპონიის ტერიტორიაზე საწარმოებელ ოპერაციებში ჩაბმავზე ჩერჩილს თუ ინგლისელ სამხედროებს არ გამოუთქვამთ.

<sup>5</sup> The Conference at Quebec, გვ. 331.

ნაწილი წინააღმდეგობაში მოდიოდა წინა დღის გადაწყვეტილებებთან. აღმირალ ენდრიუ კანინგჰემის თქმით კი, სულაც არ იყო საჭირო ბრიტანული ფლოტის მთავარი ძალების ბენგალიის ყურეში განთავსება, რადგანაც იქ ისედაც საკმარისზე მეტი რესურსები იყო თავმოყრილი<sup>1</sup>. ამერიკელებმა ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინეს და თვითონ შესთავაზეს ინგლისელებს ამ სიტყვების ამოშლა<sup>2</sup>, მაგრამ, როგორც შემდეგ გაირკვა, მთავარი ბრძოლა ამ საკითხის გარშემო ჯერ კიდევ წინ იყო და აღმირალი კინგი სულაც არ აპირებდა ფარ-ხმლის დაყრას<sup>3</sup>. ამჯერად მან განაცხადა, რომ ბრიტანული ძალები თვითმომარაგებაზე უნდა ყოფილიყვნენ, რაზეც ბრიტანელებმა უპასუხეს, რომ მათ გააჩნდათ საჭირო ბაზები ავსტრალიაში<sup>4</sup>. ინგლისელები არც მაშინ დაიბნენ, როდესაც კინგმა მოითხოვა კონკრეტული წინადადებების დასახელება, თუ სად გამოეყენებინათ ეს ფლოტი და ასეთ რეგიონად მათ წყნარი ოკეანის ცენტრალური ნაწილი დაასახელეს. აშშ-ს სამხედრო-საზღვაო ძალების სარდალს ეს სულაც არ აწყობდა და განაცხადა, რომ რუზეველტსა და ჩერჩილს არანაირი მინიშნება ამ რეგიონზე არ გაუკეთებიათ<sup>5</sup>. მაშინ პორტალმა შეახსენა ამერიკელებს მოკავშირეთა გაერთიანებული შტაბის სხდომაზე მიღწეული შეთანხმების პუნქტი, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ სამეფო საზღვაო ძალებს მონაწილეობა უნდა მიეღოთ იაპონიის წინააღმდეგ საომარ მოქმედებებში ნებისმიერ ადგილას, როდესაც კი ამის შესაძლებლობა გაჩნდებოდა. თანაც მათ განმარტეს, რომ აქ იგულისხმებოდა იაპონია არა გეოგრაფიული გაგებით, არამედ მთლიანად საომარი თეატრი<sup>6</sup>. არც ამან დააკმაყო-

<sup>1</sup> The Conference at Quebec, გვ. 331..

<sup>2</sup> The Conference at Quebec, გვ. 331.

<sup>3</sup> როგორც ფელდმარშალი ალან ბრუკი იხსენებს, კინგმა იმ დღეს საერთოდ დაკარგა მოთმინება და დიდი ბრძოლა გაუმართა ყველას, რათა არ დაეშვა ბრიტანული ფლოტის წყნარი ოკეანის ცენტრალურ ნაწილში განთავსება (A. Bryant. *Triumph in the West*. 1943-1946. — *Based on the Diaries and Autobiographical Notes of Field Marshal the Viscount Alanbrooke, L.*, 1959, გვ. 274).

<sup>4</sup> The Conference at Quebec, გვ. 332.

<sup>5</sup> The Conference at Quebec, გვ. 332.

<sup>6</sup> The Conference at Quebec, გვ. 332-333.

ფილა კინგი, რომელიც იაპონიასთან ომს ლამის „თავის საკუთარ ომად“ მიიჩნევდა<sup>1</sup>. მან განაცხადა, რომ პოლიტიკური თვალსაზრისით არ იყო სასურველი ბრიტანული ფლოტის გამოყენება წყნარ ოკეანეში, რადგანაც ეს გამოიწვევდა ამერიკული ზომალდების ნაწილის გამოყვანას რეგიონიდან, მაგრამ პორტალმა არც ეს მიიჩნია პრობლემად. მან შეასხენა ოპონენტებს, რომ პრემიერ მინისტრის წინადადება სწორედ მოძველებული თუ ბრძოლებში დაზიანებული ამერიკული ზომალდების უახლესი ბრიტანული გემებით შეცვლას ითვალისწინებდა<sup>2</sup>. ამის შემდეგ უკვე ინგლისელები „გადავიდნენ შეტევაზე“ და მოითხოვეს, რომ ბრიტანულ ფლოტს არა უბრალოდ მიეღო მონაწილეობა იაპონიის წინააღმდეგ საომარ მოქმედებებში, არამედ წამყვანი როლი შეესრულებინა მათში<sup>3</sup>. პასუხად ამერიკელებმა განაცხადეს, რომ ამ წინადადებას განსახილველად პრეზიდენტს გადასცემდნენ. ამით კამათი პრაქტიკულად დასრულდა და მიღწეული იქნა შეთანხმება, რომ ბრიტანუ-

<sup>1</sup> W. F. Kimball. The Two-Sided Octagon: Roosevelt and Churchill at Quebec, September 1944. – წიგნში: *The Second Quebec Conference Revisited*. – Ed. by D. Woolner, New York, 1998, გვ. 6.

<sup>2</sup> The Conference at Quebec, გვ. 333.

<sup>3</sup> The Conference at Quebec, გვ. 333. გაუგებარია რატომ, მაგრამ ე. კანინგჰემმა და ა. ბრუკმა განაცხადეს, რომ ეს იყო ჩერჩილის წინადადება, რომელსაც დაეთანხმა რუსეველტი (კანინგჰემის სიტყვები: “Prime Minister and President are in agreement, that it is essential for British forces to take a leading part in the main operations against Japan” – „პრემიერ მინისტრი და პრეზიდენტი შეთანხმებული არიან, რომ ბრიტანული ძალებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია იაპონიის წინააღმდეგ ძირითად ოპერაციებში წამყვანი როლის შესრულება“; პორტალის სიტყვებზე: “Prime Minister wishes the British Fleet to play a major role in the operations against Japan” – „პრემიერ მინისტრს სურს, რომ ბრიტანეთის ფლოტმა ითამაშოს მთავარი როლი იაპონიის წინააღმდეგ ოპერაციებში“ – ბრუკის დამატება: “As I remember, the offer was no sooner made, than accepted by the President” – „როგორც მე მახსოვს, შეთავაზება გაკეთებულიც კი არ იყო, რომ პრეზიდენტმა ის უკვე მიიღო“). არადა, ჩერჩილს არსად არ უხსენებია სიტყვები “leading” ან “major” ბრიტანული ფლოტის როლთან დაკავშირებით კვებეკში. ის უბრალოდ ითხოვდა, რომ ბრიტანული ფლოტიც ჩაერთოთ ოპერაციებში. ამიტომ, სულაც არ არის გასაკვირი, რომ კინგმა მსგავსი რამ ვერ გაიხსენა (The Conference at Quebec, გვ. 333).



ლი ფლოტი მიიღებდა მონაწილეობას საომარ ოპერაციებში იაპონიის წინააღმდეგ წყნარ ოკეანეში, ზოლო კონკრეტულად როლის და სად, ეს განპირობებული იქნებოდა შექმნილი ვითარებით<sup>1</sup>.

ბევრად უფრო იოლად ჩაიარა ბრიტანული სამხედრო-საჰაერო ძალების იაპონიის წინააღმდეგ გამოყენების საკითხმა. რადგანაც თვითონ ბრიტანელები აღიარებდნენ, რომ თვითმფრინავების რაოდენობა დამოკიდებული იყო გერმანიასთან ომის ხანგრძლივობაზე, დადგენილებაში უბრალოდ ჩაიწერა, რომ შედგენილი იქნებოდა გეგმა სამეფო საჰაერო ძალების იაპონიის წინააღმდეგ ომში გამოყენების შესახებ, დეტალურად კი საკითხი მომავალში უნდა განხილულიყო<sup>2</sup>.

დადებითად გადაწყდა აგრეთვე საკითხი ისტრიის ნახევარკუნძულზე დაგეგმილი ოპერაციისათვის საჭირო სადესანტო ზომადების გამოყოფის შესახებ. ჩერჩილი მეტად გააოცა იმ გარემოებათ, რომ ამ პრობლემის განხილვისას აღმირალი კინგი, რომელიც ადრე ყოველთვის წინააღმდეგი იყო იაპონიასთან ომის ხარჯზე ევროპული ფრონტის მომარაგებისა, ამჯერად ამ ოპერაციის მთავარი მხარდამჭერი აღმოჩნდა ამერიკელების მხრიდან<sup>3</sup>. კინგმა მზადყოფნა გამოთქვა, გამოეყო ისტრიაში შესაჭრელად ის სადესანტო ზომადები, რომლებიც საჭირო იყო რანგუნის დასაკავებლად (და შესაბამისად გადაეღო ეს ოპერაცია<sup>4</sup>). როგორც გაირკვა, კინგის ამგვარი მოქმედების მთავარი მიზანი ისევ და ისევ ბრიტანელების წყნარი ოკეანიდან მოცილება იყო. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ისტრიის ოპერაცია ძირითადად ბრიტანული ძალებით უნდა განხორციელებულიყო და კინგი იმედოვნებდა, რომ ინგლისელებს ამის შემდეგ უკვე არ დარჩებოდათ პრაქტიკულად არანაირი რეზერვები წყნარ ოკეანეში გადასასროლად<sup>5</sup>.

<sup>1</sup> The Conference at Quebec, გვ. 335.

<sup>2</sup> The Conference at Quebec, გვ. 335.

<sup>3</sup> W. S. Churchill. The Second World War, vol. 6, გვ. 159.

<sup>4</sup> ეს ოპერაცია, რომლის კოდური სახელწოდება იყო „დრაკულა“, უნდა ჩატარებულიყო 1945 წლის მარტში, მაგრამ საბოლოო ჯამში ის არ განხორციელებულა.

<sup>5</sup> B. J. C. McKercher. Toward the Postwar Settlement: Winston Churchill and the Second Quebec Conference. — წიგნში: *The Second Quebec Conference Revisited*. — Ed. by D. Woolner. New York, 1998, გვ. 29.

სამხედრო საკითხებისაგან განსხვავებით, პოლიტიკური პრობლემების განხილვას კვებეკში დიდი დრო არ წაუღია. ჩერჩილს შეეძლო, თავისი მთავარი მიზანი მიღწეულად ჩაეთვალა, რადგანაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ისტორიაში შეჭრის შესახებ. ამ ოპერაციის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში კი ბრიტანეთის პრემიერ მინისტრს მართლაც ექნებოდა საშუალება, დაესწრო საბჭოთა ჯარებისათვის ცენტრალურ და სამხრეთ ევროპაში. ჩერჩილმა აგრეთვე თანხმობა მიიღო აშშ-ს მხრიდან ომის შემდგომ დახმარებაზე, რაც პირველსავე წელს 6 მილიარდი დოლარით უნდა განსაზღვრულიყო. ერთგვარი კამათი გამოიწვია მხოლოდ „მორგენტაუს გეგმამ“. ჩერჩილი, როგორც თვითონ აღნიშნავს თავის მეშუარეობაში, თავდაპირველად მეტად უარყოფითად შეხვდა ამ გეგმას<sup>1</sup>, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა და დაეთანხმა მას<sup>2</sup>. როგორც ჩანს, ეს ტრანსფორმაცია მოახდინეს, ერთი მხრივ, რუხველტმა და მორგენტაუმ, როდესაც ჩერჩილს აღუთქვეს ფინანსური დახმარება ომის შემდგომ ბრიტანეთის ეკონომიკის ასაღორძინებლად<sup>3</sup>, მეორე მხრივ კი – მისმა მრჩეველმა ლორდმა ჩერუელმა, რომელმაც დაარწმუნა ჩერჩილი, რომ ასეთ შემთხვევაში ბრიტანელები მოახერხებდნენ იმ სავაჭრო ბაზრების დაკავებას, სადაც მანამდე გერმანია დომინირებდა<sup>4</sup>.

კონფერენციამ მუშაობა დაასრულა 1944 წლის 16 სექტემბერს და დელეგაციებიც მეორე დღესვე გაემგზავრნენ კვებე-

<sup>1</sup> W. S. Churchill. The Second World War, vol. 6, გვ. 156.

<sup>2</sup> ამერიკელი მკვლევარი უ. კიმბოლი ერთგვარი ირონიით შენიშნავს, რომ, მართალია, ბრიტანეთის პრემიერის თავდაპირველი შეფასება ამ გეგმისა გამოიხატა სიტყვებით: „არაბუნებრივი, არაქრისტიანული და უსარგებლო“, მაგრამ შემდეგ მან ენთუზიასმით აღიქვა ეს იდეა და ფორმულირებებიც კი გაამკაცრა საბოლოო შემორანდუმში (იხ.: W. F. Kimball. Swords or Ploughshares? The Morgenthau Plan for Defeated Nazi Germany, 1943-1946. Philadelphia, PA, 1976, გვ. 89, 96).

<sup>3</sup> K. Sainsbury. Churchill and Roosevelt in War: The War They Fought and the Peace They Hoped to Make. L., 1994, გვ. 152.

<sup>4</sup> Lord Moran. The Struggle for Survival: Churchill Taken from the Diaries of Lord Moran. Boston, MS, 1966, გვ. 191; R. Collier. The War That Stalin Won. L., 1983, გვ. 183; R. Edmonds. The Big Three: Churchill, Roosevelt and Stalin in Peace and War. L., 1991, გვ. 380.

კიდან, მაგრამ აღმოჩნდა, რომ რუზველტს და ჩერჩილს კიდევ ჰქონდათ განსახილველი ერთი სერიოზული საკითხი, რომელიც ბირთვული ენერჯის მომავალს ეხებოდა. სწორედ ეს პრობლემა იქცა მათი საუბრების ძირითად თემად ჰაიდ-პარკში, რუზველტის რეზიდენციაში 18-19 სექტემბერს გამართული შეხვედრების დროს. აშშ-ს პრეზიდენტი და ბრიტანეთის პრემიერი შეთანხმდნენ, რომ გაეგრძელებინათ თანამშრომლობა ამ სფეროში იაპონიის დამარცხების შემდეგაც. ამასთან, ბირთვული ენერჯია არ უნდა მოქცეულიყო საერთაშორისო კონტროლის ქვეშ, რაც ფაქტობრივად იმას ნიშნავდა, რომ ის დარჩებოდა ამერიკელების (ძირითადად) და ბრიტანელების საიდუმლოდ. ყოველივე ეს აისახა „სამახსოვრო ბარათში“, რომელშიც, ჩვენი აზრით, განსაკუთრებით საყურადღებოა უკანასკნელი — მე-3 პუნქტი, რომლის თანახმად აუცილებლად იყო მიჩნეული დარწმუნება იმაში, რომ პროფესორი ნილს ბორი არ გადასცემდა რაიმე ინფორმაციას „რუსებს“.<sup>1</sup> ეს პუნქტი აშკარად მეტყველებს, რომ უკვე 1944 წლის სექტემბერში ბირთვულ იარაღს (პოტენციურად მანც) ანტისაბჭოთა დატვირთვა ეძლეოდა.

ასეთი იყო ძირითადად კვებეკის კონფერენციაზე მიღებული გადაწყვეტილებები. იმთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ კვებეკში მიღწეული პრაქტიკულად ყველა შეთანხმება სულ მალე ფართინა ქაღალდად იქცა. არნემის მახლობლად მოკავშირეთა შეტე-

---

<sup>1</sup> *The Conference at Quebec*, გვ. 493. ცნობილმა ფიზიკოსმა ნილს ბორმა 1943 წლის სექტემბერში მოახერხა გერმანელების მიერ ოკუპირებული დანიიდან ინგლისში გაქცევა და იქ სულ მალე იქცა ომის შემდგომ ბირთვულ ენერჯიაზე საერთაშორისო კონტროლის დაწესების მომხრე მეცნიერთა ერთ-ერთ ლიდერად (*R. Dallek. Franklin D. Roosevelt and American Foreign Policy, 1932-1945. New York, 1995*, გვ. 470). 1944წ. დასაწყისში ის, ბირთვული ენერჯის საკითხებზე მრჩეველის რანგში, აშშ-ში აღმოჩნდა და სცადა რუზველტის მეგობრის ფელიქს ფრანკფურტერის დარწმუნება საერთაშორისო კონტროლის აუცილებლობაში. ფრანკფურტერმა რუზველტს გაანდო მთელი ეს საუბარი, რის შემდეგაც ბორს ერთგვარი ეჭვის თვალით დაუწყევს ყურება ვაშინგტონში (ამის შესახებ დაწვრილებით იხ.: *L. Baker. Felix Frankfurter. New York, 1969*, გვ. 271-278). როგორც ჩანს, სწორედ ამან განაპირობა ნილს ბორის მოხსენიება აღნიშნულ დოკუმენტში.

ვის ჩაშლამ<sup>1</sup> ხაზი გადაუსვა რუზველტისა და ჩერჩილის იმედებს, რომ გერმანიას 1944 წლის მიწურულისათვის მოუღებდნენ ბოლოს. ისტორიის ოპერაცია არასოდეს არ განხორციელებულა, რადგანაც ჩაიშალა მოკავშირეთა შეტევა იტალიაში და ვერ მხერხდა დროულად გასვლა მდინარე პოს ხეობაში. ყოველივე ამან კი სასიკვდილო ლახვარი ჩასცა ბრიტანეთის პრემიერის გეგმებს ცენტრალური ევროპისა და ბალკანეთის მიმართ. პრეზიდენტ ტრუმენის განკარგულებით, დიდ ბრიტანეთს ფინანსური დახმარება იაპონიაზე გამარჯვების მეორე დღესვე შეუწყვიტეს. „მორგენტაუს გეგმა“ მკვდრადშობილი აღმოჩნდა. ომის დამთავრების შემდეგ ამერიკელებს სიტყვაც არ დასცდენიათ ბირთვული ენერჯიის ერთობლივ გამოყენებაზე და ბრიტანელებს საკუთარი ძალებით მოუწიათ ამ პრობლემის გადაწყვეტა, რასაც წარმატებით გაართვეს კიდევ თავი. ოპერაცია „დრაკულა“ გაუქმებულ იქნა, ხოლო ბრიტანულ ფლოტსა თუ ავიაციას არასოდეს არ მიუღიათ რაიმე ქმედითი მონაწილეობა საკუთრივ იაპონიის წინააღმდეგ განხორციელებულ სამხედრო ოპერაციებში. ყოველივე ამან საფუძველი მისცა ამერიკელ მკვლევარ უ. კიმბოლს, რომ ეს კონფერენცია შეეფასებინა, როგორც „უსარგებლო და კონტრაპროდუქტიულიც კი“.<sup>2</sup> ერთი შეხედვით, ეს თითქოს ასეცაა და შეიძლება ითქვას, რომ ინგლისელებმაც და ამერიკელებმაც ტყუილად დახარჯეს დრო კვებეკში, მაგრამ, ჩვენი აზრით, კვებეკის კონფერენციის შეფასებისას მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს არა მის კონკრეტულ შედეგებს, არამედ იმ გარემოებას, რომ ამ კონფერენციაზე მოკავშირეები სამხედრო ოპერაციების დაგეგმვისას აღრინდელთან შედარებით მეტ ყურადღებას უთმობდნენ მათ პოლიტიკურ ასპექტებს. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მეორე მსოფლიო ომის დასასრულის მოახლოებასთან ერთად დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ს ლიდერები უკვე იწყებდნენ სერიოზულ ფიქრს მსოფლიოს მომავალ მოწყობაზე.

<sup>1</sup> დაწვრილებით ამ შეტევის შესახებ – კოდური სახელწოდება „მარკეტ-გარდენი“ – იხ.: Ch. B. MacDonald. The Siegfried Line Campaign. Wash., 1993, გვ. 119-139.

<sup>2</sup> W. F. Kimball. The Two-Sided Octagon, გვ. 11.

**§2. ჩერჩილის მეორე ვიზიტი მოსკოვში.  
1944წ. 9-18 ოქტომბერი**

რუზველტთან შეხვედრის შემდეგ ჩერჩილი ლონდონში დაბრუნდა, მაგრამ სულ მცირე ხნით. 1944 წლის 9 ოქტომბერს დიდი ბრიტანეთის პრემიერ მინისტრი უკვე მოსკოვში ჩავიდა, სადაც გამართა მოლაპარაკებები საბჭოთა კავშირის ლიდერ იოსებ სტალინთან. ჩერჩილისა და სტალინის ამ კონფერენციამ მიიღო კოდური სახელწოდება „ტოლსტოი“.<sup>1</sup> უნდა ითქვას, რომ გადაწყვეტილება მოსკოვში ჩასვლის შესახებ ჩერჩილმა მეტად მოულოდნელად მიიღო. არც კვებეკსა და არც ვაშინგტონში მას რუზველტისათვის არ უთქვამს, რომ მოსკოვში აპირებდა ჩასვლას. მხოლოდ ლონდონში დაბრუნების შემდეგ შეატყობინა ბრიტანეთის პრემიერმა აშშ-ს პრეზიდენტს, რომ საჭირო იყო სტალინთან შეხვედრა. მიღებულ გადაწყვეტილებას ის ასაბუთებდა ორი გარემოებით: საბჭოთა კავშირისაგან იაპონიასთან ომში ჩაბმაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობითა და პოლონეთის საკითხის მოწესრიგების საჭიროებით<sup>2</sup>.

შეეფერებოდა თუ არა ეს სინამდვილეს? მხოლოდ და მხოლოდ ნაწილობრივ. მოსკოვში სტალინისა და ჩერჩილის მიერ განხილულ იქნა ბევრი საკითხი დაწყებული პოლონეთის პრობლემითა და საბჭოთა კავშირის მიერ დიდი ბრიტანეთისათვის 1945-1946 წლებში მისაწოდებელი ხე-ტყის მასალის რაოდენობის განსაზღვრით დამთავრებული. ყველაზე მეტი დრო მაინც პოლონეთის საკითხს დაეთმო, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ სწორედ მას ეკავა უმთავრესი ადგილი მოლაპარაკებებზე. ჩერჩილის მთავარი სატკივარი ამ დროს იყო ბალკანეთი. საფიქრებელია, რომ მის გადაწყვეტილებაზე გარკვეული გავლენა იქონია იდენის მიერ 19 სექტემბერს გამოგზავნილმა დეპეშამ სსრკ-სთან დაუ-

<sup>1</sup> J. Ehrman. Grand Strategy. Vol. 6. October 1944–September 1945. L., 1956, გვ. 360.

<sup>2</sup> W. F. Kimball. Churchill and Roosevelt, vol. 3, გვ. 323.

ყოვნებლივი შეთანხმების მიღწევის აუცილებლობის შესახებ. დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი საჭიროდ მიიჩნევდა საბჭოთა კავშირისათვის რუმინეთის დათმობას და ბულგარეთისთვის ბრძოლას<sup>1</sup>.

უნდა აღინიშნოს, რომ ბალკანეთის საკითხი ბრიტანელებმა 1944წ. მაისის ბოლოს ერთხელ უკვე წამოჭრეს ამერიკელებთან მოლაპარაკებების დროს<sup>2</sup>. მათ უკვე მაშინ სურდათ შეთანხმების დადება საბჭოთა კავშირთან და რუმინეთის დათმობის სანაცვლოდ კარტ-ბლანშის მიღება საბერძნეთში, მაგრამ აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მრჩეველმა ბ. ლონგმა ეს ინიციატივა არ მოიწონა<sup>3</sup> და რუზველტმაც ჩერჩილს უპასუხა, რომ საჭირო იყო საკონსულტაციო მექანიზმის შემუშავება და ექსკლუზიური გავლენის სფეროებზე უარის თქმა<sup>4</sup>. ამიტომ მხარეები შეთანხმდნენ, სამი თვით გადაეღოთ ამ საკითხის გადაწყვეტა<sup>5</sup>.

1944წ. მეორე ნახევარში ჩერჩილი მეტად შეშფოთებული იყო საბჭოთა არმიის შეტევების განვითარებით ბალკანეთისა და ცენტრალური ევროპის ქვეყნების მიმართულებით. სწორედ ამიტომ თვლიდა ის საჭიროდ „დიდი სამეულის“ ახალი შეხვედრის სასწრაფოდ მოწვევას<sup>6</sup>. ასეთი სამიტის ჩატარება 1944წ. შემოდგომაზე შეუძლებელი აღმოჩნდა, რადგანაც აშშ-ში პრეზიდენტის არჩევნები კარზე იყო მომდგარი და რუზველტი ვერ დატოვებდა დიდი ხნით ქვეყანას. ბრიტანეთის პრემიერმა მაშინ განუცხადა მას, რომ „რუსული არმიები არ დაუცდიდნენ მიჩიგანიდან, სამხრეთ დაკოტასა და ორეგონიდან არჩევნების შედეგების მიღებას“. ამიტომ ჩერჩილმა აცნობა რუზველტს, რომ ის და იდენი გაემ-

<sup>1</sup> E. Barker. *British Policy in the South East Europe during the Second World War*. L., 1976, გვ. 60.

<sup>2</sup> W. F. Kimball. *Churchill and Roosevelt*, vol. 3, გვ. 167.

<sup>3</sup> *The War Diary of Breckenridge Long: Selections from the Years 1939-1944*. Ed. by Fred L. Israel. Lincoln, NE, 1966, გვ. 352.

<sup>4</sup> *Foreign Relations of the United States. Diplomatic Papers. 1944*. Vol. 5. The Near East, South Asia, Africa, the Far East. Wash., 1965, გვ. 117-118.

<sup>5</sup> J. M. Siracusa. *Into the Dark House: American Diplomacy & the Ideological Origins of the Cold War*. Claremont, CA, c1998, გვ. 15.

<sup>6</sup> R. Sherwood. *Roosevelt and Hopkins*, გვ. 851.

გზავრებოდნენ მოსკოვში და შეეცდებოდნენ შეთანხმების მიღწევას ბალკანეთის გავლენის სფეროებად დაყოფის საკითხზე<sup>1</sup>. თავდაპირველად რუზველტმა გადაწყვიტა, მიეცა ბრიტანეთის პრემიერისათვის უფლება, ეწარმოებინა ეს მოლაპარაკებები აშშ-ს სახელითაც, მაგრამ შემდეგ მისი მრჩევლისა და მეგობრის ჰარი ჰოპკინსის დაჟინებული მოთხოვნით გადაიფიქრა<sup>2</sup> და სტალინს გაუგზავნა წერილი, რომელშიც ის ამ მოლაპარაკებებს მიიჩნევდა დიდი სამეულის შეხვედრების მოსამზადებელ ეტაპად. რუზველტი ხაზს უსვამდა იმას, რომ აშშ დაინტერესებული იყო მოსკოვში განსახილველი ნებისმიერი საკითხით და საბოლოო გადაწყვეტილება, ჯერ კიდევ შეუთანხმებელ ყველა საკითხზე, უნდა მიღებულიყო მხოლოდ სამი ლიდერის კონფერენციაზე. ამასთან ის სთავაზობდა სტალინს, რომ შეხვედრაში მონაწილეობა მიეღო ავერელ ჰარიმანს – აშშ-ს ელჩს საბჭოთა კავშირში<sup>3</sup>. ეს თხოვნა საბჭოთა ლიდერმა დააკმაყოფილა კიდევც, თუმცა ჰარიმანს მხოლოდ დამკვირვებლის სტატუსი მიენიჭა და ის არ დასწრებია ყველა მოლაპარაკებას, რომელიც შედგა დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ანტონი იდენსა და საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარ ვიარესლავ მოლოტოვს შორის<sup>4</sup>. უფრო მეტიც, ამ ცნობის მიღებისთანავე ჩერჩილმა მისწერა რუზველტს, რომ აღნიშნული ნებართვა არ მისცემდა ჰარიმანს უფლებას, დასწრებოდა მის პირისპირ შეხვედრებს სტალინთან<sup>5</sup>.

<sup>1</sup> W. F. Kimball. Churchill and Roosevelt, vol. 3, გვ. 328.

<sup>2</sup> R. Sherwood. Roosevelt and Hopkins, გვ. 832-834; W. A. Harriman, E. Abel. Special Envoy to Churchill and Stalin. New York, 1975, გვ. 353.

<sup>3</sup> Переписка., გვ. 161.

<sup>4</sup> ჰარიმანი საერთოდ არ დასწრებია „პროცენტებზე შეთანხმების“ განხილვას, რაც ძალიან კარგად ჩანს ბრიტანული ჩანაწერებიდან. 11 ოქტომბრის შეხვედრის აღწერისას ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ჰარიმანს შემოსვლის ნება დართეს მხოლოდ ბალკანეთის საკითხზე მსჯელობის დასრულების შემდეგ (იხ.: *The Tolstoy Documents*. – წგნ.: J. M. Siracusa. Into the Dark House: American Diplomacy & the Ideological Origins of the Cold War. Claremont, CA, c1998, გვ. 177).

<sup>5</sup> W. F. Kimball. Churchill and Roosevelt, vol. 3, გვ. 342.

ჩერჩილისა და სტალინის მოსკოვის შეხვედრისა და მათ შორის გამართული მოლაპარაკებების შესახებ მკვლევარებს უკანასკნელ პერიოდამდე მხოლოდ ფრაგმენტული ცნობები გააჩნდათ, ვინაიდან კონფერენცია „ტოლსტოის“ მასალები გამოქვეყნებული არ ყოფილა. შეიძლება ითქვას, რომ შეხვედრის მიმდინარეობაზე ძირითად მასალას იძლეოდა ჩერჩილის მემუარები<sup>1</sup>. მართალია, საბჭოთა კავშირში 1983წ. გამოიცა სსრკ-სა და დიდი ბრიტანეთის ომისდროინდელი ურთიერთობების ამსახველი კრებული<sup>2</sup>, მაგრამ ის მეტად არასრულია. საკმარისია ითქვას, რომ მასში არ არის სტალინისა და ჩერჩილის საუბრების ჩანაწერები, ხოლო მოლოტოვისა და იდენის შეხვედრებიდან მოყვანილია მხოლოდ ორი საუბრის ჩანაწერი, რომელთა გაცნობისას კაცი იფიქრებს, რომ იდენი მოსკოვში უბრალოდ „დასასვენებლად“ და „გასართობად“ ჩამოვიდა, იმდენად უმნიშვნელო იყო განხილულ საკითხთა წრე<sup>3</sup>. მეორე მსოფლიო ომის ისტორიისადმი მიძღვნილ ფუნდამენტურ საბჭოთა გამოცემებში კონფერენცია „ტოლსტოიმ“ სათანადო ასახვა ვერ ჰპოვა<sup>4</sup>. რაც შეეხება ბრიტანელებს, მათ არანაირი მასალები არ გამოუქვეყნებიათ. უფრო მეტიც, ოფიციალურმა ინგლისელმა ისტორიკოსმა ჯ. ერმანმა რატომღაც გვერდი აუარა ჩერჩილისა და სტალინის შეხვედრას და პრაქტიკულად არც გაუანალიზებია ის<sup>5</sup>, ხოლო ლ. ვულუორდმა იდენსა და მოლოტოვს შორის პროცენტებზე გამართული ვაჭრობის საკმაროდ დაწვრილებით აღწერის შემდეგ, რატომღაც არ აღნიშნა, თუ როგორ განაწილდა საბოლოოდ გავლენის სფეროები უნგრეთში,

<sup>1</sup> W. S. Churchill. The Second World War. Vol. 6. Triumph and Tragedy. Boston, MA, 1953.

<sup>2</sup> Советско-английские отношения во время Великой Отечественной войны, 1941-1945гг. Документы и материалы, в 2-х томах. М., 1983.

<sup>3</sup> Советско-английские отношения..., т. II, გვ. 185-189, 192-196. განსაკუთრებით ეს შეიძლება ითქვას პირველ საუბარზე.

<sup>4</sup> История дипломатии. В 5 томах, под ред. В. А. Зорина (т. I) и А. А. Громыко (т. II-V). Т. IV. М., 1975, გვ. 496-499; История второй мировой войны. В 12 томах, пред. ред. ком. А. А. Гречко (т. 1-7) и Д. Ф. Устинов (т. 8-12). Т. 9, гл. ред. М. И. Семиряга. М., 1979, გვ. 495-496.

<sup>5</sup> J. Ehrman. Grand Strategy. Vol. 6.



ბულგარეთსა და იუგოსლავიაში<sup>1</sup>.

მხოლოდ 1998წ. ამერიკელმა მკვლევარმა ჯ. სირაკუზამ გამოაქვეყნა მის მიერ ბალკანეთის თაობაზე შემდგარი განხილვების შესახებ ბრიტანულ არქივებში მოპოვებული მასალები<sup>2</sup>. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ამ დოკუმენტების გამოუქვეყნებლობის გამო გრძელდებოდა პოლემიკა მთელი ამ ხნის განმავლობაში, მათმა გამოქვეყნებამ კი პრაქტიკულად წერტილი დაუსვა კამათს და სრულიად ცხადი გახადა, რომ მოსკოვში ნამდვილად გაფორმდა საიდუმლო გარიგება ცენტრალური და სამხრეთ ევროპის ქვეყნების გავლენის სფეროებად დაყოფის შესახებ.

აქვე აღსანიშნავია ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაც. როგორც ჩანს, რუზველტის პოზიცია ბალკანეთზე რადიკალურად განსხვავდებოდა ჩერჩილისეულისაგან. უფრო სწორად, ჩენი აზრით, რუზველტი თავად ვერ გაერკვა, თუ რა სურდა, ბოლოს და ბოლოს, მას ბალკანეთში. ჯერ იყო და მან ჩერჩილისათვის მოლაპარაკებების წარმოების უფლების მინიჭება გადაწყვიტა, შემდეგ გადაიფიქრა და სტალინს აცნობა, რომ აშშ დაინტერესებული იყო ყველა სამხედრო-პოლიტიკური საკითხით, ამასთან ის მიზანშეწონილად თვლიდა, საბოლოო გადაწყვეტილება ამ საკითხებზე მიღებულიყო მხოლოდ სამივე ლიდერის თანხმობის შემდეგ<sup>3</sup>. ერთი კვირის თავზე, 11 ოქტომბერს, რუზველტმა გაამარ-

---

<sup>1</sup> მან მხოლოდ მოიყვანა მოლოტოვის საბოლოო წინადადება: უნგრეთი და ბულგარეთი – 80%-20% სსრკ-ს სასარგებლოდ, იუგოსლავია – 50%-50%, და არ აღუნიშნავს, დაეთანხმა თუ არა ამ წინადადებას იდენი, ანუ შედგა თუ არა შეთანხმება ამ საკითხზე. (იხ.: Lt. Woodward. *British Foreign Policy in the Second World War*. Vol. III, L., 1971, გვ. 151).

<sup>2</sup> *The Tolstoy Documents*. – წგნ.: J. M. Siracusa. *Into the Dark House: American Diplomacy & the Ideological Origins of the Cold War*. Claremont, CA, c1998, გვ. 160-179.

<sup>3</sup> Переписка..., т. II, გვ. 161. აღსანიშნავია, რომ ამერიკელი მკვლევრის ა. რეზისის მტკიცებით, ეს ქმედება შეიძლება ჩაითვალოს ცივი ომის დასაწყისად (იხ.: A. Resis. *The Churchill-Stalin Secret "Percentages" Agreement on the Balkans*, Moscow, October 1944. – *American Historical Review*, 83 (1978), გვ. 385-386), თუმცა მისი ამ თვალსაზრისის გაზიარება ძალიან ძნელია.

თლა შეთანხმების დადების საჭიროება და მისწერა ჰარიმანს, რომ მსგავსი ნაბიჯების გადადგმა აუცილებელი იყო, რათა ბალკანეთი არ ქცეულიყო ახალი საერთაშორისო ომის მიზეზი<sup>1</sup>. ამავე დროს, 13 ოქტომბერს საბჭოთა ელჩმა აშშ-ში ა. გრომიკომ შეატყობინა სსრკ-ს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს, რომ მას იმ დღეს სადილზე მოწვეული ჰყავდა ჰარი ჰოპკინსი, რომელმაც საუბარში გამოთქვა თავისი შეშფოთება მოსკოვში მიმდინარე მოლაპარაკებების გამო<sup>2</sup>. ჰოპკინსის თქმით, ძალზე სამწუხარო იქნებოდა, თუ შეთანხმება ბალკანეთის ქვეყნების შესახებ მიღწეული იქნებოდა რუზველტის მონაწილეობის გარეშე<sup>3</sup>. აქვე ის აღნიშნავდა, რომ რუზველტს სულაც არ აწუხებდა ბალკანეთი არც ტერიტორიული და არც ეკონომიკური თვალსაზრისით, მაგრამ ის არ შეიძლებოდა არ დაინტერესებულიყო ამ რეგიონში შექმნილი პოლიტიკური ვითარებით. ა. გრომიკოს გადმოცემით, ჰოპკინსი აბსოლუტურად დარწმუნებული იყო, რომ თუ ეს საკითხი განხილული იქნებოდა აშშ-ს პრეზიდენტის მონაწილეობით, მაშინ სტალინსა და რუზველტს შორის არ წარმოიშობოდა არანაირი დავა ტერიტორიული გადანაწილების გარშემო და რომ რუზველტი და სტალინი ძალიან იოლად შეთანხმდებოდნენ ამ საკითხზე, რომელ ქვეყანასაც არ შენებოდა ეს ფინეთიდან შავი ზღვის ჩათვლით<sup>4</sup>.

<sup>1</sup> *Foreign Relations of the United States. The Diplomatic Papers. 1944. Vol. 4. Europe. Wash., 1966, გვ. 1009.* სხვათა შორის, რუზველტის ამ ნაბიჯს ერთგვარი გამართლება მოუძებნა ამერიკელმა მეკლევარმა ე. მარკმა, რომლის თქმითაც აშშ-ს პრეზიდენტი მიზნად ისახავდა მეორე მსოფლიო ომის ყველა ძირითადი გამარჯვებული ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებით სტაბილური გავლენის სფეროების წარმოქმნას (იხ.: E. Mark. American Policy Towards Eastern Europe and the Origins of the Cold War. 1941-1946: An Alternative Interpretation. — *Journal of American History*, 68, №1, Sept. 1981, გვ. 313-336.

<sup>2</sup> *Советско-американские отношения во время Великой Отечественной войны, 1941-1945 гг. Документы и материалы. В 2-х томах, т. II. М., 1984, გვ. 233.* ეს შეტყობინება მოსკოვში მიღებული იქნა 13 ოქტომბერს, სადილი კი ალბათ შედგა 12 ოქტომბერს ან უფრო ადრე — 11-ში.

<sup>3</sup> *Советско-американские отношения...*, т. II, გვ. 233-234.

<sup>4</sup> *Советско-американские отношения...*, т. II, გვ. 234.

უნდა აღინიშნოს, რომ გრომიკოს შეტყობინება აბსოლუტურად შეუმჩნეველი დარჩა როგორც საბჭოთა ისტორიკოსებისთვის (რაც, პრინციპში, არც არის გასაკვირი, რადგანაც მოწოდებული ინფორმაცია ირიბად აღასტურებდა მოსკოვში მოლაპარაკებების მიმდინარეობას), ისე უცხოელ მკვლევართათვის. ასე, მაგალითად, ჯ. სირაკუზა აბსოლუტურად დარწმუნებულია, რომ რუზველტი არ აძლევდა კარტ-ბლანშს სტალინს ამ რეგიონში, რის დასტურადაც მას ზემოთ უკვე აღნიშნული 4 ოქტომბრის წერილი მოჰყავს<sup>1</sup>.

საკუთრივ მოსკოვში შემდგარ მოლაპარაკებებზე გულითადი ატმოსფერო სუფევდა. თვითონ ჩერჩილი აღნიშნავდა, რომ მისი ურთიერთობები სტალინთან არასდროს არ იყო იმდენად თბილი, როგორც ამ ვიზიტის დროს<sup>2</sup>. ამიტომ ინგლისის პრემიერმა პირველსავე სხდომაზე, 9 ოქტომბერს, ჩამოაგდო საუბარი ბალკანეთის შესახებ. პრემიერმა შესთავაზა სტალინს ამ რეგიონის გაყოფა გავლენის სფეროებად. ჩერჩილი იგონებს, რომ მან ფურცელზე ჩამოწერა ასეთი დაყოფის ვარიანტი, რომლის მიხედვითაც საბჭოთა კავშირს უნდა ჰქონოდა უპირატესი მდგომარეობა რუმინეთსა (90% 10%-ის წინააღმდეგ) და ბულგარეთში (შესაბამისად 75% და 25%), დიდ ბრიტანეთს აშშ-თან ერთად კი – საბერძნეთში (90%). უნგრეთსა და იუგოსლავიაში ინგლისის პრემიერის გეგმით ორივე მხარეს თანაბარი უფლებები ეძლეოდა<sup>3</sup>. სტალინმა, ჩერჩილის გადმოცემით, დაამოწმა ეს დოკუმენტი და

---

<sup>1</sup> J. M. Siracusa. *Into the Dark House*, გვ. 4.

<sup>2</sup> W. S. Churchill. *The Second World War*, vol. 6, გვ. 242. იდენიც ასევე აღნიშნავდა, რომ ის, ისევე როგორც 1935წ., ამჯერადაც აღფრთოვანებული დარჩა სტალინის პიროვნებით (იხ.: *The Reckoning*, გვ. 483). თავის დროზე იდენი აღნიშნავდა, რომ, მიუხედავად სტალინის სისასტიკის შესახებ მისი ინფორმირებულობისა, ის მაინც განიმსჯავდა სიმპათიით საბჭოთა ლიდერის მიმართ (იხ.: *Facing the Dictators*, გვ. 153).

<sup>3</sup> W. S. Churchill. *The Second World War*, vol. 6, გვ. 176. საინტერესოა, რომ ბრიტანულ ჩანაწერში არ არის მოხსენიებული ფურცელი, თუმცა აღნიშნულია, რომ მცირე განხილვის შემდეგ ორივე მხარე შეთანხმდა ბალკანეთში ინტერესების შესახებ (იხ.: *The Tolstoy Documents*, გვ. 163).

დაუბრუნა ის მის ავტორს<sup>1</sup>.

უნდა აღინიშნოს, რომ მკვლევრებს შორის არ არსებობს ერთიანი აზრი იმის თაობაზე, თუ ვის შორის მოხდა შეთანხმება პროცენტების საბოლოო ვარიანტზე: საკუთრივ სტალინსა და ჩერჩილს, თუ მოლოტოვსა და იდენს შორის. რუმინელი მკვლევრის ნ. ბაჩიუს მტკიცებით, საკითხის განხილვა დაიწყო 10 ოქტომბერს იდენისა და მოლოტოვის შეხვედრისას. მოლოტოვმა მოითხოვა 75% უნგრეთში და 90% ბულგარეთში, რაზეც უარი მიიღო. შემდეგ მოლოტოვმა წამოაყენა ახალი წინადადება, რომლის თანახმადაც საბჭოთა კავშირს უნდა მიეღო 75-75% უნგრეთში, ბულგარეთსა და იუგოსლავიაში. იდენმა უარი განაცხადა ასეთ დაყოფაზე და, თავის მხრივ, შესთავაზა საბჭოთა დიპლომატს ახალი ვარიანტი, რომლის მიხედვითაც დიდი ბრიტანეთისა და სსრკ-ს გავლენის მაჩვენებლები შემდეგნაირი უნდა ყოფილიყო: უნგრეთში – 75%-25%, ბულგარეთში – 20%-80% და იუგოსლავიაში – 50%-50%<sup>2</sup>. ბაჩიუს თქმით, შეთანხმების მიღწევა იმ დღეს ვერ მოხერხდა და ვაჭრობა მეორე დღესაც გაგრძელდა, თუმცა საბოლოოდ საკითხი გადაწყვიტეს უშუალოდ სტალინმა და ჩერჩილმა<sup>3</sup>. მკვლევრის მტკიცებით, ეს მოხდა ჩერჩილისა და სტალინის საიდუმლო შეხვედრაზე 11 ოქტომბერს<sup>4</sup>.

ნ. ბაჩიუს მოსაზრებებს, თუ როდის და ვის მიერ მოხდა აღნიშნული საკითხის მოგვარება, მთელი რიგი ოპონენტები გამოუჩნდა. მ. კიჩენმა ჩათვალა, რომ საკითხი მაინც შემდეგნაირად გადაწყდა: ბულგარეთი და უნგრეთი – 80%-20% სსრკ-ს სასარ-

<sup>1</sup> W. S. Churchill. The Second World War, vol. 6, გვ. 176.

<sup>2</sup> N. Baciuc. Sell-Out to Stalin. The Tragic Errors of Churchill and Roosevelt: The Untold Story. New York, 1984, გვ. 169.

<sup>3</sup> N. Baciuc. Sell-Out to Stalin, გვ. 169-170.

<sup>4</sup> N. Baciuc. Sell-Out to Stalin, გვ. 170. ნ. ბაჩიუ ამ შემთხვევაში ვერდნობა ჩერჩილის პირადი ექიმის ლორდ მორანის ცნობას, რომ ჩერჩილი და სტალინი სადღაც გაქრნენ სსრკ-ში ბრიტანეთის ელჩის სერ არჩიბალდ კლარკ კერის მიერ გამართული საზეიმო სადილის შემდეგ და ბრიტანეთის პრემიერი თავის რეზიდენციაში მხოლოდ გაბთენიისას დაბრუნდა (Lord Moran. The Struggle for Survival, 1940-1965: Churchill Taken from the Diaries of Lord Moran. Boston, MA, 1966, გვ. 211).

გებლოდ, იუგოსლავია და უნგრეთი – 50%-50%.<sup>1</sup> რ. ნალოს აზრით, ჩერჩილმა და სტალინმა იდენსა და მოლოტოვს მიანდეს პროცენტების დაზუსტება. უფრო მეტიც, ნალო ამტკიცებს, რომ იდენი დაეთანხმა მოლოტოვის წინადადებას და მისცა სსრკ-ს უპირატესი უფლება უნგრეთზე – 80%.<sup>2</sup> ნალოს ამ მტკიცებას ადასტურებს ლ. გარდნერიც, რომელსაც მოჰყავს დამადასტურებელი მასალა ბრიტანული არქივებიდან<sup>3</sup>.

ბრიტანულ ჩანაწერებს გარკვეულწილად სიცხადე შეაქვს ამ სიტუაციაში. ისინი ადასტურებს, რომ მოლოტოვსა და იდენს შორის ორი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა ვაჭრობა სსრკ-სა და დიდი ბრიტანეთის გავლენის პროცენტულ შეფარდებაზე ბულგარეთში, იუგოსლავიასა და უნგრეთში. საბჭოთა მხარემ თავდაპირველად სცადა ბულგარეთშიც 90%-ის მიღება<sup>4</sup>, მაგრამ ინგლისის საგარეო საკმეთა მინისტრის წინააღმდეგობის შემდეგ მოლოტოვმა ახალი წინადადება წამოაყენა: 75%-25% სამივე სახელმწიფოში საბჭოთა კავშირის სასარგებლოდ<sup>5</sup>. იდენმა კომპრომისული ვარიანტით უპასუხა: ბულგარეთი და უნგრეთი – 75%-25% სსრკ-ს სასარგებლოდ, იუგოსლავია – 50%-50%<sup>6</sup>. მოლოტოვმა შენიშნა, რომ ის შეძლებდა ამ წინადადებაზე დათანხმებას, თუ იუგოსლავიაში საბჭოთა კავშირი მიიღებდა 60%-ს.<sup>7</sup> იდენის ახალი წინადადების შემდეგ (ბულგარეთი – 75%-25%, უნგრეთი – 80%-20%, იუგოსლავია – 50%-50%), მოლოტოვმა განაცხადა, რომ იუგოსლავიაში თანაფარდობის შემთხვევაში პროცენტული მაჩვენებლები ბულგარეთში უნდა გამზდარიყო 90%-10%-ზე.<sup>8</sup>

---

<sup>1</sup> M. Kitchen. *British Policy Towards the Soviet Union During the Second World War*. Hong Kong, 1986, გვ. 234.

<sup>2</sup> R. Nadeau. *Stalin, Churchill and Roosevelt Divide Europe*. New York, 1990, გვ. 117.

<sup>3</sup> L. Gardner. *Spheres of Influence: The Great Powers Partition Europe, From Munich to Yalta*. Chi., 1993, გვ. 201-202.

<sup>4</sup> *The Tolstoy Documents*, გვ. 172.

<sup>5</sup> *The Tolstoy Documents*, გვ. 173.

<sup>6</sup> *The Tolstoy Documents*, გვ. 173.

<sup>7</sup> *The Tolstoy Documents*, გვ. 173.

<sup>8</sup> *The Tolstoy Documents*, გვ. 173.

შედეგად, 10 ოქტომბერს საბოლოო შეთანხმება არ იქნა მიღწეული.

ვერც შემდეგ დღეს მოხერხდა გადაწყვეტილების მიღება, თუმცა იდენმა პირობა მისცა მოლოტოვს, რომ გადასცემდა ჩერჩილს მის ახალ წინადადებას: 80%-20% სსრკ-ს სასარგებლოდ ბულგარეთსა და უნგრეთში, 50%-50% – იუგოსლავიაში<sup>1</sup>. სხვათა შორის, ეს ხსნის იმ გარემოებას, რომ ლ. ვუდუორდთან ჩვენ არ ვხვდებით ცნობას პროცენტებზე საბოლოო შეთანხმების მიღწევის შესახებ. ჩვენი აზრით, ასეთ ვითარებაში ლორდ მორანის ცნობა მართლაც იმსახურებს ნდობას და ნ. ბაჩიუს დასკვნა, რომ სწორედ სტალინმა და ჩერჩილმა გააფორმეს შეთანხმება, საესებით სწორია. როგორც ჩანს, მართლები არიან ნადო და გარდნერიც უნგრეთში საბჭოთა მხარის საბოლოო პროცენტის შესახებ (80%). ამის დასტურია ჩერჩილის მიერ თავისი მთავრობის წევრებისადმი 12 ოქტომბერს გაგზავნილი წერილი, რომელშიც ის აღნიშნავს, რომ რადგანაც საბჭოთა ჯარები ამყარებდნენ სრულ კონტროლს უნგრეთზე, ამ ქვეყანაში უპირატესი უფლებები საბჭოთა კავშირს უნდა მინიჭებოდა, ოღონდ, რასაკვირველია, დიდი ბრიტანეთის და, შესაძლოა, აშშ-ს თანხმობითაც. ამასთან უნგრეთი უნდა განხილულიყო როგორც ცენტრალურ-ევროპული, და არა ბალკანური, სახელმწიფო<sup>2</sup>.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთში ამ შეთანხმების არაერთგვაროვან შეფასებებს ვხვდებით. მაგალითად, ფ. დიკინის აზრით, შეთანხმების ერთადერთი მიზანი იყო სტალინისათვის იმის ჩვენება, თუ სად უნდა შეჩერებულ იყვნენ საბჭოთა ჯარები. მისი თქმით, ეს არ იყო ტერიტორიების გაყოფა და ჩერჩილის ინიციატივამ უბრალოდ არასწორი შთაბეჭდილება დატოვა<sup>3</sup>. სულ სხვა აზრისაა დ. იერგინი, რომელსაც მიაჩნია, რომ ბრიტანეთის პრემიერმა მშვენივრად იცოდა, თუ რას სთავაზობდა სტალინს და ამ საკითხისადმი ასეთი მიდგომა ძალიან მოეწონა<sup>4</sup>. ჯ. უილერ-

<sup>1</sup> *The Tolstoy Documents*, გვ. 176-177.

<sup>2</sup> **W. S. Churchill**. *The Second World War*, vol. 6, გვ. 180.

<sup>3</sup> *British Foreign Policy Towards Wartime Resistance in Yugoslavia and Greece*. Ed. by **Phyllis Auty** and **Richard Clogg**. L., 1975, გვ. 247-248.

<sup>4</sup> **D. Yergin**. *Shattered Peace: The Origins of the Cold War and the National Security State*. Boston, MA, 1977, გვ. 61.

ბენეტი და ა. ნიკოლსი მიიჩნევენ, რომ შეთანხმება დროებით ხასიათს ატარებდა<sup>1</sup>. ე. ბარკერი ამართლებს აღნიშნულ შეთანხმებას, როგორც საბერძნეთის მხსნელს<sup>2</sup>. ბ. კუნიჰოლმის აზრით კი, ეს იყო „კიდევ ერთი თავი ბრიტანეთისა და რუსეთის ბრძოლაში“.<sup>3</sup>

ევროპელი და ამერიკელი მკვლევრებისაგან განსხვავებით, საბჭოთა ისტორიკოსები ერთხმად ამტკიცებენ, რომ არანაირ გარიგებას მოსკოვში ადგილი არ ჰქონია. ი. ზემსკოვს მოჰყავს ნაწყვეტი საბჭოთა ჩანაწერებიდან, რომლებიც მოწმობს, რომ 9 ოქტომბრის სხდომაზე ჩერჩილმა მართლაც წარმოადგინა ასეთი გეგმა, მაგრამ აქ არაფერია ნათქვამი იმაზე, დაეთანხმა თუ არა მას სტალინი<sup>4</sup>. ამ ჩანაწერებზე დაყრდნობით, ი. ზემსკოვი აღნიშნავს, რომ რადგანაც საკუთრივ ტაბულა მოყვანილი არ არის საუბრის ამსახველ მასალაში, მაშასადამე, არანაირ შეთანხმებას ბალკანეთის საკითხებზე ადგილი არ ჰქონია<sup>5</sup>. უნდა აღინიშნოს, რომ ეს არგუმენტი ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს და, უფრო მეტიც, ის შეიძლება გამოყენებულ იქნას საკუთრივ ი. ზემსკოვის მსჯელობის საწინააღმდეგოდ: თუ საბჭოთა ჩანაწერში არ არის ასახული დოკუმენტი, რომელიც ნამდვილად არსებობდა (და ალბათ დღესაც არსებობს), რატომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ მასში გამოტოვებულია სტალინის მიერ მისი დამოწმების ფაქტიც, მით უმეტეს, რომ საბჭოთა არქივები კარგად არის გაფილტრული და მათში იმ ინფორმაციის მოძიება, რომელიც ლახავდა საბჭოთა კავშირის საერთაშორისო იმიჯს, მეტად გართულებულია<sup>6</sup>.

<sup>1</sup> Sir J. Wheeler-Bennet, A. Nichols. The Semblance of Peace: The Political Settlement after the Second World War. L., 1972, გვ. 198.

<sup>2</sup> E. Barker. British Policy in the South East Europe., გვ. 146-147.

<sup>3</sup> B. Kuniholm. The Origins of the Cold War in the Near East: Great Powers Conflict and Diplomacy in Iran, Turkey and Greece. Princeton, NJ, 1980, გვ. 117, 125.

<sup>4</sup> И. Земсков. О так называемом „разделе“ Югославии на „сферы влияния“. — „Международная жизнь“, 1958, №8, გვ. 74.

<sup>5</sup> И. Земсков. О так называемом „разделе“ Югославии на „сферы влияния“. — „Международная жизнь“, 1958, №8, გვ. 74.

<sup>6</sup> ამ მოვლენასთან დაკავშირებით საკმარისია თუნდაც მხოლოდ საბჭოთა კავშირ-გერმანიის 1939წ. 23 აგვისტოს ხელშეკრულების საიდუმლო ოქმებთან დაკავშირებული ისტორიის გახსენება, როდესაც

ცნობილი საბჭოთა მკვლევარი ვ. ისრაელიანი ასევე აცხადებს, რომ ასეთი გარიგება არ შეძლგარა და ამის დამამტკიცებელ საბუთად მოაქვს ის, რომ ტაბულის ამსახველი ფურცელი შემდგომში ჩერჩილმა აჩუქა ფ. დიკინს ამ უკანასკნელის იუგოსლავიაში მოღვაწეობის სამახსოვროდ<sup>1</sup>. ვ. ისრაელიანის აზრით, ინგლისის პრემიერი არავის არ აჩუქებდა ამ ქაღალდს, მას რომ რაიმე რეალური შეთანხმება აესახა<sup>2</sup>. გარდა ამისა, თავისი პოზიციის გასამაგრებლად ის სხვა არგუმენტებსაც იყენებს, კერძოდ, იმას, რომ საბჭოთა მთავრობა, რომელიც დიდი და პატარა ხალხების სუვერენიტეტის დაცვის პრინციპებს ქადაგებდა, არ წავიდოდა არანაირ შეთანხმებაზე, რომელშიც მსოფლიოს გავლენის სფეროებად დაყოფა იქნებოდა გათვალისწინებული<sup>3</sup>. დღეს, რასაკვირველია, ეს არგუმენტი, რბილად რომ ვთქვათ, სასაცილოა. ხოლო შეიცავდა თუ არა ეს დოკუმენტი რაიმე რეალურ შეთანხმებას, ამაზე პასუხი შეიძლება გაგვცეს კომუნიკემ, რომელშიც დაფიქსირებულია მოსკოვის შეხვედრაზე მიღებული გადაწყვეტილებები.

ამ კომუნიკეში პირდაპირ იყო აღნიშნული, რომ ჩერჩილი და სტალინი მართლაც შეთანხმდნენ, ეწარმოებინათ ერთობლივი პოლიტიკა იუგოსლავიაში<sup>4</sup>. გარდა ამისა, ნათელი გახდა, რომ

---

საბჭოთა მხარე 40 წელზე მეტი ხნის მანძილზე ამტკიცებდა მათ არარსებობას, ხოლო 1989 წელს იძულებული გახდა, ეღიარებინა სიმართლე. სამი წლის შემდეგ კი რუსულ არქივებში პაქტის საიდუმლო მუხლების ორიგინალებიც იქნა „აღმოჩენილი“ (იხ.: *Документы внешней политики, 1939z*. Кн. 2. М., 1992, გვ. 632). რუსი მკვლევრები თვითონაც არ მაღავენ, რომ მთელი რიგი დოკუმენტებისა კიდევ დიდხანს დარჩება საიდუმლოდ, ხოლო უმაღლესი მთავარსარდლობის შტაბის დოკუმენტები კი საერთოდ უცნობია, თუ სად არის („*Красная звезда*“, 27 июля 1991г.).

<sup>1</sup> აღსანიშნავია, რომ ნ. ბაჩიუს მტკიცებით, არავინ იცის, თუ სად წავიდა ეს დოკუმენტი (N. Bachi. Sell-out to Stalin, გვ. 169), თუმცა ამის საპირისპიროდ შეიძლება მოყვანილი იქნას ვ. ისრაელიანის ცნობა, რომელსაც თავად აქვს ნანახი ეს ფურცელი 1958წ. (იხ.: В. Л. Исраэлян. Дипломатия в годы войны. 1941-1945. М., 1985, გვ. 317).

<sup>2</sup> В. Л. Исраэлян. Дипломатия в годы войны, გვ. 317.

<sup>3</sup> В. Л. Исраэлян. Дипломатия в годы войны, გვ. 317.

<sup>4</sup> *Советско-английские отношения.*, т. II, გვ. 206, 209.



საბჭოთა კავშირი არ აპირებდა საბერძნეთში შეჭრას. აქვე მიღწეულ იქნა შეთანხმება ბულგარეთში მოკავშირეთა საკონტროლო კომისიის შექმნისა და ბულგარეთის ჯარებისა და ადმინისტრაციის საბერძნეთსა და იუგოსლავიიდან გამოყვანის შესახებ. ამ საკონტროლო კომისიაში გადამწყვეტი უნდა ყოფილიყო საბჭოთა წარმომადგენელთა აზრი, რადგანაც ბულგარეთის ტერიტორიაზე სსრკ-ს ჯარები იმყოფებოდნენ<sup>1</sup>. საერთოდ, საბჭოთა მთავრობა თითქოს იმის მომხრე იყო, რომ საკონტროლო კომისიაში გადამწყვეტი ხმა ჰქონოდა იმ მხარის წარმომადგენელს, რომლის არმაც იმყოფებოდა კონკრეტული ქვეყნის ტერიტორიაზე, მაგრამ იუგოსლავიის მიმართ რატომღაც ასეთი გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული.

ყოველივე ეს, პრინციპში, ჯდებოდა ჩერჩილის გეგმაში, ასე რომ, როგორც ჩანს, მოსკოვში მართლაც ჰქონდა ადგილი წინასწარ შეთანხმებას ბალკანეთის გავლენის სფერობად დაყოფის შესახებ<sup>2</sup>. ამის კიდევ ერთ დამადასტურებელ არგუმენტად შეიძლება იმ ფაქტის მოყვანა, რომ საბჭოთა მთავრობას არაერთი რეაგირება არ მოუხდენია 1944წ. დეკემბერში საბერძნეთში დაწყებულ კონფლიქტზე, რომელიც ფაქტობრივად სამოქალაქო ომში გადაიზარდა და რომელშიც ბრიტანეთის სამხედრო შენაერთებიც ჩაერივნენ<sup>3</sup>. მიუხედავად იმისა, რომ ინგლისელები ფაქ-

<sup>1</sup> *Советско-английские отношения...*, т. II, გვ. 208.

<sup>2</sup> როგორც აღვნიშნეთ, კონფერენციის ბრიტანულ ჩანაწერებში არ არის დაფიქსირებული შეთანხმების გაფორმება.

<sup>3</sup> 1944წ. დეკემბერში საბერძნეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელმა სახალხო არმიამ (ბერძნული აბრევიატურით „ელას“-ი), რომელშიც საკმაოდ მნიშვნელოვან ნაწილს კომუნისტები შეადგენდნენ, იარაღით ხელში სცადა ხელისუფლების ხელში ჩაგდება. ბრიტანეთის ჯარები აქტიურად დაეხმარნენ საბერძნეთის მთავრობას და რუზველტმაც მხარი დაუჭირა ჩერჩილს საბერძნეთის საქმეებში (G. Kolko. *The Politics of War: The World and the United States Foreign Policy, 1943-1945*. New York, 1990, გვ. 190-191), მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ს პრეზიდენტი თავდაპირველად ძალიან უარყოფითად შეხვდა ინგლისელთა ჩარევას კონფლიქტში (J. O. Iatrides. *Revolt in Athens: The Greek Communist "Second Round"*, 1944-1946. Princeton, NJ, 1972, გვ. 213-214; G. Smith. *American Diplomacy During the Second World War, 1941-1945*. New York, 1985, გვ. 146), რომელსაც შედეგად 1946-1949წწ. სამოქალაქო ომი მოჰყვა.

ტობრივად კომუნისტებს დაუპირისპირდნენ საბერძნეთში, სტალინს ამის თაობაზე სიტყვაც კი არ დაუძრავს. 1945წ. მარტში თითქმის ანალოგიური სიტუაცია შეიქმნა რუმინეთში, ოღონდ ამჯერად უკვე საბჭოთა მხარე ჩაერია ამ ქვეყნის საშინაო საქმეებში და მეფე მიხაის ულტიმატუმის ფორმით შეაცვლევინა მთავრობა. დიდი ბრიტანეთის მხრიდან ამას პროტესტი არ მოჰყოლია, რადგან, როგორც ეს შენიშნა ჩერჩილმა თავის მემუარებში, მან და იდენმა მოსკოვში სსრკ-ს დაუთმეს რუმინეთსა და ბულგარეთში უპირატესი მდგომარეობა და რაკი სტალინს არ მოუხდენია რეაგირება საბერძნეთში მომხდარ მოვლენებზე, ახლა უკვე არც ინგლისელებს ჰქონდათ რუმინეთში ამის გაკეთების შესაძლებლობა<sup>1</sup>.

სამაგიეროდ, თითქმის დეტექტური სიტუაცია შეიქმნა 1945 წლის ივნისში, როდესაც სტალინმა უკმაყოფილება გამოთქვა ფელდმარშალ ჰაროლდ ალექსანდერის არაკორექტულ გამონათქვამზე, რომელშიც იუგოსლავიის მთავრობის მეთაური იოსიპ ბროზ ტიტო შედარებული იყო ჰიტლერსა და მუსოლინისთან და აგრეთვე ტრიესტ-ისტრიის საკითხის გარშემო შექმნილი სიტუაციის გამო<sup>2</sup>. ჩერჩილი თავის მემუარებში აღნიშნავს, რომ მან 23 ივნისს გაგზავნა საპასუხო წერილი, რომელშიც განაცხადა, რომ მოსკოვში მიღწეული შეთანხმების მიხედვით, დიდ ბრიტანეთსა და სსრკ-ს იუგოსლავიაში თანაბარი უფლებები უნდა ჰქონოდათ და რომ აღნიშნული შეთანხმება ირღვეოდა<sup>3</sup>. საინტერესოა, რომ ოფიციალურ საბჭოთა გამოცემაში, რომელიც ასახავს სტალინის მიმოწერას ჩერჩილთან, რუზველტთან, კ. ეტლისა და ჰ. ტრუმენტანს, ეს წერილი არაა დაფიქსირებული<sup>4</sup>. ძნელი სათქმელია,

<sup>1</sup> W. S. Churchill. The Second World War, vol. 6, გვ. 498.

<sup>2</sup> Переписка председателя совета министров СССР с президентами США и премьер-министрами Великобритании во время Великой Отечественной войны 1941-1945гг. Т. I. Переписка с У. Черчиллем и К. Эттли (июль 1941г. – ноябрь 1945г.). М., 1957, გვ. 375.

<sup>3</sup> W. S. Churchill. The Second World War, vol. 6, გვ. 662-663.

<sup>4</sup> რედაქტორებს მითითებული აქვთ, რომ საბჭოთა არქივებში ამ წერილის კვალი ვერ იპოვეს და მისი გადმოცემის ფაქტიც არ დადასტურდა, რის გამოც მისი გამოცემაში შეტანის საფუძველი არ არსებობდა (იხ.: Переписка., т. I, გვ. 4).

თუ რით არის განპირობებული ასეთი შეუსაბამობა. სხვა შემთხვევებში ჩერჩილის მემუარებში მოცემული წერილების ტექსტი აბსოლუტურად ზუსტად ემთხვევა საბჭოთა გამოცემაში მოყვანილს. მართალია, ჩერჩილს შიგადაშიგ თავის მემუარებში ისეთი წერილებიც აქვს მოთავსებული, რომლებიც მას შემდეგ არ გაუგზავნია<sup>1</sup>, მაგრამ ის ყოველთვის უთითებს, რომ დაფიქრების შემდეგ მან უარი თქვა წერილის გაგზავნაზე. ამ შემთხვევაში კი ბრიტანეთის პრემიერი ხაზს უსვამს, რომ წერილიც გააგზავნა და ალექსანდერიც დაიცვა<sup>2</sup>. სამწუხაროდ, დიდ ბრიტანეთში დღემდე არ არის ოფიციალურად გამოცემული ჩერჩილის ომისდროინდელი მიმოწერა სტალინთან. ასე რომ, დღესდღეობით, ჩვენ ვალდებულნი ვართ, უფრო ის ვირწმუნოთ, რომ ბოლო მომენტში ჩერჩილმა წერილის გაგზავნაზე უარი თქვა და შემდეგ, მემუარების წერისას, ეს უბრალოდ დაავიწყდა. მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ ცხადია: გაიგზავნა თუ არ გაიგზავნა წერილი, ეს ნაკლებ მნიშვნელოვანია. მთავარია, რომ ის დაიწერა, ე. ი. ჩერჩილი მასში იხსენიებს რეალურ ფაქტს, რომ გარიგება მოსკოვში 1944წ. ოქტომბერში შედგა, ხოლო თუ რა მიზეზით არ გააგზავნა მან წერილი, ეს უკვე მეორეხარისხოვანი საკითხია. ამასთან, ჩვენ შეგვიძლია დავეყრდნოთ ჩერჩილის კიდევ ერთ, 1945 წლის 28 აპრილს დაწერილ წერილს, რომელშიც ის, ეხება რა იუგოსლავიაში შექმნილ სიტუაციას, აცხადებს, რომ იქ არსებული მდგომარეობა ვერანაირად ვერ შეფასდებოდა როგორც 50% 50%-ზე<sup>3</sup>. ეს კიდევ ერთი არგუმენტია იმის სასარგებლოდ, რომ გარიგება რეალურად არსებობდა.

„პროცენტების შეთანხმების“ განხილვისას საბჭოთა მხარემ წამოჭრა კიდევ ერთი საკითხი, რომელმაც ჩვენი ყურადღება მიიქცია და რომელიც პრაქტიკულად არ არის გაშუქებული არც დასავლურ და, მითუმეტეს, არც საბჭოურ ისტორიოგრაფიაში. პირველივე შეხვედრისას, როდესაც ჩერჩილმა წამოაყენა თავისი გეგმა, მოლოტოვმა იკითხა, თუ იყო დაკავშირებული ამასთან

<sup>1</sup> W. S. Churchill. The Second World War, vol. 6, გვ. 179-180.

<sup>2</sup> W. S. Churchill. The Second World War, vol. 6, გვ. 662.

<sup>3</sup> Переписка..., т. I, გვ. 345.

თურქეთის საკითხი<sup>1</sup>. ბრიტანეთის პრემიერმა პასუხად შენიშნა, რომ ის არ შეხება თურქეთის საკითხს და სცადა, მიბრუნებოდა ბულგარეთში ინგლისის შესაძლო „პროცენტების“ განხილვას, მაგრამ სსრკ-ს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა მონტრეს კონვენციაზე გადაიტანა საუბარი<sup>2</sup>. როდესაც ჩერჩილმა აღნიშნა, რომ ეს ეხებოდა თურქეთს და არა ბულგარეთს, სტალინმა მას შეახსენა, რომ თურქეთიც ბალკანური სახელმწიფო იყო. საბჭოთა ლიდერის თქმით, მონტრეს კონვენცია ანაქრონიზმად იქცა, რადგანაც მისი ერთ-ერთი გარანტი იყო იაპონია, ხოლო ნებისმიერი მუხლის შესრულება მთლიანად თურქეთის პრეროგატივაში შედიოდა<sup>3</sup>. სტალინის აზრით, უპრიანი იქნებოდა ბალკანეთის საკითხებთან ერთად ამ პრობლემაზე მსჯელობაც, რაზეც ჩერჩილიც დაეთანხმა, რაც, შესაძლოა, იძულებით ხასიათსაც ატარებდა<sup>4</sup>. ამის შემდეგ საბჭოთა ლიდერს ხელ-ფეხი გაეხსნა და მან აღნიშნა, რომ თუ ღიდი ბრიტანეთი დაინტერესებული იყო ხმელთაშუა ზღვით, სსრკ-ს მსგავსი მისწრაფებები გააჩნდა შავ ზღვაზე<sup>5</sup>. ჩერჩილმა აღნიშნა, რომ თურქეთმა ხელიდან გაუშვა თავისი

<sup>1</sup> *The Tolstoy Documents*, გვ. 163.

<sup>2</sup> *The Tolstoy Documents*, გვ. 163. მონტრეს კონვენციას ხელი მოეწერა 1936წ. 20 ივლისს და მან შეცვალა 1923წ. 24 ივლისის ლოზანის კონვენცია. აღსანიშნავია, რომ თავის დროზე, 1936წ. მონტრეს კონვენციის ხელმოწერას საბჭოთა მხარე თავის გამარჯვებად განიხილავდა და მას დადებითად აფასებდა (იხ.: *С. М. Майоров. Агрессия германского и итальянского фашизма и борьба СССР за её пресечение. — История дипломатии. Т. III, гл. ред. А. А. Громыко. М., 1965, გვ. 631-632*), მაგრამ 1944 წლისათვის სტალინს ის უკვე არ აკმაყოფილებდა. უფრო სწორად, ჩვენი აზრით, საბჭოთა ლიდერს მისი საბაბად გამოყენება სურდა, რათა თურქეთის წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებების დაწყება გაემართლებინა.

<sup>3</sup> სხვათა შორის, ეს თავის დროზე თავად საბჭოთა მხარის მოთხოვნა იყო (იხ.: *С. М. Майоров. Агрессия...*, გვ. 629).

<sup>4</sup> *The Tolstoy Documents*, გვ. 163-164. ჩვენი აზრით, ბრიტანეთის პრემიერი მოსკოვში სულაც არ აპირებდა თურქეთის საკითხზე საუბარს. ალბათ სწორედ ამის გამო აუარა მან კიდევაც გვერდი ბალკანეთის შესახებ მსჯელობისას სრუტეების პრობლემას. მაგრამ საბჭოთა მხარის რეპლიკების შემდეგ ის იძულებული გახდა, დათანხმებოდა აღნიშნული საკითხის განხილვას.

<sup>5</sup> *The Tolstoy Documents*, გვ. 164.

შანსი, რომელიც მას ჰქონდა თეირანის კონფერენციის შემდეგ და უჭკუოდ მოიქცა<sup>1</sup>.

სტალინი არ დაკმაყოფილდა ჩერჩილის განცხადებით. მან შენიშნა, რომ თურქეთს 26 დივიზია ჰყავდა და იკითხა, თუ ვის წინააღმდეგ იყო ისინი მიმართული<sup>2</sup>. ბრიტანეთის პრემიერმა შენიშნა, თურქული შენაერთები ბულგარეთის წინააღმდეგ იყო მობილიზებული<sup>3</sup> და აქვე აღნიშნა, რომ ინგლისი არ აპირებდა დიზრავლისა და კერზონის პოლიტიკის გაგრძელებას. ჩერჩილის თქმით, ის მზად იყო, დახმარებოდა თავის მოკავშირეს დიდი ოკეანეებისა და ზღვებისაკენ გასასვლელების მიღებაში. ამიტომაც მან ჰკითხა სტალინს, თუ რა კონკრეტული ცვლილებები იყო შესატანი მონტრეს კონვენციაში<sup>4</sup>. უნდა აღინიშნოს, რომ ბრიტანეთის პრემიერის ეს ტირადა საკმაოდ ოსტატურად იყო აგებული დიპლომატიური თვალსაზრისით, რადგანაც, სავარაუდოდ, მხოლოდ მონტრეს კონვენციის შეცვლა საბჭოთა ლიდერს არ აკმაყოფილებდა. ეს ნათლად გამოჩნდა მაშინ, როდესაც სტალინიმა, რომლის ინიციატივითაც მოხდა საკითხის წამოწევა მოლაპარაკებებისას, ვერ დაასახელა კონკრეტული მუხლი, რომელიც საჭიროებდა კორექტირებას. მან მხოლოდ შენიშნა, რომ შექმნილ ვითარებაში კონვენცია იყო გამოუსადეგარი და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართული. საბჭოთა ლიდერის თქმით, შეუძლებელი იყო არსებული მდგომარეობის შენარჩუნება, როდესაც თურქეთს შეეძლო სრუტეების ჩაკეტვით სსრკ-ს ექსპორტისა და იმპორტის შეფერხება და თვით ქვეყნის თავდაცვისათვის ზიანის მიყენება. აქვე, მან, როგორც ჩანს, თავისი პოზიციის გასამტკიცებლად, შეადარა სრუტეები სუეცისა და პანამის არხებს

<sup>1</sup> რასაკვირველია, ჩერჩილს აქ მხედველობაში ჰქონდა თურქეთის უარი გერმანიის წინააღმდეგ ომში ჩაბმაზე 1943წ. დეკემბერში.

<sup>2</sup> *The Tolstoy Documents*, გვ. 164.

<sup>3</sup> *The Tolstoy Documents*, გვ. 164. ჩერჩილის ამ სიტყვების გულწრფელობის დაჯერება ძალიან ძნელია, რადგანაც ბულგარეთს ამ დროისათვის არანაირი სამხედრო პოტენციალი არ გააჩნდა, ხოლო მის ტერიტორიაზე საბჭოთა ჯარების არსებობა თურქეთის მხრიდან შეტევის განხორციელების შესაძლებლობას მთლიანად გამორიცხავდა.

<sup>4</sup> *The Tolstoy Documents*, გვ. 164.

და რიტორიკულად იკითხა, თუ რას მოიმოქმედებდა დიდი ბრიტანეთი ესპანეთის ან ეგვიპტის მიერ სუეცის არხის, ხოლო აშშ რომელიმე სამხრეთამერიკული სახელმწიფოს მიერ პანამის არხის გადაკეტვის შემთხვევაში. სტალინის თქმით, სსრკ უარეს მდგომარეობაშიც კი იმყოფებოდა და, მიუხედავად იმისა, რომ არ აპირებდა თურქეთის სუვერენიტეტის შეზღუდვას, ის არ დაუშვებდა თურქეთის მხრიდან საბჭოთა ვაჭრობისათვის მუდმივი საფრთხის არსებობას<sup>1</sup>.

უნდა აღინიშნოს, რომ სტალინის ეს განცხადება მთლიანად დემაგოგიურ ხასიათს ატარებდა. პირველ რიგში, ძნელი სათქმელია, თუ რა თავდაცვითი მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა კავშირისათვის ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებს 1944წ. შემოდგომაზე. გარდა ამისა, აბსოლუტურად გაუგებარია ესპანეთის მოხსენიება სუეცის არხის შესაძლო ჩამკეტ სახელმწიფოდ. ალბათ, ეს მხოლოდ იმ მიზნით გაკეთდა, რომ ბრიტანელების ყურადღება მიექცროთ ესპანეთის მმართველის – ფრანსისკო ფრანკოს პერსონისათვის, თუმცა, ბუნებრივია, ასეთი მანევრი აბსოლუტურად არ შეცვლიდა ჩერჩილის დამოკიდებულებას ესპანელი დიქტატორისადმი. საბჭოთა ვაჭრობისათვის თურქეთის სრუტეების ჩაკეტვის შემთხვევაში შესაძლო პრობლემები კი აშკარად გადაჭარბებული იყო. თუმცა ამ შემთხვევაში სტალინისეულმა დემაგოგიამ მიზანს ბოლომდე ვერ მიაღწია. როგორც ჩანს, დემაგოგია არც ჩერჩილისათვის იყო უცხო და მან პასუხად საბჭოთა ლიდერს შესთავაზა, უფრო დაეკონკრეტებინა, თუ რა იყო საჭირო ამ საკითხის გადასაწყვეტად. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბრიტანეთის პრემიერის თქმით, თურქეთი შეშინდებოდა, რომ შესაძლო იყო სტამბოლის აღება. ჩერჩილმა განაცხადა, რომ ის მხარს უჭერდა საბჭოთა მხარის სურვილს, ჰქონოდა თავისუფალი გასასვლელი ხმელთაშუა ზღვაში თავისი სავაჭრო თუ სამხედრო გემებისათვის, მაგრამ სურდა თურქეთის შეშინების გარეშე, მისი ამ მიმართულებით „მსუბუქად წაბიძგებით“ მიეღწია შედეგისათვის<sup>2</sup>.

<sup>1</sup> *The Tolstoy Documents*, გვ. 164.

<sup>2</sup> *The Tolstoy Documents*, გვ. 164.

როგორც ჩანს, ჩერჩილი სავსებით სწორად მიხვდა, თუ რა იყო სინამდვილეში სტალინის მიზანი. სწორედ ამიტომ აზსენა მან სტამბოლის დაკავება (თუმცა მას არ დაუკონკრეტებია დამკავებელი ქვეყნის ვინაობა) და აგრძობინა საბჭოთა ლიდერს, რომ იცოდა მისი ჭეშმარიტი ზრახვების შესახებ. თავის მხრივ, სტალინსაც არ დასჭირდა ზედმეტი მინიშნებები და მიხვდა, რომ ჩერჩილი სულაც არ იყო თურქეთის იოლად დამთმობი. ამიტომ მან სცადა საუბრის დასრულება ამ საკითხზე, თუმცა უკვე ბრიტანეთის პრემიერმა განავრცო თემა. მისი თქმით, ახლა რომ წარმოებულყო საზავო მოლაპარაკებები და სტალინს ეთხოვა მისთვის საბჭოთა სავაჭრო და სამხედრო ხომალდებისათვის სრუტეებში თავისუფლად გადაადგილების უფლება, ის უყოყმანოდ დაეთანხმებოდა ამ წინადადებას, რადგანაც ღიდ ბრიტანეთს თურქეთთან აკავშირებდა მხოლოდ მონტრეს კონვენცია, რომელიც ნამდვილად მოძველებული იყო<sup>1</sup>. ფაქტობრივად, ჩერჩილმა მიანიშნა სტალინს, რომ ეს იყო ერთადერთი დათმობა, რომელსაც ის აპირებდა თურქეთთან მიმართებაში და რომ მისი გავლენის სფეროებად დაყოფის საკითხი ნამდვილად არ უნდა დამდგარიყო დღის წესრიგში. საბჭოთა ლიდერიც კარგად მიხვდა ამას და აღნიშნა, რომ ის სულაც არ აპირებდა ბრიტანეთის პრემიერის დაჩქარებას. სტალინის თქმით, მას უბრალოდ სურდა პრობლემის დაფიქსირება და იმის გაგება ინგლისელებისაგან, თუ რამდენად სამართლიანი იყო საბჭოთა მხარის ასეთი მოთხოვნა<sup>2</sup>. ჩერჩილმა შენიშნა, რომ მოთხოვნა სავსებით სწორი და გამართლებული იყო და შესთავაზა კოლეგას, შეეცყობინებინა აშშ-ს პრეზიდენტისთვისაც თავისი სურვილების შესახებ<sup>3</sup>. ამით პრაქტიკულად დასრულდა კიდევ თურქეთზე საუბარი კონფერენციის პირველ სხდომაზე, თუმცა, როგორც ჩანს, სტალინმა საჭიროდ ჩათვალა ჩერჩილის დარწმუნება, რომ მას არ ჰქონდა რაიმე ექსპანსიონისტური ზრახვები თურქეთის მიმართ. ამიტომ, მცირე ხნის შემდეგ, ბულგარეთში ინგლისელთა წილის დაზუსტებისას

<sup>1</sup> *The Tolstoy Documents*, გვ. 164-165.

<sup>2</sup> *The Tolstoy Documents*, გვ. 165.

<sup>3</sup> *The Tolstoy Documents*, გვ. 165.

საბჭოთა ლიდერმა ჰკითხა ჩერჩილს და იდენს, ხომ არ ეშინოდათ მათ საბჭოთა აგრესიის თურქეთის წინააღმდეგ და დასძინა, რომ სსრკ-ს მსგავსი განზრახვა სულაც არ გააჩნდა. ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა პასუხად შენიშნა, რომ ბრიტანელებს ამის არ ეშინოდათ<sup>1</sup>, მაგრამ, სავარაუდოა, რომ ორივე მხარე ამ შემთხვევაში თვალთმაქცობდა და თავის ნამდვილ ზრახვებს თუ შიშებს მალავდა.

ბალკანეთის საკითხის გარდა მოსკოვში განიხილეს პოლონეთის პრობლემაც, მაგრამ რაიმე გადაწყვეტილების მიღწევა ვერ მოხერხდა. მოსკოვში მოწვეული იქნენ პოლონეთის მთავრობის (ემიგრაციაში) მეთაური სტანისლავ მიკოლაიჩიკი და პროსაბჭოური პოლონეთის ეროვნული განთავისუფლების კომიტეტის (ე.წ. „ლუბლინის მთავრობა“) თავმჯდომარე ბოლესლავ ბერუტი. 13 ოქტომბერს სტალინმა და ჩერჩილმა ცალ-ცალკე მოუსმინეს ორივე პოლონური დელეგაციის წარმომადგენლებს. მიკოლაიჩიკმა წარმოადგინა მემორანდუმი, რომელშიც გვერდი აუარა მთავარ საკითხს — პოლონეთის საზღვრად ე.წ. „კერზონის ხაზის“ დაკანონებას<sup>2</sup>. გარდა ამისა, მემორანდუმში, რასაკვირველია, ნახსენებიც კი არ იყო „ლუბლინის მთავრობა“. ამან, ბუნებრივია, საბჭოთა მხარის გაღიზიანება გამოიწვია<sup>3</sup>, ხოლო ჩერჩილმა მიკოლაიჩიკს ურჩია, დაეშავებინა ელიარებინა კერზონის ხაზი საზღვრად და დაეწყო მოლაპარაკებები ლუბლინის მთავრობასთან. რათა შექმნილიყო ერთიანი მთავრობა<sup>4</sup>. მიკოლაიჩიკმა, მიუხედავად ჩერჩილის რჩევისა, მაინც განაცხადა, რომ ის არ ეთანხმებოდა არც ინგლისელების და არც საბჭოელების თვალსაზრისს<sup>5</sup>.

მიკოლაიჩიკთან შეხვედრის შემდეგ, კონფერენციის მონაწილეებმა მოუსმინეს პეგკ-ს წარმომადგენლებსაც. ჩერჩილის თქმით, მათ უმაღლესად აჩვენეს, რომ ისინი უბრალოდ „პაიკები“ იყვნენ საბჭოთა კავშირის ხელში. ბრიტანეთის პრემიერს მოჰყავს ბერუტის

<sup>1</sup> *The Tolstoy Documents*, გვ. 166.

<sup>2</sup> W. S. Churchill. *The Second World War*, vol. 6, გვ. 182.

<sup>3</sup> გაზ. „*Prasda*“, 21.X.1944.

<sup>4</sup> W. S. Churchill. *The Second World War*, vol. 6, გვ. 182-183.

<sup>5</sup> E. J. Rozek. *Allied Wartime Diplomacy: A Pattern in Poland*, L., 1958, გვ. 271-272.



სიტყვები, რომელთა თანახმადაც თურმე პოლონეთის ხალხის სურვილს წარმოადგენდა ლეოვის საბჭოთა კავშირის<sup>1</sup> შემადგენლობაში შესვლა და ისინიც სწორედ ამ მოთხოვნით (ხაზგასმა ჩვენია – თ.პ.) ჩამოვიდნენ მოსკოვში<sup>2</sup>.

ლუბლინის მთავრობის წამყვან წევრებთან შეხვედრამ დაარწმუნა ჩერჩილი, რომ საჭირო იყო მიკოლაიჩიკზე ზეწოლის გაძლიერება, წინააღმდეგ შემთხვევაში იქმნებოდა იმის საშიშროება, რომ სტალინი თავის პოლონელებს სულ უფრო აქტიურად გამოიყენებდა და ემიგრანტული მთავრობა შეიძლებოდა საერთოდ თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩენილიყო. მასზე დიდი გავლენა იქონია სტალინის განცხადებამაც პირად საუბარში, რომ მხოლოდ ის და მოლოტოვი იყვნენ კეთილად განწყობილნი მიკოლაიჩიკისადმი საბჭოთა მთავრობაში და ჩათვალა, რომ საბჭოთა ლიდერზე ზორციელდებოდა დიდი ზეწოლა როგორც პარტიული, ისე სამხედრო ხაზით<sup>3</sup>. ამიტომ ის კვლავ შეხვდა მიკოლაიჩიკს და მკაცრად მოსთხოვა მას კერზონის ხაზზე დათანხმება<sup>4</sup>. ბრიტანეთის პრემიერმა განუცხადა პოლონელებს, რომ მათ უკვე ერთხელ დაუშვეს შეცდომა, როდესაც 1944წ. დასაწყისში არ მიიღეს ეს პირობა, რამაც სტალინის მხრიდან საპასუხო ნაბიჯად „ლუბლინის მთავრობის“ შექმნა განაპირობა. ჩერჩილი დაემუქრა მიკოლაიჩიკსა და მის მომხრეებს, რომ თუ ამჯერადაც არ იქნებოდა მიღებული თანხმობა საბჭოთა კავშირის ამ მოთხოვნაზე, მაშინ თვითონ ჩერჩილიც სცნობდა „ლუბლინის გუნდს“ პოლონეთის მთავრობად<sup>5</sup>.

---

<sup>1</sup> ორიგინალში ჩერჩილი იყენებს სიტყვას „რუსეთი“, თუმცა ჩვენ თავს უფლებას ვაძლევთ, მთელ რიგ შემთხვევებში შევცვალოთ ის აზრობრივად უფრო სწორი „საბჭოთა კავშირით“ – თ.პ.

<sup>2</sup> W. S. Churchill. The Second World War, vol. 6, გვ. 183.

<sup>3</sup> W. S. Churchill. The Second World War, vol. 6, გვ. 184. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რომ ჩერჩილს ძალზე ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა იმაზე, თუ ძალაუფლების რა ბერკეტები გააჩნდა სტალინს. საბჭოთა ლიდერიც, როგორც ჩანს, სარგებლობდა ამით და უქმნიდა ილუზიას ბრიტანეთის პრემიერს, თითქოს ის ემორჩილებოდა პოლიტიკურს გადაწყვეტილებებს და არა პირიქით.

<sup>4</sup> E. J. Rozek. Allied Wartime Diplomacy, გვ. 279.

<sup>5</sup> E. J. Rozek. Allied Wartime Diplomacy, გვ. 283.

მიუხედავად ასეთი მკაცრი ტონისა, ჩერჩილმა მიკოლაიჩიკი იმ დღეს ვერ დაარწმუნა თავის სისწორეში, თუმცა, როგორც ჩანს, პოლონეთის ემიგრანტული მთავრობის ლიდერი სერიოზულად შეშფოთდა მსგავსი პერსპექტივით. 16 ოქტომბერს ის შეხვდა ბერუტს. პოლონეთის მთავრობათა მეთაურების ეს შეხვედრა ასევე საკმაოდ რთული გამოდგა. ბერუტმა თანხმობა განაცხადა მიკოლაიჩიკისთვის პრემიერ მინისტრის პოსტის დათმობაზე, ოღონდ იმ პირობით, რომ მინისტრთა კაბინეტის 75% მისი მომხრეებით იქნებოდა დაკომპლექტებული. მიკოლაიჩიკს კი 75%-ის მიღება თავად სურდა<sup>1</sup>. როგორც ჩანს, მიკოლაიჩიკი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ბერუტი და მისი მთავრობა სულ უფრო ანგარიშგასაწევი ძალა ხდებოდა, ამიტომ იმავე საღამოს სტალინთან შეხვედრისას თანხმობა განაცხადა კერზონის ხაზზე და აღუთქვა მას, რომ დაარწმუნებდა ლონდონის მთავრობის დანარჩენ წევრებსაც ამ ნაბიჯის გადადგმის აუცილებლობაში. მიუხედავად ამისა, სტალინმა აგრძნობინა მიკოლაიჩიკს, რომ ეს დათმობა საკმარისი არ იქნებოდა და საჭირო იყო, რომ ახალ მთავრობაში უმრავლესობა ლუბლინელებს ჰქონოდათ. სამაგიეროდ ის მზად იყო, დაეთმო პრემიერის პოსტი მიკოლაიჩიკისათვის<sup>2</sup>.

როგორც ჩანს, მიკოლაიჩიკმა სასწრაფოდ აცნობა ინგლისელებს სტალინთან საუბრის შინაარსი, რადგანაც იმავე დღეს ჩერჩილმა სტალინს განუცხადა, რომ დასავლური სამყარო არ დაიჯერებდა ახალი პოლონური მთავრობის რეალურ დამოუკიდებლობას, თუ მიკოლაიჩიკს მთავრობაში ადგილების 50% მაინც არ ექნებოდა. სტალინს ეს არ მოეწონა და კვლავინდებურად უმრავლესობა მოითხოვა, რის გამოც ჩერჩილმა ამ საკითხის განხილვა მომავლისათვის გადადო. მას იმედი ჰქონდა, რომ, ლონდონში მყოფი პოლონეთის მთავრობის მიერ კერზონის ხაზზე ოფიციალური თანხმობის გამოცხადების შემდეგ სტალინი დათმობაზე წავიდოდა პოლონეთის ახალი მთავრობის დაკომპლექტების საკითხში<sup>3</sup>.

მოსკოვში საუბარი ჩამოვარდა იაპონიასთან ომში საბჭოთა

<sup>1</sup> W. S. Churchill. The Second World War, vol. 6, გვ. 185.

<sup>2</sup> W. S. Churchill. The Second World War, vol. 6, გვ. 185.

<sup>3</sup> W. S. Churchill. The Second World War, vol. 6, გვ. 186.

კავშირის ჩაბმაზეც და ჩერჩილმა სტალინისაგან მიიღო დაპირება, რომ გერმანიასთან ომის დამთავრების შემდეგ 3-4 თვეში სსრკ საომარ ოპერაციებს დაიწყებდა იაპონიის წინააღმდეგ<sup>1</sup>. შეიძლება ითქვას, რომ ამ საკითხს დიდი ყურადღება არც მიქცევია და ეს დაპირებაც მხოლოდ და მხოლოდ ზოგად ხასიათს ატარებდა<sup>2</sup>.

აღნიშნული საკითხების გარდა, მხარეებმა შეათანხმეს თავიანთი პოზიციები საფრანგეთის მომავალი მთავრობის შესახებ. აქაც დიდ დებატებს ადგილი არ ჰქონია და უბრალოდ პოზიციები იქნა დაფიქსირებული შარლ დე გოლის პიროვნებასთან დაკავშირებით. გარკვეული საუბარი მიმდინარეობდა გერმანიის ომის შემდგომ მოწყობაზეც, თუმცა ამ საკითხის ირგვლივაც რაიმე სერიოზული მსჯელობა არ გამართულა. და ბოლოს, მხარეებმა განსაზღვრეს 1945-1946 წლებში სსრკ-დან დიდ ბრიტანეთში გადასაზიდი ხე-ტყის მასალის რაოდენობა და სპეციალური მემორანდუმიც შეადგინეს ამ საკითხთან დაკავშირებით<sup>3</sup>. გარდა ამისა, მოსკოვში გადაწყდა ინგლისელთა ხელში მყოფი ყველა საბჭოთა მოქალაქის დაბრუნება. სწორედ ამ უკანასკნელმა შეთანხმებამ მიიპყრო ჩვენი ყურადღება.

პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ ეს საკითხი რატომღაც გამორჩა ჩერჩილს და მასზე თავის მემუარებში არავითარი კომენტარი არ გაუკეთებია. ამგვარი „გულმავიწყობა“, როგორც ჩანს, შემთხვევითი არ უნდა ყოფილიყო და, ეტყობა, ამ საკითხთან დაკავშირებით ის ბოლომდე გულწრფელი არ იყო. მართლაც, გაირკვა, რომ საკითხი მთლად ისე მარტივი არ ყოფილა, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანდა. აღმოჩნდა, რომ ძირითადად საუბარი ეხებოდა იმ საბჭოთა მოქალაქეებს, რომლებიც ტყვედ ჩა-

<sup>1</sup> W. S. Churchill. The Second World War, vol. 6, გვ. 187.

<sup>2</sup> იაპონიასთან ომში სსრკ-ს ჩაბმის საკითხი პრაქტიკულად ყველა სამიტზე დგებოდა დღის წესრიგში და უკანასკნელად პოტსდამის კონფერენციის მსვლელობისასაც დააზუსტებინეს საბჭოთა მხარეს, თუ როდის დაიწყებოდა ოპერაციები შორეულ აღმოსავლეთში (იხ.: Terminal Conference. July 1945. Papers and Minutes of Meetings. Terminal Conference. Edited and Published by the Office, U.S. Secretary of the Combined Chiefs of Staff. 1945, გვ. 314).

<sup>3</sup> მემორანდუმის ტექსტი იხ.: Советско-английские отношения., т. II, გვ. 216.

ვარდნენ, შემდეგ გადავიდნენ გერმანიის მხარეს და გახდნენ რუსეთის განმათავისუფლებელი არმიის წევრები. მოკავშირეთა საფრანგეთში შეჭრის შემდეგ ისინი ფაქტობრივად ხელმეორედ ჩავარდნენ ტყვედ. ბრიტანეთის ხელისუფლებამ თავად ჰკითხა საბჭოთა მხარეს, თუ რა ზომები უნდა გატარებულიყო მათ მიმართ თავდაპირველად მოსკოვი დუმდა, მაგრამ ერთი თვის შემდეგ როდესაც ინგლისელებმა კიდევ ერთხელ გაიმეორეს თავისი შეკითხვა, სსრკ-ს ელჩმა ლონდონში გუსევემა მოითხოვა ყველსაბჭოთა მოქალაქის უკან გადმოცემა. როგორც ჩანს, საბჭოთ. მხარის პოზიციის შეცვლა განაპირობა ტყვეების რიცხვის ზრდამ: რადგანაც მანამდე ცხადდებოდა, რომ გერმანელების მხარეს მეტობლი საბჭოთა მოქალაქეების რიცხვი უმნიშვნელო იყო<sup>1</sup>. 1 სექტემბერს კი გუსევემა იმდენად აგრესიულად შეუტია იდენს ჰრისპირ შეხვედრისას და ბრალი დასდო ინგლისელებს საბჭოთა მოქალაქეებისადმი ცუდად მოპყრობაში, რომ ამ უკანასკნელმა დაკარგა მოთმინება და თვითონაც მეტად უხეშად უპასუხა<sup>3</sup>.

<sup>1</sup> მათი რიცხვი შეიძლება უფრო მეტიც კი ყოფილიყო, რომ არ ამერიკელების პროპაგანდისტული ბარათები, რომლებშიც ისინი საბჭოთა მოქალაქეებს პირობდებოდნენ სსრკ-ში დაბრუნებას, რაც საზოგადოებრივი ნაწილისათვის უბრალოდ მიუღებელი იყო. გენ. ვლასოვი სწორედ ასეთი, მისი თქმით, „სულელური პოლიტიკით“ ხსნიდა საფრანგეთის საპორტო ქალაქ ბრესტში რუსი ჯარისკაცების გაფრთხილებულ წინააღმდეგობას მოკავშირეებთან ბრძოლისას (იხ.: Штрик-Штрикфельд. Против Сталина и Гитлера. „Посев“, 1981, გვ. 333)

<sup>2</sup> Н. Д. Толстой. Жертвы Ялты. М., 1996, გვ. 71.

<sup>3</sup> Н. Д. Толстой. Жертвы Ялты, გვ. 78. აღსანიშნავია, რომ იმავე პერიოდში არანაკლებ მკაცრი განცხადებით მიმართეს საბჭოთა დიპლომატებმა ამერიკელებსაც, რისი მიზეზიც თითქოსდა იყო მოკავშირეთა მხრიდან რუსი ტყვეებისადმი შეურაცხყოფელი მოქცევის სინამდვილეში საბჭოთა მხარე უაღრესად შეაშფოთა იმ ფაქტში რომ ამერიკელთა მიერ გათავისუფლებული ყოფილი საბჭოთა ჯარისკაცების 10%-მა (ოფიცრებში ეს რიცხვი კიდევ უფრო მაღალი იყო) სამხედრო კორესპონდენტებთან საუბარში გამოავლინა პირდაპირი გერმანული განწყობილებები. ამით ირკვეოდა, რომ საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობისადმი ბევრად უფრო დიდი იყო უნდობლობა ყოფილ საბჭოთა მეომრებს შორის, ვიდრე გერმანელების წინააღმდეგ მეტობლი ნებისმიერი სხვა სახელმწიფოს ტყვეების მხრიდან საკუთარი ქვეყნის ხელისუფლებისადმი (იხ.: *Foreign Relations of U.S.*

ინგლისელების მდგომარეობას ართულებდა ის გარემოებაც, რომ მათ აწუხებდათ საბჭოთა არმიების მიერ გერმანელთა ტყვეობიდან განთავისუფლებული ინგლისელი ჯარისკაცების ბედი. საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში საბჭოთა მხარე არანაირად არ რეაგირებდა ბრიტანელების მოთხოვნაზე, რომ მათაც მიეღვენებინათ თვალყური რეპატრიაციისაზე და დაეჩქარებინათ ეს პროცესი. ამით გაღიზიანებულმა და თანაც გუსევის მიერ წამოყენებული ბრალდებებით გაბრაზებულმა ინგლისელებმა გადაწყვიტეს, მკაცრი პასუხი გაეცათ საბჭოთა მხარისათვის. მათი გაგულისება კიდევ უფრო გაზარდა გუსევის მიერ 1944წ. 27 სექტემბერს გამოგზავნილმა წერილმა, რომელშიც გამეორებული იყო მის მიერ იდენის მისამართით გამოთქმული ბრალდებები<sup>1</sup>. ბრიტანელებმა საპასუხო წერილის მზადება დაიწყეს კიდევ, მაგრამ ამასობაში მოვიდა ახალი ცნობა მოსკოვიდან. გენერალმა ბეროუზმა ამცნო ფორინ ოფისს, რომ საბჭოთა შენაერთების მეთაურებმა მიიღეს ინსტრუქცია, რომელიც ავალდებულებდა მათ, შეექმნათ საუკეთესო პირობები მოკავშირეთა განთავისუფლებული ჯარისკაცებისთვის<sup>2</sup>. მიუხედავად ამისა, ორი დღის შემდეგ ვიშინსკიმ ა. კერთან საუბარში კვლავ დასდო ბრალი ინგლისელებს საბჭოთა ტყვეებისადმი ცუდ მოპყრობაში<sup>3</sup>. ნ. ტოლსტოი თვლის, რომ საბჭოთა მხარე უბრალოდ ასულელებდა ინგლისელებს და ცდილობდა, თავისი მოქმედებით თავეზა აებნია ბრიტანელებისათვის<sup>4</sup>. შეიძლება ითქვას, რომ სტალინმა თავის მიზანს ამ მიმართულებით ნამდვილად მიაღწია, რადგანაც ინგლისელებმა შეწყვიტეს საპროტესტო ნოტაზე მუშაობა, ხოლო როდესაც 11 ოქტომბერს აღნიშნული საკითხი დადგა კონფერენცია „ტოლსტოის“ დღის წესრიგში, ბრიტანეთის დელეგაციას ფაქტობრივად არანაირი წინააღმდეგობა არ გაუწევია საბჭოთა ლიდერისათვის. ამ პრობლე-

---

*United States. Diplomatic Papers. 1944. IV. Wash., 1966, გვ. 1241-1244; The Papers of Dwight David Eisenhower: The War Years, III. Ed. by A. D. Chandler, Baltimore, MD, 1970, გვ. 2031).*

<sup>1</sup> Н. Д. Толстой. Жертвы Ялты, გვ. 81.

<sup>2</sup> Н. Д. Толстой. Жертвы Ялты, გვ. 81.

<sup>3</sup> Н. Д. Толстой. Жертвы Ялты, გვ. 82.

<sup>4</sup> Н. Д. Толстой. Жертвы Ялты, გვ. 82-83.

მაზე მსჯელობა მხარეებმა 11 ოქტომბერს, არაოფიციალურ გარემოში, ბრიტანეთის საელჩოში მოწყობილ სადილზე დაიწყეს. სტალინმა იდენს სთხოვა ყველა საბჭოთა მოქალაქის გადმოცემა და სანაცვლოდ დაჰპირდა მას მაქსიმალურ ყურადღების მიქცევას იმ ბრიტანელი ჯარისკაცებისადმი, რომლებსაც საბჭოთა ჯარები გაათავისუფლებდნენ<sup>1</sup>. 16 ოქტომბერს იდენისა და მოლოტოვის საუბრისას მხარეები კიდევ ერთხელ შეეხნენ ამ საკითხს და გადაწყვეტა, რომ 11000 საბჭოთა მოქალაქე სასწრაფოდ იქნებოდა დაბრუნებული საბჭოთა კავშირში<sup>2</sup>.

ერთი შეხედვით, აღნიშნული მოლაპარაკებები არანაირ საჩოთირო მომენტს არ შეიცავდა, მაგრამ, როგორც შემდგომ გაირკვა, ბრიტანელებმა სერიოზული შეცდომა დაუშვეს, როდესაც არ ჩაღეს მასში პირობები, რომლებიც უზრუნველყოფდა ტყვეთა უფლებების მინიმალურად დაცვას მაინც. მოგვიანებით, ყირიმის კონფერენციაზე დიდ ბრიტანეთსა და საბჭოთა კავშირს შორის დაიდო შეთანხმება ინგლისელთა ხელთ მყოფი ყველა საბჭოთა მოქალაქის სსრკ-ში დაბრუნების შესახებ<sup>3</sup>. პრობლემამაც სწორედ ამის შემდეგ იჩინა თავი, რადგანაც, ჟენევის კონვენციის თანახმად, თუ ტყვე განაცხადებდა აღნიშნული კონვენციის შესახებ, მისი გადაცემა შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ მის მიერ სამხედრო დანაშაულის ჩადენის დამტკიცების შემთხვევაში. გარდა ამისა, ჩერჩილს ჰქონდა კიდევ ერთი მიზეზი, რომ შეძლებისდაგვარად მიეჩუმათებინა ამ საკითხზე გამართული მოლაპარაკებები. საქმე იმაშია, რომ ბრიტანელებმა, გაურკვეველი მიზეზებით, გაავრცელეს ეს ხელშეკრულება მათ ხელთ არსებულ ყველა რუს ტყვეზე, განურჩევლად იმისა, იყვნენ თუ არა ისინი საბჭოთა კავშირის მოქალაქეები. მათ შორის, ვინც გაათავისუფლეს მოკავშირეებმა, მრავლად იყვნენ ჯერ კიდევ სამოქალაქო ომის შემდეგ ემიგრირებული რუსები და მათი დიდი ნაწილი, პირველ რიგში, კაზაკები, ასევე გადასცეს საბჭოთა მხარეს, რაც, რასაკვირველია, აბსოლუტურად უკანონო იყო. ბუნებრივია,

<sup>1</sup> The Reckoning, გვ. 484.

<sup>2</sup> Советско-английские отношения... т. II, გვ. 194.

<sup>3</sup> შეთანხმების ტექსტი იხ.: Крымская конференция..., გვ. 283-287.

რომ სტალინი სასტიკად გაუსწორდა კაზაკებსაც და საკმაოდ ბევრ ტყვედ ჩავარდნილ პირსაც<sup>1</sup>.

ასეთი იყო კონფერენცია „ტოლსტოის“ ძირითადი შედეგები. შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, რომლებიც იქნა მიღებული, შეეხებოდა ომისშემდგომი ევროპის მოწყობის საკითხებს. სწორედ მოსკოვში, სტალინისა და ჩერჩილის მიერ იქნა მოხაზული ის საზღვრები, რომლებზეც გაიარა შემდგომში ე.წ. „რკინის ფარდამ“. მართლაც, ომის შემდეგ რუმინეთი, ბულგარეთი და უნგრეთი, რომლებიც მოსკოვში საბჭოთა გავლენის სფეროში მოხვდნენ, ვარშავის ხელშეკრულების ბლოკში აღმოჩნდნენ; საბერძნეთში ინგლისელთა და ამერიკელთა გავლენა დამყარდა, ხოლო იუგოსლავიაში, მართალია, თითქოს პროკომუნისტური ძალები მოვიდნენ საბოლოოდ ხელისუფლებაში, მაგრამ ტიტომ 40-იანი წლების მიწურულიდან გადაუხვია სტალინის კურსს და ნორმალური ურთიერთობა დაამყარა დასავლურ სახელმწიფოებთან. შეიძლება ითქვას, რომ იუგოსლავიის მთავრობა არ იქცა მარიონეტად საბჭოთა კავშირის ხელში. ყველა დანარჩენი საკითხის განხილვისას კი მოსკოვში გადაწყვეტილებები ან არ იქნა მიღებული, ან მოგვიანებით გადაისინჯა.

### **§3. დუმბარტონ ოქსის კონფერენცია. უმნიშვნელოვანესი ეტაპი ბავრთიანებული პრეზის ორგანიზაციის შემხნის გზაზე**

უმაღლეს დონეზე მიმდინარე მოლაპარაკებების პარალელურად აშშ-ს, დიდი ბრიტანეთისა და სსრკ-ს წარმომადგენლები ერთმანეთთან აწარმოებდნენ კონსულტაციებს ახალი საერთაშორისო ორგანიზაციის ჩამოყალიბების შესახებ. 1944წ. შემოდგომაზე ამ საკითხს „დიდი სამეულის“ დიპლომატიაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. მას შემდეგ, რაც გამო-

<sup>1</sup> იხ.: Н. Краснов. Незабываемое. Сан-Франциско, 1957, გვ. 49-50.

იკვეთა ანტიჰიტლერული კოალიციის აშკარა სამხედრო უპირატესობა, მოკავშირეებმა სულ უფრო სერიოზულად დაიწყეს ფიქრი ისეთი მექანიზმის შექმნაზე, რომელიც ერთა ლიგაზე უფრო ეფექტურად იმოქმედებდა მსოფლიოს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

ომისშემდგომი მსოფლიოს მოწყობის პრინციპებზე საუბარი ჯერ კიდევ 1941წ. დაიწყო, ჩერჩილისა და რუზველტის პირველ კონფერენციაზე არჯენტაში<sup>1</sup>, მაგრამ ყოველივე ეს ზოგად ხასიათს ატარებდა და იმ პერიოდში მოკავშირეები ვერც იცლიდნენ ამ საკითხის უფრო კონკრეტული განხილვისათვის. მხოლოდ 1943წ. ოქტომბერში მოსკოვში გამართულ საგარეო საქმეთა მინისტრების კონფერენციაზე დაუბრუნდნენ აშშ, დიდი ბრიტანეთი და საბჭოთა კავშირი პრობლემის განხილვას და მიიღეს კიდევ დეკლარაცია, რომელსაც მოგვიანებით ჩინეთიც შეუერთდა. დოკუმენტში აღნიშნული იყო, რომ ომის დასრულების შემდეგ აუცილებლად შეიქმნებოდა საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც უზრუნველყოფდა მსოფლიოში მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვას<sup>2</sup>. მოგვიანებით თეირანში სტალინმა, რუზველტმა და ჩერჩილმა 1943წ. 1 დეკემბრის დეკლარაციით დაადასტურეს მოსკოვში მიღებული გადაწყვეტილებები<sup>3</sup>.

1944წ. მაისში დღის წესრიგში დადგა კონკრეტული მოლაპარაკებების ჩატარება საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნასთან დაკავშირებულ საკითხებზე. 30 მაისს აშშ-ს სახელმწიფო

---

<sup>1</sup> *Foreign Relations of the United States. Diplomatic Papers. 1941. Vol. I. General. Wash., 1958, გვ. 368-369.*

<sup>2</sup> *Foreign Relations of the United States. Diplomatic Papers. 1943. Vol. I. General. Wash., 1963, გვ. 755; Советский Союз на международных конференциях периода Великой Отечественной войны 1941-1945гг. Т. I. Московская конференция министров иностранных дел СССР, США и Великобритании (19-30 октября 1943г.). Сборник документов. М., 1978, гв. 347.*

<sup>3</sup> *Foreign Relations of the United States. Diplomatic Papers. The Conferences at Cairo and Tehran, 1943. Wash., 1961, гв. 639; Советский Союз на международных конференциях периода Великой Отечественной войны 1941-1945гг. Т. II. Тегеранская конференция руководителей трех союзных держав – СССР, США и Великобритании (28 ноября – 1 декабря 1943г.). Сборник документов. М., 1978, гв. 174-175.*



მდივანმა კ. ჰალმა შესთავაზა სსრკ-ს და დიდი ბრიტანეთის ელჩებს, განეხილათ აღნიშნული პრობლემები ვაშინგტონში<sup>1</sup>. თავდაპირველად ამერიკელებს სურდათ, რომ კონფერენციაზე მონაწილეობა მიეღოთ ჩინეთის წარმომადგენლებსაც<sup>2</sup>, მაგრამ მოგვიანებით გადაწყდა ჩინელებთან მოლაპარაკებები გაემართათ ცალკე — საბჭოთა მხარის მონაწილეობის გარეშე<sup>3</sup>. დადგინდა კონფერენციის მოწვევის თარიღიც — 1944წ. 21 აგვისტო.

კონფერენციისათვის მზადების პერიოდში მხარეებმა ერთმანეთს გააცნეს განსახილველი საკითხების თავიანთი თვალთახედვა. 1944წ. 18 ივლისს ამერიკელებმა დიდი ბრიტანეთის, სსრკ-ს და ჩინეთის წარმომადგენლებს გაუგზავნეს დოკუმენტი სახელწოდებით: „წინასწარი წინადადებები საყოველთაო საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნის შესახებ“<sup>4</sup>. აღნიშნულ დოკუმენტში გაცხადებული იყო, რომ მოსკოვის დეკლარაციის ხელისმომწეროთხ სახელმწიფოს უნდა მიეღწია შეთანხმებისათვის მსოფლიო ორგანიზაციასთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებზე, ხოლო შემდეგ, უკვე შეჯერებული პროექტი, გადაეცა დანარჩენი გაერთიანებული ერების<sup>5</sup> მთავრობებისათვის. დასკვნითი ეტაპი, ამე-

<sup>1</sup> *Foreign Relations of the United States. Diplomatic Papers. 1944. Vol. I. General* (შემდგომში *FRUS*, 1944, I). Wash., 1966, გვ. 637; *Советский Союз на международных конференциях периода Великой Отечественной войны 1941-1945гг.* Т. III. Конференция трех союзных держав — СССР, США и Великобритании в Думбартон-Оксе (21 августа — 28 сентября 1944г.). *Сборник документов* (შემდგომში *Конференция в Думбартон-Оксе...*). М., 1979, გვ. 42-43.

<sup>2</sup> *FRUS*, 1944, I, გვ. 637-638; *Конференция в Думбартон-Оксе...*, გვ. 43-44.

<sup>3</sup> *FRUS*, 1944, I, გვ. 642-645; *Конференция в Думбартон-Оксе...*, გვ. 44-45. აშშ-ს, დიდი ბრიტანეთისა და ჩინეთის დელეგაციების მოლაპარაკებები დაიწყო 1944წ. 29 სექტემბერს და დასრულდა 7 ოქტომბერს.

<sup>4</sup> *Charter of the United Nations. Report to the President on the Results of the San Francisco Conference.* By the Chairman of the United States Delegation, the Secretary of State. Department of State. Publication 2349. Conference Series 71. Wash., 1945, გვ. 25.

<sup>5</sup> ტერმინი „გაერთიანებული ერები“ გაჩნდა 1942წ. 1 იანვარს ვაშინგტონში 26 სახელმწიფოს მიერ ხელმოწერილი დეკლარაციის შედეგად (დეკლარაციის ტექსტი იხ.: *Foreign Relations of the United States. Diplomatic Papers. The Conferences at Washington, 1941-1942, and Casab-*

რიკელების აზრით, გახდებოდა გაერთიანებული ერების კონფერენცია, რომელზეც საბოლოოდ იქნებოდა შეთანხმებული ორგანიზაციის ძირითადი დოკუმენტები<sup>1</sup>.

22 ივლისს მოკავშირეებს თავისი იდეები გააცნეს ბრიტანელებმაც, რომლებმაც 5 მემორანდუმი შეიმუშავეს<sup>2</sup>. ინგლისელებს მიაჩნდათ, რომ ოთხ სახელმწიფოს – აშშ-ს, დიდ ბრიტანეთს, სსრკ-ს, ჩინეთს – უნდა დაეკავებინათ განსაკუთრებული ადგილი ორგანიზაციაში და სწორედ მათ უნდა აეღოთ, ძირითადად, პასუხისმგებლობა საერთაშორისო უსაფრთხოებისა და მშვიდობის შესანარჩუნებლად<sup>3</sup>.

12 აგვისტოს თავისი მემორანდუმი უკვე გაავრცელა საბჭოთა მხარემ<sup>4</sup>. მასში ყურადღება გამახვილებული იყო ორგანიზაციის მიზნებსა და ამოცანებზე, შემადგენლობაზე, ძირითად ორგანოებზე და აგრესიის აღკვეთისა და ჩახშობის საშუალებებზე<sup>5</sup>. კონფერენციის დაწყების შემდეგ, 23 აგვისტოს, ჩინეთმაც წარმოადგინა თავისი წინადადებები<sup>6</sup>.

კონფერენცია დანიშნულ დროს, 1944წ. 21 აგვისტოს დაიწყო ვაშინგტონის გარეუბან ლუმბარტონ ოქსში. მოლაპარაკებები საკმაოდ პროდუქტიული გამოდგა. ლუმბარტონ ოქსის კონფერენციაზე ფაქტობრივად შემუშავებული იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება. განსაკუთრებით დიდი დრო დაეთმო უშიშროების საბჭოში კენჭისყრის პროცედურას. კამათის მთავარი მიზეზი იყო საბჭოთა მხარის მოთხოვნა, რომ ნებისმიერი კენჭისყრისას დაცული ყოფილიყო ერთხმიანობის პრინციპი და იმ

---

lanca, 1943. Wash., 1968, გვ. 376-377; J. Gwyer. Grand Strategy. June 1941–August 1942, vol. 3, part I, L., 1964, გვ. 400; *Внешняя политика Советского Союза в период Отечественной войны*. Документы и материалы. В 3-х томах. Т. I. М., 1946, გვ. 194.

<sup>1</sup> *Postwar Foreign Policy Preparation, 1938-1945*. U.S. Department of State. Publication 3580. Wash., 1950, გვ. 583-584.

<sup>2</sup> *FRUS*, 1944, I, გვ. 670-693; Конференция в Думбартон-Оксе., გვ. 73-99.

<sup>3</sup> *FRUS*, 1944, I, გვ. 672; Конференция в Думбартон-Оксе., გვ. 75.

<sup>4</sup> *FRUS*, 1944, I, გვ. 706, 711; Конференция в Думбартон-Оксе., გვ. 102-106.

<sup>5</sup> *FRUS*, 1944, I, გვ. 706-707; Конференция в Думбартон-Оксе., გვ. 102.

<sup>6</sup> *FRUS*, 1944, I, გვ. 718-728.

შემთხვევაშიც კი, თუ რომელიმე მუდმივი წევრი იქნებოდა მო-  
დავე მხარე, მას ჰქონოდა ხმის მიცემის უფლება<sup>1</sup>. ბუნებრივია,  
ამის წინააღმდეგ გაილაშქრეს ბრიტანეთისა და აშშ-ს დელეგა-  
ციებმა, რომელთაც ვერ წარმოუდგინათ, თუ როგორ უნდა ჰქონო-  
და დავის მონაწილე ქვეყანას ხმის მიცემის (ფაქტობრივად კი ვე-  
ტოს დადების) უფლება<sup>2</sup>. საბოლოო ჯამში, სწორედ ეს აღმოჩნდა  
თითქმის ერთადერთი საკითხი, რომელზეც ლუბარტონ ოქსში გა-  
დაწყვეტილება არ იქნა მიღებული<sup>3</sup>.

გარკვეული კამათი წარმოიშვა ორგანიზაციაში გაწევრიანე-  
ბის პრინციპის განსაზღვრისასაც. საბჭოთა მხარემ წამოაყენა წი-  
ნადადება, რომ ღამფუძნებელი წევრების რიცხვში შესულიყო ყვე-  
ლა სახელმწიფო, რომელმაც ხელი მოაწერა გაერთიანებული  
ერების დეკლარაციას ან მოგვიანებით შეუერთდა მას<sup>4</sup>. საკუთრივ  
ამ დებულებას არ გამოუწვევია არანაირი წინააღმდეგობა კონფე-  
რენციაზე, მაგრამ მოგვიანებით საბჭოთა დელეგაციამ მოითხოვა  
ღამფუძნებელთა რიცხვში შეეყვანათ 16-ე საბჭოთა რესპუბლი-  
კა<sup>5</sup>. ბუნებრივია, ამან ამერიკელებისა და ბრიტანელების გაოცება

<sup>1</sup> FRUS, 1944, I, გვ. 741; Конференция в Думбартон-Оксе., გვ. 149.

<sup>2</sup> FRUS, 1944, I, გვ. 798; Конференция в Думбартон-Оксе., გვ. 128.

<sup>3</sup> ეს საკითხი დაზუსტდა ყირიმის კონფერენციაზე და შეთანხმებას  
საფუძვლად ამერიკელებისა და ბრიტანელების წინადადება დაედო  
(იხ.: *Foreign Relations of the United States. The Conferences at Malta and  
Yalta. Wash., 1957, გვ. 976; Советский Союз на международных конфе-  
ренциях периода Великой Отечественной войны 1941-1945гг. Т. IV. Крым-  
ская конференция руководителей трех союзных держав – СССР, США и  
Великобритании (4-11 февраля 1945г.). Сборник документов. М., 1979, გვ.  
275), თუმცა საბოლოო რედაქცია მაინც მიღებული იქნა უშუალოდ  
სან ფრანცისკოს კონფერენციაზე (იხ.: *A Commentary on the Charter of  
the United Nations. By Norman Bentwich and Andrew Martin. New York,  
1950, გვ. XXII; Советский Союз на международных конференциях перио-  
да Великой Отечественной войны 1941-1945гг. Т. V. Конференция объе-  
диненных наций в Сан-Франциско (25 апреля-26 июня 1945г.). Сборник  
документов. М., 1980, გვ. 594).**

<sup>4</sup> FRUS, 1944, I, გვ. 776-777; Конференция в Думбартон-Оксе., გვ. 183.

<sup>5</sup> FRUS, 1944, I, გვ. 743; Конференция в Думбартон-Оксе., გვ. 145.  
ამით საბჭოთა კავშირს გენერალურ ასამბლეაზე ავტომატურად ექ-  
ნებოდა 17 ხმა, რაც საკმაოდ სერიოზული წინაპირობა იქნებოდა ამ  
ორგანოში უმრავლესობის მოსაპოვებლად.

გამოიწვია. რუზველტმა ვერ დამალა თავისი გაღიზიანება ამ ფაქტით და სტალინისათვის გაგზავნილ წერილში შემოფოთება გამოთქვა აღნიშნული მოთხოვნის გამო<sup>1</sup>. საბოლოო ჯამში, ეს წინადადება არ იქნა მიღებული და მისი განხილვა შემდგომისათვის გადაიდო<sup>2</sup>. გარდა ამისა, საბჭოთა მხარეს სურდა, რომ წესდებით აკრძალულიყო ორგანიზაციაში ფაშისტური ტიპის სახელმწიფოების გაწევრიანება<sup>3</sup>, მაგრამ აშშ-სა და ლიდი ბრიტანეთის წარმომადგენლებმა უარყვეს ეს წინადადება. მათი თქმით, ძნელი განსასაზღვრი იქნებოდა, იყო თუ არა ესა თუ ის სახელმწიფო ფაშისტური ტიპის<sup>4</sup>. ამიტომაც გადაწყვეტილებებში ჩაიწერა, რომ ორგანიზაციის წევრობა შეეძლო ყველა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს<sup>5</sup>.

კონფერენციაზე შეთანხმებულ იქნა ახალი ორგანიზაციის, რომელსაც პირობითად ეწოდა „გაერთიანებული ერები“,<sup>6</sup> სტრუქტურა და ორგანოები. გადაწყდა, რომ ძირითადი ორგანოები ყოფილიყო: გენერალური ასამბლეა, უშიშროების საბჭო, საერთაშორისო სასამართლო და სამდივნო. დამხმარე ორგანოებს, საჭიროების შემთხვევაში, თავად ორგანიზაცია შექმნიდა<sup>7</sup>. განისაზღვრა აგრეთვე მათი ფუნქციები. მსოფლიოში უსაფრთხოებისა და მშვიდობის შენარჩუნებაზე ძირითადი პასუხისმგებლობა დაეკისრა მულ-

<sup>1</sup> Переписка., т. II, გვ. 157.

<sup>2</sup> ყირიმის კონფერენციაზე მხარეები შეთანხმდნენ, რომ ახალ ორგანიზაციაში გაწევრიანების უფლება ექნებოდათ უკრაინის სსრ-ს და ბელორუსიის სსრ-ს (იხ.: The Conferences at Malta and Yalta, გვ. 976; Крымская конференция., გვ. 275)

<sup>3</sup> Конференция в Думбартон-Оксе., გვ. 207.

<sup>4</sup> Конференция в Думбартон-Оксе., გვ. 207-208; R. B. Russell. A History of the United Nations: The Role of the United States, 1940-1945. Assisted by Jeannette E. Muther. Wash., 1958, გვ. 424

<sup>5</sup> FRUS, 1944, I, გვ. 891; Конференция в Думбартон-Оксе., გვ. 230.

<sup>6</sup> *Dumbarton Oaks Documents on International Organization together with Chart and Questions and Answers* (Revised). U.S. Department of State. Publication 2257. Conference Series 60 (შემდგომში *Dumbarton Oaks Documents...*). Wash., 1945, გვ. 5; Конференция в Думбартон-Оксе., გვ. 230.

<sup>7</sup> *Dumbarton Oaks Documents...*, გვ. 6; Конференция в Думбартон-Оксе., გვ. 230.

მიემოქმედ უშიშროების საბჭოს, რომლის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებით უნდა ეხელმძღვანელა ორგანიზაციის ყველა წევრს<sup>1</sup>. განისაზღვრა უშიშროების საბჭოს წევრთა რაოდენობაც — 11, რომელთაგან 5 — აშშ, სსრკ, დიდი ბრიტანეთი, ჩინეთი და საფრანგეთი — მუდმივი წევრი იქნებოდა, დანარჩენები კი აირჩეოდნენ 2 წლით 6-დან სამი მათგანის ყოველ წელს გადარჩევით<sup>2</sup>. გენერალურ ასამბლეაში მონაწილეობის მიღების უფლება ორგანიზაციის წევრ ყველა სახელმწიფოს მიენიჭა. ასამბლეის ფუნქციებში შევიდა უშიშროების საბჭოს რეკომენდაციით ორგანიზაციაში ახალი წევრის მიღება და ნებისმიერი წევრის გარიცხვა, თუ ეს უკანასკნელი სისტემატურად დაარღვევდა სტატუტში ჩამოყალიბებულ პრინციპებს. გარდა ამისა, გენერალურ ასამბლეს მიეცა ორგანიზაციის გენერალური მდივნის არჩევის უფლება, თუმცა ყოველივე ეს ასევე უშიშროების საბჭოს რეკომენდაციით უნდა მომხდარიყო. აღნიშნული ორგანოს ფუნქციებში შევიდა აგრეთვე უშიშროების საბჭოს არამუდმივი წევრების არჩევა და ორგანიზაციის ბიუჯეტთან დაკავშირებული საკითხები<sup>3</sup>. საორგანიზაციო საკითხების გარდა, ყველა გადაწყვეტილება ასამბლეს უნდა მიეღო 2/3-ით<sup>4</sup>. დებატები ასამბლესთან დაკავშირებულ საკითხებზე გაიმართა მხოლოდ ერთხელ და ეს გამოიწვია ამერიკელთა წინადადება, რომ ფინანსური საკითხების გადაწყვეტისას სახელმწიფოთა ხმების რაოდენობა ყოფილიყო ორგანიზაციის ხარჯებში მათი მონაწილეობის პროპორციული<sup>5</sup>, მაგრამ ეს შემოთავაზება უარყოფილი იქნა.

დუმბარტონ ოქსში ჩამოყალიბდა დებულებები საერთაშორისო სასამართლოს შესახებ, თუმცა არ იქნა საბოლოოდ განსაზღვრუ-

<sup>1</sup> *Dumbarton Oaks Documents...*, გვ. 8; Конференция в Думбартон-Оксе..., გვ. 233.

<sup>2</sup> *Dumbarton Oaks Documents...*, გვ. 8; Конференция в Думбартон-Оксе..., გვ. 233.

<sup>3</sup> *Dumbarton Oaks Documents...*, გვ. 6-7; Конференция в Думбартон-Оксе..., გვ. 231-232.

<sup>4</sup> *Dumbarton Oaks Documents...*, გვ. 7; Конференция в Думбартон-Оксе..., გვ. 232.

<sup>5</sup> Конференция в Думбартон-Оксе..., გვ. 55.

ლი მისი სტატუტი. გადაწყდა, რომ მომავალში შემუშავებული ახალი სტატუტი, ან შექმნილ ვითარებასთან შესაბამისობაში მოყვანათ ერთა ლიგის მიერ 1922წ. დამტკიცებული სტატუტი<sup>1</sup>.

დელეგატებმა გადაწყვიტეს აგრეთვე ეკონომიკური და სოციალური საბჭოს შექმნა, რომლის წევრები ირჩეოდნენ 3 წლით და საკითხები უნდა გადაეწყვიტა უბრალო უმრავლესობით. საბჭოს ასევე მიენიჭა საჭირო კომისიების შექმნის უფლება<sup>2</sup>.

კონფერენციის მონაწილეებმა იმსჯელეს ორგანიზაციის მთავარ ადმინისტრაციულ პირზეც. გადაწყდა, რომ ეს ფუნქცია დაეკისრებოდა გენერალურ მდივანს, რომელსაც აირჩევდა გენერალური ასამბლეა ხმების 2/3-ით უშიშროების საბჭოსაგან რეკომენდაციის მიღების შემდეგ. მისი უფლებამოსილების ვადის განსაზღვრა მომავლისათვის გადაიდო<sup>3</sup>.

შეთანხმებულ დოკუმენტში აგრეთვე შევიდა ახალი ორგანიზაციის სტატუტში ცვლილებების შეტანის დებულებაც. ეს დასაშვებად იქნა მიჩნეული, თუ შესწორებას მხარს დაუჭერდა ასამბლეის მონაწილეთა 2/3 და შემდგომ მოხდებოდა შეცვლილი სტატუტის ხელახალი რატიფიკაცია<sup>4</sup>.

დუმბარტონ ოქსში მიღებული გადაწყვეტილებები აისახა მონაწილეების მიერ შემუშავებულ დოკუმენტში, რომელსაც ეწოდა „წინადადებები უსაფრთხოების საყოველთაო საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნასთან დაკავშირებით“ და რომელიც გამოქვეყნდა 1944წ. 9-10 ოქტომბერს<sup>5</sup>. კონფერენციის შედეგებით სამივე მხარე შეტად კმაყოფილი დარჩა, რაც აისახა კიდევ როგორც მის მონაწილეთა მემუარებში, ისე ისტორიოგრაფიაში<sup>6</sup>. მართლაც, კონ-

<sup>1</sup> *Dumbarton Oaks Documents.*, გვ. 9; Конференция в Думбартон-Оксе., გვ. 235.

<sup>2</sup> *Dumbarton Oaks Documents.*, გვ. 15; Конференция в Думбартон-Оксе., გვ. 239-240.

<sup>3</sup> *Dumbarton Oaks Documents.*, გვ. 16; Конференция в Думбартон-Оксе., გვ. 241.

<sup>4</sup> *Dumbarton Oaks Documents.*, გვ. 16; Конференция в Думбартон-Оксе., გვ. 241.

<sup>5</sup> Конференция в Думбартон-Оксе., გვ. 21.

<sup>6</sup> *The Memoirs of Lord Gladwyn.* New York, 1972, გვ. 149; А. А. Громыко. Памятное. Кн. 1. М., 1988, გვ. 342; В. Л. Исраэлян. Дипломатия в годы

ფერენცია გამოირჩეოდა სხვა მაღალი დონის შეხვედრებისაგან შედარებით მშვიდი ატმოსფეროთი და საკითხების სწრაფი გადაწყვეტით, თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ დუმბარტონ ოქსში წამოჭრილი პრობლემების უმრავლესობას პრინციპული მნიშვნელობა მხარეებისათვის არ ჰქონდა. იქ კი, სადაც მართლაც პრინციპული იყო ამა თუ იმ მხარისათვის თავისთვის სასურველი გადაწყვეტილების მიღება, იმართებოდა საკმაოდ მწვავე დებატები, რომლებსაც ზოგჯერ შედეგი არ მოჰქონდა. საბოლოო ჯამში, კონფერენცია წინგადადგმული ნაბიჯი იყო მსოფლიო ორგანიზაციის შექმნის გზაზე და, ალბათ, მართალი გახლდათ ჩ. ბოლენი, როდესაც აცხადებდა, რომ „დუმბარტონ ოქსის გარეშე არ იქნებოდა სან ფრანცისკო და შეიძლება არ ყოფილიყო გაერთიანებული ერების ორგანიზაცია“.<sup>1</sup>

#### **§4. დე გოლის ვიზიტი მოსკოვში და სსრკ-საფრანგეთის სამოკავშირეო ხელშეკრულების დადება**

1944წ. 2 დეკემბერს მოსკოვს ვიზიტით ეწვია საფრანგეთის დროებითი მთავრობის მეთაური გენ. შარლ დე გოლი. სსრკ-ში ჩამოსვლის იდეა მთლიანად დე გოლს ეკუთვნოდა და მან თავისი სურვილის შესახებ ამცნო საბჭოთა მხარეს 8 ნოემბერს საფრანგეთის დროებით მთავრობასთან აკრედიტებულ ელჩ ა. ბოგომოლოვთან საუბრისას<sup>2</sup>. 13 ნოემბერს ბოგომოლოვმა მოლოტოვი-

---

войны, გვ. 328; С. Боратынский. Дипломатия периода второй мировой войны. М., 1959, гв. 260 და ა.შ.

<sup>1</sup> Ch. E. Bohlen. Witness to History, 1929-1969, New York, 1973, გვ. 160.

<sup>2</sup> Советско-французские отношения во время Великой Отечественной войны 1941-1945гг. Документы и материалы. М., 1959, гв. 325. აღსანიშნავია, რომ თავად დე გოლი სრულიად საპირისპიროს ამტკიცებდა მემუარებში. მისი თქმით, ჩერჩილისა და იდენის საფრანგეთში ვიზიტის დასრულების შემდეგ (ვიზიტი 1944წ. 10-13 ნოემბერს შედგა) ბოგომოლოვმა თავად გადასცა მას საბჭოთა მთავრობის მოწვევა მისი მხრიდან ყოველგვარი თხოვნის გარეშე (იხ.: Ch. de Gaulle. War Memoirs. The Salvation 1944-1946. Translated from French by Richard Ho-

საგან დადებითი პასუხი მიიღო და ვიზიტისათვის მზადებაც დაიწყო. დე გოლისთვის აღნიშნული შეხვედრა უაღრესად მნიშვნელოვანი იყო. საფრანგეთის დროებითი მთავრობის მეთაურს ყველანაირად სურდა, აღედგინა თავისი ქვეყნის ომამდელი მდგომარეობა. ის გრძნობდა, რომ დიდი ბრიტანეთისა და, განსაკუთრებით, აშშ-ს ხელმძღვანელობა არ აღიქვამდა საფრანგეთს სრულუფლებიან პარტნიორად<sup>1</sup>. ამიტომ დე გოლს ძალიან მოეწონა აზრი, დაედო სამოკავშირეო ხელშეკრულება სსრკ-სთან, რაც მას გარკვეულწილად მისცემდა საშუალებას, ქცეულიყო რუზველტისა და ჩერჩილის თანასწორად<sup>2</sup>. სწორედ ასეთი დოკუმენტის ხელმოწერა სტალინთან იყო დე გოლის მთავარი პოლიტიკური მიზანი მოსკოვში. გარდა ამისა, დე გოლს სურდა, გაერკვია, თუ რა დამოკიდებულება ექნებოდა საბჭოთა ლიდერს საფრანგეთ-გერმანიის მომავალი საზღვრის საკითხისადმი. თავის მხრივ, როგორც ჩანს, სტალინს არ ჰქონდა ცალსახად ჩამოყალიბებული პოზიცია საფრანგეთის მიმართ. სავარაუდოდ, მისი დამოკიდებულება დე გოლისადმი მთლად დადებითი არ იყო. ამას გვაფიქრებინებს ა. ბოგომოლოვის მიერ სსრკ-ს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში 1944წ. 14 ნოემბერს გამოგზავნილი წერილი. მასში

---

*ward*. New York, 1960, გვ. 61; *The Complete War Memoirs of Charles de Gaulle*. 1940-1946. New York, 1984, გვ. 729). თუმცა ა. ვერთის მტკიცებით, დე გოლის შემუარები მოსკოვის ვიზიტის აღწერისას მაინცდამაინც დიდი სიზუსტითა და სანდოობით არ გამოირჩევა, რასაც ის საკუთარი დაკვირვებებით (ა. ვერთი თავად იყო ამ ვიზიტისას შემდგარი რამდენიმე შეხვედრის მოწმე) ასაბუთებს (იხ.: A. Werth. *De Gaulle: A Political Biography*. New York, 1966, გვ. 182-186).

<sup>1</sup> A. W. DePorte. *De Gaulle's Foreign Policy*. 1944-1946. Cambridge, MA, 1968, გვ. 75; B. Crozier. *De Gaulle*. New York, 1973, გვ. 341-342; Ch. Williams. *The Last Great Frenchman: A Life of General De Gaulle*. 1944-1946. New York, 1993, გვ. 294; D. Cook. *Charles De Gaulle: A Biography*. New York, 1983, გვ. 261-262; F. Mauriac. *De Gaulle*. Translated from French by *Richard Howard*. New York, 1966, გვ. 40; B. Ledwidge. *De Gaulle*. New York, 1982, გვ. 186.

<sup>2</sup> ამით ის მოკავშირეებისათვის სამაგიეროს გადახდას აპირებდა „ლაღატისათვის“ (იხ.: C. Mauriac. *Un Autre de Gaulle*. P., 1971, გვ. 23; C. Mauriac. *The Other de Gaulle*. Diaries 1944-1945. Translated by *Moura Budberg and Gordon Latta*. New York, 1973, გვ. 22).



სსრკ-ს ელჩი საფრანგეთში საკმაოდ საინტერესო კომენტარებს აკეთებს. ის შესაძლებლად მიიჩნევს დე გოლის მიერ წარმოდგენილი დელეგაციის წევრების სიის დამტკიცებას და იქვე აღნიშნავს, რომ საფრანგეთის ლიდერი შეჩვეული იყო პალევსკის<sup>1</sup> მდივნობას, რაც, ბოგომოლოვის თქმით, მისთვისვე იქნებოდა უარესი, თუ ცუდი თანაშემწე ჰყავდა შერჩეული<sup>2</sup>. გარდა ამისა, საბჭოთა ელჩი ითხოვდა ნებართვას, გამოჰყოლოდა დე გოლს, რომელიც მეტად მგრძობიარე იყო სახელმწიფოს მეთაურის პროტოკოლის ნორმების საკითხში და საჭირო არ იყო მისი განაწყენება მოგზაურობის დასაწყისიდანვე<sup>3</sup>.

დე გოლმა მოსკოვში 8 დღე დაჰყო და ამ ხნის განმავლობაში რამდენჯერმე შეხვდა სტალინს. გარდა ამისა, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ჟ. ბილოსა და სსრკ-ს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარ ვ. მოლოტოვის სისტემატური კონსულტაციები ჰქონდათ. მოლაპარაკებების ძირითადი თემა იყო საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირს შორის ხელშეკრულების გაფორმების საკითხი. პირველივე დღიდან ნათელი გახდა, რომ ფრანგებს სურდათ, საბჭოთა მხარესთან დაედოთ 1942წ. 26 მაისის სსრკ-დიდი ბრიტანეთის სამოკავშირეო ხელშეკრულების მსგავსი დოკუმენტი<sup>4</sup>.

პირველი საუბარი სტალინსა და დე გოლს შორის შედგა 2 დეკემბერს. თავდაპირველად მხარეებმა ზოგადი ხასიათის თემებზე ისაუბრეს, რის შემდეგაც დე გოლი პირდაპირ გადავიდა მთავარ საკითხზე. მან განაცხადა, რომ საფრანგეთის წინაშე არსებული თითქმის ყველა საგარეო თუ შინაპოლიტიკური პრობლემა სათავეს იღებდა 1870-1871, 1914-1918 და 1940 წლებში გერმანიის მიერ საფრანგეთზე განხორციელებული თავდასხმები-

<sup>1</sup> პალევსკი იყო დე გოლის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი. ჩვენთვის უცნობია, თუ რა მიზეზით მოიხსენია ის ასეთი ტონით ბოგომოლოვმა – თ.პ.

<sup>2</sup> *Советско-французские отношения во время Великой Отечественной войны 1941-1945гг.* Документы и материалы. В 2-х томах, т. II. 1944-1945. М., 1983, გვ. 144.

<sup>3</sup> *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 144.

<sup>4</sup> დოკუმენტის ტექსტი იხ.: *Внешняя политика Советского Союза.*, т. I, გვ. 270-273.

დან. ამიტომ, დე გოლის თქმით, ფრანგებისთვის ცხადი გახდა, რომ მომავალში ნორმალური განვითარებისათვის აუცილებელი იყო მჭიდრო თანამშრომლობა სხვა სახელმწიფოებთან. მან ხაზი გაუსვა, რომ საფრანგეთის უბედურებების ძირითადი მიზეზი იყო რუსეთთან (ასეა ორიგინალში – თ.პ.) ეფექტური ხელშეკრულების უქონლობა<sup>1</sup>. საბჭოთა მხარემ, კერძოდ, მოლოტოვმა, შეახსენა დე გოლს, რომ 1935წ. საფრანგეთსა და სსრ კავშირს შორის გაფორმდა პაქტი, რომელიც ფაქტობრივად არ შესრულდა<sup>2</sup>. საფრანგეთის ლიდერმაც გაიხსენა ეს ხელშეკრულება და აღნიშნა, რომ ძირითადად ის არ იყო ცუდი დოკუმენტი, თუმცა მასში რამდენიმე პუნქტი მოძველდა. აქვე მან იკითხა, იყო თუ არა შესაძლებელი 1935 წლის პაქტზე დაყრდნობა ახალი ხელშეკრულების შემუშავებისას. სტალინმა შესაძლებლად მიიჩნია ამ საკითხზე დაფიქრება<sup>3</sup>.

გარდა სამოკავშირეო ხელშეკრულებისა, დე გოლმა წამოჭრა საფრანგეთ-გერმანიის მომავალი საზღვრის საკითხიც. საფრანგეთის ლიდერმა პირდაპირ განუცხადა სტალინს, რომ მას სურდა საზღვარი მდინარე რაინზე, რაც გეოგრაფიულად უფრო იოლს გახდიდა შემდგომში გერმანიისაგან თავის დაცვას. სტალინმა დააზუსტებინა დე გოლს, ნიშნავდა თუ არა ეს რაინის ოლქის საფრანგეთის შემადგენლობაში შეყვანას და, დადებითი პასუხის მიღების შემდეგ აღნიშნა, რომ მას პირველად ესმოდა ასეთი მოთხოვნის შესახებ, რადგანაც ინგლისელები რაინ-ვესტფალიის ოლქზე საერთაშორისო კონტროლის დამყარების იდეას

---

<sup>1</sup> *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 158. დე გოლის მემუარებში ამ შეხვედრის ტექსტი ოდნავ განსხვავდება საბჭოთა ჩანაწერისაგან. მასში საფრანგეთის მარცხი ახსნილია იმ გარემოებით, რომ რუსეთი არ იყო წარმოდგენილი 1919წ. პარიზის საზავო კონფერენციაზე, რის გამოც ფრანგებს დააკლდათ რუსების მხარდაჭერა საზღვრების საკითხში (იხ.: *Ch. de Gaulle. War Memoirs. The Salvation 1944-1946. Documents. Translated by Joyce Murchie and Hamish Erskine* (შემდგომში *The Salvation. Documents...*). New York, 1960, გვ. 84.

<sup>2</sup> *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 164; *The Salvation. Documents*, გვ. 86.

<sup>3</sup> *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 164-165; *The Salvation. Documents*, გვ. 86.

იხილავდნენ. აქვე საბჭოთა ლიდერმა ხაზი გაუსვა იმას, რომ რუსეთს (ასეა ორიგინალში — თ.პ.) გაუჭირდებოდა ბრიტანელების მოსაზრების წინააღმდეგ წასვლა<sup>1</sup>. როგორც ჩანს, დე გოლი საკმაოდ გააღიზიანა ამ შენიშვნამ და განაცხადა, რომ ფრანგების მდგომარეობაში ინგლისელები და ამერიკელები სხვანაირად გადაწყვეტდნენ საკითხს, მაგრამ მათ სხვა პრობლემები აწუხებდათ, რადგანაც გეოგრაფიულად და ისტორიულად რაინზე არ იმყოფებოდნენ. ამიტომაც მოუხდათ ყველაზე დიდი მსხვერპლის გაღება, დე გოლის თქმით, საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირს<sup>2</sup>. სტალინის აშკარად არ მოსწონდა ამ საკითხზე საუბარი და ყველანაირად ეცადა, აერიდებინა მისი განხილვა. მან აღნიშნა, რომ დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ს ხელმძღვანელების გარეშე არ შეიძლებოდა საზღვრების საკითხის გადაწყვეტა. გარდა ამისა, სტალინმა შენიშნა, რომ აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის გარეშე ასევე ძნელი იყო გერმანიის დამარცხება, რაზეც მეტყველებდა ბოლო ორი ომის გაკვეთილები<sup>3</sup>.

შესაძლოა, საბჭოთა ლიდერი ფიქრობდა, რომ დე გოლი ამის შემდეგ მაინც შეწყვეტდა რაინზე საუბარს, მაგრამ გენერალი მაინც არ დაცხრა. მან განაცხადა, რომ დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ს ჩარევა ხდებოდა მაშინ, როდესაც საფრანგეთი უკვე თითქმის დაღუპული იყო. ამიტომ დე გოლმა საჭიროდ ჩათვალა კარგი პირობების შექმნა გერმანიასთან შესაძლო კონფლიქტის შემთხვევაში, რაც, ყველას, მათ შორის ინგლისელებისა და ამერიკელების, ინტერესებში შედიოდა<sup>4</sup>. სტალინმა ახლა უკვე პირდაპირ უთხრა საფრანგეთის ლიდერს, რომ ამ საკითხის გადაწყვეტა საბჭოთა მხარეს არ შეეძლო სხვა მოკავშირეების გარეშე. გარდა ამისა, მან აღნიშნა, რომ სსრკ-შიც იყო ხალხი, ვინც კარპატებსა და ტრანსილვანიას ბუნებრივ საზღვრებად თვლიდა<sup>5</sup>, მაგ-

<sup>1</sup> *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 162; *The Salvation. Documents*, გვ. 85.

<sup>2</sup> *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 162.

<sup>3</sup> *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 162-163.

<sup>4</sup> *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 163.

<sup>5</sup> ძნელი სათქმელია, თუ ვინ თვლიდა საბჭოთა კავშირში სსრკ-ს ბუნებრივ საზღვრად ტრანსილვანიას (საერთოდ, ისიც საკითხავია,

რამ ამის მიღწევა არ იყო ადვილი. სტალინმა ხაზი გაუსვა, რომ სამხედრო თვალსაზრისით საზღვრები კი არ იყო მნიშვნელოვანი, არამედ ძლიერი არმია<sup>1</sup>. როგორც ჩანს, ეს არგუმენტი საკმაოდ დამაჯერებელი აღმოჩნდა დე გოლისათვის, რომელმაც მხოლოდ ის შენიშნა, რომ რაინის ოლქზე საერთაშორისო კონტროლის დამყარების შემთხვევაში საფრანგეთი სხვა სახელმწიფოების კეთილ ნებასა და მზადყოფნის დონეზე იქნებოდა დამოკიდებული<sup>2</sup>.

გაცილებით უფრო იოლად წარიმართა მსჯელობა გერმანიის აღმოსავლეთი საზღვრის საკითხზე. დე გოლი პრაქტიკულად განხილვის გარეშე დაეთანხმა სტალინის სურვილს, რომ გერმანია-პოლონეთის საზღვარს გაეწეო მდინარეებზე ოდერსა და ნოისეზე. გარდა ამისა, მან განაცხადა, რომ საფრანგეთი არ იქნებოდა აღმოსავლეთ პრუსიის პოლონეთისათვის გადაცემის წინააღმდეგი<sup>3</sup>.

შემოაღნიშნული საკითხების გარდა, სტალინმა საკმაოდ დაწვრილებით გამოჰკითხა დე გოლს, საფრანგეთში არსებული მდგომარეობისა მისი სამხედრო პოტენციალის შესახებ. გაირკვა, რომ საფრანგეთში მრეწველობის აღდგენა საკმაოდ რთულად მიმდინარეობდა, არმიას თითქმის არ ჰყავდა ოფიცრები, ხოლო ავიაცია პრაქტიკულად არ არსებობდა. სტალინმა შესთავაზა კიდევ დე გოლს, რომ დაუბრუნებდა მას საავიაციო პოლკ „ნორმანდიის“ პილოტებს, მაგრამ საფრანგეთის ლიდერმა უპასუხა, რომ ამ შენაერთს დიდი სარგებელი მოჰქონდა აღმოსავლეთის ფრონტზე. მაშინ სტალინმა მას შესთავაზა აღნიშნული პოლკის დივიზიად გადაკე-

---

თუ რამდენად სწორად შეიძლება ჩაითვალოს ტერმინი „სსრკ-ს ბუნებრივი საზღვარი“ ისტორიული თვალსაზრისით), მაგრამ კარპატებს საბჭოთა იმპერიის საზღვარი მთელ რიგ მონაკვეთებზე ომის შემდგომ გასცდა კიდევ. სტალინის ეს სიტყვები ერთგვარ ეჭვს გვიჩენს, ხომ არ სურდა მას რუმინეთის მთლიანად „ჩაყლაკვა“ და ერთ-ერთ საბჭოთა რესპუბლიკად გადაქცევა.

<sup>1</sup> *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 163.

<sup>2</sup> *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 163.

<sup>3</sup> *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 165-166; *The Salvation Documents*, გვ. 86.

თება. ეს იდეა დე გოლსაც მოეწონა და თანხმობაც განაცხადა ახალგაზრდა მფრინავების საბჭოთა კავშირში გამოგზავნაზე<sup>1</sup>.

საუბრის ბოლოს სტალინმა საუზმეზე მიიწვია დე გოლი, რომელმაც, თავის მხრივ, მაღლობა გადაუხადა საბჭოთა ლიდერს მიღებისათვის<sup>2</sup>.

მომდევნო დღეს რაიმე მოლაპარაკებებს უმაღლეს დონეზე თუ საგარეო საქმეთა მინისტრებს შორის ადგილი არ ჰქონია, თუმცა საღამოს, როდესაც ფრანგული დელეგაცია თეატრში იმყოფებოდა, მოლოტოვმა წამოჭრა საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის პაქტის რატიფიკაციის საკითხი. სსრკ-ს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ჯერ დეჟანს დაუსვა კითხვა, თუ რა პირობებში მოხდებოდა საფრანგეთში პაქტის რატიფიცირება და თუ მიიღებდა ამაში მონაწილეობას საფრანგეთის საკონსულტაციო ასამბლეა<sup>3</sup>. ფრანგმა დიპლომატმა მას ამცნო, რომ ასამბლევას მხოლოდ რჩევის მიცემა შეეძლო, რაც ჩანდა კიდევ მისი სახელწოდებიდან. მოლოტოვი, როგორც ჩანს, არ დაკმაყოფილდა პასუხით და ახლა უკვე ბიღოს მიმართა იგივე კითხვით. საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა იგივე განმარტება მისცა თავის საბჭოთა კოლეგას, მაგრამ ეს უკანასკნელი მაინც არ დაკმაყოფილდა და უკვე თავად დე გოლს შეეკითხა რატიფიკაციის თაობაზე. საფრანგეთის ლიდერმაც დაამოწმა თავისი ხელქვეითების პასუხი და დაუკონკრეტა კიდევ. მოლოტოვს, რომ 1943 წლის სსრკ-ჩეხოსლოვაკიის პაქტი რატიფიცირებულ იქნა მხოლოდ ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტის ედუარდ ბენეშის მიერ, რომელიც, ამასთან, ღროებით ასრულებდა თავის მოვალეობებს და თანაც ლონდონში იმყოფებოდა<sup>4</sup>. მხოლოდ ამის შემდეგ დაცხრა სსრკ-ს

---

<sup>1</sup> *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 160-161. ეს ნაწილი არ არის მოყვანილი შეხვედრის ამსახველ ფრანგულ დოკუმენტში, რომლის ჩაწერასაც გარო აწარმოებდა.

<sup>2</sup> *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 166; *The Salvation. Documents*, გვ. 86.

<sup>3</sup> *Ch. de Gaulle. Mémoires de guerre. Le Salut. 1944-1946. P., 1959*, გვ. 146; *Complete War Memoirs...*, გვ. 741.

<sup>4</sup> *Ch. de Gaulle. Mémoires de guerre. Le Salut*, გვ. 146; *Complete War Memoirs...*, გვ. 741.

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი, თუმცა, როგორც ჩანს, სტალინი ბოლომდე არ დაკმაყოფილდა ამ განმარტებით. ამას ადასტურებს მის მიერ იმავე დღეს ჩერჩილისა და რუზველტისათვის გაგზავნილი წერილი, რომელშიც ის მათ ამცნობდა დე გოლთან მოლაპარაკებების მიმდინარეობის შესახებ. საბჭოთა ლიდერმა „დიდი სამეულის“ სხვა წევრებს შეატყობინა, რომ ფრანგებს ჯერ კიდევ უნდა დაეზუსტებინათ რატიფიკაციასთან დაკავშირებული საკითხები<sup>1</sup>. აქვე სტალინი შეეხო საფრანგეთ-გერმანიის მომავალი საზღვრის საკითხს და ამცნო ჩერჩილსა და რუზველტს, რომ მან უარი უთხრა საფრანგეთის დროებითი მთავრობის მეთაურს ამ საკითხის გადაწყვეტაზე აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის თანხმობის გარეშე<sup>2</sup>. წერილის ბოლოს საბჭოთა ლიდერმა სთხოვა თავის კოლეგებს, რომ გამოეგზავნათ თავიანთი შენიშვნები აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით<sup>3</sup>.

5 დეკემბერს შედგა ოფიციალური საუბარი მოლოტოვსა და ბიდოს შორის, რომლის დროსაც მხარეები ძირითადად ხელშეკრულების პროექტს ათანხმებდნენ, თუმცა, უკვე შეხვედრის დასაწყისში, საბჭოთა მინისტრმა გააკეთა ერთი მეტად საინტერესო განცხადება, რომელმაც ცხადყო, რომ სტალინს გარკვეული გეგმა ჰქონდა შემუშავებული ფრანგებთან მიმართებაში. მოლოტოვმა ჯერ ამცნო თავის კოლეგას, რომ დუმბარტონ ოქსში საბჭოთა მხარემ მხარი დაუჭირა ახალი საერთაშორისო ორგანიზაციის მუდმივ წევრთა შორის საფრანგეთის შეყვანას. მან აქვე აღნიშნა, რომ სსრკ-მ აგრეთვე შესთავაზა დიდ ბრიტანეთსა და აშშ-ს, შეეყვანათ საფრანგეთის წარმომადგენელი ევროპის საკონსულტაციო კომისიაში<sup>4</sup>. ამის შემდეგ კი მოლოტოვმა მოულოდნელად განუცხადა ბიდოს, რომ საბჭოთა კავშირსა და საფრანგეთს კიდევ ჰქონდათ გადასადგმელი ნაბიჯები თავიანთი პოზიციების შესაჯერებლად სხვადასხვა საკითხზე, კერძოდ კი, პო-

<sup>1</sup> *Переписка...*, т. I, გვ. 285; *Переписка...*, т. II, გვ. 169-170.

<sup>2</sup> *Переписка...*, т. I, გვ. 285; *Переписка...*, т. II, გვ. 169.

<sup>3</sup> *Переписка...*, т. I, გვ. 285; *Переписка...*, т. II, გვ. 170.

<sup>4</sup> *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 168-169. ფრანგულ დოკუმენტებში მხოლოდ დე გოლისა და სტალინის საუბრების ჩანაწერებია მოყვანილი, თანაც არასრულად – თ.ჰ.

ლონეთის შესახებ<sup>1</sup>. ჩვენი ყურადღება სწორედ ამ გარემოებამ მიიქცია. როგორც შემდგომმა მოლაპარაკებებმა ცხადყო, საბჭოთა მხარის მოქმედება შემთხვევითი არ იყო. საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს, როგორც ჩანს, თავიდან მაინცდამაინც არ გაუმახვილებია ყურადღება ამ ფაქტზე და მხოლოდ აღნიშნა, რომ მისი ქვეყანა დაინტერესებული იყო ძლიერი პოლონეთით და მას არ ჰქონდა რაიმე შენიშვნები პოლონეთის საზღვრებთან დაკავშირებით<sup>2</sup>. შესაძლოა, ფრანგულ დელეგაციას იმედი ჰქონდა, რომ პოლონეთის თემა ამით ამოწურული იქნებოდა, მაგრამ საუბრისას გაირკვა საბჭოთა მხარის ნამდვილი მიზანი. პაქტის პროექტის განხილვის დასრულების შემდეგ მოლოტოვი კვლავ დაუბრუნდა პოლონეთის საკითხს და ჰკითხა ფრანგული დელეგაციის წევრებს (შეხვედრას გარო და დეჟანიც ესწრებოდნენ — თ.პ.), თუ შეესაბამებოდა სიმართლეს ფრანგული მხარის სურვილი, გაეზავნა ლუბლინში, სადაც განთავსებული იყო პოლონეთის ეროვნული განთავისუფლების კომიტეტი, ორი ფრანგი ოფიცერი, რომლებიც იზრუნებდნენ განთავისუფლებულ ფრანგ ტყვეებზე და, ამავე დროს, მიეღო პარიზში პეკ-ს ოფიციალური წარმომადგენელი<sup>3</sup>. ბილომ და გარომ დაადასტურეს ეს ინფორმაცია, რის შემდეგაც სსრკ-ს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა მოულოდნელად შესთავაზა მათ, გაეცვალათ ოფიციალური წარმომადგენლები ლუბლინელ პოლონელებთან და აღნიშნა, რომ მსგავსი აქტი გაადვილებდა ხელშეკრულების გაფორმებას საბჭოთა კავშირსა და საფრანგეთს შორის<sup>4</sup>. აქ უკვე ნათელი გახდა საბჭოთა მხარის ჭეშმარიტი მიზანი: მოეხდინა მის მიერ შეკოწიწებული პოლონეთის მარიონეტული მთავრობის საერთაშორისო ცნობა.

<sup>1</sup> *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 169.

<sup>2</sup> *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 169.

<sup>3</sup> *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 171.

<sup>4</sup> *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 171-172. როგორც ჩანს, ფრანგულ მხარეს ასეთი შესაძლებლობა გათვალისწინებული ჰქონდა. ყოველ შემთხვევაში, ამას ამტკიცებს თავად დე გოლი, თუმცა, მისი თქმით, მას სურდა საბოლოოდ დაზუსტება, თუ რისი გაკეთება სურდა სტალინს პოლონეთში (იხ.: Charles de Gaulle. War Memoirs. The Salvation, გვ. 73).

უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოური ისტორიოგრაფია ყველანაირად ცდილობდა, არ „შექმნია“ აღნიშნული ფაქტი. მკვლევართა დიდი უმრავლესობა არც იხსენიებდა იმ გარემოებას, რომ სტალინმა და მოლოტოვმა საფრანგეთსა და სსრკ-ს შორის პაქტის გაფორმება პირდაპირ მიაბეს პეგკ-ს ოფიციალური ცნობის საკითხს<sup>1</sup>. ასე, მაგალითად, ვ. ისრაელიანმა მხოლოდ აღნიშნა, რომ დე გოლის ვიზიტის დროს გამართული შეხვედრებისას მიმდინარეობდა საუბარი პოლონეთის პრობლემაზე, თუმცა რა ვითარებაში და როგორ, არ დაუკონკრეტებია. უფრო მეტიც, მან ისიც კი განაცხადა, რომ ამ საკითხზე არანაირი გადაწყვეტილებები არ იქნა მიღებული<sup>2</sup>.

ჩვენი აზრით, სტალინმა ჩერჩილთან მოსკოვში გამართული მოლაპარაკებების დასრულების შემდეგ ერთგვარად შეიცვალა პოზიცია პოლონეთის საკითხზე. სავარაუდოდ, ეს გამოწვეული უნდა ყოფილიყო ლონდონის პოლონურ მთავრობაში მომხდარი სერიოზული გადაადგილებებით. 1944წ. ნოემბრის ბოლოს ემიგრანტული მთავრობის პრემიერ მინისტრი მიკოლაიჩიკი იძულებული გახდა, გადამდგარიყო და მისი ადგილი დაიკავა ტომაშ არციშევსკიმ. მიკოლაიჩიკის გადადგომის მთავარი მიზეზი გახდა მისი თანხმობა პოლონეთის აღმოსავლეთ საზღვრად კერზონის ხაზის განსაზღვრაზე. ახალმა მთავრობამ კატეგორიული უარი განაცხადა საბჭოთა მხარის ამ მოთხოვნაზე, რამაც სტალინს, როგორც ჩანს, საბოლოოდ გადააწყვეტინა მათი ბედი. ყოველ შემთხვევაში, აქედან მოყოლებული ის გაცილებით უფრო აქტიურად უჭერდა მხარს მის მიერვე შექმნილ პოლონეთის ეროვნული განთავისუფლების კომიტეტს და ეს მკაფიოდ სწორედ დე გოლის მოსკოვში

<sup>1</sup> გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ოფიციალური საბჭოთა გამოცემა „История дипломатии“, თუმცა აქაც არის მნიშვნელოვანი უზუსტობა, თითქოს ჯერ შეთანხმებული იქნა საფრანგეთის დროებით მთავრობასა და პეგკ-ს შორის არაოფიციალური წარმომადგენლების გაცელა და მხოლოდ შემდეგ იქნა გაფორმებული პაქტი (იხ: *История дипломатии*, т. IV, გვ. 518-519).

<sup>2</sup> В. Л. Исраэлян. *Дипломатическая история Великой Отечественной войны*. М., 1959, გვ. 269-270; В. Л. Исраэлян. *Дипломатия в годы войны*. М., 1985, გვ. 318-319.



ვიზიტისას გამოვლინდა.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა დიპლომატიურად თავი შეიკავა კონკრეტული პასუხის გაცემისაგან და აღნიშნა, რომ საფრანგეთის მთავრობა არ გადადგამდა ისეთ ნაბიჯებს, რომლებიც არ იქნებოდა შეთანხმებული მოკავშირეებთან და რომ ის შეწუხებული იყო ლონდონისა და ლუბლინის პოლონურ მთავრობებს შორის არსებული დაპირისპირებით. აქვე ბილომ შენიშნა, რომ საკითხის ამგვარად დაყენება მისთვის სიახლე იყო და პირადი შეხედულებით მისი დადებითად გადაწყვეტა შესაძლებლად ჩათვალა<sup>1</sup>.

მოლოტოვი არ დაკმაყოფილდა ბილოს პასუხით და პირდაპირ განუცხადა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს, რომ საბჭოთა მხარე ერთმანეთს უკავშირებდა სსრკ-საფრანგეთის ხელშეკრულების დადებასა და პოლონეთსა და საფრანგეთს შორის ოფიციალური კონტაქტების გაფორმებას და ამ პროცესებს ერთდროულად გადასაწყვეტად მიიჩნევდა<sup>2</sup>. პასუხად ბილომ შენიშნა, რომ ის არ თვლიდა აუცილებლად პაქტის დაკავშირებას რაიმე წინაპირობასთან. აქვე მან აღნიშნა, რომ ფრანგებსაც სურდათ ზოგიერთი საკითხის, პირველ რიგში, რაინზე საზღვრის, სასწრაფოდ გადაწყვეტა<sup>3</sup>. გარომ, თავის მხრივ, დაამატა, რომ ფრანგები ისედაც ყველა სხვა მოკავშირეზე შორს იყვნენ წასული ლუბლინის მთავრობასთან დაკავშირებით, რაზეც მეტყველებდა მათი კონტაქტები პეგას წევრებთან და წინადადება არაოფიციალური წარმომადგენლების გაცვლის შესახებ, რომელზეც პასუხი ჯერ კიდევ არ იყო მიღებული<sup>4</sup>.

მოლოტოვმა აქ ოდნავ დაიხია უკან და აღნიშნა, რომ ის არ სთხოვდა ფრანგებს, ურთიერთობა გაეწყვიტათ ლონდონის ემიგრანტულ მთავრობასთან, თუმცა პირდაპირ უთხრა მათ, თუ რატომ არ იყო პასუხი მიღებული ლუბლინიდან. მისი თქმით, პოლონელებს არ აკმაყოფილებდათ შეთავაზებული პირობები. სა-

<sup>1</sup> *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 172.

<sup>2</sup> *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 172.

<sup>3</sup> *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 172.

<sup>4</sup> *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 172.

უბრის დასასრულს კი სსრკ-ს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა კიდევე ერთხელ განუმარტა ფრანგულ დელეგაციას, რომ პოლონეთის საკითხში პოზიციების თანხვედრა იქნებოდა საბჭოთა კავშირსა და საფრანგეთს შორის ხელშეკრულების დადების მთავარი პირობა<sup>1</sup>. აქ ბილოს, როგორც ჩანს, ბოლოს და ბოლოს აზრად მოუვიდა, განეცხადებინა, რომ დე გოლის თანხმობის გარეშე მას არ შეეძლო რაიმე გადაწყვეტილების მიღება, თუმცა მან იქვე, ჩვენი აზრით, საკმაოდ სერიოზული შეცდომა დაუშვა. საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა აღნიშნა, რომ ურთიერთობები ლონდონის ემიგრანტულ მთავრობასთან სამუდამო ხასიათს არ ატარებდა და რომ პირადად ის არ ხედავდა რაიმე ხელისშემშლელ გარემოებას, რათა აღნიშნული საკითხი არ გადაწყვეტილიყო<sup>2</sup>. ეს ნამდვილად არ იყო სწორი ნაბიჯი, რადგანაც ამით ფრანგმა დიპლომატმა აგრძნობინა საბჭოთა მხარეს, რომ მათთვის პაქტის დადება უპარესად მნიშვნელოვანი იყო და ყველა დანარჩენი საკითხი პრინციპულ ხასიათს არ ატარებდა.

აღნიშნული საუბარი ამით დასრულდა და დებატები გაგრძელდა მომდევნო დღეს, მთავრობათა მეთაურების მორიგი შეხვედრისას. დე გოლმა საუბარი სწორედ პოლონეთის საკითხით დაიწყო და საკმაოდ ვრცლად ისაუბრა საფრანგეთისა და პოლონეთის ისტორიულ მოკავშირეობაზე, პოლონეთის მომავალ საზღვრებზე, რის შემდეგაც გადავიდა პრობლემაზე, რომელიც აწუხებდა სტალინს<sup>3</sup>. უნდა აღინიშნოს, რომ აქ საფრანგეთის ლიდერი წარმოჩინდა, როგორც კარგი დიპლომატი, რადგანაც მისი პასუხი იმდენად დაბალანსებული იყო, რომ სტალინმა ვერ მოახერხა თავისი სურვილის დაფიქსირება და პოლონეთის საკითხის მიბმა სსრკ-საფრანგეთის ხელშეკრულებასთან. დე გოლმა შენიშნა, რომ საფრანგეთის მთავრობას ჯერ კიდევ სიკორსკის<sup>4</sup> დროიდან ჰქონდა დამყარებული დიპლომატიური ურთიერთობები

<sup>1</sup> *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 172-173.

<sup>2</sup> *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 173.

<sup>3</sup> *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 176-177.

<sup>4</sup> ვლადისლავ სიკორსკი იყო პოლონეთის ემიგრანტული მთავრობის პრემიერ მინისტრი 1939-1943 წლებში. ის დაიღუპა 1943წ. ივლისში ავიაკატასტროფაში ჰიბრალტარის მახლობლად.

პოლონეთის ემიგრანტულ მთავრობასთან და იქვე დასძინა, რომ ფრანგებს არ გააჩნდათ რაიმე პრაქტიკული ან მატერიალური შეხება მასთან, რადგანაც ეს პოლონელები იმყოფებოდნენ ლონდონში და არა პოლონეთში. საფრანგეთის ლიდერმა განაცხადა, რომ მისი მთავრობა თვალყურს მიადევნებდა მოვლენების განვითარებას პოლონეთში და როდესაც ამ სახელმწიფოს ტერიტორია მთლიანად იქნებოდა განთავისუფლებული საბჭოთა ჯარების მიერ, გამოიყენებდა თავის გავლენას და მაქსიმალურად ხელს შეუწყობდა ორ პოლონურ დაჯგუფებას შორის საერთო ენის გამოწვევას. ის შეეცდებოდა აგრეთვე, უზრუნველყო სსრკ-სა და საფრანგეთის მიმართ პოლონეთის მხრიდან მეგობრული პოზიციის დაკავება<sup>1</sup>.

დე გოლის ვრცელი გამოსვლა იმდენად ზოგადი იყო და იმდენად ოსტატურად აგებული, რომ სტალინი, როგორც ჩანს, არ აღმოჩნდა მზად საკითხის ამგვარად დასმისათვის და მცირე ტაიმაუტი აიღო პოლონეთის პრობლემასთან დაკავშირებით. მან აქცენტი გადაიტანა ე.წ. „დასავლეთის ბლოკზე“ და ჰკითხა დე გოლს, თუ რა იყო ეს<sup>2</sup>. საფრანგეთის ლიდერი არ დააბნია სტალინის შეკითხვამ და განაცხადა, რომ ასეთი კავშირი არ არსებობდა და თუ შეიქმნებოდა, ეს არ იქნებოდა ბლოკი. მან ხაზი

---

<sup>1</sup> *Советско-французские отношения.*, т. II, გვ. 177; *The Salvation. Documents*, გვ. 88-89.

<sup>2</sup> *Советско-французские отношения.*, т. II, გვ. 178; *The Salvation. Documents*, გვ. 89. „დასავლეთის ბლოკის“ იდეა ეფუძნებოდა საფრანგეთისა და ინგლისის კავშირის შექმნას, რომელსაც შეუერთდებოდა რამდენიმე მცირე სახელმწიფო. ბლოკი მიმართული უნდა ყოფილიყო გერმანიის წინააღმდეგ, თუ ეს უკანასკნელი კვლავ დაიწყებდა მეზობლების წინააღმდეგ აგრესიულ ქმედებებს, თუმცა ამ იდეას აღფრთოვანებით არც საბჭოთა კავშირი შეხვედრია. უფრო მეტიც, მოგვიანებით, როდესაც 1948წ. მართლაც შეიქმნა „დასავლეთის კავშირი“ – სამხედრო-პოლიტიკური გაერთიანება დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, ბელგიის, ჰოლანდიისა და ლუქსემბურგის შემადგენლობით, ამან საბჭოთა მხარის უკიდურესი გაღიზიანება გამოიწვია. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „დასავლეთის კავშირის“ იდეა არც 1944წ. იყო საბჭოთა ლიდერისათვის მისაღები და სწორედ ამიტომ წამოჭრა მან ეს საკითხი დე გოლთან მოლაპარაკებების დროს.

გაუსვა, რომ ევროპაში შეედლო ვარსება მხოლოდ იმ სახელმწიფოთა ბლოკს, რომელთაც არ სურდათ, გამხდარიყვნენ გერმანიის აგრესიის მსხვერპლი<sup>1</sup>. სწორედ ამიტომ, მისი თქმით, საფრანგეთმა არჩია ხელშეკრულების გაფორმება საბჭოთა კავშირთან, თუმცა მას შეედლო მიემართა უშუალო მეზობლებისათვის. დე გოლმა აღნიშნა, რომ მხოლოდ დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და სსრკ-ს ალიანსი შეიძლებოდა აღქმულიყო ევროპულ ბლოკად<sup>2</sup>. როგორც ჩანს, სტალინი დააკმაყოფილა დე გოლის პოზიციამ ამ საკითხზე და დაადასტურა საბჭოთა მხარის ინტერესი საფრანგეთ-რუსეთის პაქტის დადებისადმი. მან გამოთქვა ვარაუდი, რომ რამდენიმე დღეში ეს საქმე დასრულებული იქნებოდა<sup>3</sup>.

ამის შემდეგ სტალინი მიუბრუნდა პოლონეთის საკითხს. მან საკმაოდ ვრცლად ისაუბრა რუსებისა და პოლონელების ოდინდელი სიძულვილის მიზეზებზე. აქვე საბჭოთა ლიდერმა აღნიშნა, რომ საფრანგეთის დამოკიდებულება პოლონეთის მიმართ ყოველთვის დადებითი იყო სხვა დიდი სახელმწიფოებისაგან განსხვავებით და იმედი გამოთქვა, რომ საფრანგეთის მოქმედი მთავრობის პოზიციაც უფრო პოზიტიური იქნებოდა, ვიდრე დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების<sup>4</sup>. სტალინმა განაცხადა, რომ ინგლისელები, რომელთაც მჭიდრო კავშირი ჰქონდათ პოლონეთის ემიგრანტულ მთავრობასთან, გარკვეულწილად დაიბნენ, ისევე როგორც ეს მათ დაემართათ იუგოსლავიაში მიხაილოვიჩთან მიმართებაში. მისი თქმით, სავსებით შესაძლებელი იყო, რომ, მსგავსად მიხაილოვიჩისა, რომელიც საკუთარ ქვეყანაშიც კი ვერ ბრუნდებოდა, არც პოლონელი ჟიროები და ლავა-

<sup>1</sup> საინტერესოა, რომ 1944წ. დე გოლისათვის არსებული ერთადერთი მტერი – გერმანია, 1958წ. იქცა ერთადერთ... მეგობრად (A. Grosser. La Politique extérieure de la Cinquième République. P., 1965, გვ. 5; A. Grosser. French Foreign Policy under de Gaulle. Boston, MA, 1967, გვ. 6).

<sup>2</sup> *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 178-179; *The Salvation. Documents*, გვ. 89-91.

<sup>3</sup> *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 179. ფრანგულ ჩანაწერში სტალინის ვარაუდი არ გეხვდება.

<sup>4</sup> *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 180; *The Salvation. Documents*, გვ. 91-92.

ლები მიეშვა ადგილობრივ მოსახლეობას პოლონეთში<sup>1</sup>. აქ უკვე სტალინმა დე გოლს იმის მოყოლა დაუწყო, თუ როგორ იყო გაბრაზებული პოლონეთის მოსახლეობა ლონდონის მთავრობაზე, რადგანაც ისინი არ იმყოფებოდნენ ქვეყანაში მისი განთავისუფლების პერიოდში. მან ხაზი გაუსვა მიწის რეფორმასაც, რომელსაც ატარებდნენ პოლონეთში<sup>2</sup>, თუმცა ძნელი სათქმელია, რომ საფრანგეთის ლიდერზე ამ დემაგოგიურმა განცხადებებმა რაიმე გავლენა იქონია. დე გოლმა მშვიდად განუცხადა სტალინს, რომ პოლონეთის განთავისუფლების შემდეგ ნათელი გახდებოდა, თუ როგორი იყო პოლონელების დამოკიდებულება ლონდონისა და ლუბლინის მთავრობებისადმი. მან აქვე აღნიშნა, რომ საფრანგეთის მთავრობას ჰქონდა ურთიერთობები ემიგრანტულ მთავრობასთან, ხოლო სხვა მთავრობას სცნობდა მხოლოდ დანარჩენ მოკავშირეებთან შეთანხმებით და განაცხადა, რომ სწორედ ასე მოიქცა საბჭოთა ხელისუფლებაც, როდესაც თავად საფრანგეთის დროებითი მთავრობის ცნობის საკითხი იდგა დღის წესრიგში<sup>3</sup>. გარდა ამისა, დე გოლმა სტალინი დაიჭირა უზუსტობაში და შენიშნა, რომ ლავალისა და ჟიროს ერთ ტაფაში მოხარშვა არ შეიძლებოდა, რადგანაც მათ შორის საკმაოდ დიდი სხვაობა იყო. მან შეახსენა საბჭოთა ლიდერს, რომ ლავალი თანამშრომლობდა გერმანელებთან, ჟირო კი — არა<sup>4</sup>. სტალინიც დაეთანხმა დე გოლს და განაცხადა, რომ ის არ ურევდა ერთმანეთში ლავალსა და ჟიროს<sup>5</sup>. საინტერესოა, რომ ამით ძირითადი საკითხის განხილვა დასრულდა და მხარეებმა მეორეხარისხოვან თემებზე — მდგომარეობა ბალკანეთსა და ცენტრალურ ევროპაში, საერთაშო-

<sup>1</sup> *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 180; *The Salvation. Documents*, გვ. 91.

<sup>2</sup> *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 180-181; *The Salvation. Documents*, გვ. 92.

<sup>3</sup> *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 181-182; *The Salvation. Documents*, გვ. 93.

<sup>4</sup> *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 182; *The Salvation. Documents*, გვ. 93.

<sup>5</sup> *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 182; *The Salvation. Documents*, გვ. 93.

რისო ორგანიზაციასთან დაკავშირებული საკითხები — განაგრძეს საუბარი<sup>1</sup>. ჩვენი აზრით, ეს არ არის შემთხვევითი. სტალინი აშკარად მიხვდა, რომ მოლაპარაკებების ეს რაუნდი ღე გოლის უპირატესობით წარიმართა და მომავლისათვის გადაღო ძირითადი პრობლემის გადაწყვეტა.

მომდევნო დღეს, 7 დეკემბერს, შედგა მოლოტოვისა და ბიდოს კიდევ ერთი შეხვედრა. მინისტრების საუბრისას გაირკვა, რომ საბჭოთა მხარის პოზიციაში ერთგვარი ტრანსფორმაცია მოხდა. ფორმალურად სსრკ-ს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ამის მიზეზად გამოაცხადა ჩერჩილის მიერ სტალინისათვის გამოგზავნილი წერილი. აღნიშნულ ბარათში ბრიტანეთის პრემიერი სთავაზობდა საბჭოთა ლიდერს, დადებულიყო სსრკ-ინგლის-საფრანგეთის სამმხრივი შეთანხმება, რომელშიც შევიდოდა მოქმედი საბჭოთა კავშირ-ლიდი ბრიტანეთის ხელშეკრულება<sup>2</sup>. აქ აუცილებლად უნდა შევნიშნოთ, რომ ჩერჩილის მხრიდან ასეთი იდეის წამოჭრა შემთხვევითი სულაც არ იყო. ოფიციალური ლონდონი მეტად შეშფოთებული დარჩა საბჭოთა კავშირსა და საფრანგეთს შორის სავარაუდო ხელშეკრულების დადების შესახებ-ლობით. ინგლისელები შეშინდნენ, რომ საფრანგეთსა და სსრკ-ს შორის სამოკავშირეო ხელშეკრულების გაფორმება შეასუსტებდა ბრიტანელთა გავლენას ევროპაში. სწორედ ამიტომ ლონდონში გადაწყდა ინიციატივის ხელში ჩაგდება და სამმხრივი პაქტის იდეის წამოყენება<sup>3</sup>. ჩერჩილისაგან განსხვავებით, რუზველტი მაინცდამაინც არ შეშფოთებულა სსრკ-საფრანგეთის პაქტით და აცნობა სტალინს, რომ ის არ იქნებოდა წინააღმდეგი, თუ ასეთი ხელშეკრულება გაფორმებული იქნებოდა<sup>4</sup>.

ჩვენი აზრით, საბჭოთა მხარე მთლად გულწრფელი არ იყო, როდესაც პოზიციის შეცვლის მიზეზად ჩერჩილის წერილს ასახელებდა. მთავარი გარემოება, რამაც გამოიწვია საბჭოთა მხა-

<sup>1</sup> *Советско-французские отношения...* т. II, გვ. 182-185; *The Salvation Documents*, გვ. 93-96.

<sup>2</sup> *Переписка...* т. I, გვ. 285.

<sup>3</sup> A. Daff Cooper. *Old Men Forget*, გვ. 342

<sup>4</sup> *Переписка...* т. II, გვ. 170.

რის პოზიციის ტრანსფორმაცია, იყო დე გოლის მიერ სერიოზული წინააღმდეგობის გაწევა პოლონეთის ეროვნული განთავისუფლების კომიტეტის ცნობის საკითხში. ამის მტკიცების საფუძველს ჩვენ გვაძლევს ის ფაქტი, რომ წერილი სტალინმა მიიღო 5 დეკემბერს და ძნელი დასაჯერებელია, თითქოს მან ის მხოლოდ ერთი დღის შემდეგ წაიკითხა, როგორც ამას უმტკიცებდა მოლოტოვი ბიდოს<sup>1</sup>. საინტერესოა, რომ აქ სსრკ-ს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ერთგვარად საკუთარ ტყუილშივე გაება, რადგანაც იქვე აღნიშნა, თითქოს ამ საკითხზე იმსჯელებს სტალინმა და დე გოლმა წინა საღამოს, ანუ იმ დროს, როდესაც, მოლოტოვისავე თქმით, საბჭოთა ლიდერს წერილი ჯერ წაკითხული არ უნდა ჰქონოდა<sup>2</sup>. საბჭოთა ჩანაწერში არ არის დაფიქსირებული ასეთი განხილვა. მასში მხოლოდ გვხვდება დე გოლის ფრაზა, რომ „ბლოკი მოსკოვი-პარიზი-ლონდონი ნამდვილი ევროპული ბლოკი იქნებოდა“<sup>3</sup>, თუმცა ეს საკითხის წამოჭრასაც არ ნიშნავდა, რადგანაც საფრანგეთის ლიდერი უბრალოდ მსჯელობდა გერმანიის საწინააღმდეგო კოალიციის შექმნაზე. მოლოტოვმაც იცოდა ამის შესახებ, რადგანაც მან აღნიშნა, რომ ეს აზრი საკმაოდ ახლოს იყო ჩერჩილის იდეასთან, რომელიც, მისი თქმით, სტალინმა დადებითად შეაფასა<sup>4</sup>.

საბჭოთა მხარის მიერ სამმხრივი პაქტის იდეის წამოყენება ფრანგებისათვის მეტად მოულოდნელი გამოდგა. ბილო მძიმე სიტუაციაში აღმოჩნდა, რადგანაც ვერც იწონებდა ამგვარ შემოთავაზებას და ვერც ღიად უარყოფდა, თუმცა, სავარაუდოდ, მისი დამოკიდებულება ნამდვილად არ იყო დადებითი. მან მხოლოდ ის აღნიშნა, რომ საფრანგეთს მოსაგვარებელი ჰქონდა ზოგიერთი საკითხი ინგლისთან და არ სურდა უბრალოდ შეერთებოდა სსრკ-დიდი ბრიტანეთის 1942წ. ხელშეკრულებას<sup>5</sup>. როდესაც მოლოტოვმა შესთავაზა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს, პირდაპირ გა-

<sup>1</sup> *Советско-французские отношения.*, т. II, გვ. 186.

<sup>2</sup> *Советско-французские отношения.*, т. II, გვ. 186.

<sup>3</sup> *Советско-французские отношения.*, т. II, გვ. 179.

<sup>4</sup> *Советско-французские отношения.*, т. II, გვ. 187.

<sup>5</sup> *Советско-французские отношения.*, т. II, გვ. 187.

დასულიყენენ სამმხრივი პაქტის მუხლების შეთანხმებაზე და თავი დაენებებინათ ორმხრივი ხელშეკრულებისათვის, ბილომ მართლაც მიანიჭა უპირატესობა ამგვარ ვარიანტს, მაგრამ შემდეგ ითხოვა დრო, რათა ემცნო დე გოლისათვის საბჭოთა მხარის სურვილები. აქვე მან მაინც მოისურვა ორმხრივ ხელშეკრულების პროექტის განხილვა, რომელთან დაკავშირებითაც მომზადებული ჰქონდა გარკვეული შენიშვნები. მოლოტოვიც დაეთანხმა ბილოს და შეხვედრის თითქმის მთელი დარჩენილი ნაწილი მხარეებმა ტექსტის შეთანხმებას მოანდომეს<sup>1</sup>. საუბრის მიწურულს კი სსრკ-ს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ჰკითხა თავის ფრანგ კოლეგას, ხომ არ ჰქონდა მას პასუხი პეგკ-ს ოფიციალურ ცნობასთან დაკავშირებით, რაზეც ბილომ შეახსენა მოლოტოვს, რომ დე გოლმა წინაღობით სტალინს უკვე გააცნო თავისი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი<sup>2</sup>. ამით 7 დეკემბრის შეხვედრა დასრულდა, თუმცა მასზე წამოჭრილი საკითხი სამმხრივი პაქტის შესახებ იმდენად მნიშვნელოვნად ეჩვენა დე გოლს, რომ ის იმავე დღეს სასწრაფოდ შეხვდა ბოგომოლოვს და სთხოვა მას, გადაეცა საბჭოთა მხარისათვის მისი აზრი აღნიშნული იდეის მიმართ. საფრანგეთის ლიდერმა ფაქტობრივად აგრძნობინა საბჭოთა ელჩს, რომ მას არ მოსწონდა ეს იდეა და სურდა ორმხრივი შეთანხმების გაფორმება სსრკ-სთან<sup>3</sup>.

აღნიშნული საკითხი ძირითადი აღმოჩნდა სტალინის და დე გოლის ბოლო ოფიციალური საუბრისას, რომელიც 8 დეკემბერს შედგა. შეხვედრამ საკმაოდ დაძაბულ ვითარებაში ჩაიარა, თუმცა გარეგნულად ორივე ლიდერი კორექტულობას ინარჩუნებდა. დე გოლმა ვერცლად ისაუბრა საფრანგეთისა და რუსეთის ინტერესების თანხვედრაზე და, ამავე დროს, ზაზი გაუსვა ინგლისის, როგორც მოკავშირის, არასაიმედოობას<sup>4</sup>. სტალინმა და-

<sup>1</sup> *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 188-190.

<sup>2</sup> *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 191.

<sup>3</sup> *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 192-195; *The Salvation Documents*, გვ. 96-97.

<sup>4</sup> *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 196-198; *The Salvation Documents*, გვ. 98.



იცვა ინგლისელები ამ თვალსაზრისით, მაგრამ შემდეგ დაეთანხმა საფრანგეთის ლიდერს, რომ აუცილებელი იყო უფრო მჭიდრო კავშირი ორ ქვეყანას შორის<sup>1</sup>. აქვე მან ხაზი გაუსვა, რომ ეს კავშირი ხელსაყრელი იყო საბჭოთა მხარისათვის, მაგრამ ბევრად უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა ფრანგებისათვის, რომლებსაც მისცემდა დამოუკიდებელი პოლიტიკის წარმოების საშუალებას, რაშიც მათ ხელს უშლიდა ზოგიერთი სახელმწიფო<sup>2</sup>. მიუხედავად ამისა, სტალინმა კიდევ ცოტა ხანს ილაპარაკა სამმხრივ პაქტზე და შენიშნა, რომ ამ იდეაზე უარის თქმის შემთხვევაში ბრიტანეთის პრემიერ მინისტრი ნაწყენი დარჩებოდა<sup>3</sup>. საბჭოთა ლიდერმა თითქოს უკვე გადაწყვიტა, რომ იქნებოდა მხოლოდ სამმხრივი შეთანხმება, მაგრამ სულ რაღაც ერთი წუთის შემდეგ ის მოულოდნელად კვლავ პოლონეთის საკითხს დაუბრუნდა. სტალინმა დაუფარავად უთხრა დე გოლს, რომ თუ ფრანგები გაცვლიდნენ წარმომადგენლებს პოლონეთის ეროვნული განთავისუფლების კომიტეტთან, მაშინ ორ ქვეყანას შორის ხელშეკრულება გაფორმებული იქნებოდა მიუხედავად იმისა, როგორი რეაქცია ექნებოდა ამაზე ჩერჩილს<sup>4</sup>. საფრანგეთის ლიდერმა ამ შეთავაზებაზე ერთგვარი სარკაზმით შენიშნა, რომ, როგორც ჩანდა, სტალინი ხანდახან აწყენინებდა ხოლმე ჩერჩილს, რაზეც პასუხად მიიღო, რომ ეს დროდადრო მართლაც ხდებოდა, თუმცა ამგვარ შემთხვევებს პირიქითაც ჰქონდა ადგილი, რისი დასტურიც იყო მათი მიმოწერა<sup>5</sup>.

საბჭოთა ლიდერის წინადადებას ფრანგულმა დელეგაციამ

---

<sup>1</sup> *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 198; *The Salvation. Documents*, გვ. 100.

<sup>2</sup> *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 198-199. სტალინის ეს გამონათქვამი, რომელშიც მას, საგარაუდოდ, მხედველობაში ჰყავდა აშშ და დიდი ბრიტანეთი, არ გეხვდება ფრანგულ ჩანაწერში – თ.პ.

<sup>3</sup> *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 200. ფრანგულ ჩანაწერში ეს მონაკვეთი არ გეხვდება.

<sup>4</sup> *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 200; *The Salvation. Documents*, გვ. 100.

<sup>5</sup> *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 200; ფრანგულ ჩანაწერში არც ეს მონაკვეთი გეხვდება.

დუმილით უპასუხა. დე გოლმა და ბილომ თითქოს არც შეიმჩნიეს ეს შეთავაზება. საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა კვლავ ისაუბრა ორმხრივი პაქტის უდავო უპირატესობაზე სამმხრივთან შედარებით. აქ უკვე სტალინმა დატოვა უპასუხოდ ეს მონოლოგი და მცირე პაუზის შემდეგ ჰკითხა ფრანგთა ლიდერს, თუ როდის მიემგზავრებოდა ის შინ<sup>1</sup>. ეს ფაქტობრივად მოლაპარაკებების ჩინში შესვლას ნიშნავდა. ამის შემდეგ საუბარი გაგრძელდა საბჭოთა საავიაციო ქარხნების მოწყობილობასა და მათ შესაძლებლობებზე და მხოლოდ დასასრულისკენ შენიშნა სინანულით დე გოლმა, რომ ორმხრივი შეთანხმების მიღწევა ვერ ხერხდებოდა<sup>2</sup>. მან უკანასკნელად სცადა, აეხსნა სტალინისათვის, რომ ფრანგები ცუდად იცნობდნენ ლუბლინში განთავსებულ კომიტეტს და რომ მათ სჭირდებოდათ დრო სიტუაციაში გასარკვევად, მაგრამ საბჭოთა ლიდერმა ყურადღებაც არ მიაქცია დე გოლის განმარტებებს და უბრალოდ ჰკითხა, ხომ არ ჰქონდა მას კიდევ კითხვები<sup>3</sup>. ეს აუდიენციის დასასრულს ნიშნავდა და, ბუნებრივია, რომ საფრანგეთის ლიდერიც მიხვდა ამას. ერთი შეხედვით, დე გოლის ვიზიტი მოსკოვში თითქოს უშედეგოდ მთავრდებოდა, მაგრამ მოკლე ხანში ვითარება შეიცვალა.

იმავე საღამოს ბილო და გარო კიდევ ერთხელ შეხვდნენ მოლოტოვს და სთხოვეს მას ერთი საკითხის დაზუსტება. მათი თქმით, დე გოლმა გაიგო, თითქოს სტალინი მას ლუბლინის მთავრობის ცნობის სანაცვლოდ სთავაზობდა ხელშეკრულების გაფორმებას სსრკ-ს, საფრანგეთსა და პეგკ-ს შორის. თავად ბილო და გარო ვერ იხსენებდნენ ამგვარ განცხადებას და მიაჩნდათ, რომ ლუბლინელ პოლონელებთან წარმომადგენლობების გაცვლის შემთხვევაში გაფორმდებოდა საფრანგეთ-სსრ კავშირის ორმხრივი ხელშეკრულება<sup>4</sup>. მოლოტოვმა დაუდასტურა ფრანგ დიპლომატებს,

<sup>1</sup> *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 201.

<sup>2</sup> *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 201-202; *The Salvation. Documents*, გვ. 100.

<sup>3</sup> *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 202.

<sup>4</sup> *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 202-203. ჩვენნი აზრით, აქ არანაირ გაუგებრობას ადგილი არ ჰქონდა და ეს იყო მხოლოდ დიპლომატიური ნაბიჯი ფრანგული დელეგაციის მხრიდან, რომე-

რომ საუბარი მხოლოდ საბჭოთა კავშირსა და საფრანგეთს შორის შეთანხმებაზე მიდიოდა<sup>1</sup>. ბილომ პასუხად განაცხადა, რომ ეს ცვლიდა საქმის ვითარებას. მან გამოთქვა იმედი, რომ ასეთ შემთხვევაში საკითხი სწრაფად იქნებოდა გადაწყვეტილი. გარდა ამისა, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა აცნობა საბჭოთა დიპლომატს, რომ დე გოლი მეორე დღეს შეხვდებოდა პეკეს-ს წარმომადგენლებს<sup>2</sup>. ყოველივე ეს, ბუნებრივია, ნიშნავდა იმას, რომ დე გოლმა გადაწყვიტა დათმობა პოლონეთის საკითხში, რათა მიეღწია საბჭოთა კავშირთან პაქტის დადებისათვის. ბუნებრივია, სტალინი ამას მიხვდა და სწორედ იმ საღამოს გაუგზავნა ჩერჩილს მეტად საგულისხმო წერილი, რომელშიც აღნიშნა, რომ ლონდონის ემიგრანტულმა მთავრობამ დაკარგა ყველანაირი კავშირი პოლონელ ხალხთან, რის გამოც ის საჭიროდ თვლიდა, მოკავშირეებს მხარი დაეჭირათ ლუბლინის ეროვნული განთავისუფლების კომიტეტისათვის<sup>3</sup>. ჩვენი აზრით, სტალინის ეს ნაბიჯი მნიშვნელოვანწილად განაპირობა ფრანგების პოზიციის შეცვლამ და, რაც ყველაზე უფრო საინტერესოა, ბრიტანეთის პრემიერს ამგვარ სიტუაციაში, პირველ რიგში, საკუთარი თავი უნდა დაედანაშაულებინა. მოლაპარაკებების მსვლელობიდან გამომდინარე, საკმაოდ დიდი იყო იმის ალბათობა, რომ ფრანგულ დელეგაციას არ დაეთმო თავისი პოზიციები და საბჭოთა მხარეც შერიგებოდა ამას. ყოველ შემთხვევაში, სტალინი ვერაფრით ვერ ახერხებდა დე გოლის წინააღმდეგობის დაძლევას პოლონეთის საკითხში და, მიუხედავად ამისა, პირდაპირ არ ამბობდა უარს ორმხრივი ხელშეკრულების დადებაზე. მაგრამ ჩერჩილის იდეამ სამმხრივი პაქტის შესახებ ფრანგები პრაქტიკულად გამოუვალ სიტუაციაში ჩააყენა, სტალინს კი ლავირებისთვის საკმაოდ ფართო ასპარეზი დაუტოვა. შექმნილ ვითარებაში სულაც არ იყო გასაკვირი, რომ დე გოლმა მისთვის ნაკლებად არასასურველი ვარიანტი აირჩია და დათანხმდა პოლონეთის ეროვნული განთავისუფ-

---

ლიც მიზნად ისახავდა თავისი პრესტიჟის შენარჩუნებას.

<sup>1</sup> *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 203.

<sup>2</sup> *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 203.

<sup>3</sup> *Переписка...*, т. I, გვ. 287.

ლების კომიტეტის ფაქტობრივ ცნობას სსრკ-სთან სამოკავშირეო ხელშეკრულების სანაცვლოდ. აი, ჩერჩილმა კი, როგორც ჩანს. კარგად ვერ გათვალა საკუთარი დიპლომატიური კომბინაცია და შედეგად ორმაგად დაზარალდა: საბჭოთა კავშირსა და საფრანგეთს შორის დაიდო ორმხრივი ხელშეკრულება, პოლონეთის საკითხში კი სტალინმა მკვეთრად გაიუმჯობესა პოზიციები და უკვე შეეძლო აპელირება, რომ ლუბლინის მთავრობას სხვა სახელმწიფოებიც სცნობდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ საკითხი პრაქტიკულად 8 დეკემბერს გადაწყდა, მომდევნო დღეს ბიდოსა და მოლოტოვს შორის მანც საკმაოდ რთული მოლაპარაკებები წარიმართა. ამის მიზეზი გახდა საბჭოთა მხარის სურვილი, კიდევ უფრო დიდი წარმატებით დაესრულებინა მოლაპარაკებები. სწორედ ამიტომ სსრკ-ს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა თავის კოლეგას შესთავაზა დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება ლუბლინის მთავრობასა და საფრანგეთის დროებით მთავრობას შორის. ამ წინადადებას მან თან მიაყოლა ლუბლინის კომიტეტის ერთ-ერთი ლიდერის – ოსუბკა-მორავსკის წერილი დე გოლის სახელზე<sup>1</sup>. ბილმომ გაოცება ვერ დაფარა ამ შეთავაზებასთან დაკავშირებით. პირველ რიგში, მან შენიშნა, რომ წერილების გაცვლა ხდებოდა მხოლოდ დიპლომატიური ურთიერთობების ოფიციალური დამყარებისას, ახლა კი, როდესაც საქმე ეხებოდა მხოლოდ დე-ფაქტოდ ცნობას, მსგავსი პროცედურა საჭირო არ იყო<sup>2</sup>. შემდეგ მან მიუთითა მოლოტოვს, რომ აღნიშნული წინადადება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა წინა დღეს სტალინის მიერ დე გოლთან

<sup>1</sup> *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 204, 208. უნდა აღინიშნოს, რომ ამ საუბრამდე ცოტა ხნით ადრე დე გოლი შეხვედა ლუბლინის მთავრობის წარმომადგენლებს – ბ. ბერუტს, ოსუბკა-მორავსკისა და გენ. როლა-ჟიმერსკის. ფრანგი ლიდერის თქმით, ლუბლინის მთავრობის წარმომადგენლები ზუსტად ისე საუბრობდნენ პოლონეთზე, როგორც „პრავდა“ აშუქებდა იქ არსებულ მდგომარეობას, რამაც ნათელი გახადა, რომ ისინი დამოუკიდებელ პოლონეთს არ წარმოადგენდნენ. ამიტომაც შეხვედრა აბსოლუტურად უშედეგოდ დასრულდა (*The Complete War Memoirs...*, გვ. 748-749).

<sup>2</sup> *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 204.

საუბარში გამოთქმული შეთავაზებისაგან<sup>1</sup>. ბოლოს კი ფრანგმა დიპლომატმა შეახსენა თავის საბჭოთა კოლეგას, რომ არც თუ დიდი ხნის წინ საფრანგეთის ეროვნული განთავისუფლების კომიტეტი თვითონ იყო მსგავს სიტუაციაში და არასდროს მისი წარმომადგენლების დანიშვნა ამა თუ იმ სახელმწიფოში არ გაფორმებულა ამ ფორმით<sup>2</sup>. საკმაოდ ხანგრძლივი საუბარი უშედეგოდ დასრულდა და კვლავ გაჩნდა იმის შეგრძნება, რომ შეთანხმება მიღწეული არ იქნებოდა, თუმცა, როგორც შემდეგ გაირკვა, სტალინმა ახალი მოთხოვნა მხოლოდ ზონდაჟის მიზნით წამოაყენა. როდესაც ის დარწმუნდა, რომ ფრანგები მეტ დათმობაზე არ წავიდოდნენ, მან მოახსენებინა მოლოტოვს ახალი მოთხოვნა და მხარეებიც 9 დეკემბრის საღამოს საბოლოოდ შეთანხმდნენ ორივე საკითხზე. 10 დეკემბერს, დილით, ხელი მოეწერა სამოკავშირეო ხელშეკრულებას სსრკ-სა და საფრანგეთს შორის, რის სანაცვლოდაც დე გოლი დათანხმდა პოლონეთის ეროვნული განთავისუფლების კომიტეტთან არაოფიციალური წარმომადგენლების გაცვლას<sup>3</sup>.

სსრ კავშირსა და საფრანგეთს შორის ხელშეკრულების დადებაზე მსჯელობისას საბჭოთა მკვლევარები რატომღაც ცდილობდნენ იმ ფაქტის დაფარვას, რომ სტალინმა პირდაპირ დაუკავშირა პაქტის დადება პეგკ-ს ცნობას და ამ მოთხოვნის იგნორირებას ახდენდნენ. ისინი ყველგან ხაზს უსვამდნენ, რომ ხელ-

<sup>1</sup> *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 206.

<sup>2</sup> *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 207.

<sup>3</sup> J. Lacouture. De Gaulle. The Ruler. 1945-1970. New York, 1992, გვ. 52. აქ უნდა აღინიშნოს, რომ სტალინმა კიდევ ერთხელ სცადა ბედი და 10 დეკემბრის დილით, როდესაც დე გოლს საბჭოთა წარმომადგენლები საელჩოში დაადგნენ თავს საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად, მისთვის კვლავინდებურად გადააცემინა ფრანგული დელეგაციის მიერ დაწუნებული პროექტი ლუბლინის კომიტეტთან ოფიციალური დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შესახებ. როდესაც დე გოლმა გაკვირვებით შეამჩნია ეს პუნქტი კომუნიკეში, საბჭოთა დიპლომატებმა უკან გამოართვეს მას დოკუმენტი და გადასცეს ახალი პროექტი, რომელშიც უკვე წინა დამით მიღწეული შეთანხმება ზუსტად იყო ასახული (იხ.: W. A. Harriman, E. Abel. Special Envoy to Churchill and Stalin. 1941-1946. Random House, New York, 1975, გვ. 398).

შეკრულება ორივე მხარისათვის სასარგებლო იყო.

10 დეკემბერს დადებული პაქტი საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო დე გოლისათვის იმ პერიოდში, თუმცა დიდი პრაქტიკული ღირებულების ეს შეთანხმება არ გამოდგა. ხელშეკრულება, რომელიც შედგებოდა 8 მუხლისაგან, ითვალისწინებდა გერმანიის წინააღმდეგ კოორდინირებული პოლიტიკის გატარებას როგორც ომის პერიოდში, ისე ომის შემდეგ, თუ გერმანიის მხრიდან აგრესიის საფრთხე გაჩნდებოდა<sup>1</sup>. ამავე დროს, მხარეებმა პირობა დადეს, რომ არ მიიღებდნენ მონაწილეობას ერთმანეთის წინააღმდეგ მიმართულ კოალიციაში ან კავშირში<sup>2</sup>. პაქტი დაიღო 20 წლით და აღინიშნა, რომ მისი მოქმედება ავტომატურად გაგრძელდებოდა განუსაზღვრელი დროით, თუ არ მოხდებოდა დენონსაცია მისი ვადის გასვლამდე ერთი წლით ადრე მაინც<sup>3</sup>. მიუხედავად ამისა, ურთიერთობები საბჭოთა კავშირსა და საფრანგეთს შორის ომის დამთავრების შემდეგ გაუარესდა და სულ მალე ფრანგები და გერმანელები ერთ ბლოკშიც აღმოჩნდნენ, რის შედეგადაც ხელშეკრულება დენონსირებული იქნა საბჭოთა მხარის მიერ 1955წ. 7 მაისს<sup>4</sup>.

ამრიგად, როგორც დავინახეთ, დე გოლის ვიზიტი მოსკოვში საკმაოდ რთულად მიმდინარეობდა, თუმცა, საბოლოო შედეგი იმ დროის რეალობის გათვალისწინებით, ორივე მხარისათვის მისაღები იყო. ფრანგულმა დელეგაციამ მიაღწია თავის მიზანს და დალო პაქტი საბჭოთა კავშირთან, რაც საფრანგეთის ხელისუფლებას აძლევდა საშუალებას, უფრო თამამი ყოფილიყო ლონდონისა და ვაშინგტონის მიმართ, თავის მხრივ, მოსკოვმა პირველი ნაბიჯი გადადგა პოლონეთის პროსაბჭოური მარიონეტული მთავრობის საერთაშორისო აღიარების უზრუნველყოფის გზაზე. საფრანგეთის დროებითი მთავრობის მიერ ლუბლინის კომიტეტთან წარმომადგენლობების გაცვლა არც დე გოლისთვის აღმოჩნდა მინცდამაინც დიდი დათმობა, რადგანაც საკმაოდ მცირე ხანში საბ-

<sup>1</sup> *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 209.

<sup>2</sup> *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 210.

<sup>3</sup> *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 210.

<sup>4</sup> იმავე დღეს დენონსირებული იქნა სსრკ-დიდი ბრიტანეთის ხელშეკრულებაც.

ჭოთა ჯარებმა თითქმის მთლიანად დაიკავეს პოლონეთის ტერიტორია და მინიმუმამდე დაიყვანეს ლონდონის ემიგრანტული მთავრობის შანსები უკან დაბრუნებაზე, თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ დე გოლს დათვური სამსახური გაუწია მის მიერ მოსკოვში დაკავებულმა მტკიცე პოზიციამ. ყოველ შემთხვევაში, სტალინის მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება საფრანგეთისადმი ყირიმის კონფერენციის დროს, ალბათ, სწორედ ამ ფაქტით იყო გამოწვეული<sup>1</sup>. როგორც ჩანს, მას ამიტომაც არ სურდა დე გოლის მოწვევა ყირიმში<sup>2</sup> და ეს იმის მიუხედავად, რომ სტალინისათვის პაქტი საფრანგეთთან არანაირად არ აღიქმებოდა დათმობად<sup>3</sup>, რად-

<sup>1</sup> ერთ-ერთი ამერიკელი მკვლევარი ამ დამოკიდებულებას „მტრულსაც“ კი უწოდებს (იხ.: M. Viorst. *Hostile Allies: FDR and Charles de Gaulle*. New York, 1965, გვ. 231).

<sup>2</sup> უნდა აღინიშნოს, რომ დე გოლის იაღტაში მოწვევის წინააღმდეგ განსაკუთრებით გაილაშქრა რუზველტმა, რომელსაც საკმაოდ მძიმე ურთიერთობები ჰქონდა მასთან. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ძირითადად განპირობებული იყო რუზველტის მხრიდან საფრანგეთის ინტერესების სრული უგულებელყოფით, რაც ზოგჯერ დიპლომატიურ უტაქტობაშიც კი გადაიზრდებოდა ხოლმე. ასე, მაგალითად, იაღტიდან ამერიკაში მიმავალმა რუზველტმა, ფრანგი ლიდერის გულის მოსაგებად (დე გოლი ძალიან გაბრაზებული იყო იაღტაში არმიწვევის გამო), მიიწვია ის შესახვედრად ქ. ალჟირში. გაოცებულმა დე გოლმა, ბუნებრივია, უარი განაცხადა და აუხსნა ამერიკელ წარმომადგენლებს, რომ აშშ-ს პრეზიდენტს არანაირი უფლება არ ჰქონდა საფრანგეთის მთავრობის მეთაური მიეწვია საფრანგეთისევე კუთვნილ ქალაქში (Ch. de Gaulle. *Mémoires de guerre. Le Salut*, გვ. 87-88; G. de Carmony. *The Foreign Policies of France. 1944-1968*. Translated by *Elaine p. Halperin*. Chi., 1970, გვ. 19). როგორც ჩანს, ეს დღემდე გაუგებარი რჩება ზოგიერთი ამერიკელი მკვლევარისათვის (იხ.: A. Shannon. *De Gaulle*. New York, 1993, გვ. 42). აღსანიშნავია აგრეთვე, რომ პოტსდამში დე გოლის მიწვევის წინააღმდეგ კვლავინდებურად აშშ-ს პრეზიდენტი, ამჯერად უკვე ჰარი ტრუმენი გამოვიდა (იხ.: R. Murphy. *Diplomat Among Warriors*. New York, 1964, გვ. 287).

<sup>3</sup> ბრიტანელი მკვლევარის, ა. კროულის აზრით, სტალინი პაქტს ძალზე მცირე მნიშვნელობას ანიჭებდა და მასზე ხელმოწერა უბრალოდ დე გოლის პრესტიჟის შენარჩუნებისათვის მოხდა (იხ.: A. Krawley. *De Gaulle*. New York, 1969, გვ. 270). ჩვენი აზრით, ეს არ არის მთლად სწორი დებულება, რასაც ცხადყოფს, თუ რა დამაბული ბრძოლა გაიმართა პაქტის გარშემო.

განაც დე გოლის აქტიური პოლიტიკა საფრანგეთის ძველი დიდების დასაბრუნებლად, პირველ რიგში, დიდი ბრიტანეთისა და აშშ-სათვის იყო უფრო გამაღიზიანებელი, ვიდრე საბჭოთა კავშირისათვის. თამამად შეიძლება ითქვას, რომ სსრკ-საფრანგეთის ორმხრივი ხელშეკრულება მხოლოდ ჩერჩილისათვის აღმოჩნდა დიპლომატიური მარცხი და თანაც საკმაოდ მძიმე იმის გათვალისწინებით, რომ ფრანგებმა ფაქტობრივად ცნეს პოლონეთის პროსაბჭოური მთავრობა.

### **ქ5. გერმანელთა შეტევა არდენებში და უინსტონ ჩერჩილის 1945წ. 6 იანვრის წერილის შეფასების საკითხი**

1944წ. 16 დეკემბერს გერმანიის არმია გადავიდა ფართომასშტაბიან შეტევაზე დასავლეთის ფრონტზე. ასე დაიწყო მეორე მსოფლიო ომის დასკვნითი ეტაპის ერთ-ერთი გადამწყვეტი ბრძოლა, რომელმაც დიდი გავლენა იქონია ომის შედეგებზე უფრო მეტიც, ისტორიოგრაფიაში დღემდე არსებობს გარკვეული აზრთა სხვადასხვაობა ამ ბრძოლის შეფასებებში. თუ ამერიკელი და ბრიტანელი მკვლევრები პრაქტიკულად ერთხმად აცხადებენ, რომ ბრძოლა არდენებში მოგებული იქნა მხოლოდ ამერიკელი ჯარისკაცების სიმტკიცისა და გამირობის ფასად<sup>1</sup>, საბჭოთა ისტორიკოსები ყოველნაირად ცდილობენ იმის დამტკიცებას, რომ გადამწყვეტი როლი დასავლეთელი მოკავშირეების წარმატებაში მიუძღოდა გერმანელების წინააღმდეგ საბჭოთა ჯარების მიერ 1945წ. 12 იანვარს პოლონეთში დაწყებულ შეტევას<sup>2</sup>. უნდა აღი-

<sup>1</sup> H. Cole. The Ardennes. Battle of the Bulge, Wash., 1965, გვ. XI-XII; J. Ehrman. Grand Strategy. October 1944 – August 1945, vol. VI, L., 1956; B. H. Liddell Hart. The History of World War II. New York, 1971, გვ. 603; J. Toland. Battle. The Story of the Bulge. New York, 1959, გვ. 379-380 და სხვ.

<sup>2</sup> Г. А. Деборин. Вторая мировая война, М., 1958, გვ. 357; В. М. Кулиш. Второй фронт. Операции в Западной Европе в 1944-1945гг., М., 1960, გვ. 307; В. М. Кулиш. История второго фронта, М., 1971, გვ. 545; В. Л. Израэлян. Дипломатическая история Великой Отечественной войны, гв. 277-



ნიშნოს, რომ ამგვარი საკამათო სიტუაციის წარმოშობას საკმაოდ შეუწყო ხელი დიდი ბრიტანეთის პრემიერ მინისტრმა უინსტონ ჩერჩილმა და მის მიერ 1945წ. 6 იანვარს სტალინისათვის გაგზავნილმა წერილმა, რომლითაც ჩერჩილმა ფაქტობრივად დახმარება სთხოვა საბჭოთა ლიდერს დასავლეთის ფრონტზე კატასტროფის თავიდან ასაცილებლად<sup>1</sup>.

არდენებში დაწყებული შეტევა მოკავშირეებისათვის საკმაოდ მოულოდნელი გამოდგა. მიუხედავად იმისა, რომ მოკავშირეთა მთავარსარდლობა უშვებდა გერმანელების მხრიდან შემოტევის შესაძლებლობას, მათ აზრადაც არ მოსდიოდათ, რომ ეს ამდენად მასშტაბური ოპერაცია იქნებოდა<sup>2</sup>. უფრო მეტიც, თვით შეტევის დაწყების შემდეგ გენ. ბრედლი (მოკავშირეთა მთავარსარდლის დუაიტ ეიზენჰაუერის მოადგილე, რომელიც უშუალოდ ხელმძღვანელობდა ამერიკულ არმიებს) თვლიდა ამ ოპერაციას შეზღუდული ხასიათის კონტრშეტევად, რომელიც მიზნად ისახავდა მოკავშირეთა ახალი იერიშების თავიდან აცილებას<sup>3</sup>. თავი იჩინა თავდაჯერებულობამაც. არდენებში შესაძლო კონტრშეტევის შესახებ აშშ-ს სტრატეგიული სამსახურების სამმართველომ (OSS – Office of Strategic Services) სარდლობას ჯერ კიდევ დეკემბრის პირველ რიცხვებში შეატყობინა, მაგრამ მე-9 ამერიკული არმიის სარდალმა გენ. ჰოჯესმა ამ ინფორმაციის მომწოდებლებს „ჭკვიდან გადასულები“ უწოდა<sup>4</sup>. საპაერო დაზვერვაც ცხადყოფ-

---

279; В. Л. Исраэлян. Дипломатия в годы войны, გვ. 325-327; Н. Н. Яковлев. Франклин Рузвельт – Человек и политик. *Новое прочтение*. М., 1981, გვ. 384; *Великая Отечественная война Советского Союза 1941-1945*. Краткая история. М., 1984, გვ. 384; О. А. Ржешевский. История второго фронта: Война и дипломатия. М., 1988, გვ. 36; В. А. Секистов. Война и политика, М., 1989, გვ. 402; А. И. Уткин. Вторая мировая война. М., 2003, გვ. 783; და სხვ.

<sup>1</sup> Переписка..., т. I, გვ. 298.

<sup>2</sup> N. Gelb. Ike and Monty: Generals at War, L., 1994, გვ. 381.

<sup>3</sup> N. Gelb. Ike and Monty, გვ. 382-383.

<sup>4</sup> R. Dunlop. Donovan: America's Master Spy. Chicago–New York–San Francisco: Rand, McNally & Company, 1982, გვ. 460; H. R. Smith. OSS: The Secret History of America's First Central Intelligence Agency. Berkeley, CA, 1972, გვ. 358. ჰოჯესი ვერც შეტევის დაწყების შემდეგ მიხვდა, თუ რა

და, რომ გერმანელები თავს უყრიდნენ მნიშვნელოვან ძალებს, მაგრამ ამერიკელმა სარდლებმა ყურადღება არც ამ მონაცემებს მიაქციეს<sup>1</sup>. გერმანელებმა შეტევის მიმართულებად აირჩიეს არდენები – ბოიანი და ტყიანი რეგიონი ბელგიასა და საფრანგეთში. მოსალოდნელი გარღვევის ადგილას თავმოყრილი იქნა 20-მდე გერმანული დივიზია, რის წინააღმდეგაც 75 კილომეტრიან მონაკვეთზე ამერიკელებს მხოლოდ ოთხი დივიზია ჰყავდათ განთავსებული<sup>2</sup>.

თავის მხრივ, გერმანელების მიზანი იყო ანტვერპენის აღება და მოკავშირეებისათვის ახალი დიუნკერკის მოწყობა. ოპერაციის მთავარსარდლად დაინიშნა ფელდმარშალი გერდ ფონ რუნდშტედტი, თუმცა ამ უკანასკნელს არ სწამდა ოპერაციის წარმატების და ფაქტობრივად მხოლოდ ნომინალურად ასრულებდა თავის ფუნქციებს. ბ. ლიდელ-ჰარტის ცნობით, მან შეტევის ხელმძღვანელობა თავის ხელქვეითებს მიანდო, თავად კი განზე გადგა საბრძოლო მოქმედებების წარმოებისაგან<sup>3</sup>.

გერმანელი სარდლის სეკპტიციზმის მიუხედავად, შეტევა უადრესად წარმატებულად დაიწყო. 17 დეკემბერს გერმანელებმა გაარღვიეს ფრონტის ხაზი და წაიწიეს მდ. მაასისაკენ. შეტევის ცენტრალურ მონაკვეთზე ამერიკელებმა თითქმის 100 კმ-ით დაიხიეს უკან. გერმანელებმა ალყა შემოარტყეს საკვანძო პუნქტ ბასტონს, რომლის დასაცავადაც ამერიკელებმა დამატებითი ძალები გადაისროლეს. გარდა ამისა, ამერიკელების მდგომარეობა გაართულა იმანაც, რომ მე-9 და 1-მა ამერიკულმა არმიებმა კავშირი დაკარგეს ბრედლის შტაბთან. 19 დეკემბერს ეიზენჰაუერი იძულებული გახდა, ისინი დაექვემდებარებინა ბრიტანული არმიე-

---

იყო გერმანელთა მიზანი და ჩათვალა, რომ მათ სურდათ მხოლოდ რურის დამბების წინააღმდეგ მიმართული მოკავშირეთა ოპერაციის შესერება (იხ.: G. Forty. Road to Berlin: The Allied Drive from Normandy. L., 1999, გვ. 140).

<sup>1</sup> The Army Air Forces in World War II. Vol. 3. Europe: Argument to V-E Day. January 1944 to May 1945. Chi, 1951, გვ. 673-682; H. St. George Saunders. Royal Air Force 1939-1945. Vol. 3. The Fight is Won. With concluding chapter by Hilary St. George Saunders and Denis Richards. L., 1993, გვ. 205.

<sup>2</sup> D. Eisenhower. Crusade in Europe, გვ. 342; Д. Эйзенхауэр. Крестовый поход в Европу, М., 1980, гв. 392.

<sup>3</sup> B. H. Liddell Hart. The History of World War II, გვ. 603.

ბის სარდალ ბერნარდ მონტგომერისათვის<sup>1</sup>. ამავე დღეს, გენ. პატონმა (მე-3 ამერიკული არმიის სარდალი) მიიღო ბრძანება, მთელი შესაძლო ძალებით დაძრულიყო ბასტონის გარნიზონის დასახმარებლად. მართლაც, 23 დეკემბერს პატონი სამი დღეობის თანხლებით საარის ოლქიდან ბასტონისაკენ გაემართა და 26 დეკემბერს გაარღვია ალყა<sup>2</sup>, თუმცა ამის შემდეგაც გერმანელები ერთი კვირის განმავლობაში ცდილობდნენ ამ საკვანძო პუნქტის დაუფლებას.

მიუხედავად პირველი წარმატებებისა, გერმანელებმა ვერ შეძლეს დასახული მიზნების სისრულეში მოყვანა და სკეპტიციზმი სარდლობაში კიდევ უფრო გამყარდა. 1944წ. 25 დეკემბერს ფელდმარშალმა გუდერიანმა მოსთხოვა ჰიტლერს, შეეწყვიტა ოპერაცია არდენებში, რომელიც აბსოლუტურად უპერსპექტივო იყო, და სანამ ეს დაგვიანებული არ იქნებოდა, გამოეყვანა იქიდან მთავარი ძალები და გადაესროლა ისინი აღმოსავლეთის ფრონტზე, სადაც, მისი აზრით, უმოკლეს ხანებში მოსალოდნელი იყო საბჭოთა ჯარების შეტევაზე გადასვლა<sup>3</sup>.

---

<sup>1</sup> უნდა აღინიშნოს, რომ ეს გადაწყვეტილება ძალიან არ მოეწონა ბრედლის, თუმცა სხვა გამოსავალი შექმნილ სიტუაციაში უბრალოდ არ იყო (იხ.: N. Gelb. *Ike and Monty*, გვ. 383). თავის მხრივ, მონტგომერი უადრესად გახარებული დარჩა ამგვარი გადაწყვეტილებით და თავის დღიურში ისიც კი ჩაწერა, რომ ჰოჯესი (მე-9 ამერიკული არმიის სარდალი) და სიმპსონი (1-ლი ამერიკული არმიის სარდალი) კმაყოფილები იყვნენ, რომ ახლა მათ ჰყავდათ მტკიცე ბრძანებების გამცემი მეთაური (*The Memoirs of Field-Marshal the Viscount Montgomery of Alamein, L.*, 1958, გვ. 455; *W. B. Breuer. Feuding Allies: The Private Wars of the High Command*. New York, 1995, გვ. 266).

<sup>2</sup> შ. ჯივანევისის თქმით, სწორედ პატონი, რომელმაც „განახორციელა მეორე მსოფლიო ომის ისტორიაში უმსხვილესი შენაერთის უმოკლეს დროში გადასროლა ყველაზე გრძელ მონაკვეთზე“, იქცა მოკავშირეების ნამდვილ მხსნელად არდენებში (იხ.: *M. Dzierzanowski. War At Any Price: World War II in Europe, 1939-1945*. Eaglewood Cliffs, NJ, 1987, გვ. 316). ა. ტეილორი კი თვლის, რომ პატონის ძალების ბასტონის დამცველებთან შეერთების შემდეგ გერმანელების გამარჯვების ყველაწარმოშობის შანსი გაქრა (*A. Taylor. The Second World War*. L., 1975, გვ. 215).

<sup>3</sup> *J. Erickson. The Road to Berlin: Continuing the History of Stalin's War with Germany*. Boulder, CO, 1983, გვ. 431.

ამასობაში მოკავშირეებმა დაიწყეს არდენებში კონტრშეტევის მომზადება. ეიზენჰაუერისა და მონტგომერის ურთიერთშეთანხმებით, ეს კონტრშეტევა უნდა დაწყებულიყო 1945წ. 3 იანვარს. მართლაც, დათქმულ დროს 1-ლი ამერიკული არმია გადავიდა შეტევაზე არდენის შვერილის ჩრდილოეთით და მოკავშირეებმა მთლიანად ხელთ იგდეს ინიციატივა არდენებში. ამიერიდან გასარკვევი იყო მხოლოდ შემდეგი საკითხი: შეძლებდნენ თუ არა მოკავშირეები, ეფექტურად გაერღვიათ მოწინააღმდეგის თავდაცვა და სწრაფად გადაელახათ თოვლიანი არდენები, რათა გაენადგურებინათ, ან ხელთ ეგდოთ გერმანელთა მნიშვნელოვანი ძალები<sup>1</sup>.

მიხვდა რა არდენებში შეტევის ჩაფლავებას, ჰიტლერმა სცადა მოწინააღმდეგის ყურადღების გადატანა სხვა მიმართულებით და ბრძანა იერიშზე გადასვლა ვოჟის მთებში. 1945წ. 1 იანვარს გერმანელებმა წამოიწყეს ოპერაცია „ჩრდილოეთის ქარი“ („Nordwind“). პირველ დღეს გერმანელებმა მოახერხეს 12 კმ-ით წინ წაწევა, რითაც საფრთხე შეუქმნეს არმიათა მე-ნ ჯგუფში შემავალ გენ. პეტჩის მე-7 ამერიკულ არმიასა და გენ. დე ლატრ დე ტასინის 1-ლ ფრანგულ არმიას. ამიტომ ეიზენჰაუერმა უბრძანა არმიათა მე-ნ ჯგუფის სარდალ გენ. დევერსს, ეკონომიურად გამოეყენებინა ძალები და დაეტოვებინა სტრასბური<sup>2</sup>. ბუნებრივია,

---

<sup>1</sup> ცნობილი გერმანელი გენერლის, ჰასო ფონ მანტოიფელის დაკვირვებით, მოკავშირეთა კონტრშეტევა ნაადრევად იქნა დაწყებული. მისი აზრით, ეს რომ ოდნავ მოგვიანებით მომხდარიყო, გერმანელთა დაჯგუფება მთლიანად იქნებოდა განადგურებული (იხ. X. фон Мантейфель. Арденны. — წგნ.: *Роковые решения* (Воспоминания немецких генералов), ред. П. А. Жилин. М., 1958, გვ. 215). მისი თქმით, ამ შემთხვევაში გადამწყვეტი როლი ითამაშა იმ გარემოებამ, რომ გერმანელები წლების განმავლობაში მიჩვეული იყვნენ თოვლსა და ყინვაში ყოფნას, რისი წყალობითაც მათ დროულად დაიხიეს უკან (H. Jacobsen, J. Rohwer. *Decisive Battles of the Second World War: The German View*. New York, 1965, გვ. 410). არსებობს სხვა მოსაზრებაც: გენ. ჯ. პატონი თვლიდა, რომ არდენებში შესაძლებელი იყო გერმანული არმიის მთლიანად ხელში ჩაგდება, მაგრამ მონტგომერის პასიურობამ ხელი შეუშალა სრული წარმატების მიღწევას (G. S. Patton. *War As I Knew It*. Boston, 1946, გვ. 377).

<sup>2</sup> პ. კალვოკორესი აცხადებს, რომ ეს მხოლოდ ჰიპოთეტური შესაძლებლობა იყო (იხ.: P. Calvocoressi, G. Wint, J. Pritchard. *Total War*. The

ამან გამოიწვია სერიოზული წინააღმდეგობა ფრანგების მხრიდან და 3 იანვარს შარლ დე გოლმა კატეგორიულად მოსთხოვა ეიზენჰაუერს სტრასბურის დაცვა. ამ საუბარს შეესწრო ჩერჩილიც, რომელიც იმ დროს ეიზენჰაუერის შტაბში იმყოფებოდა<sup>1</sup>. საბოლოოდ, დე გოლის არგუმენტებმა გასჭრა და ეიზენჰაუერმაც შეცვალა პირვანდელი გადაწყვეტილება. მან მისცა სათანადო მითითებები გენ. დევერსს, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო ელზასში გერმანელთა შეტევის დაწყების შემთხვევაში<sup>2</sup>. 5 იანვარს ამერიკელები კონტრშეტევაზე გადავიდნენ, რის შედეგადაც სიტუაცია ამ მიმართულებით მთლიანად შეიცვალა<sup>3</sup>. ამ დღეს გერმანულმა სარდლობამ პრაქტიკულად აღიარა მარცხი ვოჟის მთებში, რის მიზეზადაც მიიჩნია ჯარების გადაღლა, რაც გამოწვეული იყო უმძიმეს ვითარებაში წარმოებული შეტევებით<sup>4</sup>. მართალია, ამავე დღეს გერმანელებმა მდგომარეობის გამოსასწორებლად წამოიწყეს შეტევა ელზასში, მაგრამ ეიზენჰაუერის მითითებები დევერსისადმი აბსოლუტურად სწორი აღმოჩნდა და შე-

---

*Causes and Courses of the Second World War. L., 1989, გვ. 551).* საბჭოთა მკვლევარების (ო. რუეშესკი) მტკიცებით, ეს ოპერაცია უდიდეს საფრთხეს უქმნიდა დასავლეთელ მოკავშირეებს, თუმცა კ. ბონის მონოგრაფიიდან, რომელიც მიძღვნილია ვოჟის მთების კამპანიისთვის, ნათელი ხდება, რომ ეს შეტევა არ წარმოადგენდა დიდ საფრთხეს, ხოლო 5 იანვრისათვის უკვე თვით გერმანელებისათვის გახდა ცხადი, რომ ის ჩაფლავდა (იხ.: **K. E. Bonn. When the Odds Were Even: The Vosges Mountains Campaign, October 1944 – January 1945.** Novato, CA, 1994, გვ. 209).

<sup>1</sup> როგორც ირკვევა, ჩერჩილის ვიზიტის მთავარი მიზეზი სწორედ სტრასბურის საკითხი იყო და მას სურდა, დაერწმუნებინა ეიზენჰაუერი, რათა ამ უკანასკნელს შეეცვალა თავისი გადაწყვეტილება სტრასბურის დაცვების შესახებ, თუმცა, საბოლოო ჯამში, მას ჩარევა არც დასჭირდა (იხ.: **J. S. D. Eisenhower. The Bitter Woods. The Dramatic Story, Told at All Echelons – from Supreme Command to Squad leader – of the Crisis that Shook the Western Coalition: Hitler's Surprise Ardennes Offensive.** New York, 1969, გვ. 404).

<sup>2</sup> **D. Eisenhower. Crusade in Europe,** გვ. 363; **Д. Эйзенхауэр. Крестовый поход в Европу,** გვ. 414.

<sup>3</sup> **H. Michel. The Second World War.** New York, 1975, გვ. 667.

<sup>4</sup> **K. E. Bonn. When the Odds Were Even: The Vosges Mountains Campaign, October 1944 – January 1945.** Novato, CA, 1994, გვ. 209.

ტევა პრაქტიკულად იმავე დღეს იქნა შეჩერებული<sup>1</sup>.

და აი, ასეთ ვითარებაში, როდესაც არ იყო არავითარი საფუძველი შიშისათვის, ჩერჩილმა 1945წ. 6 იანვარს საბჭოთა ლიდერს გაუგზავნა წერილი, რომელშიც აღნიშნა, რომ დასავლეთის ფრონტზე მძიმე სიტუაცია შეიქმნა და მოკავშირეთა მთავარსარდლობას შეიძლებოდა ყოველ წუთს დასჭირვებოდა სერიოზული გადაწყვეტილებების მიღება. მან სთხოვა სტალინს, ეცნობებინა მისთვის, დაიწყებდა თუ არა უახლოეს მომავალში საბჭოთა არმია ფართომასშტაბიან შეტევას აღმოსავლეთის ფრონტზე და ხაზი გაუსვა, რომ ამის ცოდნა სჭირდებოდა ეიზენჰაუერს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მისაღებად<sup>2</sup>.

ჩერჩილის ამ წერილმა უაღრესად დიდი გამოხმაურება ჰპოვა ომის შემდგომ. საბჭოურმა ისტორიოგრაფიამ ის გამოიყენა იმის სამტკიცებლად, რომ დასავლეთელი მოკავშირეები არდენებში კრიტიკულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ და ისინი კრახისაგან მხოლოდ საბჭოთა არმიის მიერ პოლონეთში დაწყებულმა შეტევამ იხსნა. თავის მხრივ, ინგლისელმა და ამერიკელმა მკვლევრებმა, რომლებმაც ნათლად დაამტკიცეს, რომ წერილის დაწყების დღისათვის ბრძოლა როგორც არდენებში, ისე ვოჟის მთებსა და ელზასში, მოკავშირეებს პრაქტიკულად მოგებული ჰქონდათ, ვერანაირი ლოგიკური ახსნა ვერ მოუძებნეს ბრიტანეთის პრემიერის მოქმედებას. ამიტომ დასავლურ ისტორიოგრაფიაში ეს წერილი ან საერთოდ არ მოიხსენიება, ან ცხადდება რომ ჩერჩილი „არასწორად“<sup>3</sup> და „უჭკუოდ“<sup>4</sup> მოიქცა ამ ბარათის გაგზავნით.

<sup>1</sup> J. J. Clarke, R. R. Smith. *Riviera to the Rhine: United States Army in World War II. The European Theater of Operations.* Wash., 1993, გვ. 519-520. ჯ. კიგანის აზრით, ამ შეტევებს რაიმე სერიოზული საგანგაშო სიტუაცია არ მოჰყოლია (იხ.: J. Keegan. *The Second World War. L.*, 1989, გვ. 446).

<sup>2</sup> *Переписка...*, т. I, გვ. 298.

<sup>3</sup> Th. D. Parrish. *Roosevelt And Marshall. Partners In Politics And War. The Personal Story,* New York, 1989, გვ. 485. ამ ნაშრომის შესახებ იხ.: თ. პაპასქირი. თომას დ. პერიში. რუსველტი და მარშალი: პარტნიორები პოლიტიკასა და ომში. პერსონალური ისტორია (*რეკვენზია*). – „საქართველო-ევროპა-ამერიკა“, №2, 1997, გვ. 139-143.

<sup>4</sup> H. Cole. *The Ardennes,* გვ. 603.

დავუბრუნდეთ 6 იანვრის წერილს. მისი შინაარსიდან თიოქოს მხოლოდ იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ მოკავშირეებს ძალიან უჭირდათ და სასწრაფოდ ესაჭიროებოდათ დახმარება. ეს კი სრულებით არ შეეფერებოდა რეალობას და ჩერჩილმაც ბრწყინვალედ იცოდა ამის შესახებ, რადგანაც თვითონ იმყოფებოდა 3 იანვარს ეიზენჰაუერის შტაბში. უფრო მეტიც, 7 იანვარს მონტგომერიმ მოაწყო პრეს-კონფერენცია, რომელზეც განაცხადა, რომ არდენებში ბრძოლა მოგებული იყო და თავისი თავი გამოაცხადა ამერიკელების მხსნელად<sup>1</sup>. აქვე აღსანიშნავია ერთი გარემოებაც: 9 იანვარს ჩერჩილმა სტალინს სულ სხვა შინაარსის წერილი გაუგზავნა და აცნობა, რომ დასავლეთში მდგომარეობა უკვე არც ისე ცუდი იყო და სავსებით შესაძლებელი ხდებოდა გერმანელების განდევნა შვერილიდან და მათთვის დიდი ზიანის მიყენება<sup>2</sup>. საბჭოთა მკვლევრებს რატომღაც ავიწყლებოდათ ეს და ყურადღებას ამახვილებდნენ 9 იანვრის წერილის მხოლოდ იმ ნაწილზე, რომელშიც ჩერჩილი მადლობას უხდოდა სტალინს საბჭოთა შეტევის უახლოეს ხანებში დაწყების შესახებ მიწოდებული ცნობისათვის<sup>3</sup>. მისი თქმით, ეს დაარწმუნებდა ეიზენჰაუერს, რომ გერმანელებს მართლაც მოუწევდათ ორ ფრონტს შორის რეზერვების გაყოფა<sup>4</sup>. არადა, რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება ფრონტებზე ამ სამი დღის განმავლობაში არ მომხდარა. თუმცა ყოველივე ეს არ ცვლის საქმის ვითარებას. ჩერჩილმა 6 იანვარს წერილი დაწერა მაშინ, როდესაც მდგომარეობა სულაც არ იყო კრიტიკული. და ეს მან თვითონაც მშვენივრად იცოდა. ამას ადასტურებს იმავე დღეს, 6 იანვარს, მის მიერ რუზველტი-

<sup>1</sup> N. Gelb. Ike and Monty, გვ. 396. ამ განცხადებას მოჰყვა ამერიკელი სამხედროების, განსაკუთრებით პატონის, გაბრაზება, რის შედეგადაც მონტგომერი იძულებული გახდა, უკან წაეღო სიტყვები ამერიკელების „ხსნაში“ მის მთავარ როლზე (N. Polmar, Th. B. Allen. World War II: America at War 1941-1945. New York, 1991, გვ. 98-99).

<sup>2</sup> *Переписка...*, т. I, გვ. 299.

<sup>3</sup> სტალინმა 7 იანვარს ამცნო ჩერჩილს, რომ საბჭოთა სარდლობა დაჩქარებული ტემპებით ემზადებოდა შეტევის დასაწყებად (*Переписка...*, т. I, გვ. 298-299).

<sup>4</sup> *Переписка...*, т. I, გვ. 299.

სათვის გაგზავნილი წერილი, რომელშიც ის აღნიშნავს, რომ ეიზენჰაუერიცა და მონტგომერიც აბსოლუტურად დარწმუნებული იყვნენ წარმატებაში და ულოცავს რუზველტს ამერიკელების მიერ უმძიმესი ბრძოლების შემდეგ მიღწეულ გამარჯვებებს<sup>1</sup>.

მაშ, რამ განაპირობა ბრიტანეთის პრემიერ მინისტრის მხრიდან ასეთი წერილის გაგზავნა, როდესაც, ხაზს ვუსვამთ, სიტუაცია დასავლეთის ფრონტზე არ იძლეოდა შემოთქმების რაიმე საბაბს? თავად ჩერჩილმა საკუთარ მეძუარეებში ეს ახსნა იმით, რომ ეიზენჰაუერს სჭირდებოდა ინფორმაცია, დაიწყებდა თუ არა საბჭოთა მხარე უახლოეს ხანებში შეტევას, რათა ამის საფუძველზე განესაზღვრა მოკავშირეთა ოპერაციის დაწყების ზუსტი ვადები<sup>2</sup>. მართლაც, ეიზენჰაუერმა ასეთი თხოვნა დიდი ხნით ადრე გაუგზავნა გაერთიანებული შტაბების უფროსებს და 1944წ. დეკემბერში მიიღო ინფორმაცია, რომ სტალინმა აღუთქვა პრეზიდენტ რუზველტს ამ საკითხის განხილვა სამხედრო წარმომადგენელთან შეხვედრისას<sup>3</sup>. მოსკოვში გაიგზავნა მარშალი ტელერი, მაგრამ მან ამინდის გაუარესების გამო 2 კვირაზე მეტ ხანს ვერ ჩააღწია მოსკოვში. ამიტომ ეიზენჰაუერმა მხოლოდ ჩერჩილისგან შეიტყო მისთვის ესოდენ მნიშვნელოვანი ინფორმაცია. მაგრამ აქ აღსანიშნავია ორი გარემოება: 1. ეიზენჰაუერმა თავისი სურვილი გამოთქვა არა იანვარში, არამედ დეკემბერში, ამერიკელთა არდენებში შეტევაზე გადასვლამდე; და 2. თუ წერილის დაწერისას ჩერჩილი ხელმძღვანელობდა მხოლოდ ამ მიზნით, რა საჭირო იყო სტალინისათვის არასწორი ინფორმაციის მიწოდება და მდგომარეობის დამძიმება? საბჭოთა ლიდერი უპრობლემოდ მისწერდა ბრიტანეთის პრემიერს, აპირებდა თუ არა შეტევაზე გადასვლას აღმოსავლეთის ფრონტზე უახლოეს ხანებში, იმის მიუხედავად, თუ როგორ ითხოვდა ჩერჩილი ამას, მით უმეტეს, რომ ტელერი უკვე ერთ კვირას მაინც აგვიანებდა და ეს მშვენი-

<sup>1</sup> W. S. Churchill. The Second World War, vol. 6, გვ. 277-278.

<sup>2</sup> W. S. Churchill. The Second World War, vol. 6, გვ. 285.

<sup>3</sup> Report by the Supreme commander to the Combined Chiefs of Staff on the operations in Europe of the Allied Expeditionary Force, 6 June 1944 to 8 May 1945. Wash., 1946, გვ. 83.



ერი გასამართლებელი საბუთი იყო. როგორც ჩანს, ჩერჩილს სხვა მიზანიც ჰქონდა, როდესაც წერილს სწორედ ამ სახით წერდა. ჩენი აზრით, აქ ყურადღება უნდა მიექცეს ერთ გარემოებას: 1945წ. დასაწყისისათვის ინგლის-ამერიკის ჯარები დასავლეთში და საბჭოთა ნაწილები აღმოსავლეთში თითქმის თანაბარ მანძილზე იყვნენ ბერლინიდან და, რასაკვირველია, ბრიტანეთის პრემიერს სურდა დაესწრო სტალინისათვის გერმანიის დედაქალაქის აღება. მას კარგად ესმოდა, რომ ომის შემდეგ უფრო მომგებიან მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა ის მხარე, რომლის ძალებიც პირველი შევიდოდნენ ბერლინში. ამიტომ, შესაძლოა, მან იფიქრა, რომ კარგი იქნებოდა, თუ საბჭოთა არმია გადავიდოდა ფართომასშტაბიან შეტევაზე აღმოსავლეთში. ჩერჩილი ალბათ იმედოვნებდა, რომ ასეთ ვითარებაში გერმანელები მთელ თავის ძალებს გადაისროდნენ ამ ფრონტზე, რაც ინგლისელებს და ამერიკელებს ხელ-ფეხს გაუხსნიდა დასავლეთში. როგორც ჩანს, მას ეგონა, რომ გერმანელები არ მისცემდნენ საბჭოთა ჯარებს პოლონეთში სერიოზული წინსვლის საშუალებას, რისთვისაც საჭირო იქნებოდა დასავლეთის ფრონტიდან ყველაზე ბრძოლისუნარიანი შენაერთების აღმოსავლეთში გადაყვანა. ეს კი გამოიწვევდა იმას, რომ ინგლისელები და ამერიკელები თითქმის უპრობლემოდ გადალახავდნენ ზიგფრიდის ხაზს და მოახდენდნენ რაინის ფორსირებას. მაგრამ საბჭოთა ჯარებმა ისეთი სისწრაფით გაარღვიეს გერმანელთა თავდაცვის ხაზი, რომ 1 თებერვლისათვის დაახლოებით 500 კმ-ით წაიწიეს წინ და ფაქტობრივად მთელი პოლონეთი დაიკავეს<sup>1</sup>. ამით პრაქტიკულად გადაწყდა,

<sup>1</sup> *ИВОВ*, 5, გვ. 80; *ИВМВ*, 10, გვ. 86. აღსანიშნავია, რომ საბჭოთა მკვლევრები სისტემატურად ხაზს უსვამდნენ იმ გარემოებას, რომ მოკაემირეთა მოთხოვნის გამო საბჭოთა მხარემ დაგეგმილზე ადრე დაიწყო შეტევა პოლონეთში (В. М. Кулиш. История второго фронта, გვ. 542, В. А. Секистов. Война и политика, გვ. 402 და სხვ.), თუმცა მათ რატომღაც ავიწყლებათ, რომ შეტევის დაწყების ვადამ გადმოიწია მხოლოდ 8 დღით – 20 იანვრიდან 12 იანვარზე. ამ სპეკულაციას გარკვეული შედეგებიც მოჰყვა და მათ ზოგიერთმა არაარუსმა მკვლევარმაც აუბა მხარი (იხ.: С. Kondapi. Allied War Diplomacy and Strategy, 1940-1945. Madras, 1994, გვ. 412). საინტერესოა, მაგრამ ამის

თუ ვის ერგებოდა ბერლინი. ასე რომ, ჩერჩილის პროგნოზები და იმედები ამ მიმართულებით არ გამართლდა. რაც შეეხება საკუთრივ დასავლეთის ფრონტზე განვითარებულ მოვლენებს, გერმანელებმა მართლაც გადაიყვანეს აქედან აღმოსავლეთში 6 დივიზია, თუმცა ამ დროისათვის უკვე აშკარა იყო, რომ ბრძოლა არდენებში მათ წააგეს<sup>1</sup>. ეს ნათელი გახდა 1945წ. 16 იანვარს, როდესაც მოკავშირეთა ნაწილები შეერთდნენ უფალიზთან და არ გვეონია, რომ ეს საბჭოთა ჯარების დამსახურება ყოფილიყო. იანვრის ბოლოსათვის მოკავშირეებმა აღადგინეს 16 დეკემბრამდელი პოზიციები და დაიწყეს მზადება ახალი შეტევისათვის, რომელიც 8-10 თებერვლისათვის დაიგეგმა<sup>2</sup>. რასაკვირველია, პოლონეთში საბჭოთა არმიის შეტევაზე გადასვლამ ხელი შეუწყო არდენებში გერმანელთა უკანდახევას<sup>3</sup>, მაგრამ ამას არსებითი მნიშვნელობა

---

შესახებ არაფერია ნათქვამი ოფიციალური გამოცემების შესაბამის თავებში (იხ.: *ИВОВ*, 5, გვ. 47-91; *ИВМВ*, 10, გვ. 52-87). გარდა ამისა, იანვრის დასაწყისში ჰაინც გუდერიანმა, სადაზვერვო მონაცემებზე დაყრდნობით, აღნიშნა, რომ საბჭოთა შეტევა დაიწყებოდა სწორედ 12 იანვარს (იხ.: *J. S. D. Eisenhower. The Bitter Woods*, გვ. 404). არ არის გამორიცხული, რომ არანაირ ვადის შეცვლას ადგილი საერთოდ არ ჰქონია, ან თუ ჰქონდა, ყოველ შემთხვევაში, ეს ჩერჩილის წერილამდე იყო მომხდარი. თავის მხრივ, სტალინმა ყირიმის კონფერენციის მსვლელობისას განაცხადა, რომ ბრიტანელებისა და ამერიკელების მხრიდან არ ყოფილა რაიმე მოთხოვნა აღმოსავლეთის ფრონტზე შეტევის დაწყების შესახებ და საბჭოთა მხარე არ განიცდიდა რაიმე ზეწოლას ამ მიმართულებით (*Foreign Relations of the United States. Diplomatic Papers: The Conferences at Malta and Yalta*, Wash., 1957, გვ. 587).

<sup>1</sup> ჰიტლერმა არდენებში თავი დამარცხებულად სცნო და ბრძანა ძალების გამოყვანა 8 იანვარს (იხ.: *A Military History of World War II with Atlas. V. I. Operations in the European Theaters*. West Point, NY, 1953, გვ. 531), თუმცა დამარცხების მთავარ მიზეზად მან მიიჩნია მისი ბრძანებების არშესრულება (*H. P. Wilmott. The Great Crusade: A New Complete History of the Second World War. L.*, 1989, გვ. 436).

<sup>2</sup> *D. Eisenhower. Crusade in Europe*, გვ. 364; *Д. Эйзенхауэр. Крестовый поход в Европу*, გვ. 416.

<sup>3</sup> აღსანიშნავია, რომ ამერიკელების განცხადებით, საბჭოთა შეტევის წარმატება მნიშვნელოვანწილად განაპირობა სწორედ არდენებში გერმანელთა უშედეგო შეტევამ. ჯ. მარშალის თქმით, არდენის

ჰქონდა მხოლოდ დროის თვალსაზრისით. ბრძოლის ბედი უკვე  
დიდი ხანია გადაწყვეტილი იყო.

---

ბრძოლის შემდეგ გერმანიას არ დარჩა სტრატეგიული რეზერვები,  
რის გამოც ვერ მოახერხა საბჭოთა შეტევების შეჩერება პოლო-  
ნეთში (იხ.: *The War Reports of General of the Army George C. Marshall,*  
*Chief of Staff, General of the Army, II. H. Arnold, Commander General Army*  
*Air Forces, Fleet Admiral Ernest J. King, Commander in Chief US Fleet and*  
*Chief of Naval Operations.* Philadelphia–New York, 1947, გვ. 147, 198).

## თავი II

### ყირიმის (იალტის) კონფერენცია

#### **§1. დიპლომატიური სამზადისი „დიდი სამეულის“ შორივი სამიტის მოსაწყობად და პირველი კონტაქტები იალტაში**

1945 წლის 4 თებერვალს იალტაში, ლივადიის სასახლეში დაიწყო ყირიმის კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდნენ: საბჭოთა კავშირის მთავრობის მეთაური იოსებ სტალინი, აშშ-ს პრეზიდენტი ფრანკლინ რუზველტი და დიდი ბრიტანეთის პრემიერ მინისტრი უინსტონ ჩერჩილი. აღნიშნული შეხვედრის იდეა 1944 წლის ზაფხულში გაჩნდა. მაშინ რუზველტმა, რომელსაც არ სურდა მხოლოდ ჩერჩილთან შეხვედრა, წერილი გაუგზავნა სტალინს და შესთავაზა მას სამხსრივი კონფერენციის ჩატარება დიდ ბრიტანეთში, კერძოდ, შოტლანდიაში<sup>1</sup>. აღსანიშნავია, რომ იმავე დღეებში ჩერჩილმაც შესთავაზა სტალინს დიდი სამეულის ახალი შეხვედრა, ოღონდ მისი წინადადება უფრო შორეულ პერსპექტივაზე — გვიან შემოდგომაზე იყო გათვლილი<sup>2</sup>. მაგრამ იმ დროს სამიტის ორგანიზება ვერ მოხერხდა, რადგანაც საბჭოთა ლიდერმა ფრონტზე შექმნილი მდგომარეობა მოიმიზეზა და უარი თქვა ქვეყნის დატოვებაზე<sup>3</sup>. შედეგად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, რუზველტი და ჩერჩილი ცალკე შეხვდნენ ერთმანეთს კვებეკში 1944 წლის სექტემბერში.

კვებეკის კონფერენციის დამთავრების შემდეგ სულ რამდენიმე დღეში უკვე დიდი ბრიტანეთის პრემიერმა ჩათვალა საჭიროდ სამი ლიდერის შეხვედრის მოწყობა, მაგრამ მოახლოებულმა საპრეზიდენტო არჩევნებმა რუზველტს არ მისცა ქვეყნის დატოვების საშუალება. ამიტომ, 1944წ. ოქტომბერში ჩერჩილი ჩავიდა მოსკოვში, სადაც მიაღწია კიდევ შეთანხმებას სტალინთან ბალ-

<sup>1</sup> Переписка..., т. II, გვ. 149.

<sup>2</sup> Переписка..., т. I, გვ. 243.

<sup>3</sup> Переписка..., т. II, გვ. 150.

კანეთის საკითხებზე.

1944წ. ოქტომბერში, დაახლოებით იმ დროს, როდესაც მოსკოვში მიმდინარეობდა კონფერენცია „ტოლსტოი“, ვაშინგტონში კვლავ წამოჭრეს სამხრევი შეხვედრის ორგანიზების საკითხი. რუზველტის პირადმა მრჩეველმა და უახლოესმა მეგობარმა ჰარი ჰოპკინსმა აშშ-ში საბჭოთა ელჩ ანდრეი გრომიკოსთან საუბარში იკითხა, თუ მოიძებნებოდა ყირიმში ადგილი, სადაც შესაძლებელი იქნებოდა კონფერენციის ჩატარება<sup>1</sup>. სწორედ გრომიკოს ინფორმაციაზე დაყრდნობით ჩათვალა სტალინმა შესაძლებლად რუზველტის მიწვევა სსრკ-ს შავი ზღვის სანაპიროზე<sup>2</sup>, მით უმეტეს, რომ მოსკოვში მყოფ ჩერჩილს ძალიან მოეწონა ეს აზრი<sup>3</sup>, მაგრამ აქ გაირკვა, რომ აშშ-ს პრეზიდენტმა არაფერი იცოდა ჰოპკინსის ინიციატივის შესახებ. უფრო მეტიც, მას თავდაპირველად სულაც არ მოეწონა ყირიმში ჩასვლის პერსპექტივა. როგორც რუზველტის მიერ ჩერჩილისათვის 1944წ. 22 ოქტომბერს გაგზავნილი დეპეშიდან ჩანს, მას ეჭვი შეეპარა დარდანელის სრუტის უსაფრთხოდ გავლის შესაძლებლობაში და კონფერენციის სამხრეთ ევროპაში გამართვა მოიწადინა<sup>4</sup>. თავის მხრივ, დიდი ბრიტანეთის პრემიერმა სავსებით რეზონულად შენიშნა, რომ ასეთ შემთხვევაში მსგავსი პრობლემები შეექმნებოდა სტალინს, რომლისთვისაც ექიმებს ფრენა აკრძალული ჰქონდათ<sup>5</sup>. მიუხედავად ამისა, საბჭოთა ლიდერისათვის 24 სექტემბერს გაგზავნილ წერილში აშშ-ს პრეზიდენტმა მაინც დაასახელა შეხვედრის ჩატარების ალტერნატიული ადგილები: კვიპროსი, ათენი და

---

<sup>1</sup> უნდა აღინიშნოს, რომ თავად ჰოპკინსს რატომღაც ახსოვდა, რომ გრომიკოს ის ამ თემაზე ესაუბრა საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, ანუ ნოემბერში (R. Sherwood. Roosevelt and Hopkins, გვ. 861).

<sup>2</sup> *Пепенска...*, т. II, გვ. 164.

<sup>3</sup> W. F. Kimball. Churchill and Roosevelt, გვ. 365.

<sup>4</sup> W. F. Kimball. Churchill and Roosevelt, vol. 3, გვ. 366.

<sup>5</sup> W. F. Kimball. Churchill and Roosevelt, vol. 3, გვ. 368. არაეინ იცის, თუ რამდენად გულწრფელი იყო სტალინი, მაგრამ 1944წ. სექტემბერში მან პარიმანს უთხრა, რომ თვირანში თვითმფრინავით მგზავრობის შემდეგ მას ორი კვირა აწუხებდა ყური (იხ.: W. A. Harriman, E. Abel. Special Envoy to Churchill and Stalin, გვ. 375).

მალტა<sup>1</sup>. პასუხად სტალინმა გაიხეორა თავისი შეთავაზება<sup>2</sup>, მაგრამ მაშინ რუზველტმა შეხვედრის საერთოდ გადადება მოითხოვა. მან მოიმიზეზა ის გარემოება, რომ შეხვედრა ნოემბრის ბოლოს უფრო ნაკლებად ფასეული იქნებოდა, ვიდრე იანვრის ბოლოს, მისი ინაუგურაციის შემდეგ, და, ამასთან, გამოთქვა ვარაუდი, რომ იმ დროისათვის სტალინს შეეძლებოდა აღრიატიკის ზღვაზე მდებარე რომელიმე პორტში მატარებლით ან გემით ჩასვლა<sup>3</sup>. მაგრამ უფრო სავარაუდოა, რომ რუზველტს სულ სხვა მიზეზები ამოძრავებდა და იმედი ჰქონდა, რომ იმ დროისათვის ომი გერმანიასთან უკვე დამთავრებული იქნებოდა. ამას ადასტურებს მისი წერილი ჩერჩილისადმი (1944წ. 26 ნოემბერი), რომელშიც ის აღნიშნავს: „მე გამიჩნდა იმის შეგრძნება, რომ ჩვენ ვერ მოვახერხებთ ძია ჯოს შავი ზღვის ფარგლებს გარეთ გამოყვანას, თუ იმ დროისათვის გერმანიას კაპიტულაცია არ ექნება გამოცხადებული“<sup>4</sup>.

სტალინისათვის რუზველტის მიერ დათქმული ვადები საკლებით მისაღები აღმოჩნდა, მაგრამ კონფერენციის ჩატარების სავარაუდო ადგილად მას მაინც რომელიმე საბჭოთა საპორტო ქალაქი მიაჩნდა<sup>5</sup>. რადგანაც ორივე მხარე იმ დროს საკმაოდ მტკიცედ იღვა თავის პოზიციებზე (დიდი სამეულის შესამე წვერმა – ჩერჩილმა, მართალია, თავის მხრივ, თავდაპირველად შესთავაზა რუზველტსა და სტალინს კონფერენციის ალექსანდრიაში ან იერუსალიმში გამართვა<sup>6</sup>, მაგრამ შემდეგ, ისევე როგორც თეირანის კონფერენციის მოსამზადებელ პერიოდში, განზე გადგომა არჩია და მისი გადაწყვეტა საბჭოთა და ამერიკელ ლიდერებს მიანდო), მიმოწერა შეხვედრის ადგილის შესახებ დროებით შეწყდა და მხოლოდ ახალი წლის შემდეგ განაზღვდა. როგორც ჩანს,

<sup>1</sup> Переписка..., т. II, გვ. 165; W. F. Kimball. Churchill and Roosevelt, vol. 3, გვ. 377.

<sup>2</sup> Переписка..., т. II, გვ. 166.

<sup>3</sup> Переписка..., т. II, გვ. 167.

<sup>4</sup> W. F. Kimball. Churchill and Roosevelt, vol. 3, გვ. 412.

<sup>5</sup> Переписка..., т. II, გვ. 168.

<sup>6</sup> Переписка..., т. II, გვ. 167.

რუხველტი ფრონტებზე შექმნილმა მდგომარეობამ დაარწმუნა, რომ გერმანიის კაპიტულაცია უახლოეს მომავალში მოსალოდნელი სულაც არ იყო, ამიტომ მან თვითონ წამოაყენა წინადადება კონფერენციის იალტაში ჩატარების შესახებ<sup>1</sup>. ეს წინადადება უყოყმანოდ იქნა გაზიარებული სტალინისა და ჩერჩილის მიერ<sup>2</sup> და 4 თებერვალს, ლივადიის სასახლეში, რუსეთის იმპერატორთა ყოფილ საზამთრო რეზიდენციაში, გაიხსნა კიდევ უმაღლესი დონის სამიტი.

კონფერენციის მონაწილეები 3 თებერვალს ჩავიდნენ ყირიმში. უნდა აღინიშნოს, რომ ჩერჩილმა მაინც დაითანხმა რუხველტი და ისინი შეხვდნენ ერთმანეთს კ. მალტასთან (1945წ. 30 იანვარი — 2 თებერვალი). ბრიტანეთის პრემიერს იმედი ჰქონდა, რომ ის და აშშ-ს პრეზიდენტი წინასწარ შეათანხმებდნენ თავიანთ პოზიციებს, მაგრამ ეს იმედი მას გაუცრუვდა. რუხველტი ყველანაირად არიდებდა თავს ჩერჩილთან საკითხების განხილვას და ფაქტობრივად პოლიტიკურ პრობლემებზე საუბარი მხოლოდ დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ა. იდენსა და აშშ-ს სახელმწიფო მდივანს ე. სტეტინიუსს შორის გაიმართა 1 თებერვალს. დიპლომატები შეთანხმდნენ, რომ დაერწმუნებინათ საბჭოთა მხარე ფრანგებისათვის, მათი მხრიდან მსგავსი სურვილის გამოთქმის შემთხვევაში, გერმანიაში საოკუპაციო ზონის გამოყოფის აუცილებლობაში და ეფიქრათ საფრანგეთის წარმომადგენლის საკონტროლო მექანიზმში შეყვანაზე<sup>3</sup>. იდენმა და სტეტინიუსმა აგრეთვე შეათანხმეს საოკუპაციო ზონების საკითხი ავსტრიაში, თუმცა არ იქნა ზუსტად განსაზღვრული ვე-

<sup>1</sup> *Переписка...*, т. I, გვ. 300. საინტერესოა, რომ ამ საკითხის განხილვისას აშშ-ს ელჩმა საბჭოთა კავშირში ავერელ ჰარიმანმა წამოაყენა ბათუმის კანდიდატურაც, მაგრამ, საბოლოო ჯამში, უპირატესობა იალტას მიენიჭა (W. F. Kimball. Churchill and Roosevelt, vol. 3, გვ. 449).

<sup>2</sup> აღსანიშნავია, რომ, როგორც ჩანს, რუხველტი მეტად კმაყოფილი დარჩა კონფერენციის ჩატარების შესახებ გადაწყვეტილების მიღებით, რაზეც მეტყველებს ადმირალ ოლსენის ცნობა (იხ.: C. E. Olsen. Full House at Yalta. — *American Heritage*, January, 1972, გვ. 21).

<sup>3</sup> *Foreign Relations of the United States. The Conferences at Malta and Yalta* (შემდგომში *The Conferences at Malta and Yalta*). Wash., 1957, გვ. 499.

ნის საოკუპაციო ზონის საზღვრები<sup>1</sup>. მინისტრებმა განიხილეს პოლონეთის საკითხიც და აღნიშნეს, რომ ლუბლინის კომიტეტის ცნობა დაუშვებელი იყო. აგრეთვე არაფრით არ შეიძლებოდა მისი და ლონდონის ემიგრანტული მთავრობის უბრალოდ შერწყმა. არც ს. მიკოლაიჩიკის მიერ მცირე ხნით ადრე შემოთავაზებული საპრეზიდენტო საბჭოს იდეა იქნა მიჩნეული მისაღებად, თუმცა შესაძლებლად ჩაითვალა მისი წამოყენება მოლაპარაკებების დროს, რათა ამით მომხდარიყო საბჭოთა მხარის პროვოცირება ახალი დროებითი მთავრობის შესაქმნელად<sup>2</sup>.

იღენი და სტეტინიუსი ირანის საკითხსაც შეეხნენ და გადაწყვიტეს, რომ ბრიტანული და საბჭოთა ჯარების გამოყვანა ამ ქვეყნიდან ერთდროულად უნდა მომხდარიყო, თუმცა გამორიცხული არ იყო გარკვეული ინგლისური შენაერთების დატოვება სამხრეთ ირანში იქ არსებული სასიცოცხლო მნიშვნელობის ნავთობის ჭაბურღილების დასაცავად<sup>3</sup>. მხარეებმა ისაუბრეს აგრეთვე საბჭოთა მოთხოვნებზე თბილი პორტების შესახებ, თუმცა რაიმე გადაწყვეტილება არ მიუღიათ. მიუხედავად ამისა, აქ ჩვენი ყურადღება მიიქცია იღენის გაფრთხილებამ, რომ თუ საბჭოთა კავშირი იაპონიის წინააღმდეგ ომში ჩაებმებოდა, ეს მხოლოდ და მხოლოდ მისი სურვილით იქნებოდა განპირობებული და არ იყო საჭირო ამის სანაცვლოდ ზედმეტ დათმობებზე წასვლა<sup>4</sup>.

გარდა ამისა, მხარეებმა ისაუბრეს ჩინეთის საკითხზე და ევროპაში საგანგებო უმაღლესი კომისარიატის შექმნის შესახებ, თუმცა რაიმე კონკრეტული გადაწყვეტილებები არც ამ შემთხვე-

<sup>1</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 499.

<sup>2</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 499-500.

<sup>3</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 500-501.

<sup>4</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 501. უნდა აღინიშნოს, რომ მინისტრები პრაქტიკულად შეთანხმდნენ, რომ სტალინი აუცილებლად მოითხოვდა სამხრეთ სახალინსა და სატრანზიტო უფლებებს მანჯურიაში. ლოგიკური იქნებოდა გვეფიქრა, რომ სწორედ ეს უნდა ყოფილიყო დათმობების ზღვარი, მაგრამ იაღტაში გამართული მოლაპარაკებებისას გაირკვა, რომ რუსეველტი სულაც არ აპირებდა არც თავისი მრჩევლების და არც ბრიტანელების რეკომენდაციების გათვალისწინებას.



ვაში მიუღიათ<sup>1</sup>. გერმანიის შესახებ მსჯელობისას კი ხაზი გაესვა იმას, რომ საჭირო იყო სამმხრივი ხელშეკრულებების მიღწევა გერმანიაში ერთობლივი პოლიტიკის გატარებისა და ცალმხრივ ქმედებებზე უარის თქმის შესახებ<sup>2</sup>. კონსულტაციები გაიმართა აგრეთვე ახალ საერთაშორისო ორგანიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე და დამფუძნებელ კონფერენციაზე მასპინძელი სახელმწიფოების რაოდენობის განსაზღვრაზე<sup>3</sup>.

შეხვედრისას იდენმა და სტეტინიუსმა იმსჯელეს ომისშემდგომი საზღვრების შესახებაც. კერძოდ, ისინი შეეხნენ გერმანია-პოლონეთისა და ავსტრია-იუგოსლავიის საზღვრებს. იდენმა აღნიშნა, რომ პოლონეთს უნდა მიეღო აღმოსავლეთ პრუსია და ზემო სილეზია, აგრეთვე ტერიტორიების ნაწილი ოდერამდე, ამერიკელების აზრით კი, შესაძლო იყო აგრეთვე აღმოსავლეთ პომერანიის ნაწილის გადმოცემაც. მოსახლეობის გადაყვანა კი თანდათან უნდა მომხდარიყო და არა ერთბაშად<sup>4</sup>. ავსტრია-იუგოსლავიის საზღვრის საკითხის განხილვისას კი აღინიშნა, რომ დიდ სამეულს უნდა გაეფრთხილებინა ტიტო, რომ სამშვიდობო ხელშეკრულების გაფორმებამდე არ უნდა მომხდარიყო საზღვრების გადასინჯვა<sup>5</sup>. დასკვნით ნაწილში კი მინისტრებმა განიხილეს აღმოსავლეთ ევროპაში საბჭოთა მხარის ქმედებების, სამოქალაქო მოსახლეობისათვის აუცილებელი პროდუქტების, სამხედრო ტყვეებისა და მთავარი სამხედრო დამნაშავეების საკითხები<sup>6</sup>, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილებები მაინც მთავრობათა მეთაურებს უნდა მიეღოთ, რომელთაც მოხსენდათ კიდევ შეხვედრის შედეგები<sup>7</sup>.

მიუხედავად აღნიშნული რეკომენდაციებისა, მალტაში რაიმე კონკრეტული გადაწყვეტილებები საკუთრივ მთავრობათა მეთაურების დონეზე არ ყოფილა მიღებული. რუზველტი პრაქტიკულად ყველა საკითხზე აცხადებდა, რომ მათი გადაწყვეტა მხო-

<sup>1</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 502-503.

<sup>2</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 503-504.

<sup>3</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 504-505.

<sup>4</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 505.

<sup>5</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 505.

<sup>6</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 505-507.

<sup>7</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 508-509, 510-511, 511-512.

ლოდ იალტაში, სტალინთან ერთად იყო მიზანშეწონილი. ასე რომ, საბოლოო ჯამში, მალტის კონფერენციას რაიმე სერიოზული შედეგები არ გამოუღია. ერთადერთი, რაც იქ გადაწყდა, დასავლეთის ფრონტზე მოკავშირეთა ძირითადი შეტევის დარტყმის მთავარი მიმართულების განსაზღვრა იყო<sup>1</sup>.

ყირიმში ჩასული ამერიკული და ბრიტანული დელეგაციები დააბინავეს იალტის მახლობლად მდებარე სასახლეებში. ამერიკელებს დაახვედრეს ლივადიის სასახლე, ინგლისელებს კი – ვორონცოვის სასახლე ალუპკაში. თავად სტალინი გაჩერდა იუსუპოვის სასახლეში კორეიზში. არ არის გამორიცხული, რომ ყოველივე ეს შემთხვევითი არ იყო, რადგანაც საბჭოთა და ამერიკული დელეგაციების ადგილსამყოფელი გვერდიგვერდ იმყოფებოდა, ხოლო ბრიტანელებს კი საკმაო მანძილი ჰქონდათ გასავლელი ლივადიის სასახლემდე, სადაც იმართებოდა სხდომები<sup>2</sup>.

კონფერენციაზე განსახილველი იყო როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკური საკითხების პრაქტიკულად მთელი სპექტრი, სწორედ ამიტომ მხარეები საკმაოდ მრავალრიცხოვანი დელეგაციებით ჩავიდნენ ყირიმში. სტალინს თან ახლდნენ: საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ვ. მოლოტოვი, გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე ა. ანტონოვი, სსრკ-ს ელჩები დიდ ბრიტანეთსა და აშშ-ში თ. გუსევი და ა. გრომიკო, ავიაციის მარშალი ს. ხუდიაკოვი, სამხედრო საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარი ნ. კუზ-

<sup>1</sup> Argonaut Conference. January – February 1945. *Papers and Minutes of Meetings*. Argonaut Conference. Edited and Published by the Office, U.S. Secretary of the Combined Chiefs of Staff. Wash., 1945, გვ. 289.

<sup>2</sup> წინადადება სხდომების ლივადიის სასახლეში ჩატარების შესახებ სტალინს ეკუთვნოდა და განპირობებული იყო რუზველტისათვის საუკეთესო პირობების შექმნის სურვილით, რადგანაც ზედმეტი გადაადგილება სავარაუდოდ მიჯაჭვულ აშშ-ს პრეზიდენტს გარკვეულ დისკომფორტს შეუქმნიდა (*История дипломатии*, т. IV. М., 1975, გვ. 553), თუმცა ამერიკელმა მეკლევარმა ჯ. კროკერმა გამოთქვა ვარაუდი, რომ საბჭოთა ლიდერს სხვა მიზანიც ჰქონდა. მისი თქმით, ალუპკიდან ლივადიაში მოხვედრა კორეისის გაუვლელად შეუძლებელი იყო და სტალინის გვერდის ავლით ჩერჩილი ვერ მოახერხებდა რუზველტთან მოხვედრას (იხ.: G. N. Crocker. *Roosevelt's Road to Russia*. Chi., 1959, ch. 15).

ნეცოვი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის პირველი მოადგილე ა. ვიშინსკი და სსრკ-ს ყოფილი ელჩი დიდ ბრიტანეთში ი. მაისკი. თავის მხრივ, ჩერჩილმა ჩამოიყვანა: საგარეო საქმეთა მინისტრი ა. იდენი, პირველი საზღვაო ლორდი და საზღვაო შტაბის უფროსი ადმ. ე. კანინგჰემი, სამხედრო-საჰაერო ძალების შტაბის უფროსი ჩ. პორტალი, დიდი ბრიტანეთის ელჩი საბჭოთა კავშირში ა. კერი, იმპერიის გენერალური შტაბის უფროსი ა. ბრუკი, მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი იტალიაში ფელდმარშალი ჰ. ალექსანდერი და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ა. კადოგანი. რუზველტს თან ახლდნენ სახელმწიფო მდივანი ე. სტეტინიუსი, მოკავშირეთა გაერთიანებული შტაბებისა და აშშ-ს არმიის შტაბის უფროსი გენ. ჯ. მარშალი, ადმ. უ. ლიპი, აშშ-ს ელჩი საბჭოთა კავშირში ა. ჰარიმანი, ჰ. ჰოპკინსი, ჯ. ბირნსი, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ევროპულ საქმეთა განყოფილების უფროსი ჰ. მეთიუზი და ჩ. ბოლენი.

ყირიმის კონფერენციის მსვლელობა ასახულია საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოქვეყნებულ დოკუმენტთა კრებულებში<sup>1</sup>. იმთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკული ჩანაწერები გაცილებით უფრო ვრცელია, ვიდრე რუსული. საბჭოთა გამოცემის ძირითად ნაწილში მხოლოდ მთავრობათა მეთაურებისა და საგარეო საქმეთა უწყებების ხელმძღვანელთა სხდომების მასალებია, რომლებსაც, ამავე დროს, აშკარად ეტყობა გარკვეული რედაქტირების კვალი. ამერიკულ კრებულში, თავის მხრივ, შესულია თითოეული სხდომის ორ-ორი ჩანაწერი<sup>2</sup>. გარდა ამისა, აქვე მოცემულია არაოფიციალური შეხვედ-

<sup>1</sup> *Foreign Relations of the United States. The Conferences at Malta and Yalta.* Wash., 1957; *Советский Союз на международных конференциях периода Великой Отечественной войны 1941-1945гг. Т. IV. Крымская конференция руководителей трех союзных держав – СССР, США и Великобритании (4-11 февраля 1945г.). Сборник документов (შემდგომში Крымская конференция...).* М., 1979.

<sup>2</sup> ოფიციალურ სტენოგრამას აწარმოებდა ჩ. ბოლენი, მეორე ჩანაწერი კი, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ეკუთვნის ე. მეთიუსს. რამდენიმე სხდომის ჩაწერას მეთიუზის ნაცვლად ახდენდა ა. პისი, თუმცა მისი ანგარიში უფრო მოკლე შინაარსს წარმოადგენს, ვიდრე სტენოგრამას.

რებისა თუ სადილების ჩანაწერებიც, რაც, რასაკვირველია, საშუალებას აძლევს მკვლევარებს, კომპლექსური შთაბეჭდილება დარჩეთ კონფერენციის მსვლელობისა და მასზე არსებული ატმოსფეროს შესახებ.

კონფერენციის გახსნას წინ უძღოდა სტალინის საუბრები ჩერჩილთან და რუზველტთან. დიდი ბრიტანეთის პრემიერისა და საბჭოთა ლიდერის შეხვედრაზე მოკლედ იქნა მიმოხილული მდგომარეობა ფრონტებზე და მომავალი სამხედრო გეგმები. პოლიტიკურ საკითხებს მხარეები პრაქტიკულად არ შეხებიან<sup>1</sup>. აი, სტალინისა და რუზველტის შეხვედრის მნიშვნელოვანი ნაწილი კი დაეთმო გერმანიის მომავლის განსაზღვრას. თავდაპირველად რუზველტმა მადლობა გადაუხადა სტალინს მისი კომფორტულად დაბინავებისათვის და აღნიშნა, რომ სამხედრო სიტუაცია მნიშვნელოვნად იყო გაუმჯობესებული მათი ბოლო შეხვედრის შემდეგ. სტალინმაც კვერი დაუკრა აშშ-ს პრეზიდენტს და თქვა, რომ საბჭოთა არმიები წარმატებით მიიწვედნენ ოდერზე<sup>2</sup>. რუზველტმა პასუხად აღნიშნა, რომ მან რამდენიმე სანაძლეო დადო იალტისკენ მგზავრობის დროს იმის თაობაზე, ამერიკელები უფრო სწრაფად აიღებდნენ მანილას, თუ რუსები (ასეა ორიგინალში – თ.პ.) – ბერლინს. სტალინმა ყოველგვარი ყოყმანის გარეშე ამერიკელებს მიანიჭა უპირატესობა<sup>3</sup>. რუზველტმა ასევე აღნიშნა, რომ ის ბევრად უფრო მეტი გერმანელის დასახოცად იყო მზად მას შემდეგ, რაც იხილა ის უაზრო ნგრევები, რომელიც განახორციელეს გერმანელებმა ყირიმში<sup>4</sup> და იმედი გამოთქვა, რომ სტა-

<sup>1</sup> W. S. Churchill. The Second World War, გვ. 298-299; Крымская конференция., გვ. 48-49.

<sup>2</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 570.

<sup>3</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 570. სტალინი არც შემცდარა. ამერიკელები მანილაში უკვე მომდევნო დღეს – 5 თებერვალს შევიდნენ, თუმცა ქალაქის ზოგიერთ ნაწილში იაპონელთა წინააღმდეგობა მხოლოდ ერთი თვის შემდეგ იქნა დაძლეული.

<sup>4</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 571; Крымская конференция., გვ. 50. ისე, თუ გაეთვალისწინებთ, რომ ყირიმის ნახევარკუნძული ორჯერ – 1942 და 1944 წლებში – იყო ბრძოლების ეპიცენტრი, ნგრევა გასაკვირი არც უნდა ყოფილიყო. ამავე დროს, იალტაც ალბათ სწორედ იმის გამო აირჩია სტალინმა შეხვედრის ადგილად, რომ

ლინი კვლავ გაიმეორებდა თეირანში წარმოთქმულ სადღეგრძელოს 50 000 გერმანელი ოფიცრის სიკვდილით დასჯის აუცილებლობის შესახებ<sup>1</sup>. აღსანიშნავია, რომ რუზველტის ეს სიტყვები არ გვხვდება საბჭოთა კრებულში. თეირანის კონფერენციის ამსახველ საბჭოთა დოკუმენტებში ასევე არ არის მოცემული იმ სადილის ჩანაწერი, რომელზეც სტალინმა წარმოთქვა ეს ფრაზა, რასაც ჩერჩილის მხრიდან მოჰყვა სამართლიანი რემარკა, რომ სიკვდილით უნდა დასჯილიყვნენ მხოლოდ დამნაშავეები და წინასწარ მათი ზუსტი რიცხვის განსაზღვრა არ შეიძლებოდა<sup>2</sup>. არ არის გამორიცხული, რომ სტალინმა მაშინ იხუმრა, თანაც სწორედ ჩერჩილის გასაბრაზებლად, მაგრამ ყირიმის კონფერენციის დოკუმენტებში ამ სადღეგრძელოზე მინიშნების ამოღება შემთხვევითი ნამდვილად არ უნდა იყოს.

სტალინმაც აგრეთვე აღნიშნა, რომ გერმანელებთან ბრძოლაში განცდილი მსხვერპლის გამო ყველას უფრო მეტად სწყუროდა სისხლი, ვიდრე ერთი წლის წინ<sup>3</sup> და აქვე დაამატა, რომ ყირიმში ბევრად უკეთესი მდგომარეობა იყო, ვიდრე უკრაინაში, რადგანაც გერმანელებს სასწრაფოდ მოუწიათ აქედან გაქცევა და ვერ მოახერხეს დაგეგმილი აფეთქებების მოწყობა. საბჭოთა ლიდერმა ხაზი გაუსვა იმასაც, რომ გერმანელები ველურები იყვნენ და ადამიანის მიერ შექმნილი კულტურული მემკვიდრეობა სძულდათ, რასაც აშშ-ს პრეზიდენტმაც აუბა მხარი<sup>4</sup>. რუზველტმა მაგალითისთვის მოიყვანა პოლანდია, სადაც გერმანელებმა გაანად-

---

გარკვეული ზემოქმედება მოეხდინა აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის ლიდერებზე და ეჩვენებინა მათთვის, თუ რა გამანადგურებელი შედეგი ჰქონდა ომს საბჭოთა კავშირისათვის. შესაძლოა, ის ფიქრობდა, რომ ამ ფონზე ისინი უფრო დამთმობნი იქნებოდნენ რეპარაციების საკითხში.

<sup>1</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 571.

<sup>2</sup> *Foreign Relations of the United States. The Conferences at Cairo and Tehran*, Wash., 1964, გვ. 553-554; W. S. Churchill. *The Second World War*. Vol. 5. *Closing the Ring*. Boston, MA, 1952, გვ. 373-374.

<sup>3</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 571; Крымская конференция..., გვ. 50.

<sup>4</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 571; Крымская конференция..., გვ. 50.

გურეს დამბები, რის შედეგადაც ქვეყნის სამიწათმოქმედო რაიონები ზღვის მლაშე წყლით დაიფარა. მისი თქმით, ამ მიწების ხელახლა გამოსაყენებლად 6 წელი იქნებოდა საჭირო და გამოთქვა მოსაზრება, ჰოლანდიელებისათვის, თუნდაც აღნიშნული ვადით, გადაეცათ გერმანული მიწები. სტალინმა სავსებით სწორად ჩათვალა პრობლემის ასეთი გადაწყვეტა და გერმანელებს ბარბაროსები უწოდა<sup>1</sup>.

ამის შემდეგ სტალინმა იკითხა, თუ რა მდგომარეობა იყო დასავლეთის ფრონტზე, რაზეც პასუხად მიიღო, რომ დეტალურ ინფორმაციას მთავრობათა მეთაურების პირველ სხდომაზე გენერალი ჯ. მარშალი წარმოადგენდა. რუზველტმა მხოლოდ დაუკონკრეტა სტალინს, რომ 8 და 12 თებერვალს დაიწყებოდა მოკავშირეთა ორი შეტევა, მაგრამ ძირითადი დარტყმა მარტში განხორციელდებოდა<sup>2</sup>. აქვე აშშ-ს პრეზიდენტმა სტალინს გადასცა აღმირალ ლიპის მიერ შედგენილი ბარათი, სადაც დაფიქსირებული იყო თხოვნა, ნება დაერთოთ საბჭოთა სამხედროებისათვის, ბრიტანელებსა და ამერიკელებთან ერთად განეხილათ სამხედრო საკითხები<sup>3</sup>. საუბარი შეეხო სამხედრო ოპერაციების მზადებას და მათი კოორდინაციის აუცილებლობასაც, რაც სტალინმაც და რუზველტმაც უალრესად საშურ საქმედ ჩათვალეს<sup>4</sup>.

სამხედრო საკითხებზე საუბრის დასრულების შემდეგ აშშ-ს პრეზიდენტმა ჰკითხა საბჭოთა ლიდერს, თუ რა შთაბეჭდილება დატოვა მასზე დე გოლმა. ამასთან დაკავშირებით, ჩენი ყურადღება მიიპყრო შემდეგმა გარემოებამ: სხვადასხვა სხდომებზე საფრანგეთის საკითხზე მიმდინარე საუბრების საბჭოთა ჩანაწერი არაერთხელ არის „დაჩეხილი“, რაც უეჭველად მიზანმიმართულ ხასიათს უნდა ატარებდეს, თუმცა ჩვენთვის გაუგებარია, თუ რა

<sup>1</sup> Крымская конференция..., გვ. 50. საუბრის ეს მონაკვეთი არ არის ასახული ამერიკულ ჩანაწერში.

<sup>2</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 571; Крымская конференция..., გვ. 51.

<sup>3</sup> Крымская конференция..., გვ. 51. ამერიკულ ჩანაწერში არ არის დაფიქსირებული აღმირალ ლიპის ბარათი.

<sup>4</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 571-572; Крымская конференция..., გვ. 51-52.

გახდა ასეთი ქმედების მიზეზი. იალტის კონფერენციის საბჭოთა ჩანაწერების გამოქვეყნებამდე დიდი ხნით ადრე იყო გამოცემული ამერიკული მასალები<sup>1</sup>, სადაც საბჭოთა პოზიცია საფრანგეთის საკითხზე ყველგან არის დაფიქსირებული. ფაქტობრივად, ეს წარმოადგენდა „სირაკლემას პოზის“ დაკავებას, მაგრამ საბჭოთა რელაქტორებმა მანც საჭიროდ ჩათვალეს, დაემალათ საბჭოთა მხარის რეალური პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით. ერთ-ერთ ყველაზე უხემ რელაქტირებას საბჭოთა ჩანაწერში ვხვდებით სწორედ რუზველტისა და სტალინის აღნიშნული შეხვედრის ამსახველ მასალებში. აქ ამოღებულია სტალინის პასუხები, რის გამოც კითხვის დასმის შემდეგ რუზველტი თავად აყალიბებს თავის შეხედულებებს დე გოლზე და იხსენებს 1943წ. იანვარში კასაბლანკაში შემდგარ შეხვედრას<sup>2</sup>. სამაგიეროდ, ამერიკულ ჩანაწერში ამ ორ მონაკვეთს შორის მოყვანილია სტალინის პასუხი. საბჭოთა ლიდერი საფრანგეთის მთავრობის მეთაურს ახასიათებს, როგორც არც თუ ძნელად შესაგუებელ პიროვნებას, მაგრამ, ამავე დროს, მას მიაჩნია, რომ დე გოლი მეტად არარეალისტურად იქცევა, როდესაც ითხოვს ამერიკელების, ბრიტანელებისა და რუსების (ასეა ჩანაწერში — თ.პ.) მსგავს უფლებებს საფრანგეთისათვის, რომელსაც ძალიან მცირე წელილი ჰქონდა შეტანილი მტერზე გამარჯვებაში<sup>3</sup>.

საფრანგეთზე საუბარი ამით არ დამთავრებულა. რუზველტმა ამცნო სტალინს, რომ მან მიიღო გადაწყვეტილება, შეეიარაღებინა 8 ახალი ფრანგული დივიზია, რომელთა პირადი შემადგენლობაც ამ დროისთვის უკვე დაკომპლექტებული იყო<sup>4</sup>. სტა-

<sup>1</sup> პირველად ამ მასალების შემოკლებული ვარიანტი საბჭოთა კავშირში გამოქვეყნდა 1965წ. ჟურნალში „Международная жизнь“, ამერიკული ტომის გამოსვლიდან 8 წლის შემდეგ. აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებული შემოკლებული ვარიანტი ითარგმნა და გამოიცა ქართულ ენაზეც (იხ.: თეირანი, იალტა, პოტსდამი. — დოკუმენტების კრებული. თბ., 1969).

<sup>2</sup> Крымская конференция., გვ. 52.

<sup>3</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 572.

<sup>4</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 572. საბჭოთა ჩანაწერში ეს ფრაზა ქდერს ასე: „რუზველტმა თქვა, რომ ის ეხმარება დე გოლს 8

ლინმა მოიწონა ეს აზრი და იქვე აღნიშნა, რომ ჯერჯერობით დე გოლის არმია მეტად სუსტი იყო<sup>1</sup>. აქვე რუზველტმა შენიშნა, რომ მისთვის მოწოდებული ცნობების თანახმად, ფრანგებს არ სურდათ გერმანული მიწების ოკუპაცია და აინტერესებდათ მხოლოდ მათი საერთაშორისო კონტროლის ქვეშ მოქცევა<sup>2</sup>, რაზეც სტალინმა უპასუხა, რომ მოსკოვში დე გოლმა ღიად ისაუბრა რაინზე, როგორც საფრანგეთის ბუნებრივ საზღვარზე და გამოთქვა სურვილი, სამუდამოდ განელაგებინა იქ ფრანგული ჯარები. ამასთან, საბჭოთა ლიდერმა შეახსენა თავის ვიზავის, რომ ყოველივე ეს მას თავის დროზე წერილით აცნობა<sup>3</sup>.

აქ რუზველტმა აღნიშნა, რომ ის სტალინისათვის მეტად დელიკატური რამის თქმას აპირებდა, რასაც არასოდეს არ იტყოდა ჩერჩილის თანდასწრებით. მან განაცხადა, რომ ბრიტანელებს ორი წლის განმავლობაში ჰქონდათ სურვილი, გარდაეჭმნათ საფრანგეთი ძლიერ სახელმწიფოდ, რომელსაც შეეძლებოდა თავის აღმოსავლეთ საზღვარზე 200000-იანი არმიის განლაგება და თავდაცვა მანამ, სანამ ინგლისელები მძლავრ არმიას არ გამოისროდნენ კონტინენტზე. ამასთან დაკავშირებით, აშშ-ს პრეზიდენტმა იხუმრა კიდევ, რომ ბრიტანელებს სურდათ, ერთდროულად ეჭამათ თავისი ღვეზელი და თან მთელი ჰქონოდათ ის<sup>4</sup>.

---

ფრანგული დიეიზიის შეიარაღებაში“ („Рузвельт сказал, что он помогает де Голлю вооружить 8 французских дивизий“, – იხ.: Крымская конференция., გვ. 52), რაც მნიშვნელოვნად ცვლის რუზველტის სიტყვების არსს.

<sup>1</sup> *The Conferences at Malta and Yalta*, გვ. 572. რასაკვირველია, საბჭოთა ჩანაწერში მხოლოდ მოწონება არის დაფიქსირებული (იხ.: Крымская конференция., გვ. 52).

<sup>2</sup> საუბარია მდ. რაინის დასავლეთით მდებარე ტერიტორიებზე, რომლებსაც ფრანგები თავიანთ ისტორიულ საზღვრებში მოიაზრებდნენ.

<sup>3</sup> *The Conferences at Malta and Yalta*, გვ. 572; Крымская конференция., გვ. 52. ეს არის პრაქტიკულად ერთადერთი შემთხვევა, როდესაც საფრანგეთის საკითხის განხილვისას საბჭოთა ჩანაწერი არა თუ რედაქტირებული არ არის, არამედ პირიქით, უფრო სრულია, ვიდრე ამერიკული, რომელშიც აკლია მინიშნება სტალინის მიერ რუზველტისადმი 1944წ. 3 დეკემბერს გაგზავნილი წერილის შესახებ.

<sup>4</sup> *The Conferences at Malta and Yalta*, გვ. 572; Крымская конференция., გვ. 52.



საუბრის დასასრულს რუზველტი შეეხო საოკუპაციო ზონების პრობლემასაც. მან აღნიშნა, რომ აქ თითქმის ყველაფერი უკვე პრაქტიკულად შეთანხმებული იყო, მაგრამ რჩებოდა ფრანგებისათვის ზონის გამოყოფის საკითხი. პასუხად საბჭოთა ლიდერმა ჰკითხა აშშ-ს პრეზიდენტს, თუ რა აზრის იყო ის აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით და რა უნდა გამხდარიყო ფრანგებისათვის ზონის გამოყოფის მიზეზი. რუზველტმა განმარტა, რომ ეს არ იყო ცუდი აზრი, მაგრამ, მისი თქმით, მსგავსი ნაბიჯის გადადგმა მხოლოდ კეთილი ნების გამოხატულება იქნებოდა. სტალინმაც და მოლოტოვმაც ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ფრანგებისათვის ზონის გამოყოფის ერთადერთი საფუძველი ნამდვილად მხოლოდ კეთილი ნება შეიძლებოდა ყოფილიყო. აქვე საბჭოთა ლიდერმა აღნიშნა, რომ ეს საკითხი აუცილებლად გახდებოდა შემდგომი დისკუსიის საგანი იალტაში<sup>1</sup>.

ამით დასრულდა ეს საუბარი. ალბათ, უკვე ამ შეხვედრისას დარწმუნდა სტალინი, რომ აშშ-ს პრეზიდენტი ძალიან დამყოლი იქნებოდა ბევრ საკითხში. ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ ცხადია, აღნიშნული საუბრისას სტალინი და რუზველტი პრაქტიკულად ყველა საკითხზე ერთ აზრამდე მივიდნენ.

## **§2. სამიტის პასხნა და პირველი დღის დებატები**

იალტის კონფერენცია გაიხსნა 4 თებერვალს, საღამოს 5 საათზე. ისევე როგორც თეირანში, იალტაშიც, სტალინის წინადადებით, სხდომის თავმჯდომარედ აირჩიეს რუზველტი. პირველი სხდომა ძირითადად ფრონტებზე შექმნილი მდგომარეობის მიმოხილვასა და მოკავშირეთა მომავალი სამხედრო მოქმედებების შეთანხმებას მიეძღვნა. 1945წ. თებერვლისათვის გერმანია სრული სამხედრო-სტრატეგიული კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა. საბჭოთა ჯარების მიერ პოლონეთში განხორციელებული შეტევის

<sup>1</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 573. საბჭოთა ჩანაწერში მხოლოდ სტალინის ბოლო სიტყვებია დაფიქსირებული, ხოლო რუზველტის მსჯელობა და საბჭოთა მხარის პასუხი არ გვხვდება (იხ.: Крымская конференция..., გვ. 53).

შემდეგ ფრონტის ხაზი ბერლინიდან სულ რაღაც 60 კმ-ით იყო დაშორებული. გარდა ამისა, ძირითადი ძალებისაგან იზოლირებული აღმოჩნდა გერმანელთა აღმოსავლეთ პრუსიის დაჯგუფება 27 დივიზიის შემადგენლობით. ძირითად ძალებს მოსწყდა აგრეთვე კურლანდიის დაჯგუფება, რომელშიც 26 დივიზია შედიოდა<sup>1</sup>. არც დასავლეთის ფრონტზე ჰქონდათ გერმანელებს სახარბიელო მდგომარეობა. არდენის შეტევის ჩაშლის შემდეგ გერმანელებმა ძლივს მოასწრეს წინ გაჭრილი ნაწილების გამოყვანა, ხოლო ინგლისელები და ამერიკელები, რომლებიც ბერლინიდან 500 კმ-ში იმყოფებოდნენ, მზად იყვნენ რურსა და საარზე გადამწყვეტი შეტევის დასაწყებად<sup>2</sup>. საერთო ჯამში გერმანიის წინააღმდეგ მიმართული იყო 12-მილიონიანი არმია (6,7 მლნ ჯარისკაცი სსრკ-ზე მოდიოდა, 3,7 მლნ — აშშ-ზე და 1,5 მლნ — დიდ ბრიტანეთზე). გერმანელებს კი მხოლოდ 5,6 მლნ კაცის დაპირისპირება შეეძლოთ ამ უზარმაზარი მასისათვის<sup>3</sup>. ძალიან დიდი იყო მოკავშირეთა უპირატესობა სამხედრო ტექნიკის ყველა მაჩვენებლითაც. ფაქტობრივად გერმანიის დღეები დათვლილი იყო და სწორედ ამიტომ ყირიმის კონფერენციაზე ყურადღება ძირითადად პოლიტიკური პრობლემების გადაწყვეტას დაეთმო, თუმცა პირველი სხდომა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფრონტებზე შექმნილი მდგომარეობის მიმოხილვასა და მომავალში მოკავშირეთა მოქმედებების შეთანხმების საკითხს მიეძღვნა.

თავდაპირველად სხდომაზე განიხილეს აღმოსავლეთის ფრონტზე საბჭოთა ჯარების შეტევის შემდეგ შექმნილი ვითარება, რის შესახებაც საკმაოდ ვრცელი მოხსენებით გამოვიდა გენ. ა. ანტონოვი. მან კონფერენციის მონაწილეებს მოახსენა საბჭოთა არმიის მიერ პოლონეთში განხორციელებული ოპერაციის შედეგები და გამოთქვა რამდენიმე სურვილი, რომელთა უმრავლესობაც ინგლისელებსა და ამერიკელებს ეხებოდა. პირველ რიგში, ანტონოვმა

<sup>1</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 581-582; Крымская конференция..., გვ. 55; თეირანი., გვ. 70.

<sup>2</sup> J. Ehrman. Grand Strategy. Vol. 6. October 1944—September 1945, გვ. 92; Дж. Эрман. Большая стратегия. Октябрь 1944 — август 1945, გვ. 99.

<sup>3</sup> В. Л. Исраэлян. Дипломатия в годы войны. 1941-1945, გვ. 328.

განაცხადა, რომ კარგი იქნებოდა, თუ დაჩქარდებოდა დასავლეთის ფრონტზე მოკავშირეთა ჯარების შეტევაზე გადასვლა და ეს მოხდებოდა თებერვლის პირველ ნახევარში. გარდა ამისა, ანტონოვის აზრით, აუცილებელი იყო გერმანელთა არდენის დაჯგუფების საბოლოოდ განადგურება. ამასთან ერთად, ინგლისელებსა და ამერიკელებს არ უნდა მიეცათ გერმანელებისათვის დასავლეთის ფრონტიდან, ნორვეგიიდან და იტალიიდან აღმოსავლეთის ფრონტზე ჯარების გადასროლის საშუალება და ეს უნდა მომხდარიყო საავიაციო დარტყმების შედეგად ბერლინისა და ლაიფციგის კვანძების პარალიზებით. აგრეთვე მათ ხელი უნდა შეეშალათ გერმანელებისათვის, თუ ისინი ეცდებოდნენ იტალიიდან ჯარების გამოყვანას<sup>1</sup>.

ჩერჩილმა სწორედ ამ უკანასკნელ საკითხზე გაამახვილა ყურადღება. მან წამოაყენა წინადადება, იტალიიდან აღმოსავლეთ ფრონტზე გერმანელთა 8 დივიზიის გადასროლის თავიდან ასაცილებლად გადაეყვანათ ლიუბლიანის გასასვლელით ინგლისელებისა და ამერიკელების ჯარების ნაწილი საბჭოთა ჯარებთან შესაერთებლად<sup>2</sup>. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ჩერჩილს სურდა, ამ ოპერაციის განხორციელებით სისრულეში მოეყვანა ავსტრიის დაკავების გეგმა, მაგრამ მას არაფერი გამოუვიდა. საბჭოთა მხარემ საერთოდ უპასუხოდ დატოვა ეს წინადადება, რაც ჩერჩილისათვის, ალბათ, მოულოდნელი უნდა ყოფილიყო, რადგანაც კონფერენციის დაწყებამდე შემდგარ შეხვედრაზე სტალინმა თვითონ შესთავაზა ინგლისელებს ისტრია-ავსტრიის ოპერაციის ჩატარება<sup>3</sup>.

ამის შემდეგ დასავლეთის ფრონტზე განსახორციელებელი ოპერაციების შესახებ მოხსენება გააკეთა ჯ. მარშალმა. მან აღნიშნა, რომ უკანასკნელი კვირების განმავლობაში მოკავშირეთა ჯარების მთავარსარდალმა გენ. დ. ეიზენჰაუერმა გადააჯგუფა თავისი დივიზიები და მოემზადა ახალი შეტევისათვის ფრონტის

<sup>1</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 583; Крымская конференция..., გვ. 56.

<sup>2</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 575; Крымская конференция..., გვ. 57.

<sup>3</sup> Крымская конференция..., გვ. 49.

როგორც ჩრდილოეთ, ისე სამხრეთ ნაწილში. მარშალმა გამოთქვა იმედი, რომ ამ ორი ოპერაციიდან პირველი დაიწყებოდა 8 თებერვალს, ხოლო მეორე — ერთი კვირის განმავლობაში<sup>1</sup>. ძირითადი დარტყმა გერმანელებზე მაინც ჩრდილოეთიდან უნდა ყოფილიყო მიყენებული. სწორედ აქ ჰქონდათ განზრახული მოკავშირეებს მოწინააღმდეგის ფრონტის გარღვევა და რაინის გადალახვა, რაც, მარშალის მონაცემებით, მარტის დამდეგს უნდა მომხდარიყო<sup>2</sup>. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ გარღვევა მოხდებოდა 50-60 მილის სიგრძის ფრონტზე, სადაც გერმანელებს გააჩნდათ მძიმე ტიპის გამაგრებები<sup>3</sup> და რომ შემდეგ ამერიკელები და ინგლისელები განაგრძობდნენ შეტევას მოწინააღმდეგის პოზიციებზე<sup>4</sup>. სამხრეთ ნაწილში, მარშალის განცხადებით, დაგეგმილი იყო მოწინააღმდეგის უკუგდება მიულჰაუზენისა და კოლმარის რაიონიდან და რაინის მარცხენა ნაპირზე გერმანელების პლაცდარმის მოსპობა<sup>5</sup>.

იტალიურ ფრონტზე შექმნილი მდგომარეობის მიმოხილვისას მარშალმა აღნიშნა, რომ აქ მოკავშირეებს გააჩნდათ იმდენი ძალა, რამდენიც საკმარისი იყო მათ წინააღმდეგ განლაგებული 27 გერმანული დივიზიის გასაწონასწორებლად. მან აგრეთვე ხაზი გაუსვა მოკავშირეთა ავიაციის ეფექტურ მოქმედებას და განაცხადა, რომ უკანასკნელ დაბომბვებს მოჰყვა დიდი ნგრევა რკინიგზებზე და საწვავის წარმოების 60%-ით შემცირება გერმანი-

---

<sup>1</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 576-584; Крымская конференция..., გვ. 57-58.

<sup>2</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 576, 584-585; Крымская конференция..., გვ. 58.

<sup>3</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 586-587; Крымская конференция..., გვ. 60.

<sup>4</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 576, 584. აღსანიშნავია, რომ საბჭოთა ჩანაწერში აქ რატომღაც ფიგურირებს ინგლისელებისა და ამერიკელების წინსვლა ბერლინისაკენ (იხ.: Крымская конференция..., გვ. 58), თუმცა ჩვენ უფრო სანდოდ ამერიკული ჩანაწერი მიგვაჩნია, რადგანაც დასავლეთელ მოკავშირეთა გეგმებში ბერლინის აღება იმ დროს არც განიხილებოდა.

<sup>5</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 576, 584; Крымская конференция..., გვ. 58.

აშ<sup>1</sup>. თავისი სიტყვის დასასრულს მარშალმა აღნიშნა, რომ ავიაცია აგრეთვე ბომბავდა წყალქვეშა ნაგებობების განლაგების ბაზებს, რადგანაც, მიუხედავად ამ ნაგებობების მცირე რაოდენობისა, მოსალოდნელი იყო მათი მხრიდან მოკავშირეთა გემებზე ახალი თავდასხმების მოწყობა<sup>2</sup>.

ამ საკითხთან დაკავშირებით ჩერჩილმა განაცხადა, რომ აუცილებელი იყო საბჭოთა ჯარების სწრაფი წინსვლა დანციგის რაიონში, სადაც გერმანელებს ჰქონდათ წყალქვეშა ნაგებობების ერთ-ერთ უდიდესი ბაზა. ამის პასუხად სტალინმა განაცხადა, რომ საბჭოთა ნაწილები მალე დაუშენდნენ საარტილერიო ცეცხლს დანციგს და იკითხა, თუ სად იყო განლაგებული სხვა ბაზები, რაზეც ჩერჩილმა უპასუხა, რომ ასეთ ადგილებს წარმოადგენდნენ კილი და ჰამბურგი<sup>3</sup>. საბჭოთა ლიდერი დაინტერესდა აგრეთვე დასავლეთის ფრონტზე მოკავშირეთა ჯარების, ტანკებისა და ავიაციის რაოდენობით, რის შესახებაც დაწვრილებითი ინფორმაცია მიიღო მარშალისა და პორტალისაგან<sup>4</sup>.

ამის შემდეგ საუბარი ისევ შეეხო საბჭოთა არმიის მიერ პოლონეთში განხორციელებულ ოპერაციას. სტალინმა აღნიშნა, რომ თეირანის კონფერენციაზე მიღებული გადაწყვეტილებების თანახმად საბჭოთა მხარე არ იყო ვალდებული, წამოეწყო ზამთრის შეტევა. მან აგრეთვე განაცხადა, რომ არც ჩერჩილსა და არც რუზველტს პირდაპირ არ უთხოვიათ მისთვის შეტევის დაწყება. სტალინის თქმით, აშშ-ს პრეზიდენტმა მას მხოლოდ ეიზენჰაუერის წარმომადგენლის — ა. ტედერის მიღება სთხოვა, ხოლო ინგლისის პრემიერმა კი უბრალოდ იკითხა, აპირებდა თუ არა საბჭოთა მხარე იანვარში შეტევაზე გადასვლას<sup>5</sup>. მიუხედა-

<sup>1</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 577, 585; Крымская конференция.., გვ. 59.

<sup>2</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 577, 585; Крымская конференция.., გვ. 59.

<sup>3</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 588; Крымская конференция.., გვ. 59.

<sup>4</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 578, 586-587; Крымская конференция.., გვ. 60.

<sup>5</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 579; Крымская конференция.., გვ. 61-62.

ვად ამისა, საბჭოთა ლიდერმა განაცხადა, რომ მოკავშირეთათვის დახმარების აღმოჩენა მან თავის მორალურ ვალდებულად მიიჩნია და ამიტომაც გასცა ბრძანება შეტევის ვადაზე ადრე დაწყების შესახებ<sup>1</sup>. სტალინმა აგრეთვე სთხოვა ინგლისელ და ამერიკელ კოლეგებს, გაეთვალისწინებინათ, რომ საბჭოთა მხარის წარმომადგენლები ყოველთვის იცავდნენ არა მარტო ფორმალურ ვალდებულებებს, არამედ შეძლებისდაგვარად ასრულებდნენ თავიანთ მორალურ მოვალეობასაც<sup>2</sup>. ეს იყო 1942-1943 წლებში მოკავშირეთა მოქმედების აშკარა კრიტიკა, მაგრამ ჩერჩილმა და რუზველტმა „ჩაყლაპეს“ სტალინის გადაკრული სიტყვები და არაფერი უთქვამთ ამის თაობაზე. აშშ-ს პრეზიდენტმა მხოლოდ აღნიშნა, რომ ყოველი მოკავშირე მორალურად ვალდებული იყო, რაც შეიძლება დიდი სისწრაფით წაეწია წინ<sup>3</sup>. ამის შემდეგ რუზველტმა და ჩერჩილმა განაცხადეს, რომ საჭირო იყო სამივე მოკავშირის ძალების მჭიდრო კოორდინაცია და წამოაყენეს წინადადება, შტაბებს გადაეწყვიტათ ეს საკითხი. სტალინი დაეთანხმა მათ, რომ აუცილებელი იყო დასავლეთისა და აღმოსავლეთის ფრონტებზე ჩასატარებელი ოპერაციების შეთანხმება და მი-

<sup>1</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 579, 587-588; Крымская конференция..., გვ. 62.

<sup>2</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 579; Крымская конференция..., გვ. 62. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ ხანებში გაჩნდა გარკვეული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სტალინმა რამდენიმე თვით ადრე იცოდა პერლ-ჰარბორზე საფარაუდო თავდასხმის შესახებ, მაგრამ არ მიაწოდა ეს ინფორმაცია რუზველტს (იხ.: A. L. Weeks. Stalin's Other War: Soviet Grand Strategy, 1939-1941. Lanham, MD, 2002, გვ. 31). გარკვეულ მინიშნებას ამის შესახებ აკეთებს ვ. შელენბერგიც, რომელიც აღნიშნავს, რომ საბჭოთა მხარემ იცოდა, რომ იაპონელები წყნარ ოკეანეში აპირებდნენ შეტევითი ოპერაციების წარმოებას (იხ.: В. Шелленберг. Лабиринт. М., 1991, გვ. 147). ამ ბოლო დროს კი ასევე გაჩნდა მონაცემები, რომ, შესაძლოა, სტალინმა საერთოდ ინსპირირება მოახდინა იაპონიის აშშ-ზე თავდასხმისა (იხ.: И. Б. Линдер, Н. Н. Абин. Операция „Восточный ветер“. М., 2003). ასეთ შემთხვევაში სტალინის მიერ მორალურ ვალდებულებებზე საუბარი, ცოტა არ იყოს, მკრეხელურიც კი ჩანს.

<sup>3</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 588; Крымская конференция..., გვ. 62.

ზანშეწონილად ჩათვალა ამ საკითხის სამხედროებისათვის გადაცემა. მთავრობათა მეთაურები შეთანხმდნენ, რომ სამხედროები ერთმანეთს შეხვედროდნენ მეორე დღეს და განეხილათ როგორც მდგომარეობა აღმოსავლეთის, დასავლეთისა და იტალიის ფრონტებზე, ისე არსებული ძალების ყველაზე ეფექტურად გამოყენების საკითხი<sup>1</sup>.

ამით დასრულდა დიდი სამეულის მიერ სამხედრო საკითხების განხილვა. ამის შემდეგ ეს საკითხები წყდებოდა მხოლოდ მოკავშირეთა შტაბების წარმომადგენელთა თათბირებზე, რომლებიც იალტაში ყოველდღე იმართებოდა. საბოლოოდ, კონფერენციაზე მიღებული იქნა კომუნიკე, რომლის პირველ ნაწილში — „გერმანიის განადგურება“ — აისახა კიდევ სამხედროთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებები. კომუნიკეში აღინიშნა, რომ შტაბების წარმომადგენლების თათბირების შედეგად უფრო მჭიდრო გახდა მოკავშირეთა სამხედრო ღონისძიებების კოორდინაცია; ხაზი გაესვა იმას, რომ მთლიანად შეთანხმებულ იქნა გერმანიისთვის მისაყენებელი დარტყმების ვადები და მასშტაბები, აგრეთვე აღინიშნა, რომ ყირიმის კონფერენციაზე მიღწეული თანამშრომლობა დააჩქარებდა ომის დამთავრებას და სამი ქვეყნის შტაბების წარმომადგენელთა თათბირები გაგრძელდებოდა მაშინვე, როგორც კი შეიქმნებოდა ამის საჭიროება<sup>2</sup>.

როგორც ვხედავთ, თეირანის კონფერენციისაგან განსხვავებით, იალტაში სამხედრო საკითხებზე საუბრისას ფაქტობრივად არ შექმნილა საკამათო სიტუაციები. სამაგიეროდ, უკვე მეორე სხდომის დაწყებისთანავე ნათელი გახდა, რომ თითქმის ყველა პოლიტიკური პრობლემის განხილვისას მწვავე დებატები იყო მოსალოდნელი. თუმცა, ერთი პატარა კონფუზი უკვე პირველსავე დღეს მოხდა. სხდომის დასრულების შემდეგ შედგა სადილი, რომელზეც მასპინძელი იყო რუზველტი. სწორედ აქ აშშ-ს პრეზიდენტმა საუბრისას აღნიშნა, რომ ის და ჩერჩილი ხშირად მოიხ-

<sup>1</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 580, 588; Крымская конференция..., გვ. 62-63.

<sup>2</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 969-970; Крымская конференция..., გვ. 265; თეირანი..., გვ. 166-167.

სენიებდნენ სტალინს, როგორც „ძია ჯოს“.<sup>1</sup> საბჭოთა ლიდერი მოულოდნელად აღშფოთდა მისი ამგვარად მოხსენიებით და იკითხა, თუ როდის შეეძლო მას ამ სუფრის დატოვება. სიტუაცია განმუხტა ბირნსმა, რომელმაც აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირში აშშ-ს ზშირად უწოდებდნენ „ძია სემს“ და არც „ძია ჯო“ უნდა ყოფილიყო საწყენი. ამან მართლაც დაამშვიდა სტალინი და სუფრაც მეგობრულ ატმოსფეროში გაგრძელდა<sup>2</sup>. ჩვენი აზრით, საბჭოთა ლიდერის საქციელი შემთხვევითი არ იყო. არ არის გამორიცხული, რომ მას სურდა ერთგვარად დაეშინებინა რუზველტი და ჩერჩილი, რომ კონფერენციის მსვლელობისას ისინი უფრო დამყოლი გაეხადა.

### §3. 5 თებერვლის სხდომა

მეორე პლენარული სხდომა შედგა 5 თებერვალს. სხდომის განსნისთანავე რუზველტი გამოვიდა ინიციატივით, რომ დაეწყოთ გერმანიის საკითხის განხილვა. მას მიაჩნდა, რომ საჭირო იყო საოკუპაციო ზონების პრობლემის გადაწყვეტა, რასთან დაკავშირებით დგებოდა ფრანგებისათვის საოკუპაციო ზონის გამოყოფისა და საფრანგეთის საკონტროლო აპარატში შეყვანის საკითხი<sup>3</sup>. სტალინიც დაეთანხმა რუზველტს, რომ მართლაც საჭირო იყო გერმანიის თაობაზე მსჯელობა, ოღონდ ხაზი გაუსვა იმას, რომ, მისი აზრით, გარდა საოკუპაციო ზონებისა, უნდა განხილულიყო გერმანიის დანაწევრების საკითხიც. გარდა ამისა, საბჭოთა ლიდერმა მოითხოვა გერმანიის უპირობო კაპიტულაციის პირობების დაკონკრეტება. და ბოლოს, ის აუცილებლად თვლიდა რეპარაციების რაოდენობის განსაზღვრას<sup>4</sup>.

სტალინის პასუხად რუზველტმა აღნიშნა, რომ საბჭოთა

<sup>1</sup> W. S. Churchill. The Second World War, vol. 6, გვ. 393.

<sup>2</sup> W. S. Churchill. The Second World War, vol. 6, გვ. 393.

<sup>3</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 611, 624; Крымская конференция., გვ. 64.

<sup>4</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 611, 624; Крымская конференция., გვ. 64-65.



ლიდერის მიერ დაყენებული საკითხები გამოძინარეობდა ზონე-ბის საკითხიდან. მისი თქმით, შეიძლებოდა სწორედ საოკუპაციო ზონები გამხდარიყო გერმანიის დანაწევრების გზაზე გადადგმული პირველი ნაბიჯი. მაგრამ სტალინი ამით არ დაკმაყოფილდა. მან განაცხადა, რომ თუ მოკავშირეებს გადაწყვეტილი ჰქონდათ გერმანიის დანაწევრება, ეს ღიად უნდა ეთქვათ. საბჭოთა ლიდერმა პარტნიორებს შეახსენა, რომ პირველად ეს საკითხი წამოიჭრა თეირანის კონფერენციაზე, როდესაც აშშ-ს პრეზიდენტმა გერმანიის ხუთ ნაწილად დაქუცმაცების იდეა წამოაყენა<sup>1</sup>. ბრიტანეთის პრემიერმა, ყოფიანის შემდეგ, გერმანიის ორ ნაწილად დაყოფის (რაც გულისხმობდა პრუსიის გამოყოფას სამხრეთ გერმანიისაგან) სურვილი გამოთქვა<sup>2</sup>. სტალინის თქმით, მაშინ ის უფრო რუხველტის პოზიციას იზიარებდა, ვიდრე ჩერჩილისას<sup>3</sup>, მაგრამ თეირანში მხოლოდ აზრთა გაცვლა-გამოცვლა მოხდა<sup>4</sup>. მოსკოვის შეხვედრაზე ჩერჩილთან (1944წ. ოქტომბერი) კი უკვე ამ პრობლემის გადაწყვეტის ინგლისური გეგმა განიხილეს. ამ გეგმის თანახმად გათვალისწინებული იყო პრუსიის ცალკე გამოყოფა, ბევარიისა და ავსტრიის გაერთიანება ერთ სახელმწიფოში, რურისა და ვესტფალიის საერთაშორისო კონტროლის ქვეშ მოქცევა. საბჭოთა მხარისთვის ეს გეგმა მისაღები იყო, მაგრამ საკითხის გადაწყვეტა ვერ მოხერხდა, რადგანაც მოსკოვში რუხველტი არ იმყოფებოდა<sup>5</sup>. ამჯერად კი, სტალინის აზრით, დადგა აღნიშნულ

<sup>1</sup> *Foreign Relations of the United States. The Conferences at Cairo and Tehran, 1943* (შემდგომში *The Conferences at Cairo and Tehran*), Wash., 1961, გვ. 600; *The Conferences at Malta and Yalta*, გვ. 612, 624.

<sup>2</sup> *The Conferences at Cairo and Tehran*, გვ. 602; *The Conferences at Malta and Yalta*, გვ. 612, 624.

<sup>3</sup> *The Conferences at Cairo and Tehran*, გვ. 602; *The Conferences at Malta and Yalta*, გვ. 612, 624.

<sup>4</sup> *The Conferences at Malta and Yalta*, გვ. 612, 624-625. აღსანიშნავია, რომ კონფერენციის რუსულ ჩანაწერებში რატომღაც არ არის ეს მონაკვეთი, რაც ქმნის ისეთ შთაბეჭდილებას, რომ გერმანიის დანაწევრების მთავარი მოსურნეები სწორედ რუხველტი და ჩერჩილი არიან, ხოლო სტალინის ეს მაინცდამაინც არ სურს და მხოლოდ იმიტომ მონაწილეობს ამ საკითხის განხილვაში, რომ საჭიროა საბოლოო გადაწყვეტილების მიღება.

<sup>5</sup> *The Conferences at Malta and Yalta*, გვ. 612, 624-625. რუსულ ჩანაწერ

პრობლემაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების დრო.

სტალინის შემდეგ პოლემიკაში ჩაერთო ჩერჩილი, რომელიც პრინციპში დაეთანხმა გერმანიის დანაწევრების იდეას, მაგრამ გერმანიის ცალკეულ ნაწილებს შორის საზღვრების გავლება იმდენად რთულ საქმედ ჩათვალა, რომ ძნელად მიიჩნია ამის გაკეთება 5-6 დღეში. ამასთანავე, მან აღნიშნა, რომ თეირანსა და მოსკოვში მიმდინარეობდა მხოლოდ ზოგადი საუბარი და რაიმე კონკრეტული გეგმის განხილვა არ ყოფილა. ბრიტანეთის პრემიერის თქმით, თუ მისი აზრი მაინც აინტერესებდათ მხარეებს, ის საჭიროდ თვლიდა გერმანიისაგან პრუსიის ჩამოცილებას და სამხრეთით მეორე დიდი გერმანული სახელმწიფოს შექმნას, რომლის დედაქალაქიც ვენაში იქნებოდა. გარდა ამისა, გერმანული ტერიტორიების ნაწილი უნდა გადასცემოდა პოლონეთს, ხოლო რურისა და საარის ოლქების საკითხი ცალკე უნდა გარკვეულიყო<sup>1</sup>. აქვე ჩერჩილმა უკან დასახევი გზაც დაიტოვა და განაცხადა, რომ ეს იყო მხოლოდ მისი პირადი აზრი და ბრიტანეთის მთავრობას არ ჰქონდა მიღებული რაიმე გადაწყვეტილება ამ საკითხთან დაკავშირებით. სამაგიეროდ, მისი განმარტებით, მოკავშირეები მზად იყვნენ გერმანიის უპირობო კაპიტულაციის დაუყოვნებლივ მისაღებად და ყველა დეტალი უკვე ცნობილი იყო სამივე მთავრობისათვის<sup>2</sup>. ამისათვის კი აუცილებელი იყო საოკუპაციო ზონებსა და გერმანიაში კონტროლის აპარატზე ოფიციალური შეთანხმების მიღწევა, რადგანაც ამის შემდეგ ნებისმიერ დროს გერმანიის კაპიტულაციის შემთხვევაში საჭირო იქნებოდა მხოლოდ გერმანიის საოკუპაციო ზონების მიხედვით დაკა-

---

რებში ამოღებულია სტალინის შეხედულებები გერმანიის დანაწევრებასთან დაკავშირებით.

<sup>1</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 612, 625; Крымская конференция..., გვ. 65-66.

<sup>2</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 625; Крымская конференция..., გვ. 66. აღსანიშნავია, რომ ამერიკელებს ეჭვიც კი შეეპარათ, იცნობდა თუ არა სტალინი საბჭოთა მხარის მიერ 1944წ. 8 დეკემბერს მოწონებულ დოკუმენტს (ინგლისელებმა და ამერიკელებმა უფრო ადრე მოაწერეს ხელი ამ დოკუმენტს) გერმანიის კაპიტულაციის შესახებ.

ვება<sup>1</sup>.

ამის საპასუხოდ საბჭოთა ლიდერმა მოითხოვა შემდეგი საკითხის დაზუსტება: ითანამშრომლებდნენ თუ არა მოკავშირეები ისეთ დაჯგუფებასთან, რომელიც დაამხობდა ჰიტლერს და გამოაცხადებდა უპირობო კაპიტულაციას? ჩერჩილმაც განუმარტა საბჭოთა ლიდერს, რომ ასეთ შემთხვევაში საჭირო იქნებოდა დაუყოვნებლივი კონსულტაციები სამივე მხარეს შორის იმის შესახებ, წაეყენებინათ თუ არა ამ ჯგუფისათვის კაპიტულაციის პირობები. დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, პირობები წარდგენილი იქნებოდა, უარყოფით დადგენილებას კი მოჰყვებოდა საომარი მოქმედებების გაგრძელება და გერმანიის სრული ოკუპაცია<sup>2</sup>. ასეთი დაჯგუფების გამოჩენა და მისი წარმომადგენლების მიერ ხელის მოწერა უპირობო კაპიტულაციაზე მოკავშირეების მოთხოვნების შესაბამისად არ გახდოდა საჭიროს ამ დოკუმენტში რაიმე კონკრეტული მუხლის შეტანას გერმანიის მომავლის თაობაზე, ჩერჩილის აზრით, უპირობო კაპიტულაცია ისედაც იძლეოდა გერმანიის დანაწევრების შესახებ დამატებითი მოთხოვნების წამოყენების უფლებას მომავალში<sup>3</sup>.

სტალინი, როგორც ჩანს, მანც არ დააკმაყოფილა ბრიტანეთის პრემიერის ახსნა-განმარტებამ. მან განაცხადა, რომ მოთხოვნა გერმანიის დანაწევრების შესახებ დამატებითი კი არა, სწორედ რომ არსებითი პირობა იყო. ჩერჩილი დაეთანხმა სტალინს და აღნიშნა, რომ უბრალოდ საჭირო არ იყო პირველ ეტაპზე გერმანელებისათვის ასეთი მოთხოვნის წაყენება. მისი აზრით, ეს საკითხი მხოლოდ მოკავშირეებს შორის უნდა განხი-

<sup>1</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 625; Крымская конференция..., გვ. 66.

<sup>2</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 613, 626; Крымская конференция..., გვ. 67.

<sup>3</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 613-614, 626; Крымская конференция..., გვ. 67. აქვე, როგორც ჩანს, სტალინის დასაწყენარებლად, ჩერჩილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ არ ექნებოდა ადგილი არავითარ მოლაპარაკებებს ჰიტლერთან ან ჰიმლერთან, მათი მხრიდან უპირობო კაპიტულაციაზე ხელის მოწერის ინიციატივის გამოჩენის შემთხვევაში.

ლულიყო<sup>1</sup>. საბჭოთა ლიდერმაც განმარტა, რომ სწორედ ეს სურდა მასაც, რაზეც ჩერჩილმა უპასუხა, რომ ამ საკითხს შესწავლა სჭირდებოდა და დანაწევრების დეტალების დაზუსტება სამშვიდობო კონფერენციაზე უნდა მომხდარიყო<sup>2</sup>.

ჩერჩილისა და სტალინის კამათში ჩაება რუზველტიც, რომელმაც აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე საჭირო იყო პრინციპის გადაწყვეტა, მოხდებოდა თუ არა გერმანიის დანაწევრება, ხოლო დეტალების განხილვა შემდგომშიც შეიძლებოდა, რასაც სტალინიც დაეთანხმა<sup>3</sup>. შემდეგ აშშ-ს პრეზიდენტმა დაამატა, რომ აქ მთავარი იყო შეთანხმება გერმანიის 5-7, ან უფრო ნაკლებ<sup>4</sup> ნაწილად დაყოფის შესახებ. აღსანიშნავია, რომ ჩანაწერების ამ ნაწილის რუსული რედაქციის მიხედვით, რუზველტს ერჩივნა დეცენტრალიზაცია, მაგრამ, არსებული ვითარებიდან გამომდინარე, ეს უტოპიად მიაჩნდა და ერთადერთ გამოსავლად თვლიდა გერმანიის დანაწევრებას<sup>5</sup>. განსხვავებულია ამერიკული რედაქცია, სადაც დეცენტრალიზაცია მოხსენიებულია მხოლოდ როგორც დანაწევრების სინონიმი და არავითარი საუბარი უტოპიაზე არ არის<sup>6</sup>. ამასთან, მან შესაძლოდ ჩათვალა გერმანელებისათვის იმის თქმა, რომ მოხდებოდა გერმანიის დანაწევრება, ოღონდ იმის დაკონკრეტების გარეშე, თუ რამდენი ნაწილი იქნებოდა<sup>7</sup>.

რუზველტის ამ განმარტებას კვლავ მოჰყვა ჩერჩილის წინააღმდეგობა. ბრიტანეთის პრემიერს დაუშვებლად მიაჩნდა გერ-

---

<sup>1</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 614, 626; Крымская конференция..., გვ. 67.

<sup>2</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 626; Крымская конференция..., გვ. 67.

<sup>3</sup> Крымская конференция..., გვ. 67-68. სტალინის თანხმობა გამოტოვებულია ამერიკულ ჩანაწერებში, თუმცა საუბრიდან გამომდინარე, საბჭოთა ჩანაწერი ალბათ უფრო სრულია ამ შემთხვევაში.

<sup>4</sup> უფრო ნაკლებ ნაწილად დაყოფის შესახებ რემარკა ჩერჩილმა გააკეთა, რასაც რუზველტიც დაეთანხმა (The Conferences at Malta and Yalta, გვ. 626).

<sup>5</sup> Крымская конференция..., გვ. 68

<sup>6</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 626.

<sup>7</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 626; Крымская конференция..., გვ. 68.

მანულების ინფორმირება იმ პოლიტიკის შესახებ, რომელსაც გა-  
ატარებდნენ მომავალში მოკავშირეები გერმანიის მიმართ. მისი  
თქმით, საჭირო იყო მხოლოდ იმის აღნიშვნა, რომ მომავალში  
იქნებოდა დამატებითი მოთხოვნები. ბრიტანეთის პრემიერმა ისიც  
განაცხადა, რომ 80 მილიონი ადამიანის ბედის გადაწყვეტას 80  
წუთზე მეტი დრო სჭირდებოდა<sup>1</sup>. მისი აზრით, საკითხის სრული  
შეფასება შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ გერმანიის ოკუპაციი-  
დან ერთ თვეში<sup>2</sup>. აღსანიშნავია, რომ საბჭოთა ჩანაწერებში აქ  
ფიგურირებს უბრალოდ ერთი თვე. ჩვენი აზრით, საბჭოთა ჩანა-  
წერის ამ ნაწილში დაშვებულია რამდენიმე შეცდომა: 1. რატომ-  
ღაც ნახსენებია კომისია, რომელსაც დასჭირდებოდა ეს ერთი  
თვე, თუმცა ამ საუბრის არც რუსულ, არც ამერიკულ ჩანაწერ-  
ში არანაირი კომისია ამ საკითხთან დაკავშირებით მანამდე ნახ-  
სენები არ არის. საგარეო საქმეთა მინისტრების კომისიაზე სა-  
უბარს იწყებს რუზველტი, მაგრამ მხოლოდ ჩერჩილის განცხა-  
დების პასუხად, თანაც ის არ ახსენებს სიტყვას „კომისია“, ამ  
ტერმინს მოგვიანებით იყენებს სტალინი; 2. ამერიკული ჩანაწერი  
ცხადყოფს, რომ ჩერჩილს მხედველობაში ჰქონდა ერთი თვე სწო-  
რედ გერმანიის დაკავების შემდეგ<sup>3</sup>. როგორც ჩანს, თარგმნისას ან  
საუბრის ჩაწერისას უბრალოდ ამოვარდა ჩერჩილის ნათქვამის  
ბოლო სიტყვები, რის გამოც საბჭოთა ჩანაწერმა სახე იცვალა.

ჩერჩილის რეპლიკის პასუხად აშშ-ს პრეზიდენტმა აღნიშ-  
ნა, რომ დაუშვებელი იყო საჯარო დისკუსიის გამართვა გერმა-  
ნიის დაყოფის თემაზე, რადგანაც ამ შემთხვევაში „გეგმების რა-  
ოდენობა იქნებოდა იმდენივე, რამდენი გერმანული სახელმწიფოც  
იყო წარსულში“<sup>4</sup>. ამიტომ, მისი აზრით, საჭირო იყო საგარეო

<sup>1</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 614. კონფერენციის რუსულ  
ჩანაწერში ფიგურირებს „30 წუთი“ (Крымская конференция., გვ. 68).

<sup>2</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 614.

<sup>3</sup> “It might not be determined until a month or so after our troops occupy Ger-  
many”, – იხ.: The Conferences at Malta and Yalta, გვ. 614, ხაზგასმა  
ჩვენია – თ.პ.

<sup>4</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 614. უნდა აღინიშნოს, რომ  
ეს არის ერთ-ერთი იშვიათი შემთხვევა, როდესაც რუზველტმა გა-  
მოამჟღავნა ამა თუ იმ ქვეყნის ისტორიის ცოდნა. ჩვეულებრივ ის

საქმეთა მინისტრებისათვის დაევალებინათ საკითხის შესწავლა, რათა მათ მეორე დღისათვის წარმოედგინათ გერმანიის დაყოფის სამუშაო გეგმა. რუზველტის ამ წინადადებას ჩერჩილიც დაეთანხმა და აღნიშნა, რომ მისთვის მისაღები იყო გერმანიის დანაწევრების პრინციპი იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდებოდა პრობლემის შემდგომი დაკონკრეტება<sup>1</sup>. აქ პოლემიკაში ისევ ჩაერთო სტალინი, რომელმაც განაცხადა, რომ მისი მხრიდან ამ საკითხის დაყენება განაპირობა სურვილმა, მოკავშირეები მზად ყოფილიყვნენ მოვლენების შესაძლო განვითარებისთვის. საბჭოთა ლიდერის თქმით, გერმანია იდგა არა მარტო სამხედრო, არამედ ეკონომიკური კატასტროფის წინაშეც, რადგანაც ის რჩებოდა პურისა და ქვანახშირის გარეშე. ამიტომ სტალინმა ხაზგასმით მიუთითა, რომ ის მოითხოვდა არა კონკრეტული გეგმის შედგენას, არამედ საკითხის პრინციპულად გადაწყვეტას და ამის დაფიქსირებას გერმანიის უპირობო კაპიტულაციის ტექსტში<sup>2</sup>.

ჩერჩილმა კიდევ ერთხელ სცადა თავისი პოზიციის დაცვა და აღნიშნა, რომ უპირობო კაპიტულაცია გამორიცხავდა დაზავებას, რაზეც სტალინმა შენიშნა, რომ, ამის მიუხედავად, კაპიტულაციაზე ხელი მაინც უნდა მოწერილიყო. ბრიტანეთის პრემიერი დაეთანხმა ამ შენიშვნას და დამსწრეთ წაუკითხა ევროპის საკონსულტაციო კომისიის მიერ შემუშავებული გერმანიის უპირობო კაპიტულაციის ტექსტის მე-12 მუხლი, რომელიც მოკავშირეებს ანიჭებდა სრული ადმინისტრაციული კონტროლის უფლებას გერმანიის ტერიტორიაზე<sup>3</sup>. ტექსტის მოსმენის შემდეგ რუზველტმა შენიშნა, რომ აქ არსად არ იყო ნახსენები გერმანიის დანაწევრება და სასურველად ჩათვალა ამის ჩამატება პირ-

---

ძალიან უხეშ შეცდომებს უშვებდა მსგავსი საკითხების განხილვისას, რასაც განსაკუთრებით მოწმობს მისი საუბარი სტალინთან თეირანში (მხედველობაში გვაქვს რუზველტის აზრები ინდოეთის მოწყობის შესახებ. იხ: *The Conferences at Cairo and Tehran*, გვ. 489).

<sup>1</sup> *The Conferences at Malta and Yalta*, გვ. 614-615, 626-627; *Крымская конференция...*, გვ. 68-69.

<sup>2</sup> *The Conferences at Malta and Yalta*, გვ. 626; *Крымская конференция...*, გვ. 69.

<sup>3</sup> *The Conferences at Malta and Yalta*, გვ. 117.

ველ პარაგრაფში. ჩერჩილი ამის წინააღმდეგ წავიდა და აღნიშნა, რომ ეს არც ეიზენჰაუერს უნდოდა, რადგანაც გააძლიერებდა გერმანელების წინააღმდეგობას. აქ საუბარში ისევ სტალინი ჩაერთო, რომელმაც აღნიშნა, რომ არავინ არ აპირებდა ამ ტექსტის გამოქვეყნებას. მისი თქმით, შეიძლებოდა ამოქმედებულიყო იტალიის ვარიანტი, როდესაც იტალიელებმა ხელი მოაწერეს უპირობო კაპიტულაციას, მაგრამ მისი პირობები არ გამოქვეყნებულა. ამ შემოტევის გაძლება ჩერჩილს უკვე გაუჭირდა და ის დაეთანხმა წინადადებას, რომ საკითხი განსახილველად გადასცემოდა საგარეო საქმეთა მინისტრებს, რომლებსაც უნდა განესაზღვრათ, იყო თუ არა მიზანშეწონილი გერმანიის დანაწევრების ან მსგავსი ფორმულირების მოხსენიება უპირობო კაპიტულაციის ტექსტში<sup>1</sup>.

ამის შემდეგ „დიდი სამეული“ გადავიდა ფრანგებისათვის საოკუპაციო ზონის გამოყოფისა და საფრანგეთის საკონტროლო აპარატში შეყვანის საკითხის განხილვაზე. რუზველტმა განაცხადა, რომ, მისი გაგებით, ფრანგებს უნდოდათ საოკუპაციო ზონა მდ. რაინამდე საფრანგეთის საზღვრის გასწვრივ, თუმცა არ აინტერესებდათ ამ ტერიტორიის შემოერთება. აქვე ის დაეკითხა სტალინს, თუ რამდენად სწორი იყო ეს დასკვნა და გაკვირვებულმა გაიგო, რომ მოსკოვში ყოფნის პერიოდში (1944წ. დეკემბერი) დე გოლმა ღიად განაცხადა საფრანგეთის სურვილის შესახებ, საზღვარი გადატანილიყო მდ. რაინზე<sup>2</sup>. აქ საუბარში ჩაერთო ბრიტანეთის პრემიერი, რომელმაც აღნიშნა, რომ ამჯერად არ იხილებოდა საფრანგეთ-გერმანიის მომავალი საზღვრის საკითხი და გადასაწყვეტი იყო მხოლოდ ფრანგებისათვის საოკუპაციო ზონის გამოყოფა-არგამოყოფა. ჩერჩილმა განაცხადა, რომ ეს ზონა გამოყოფილი იქნებოდა ბრიტანული და, სავარაუდოდ, ამერიკული ზონებიდან, თუ საბჭოთა მხარე დაეთანხმებოდა ამ წინადადებას.

---

<sup>1</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 615-616, 627-268; Крымская конференция..., გვ. 69-70.

<sup>2</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 616; Крымская конференция..., გვ. 70.

სტალინს თავდაპირველად არ გამოუხატავს თავისი პოზიცია მოცემული საკითხისადმი. მან იკითხა, ზომ არ შექმნიდა ეს პრეცედენტს სხვა ქვეყნების მხრიდან საოკუპაციო ზონის მოთხოვნისათვის. პასუხად ჩერჩილმა განაცხადა, რომ გერმანიის ოკუპაცია შეიძლებოდა ხანგრძლივი ყოფილიყო და დიდი ბრიტანეთისათვის მეტად ფასეული იქნებოდა საფრანგეთის დახმარება<sup>1</sup>. მაშინ საბჭოთა ლიდერი დაინტერესდა, გამოიწვევდა თუ არა ეს საფრანგეთის შეყვანას საკონტროლო მექანიზმში. ბრიტანეთის პრემიერმა გამოთქვა ამის სურვილი და იქვე ხაზი გაუსვა, რომ თუ ბელგია ან პოლანდია მოინდომებდნენ ოკუპაციაში ბრიტანელების დახმარებას, ეს მოხდებოდა მათთვის ზონების გამოყოფის და, შესაბამისად, მათი საკონტროლო მექანიზმში შეყვანის გარეშე<sup>2</sup>. ამასთან დაკავშირებით სტალინმა იკითხა, ზომ არ იყო მიზანშეწონილი, იგივე პოზიცია დაეკავებინათ საფრანგეთის მიმართაც, რაზეც ჩერჩილმა უპასუხა, რომ ფრანგები დაჟინებით ითხოვდნენ მათთვის საოკუპაციო ზონის გამოყოფას. აქვე ბრიტანეთის პრემიერმა ხაზი გაუსვა, რომ საჭირო იყო საფრანგეთის მომავალი სტატუსის გარკვევაც და ფრანგების საკონტროლო აპარატში შეყვანა. მისი თქმით, საფრანგეთის აქტიური ჩართვა აუცილებელი იყო გერმანიის მხრიდან მომავალში აგრესიის თავიდან ასაცილებლად, რადგან აშშ-ს მონაწილეობა გერმანიის ოკუპაციაში ხანგრძლივი არ იქნებოდა<sup>3</sup>. გარდა ამისა, ჩერჩილმა აღ-

<sup>1</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 616; Крымская конференция..., გვ. 71. საბჭოთა ჩანაწერში რატომღაც აქვე მითითებული არის, რომ ჩერჩილმა მისადებად ჩათვალა პოლანდიისა და ბელგიისათვის საოკუპაციო ზონების გამოყოფა, თუ ისინი გამოთქვამდნენ ასეთ სურვილს. როგორც ჩანს, შეცდომას ადგილი ჰქონდა თარგმნისას, რადგანაც, როგორც შემდგომი დიალოგიდან ჩანს, ბრიტანეთის პრემიერი სხვა სახელმწიფოებისათვის, საფრანგეთის გარდა, საოკუპაციო ზონის გამოყოფის წინააღმდეგი იყო, თუმცა მოლოტოვი უმტკიცებდა მას, რომ ჩერჩილმა დაუშვა ბელგიის, პოლანდიისა და პოლონეთისათვის ზონის გამოყოფის შესაძლებლობა (იხ.: Крымская конференция..., გვ. 75).

<sup>2</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 616; Крымская конференция..., გვ. 71.

<sup>3</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 616; Крымская конференция...,



ნიშნა, რომ თუ საბჭოთა კავშირის გაუნდებოდა სურვილი, ჩაერთო გერმანიის ოკუპაციაში რომელიმე სხვა სახელმწიფო, მაგალითად, პოლონეთი, მას შეეძლო ამის გაკეთება საოკუპაციო ზონის გამოყოფისა და საკონტროლო მექანიზმში შეყვანის გარეშე<sup>1</sup>.

ჩერჩილის წინადადება მიუღებელი აღმოჩნდა როგორც საბჭოთა ლიდერისათვის, ისე აშშ-ს პრეზიდენტისათვის. რუზველტმა აღნიშნა, რომ მას ერჩივნა საკონტროლო მექანიზმი საფრანგეთის გარეშე<sup>2</sup>, სტალინმა კი, რომელიც თავდაპირველად თავს იკავებდა რაიმე კონკრეტული განცხადების გაკეთებისაგან, ამჯერად სასტიკად გაილაშქრა საფრანგეთის საკონტროლო კომისიაში შეყვანის წინააღმდეგ. მან ხაზგასმით განაცხადა, რომ საკონტროლო მექანიზმში მონაწილეობა უნდა მიეღოთ მხოლოდ იმ სახელმწიფოებს, რომლებიც თავიდან ბოლომდე მტკიცედ იბრძოდნენ გერმანიის წინააღმდეგ, ხოლო საფრანგეთმა პიტლერს ჯეროვანი წინააღმდეგობა არ გაუწია და არ შედიოდა ასეთი ქვეყნების რიცხვში. საბჭოთა ლიდერმა აღნიშნა, რომ თუ საფრანგეთი მიიღებდა ადგილს საკონტროლო მექანიზმში, ძნელი იქნებოდა სხვებისათვის უარის თქმა მსგავსი სურვილის დაფიქსირების შემთხვევაში<sup>3</sup>. რუზველტიც დაეთანხმა ფრანგებისათვის ზონის გამოყოფას, ოღონდ საფრანგეთის საკონტროლო მექანიზმში შეყვანის გარეშე, რადგანაც ეს, მისი თქმით, წაახალისებდა ჰოლანდიელებს, რომლებსაც სერიოზული პრობლემები ჰქონდათ შექმნილი თავიანთი ტერიტორიის ნაწილის ზღვით დატბორვის გამო და შეეძლოთ მსგავსი პრეტენზიების გამოთქმა<sup>4</sup>.

მიუხედავად სტალინისა და რუზველტის წინააღმდეგობისა,

---

გვ. 71. რუზველტმა ეს ვადა ორი წლით განსაზღვრა (The Conferences at Malta and Yalta, გვ. 628).

<sup>1</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 617; Крымская конференция..., გვ. 71-72.

<sup>2</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 629; Крымская конференция..., გვ. 72.

<sup>3</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 629. სტალინის ეს სიტყვები არ არის დაფიქსირებული საბჭოთა ჩანაწერებში.

<sup>4</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 618-619; Крымская конференция..., გვ. 73.

ბრიტანულმა დელეგაციამ მაინც განაგრძო თავისი პოზიციის დაცვა. კერძოდ, იღენმა აღნიშნა, რომ ზონა გამოყოფილი იქნებოდა მხოლოდ საფრანგეთისათვის. აქვე მან იკითხა, როგორ უნდა განხორციელდებინათ ფრანგებს თავიანთი უფლებამოსილება საოკუპაციო ზონაში, თუ ისინი არ იქნებოდნენ წარმოდგენილი საკონტროლო კომისიაში<sup>1</sup>. სტალინის რეპლიკამ, რომ ფრანგებს უნდა ემოქმედათ ბრიტანელების დირექტივების მიხედვით, ბრიტანელების სავსებით ლოგიკური რეაქცია გამოიწვია. ჩერჩილმა განაცხადა, რომ ფრანგები უარს იტყოდნენ საოკუპაციო ზონაზე იმ შემთხვევაში, თუ მათ არ შეიყვანდნენ საკონტროლო მექანიზმში. აქვე მან ხაზი გაუსვა, რომ ეს არ მისცემდა საფრანგეთს უფლებას, მონაწილეობა მიეღო სამი სახელმწიფოს კონფერენციებში<sup>2</sup>. აქვე ბრიტანელებმა აღნიშნეს, რომ პარიზში ფრანგებმა მათ თავიანთი პოზიცია გააცნეს და იკითხეს, იყო თუ არა საუბარი ამ საკითხზე მოსკოვში დე გოლის ვიზიტის დროს<sup>3</sup>. სტალინმა დაადასტურა, რომ ფრანგებმა მართლაც მოითხოვეს როგორც საოკუპაციო ზონა, ისე ადგილი საკონტროლო კომისიაში, მაგრამ მაშინ მან უთხრა დე გოლს, რომ ამ საკითხების გადაჭრას სამივე ლიდერის საერთო გადაწყვეტილება სჭირდებოდა<sup>4</sup>. ამ სიტყვებს მოყვა ჩერჩილის რემარკა, რომ ამჯერად საჭირო იყო მხოლოდ საფრანგეთისათვის ზონის გამოყოფაზე გადაწყვეტილების მიღება, ხოლო კონტროლის განხორციელების მექანიზმზე შეიძლებოდა ემსჯელათ საგარეო საქმეთა მინისტრებს, რომლებიც შეათანხმებდნენ საბოლოო ვარიანტს აღნიშნული საკითხის შესახებ<sup>5</sup>. მცირე პოლემიკის შემდეგ, რომლის დროსაც მხარეები იმე-

<sup>1</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 619, 630; Крымская конференция..., გვ. 73.

<sup>2</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 619, 630; Крымская конференция..., გვ. 73.

<sup>3</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 630; Крымская конференция..., გვ. 74.

<sup>4</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 630; Крымская конференция..., გვ. 74.

<sup>5</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 619; Крымская конференция..., გვ. 74.

ორებდნენ უკვე გამოთქმულ არგუმენტებს, ჩერჩილის ეს წინადადება მიღებულ იქნა<sup>1</sup>.

საფრანგეთის თაობაზე შეთანხმების მიღწევის შემდეგ, სტალინის ინიციატივით, რეპარაციების საკითხის განხილვა დაიწყო<sup>2</sup>. რუზველტმა თავიდანვე განაცხადა, რომ აშშ არ იყო დაინტერესებული გერმანული ტექნიკითა თუ მუშახელით. მისი თქმით, გერმანიისაგან რეპარაციების მიღებით არა მარტო „დიდი სამეულის“ ქვეყნები, არამედ მცირე სახელმწიფოებიც იყვნენ დაინტერესებული. ამავე დროს, აშშ-ს პრეზიდენტს აინტერესებდა საბჭოთა მხარის პოზიცია გერმანელი მუშახელის გამოყენებასთან დაკავშირებით<sup>3</sup>. სტალინმაც ნაწილობრივ დააკმაყოფილა რუზველტის ცნობისმოყვარეობა. მან განაცხადა, რომ საბჭოთა მხარე არ იყო მზად მეორე საკითხის განსახილველად, მაგრამ, სამაგიეროდ, შემუშავებული ჰქონდა მატერიალური რეპარაციების მიღების გეგმა, რომლის წარმოდგენაც დაევალა ი. მაისკის<sup>4</sup>. საბჭოთა გეგმა 8 ძირითად დებულებას ეფუძნებოდა: 1) რეპარაციების ამოღება მომხდარიყო ნატურით, და არა ფულით, როგორც ეს მოხდა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ; 2) დაწესებულიყო ორი სახის ნატურალური გადასახადი: ომის დამთავრების შემდეგ გერმანიის ეროვნული სიმდიდრის (ფაბრიკა-ქარხნები, გემები, დაზგები, უცხოური ინვესტიციები და ა.შ.) ერთჯერადი ამოღება და საქონლის ყოველწლიური მიწოდება ომის შემდგომ პერიოდში; 3) რეპარაციების გადახდის პირობების შესრულებისას უნდა მომხდარიყო გერმანიის ეკონომიკური განიარაღება, რაც ითვალისწინებდა მძიმე მრეწველობის 80%-ის და სამხედრო საწარმოების 100%-ის ამოღებას; 4) რეპარაციების გადახდის ვადად უნდა დაწესებულიყო 10 წელი პირველი 2 წლის განმავლობაში ეროვნული

<sup>1</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 619, 630; Крымская конференция..., გვ. 75.

<sup>2</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 619; Крымская конференция..., გვ. 75.

<sup>3</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 620, 630; Крымская конференция..., გვ. 75-76.

<sup>4</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 620, 630; Крымская конференция..., გვ. 76.

სიმდიდრის ამოღებით; 5) გერმანიის მხრიდან აღებული სარგარაციო ვალდებულებების სრულად შესასრულებლად ქვეყანაზე უნდა დაწესებულიყო სსრკ-ინგლის-აშშ-ს ერთობლივი კონტროლი, რომელიც შენარჩუნდებოდა რეპარაციების გადახდის ვადის ამოწურვის შემდეგაც; 6) დაზარალებული სახელმწიფოებისათვის რეპარაციების მიღების წესი უნდა განსაზღვრულიყო გერმანიის დამარცხებაში შეტანილი წვლილისა და ომში განცდილი პირდაპირი მატერიალური დანაკარგების რაოდენობის მიხედვით; 7) საბჭოთა კავშირის წილი რეპარაციებში უნდა განსაზღვრულიყო 10 მლრდ დოლარით; და 8) დეტალური სარეპარაციო გეგმის შესამუშავებლად უნდა შექმნილიყო აშშ-ს, დიდი ბრიტანეთისა და საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებისაგან შემდგარი კომისია, რომელიც მოსკოვში იმუშავებდა<sup>1</sup>.

საბჭოთა გეგმის წარმოდგენის შემდეგ ჩერჩილმა უმაღლესადა მისი ტორპედირება. მან განაცხადა, რომ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ყველას დიდი იმედი ჰქონდა გერმანული რეპარაციების, მაგრამ საბოლოო ჯამში გერმანიიდან მხოლოდ 1 მილიარდი გირვანქა იქნა მიღებული და ისიც მხოლოდ იმის წყალობით, რომ აშშ-მ და ინგლისმა ჩადეს გაცილებით უფრო დიდი ინვესტიციები გერმანიის ეკონომიკაში<sup>2</sup>. ამიტომ ბრიტანეთის პრემიერი დაეჭვდა, რომ შესაძლებელი იყო გერმანიისაგან წელიწადში 250 მილიონი გირვანქის მიღება, თუმცა სავსებით დაუთანხმა ფაბრიკა-ქარხნების დემონტაჟსა და კონფისკაციას. ხაზი გაუსვა რა უდიდეს ზარალს, რომელიც განიცადა ომში საბჭოთა კავშირმა, ამავე დროს, ჩერჩილმა აღნიშნა, რომ ინგლისიც ძალიან მძიმე სიტუაციაში იყო ჩავარდნილი. განუწყვეტელი დაბომბვების შედეგად განცდილი ზარალის გარდა ქვეყანას დააწვებოდა 3-მილიარდიანი საგარეო ვალი. ბრიტანეთის პრემიერს კარგ გამოსავლად მიაჩნდა ამ პრობლემების რეპარაციებით გადაჭრა, მაგრამ ძლიერ ეეჭვებოდა, რომ ამ გეგმიდან რაიმე გამოვიდოდა.

<sup>1</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 620-621; Крымская конференция..., გვ. 76-78.

<sup>2</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 631; Крымская конференция..., გვ. 78.

თანაც, გასათვალისწინებელი იყო კიდევ ერთი გარემოება: ხომ არ დასჭირდებოდათ მოკავშირეებს გერმანიის 80 მილიონიანი მოსახლეობის დაპურება და, შესაბამისად, რეპარაციების ნაწილობრივ საკუთარი ჯიბიდან დაფარვა. ამიტომ ჩერჩილმა წამოაყენა ისეთი სარეპარაციო კომისიის შექმნის იდეა, რომელიც სრულიად საიდუმლოდ აწარმოებდა თავის საქმიანობას<sup>1</sup>.

თავის მხრივ, რუზველტმაც განაცხადა, რომ შეუძლებელი იქნებოდა რეპარაციების ხარჯზე ყველა დანაკლისის ანაზღაურება. მისი თქმით, ამერიკელები ალბათ მოახდენდნენ აშშ-ში არსებული გერმანიის საკუთრების სრულ კონფისკაციას, მაგრამ არ გამოიყენებდნენ მუშახელს და არც დაზგებს წამოიღებდნენ გერმანიიდან. აქვე აშშ-ს პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა იმას, რომ გერმანიაში არ უნდა ყოფილიყო საბჭოთა კავშირზე უფრო მაღალი ცხოვრების დონე, თუმცა, ამავე დროს, უნდა დაეტოვებინათ იმდენი საწარმო, რომ გერმანელები შიმშილით არ მომკვდარიყვნენ. ამიტომ რუზველტი სავსებით ეთანხმებოდა როგორც სარეპარაციო კომისიის შექმნის იდეას, ისე ამ კომისიის ძირითად სამუშაო ადგილად მოსკოვის დასახელებას<sup>2</sup>.

საბჭოთა მხარემ უპასუხოდ არ დატოვა ჩერჩილისა და რუზველტის გამოსვლები. ი. მაისკიმ აღნიშნა, რომ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ რეპარაციების ამოღება შეუძლებელი გახდა მხოლოდ იმიტომ, რომ მოკავშირეები ითხოვდნენ ფულს, რამაც წარმოქმნა კონვერტირების პრობლემა, რომლის გადაჭრაც ვერ მოხერხდა. საბჭოთა დიპლომატის თქმით, რეპარაციების ნატურით ამოღება ამ პრობლემას მოხსნიდა. ამავე დროს, მან არც 10 მილიარდი დოლარი მიიჩნია უსაშველოდ დიდ თანხად და პარალელები გაავლო აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის ბიუჯეტებთან<sup>3</sup>.

<sup>1</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 621; Крымская конференция..., გვ. 78-79.

<sup>2</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 632; Крымская конференция..., გვ. 79-80.

<sup>3</sup> ი. მაისკის მონაცემებით, რომლებიც დაადასტურეს ამერიკელმა და ბრიტანელმა წარმომადგენლებმა, 10 მლრდ დოლარი შეადგენდა აშშ-ს 1944-1945წწ. ბიუჯეტის 10%-ს და უდრიდა ბრიტანელთა 6 თვის ხარჯს ომის პერიოდში (The Conferences at Malta and Yalta, გვ.

თავისი გამოსვლის ბოლოს კი მაისკიმ აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირს უნდოდა გერმანია თავისი ცხოვრების ღონით ყოფილყო არა გალატაკებული და მოშიმშილე სახელმწიფო, არამედ საშუალო ევროპული ქვეყანა და, მისი მტკიცებით, რეპარაციების ამოღება ამას არ შეუშლიდა ხელს, რადგანაც გერმანია მთლიანად თავისუფალი იქნებოდა სამხედრო ხარჯებისაგან<sup>1</sup>.

საბოლოო ჯამში, მცირე პოლემიკის შემდეგ, მხარეები შეთანხმდნენ, რომ სარეპარაციო კომისიასთან დაკავშირებული საკითხები განეხილათ საგარეო საქმეთა მინისტრებს. ამ გადაწყვეტილების მიღებით იალტის კონფერენციის მეორე პლენარული სხდომა დაიხურა.

#### **§4. 6 თებერვლის სხდომა**

მომდევნო დღეს, 6 თებერვალს მთავრობათა მეთაურების შეხვედრას წინ უძღოდა საგარეო საქმეთა მინისტრების სხდომა, რომელზეც განხილული უნდა ყოფილიყო სამი საკითხი, მაგრამ პრაქტიკულად მთელი დრო დაეთმო გერმანიის დანაწევრების შესახებ ფორმულის შემუშავებასა და მის უპირობო კაპიტულაციის პირობებში ჩაწერას. უნდა აღინიშნოს, რომ განსაკუთრებული დანერგვა ამ პრობლემასთან დაკავშირებით მოლოტოვს ჰქონდა, რომელიც დაჟინებით ითხოვდა ტექსტში შემდეგი ფრაზის ჩაწერას: „ევროპაში უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით მოკავშირეები აუცილებლად თვლიან გერმანიის დანაწევრებას“<sup>2</sup>. სტეტინიუსი პრინციპში დაეთანხმა მოლოტოვს, მაგრამ იდენის წინააღმდეგობის გამო საბოლოო შეთანხმებამდე საქმე არ მივიდა. ერთადერთი, რაზეც დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი დათანხმდა, იყო სიტყვა „დანაწევრების“ შეტანა გერმანიის უპირობო კაპიტულაციის ტექსტის მე-12 მუხლში. მისი

632; Крымская конференция., გვ. 81).

<sup>1</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 632; Крымская конференция., გვ. 80-82.

<sup>2</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 656; Крымская конференция., გვ. 85.

აზრით, ყველა სხვა ფორმულირება მოკავშირეთა მოქმედებებს აძლევდა აუცილებელ ხასიათს და არ უტოვებდა მათ მომავალში ლავირების საშუალებას<sup>1</sup>. საბოლოო ჯამში, მხარეები შეთანხმდნენ სწორედ იდენის ვარიანტზე, ოღონდ იმ პირობით, რომ ის დაეკითხებოდა ჩერჩილს შემდგომი დაზუსტების შესაძლებლობის შესახებ<sup>2</sup>. ამასთან დაკავშირებით, ჩვენი ყურადღება მიიპყრო ერთმა საინტერესო გარემოებამ: კამათისას მოლოტოვმა განაცხადა, რომ ჩერჩილმა და იდენმა ოქტომბერში (იგულისხმება 1944წ.) მას უჩვენეს დაყოფილი გერმანიის რუკა. იდენმა ეს იუარა<sup>3</sup>, რაც სიმართლეს შეესაბამებოდა კიდევ. როგორც ჩანს, საბჭოთა მხარეს უკვე ამ დროს სურდა თავის ზონაში შეექმნა ცალკე გერმანული სახელმწიფო, რისი ერთგვარი გამართლებაც იქნებოდა უპირობო კაპიტულაციის ტექსტში გერმანიის დანაწევრების ფორმულის არსებობა. სხვა ახსნას ჩვენ სტალინისა და მთლიანად საბჭოთა დელეგაციის მოქმედებებს ამ ფაქტთან დაკავშირებით ვერ ვუძებნით. გარდა ამისა, მხარეებმა განიხილეს იალტაში მიმდინარე სამიტის კომუნიკეს პროექტი და უმნიშვნელო შესწორებები შეიტანეს ამერიკელების მიერ წარმოდგენილ ვარიანტში<sup>4</sup>. დღის წესრიგის მესამე საკითხი, რომელიც სარეპარაციო კომისიის შექმნას ეხებოდა, არ განუხილავთ. მოლოტოვის წინადადებით, ის შემდეგი სხდომისათვის გადადეს<sup>5</sup>.

საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრის შედეგები იმავე დღეს, მესამე პლენარულ სხდომაზე იქნა წარდგენილი მთავრობათა მეთაურებისათვის. სტეტინიუსის მოხსენების დროს გაირკვა,

---

<sup>1</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 656; Крымская конференция..., გვ. 86.

<sup>2</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 657, 658. საბჭოთა ჩანაწერში რატომღაც არ არის დაფიქსირებული, რომ შეთანხმება შედგა და დოკუმენტს დაემატა სიტყვა „დანაწევრება“, ხოლო პუნქტის საბოლოო რედაქციის მიღება გადაიდო.

<sup>3</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 656; Крымская конференция..., გვ. 85-86.

<sup>4</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 658-659; Крымская конференция..., გვ. 84.

<sup>5</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 657; Крымская конференция..., გვ. 86-87.

რომ საბჭოთა მხარე დაკმაყოფილდა გერმანიის უპირობო კაპიტულაციის ტექსტში სიტყვა „დანაწევრების“ შეტანით და მოხსნა თავისი დამატებითი წინადადებები, რითაც მეტად გაახარა დიდი ბრიტანეთის დელეგაცია<sup>1</sup>.

აშშ-ს სახელმწიფო მდივნის გამოსვლის შემდეგ მთავრობა მეთაურები გადავიდნენ დღის წესრიგის სხვა პუნქტებზე. რუზველტის ინიციატივით, მხარეებმა დაიწყეს მსოფლიო უსაფრთხოებისათვის საჭირო საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა<sup>2</sup>. საერთაშორისო ორგანიზაციასთან დაკავშირებული საკითხები რუზველტისათვის უმნიშვნელოვანესი იყო. ა. პერლმუტერის თქმით, აშშ-ს პრეზიდენტი წინა პლანზე აყენებდა სწორედ საერთაშორისო ორგანიზაციასთან დაკავშირებულ პრობლემებს, შემდეგ მოდიოდა შორეული აღმოსავლეთის საკითხი, რასაც მოჰყვებოდა გერმანიის დაყოფა, ხოლო პოლონეთისათვის ბოლო ადგილი იყო მიკუთვნებულ<sup>3</sup>. რუზველტის მდივანი უილიამ ჰასეტტი კი ნათელს ჰფენს, თუ რატომ იზიდავდა აშშ-ს პრეზიდენტს საერთაშორისო ორგანიზაციის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებული საკითხები. მისი თქმით, რუზველტს სურდა ისტორიაში შესვლა მთელი კაცობრიობისათვის გაწეული სამსახურით<sup>4</sup>. საერთაშორისო ორგანიზაციასთან დაკავშირებული პრობლემების პრიორიტეტს პოლონეთის საკითხთან შედარებით ადასტურებს უ. კიმბოლიც<sup>5</sup>.

აშშ-ს პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ „დიდი სამეულის“ ამოცანა იყო, 50 წლით მაინც უზრუნველყო მსოფლიოში მშვიდობის დამყარება. აქვე მან სთხოვა სტეტინიუსს, გაეცნო სხდომის

---

<sup>1</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 660; Крымская конференция... გვ. 87.

<sup>2</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 660; Крымская конференция... გვ. 87.

<sup>3</sup> A. Perlmutter. FDR & Stalin: A Not So Grand Alliance, 1943-1945. Columbia, MO, 1993, გვ. 178.

<sup>4</sup> W. D. Hassett. Off the Record with F.D.R., 1942-1945. Westport, CT, 1958, გვ. 314.

<sup>5</sup> W. F. Kimball. Naked Reverse Right: Churchill, Roosevelt and Eastern Europe from Tolstoy to Yalta and Little Beyond. – *Diplomatic History*, 9:1 (1985), გვ. 14.



მონაწილეთათვის დუმბარტონ ოქსში მიღწეული შეთანხმებებისა თუ განხილული საკითხების მოკლე ანგარიში და ის დამატებები, რომლებიც შემდგომში იქნა შეთავაზებული.

აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა წარმოადგინა ამერიკული ვარიანტი, თუ როგორი უნდა ყოფილიყო კენჭისყრის წესი უშიშროების საბჭოში<sup>1</sup>. ამ ვარიანტის მიხედვით, უშიშროების საბჭოს ყოველ წევრს ჰქონდა თითო ხმა, პროცედურული საკითხების დასამტკიცებლად საჭირო იყო 7 ხმა, ხოლო ყველა დანარჩენ საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად – 7 ხმა, რომელშიც უნდა შესულიყო მუდმივი წევრების თანმხედრი ხმები. ამასთან, დავაში მონაწილე მხარეს თავი უნდა შეეკავებინა კენჭისყრაში მონაწილეობისაგან. ყოველივე ეს აუცილებელი იყო, რათა დაცული ყოფილიყო როგორც მუდმივი წევრების უფლებები, ისე სამართლიანობის პრინციპი ორგანიზაციის ყველა წევრის მიმართ<sup>2</sup>. აქვე სტუტინიუსმა, რუზველტის თხოვნით, განმარტა, თუ რომელ საკითხებზე იყო აუცილებელი უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრების ერთსულოვნება და როდის უნდა შეეკავებინა თავი მუდმივ წევრს კენჭისყრაში მონაწილეობისაგან<sup>3</sup>. სწორედ ამ უკანასკნელმა საკითხმა მიიპყრო ჩერჩილისა და სტალინის ყურადღება.

ბრიტანეთის პრემიერი, რომელიც მანამდე უარყოფითად უყურებდა დუმბარტონ ოქსში მიღებულ გადაწყვეტილებებს, რადგანაც მათში სრულად არ იყო გათვალისწინებული სამი დიდი სახელმწიფოს ინტერესები<sup>4</sup>, მთლიანად დაეთანხმა ამერიკულ წინა-

<sup>1</sup> როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თავის დროზე დუმბარტონ ოქსში ვერ მოხერხდა კონკრეტული შეთანხმების მიღწევა ამ საკითხზე. ამიტომ პროექტში ჩაიწერა, რომ ამ საკითხის განხილვა გაგრძელდებოდა. იხ.: *Foreign Relations of the United States. Diplomatic Papers. 1944. Vol. I. Wash., 1966*, გვ. 911; *Конференция в Думбартон-Оксе.*, გვ. 234.

<sup>2</sup> *The Conferences at Malta and Yalta*, გვ. 661; *Крымская конференция...*, გვ. 88.

<sup>3</sup> *The Conferences at Malta and Yalta*, გვ. 662-663; *Крымская конференция...*, გვ. 89-90.

<sup>4</sup> უფრო სწორად, ჩერჩილს აწუხებდა დიდი ბრიტანეთის ინტერესები და ეშინოდა, რომ პირუანდელი ვარიანტი გამოიწვევდა იმპერიის დაშლას, თუმცა, ძნელია იმის მტკიცება, რომ ახალმა ფორმულირებამ რაიმეთი მაინც ხელი შეუშალა ამ პროცესს.

დადებებს. მისი თქმით, წარმოდგენილი პროექტი ასწორებდა ხარვეზებს, რადგანაც ჩამატებული დებულებები დიდ ბრიტანეთს აღევდა უფლებას, დაებლოკა მისი ინტერესებისათვის საზიანო ნებისმიერი გადაწყვეტილება. ამავე დროს, ამ წინადადებების თანახმად, ნებისმიერ სახელმწიფოს შეეძლო განსახილველად დაეყენებინა თუნდაც მუდმივი წევრისათვის მიუღებელი საკითხი, ოღონდ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება აღნიშნული წევრის თანხმობის გარეშე არ შეიძლებოდა. ჩერჩილი იმედოვნებდა, რომ ამის წყალობით აშშ-ს, დიდ ბრიტანეთსა და საბჭოთა კავშირს მსოფლიო დიქტატის დამყარებაში არ დასდებდნენ ბრალს. აქვე მან მოიყვანა მაგალითი: თუ ჩინეთი მოითხოვდა ჰონკონგის დაბრუნებას, საკითხი განხილული იქნებოდა, მაგრამ დიდი ბრიტანეთის უარის შემთხვევაში გადაწყვეტილებას ვერ მიიღებდნენ<sup>1</sup>.

ბრიტანეთის პრემიერის პასუხად სტალინმა განაცხადა, რომ მხოლოდ საკითხის განხილვა და მასზე აზრის გამოთქმა არაფერს განსაკუთრებულს არ წარმოადგენდა. მისი თქმით, თუ ჩინეთი მოითხოვდა დიდი ბრიტანეთისაგან ჰონკონგის დაბრუნებას, ის არ დაკმაყოფილდებოდა უბრალოდ თავისი აზრის გამოხატვის უფლებით და მოითხოვდა გადაწყვეტილების მიღებას. ანალოგიურად მოიქცეოდა ეგვიპტეც სუეცის არხის დაბრუნებასთან დაკავშირებით<sup>2</sup>.

საინტერესოა, თუ რატომ ახსენა სტალინმა ამ საუბარში მაინცდამაინც ეგვიპტე. ჩერჩილის მიერ მოყვანილი მაგალითი თითქოს მკაფიოდ აჩვენებდა, თუ რა შედეგები შეიძლებოდა მოჰყოლოდა უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრის მიმართ ტერიტორიული პრეტენზიების წაყენებას გაცილებით უფრო რთულ შემთხვევაში, როდესაც ასეთი პრეტენზიები ექნებოდა მეორე მუდმივ წევრს, და არა უბრალოდ ორგანიზაციის წევრს, როგორცაა მოიაზრებოდა ეგვიპტე, რომელიც უშიშროების საბჭოში მოხვედებოდა მხოლოდ არჩევის შემთხვევაში. თუ გავითვალისწინებთ სტა-

<sup>1</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 664; Крымская конференция..., გვ. 91-92.

<sup>2</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 664, 673; Крымская конференция..., გვ. 92.

ლინის სურვილს, ომის შემდეგ დაეკავებინა თურქეთის ტერიტორია და ხელთ ეგლო შავი და ხმელთაშუა ზღვების შემაერთებელი სრუტეები, შეიძლება ვიფიქროთ, რომ მის გეგმაში იყო ევოპატის გაწითლებაც და ამით ხმელთაშუა ზღვიდან ინლოეთის ოკეანეში გასასვლელის ხელში ჩაგდება. ამგვარი ეჭვის საფუძველს გვაძლევს ის ფაქტიც, რომ აღნიშნული საუბრისას სტალინმა ხაზი გაუსვა შემდეგ გარემოებას: თუ ევოპატე მოსთხოვდა დიდ ბრიტანეთს სუეცის არხის დაბრუნებას, მას საკმაოდ ბევრი მხარდამჭერი გამოუჩნდებოდა<sup>1</sup>. როგორც ჩანს, მსგავს შემთხვევაში ის აპირებდა ევოპატის მოკავშირის როლში გამოსვლას.

საბჭოთა ლიდერმა არც მსოფლიოზე ბატონობის დამყარება ჩათვალა შესაძლებლად. მან რიტორიკულად ჰკითხა ჯერ რუზველტს, შემდეგ კი ჩერჩილს, ხომ არ აპირებდნენ ისინი მსოფლიო დიქტატორების როლში მოვლენას. უარყოფითი პასუხის მიღების შემდეგ, სტალინმა, თავის მხრივ, საბჭოთა კავშირის მხრიდანაც გამორიცხა მსგავსი სურვილის არსებობა და ირონიულად იკითხა: ხომ არ ჰქონდა ასეთი განზრახვა ჩინეთს, რამაც დარბაზში საერთო სიცილი გამოიწვია<sup>2</sup>. ბრიტანეთის პრემიერი იძულებული გახდა, აეხსნა სტალინისათვის, რომ მას მხედველობაში ჰქონდა არა რომელიმე კონკრეტული სახელმწიფო, არამედ სამივე სახელმწიფო ერთად. მისი თქმით, შეიძლებოდა გაჩენილიყო ეჭვი, თითქოს აშშ-მ, დიდმა ბრიტანეთმა და სსრკ-მ დაამყარეს ერთობლივი დიქტატი მსოფლიოზე<sup>3</sup>. პასუხად სტალინმა ირონი-

<sup>1</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 664, 673; Крымская конференция..., გვ. 92.

<sup>2</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 675; Крымская конференция..., გვ. 93.

<sup>3</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 665, 675. რუსულ ჩანაწერში ჩერჩილის ეს სიტყვები რატომღაც არასწორად არის მოყვანილი და მოცემულია სულ სხვა შინაარსის ფრაზა: „მე არ მჯერა, რომ რომელიმე მოკავშირეს სურს მსოფლიო ბატონობა, მაგრამ ჩვენი მდგომარეობა იმდენად ძლევამოსილია, რომ სხვებს შეიძლება მსგავსი აზრი გაუჩნდეთ, შესაბამისი ზომები თუ არ იქნა მიღებული“ („Черчилль вставляет, что сам он не верит, конечно, в стремление к мировому господству со стороны кого-либо из трех союзников. Однако положение этих союзников столь могущественно, что другие так могут поду-

ულად შენიშნა, რომ ისე გამოდიოდა, თითქოს ორმა ზესახელმწიფომ უკვე მიიღო ეს დოკუმენტი, რათა თავიდან აეცილებინათ შესაძლო ბრალდება, მესამე კი ჯერ არ თანხმდებოდა ამას<sup>1</sup>. შედეგ საბჭოთა ლიდერმა უკვე სრული სერიოზულობით განაცხადა, რომ ის შეისწავლიდა აღნიშნულ დოკუმენტებს და მაშინ მისთვის ალბათ უფრო ნათელი გახდებოდა საქმის ვითარება. აქვე სტალინმა აღნიშნა, რომ საკითხი აქ არ ეხებოდა უბრალოდ კენჭისყრის პროცედურას ან მსოფლიო ბატონობას. მისი თქმით, მთავარი იყო მოკავშირეების ერთიანობის შენარჩუნება, რომ მათ შორის არ შექმნილიყო კონფლიქტური სიტუაცია ქვეყნის სათავეში ახალი პირების მოსვლის შემდეგ. ამიტომ ის საჭიროდ თვლიდა ისეთი წესდების შემუშავებას, რომელიც მაქსიმალურად შეუშლიდა ხელს სამ ზესახელმწიფოს შორის სადავო სიტუაციების წარმოშობას<sup>2</sup>.

ამის შემდეგ სტალინმა იკითხა, სწორად ესმოდა თუ არა მას, რომ უშიშროების საბჭოში განსახილველი კონფლიქტები ორ კატეგორიად იყოფოდა: 1. კონფლიქტები, რომელთა გადასაწყვეტად საჭირო იქნებოდა ეკონომიკური, პოლიტიკური, სამხედრო თუ სხვა სანქციების გამოყენება; და 2. კონფლიქტები, რომელთა მოგვარებაც მშვიდობიანი მოქმედებებით, ყოველგვარი სანქციების გარეშე იყო შესაძლებელი<sup>3</sup>. როდესაც რუზველტმა და ჩერჩილმა დაადასტურეს მისი სისწორე, საბჭოთა ლიდერმა აღნიშნა, რომ,

---

мать, если не будут приняты соответствующие меры“, — იხ.: Крымская конференция..., გვ. 93).

<sup>1</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 665, 675; Крымская конференция..., გვ. 93. აქაც საბჭოთა ჩანაწერში („Сталин, продолжая свою речь, заявляет, что пока две великие державы приняли устав международной организации безопасности, который, по мнению Черчилля, защитит их от обвинения в желании властвовать над миром. Третья держава еще не дала согласия на этот устав“, — იხ.: Крымская конференция..., გვ. 93-94) რატომღაც გაქრა ირონია, თუმცა აშკარაა, რომ სტალინის ეს სიტყვები შეუძლებელია, ირონიის გარეშე ყოფილიყო ნათქვამი.

<sup>2</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 665-666, 675; Крымская конференция..., გვ. 94.

<sup>3</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 666, 675; Крымская конференция..., გვ. 94.

მისი გაგებით, პირველ კატეგორიის დავის მონაწილე უშიშროების საბჭოს ყველა მუდმივი წევრი იღებდა მონაწილეობას კენჭისყრაში, მეორე კატეგორიის დავის მონაწილე კი — არა<sup>1</sup>. სტალინმა ხაზი გაუსვა, რომ საბჭოთა კავშირი დიდ ყურადღებას აქცევდა კენჭისყრის პროცედურის საკითხს, რადგანაც ყველა საკითხი კენჭისყრით უნდა მიღებულიყო. სსრკ კი დაინტერესებული იყო უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებებით და არა განხილვებით, რომლებიც იქ მოეწყობოდა<sup>2</sup>. მან აღნიშნა, რომ ასამბლეასა და უშიშროების საბჭოში კენჭისყრისას ჩინეთი და ევოპატე მოკავშირეების გარეშე არ დარჩებოდნენ, რაზეც ჩერჩილმა და სტეტინიუსმა შენიშნეს, რომ ახალი წინადადებებით შეუძლებელი იქნებოდა საერთაშორისო ორგანიზაციის გამოყენება სამი ზესახელმწიფოს წინააღმდეგ და რომ მუდმივი წევრების ერთსულოვნების გარეშე ვერანაირი სანქციების მიღება ვერ მოხერხდებოდა<sup>3</sup>.

როდესაც სტალინი დარწმუნდა, რომ უშიშროების საბჭოში საბჭოთა კავშირს ვერავინ წაუყენებდა ტერიტორიულ პრეტენზიებს<sup>4</sup>, მან ახლა მეორე მომენტის დაზუსტებაც მოინდომა და გაიხსენა, თუ როგორ მოახდინეს ინგლისმა და საფრანგეთმა ერთა ლიგის ყველა დანარჩენი წევრის მობილიზება სსრკ-ს წინააღმდეგ და გარიცხეს ის ამ ორგანიზაციიდან ფინეთზე თავდასხმის გამო. სტალინის თქმით, საჭირო იყო რაიმე ბარიერის დაწესება, რათა მსგავსი შემთხვევა მომავალშიც არ განმეორებულიყო<sup>5</sup>.

---

<sup>1</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 666, 675; Крымская конференция..., გვ. 95.

<sup>2</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 666, 675; Крымская конференция..., გვ. 95.

<sup>3</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 666, 675-676; Крымская конференция..., გვ. 95.

<sup>4</sup> ჩვენი აზრით, ეს იყო მთავარი მიზეზი, რომლის გამოც სტალინი ასე აქტიურად მოითხოვდა აღნიშნული პუნქტის დაზუსტებას. შესაძლოა, მას ეშინოდა, რომ ომის შემდეგ რომელიმე სახელმწიფოს არ გამოეხატა ტერიტორიული პრეტენზიები საბჭოთა კავშირის მიმართ.

<sup>5</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 666, 676; Крымская конференция..., გვ. 96.

ისე, გაუგებარია, თუ რა პრეტენზიები ჰქონდა სტალინს საფრანგეთისა და ინგლისის მიმართ ამ შემთხვევაში. ფინეთთან ომი იყო მეორე მსოფლიო ომის პირველი ეტაპის შემადგენელი ნაწილი და მთლიანად გამომდინარეობდა საბჭოთა კავშირისა და გერმანიას შორის 1939წ. 23 აგვისტოს დადებული პაქტის საფუძველზე, რომლითაც გერმანია საბჭოთა კავშირს უთმობდა ფინეთს<sup>1</sup>. ბუნებრივია, რომ საფრანგეთმა და ინგლისმა, რომლებიც აღნიშნულ პერიოდში ეომებოდნენ გერმანიას, სხვა სახელმწიფოების დახმარებით გარიცხეს გერმანიის მოკავშირე საბჭოთა კავშირი ფინეთზე თავდასხმის გამო.

სტალინის პასუხად ჩერჩილმა აღნიშნა, რომ მაშინ ინგლისი და საფრანგეთი ძალიან გააბრაზა საბჭოთა კავშირის მოქმედებებმა, ხოლო აღნიშნული წინადადებები შეუძლებელს ხდიდა მუდმივი წვერის გარიცხვას<sup>2</sup>. როგორც გაირკვა, თურმე სტალინს იმდენად გარიცხვა არ აშფოთებდა, რამდენადაც მსოფლიო თანამეგობრობის ერთიანი აზრის შექმნის საშიშროება მუდმივი წვერის მიმართ სხვა მუდმივი წვერების ხელშეწყობით. როდესაც მან გამოთქვა თავისი დამოკიდებულება ამ საკითხის შესახებ, რუზველტმა და ჩერჩილმა უპასუხეს, რომ, რასაკვირველია, ასეთი რამ სავსებით დასაშვებია იყო, თუმცა მსგავს შემთხვევაში დიპლომატია ამოქმედდებოდა და არ დაუშვებდა ერთმანეთის საწინააღმდეგო გამოსვლების გაგრძელებას. მიუხედავად ამისა, სტალინმა მოითხოვა ერთი დღე წინადადებების შესასწავლად და გამოთქვა მოსაზრება, რომ საკითხის განხილვა მომდევნო დღეს გაგრძელებულიყო, რასაც ყველანი დაეთანხმნენ<sup>3</sup>.

ამის შემდეგ „დიდი სამეული“ გადავიდა პოლონეთის საკითხის განხილვაზე. ინიციატივა თავის თავზე კვლავ რუზველტმა აიღო და განაცხადა, რომ აშშ პოლონეთისაგან ყველაზე დი-

<sup>1</sup> Год кризиса. 1938-1939. Документы и материалы. Т. II. М., 1990, გვ. 321; *От пакта Молотова-Риббентропа до договора о базисах*: Документы и материалы. Сост. К. Арьякас. Таллинн, 1990, გვ. 105.

<sup>2</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 666, 676; Крымская конференция..., გვ. 96.

<sup>3</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 667, 676-677; Крымская конференция..., გვ. 97.

დი მანძილით იყო დაშორებული და ამ შემთხვევაში ეს გარკვეულ უპირატესობას წარმოადგენდა. მან დაადასტურა ჯერ კიდევ თეირანში გამოხატული დადებითი პოზიცია საბჭოთა კავშირ-პოლონეთის საზღვრად კერზონის ხაზის დაკანონებისადმი, თუმცა აქვე გამოთქვა ერთი წინადადება. რუზეველტმა სთხოვა სტალინს, დაეტოვებინა პოლონელებისათვის ლეოვის სამხრეთით მდებარე ნავთობის საბადოებით მდიდარი ტერიტორია<sup>1</sup>. მისი თქმით, ეს დამამშვიდებლად იმოქმედებდა აშშ-ში მცხოვრებ 6-7 მილიონ პოლონელზე. ამავე დროს, ეს იქნებოდა პოლონელებისათვის თავიანთი პრესტიჟის შენარჩუნების კარგი შესაძლებლობა<sup>2</sup>. აღსანიშნავია, რომ საბჭოთა ჩანაწერში დამახინჯებულად არის მოყვანილი აშშ-ს პრეზიდენტის სიტყვები — „რუზეველტი აცხადებს, რომ აშშ შორს მდებარეობს პოლონეთიდან და რომ ის, რუზეველტი სთხოვს თათბირის დანარჩენ ორ მონაწილეს, გამოთქვან თავიანთი წინადადებები“<sup>3</sup>. როგორც ვხედავთ, აქ რატომღაც მითითებულია, რომ რუზეველტმა სთხოვა სხდომის მონაწილე დანარჩენ ორ წევრს (ანუ ჩერჩილსა და სტალინს) გამოეთქვათ თავიანთი მოსაზრებები ამ საკითხზე, რადგანაც აშშ პოლონეთისაგან დიდი მანძილით არის დაშორებული. ამავე დროს, საერთოდ არ არის ნახსენები ლეოვი და მხოლოდ ზოგადად არის ნათქვამი დათმობების შესახებ. ჩვენ ამ შემთხვევაში ამერიკულ ჩანაწერს მივიანიჭეთ უპირატესობა, რადგანაც ის აშკარად უფრო ლოგიკური ჩანს თვითონ საუბრის მსვლელობიდან გამომდინარე.

აშშ-ს პრეზიდენტის ამ სიტყვებმა, როგორც ჩანს, მეტად გააღიზიანა საბჭოთა ლიდერი, რომელმაც იკითხა, თუ ვისთვის იქნებოდა ეს პრესტიჟის შენარჩუნების კარგი საშუალება: ნამდვილი პოლონელებისათვის თუ ემიგრანტებისათვის, და ხაზი გაუსვა, რომ ნამდვილი პოლონელები პოლონეთში ცხოვრობდნენ<sup>4</sup>.

<sup>1</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 677.

<sup>2</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 667, 677.

<sup>3</sup> „Рузвельт заявляет, что Соединенные Штаты находятся далеко от Польши, и он, Рузвельт, попросит двух других участников совещания изложить свои соображения“. — იხ.: Крымская конференция..., გვ. 97.

<sup>4</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 677; Крымская конференция..., გვ. 97.

პასუხად რუზველტმა განაცხადა, რომ პოლონური საკითხის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს ქვეყნის ტერიტორიაზე მუდმივი მთავრობის შექმნა წარმოადგენდა. მისი თქმით, აშშ-ს საზოგადოებრივი აზრი ლუბლინის მთავრობის ცნობის წინააღმდეგი იყო და სურდა ეხილა მხოლოდ ეროვნული ერთიანობის მთავრობა, რომელშიც შევიდოდნენ ქვეყნის ხუთივე წამყვანი პარტიის წარმომადგენლები. ამავე დროს, მან სასურველად მიიჩნია ე.წ. საპრეზიდენტო საბჭოს შექმნა, რომელშიც გაერთიანებული იქნებოდნენ აღნიშნული პარტიების ხელმძღვანელები<sup>1</sup>. რუზველტმა ხაზი გაუსვა იმას, რომ ის პირადად არ იცნობდა არც ლუბლინის მთავრობის და არც ლონდონის მთავრობის წარმომადგენლებს და მხოლოდ მიკოლაიჩიკი ჰყავდა ნანახი. მისი თქმით, ვაშინგტონში ვიზიტის დროს მიკოლაიჩიკმა პატიოსანი ადამიანის შთაბეჭდილება დატოვა<sup>2</sup>. აშშ-ს პრეზიდენტის აზრით, მოკავშირეთა უმთავრესი ამოცანა იყო ისეთი მთავრობის, თუნდაც დროებითის, შექმნის უზრუნველყოფა, რომელსაც ექნებოდა მოსახლეობის უმრავლესობის მხარდაჭერა. ამავე დროს, მან ხაზი გაუსვა, რომ პოლონეთს საბჭოთა კავშირის მიმართ მეგობრული დამოკიდებულება უნდა ჰქონოდა<sup>3</sup>.

რუზველტის შემდეგ სიტყვით ჩერჩილი გამოვიდა. ბრიტანეთის პრემიერმა განაცხადა, რომ ის როგორც პარლამენტის, ისე ყველა სხვა ტრიბუნიდან საჯაროდ აცხადებდა თავის მხარდაჭერას კერზონის ხაზისადმი და თვით ლვოვის საბჭოთა კავშირისათვის გადაცემისადმი<sup>4</sup>. მისი თქმით, იმ გაჭირვების შემ-

---

<sup>1</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 667, 677-678; Крымская конференция..., გვ. 97.

<sup>2</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 668, 678; Крымская конференция..., გვ. 97.

<sup>3</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 668, 678. საბჭოთა თარგმანში „პოლონეთის მოსახლეობის უმრავლესობის“ ნაცვლად გვხვდება ფრაზა „პოლონეთის სახალხო მასები“, რაც, რასაკვირველია, სრულ სისულელეს წარმოადგენს (იხ.: Крымская конференция..., გვ. 98).

<sup>4</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 668, 678. საბჭოთა ჩანაწერში ფორმულირება შეცვლილია და მოცემულია შემდეგი ფრაზა: „...კერზონის ხაზისადმი იმ სახით, როგორც მას იგებს საბჭოთა მთავრობა“ („...в том виде, как она толкуется Советским правительством“).



დებ, რაც გადაიტანა სსრკ-მ გერმანელების თავდასხმის შედეგად, საბჭოთა მხარის უფლებები ლვოვზე უკვე დაფუძნებული იყო არა ძალაზე, არამედ სამართალზე<sup>1</sup>. აქვე ჩერჩილმა ხაზი გაუსვა, რომ მას იმდენად არ აღუვებდა საზღვრების საკითხი, რამდენადაც ის, რომ პოლონეთის თავისუფლება და დამოუკიდებლობა. მისი თქმით, ბრიტანეთისათვის ეს საკითხი იმიტომ იყო მნიშვნელოვანი, რომ ომში ინგლისელები პოლონეთის გამო ჩაებნენ. ამიტომ ჩერჩილს მიაჩნდა, რომ პოლონელები საკუთარი სახლისა და საკუთარი სულის ბატონ-პატრონები უნდა ყოფილიყვნენ, თუმცა, რასაკვირველია, თავისუფალი პოლონეთი უნდა გამხდარიყო საბჭოთა კავშირის მეგობარი სახელმწიფო<sup>2</sup>. ამასთან, პრემიერმა ხაზი გაუსვა, რომ, მართალია, ბრიტანეთის ხელისუფლება ცნობდა ლონდონის მთავრობას, ის არ იცნობდა მის არც ერთ წევრს, სამაგიეროდ კარგი ურთიერთობა ჰქონდა მიკოლაიჩიკთან, რომერთან და გრაბსკისთან, პატიოსან და ჭკვიან ხალხთან<sup>3</sup>. ამიტომ ჩერჩილმა მართლაც სასურველად ჩათვალა საპრე-

---

– იხ.: Крымская конференция..., გვ. 98). ბუნებრივია, მსგავსი ფორმულირება ნიშნავს, რომ კერზონის ხაზით ზუსტად არ იყო განსაზღვრული, თუ ვის უნდა დარჩენოდა ლვოვი. მართლაც, იმ პერიოდში (1919წ.) არ მოხერხდა იმის დადგენა, პოლონეთს დარჩებოდა ლვოვი თუ უკრაინას (იხ.: H. G. Nickolson. Curzon: The Last Phase, 1919-1925. A Study in Post-war Diplomacy, New York, 1974, გვ. 129; L. Mosley. Curzon: The End of an Epoch. L., 1961, გვ. 214; D. Gilmour. Curzon. L., 1994, გვ. 436), თუმცა შემდგომში, 1921წ. დადებული რიგის ზავით, რომლითაც დასრულდა რუსეთ-პოლონეთის ომი, ლვოვი პოლონეთს გადაეცა.

<sup>1</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 668, 678; Крымская конференция..., გვ. 98.

<sup>2</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 678; Крымская конференция..., გვ. 98-99.

<sup>3</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 668, 679; Крымская конференция..., გვ. 99. 1944წ. ნოემბერში მოხდა ლონდონის მთავრობის რეორგანიზაცია და მისი რიგები დატოვეს პრემიერ მინისტრმა მიკოლაიჩიკმა და მინისტრებმა რომერმა და გრაბსკიმ. ახალი პრემიერ მინისტრი გახდა ტომაშ არციშევსკი. როგორც უკვე აღინიშნა, საკადრო ცვლილების ძირითადი მიზეზი გახდა მიკოლაიჩიკისა და მისი თანამოაზრეების სურვილი, ელიარებიანთ პოლონეთ-საბჭოთა კავშირის საზღვრად კერზონის ხაზი. აღსანიშნავია, რომ ჩერჩი-

ზიდენტო საბჭოს მსგავსი ორგანოს შექმნა, რომელიც იფუნქციონირებდა პოლონეთში თავისუფალი არჩევნების ჩატარებამდე. მის თქმით, ამ ხელისუფლებას უნდა ემართა პოლონეთი თავისუფალ, საყოველთაო არჩევნებამდე, რომლის შედეგადაც მოსულ მთავრობას სცნობდა ყველა სახელმწიფო. ამავე დროს, ჩერჩილმა აღნიშნა, რომ ყველა შემთხვევაში უნდა მომხდარიყო საბჭოთა არმიის კომუნიკაციების დაცვა<sup>1</sup>.

სტალინმა, როგორც ჩანს, გადაწყვიტა, ჯიქურ მიეტანა შეტევა ჩერჩილზე. საბჭოთა ლიდერმა განაცხადა, რომ თუ ბრიტანეთისათვის პოლონეთი ღირსების გამო იყო მნიშვნელოვანი, რუსებისათვის (ასეა ტექსტში – თ.პ.) ეს წარმოადგენდა არა მარტო ღირსების, არამედ უსაფრთხოების საკითხსაც. მისი თქმით, პოლონეთი ყოველთვის იყო დერეფანი, რომლის გავლითაც მტრები თავს ესხმოდნენ რუსეთს. მან განაცხადა, რომ მხოლოდ ბოლო 30 წლის განმავლობაში გერმანელებმა ორჯერ გამოიარეს ეს დერეფანი და მხოლოდ იმიტომ, რომ პოლონეთი სუსტი იყო<sup>2</sup>. ამის გამო, საბჭოთა კავშირი უარს ამბობდა ცარიზმის პოლიტიკაზე, რომლითაც პოლონეთის ასიმილირება ხდებოდა და გამოთქვამდა სურვილს, რომ პოლონეთი ყოფილიყო ძლიერი, დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო, რომელიც თავად შეძლებდა ამ დერეფნის ჩაკეტვას<sup>3</sup>. სტალინის ეს განცხადება დემაგოგიური და ცინიკური იყო, ვინაიდან არ შეიძლებოდა ვინმეს,

---

ლი მართლაც გულწრფელად უჭერდა მხარს კერზონის ხაზს, რადგანაც მიაჩნდა, რომ მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნებოდა დადებითი სტალინის დამოკიდებულება პოლონეთის ემიგრანტული მთავრობისადმი. არციშევსკის მთავრობის მკვეთრად უარყოფითმა პოზიციამ კერზონის ხაზისადმი გამოიწვია ბრიტანეთის მთავრობის მხრიდან ერთგვარი ურთიერთობების გაცემა პოლონელებთან, რის გამოხატულებადაც შეიძლება ჩაითვალოს ჩერჩილის პოზიციაც აღნიშნული საუბრის დროს.

<sup>1</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 679; Крымская конференция..., გვ. 99.

<sup>2</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 669, 679; Крымская конференция..., გვ. 99-100.

<sup>3</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 669, 679-680; Крымская конференция..., გვ. 100.

და განსაკუთრებით სტალინს, დაებრალებინა პოლონეთისათვის ღერუფნის გახსნა ან პირველი მსოფლიო ომის დროს, როდესაც პოლონეთი საერთოდ არ არსებობდა და მისი დიდი ნაწილი უშუალოდ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა, ან კიდევ 1939წ., როდესაც საბჭოთა კავშირ-გერმანიის პაქტით პოლონეთის ტერიტორია ორ ნაწილად იქნა გაყოფილი. ჩვენი აზრით, საბჭოთა ლიდერმა უბრალოდ ისარგებლა მომენტით, იცოდა რა, რომ ვერავენ ვერ გაბედავდა მის ტყუილზე დაჭერას. სამაგიეროდ, სწორედ ამ მიზეზით ასეთ დემაგოგიურ განცხადებას დიპლომატიური თვალსაზრისით გარკვეული სარგებლის მოტანა შეეძლო.

ამის შემდეგ სტალინი უკვე გადავიდა კონკრეტულ საკითხებზე. მან პირდაპირ განაცხადა, რომ კერზონის ხაზიდან შემდგომ დათმობებს ადგილი არ ექნებოდა და თავისი პოზიციის განსამტკიცებლად მოიშვევლია მეტად ძლიერი არგუმენტი. საბჭოთა ლიდერმა აღნიშნა, რომ კერზონის ხაზი რუსეთის მთავრობისა და პირადად ლენინის წინააღმდეგობის მიუხედავად იქნა მიღებული. მისი თქმით, ლენინს არ სურდა პოლონეთისათვის ბელოსტოკის ოლქის გადაცემა. სტალინმა შენიშნა, რომ მან უკვე დაიხია გარკვეულწილად ლენინის პოზიციიდან და კერზონის ხაზი მისაღებად მიიჩნია, მაგრამ დათანხმება შემდგომ დათმობაზე უბრალოდ სამარცხვინო იქნებოდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის. გამოვიდოდა, რომ ის უფრო ნაკლებად რუსი (ასეა ორიგინალში — თპ.) აღმოჩნდებოდა, ვიდრე კერზონი და კლემანსო<sup>1</sup>. აქვე საბჭოთა ლიდერმა გააკეთა კიდევ ერთი ძლიერი დიპლომატიური სვლა და განაცხადა, რომ ის მზად იყო შემდგომ მსხვერპლზე და ომის გაგრძელებაზე, რათა შესაძლებელი გამხდარიყო პოლონეთისათვის დაკარგული მიწების კომპენსირება გერმანიის ხარჯზე. ამასთან, მან აღნიშნა, რომ ეს აზრი მოსწონდა მიკოლაიჩიკსაც, რომელიც აღფრთოვანებით შეხვდა პოლონეთის დასავლეთ საზღვრის მდინარე ნოისეზე გადაწევას. აქვე სტალინმა ხაზი გაუსვა, რომ ის საჭიროდ თვლიდა გერმანია-პოლონეთის საზღვ-

<sup>1</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 669, 680; Крымская конференция..., გვ. 100.

რად მდინარე დასავლეთ ნოისეს მიჩნევას და სთხოვა მოკავშირეებს მისი სურვილის გაზიარება<sup>1</sup>.

სტალინი თავის გამოსვლაში პოლონეთის მთავრობის საკითხსაც შეეხო. მან განაცხადა, რომ მთავრობის შექმნა პოლონელების თანხმობის გარეშე ამ კონფერენციაზე შეუძლებელი იყო. აქვე საბჭოთა ლიდერმა კვლავ მოიშველია დემაგოგია თავისი მიზნის მისაღწევად და აღნიშნა, რომ მას ხშირად უწოდებდნენ დიქტატორს, არადემოკრატს, მაგრამ ის საკმარისად დემოკრატი გახლდათ იმისათვის, რომ არ შეექმნა პოლონეთის მთავრობა პოლონელების გარეშე<sup>2</sup>. სტალინის თქმით, 1944წ. ოქტომბერი, როდესაც ჩერჩილმა მოსკოვში ჩამოიყვანა მიკოლაიჩიკი, გრაბსკი და რომერი, ხელსაყრელი მომენტი იყო დროებითი მთავრობის შესაქმნელად. მან აღნიშნა, რომ მაშინ მართლაც გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები ამ მიმართულებით, მაგრამ ყველაფერი წყალში ჩაყარა მიკოლაიჩიკის და მისი მომხრეების განდევნამ ლონდონის პოლონური მთავრობიდან ლუბლინის მთავრობასთან შეთანხმების დადების სურვილის გამო, რადგანაც არციშევსკის მიერ ჩამოყალიბებულმა ახალმა მთავრობამ არ სცნო ლუბლინის მთავრობა და „ბანდიტებისა და დამნაშავეების ხროვა“ უწოდა მას. სტალინის თქმით, მსგავსი დამოკიდებულების გამო, ყოფილი ლუბლინის, აწ კი უკვე ვარშავის მთავრობის წევრებიც არ დარჩნენ ვალში და უარი განაცხადეს „მოლაღატეებთან“ მოლაპარაკებაზე<sup>3</sup>. აღსანიშნავია, თუ რა ოსტატურად გამოიყენა სტალინმა დებატების დროს ტერმინი „ვარშავის მთავრობა“. საბჭოთა ლიდერმა ფაქტობრივად აგრძნობინა კოლეგებს, რომ მის ხელში იყო მთავარი კოზირი: ის აკონტროლებდა სიტუაციას თითქმის მთელ პოლონეთში. ეს, რასაკვირველია, მეტად ამძიმებდა ჩერჩილისა და რუზველტის მდგომარეობას ამ საკითხის გან-

<sup>1</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 669, 680; Крымская конференция..., გვ. 101.

<sup>2</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 669-670, 680; Крымская конференция..., გვ. 101.

<sup>3</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 670, 681; Крымская конференция..., გვ. 101-102.

ხილვისას. ამიტომ, ბუნებრივია, მათ უნდა გაეთვალისწინებინათ სტალინის სურვილები.

ამის შემდგომ საბჭოთა ლიდერმა განაცხადა, რომ ვარშავის მთავრობის ხელმძღვანელები – ბერუტი, ოსუბკა-მორავსკი და როლ-ჟიმერსკი არ უარობდნენ გრაბსკისა და ეელიგოვსკის მსგავს ემიგრანტ მოღვაწეებთან თანამშრომლობას, მაგრამ ისინი კატეგორიულად წინააღმდეგნი იყვნენ მიკოლაიჩიკის პრემიერ-მინისტრობისა. ამ პირობების შესრულების შემთხვევაში სტალინმა შესაძლებლად ჩათვალა შეთანხმების მიღწევა, თუმცა, მისი აზრით, ვარშავის მთავრობა არანაკლებ დემოკრატიულ საწყისებზე იყო დაფუძნებული, ვიდრე დე გოლის მთავრობა საფრანგეთში<sup>1</sup>. ფაქტობრივად სტალინის ეს სიტყვები ნიშნავდა შენიღბულ მოთხოვნას, რომ მომავალ მთავრობაში პრემიერ მინისტრის პოსტი მის კრეატურას დაეკავებინა. აქვე ხაზი უნდა გაუუსვათ იმ გარემობასაც, რომ რუსულ ჩანაწერში არ ფიგურირებს არც „პირობების შესრულება“ და არც ვარშავის მთავრობის დე გოლის მთავრობასთან შედარება<sup>2</sup>. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ საბჭოთა ჩანაწერში საეჭვოდ არ არის დაფიქსირებული საფრანგეთის მიმართ სტალინის დამოკიდებულების ამსახველი მთელი რიგი ფრაზები, მაგრამ ამ შემთხვევაში ნათელია კიდევ ერთი მომენტი. რუსული ჩანაწერის ტექსტიდან შეუძლებელია საუბარი რაიმე მოთხოვნაზე სტალინის მხრიდან პოლონეთის მთავრობის დაკომპლექტების საკითხში, პირიქით, ის ყველანაირად ცდილობს, მორიგოს მხარეები. უფრო მეტიც, პირობების შესრულების არმოსხენიების შემთხვევაში, რჩება შთაბეჭდილება, რომ სტალინი თანახმაა მიკოლაიჩიკის პრემიერ-მინისტრობაზე.

თავისი გამოსვლის დასკვნით ნაწილში კი სტალინმა დემოგოიური ნიჭი კიდევ უფრო ნათლად გამოამჟღავნა და განაცხადა, რომ მას, როგორც სამხედრო პირს<sup>3</sup>, პირველ რიგში, აინტე-

<sup>1</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 670, 680.

<sup>2</sup> Крымская конференция., გვ. 101.

<sup>3</sup> სტალინი, რომელსაც ამ დროისათვის უკვე ჰქონდა მარშლის წოდება, კარგად ერკვეოდა სამხედრო საქმეებში, მაგრამ ფორმალურად ის მაინც ვერ ჩაითვლებოდა სამხედრო პირად, რადგანაც არ ჰქონდა მიღებული სამხედრო განათლება. როგორც ჩანს, სტალინი

რესებდა მხოლოდ წითელი არმიის უსაფრთხოება, რასაც, თავის მხრივ, დიდ საფრთხეს უქმნიდნენ ლონდონის მთავრობის აგენტები, რომლებმაც ჩამოაყალიბეს იატაკქვეშა წინააღმდეგობის მოძრაობა. სტალინის თქმით, ამ მოძრაობის წევრების მოქმედების შედეგად წითელი არმიის დანაკარგებმა შეადგინა 212 კაცი, გაძარცვული იქნა სამხედრო საწყობები. და ყოველივე ეს ხდებოდა იმ ფონზე, როდესაც ვარშავის მთავრობა ყველანაირად ხელს უწყობდა წითელ არმიას და კარგადაც ართმევდა თავს უსაფრთხოებისა და სიმშვიდის უზრუნველყოფას<sup>1</sup>. როგორც იტყვიან, აქ კომენტარიც ზედმეტია. სტალინი საკუთარ ნათქვამთან წინააღმდეგობაში მოდის. თუ საბჭოთა არმიის ზურგში უსაფრთხოების უზრუნველყოფა ვარშავის ხელისუფლებას ევალებოდა და ის ამ საქმეს კარგად ართმევდა თავს, მაშინ არ უნდა ყოფილიყო თავდასხმები სამხედრო საწყობებზე მაინც (უბრალო ჯარისკაცების გადაადგილების გაკონტროლება მართლაც ძნელი მისია იყო, მითუმეტეს, რომ საბჭოთა ჯარისკაცების ნაწილი სულაც არ იყო მამა აბრამის ბატკანი და შეიძლება მათი მკვლელობა ისეთივე ობიექტური მიზეზებით ყოფილიყო გამოწვეული, როგორც ეს ხდებოდა იუგოსლავიაში<sup>2</sup>), მაგრამ, როგორც ჩანს, სტალინი უკვე არ აქცევდა ყურადღებას ასეთ ნიუანსებს. მას ლონდონის პოლონური მთავრობის სრული დისკრედიტაცია ჰქონდა მიზნად დასახული.

აღნიშნული გამოსვლის შემდეგ რუხველტმა მხარეებს შესთავაზა საკითხის განხილვა მეორე დღეს დაესრულებინათ, რასაც თანხმობა მოჰყვა კიდევ, მაგრამ სხდომის დასრულებამდე ბრიტანეთის პრემიერმა ერთი რეპლიკა მაინც გააკეთა. როგორც ჩანს, საბჭოთა ლიდერის ტყუილებმა ჩერჩილი მოთმინებიდან გამოიყვანა და მან პირდაპირ მიახალა სტალინს, რომ, ინგლისელების ხელთ არსებული მონაცემების თანახმად, პოლონეთის მოსახლე-

---

ასეთი პასაჟი კვლავ დიპლომატიური მოსაზრებით დასჭირდა.

<sup>1</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 670, 681; Крымская конференция., გვ. 102.

<sup>2</sup> M. Djilas. Conversations with Stalin. New York, 1962, გვ. 87-89; M. Djilas. Wartime. New York, 1977, გვ. 420-421.

ობის მესამედიც კი არ უჭერდა მხარს ლუბლინის მთავრობას. ბრიტანეთის პრემიერმა დაუშვებლად მიიჩნია თავდასხმები საბჭოთა ჯარებზე, მაგრამ აქვე ხაზი გაუსვა იმ გარემოებასაც, რომ არ არსებობდა არანაირი საფუძველი იმის სამტკიცებლად, თითქოს ლუბლინის მთავრობას გააჩნდა რაიმე ფართო დასაყრდენი პოლინეთში<sup>1</sup>. ჩერჩილის ამ გამოსვლამ დაასრულა მესამე დღის დაძაბული დებატები.

### §5. 7 თებერვლის სხდომა

7 თებერვალს კონფერენციის მსვლელობა განახლდა საგარეო საქმეთა უწყებების ხელმძღვანელების სხდომით, რომელზეც მხარეებმა გარკვეულ შეთანხმებებს მიაღწიეს. პირველ რიგში, გადაწყდა, რომ გერმანიის დანაწევრების საკითხი შეესწავლა სპეციალურ კომისიას იდენის, ვაინანტისა და გუსევის შემადგენლობით, რომელიც ლონდონში დაიდებდა ბინას<sup>2</sup>. ამის შემდეგ განიხილეს საფრანგეთის საოკუპაციო ზონის საკითხი. მოლოტოვმა დამსწრეთ გააცნო საბჭოთა მხარის წინადადება, რომ საფრანგეთისათვის გამოეყოთ თავისი საოკუპაციო ზონა, რომელშიც ფრანგებს ხელმძღვანელობა უნდა განეხორციელებინათ საკონტროლო საბჭოს ეგიდით<sup>3</sup>, თუმცა ამ საკითხზე საბოლოო შეთანხმების მიღწევა ვერ მოხერხდა. გადაწყდა მხოლოდ, რომ საფრანგეთს ნამდვილად გამოეყოფოდა ზონა, ხოლო მისი მონაწილეობა საკონტროლო კომისიაში შემდგომი განხილვის საგანი უნდა გამხდარიყო<sup>4</sup>. შედარებით დიდი დრო ამ სხდომაზე დაეთმო რეპარაციების საკითხს. საბჭოთა მხარემ წერილობითი სახით წარმოადგინა თავისი წინადადებები, რომლებმაც წინა დღეს გაიჟღერა

<sup>1</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 671, 681; Крымская конференция., გვ. 103.

<sup>2</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 700, 705; Крымская конференция., გვ. 108.

<sup>3</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 707; Крымская конференция., გვ. 114-115.

<sup>4</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 702, 706; Крымская конференция., გვ. 110.

პლენარულ სხდომაზე. თუმცა გადაწყვეტილებები მიღებული არ იქნა, რადგანაც სტეტინიუსმა და ილენმა დრო ითხოვეს აღნიშნული დოკუმენტების შესასწავლად<sup>1</sup>.

დღის მეორე ნახევარში შედგა „დიდი სამეულის“ ლიდერების მორიგი პლენარული სხდომა, რომლის დაწყებისთანავე რუზველტმა საკმაოდ მოულოდნელი განცხადება გააკეთა. აშშ-ს პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ მისთვის არც თუ მნიშვნელოვანი იყო პოლონეთის საზღვრების საკითხი, სამაგიეროდ ის გაცილებით უფრო დიდ დატვირთვას ანიჭებდა პოლონეთში ახალი მთავრობის შექმნას. რუზველტის თქმით, ამ შემთხვევაში არც სამართალმემკვიდრეობის საკითხი დგებოდა, რადგანაც 1939 წლიდან მოყოლებული რეალურად პოლონეთის არანაირი მთავრობა არ არსებობდა<sup>2</sup>. სწორედ ეს განცხადება იქცევს ჩვენს ყურადღებას. ფაქტობრივად ამ სიტყვებით ნათელი გახდა, რომ რუზველტს ლონდონის ემიგრანტული მთავრობისათვის განაჩენი ჰქონდა გამოტანილი. უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს იყო უაღრესად არადიპლომატიური განცხადება. თუ აშშ-ს პრეზიდენტის ლოგიკას მივყებით, მაშინ ისეთივე დამოკიდებულება უნდა ყოფილიყო პოლანდიის, ბელგიის, ჩეხოსლოვაკიის თუ სხვა ქვეყნების მთავრობების მიმართ, რომელთა ერთადერთ „დანაშაულს“ მხოლოდ ის წარმოადგენდა, რომ გერმანელების მიერ მათი ქვეყნების ოკუპაციას არ შეურიგდნენ და ემიგრაციიდან განაგრძეს ბრძოლა. მაგრამ აქ კიდევ ერთი ნიუანსია გასათვალისწინებელი. რუზველტმა პრაქტიკულად აღნიშნა სტალინს, რომ თუ ის მტკიცედ დგებოდა თავის პოზიციაზე, ახალი მთავრობა შეიქმნებოდა სწორედ რომ ლუბლინის მთავრობის საფუძველზე, რაც უნდოდა კიდევ სტალინს.

ასეთი შესავლის შემდეგ, რუზველტისავე მოთხოვნით, მოუსმინეს მოლოტოვს, რომელმაც დამსწრეთ გააცნო საგარეო საქმეთა უწყებების ხელმძღვანელების შესვედრაზე მიღებული გადა-

<sup>1</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 703; Крымская конференция..., გვ. 112.

<sup>2</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 718; Крымская конференция..., გვ. 116.



წყვეტილებები. მთავრობათა მეთაურებმა მადლობა გადაუხადეს კომიტეტს ნაყოფიერი მუშაობისათვის და შეუდგნენ დღის წესრიგში შესული საკითხების განხილვას. ჩერჩილმა კვლავ დასვა საფრანგეთის საკონტროლო კომისიაში შეყვანის საკითხი. მისი თქმით, კონფერენციას აუცილებლად უნდა გადაეჭრა ეს პრობლემა ორი-სამი დღის განმავლობაში. რუზველტს, როგორც ჩანს, არ მოეწონა ეს აზრი და აღნიშნა, რომ, მისი შეხედულებით, უმჯობესი იქნებოდა, ამ საკითხის გადაწყვეტა 2-3 კვირით გადავლოთ და მასზე კონფერენციის დასრულების შემდგომ ემსჯელათ. მაგრამ ბრიტანეთის პრემიერისთვის ეს მიუღებელი აღმოჩნდა. მან ჩათვალა, რომ პრობლემის მოგვარება კონფერენციის მსვლელობისას უფრო ადვილი იყო, ვიდრე მისი დასრულების შემდეგ<sup>1</sup>. ჩერჩილმა კვლავ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ საკონტროლო კომისიის წევრობა საფრანგეთს არ მისცემდა მსგავს შეხვედრებში მონაწილეობის უფლებას. მისი თქმით, „სამი ზესახელმწიფოს შეკრება იყო პრივილეგირებული კლუბი, რომელშიც შესატანი თანხა განისაზღვრებოდა ხუთი მილიონი ჯარისკაცით ან შესაბამისი ეკვივალენტით“.<sup>2</sup> პოლემიკას ბოლო მოუღო რუზველტმა, რომელმაც ისარგებლა ჩერჩილის განცხადებით და აღნიშნა, რომ დღეს ამ საკითხის განხილვა დასრულებული იყო და კვლავ პოლონეთის პრობლემისაკენ მიბრუნება ითხოვა, მაგრამ მხარეებმა ეს წინადადება არ გაიზიარეს.

სტალინმა აღნიშნა, რომ მან სხდომის დაწყებამდე მცირე ხნით ადრე მიიღო აშშ-ს პრეზიდენტის წერილი ამ საკითხთან დაკავშირებით. საბჭოთა ლიდერის თქმით, ის ყურადღებით გაეცნო ინიციატივას, იალტაში მოეწვიათ ორ-ორი წარმომადგენელი ლუბლინის მთავრობიდან და პოლონეთის საზოგადოების სხვა წრეებიდან, რათა მათი თანდასწრებით გადაწყვეტილიყო ეს პრობ-

<sup>1</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 703; Крымская конференция..., გვ. 117-118.

<sup>2</sup> Крымская конференция..., გვ. 119. ამჯერად ჩვენ ვაწყდებით შემთხვევას, როდესაც საბჭოთა ჩანაწერი უფრო სრულია, ვიდრე ამერიკული. როგორც ბოლენს, ისე მეთიუსს ამ მონაკვეთში დასმული აქვთ სამწერტილები (იხ.: The Conferences at Malta and Yalta, გვ. 711, 719).

ლემა. სტალინმა აღნიშნა, რომ მან სცადა ბერუტსა და ოსუბკა-მორავსკისთან დაკავშირება ტელეფონით, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ისინი არ იმყოფებოდნენ ვარშავაში. რაც შეეხებოდა ვინცენტ ვიტოსისა და საპეჰას ჩამოსვლას<sup>1</sup>, საბჭოთა ლიდერის აზრით, ეს საქმეს ნამდვილად წაადგებოდა, მაგრამ მისთვის უცნობი იყო მათი ადგილსამყოფელი, რაც დააბრკოლებდა ამ პიროვნებების დროულად ჩამოყვანას იალტაში. ამავე დროს, სტალინმა აღნიშნა, რომ მოლოტოვმა მოამზადა პროექტი პოლონეთის შესახებ, თუმცა მისი გადაბეჭდვა სხდომის დაწყებამდე ვერ მოესწრო და ახლა ის ითხოვდა საკითხის განხილვის გადადებას, სანამ დოკუმენტი მზად არ იქნებოდა<sup>2</sup>. მიუხედავად საბჭოთა ლიდერის განცხადებისა, კონფერენციის მსვლელობიდან ჩვენ ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ სტალინს სულაც არ სურდა პოლონელების ჩამოყვანა კონფერენციაზე. როგორც ჩანს, მანაც კარგად იცოდა, რომ ლუბლინის მთავრობა არ სარგებლობდა დიდი პოპულარობით პოლონეთში და უნდოდა ჯერ პოზიციების საბოლოოდ გამყარება ქვეყანაში, თუმცა არ არის გამორიცხული, საბჭოთა ლიდერს სხვა ნიუანსიც აფიქრებდა. მას ალბათ ახსოვდა, თუ როგორ ცუდად ითამაშეს თავისი როლი მისმა პოლონელმა სატელიტებმა ჩერჩილთან ოქტომბრის შეხვედრის დროს და დე გოლის ვიზიტისას. ამიტომ, შესაძლოა, საბჭოთა ლიდერს ეშინოდა, იგივე არ განმეორებულიყო ყირიმშიც, უკვე რუზველტის წინაშეც, რომელიც ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა პირადულ ურთიერთობებს პოლიტიკაში. ეს კი სტალინს ნამდვილად გაურთულებდა თავისი მიზნების მიღწევას. სხდომაზე კი საბოლოოდ გადაწყდა, ჯერ მოესმინათ მოლოტოვისათვის, რომელიც წარმოადგენდა საბჭოთა მხარის დამოკიდებულებას უშიშროების საბჭოში კენჭისყრის ამერიკული ფორმულისადმი.

<sup>1</sup> ვიტოსი გახლდათ პოლონეთის გლეხთა პარტიის ლიდერი 1939 წლამდე, ხოლო საპეჰა იყო კრაკოვის არქიეპისკოპოსი. ეს პირები დასახელებული იყვნენ რუზველტის წერილში, როგორც საზოგადოების წარმომადგენლები (იხ.: *Переписка...*, т. II, გვ. 186).

<sup>2</sup> *The Conferences at Malta and Yalta*, გვ. 711; *Крымская конференция...*, გვ. 120.

სსრკ-ს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა აღნიშნა, რომ ამერიკელთა წინადადებები მთლიანად უზრუნველყოფდა ზესახელწიფოების ერთიანობას, რაც წარმოადგენდა კიდევ საბჭოთა კავშირის მთავარ მიზანს დუმბარტონ ოქსში. ამიტომ საბჭოთა მხარე სრულად ეთანხმებოდა აღნიშნულ ფორმულას. აქვე მოლოტოვმა შენიშნა, რომ გასარკვევი რჩებოდა მხოლოდ ერთი საკითხი, კერძოდ, სამი ან, უკიდურეს შემთხვევაში, ორი საბჭოთა რესპუბლიკის აღიარება მსოფლიო ორგანიზაციის დამფუძნებელ წევრებად<sup>1</sup>. პასუხად აშშ-ს პრეზიდენტმა თავისი სიხარული გამოხატა საბჭოთა მხარის თანხმობის გამო, რის შემდეგაც შეეხო სსრკ-ს რესპუბლიკების მსოფლიო ორგანიზაციაში გაერთიანების საკითხს. როდესაც მას დაუდასტურეს, რომ საუბარი იყო მხოლოდ ასამბლეის წევრობაზე, რუზველტმა აღნიშნა, რომ ღიდ ბრიტანეთს, აშშ-ს და სსრკ-ს სრულიად განსხვავებული სახელმწიფოებრივი მოწყობა გააჩნდათ. ამიტომ, მისი თქმით, ეს საკითხი მოითხოვდა კომპლექსურად შესწავლას, რათა არ დარღვეულიყო პრინციპი: ყოველ სახელმწიფოს თითო ხმა<sup>2</sup>. თანაც, დამფუძნებელი კონფერენციის მოწვევა, აშშ-ს პრეზიდენტის თქმით, სასურველი იყო მარტში.

აქვე მან გააკეთა ერთი საინტერესო განცხადება, რომელიც შეიძლება უმნიშვნელო იყოს თავისი შინაარსით, მაგრამ საკმაოდ ნიშანდობლივია აშშ-ს პრეზიდენტის გეოგრაფიული თვალსაწიერის გასარკვევად. მან აღნიშნა, რომ ბრაზილია სიდიდით ჩამოუვარდებოდა საბჭოთა კავშირს, მაგრამ აღემატებოდა აშშ-ს<sup>3</sup>. ამი-

---

<sup>1</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 712; Крымская конференция..., გვ. 121.

<sup>2</sup> რუზველტი მეტად უარყოფითად იყო განწყობილი საბჭოთა რესპუბლიკების საერთაშორისო ორგანიზაციაში გაწევრიანების საკითხისადმი და აპირებდა სასტიკი წინააღმდეგობა გაეწია სტალინისთვის (იხ.: F. Pogue. The Big Three and the United Nations. – In: *The Meaning of Yalta: The Big Three Diplomacy and the New Balance of Power*. Ed. by J. Snell. With a foreword by Paul H. Clyde. Baton Rouge, LS, 1956, გვ. 167), თუმცა ეს მას, საბოლოო ჯამში, არ გამოუვიდა.

<sup>3</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 713, 722. ეს ფაქტი ნათლად მეტყველებს, თუ როგორ „კარგად“ ერკვეოდა რუზველტი გეოგრაფიაში. სამწუხაროდ, მისი დილექტანტიზმი მხოლოდ გეოგრაფიაში

ტომ რუზველტმა წამოაყენა წინადადება, ეს საკითხი განსახილველად გადაეცათ საგარეო საქმეთა მინისტრებისათვის. თავის მხრივ, ჩერჩილმაც აღნიშნა, რომ დიდი ბრიტანეთის დომინიონები უკვე საკმაო ხნის განმავლობაში იყვნენ საერთაშორისო ურთიერთობების სრულუფლებიანი სუბიექტები, ამიტომ ის არ დაუშვებდა ისეთი ორგანიზაციის შექმნას, რომელშიც ისინი წარმოდგენილი არ იქნებოდნენ. ამავე დროს, მან დაინტერესება გამოთქვა საბჭოთა წინადადების მიმართ და მაღლობა გადაუხადა რუზველტს პირდაპირი უარყოფითი პასუხისაგან თავის შეკავების გამო, თუმცა იქვე შენიშნა, რომ თვითონ, მთავრობის სხვა წევრებთან კონსულტაციის გარეშე, ჯერჯერობით საბოლოო პოზიციას ვერ გამოხატავდა<sup>1</sup>.

აღსანიშნავია, თუ როგორ ოსტატურად ჩაურთო ჩერჩილმა, რომ დომინიონები აუცილებლად უნდა ყოფილიყვნენ ორგანიზაციის წევრები. თითქოს ეს პრობლემა მართლაც არ უნდა შექმნილიყო, რადგანაც ბრიტანეთის დომინიონებს თავის დროზე ხელი ჰქონდათ მოწერილი „გაერთიანებული ერების“ დეკლარაციისათვის, მაგრამ ჩერჩილმა მაინც თავი დაიზღვია, რათა არ მომხდარიყო დომინიონებისა და საბჭოთა რესპუბლიკების გათანაბრება. როგორც შემდეგ გაირკვა, ის სავსებით სწორი აღმოჩნდა. მომდევნო დღეს საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე მოლოტოვმა მართლაც განაცხადა, რომ კანადისა და ავსტრალიის ბრიტანეთის იმპერიის შემადგენლობაში ყოფნა არ უშლიდა ხელს მათ გაწევრიანებას მსოფლიო ორგანიზაციაში, რითაც გაამართლა უკრაინისა და ბელორუსიის დამფუძნებელ წევრებად აღიარება<sup>2</sup>. ამავე დროს, ბრიტანეთის პრემიერმა გამოთქვა ეჭვი, რომ კონფერენციის მოწყობა მარტში გართულდებოდა, რადგანაც მასში მონაწილეობას მიიღებდა რამდენიმე ქვეყანა, რომლის ტერიტორიაც

---

არ შემოიფარგლებოდა და სწორედ ამიტომაც გავამახვილეთ ჩვენ ამ მომენტზე ყურადღება.

<sup>1</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 714, 723; Крымская конференция..., გვ. 123.

<sup>2</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 736; Крымская конференция..., გვ. 133.

არ იქნებოდა განთავისუფლებული და ამის გამო ისინი კონფერენციაზე ემიგრაციაში მყოფი მთავრობებით იქნებოდნენ წარმოდგენილი. ჩერჩილის თქმით კი, ამ მთავრობების უფლებამოსილებები საეჭვო იყო. გარდა ამისა, პრობლემას შექმნიდა ისიც, რომ იმ ქვეყნებთან ერთად, რომლებიც შიმშილობის საფრთხის წინაშე იდგნენ პოლანდიის მსგავსად, კონფერენციაზე აღმოჩნდებოდნენ სახელმწიფოები, რომლებსაც ომიც კი არ ჰქონდათ გამოცხადებული გერმანიისათვის. ხმას აიმაღლებდა საფრანგეთიც<sup>1</sup>. ყოველივე ეს კი გამოიწვევდა ქაოტურ სიტუაციას კონფერენციაზე და გადაფარავდა კონფერენციის მთავარ მიზანს: ისეთი ორგანიზაციის ჩამოყალიბებას, რომელიც უზრუნველყოფდა მშვიდობას მსოფლიოში<sup>2</sup>.

პასუხად აშშ-ს პრეზიდენტმა შენიშნა, რომ მას სხვა რამ ჰქონდა მხედველობაში. მან გაიმეორა თავისი წინადადება, რომ საგარეო საქმეთა მინისტრებს ემსჯელათ საბჭოთა რესპუბლიკების მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანებაზე და დამფუძნებელი კონფერენციის მოწვევის დროის, ადგილისა და წევრების შესახებ. ჩერჩილი დაეთანხმა რუზველტის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს, ოღონდ იმ შესწორებით, რომ ეს არ იყო უბრალოდ ტექნიკური საკითხი, არამედ „დიდი გადაწყვეტილება“, რაზეც სტალინმა უპასუხა, რომ საგარეო საქმეთა მინისტრები არ მიიღებდნენ არანაირ გადაწყვეტილებას და უბრალოდ მოახსენებდნენ განხილვის შედეგებს მთავრობათა მეთაურებს<sup>3</sup>.

ამის შემდეგ „დიდი სამეული“ პოლონეთის საკითხს უნდა დაბრუნებოდა, მაგრამ გაირკვა, რომ საბჭოთა დოკუმენტი ისევ არ იყო მზად და ამიტომ მხარეები ზოგად საკითხებზე გადავიდნენ. უფრო სწორად, ლაპარაკობდა მხოლოდ რუზველტი, რომე-

<sup>1</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 715, 724. საბჭოთა ჩანაწერი მცირედით განსხვავდება ამერიკულისაგან. იქ საფრანგეთი გაერთიანებულია პოლანდიასთან ერთ ჯგუფში და ამოღებულია სიტყვები: „ხმას აიმაღლებს“ (იხ.: Крымская конференция., გვ. 124).

<sup>2</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 715, 724; Крымская конференция., გვ. 124.

<sup>3</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 715, 724; Крымская конференция., გვ. 125.

ლიც შეეხო ირანის მომავალს და აღნიშნა, რომ ამ ქვეყანას მიხედვა სჭირდებოდა, რადგანაც მას მომავალში არ ექნებოდა არანაირი მსყიდველობითი უნარი<sup>1</sup>. ამის შემდეგ რუზველტმა განაცხადა, რომ ომის შემდეგ ევროპაში ბოლო უნდა მოღებოდა სიტუაციას, როდესაც ერთ სახელმწიფოში ელექტროენერგია სკამარისზე მეტი იყო, მის მეზობელ ქვეყანაში კი ამის დეფიციტი იგრძნობოდა. პრობლემის დაძლევის შესაძლო ვარიანტად მან მოიყვანა საბჭოთა კავშირის პრაქტიკა, როდესაც ცალკეული რესპუბლიკები კი არა, მთელი სახელმწიფო იყო გაერთიანებული ერთ სისტემაში, და ასევე ტენესის ველის ადმინისტრაცია (ტვა) აშშ-ში, რომელსაც ერთნაირი საფასური ჰქონდა დაწესებული ენერგიაზე იმ შტატების ტერიტორიაზე, რომლებსაც აწვდიდა დენს<sup>2</sup>. ძნელი სათქმელია, კიდევ რამდენ ხანს მოუწევდათ დამსწრეთ რუზველტის „ლექციის“ მოსმენა, მაგრამ, მათდა საბედნიეროდ, ამ მომენტში წარმოადგინეს საბჭოთა დოკუმენტი პოლონეთის შესახებ, რომელიც 6 პუნქტისაგან შედგებოდა.

საბჭოთა მხარე საჭიროდ თვლიდა: 1. პოლონეთის აღმოსავლეთ საზღვრად „კერზონის ხაზის“ დადგენას, ზოგ ადგილებში 5-8 კილომეტრიანი გადახვევით პოლონეთის სასარგებლოდ; 2. დასავლეთ საზღვარი გერმანიასთან უნდა დაწყებულიყო ქ. შტეტინით (პოლონეთი) და გაგრძელებულიყო მდ. ოდერზე, შემდეგ კი – მდ. ნოისეზე (დას. ნოისეზე); 3. სასურველი იყო პოლონეთის დროებითი მთავრობის შევსება ემიგრაციაში მყოფი ზოგიერთი დემოკრატიული მოღვაწით; 4. ასევე მიზანშეწონილი იყო, რომ ეს შევსებული მთავრობა ეცნოთ მოკავშირე სახელმწიფოებს; 5. სასურველი იყო, რომ შევსებულ დროებით მთავრობას უმოკლეს ვადებში ჩაეტარებინა საყოველთაო არჩევნები;

<sup>1</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 715, 725; Крымская конференция..., გვ. 125. აქ კიდევ ერთხელ გამოჩნდა, თუ როგორ ზერეღედ მსჯელობდა რუზველტი საკითხებზე, რომლებშიც, როგორც ჩანს, არაფერი ესმოდა. ირანის ნავთობის საბადოების შესახებ იმ დროშიც იყო ცნობილი და რატომ უნდა ყოფილიყო ირანი მსყიდველობითი უნარის არმქონე სახელმწიფო, გაუგებარია.

<sup>2</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 715-716; Крымская конференция..., გვ. 125.

6. დაეკლებინათ მოლოტოვის, ჰარიმანისა და კერისათვის, განეხილათ ეს საკითხი პოლონეთის დროებითი მთავრობის წარმომადგენლებთან და ეცნობებინათ თავიანთი დასკვნები მოკავშირეთა მთავრობების მეთაურებისათვის<sup>1</sup>.

რუზველტმა და ჩერჩილმა მოიწონეს აღნიშნული დოკუმენტი, თუმცა საბოლოო დასტურისაგან თავი შეიკავეს და მოითხოვეს დრო, რათა უფრო კარგად გაცნობოდნენ მას. აშშ-ს პრეზიდენტმა და ბრიტანეთის პრემიერმა მხოლოდ ერთი რედაქციული ხასიათის შენიშვნა გააკეთეს და დაიწუნეს სიტყვა „ემიგრანტული“. ჩერჩილმა წამოაყენა წინადადება, რომ ტექსტში ჩაესვათ შემდეგი ფრაზა: „დროებით საზღვარგარეთ მყოფი პოლონელები“, რასაც სტალინი დაეთანხმა<sup>2</sup>. აქვე ჩერჩილმა გააკეთა კიდევ ერთი, უფრო მნიშვნელოვანი შენიშვნა. მისი თქმით, პოლონეთის დასავლეთი საზღვრის დადგენა მეტად სერიოზული საქმე იყო და „პოლონელი ბატი იმდენად არ უნდა გამოეკვებათ გერმანული მიწებით, რომ მას ისინი ვერ მოენულებინა“<sup>3</sup>. თანაც ჩერჩილი დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევდა 6 მილიონი გერმანელის ამ მიწებიდან გადასახლებას, რაზეც სტალინმა უპასუხა, რომ იმ რაიონებში გერმანელები თითქმის არ იყვნენ დარჩენილები, რადგანაც გაურბოდნენ საბჭოთა ჯარებს<sup>4</sup>. ბრიტანეთის პრემიერმა აღნიშნა, რომ ეს აადვილებდა პრობლემის გადაწყვეტას, ხოლო კიდევ ერთი გარემოება, რომელიც ხელს შეუწყობდა საკითხის გადაჭრას, იყო ის, რომ გერმანელების მსხვერპლი ომში იმ დროისათვის უკვე შეადგენდა 6-7 მილიონს. პასუხად სტალინმა ბრიტანელი კოლეგის გამოანგარიშებებს დაუმატა კიდევ 1-2 მილიონი — გერმანელთა მოსალოდნელი მსხვერპლი ომის

<sup>1</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 716; Крымская конференция... გვ. 125-126.

<sup>2</sup> Крымская конференция..., გვ. 126. სტალინის თანხმობა არ არის დაფიქსირებული ამერიკულ ჩანაწერებში (იხ.: The Conferences at Malta and Yalta, გვ. 717, 725).

<sup>3</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 717, 725; Крымская конференция..., გვ. 127.

<sup>4</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 717; Крымская конференция..., გვ. 127.

ბოლომდე<sup>1</sup>. თავის ბოლო შენიშვნად კი ჩერჩილმა მოითხოვა დოკუმენტის მე-3 პუნქტში შეეტანათ ფრაზა: „და საკუთრივ პოლონეთიდან“. სტალინი დაეთანხმა ჩერჩილის ამ წინადადებას, რითაც დასრულდა კიდევ მე-4 პლენარული სხდომა<sup>2</sup>.

8 თებერვალს საგარეო საქმეთა უწყებათა ხელმძღვანელების მორიგი თათბირი გაიმართა. სხდომაზე თავდაპირველად განხილული იქნა მსოფლიო ორგანიზაციასთან დაკავშირებული საკითხები. მხარეები შეთანხმდნენ, რომ მსოფლიო ორგანიზაციის დამფუძნებელი ყრილობა გაიხსნებოდა სან ფრანცისკოში 1945წ. 25 აპრილს<sup>3</sup>. დღის წესრიგში იყო საბჭოთა რესპუბლიკების საკითხიც, თუმცა მასზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღება ვერ მოხერხდა. სტეტინიუსმა განაცხადა, რომ პრეზიდენტთან შეხვედრისას ამ პრობლემაზე არ უმსჯელია და ითხოვა დრო, რათა შეეთანხმებინა თავისი პოზიცია რუზველტთან<sup>4</sup>. საგარეო საქმეთა უწყებების ხელმძღვანელთა ამ სხდომაზე პრაქტიკულად გადაწყვიტა, რომ საუბარი იქნებოდა მხოლოდ უკრაინისა და ბელორუსიის შესაძლო გაწევრიანებაზე, ანუ სავარაუდო წევრთაგან ამოვარდა ლიტვა, რაც, ჩვენი აზრით, ერთგვარად გაუგებარია. დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ს ხელმძღვანელებს შეეძლოთ მოეთხოვათ სწორედ ბალტიისპირეთის რესპუბლიკების გაწევრიანება მომავალ მსოფლიო ორგანიზაციაში. ეს მით უფრო ვასაკვირია, რომ დასავლეთის სახელმწიფოებს არასდროს არ უცენიათ საბჭოთა კავ-

<sup>1</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 717. საბჭოთა ჩანაწერში მითითებულია, რომ ჩერჩილი თვითონ ასახელებს გერმანელთა სავარაუდო მსხვერპლის რაოდენობას – 1-1,5 მილიონი, სტალინი კი მხოლოდ ეთანხმება მას, რომ რიცხვები ძირითადად ზუსტია (იხ.: Крымская конференция..., გვ. 127).

<sup>2</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 717-718; Крымская конференция..., გვ. 127.

<sup>3</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 736, 743; Крымская конференция..., გვ. 131-132. საინტერესოა, რომ ეს თარიღი არჩეული იქნა მხოლოდ იმიტომ, რომ სტეტინიუსს სურდა კონფერენციის დაწყება ოთხშაბათს, მისი თქმით, „ყველაზე ბედნიერ დღეს“ (იხ.: Крымская конференция..., გვ. 131).

<sup>4</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 717; Крымская конференция..., გვ. 127.



შირის მიერ ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის ანექსია.

ამის შემდეგ მხარეებმა განიხილეს ირანის საკითხი. მთავარი პრობლემა აქ სანაუთობო კონცესიების საკითხი იყო. საბჭოთა მხარე უკმაყოფილო იყო, რომ ირანელებმა ომის დამთავრებამდე უარი უთხრეს სსრკ-ს კონცესიების მიცემაზე, მაშინ როდესაც ინგლისელებთან შეთანხმება მათ უკვე გაფორმებული ჰქონდათ. განხილვისას გაირკვა, რომ თურმე ბრიტანელებსაც შეწყვეტილი ჰქონდათ მოლაპარაკებები ირანელებთან და არ ჰქონდათ მიღებული კონცესიები, რის შემდეგაც მხარეებმა გადაწყვიტეს, მოგვიანებით დაბრუნებოდნენ ამ საკითხს და მოესმინათ სერგო ქავთარაძისათვის, რომელიც წარმოადგენდა საბჭოთა კავშირის ირანში წარმოებული მოლაპარაკებების დროს<sup>1</sup>. საგარეო საქმეთა უწყებების ხელმძღვანელებს დღის წესრიგში ჰქონდათ აგრეთვე იუგოსლავიის საზღვრებისა და ბულგარეთსა და უნგრეთში საკონტროლო კომისიების სტრუქტურის საკითხები, მაგრამ მათი განხილვა გადაიდო მხარეთა მოუმზადებლობის გამო<sup>2</sup>.

### **§6. ი. სტალინისა და ფ. რუზველტის კონფიდენციალური შეხვედრა**

დიდი სამეულის ყირიმის სამიტის განხილვისას არ შეიძლება საგანგებო ყურადღება არ მიექცეს ი. სტალინისა და ფ. რუზველტის კონფიდენციალურ შეხვედრას, რომელიც შედგა 8 თებერვალს. მასზე განხილული იქნა იაპონიის წინააღმდეგ ომთან დაკავშირებული საკითხები. სწორედ ამ თათბირზე მიაღწია სტალინმა თავის ყველაზე დიდ წარმატებას ყირიმში. შეხვედრა დაიწყო რუზველტის თხოვნით, გამოეყოთ ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალებისათვის აეროდრომები ბუდაპეშტის მახლობლად და მიეცათ ამერიკელი ექსპერტებისათვის აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ტერიტორიაზე წარმოებული დაბომბ-

<sup>1</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 740; Крымская конференция..., გვ. 137.

<sup>2</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 738; Крымская конференция..., გვ. 135.

ვების შედეგების შესწავლის უფლება<sup>1</sup>. შემდეგ ის შეეხო იაპონიასთან ომის მიმდინარეობას. რუზველტმა აღნიშნა, რომ მანლის ალებით ომი ახალ ფაზაში შევიდა და ის იმედოვნებდა ახალი ბაზების მოწყობას ბონინის კუნძულებსა და ფორმოზას (ტაივანი) მახლობლად მდებარე კუნძულებზე. აშშ-ს პრეზიდენტის თქმით, საჭირო იყო დაბომბვის გაძლიერება, რაც შესაძლებელს გახდიდა საკუთრივ იაპონიის კუნძულებზე შეჭრის გარეშე მოწინააღმდეგის დამარცხებას<sup>2</sup>.

შემდეგ საუბარი შეეხო ამერიკელებისათვის საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ბაზების დათმობის საკითხს. კერძოდ, სტალინმა აღნიშნა, რომ ის წინააღმდეგი არ იქნება, რომ ამერიკელებს დაუთმოს საპაერო ბაზები კომსომოლსკის ან ნიკოლაევსკის მიდამოებში, მაგრამ კამჩატკაში ამის გაკეთება შეუძლებლად მიიჩნია, რადგანაც იქ ჯერ კიდევ იმყოფებოდა იაპონიის კონსული<sup>3</sup>. საუბარი ამ თემაზე შემთხვევით არ ჩამოვარდნილა. უკვე ყირიმის კონფერენციის მსვლელობის დროს რუზველტმა სტალინს წერილობით ჰკითხა, თუ იყო შესაძლებელი კომსომოლსკი-ნიკოლაევსკის რაიონში ბაზების მიღება<sup>4</sup>. აქვე სტალინი დაინტერესდა, თუ როგორი იყო რუზველტის პოზიცია იმ პოლიტიკურ პირობებთან დაკავშირებით, რომლებიც გააჩნდა საბჭოთა კავშირს იაპონიის წინააღმდეგ ომში ჩაბმის სანაცვლოდ და რომელთა შესახებაც ის თავის დროზე ესაუბრა ჰარიმანს მოსკოვში<sup>5</sup>. როგორც საუბრიდან გაირკვა, რუზველტმა არ გაითვალისწინა ჰარიმანის რჩევები, კერძოდ ის, რომ სამზრეთ სახალისი ნამღვილად უნდა გადასცემოდა საბჭოთა კავშირს, მაგრამ კურილის

<sup>1</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 767; Крымская конференция— გვ. 139.

<sup>2</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 766; Крымская конференция— გვ. 139.

<sup>3</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 766; Крымская конференция— გვ. 139.

<sup>4</sup> Переписка..., т. II, გვ. 185.

<sup>5</sup> W. A. Harriman, E. Abel. Special Envoy to Churchill and Stalin, გვ. 397.

<sup>6</sup> W. A. Harriman, E. Abel. Special Envoy to Churchill and Stalin, გვ. 400. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ანალოგიურ რჩევებს იძლეოდნენ ბრიტანელებიც.

კუნძულები, რომლებიც თავის დროზე — 1875 წელს — რუსეთ-მა იაპონიას დაუთმო ვაჭრობისა და ნაოსნობის ხელშეკრულების საფუძველზე<sup>1</sup>, იურიდიულად სსრკ-ს პრეტენზიებს არ ექვემდებარებოდა და აშშ-ს არ უნდა აეღო ვალდებულება მოთხოვნების ამ პუნქტის დაკმაყოფილებაზე<sup>2</sup>. მიუხედავად ამისა, რუზველტი სტალინს პრაქტიკულად ყველაფერში დაეთანხმა. მისი თქმით, სამხრეთ სახალხინი და კურილის კუნძულები საბჭოთა კავშირს გადაეცემოდა. აშშ-ს პრეზიდენტი გარკვეულ პრობლემებს ხელავდა სსრკ-სთვის დაირენის იჯარით გადაცემასა და რკინიგზებით სარგებლობის უფლების მინიჭებასთან დაკავშირებით, რადგანაც ამ საკითხებზე მას ჩან კაიშისთან მანამდე არანაირი კონსულტაცია არ ჰქონია, თუმცა, მისი ვარაუდით, აქ რამდენიმე გამოსავალი არსებობდა. რუზველტის თქმით, დაირენის იჯარით გადაცემა მას

---

<sup>1</sup> პარიზის ცოტათი შეეშალა, რადგანაც ვაჭრობისა და ნაოსნობის ხელშეკრულება იაპონიასა და რუსეთს შორის დაიდო 1895წ. (იხ.: **Ю. В. Ключников, А. Сабанин. Международная политика новейшего времени в договорах, нотах и декларациях. Ч. I. М., 1925, გვ. 273**) და მან მხოლოდ დაადასტურა 1855წ. სიმოდის ტრაქტატი და 1875წ. სანქტ-პეტერბურგის ხელშეკრულება კურილის კუნძულების გაცვლის შესახებ. „სიმოდის ტრაქტატით“ — ხელშეკრულება ვაჭრობისა და საზღვრების შესახებ — დაიწყო კურილის კუნძულების იაპონიისათვის გადაცემის პროცესი და იაპონიამ მიიღო ოთხი კუნძული (იხ.: **Ю. В. Ключников, А. Сабанин. Международная политика., ч. I, გვ. 168-169**), რომელზედაც ის დღეს აცხადებს პრეტენზიას. მოგვიანებით კი, 1875წ. რუსეთმა იაპონიას გადასცა კურილის კუნძულების დარჩენილი ნაწილი კ. სახალხინის სანაცვლოდ (მანამდე სახალხინზე ორივე სახელმწიფოს თანაბარი უფლებები ჰქონდა. იხ.: **Ю. В. Ключников, А. Сабанин. Международная политика., ч. I, გვ. 214**).

<sup>2</sup> როგორც საბჭოთა, ისევე რუსეთის ხელისუფლება ცდილობს, საკუთარი მოქალაქეებს დაუმალოს ის ფაქტი, რომ კურილის კუნძულები, ისევე როგორც ალასკა, რუსეთის იმპერიის იმპერატორის ალექსანდრე II-ის მიერ სრულიად კანონიერად და თავისი ნებით იქნა გადაცემული. მართალია, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ კანონიერ გადაცემამდე ეს კუნძულები უკვე დაკავებული ჰქონდათ იაპონელებს, რისი მიზეზიც გახდა იქ რუსული დასახლებების არარსებობა. ამიტომ ალექსანდრე II უბრალოდ შეურიგდა რეალობას და არ გაამწვავა ურთიერთობები იაპონიასთან რამდენიმე კუნძულის გამო, რომელთა ათვისება ისედაც ჭირდა.

არ მოსწონდა იმის გამოც, რომ სურდა, დიდ ბრიტანეთს ჰკონკრეტული დაებრუნებინა ჩინეთისათვის ომის შემდეგ, რასთან დაკავშირებით ის წააწყდებოდა ჩერჩილის გაათვრებულ წინააღმდეგობას, რომელიც კიდევ უფრო მძაფრ ხასიათს მიიღებდა, თუ საბჭოთა მხარეს გადასცემდნენ პორტს ჩრდილოეთში. ამიტომ აშშ-ს პრეზიდენტს უფრო ხიბლავდა დაირენის ღია პორტად გამოცხადების იდეა. აგრეთვე ის შესაძლებლად თვლიდა საბჭოთა და ჩინელი წარმომადგენლებისაგან შერეული კომისიის შექმნას, რომელიც გააკონტროლებდა რკინიგზებს. გარე მონღოლეთთან (ანუ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა) დაკავშირებით მას აუცილებლად მიაჩნდა სტატუს ქვოს შენარჩუნება<sup>1</sup>.

ეს დიალოგი, ჩვენი აზრით, არის მშვენიერი მასალა ორივე ქვეყნის ლიდერის დასახასიათებლად. სტალინიცა და რუზველტიც მსოფლიოს ყველანაირად თავს აჩვენებდნენ დაჩაგრული ხალხების დამცველებად, ამავე დროს, კი პირად საუბარში მათ ძალიან უბრალოდ მოილაპარაკეს, თუ როგორ უნდა გადაეწყვიტათ ღარიუნისა და რკინიგზების საკითხი, თანაც წინასწარ არც კი იკითხეს, რა რეაქცია ექნებოდა ამაზე ჩინეთს. ვთქვათ, საბჭოთა მხარეს მართლაც უნდოდა იჯარით აედო პორტი ჩინეთში (ამის უფლება მას ჰქონდა, უბრალოდ ის უნდა მოლაპარაკებოდა ჩინეთის ზეღისუფლებას), მაგრამ არანაირ ნორმებში არ ჯდება ამ საკითხის განხილვა აშშ-ს პრეზიდენტთან და, მით უმეტეს, მისი მხრიდან დასტურის მიღება. რაც შეეხება რკინიგზების კონტროლს, ჩვენთვის საერთოდ გაუგებარია, თუ როგორ შეიძლებოდა რომელიმე სახელმწიფო ნებით შეგუებოდა საკუთარი უფლებების ასეთ შელახვას და რას ფიქრობდა რუზველტი, როდესაც თავის წინადადებას აყენებდა. მით უფრო გასაკვირია ეს იმის გამო, რომ საუბარი ამ შემთხვევაში არის არა რომელიმე მომცრო სახელმწიფოზე, არამედ ჩინეთზე, რომელიც, პირველ რიგში, სწორედ რუზველტს წარმოედგინა უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრად და „მეოთხე პოლიციელად“, რომელსაც აშშ-ს, დიდ ბრიტანეთსა და საბჭოთა კავშირთან ერთად უნდა დაეცვა წესრიგი მსოფლიოში.

<sup>1</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 768-769; Крымская конференция., გვ. 140-141.

აშშ-ს პრეზიდენტის პოზიცია სტალინისათვის სავსებით საკმარისი უნდა ყოფილიყო, თუმცა მან, როგორც ჩანს, მაინც საჭიროდ ჩათვალა დამატებითი ზეწოლის მოხდენა თავის ვიზავიზე და განაცხადა, რომ საბჭოთა პირობების მიუღებლობის შემთხვევაში ძალიან გაუჭირდებოდა ხალხისათვის აეხსნა, თუ რატომ იწყებდა ომს იაპონიასთან, რომელიც არ უქმნიდა დიდ პრობლემებს სსრკ-ს<sup>1</sup>. მან ხაზი გაუსვა, რომ თუ დიდი სამეფული ხელს მოაწერდა ასეთ დოკუმენტს, მაშინ გაცილებით უფრო იოლი იქნებოდა სსრკ-ს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დათანხმება იაპონიისთვის ომის გამოცხადებაზე<sup>2</sup>. აქვე მან აღნიშნა, რომ საერთაშორისო კონტროლი ჩინურ პორტზე მისთვის სავსებით მისაღები იყო<sup>3</sup>. სტალინის ამ კომენტართან დაკავშირებით, ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ საბჭოთა ჩანაწერში არ გვხვდება სიტყვები: „რომელიც არ უქმნიდა დიდ პრობლემებს სსრკ-ს“. ეს, ჩვენი აზრით, შემთხვევითი არ არის. საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში ყველანაირად გაბუქებული იყო საფრთხე, რომელსაც საბჭოთა კავშირს უქმნიდა ე.წ. „კვანტუნის არმია“ და საბჭოთა მხარის ომში ჩაბმა ახსნილი იყო სწორედ ამ „საფრთხით“ და არა მოკავშირული ვალდებულებების შესრულების აუცილებლობით, თუმცა ეს ალბათ საერთოდ არ აწუხებდა სტალინს. არადა, შეიძლება ითქვას, რომ 1945 წელს იაპონელებს ყველაზე ნაკლებად აინტერესებდათ საბჭოთა კავშირთან ომში ჩაბმა. პირიქით, მათ იმედი ჰქონდათ, რომ სტალინი არ დაესხმოდა თავს იაპონიას და ამით დააფასებდა მისი მხრიდან 1941წ. 13 აპრილის თავდაუსხმელობის პაქტის დაცვას იმ პერიოდში, როდესაც ასეთი ნაბიჯი სსრკ-სთვის სასიკვდილო ლახერის ჩაცემა იქნებოდა. მაგრამ იაპონელებს, როგორც ჩანს, ყურადღება არ მოუქცევიათ იმ გარემოებისათვის, რომ სტალინს თვითონაც აინტერესებდა ომში ჩაბმა, რადგანაც სურდა ახალი ტერიტორიების ხელში ჩა-

<sup>1</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 769.

<sup>2</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 769; Крымская конференция..., გვ. 141.

<sup>3</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 770; Крымская конференция..., გვ. 141.

გდება. სწორედ ეს იყო საბჭოთა ლიდერის ჭეშმარიტი მისწრაფება და ჩვენში გაცემას იწვევს ის ფაქტი, რომ რუზველტი ვერაფრით ვერ იჯერებდა მის ამ სურვილს, თუმცა მას ამგვარ ინფორმაციას აწვდიდნენ კიდეც<sup>1</sup>.

რუზველტმა შესაძლებლად ჩათვალა საბჭოთა მოთხოვნების ამსახველი დოკუმენტის ხელმოწერა და აქვე შეეხო კორეის საკითხს. მან შესთავაზა სტალინს, რომ კორეაში შექმნილიყო მეურვეთა საბჭო აშშ-ს, სსრკ-სა და ჩინეთის შემადგენლობით, რომელიც განახორციელებდა ქვეყნის მმართველობას მანამ, სანამ კორეელები მზად არ იქნებოდნენ დამოუკიდებლობისათვის, რაც, მისი აზრით, 25-30 წლის შემდეგ მოხდებოდა<sup>2</sup>. სტალინს ამ შეთავაზებაზე არც დადებითი და არც უარყოფითი პასუხი არ მიუცია, მხოლოდ აღნიშნა, რომ მეურვეთა შორის დიდი ბრიტანეთიც იყო შესაყვანი, რადგანაც, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამას ჩერჩილის მხრიდან მკაცრი რეაქცია მოყვებოდა. აშშ-ს პრეზიდენტის თქმით, თუ ინგლისელები ბევრს იყვირებდნენ, მაშინ ის მართლაც დათანხმდებოდა მათ მონაწილეობაზე<sup>3</sup>.

საუბრის ამ მონაკვეთში სტალინი მოულოდნელად მიუბრუნდა რუზველტის წინადადებებს ბუდაპეშტის მახლობლად აეროდრომებისა გამოყოფისა და დაბომბვების შედეგების შესასწავლად ექსპერტების გამოგზავნის შესახებ და აღნიშნა, რომ გაცემდა ბრძანებას ამ თხოვნის დასაკმაყოფილებლად<sup>4</sup>. აღსანიშნავია, რომ ამერიკულ ჩანაწერებში საკითხები დაჯგუფებულია, ანუ სტალინის პასუხი რუზველტის თხოვნის შემდეგ მოდის, ამიტომ ამ საკითხზე მოულოდნელი, ერთი შეხედვით, სრულიად უადგილო გადასვლა, რომელიც ნამდვილად არ იყო შემთხვევითი, ვერ დაფიქსირდა. სამაგიეროდ, რუსული ჩანაწერი, რომელსაც ჩვეულებრივ საკმაოდ ბევრი რამ აკლია, გადალაგებული არ არის.

<sup>1</sup> Ch. E. Bohlen. Witness to History, 1929-1969, New York, 1973, გვ. 180.

<sup>2</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 770; Крымская конференция..., გვ. 141-142.

<sup>3</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 770; Крымская конференция..., გვ. 142.

<sup>4</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 767; Крымская конференция..., გვ. 142.

არადა, ამ შემთხვევაში სწორედ რომ სტალინის მხრიდან რუზველტის თხოვნის მოულოდნელი „გახსენება“ იქცევს ყურადღებას. საბჭოთა ლიდერს მშვენიერად შეეძლო, მაშინვე დაეკმაყოფილებინა აშშ-ს პრეზიდენტის თხოვნა, მაგრამ ის ასე არ მოიქცა. ჩვენი აზრით, სტალინი უცდიდა რუზველტის მხრიდან თანხმობას საბჭოთა მოთხოვნებზე და ამიტომ შეიკავა თავი დაუყოვნებლივი პასუხისაგან.

სტალინის მიერ თემიდან გადახვევის შემდეგ რუზველტმა კვლავ განაგრძო საუბარი მეურვეობაზე, ოღონდ ამჯერად ის ინდოჩინეთის საკითხს შეეხო. მან აღნიშნა, რომ აქაური მოსახლეობა წააგავდა ბირმელებსა და იაველებსა თავისი დბალი აღნაგობით და არ იყო „საომრად განწყობილი“.<sup>1</sup> აშშ-ს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ რადგანაც ჩინეთს არ სურდა ინდოჩინეთი<sup>2</sup>, ის მეურვეობის შემოღების მოსურნე იყო, თუმცა ჩერჩილს ამ რეგიონის კვლავ საფრანგეთისათვის დაბრუნება სურდა. თავის მხრივ, დე გოლსაც უკვე ნათხოვი ჰქონდა რუზველტისათვის ხომალდები ინდოჩინეთში ჯარის გადასაყვანად, თუმცა მან ვერ მოახერხა გემების გამოყოფა<sup>3</sup>. როგორც ჩანს, სტალინს არ მოეწონა მსგავსი პერსპექტივა და აღნიშნა, რომ რადგანაც ფრანგებმა ვერ დაიცივეს ინდოჩინეთი, ინგლისელებმა უკვე ერთხელ დაკარგეს ბირმა. ამიტომ, მისი თქმით, ეს მნიშვნელოვანი საკითხი შესწავლას საჭიროებდა და პრეზიდენტის თვალსაზრისი შეიძლება სწორიც

---

<sup>1</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 770. საინტერესოა, რას გულისხმობდა რუზველტი სიტყვაში „საომრად განწყობილი“ („warlike“). თუ უკანასკნელი 60 წლის გამოცდილებას გავიხსენებთ, მთელ მსოფლიოში ძნელი მოსაძებნია ვიეტნამელებზე უკეთ მეომარი ხალხი. აქვე აღსანიშნავია, რომ ომის პერიოდში ამერიკელებს საკმაოდ მჭიდრო კონტაქტები ჰქონდათ პო ში მინთან და ისიც, თავის მხრივ, მუტად კარგად იღებდა მათ აგენტებს ჰანოიში (იხ.: R. H. Fifield. American Policy toward Indochina during the Second World War. Some Tentative Conclusions. — წგნ.: *Worlds War II: An Account of Its Documents*. Ed. by J. E. O'Neill and R. W. Krauskopf. Wash., 1976, გვ. 65-67).

<sup>2</sup> ამერიკელებმა რამდენჯერმე შესთავაზეს ჩან კაიშის ინდოჩინეთის დაკავება, მაგრამ მან ისინი უარით გაისტუმრა (იხ.: R. H. Fifield. American Policy..., გვ. 60, 61).

<sup>3</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 770; Крымская конференция..., გვ. 142-143.

ყოფილიყო<sup>1</sup>. ამავე დროს, საბჭოთა ლიდერმა ისარგებლა მომჭრით და იკითხა, მართლა აპირებდა თუ არა აშშ ომის შეძვე ზედმეტი ხომალდების საბჭოთა მხარისათვის მიყიდვას, როგორც ეს წინა დღით აღნიშნა სტეტინიუსმა მოლოტოვთან საუბარში<sup>2</sup>. რუზველტმა აღნიშნა, რომ ომის დასრულების შემდეგ აშშ-ს ექნებოდა ჭარბი რაოდენობით გემები და მათი ნაწილი მართლაც სსრკ-ს დაეთმობოდა 20-წლიანი კომერციული დანტერესების არმქონე კრედიტის საფუძველზე მისაღებ ფასებში. სტალინს, რომელსაც ნამდვილად ძალიან აწუხებდა საბჭოთა სამხედრო თუ სავაჭრო ფლოტის სავალალო მდგომარეობა, ეს აზრი მოეწონა და შენიშნა, რომ ეს კიდევ ერთი „შესანიშნავი ღონისძიება“ იქნებოდა ლენდ-ლიზის მსგავსად, რომლის გარეშეც გამარჯვება მეტად ძნელი მისაღწევი გახდებოდა<sup>3</sup>. აღსანიშნავია, რომ საბჭოთა ჩანაწერში მიყიდვის ნაცვლად ნახსენებია მიცემა<sup>4</sup>, რაც, საუბრის კონტექსტიდან გამომდინარე, არასწორია. ამასთან, სტეტინიუსი სწორედ მიყიდვაზე საუბრობდა<sup>5</sup>.

## §7. 8 თეპერელის სხდომა

მეხუთე პლენარული სხდომა საგარეო საქმეთა უწყებების ხელმძღვანელების თათბირის შედეგების მოსმენით დაიწყო. იღენძა მთავრობათა მეთაურებს წარუდგინა მათ მიერ მიღებული გადა-

<sup>1</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 770; Крымская конференция..., გვ. 142. აქვე უნდა აღნიშნოთ ერთი ფაქტი: კონფერენციის დასრულების შემდეგ რუზველტმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ სტალინი და ჩან კაიში იწონებდნენ ინდოჩინეთზე მეურვეობის დაწესების იდეას, მაგრამ ბრიტანელებს ასეთი აზრი აცოფებდათ, რის გამოც მან დროებით გაჩუმება არჩია ამ საკითხზე (იხ: E. Hammer. The Struggle for Indochina. Stanford, CA, 1959, გვ. 44; R. H. Smith. OSS: The Secret History of America's First Central Intelligence Agency. Berkeley, CA, 1972, გვ. 327).

<sup>2</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 767.

<sup>3</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 768; Крымская конференция..., გვ. 143.

<sup>4</sup> Крымская конференция..., გვ. 143.

<sup>5</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 707.



წვეტილებების ამსახველი დოკუმენტი. როგორც გაირკვა, თურმე ამ ღროისათვის მხარეები შეთანხმდნენ საბჭოთა რესპუბლიკების გაეროში გაწვევრიანების თაობაზე. იდენის თქმით, დამფუძნებელი წევრების სია სან ფრანცისკოს კონფერენციაზე დაზუსტდებოდა და დიდი ბრიტანეთი და აშშ მხარს დაუჭერდნენ ორი საბჭოთა რესპუბლიკის გაწვევრიანებას გაეროში<sup>1</sup>. ამ საკითხთან დაკავშირებით სტალინი დაინტერესდა კონფერენციაზე მოსაწვევი ქვეყნების სიით. საბჭოთა ლიდერმა აღნიშნა, რომ იყო ათი ისეთი სახელმწიფო, რომელიც კონფერენციაზე უნდა ყოფილიყო მოწვეული, რადგანაც გერმანიისთვის ომი ჰქონდათ გამოცხადებული, მაგრამ ეს ქმნიდა გარკვეულ პრობლემას მათსა და საბჭოთა კავშირს შორის დიპლომატიური ურთიერთობების არარსებობის გამო. ეს კი, მისი აზრით, ხელს არ უწყობდა მომავალ მსოფლიო უსაფრთხოებას. რუზველტმა სტალინი დაამშვიდა და აღნიშნა, რომ ამ ქვეყნების უმრავლესობას სურდა სსრკ-სთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება და რაიმე კონკრეტული ნაბიჯები ამ მიმართულებით უბრალოდ არ ჰქონდათ გადადგმული. მისი აზრით, არც ის რამდენიმე სახელმწიფო, რომელსაც განსხვავებული მიზეზები ამოძრავებდა და სადაც კათოლიკური ეკლესიის გავლენა ძალიან ძლიერი იყო, არ წარმოადგენდა განსაკუთრებულ პრობლემას, რადგანაც საბჭოთა კავშირს უკვე ჰქონდა მათთან ერთად ბრეტონ ვუდსსა და ატლანტიკ სიტიში ერთობლივი მუშაობის გამოცდილება<sup>2</sup>.

ამის შემდეგ უკვე დაიწყო ცალკეული ქვეყნების მოწვევარმოწვევის საკითხის განხილვა. რუზველტმა განაცხადა, რომ თავის დროზე აშშ-ს ყოფილმა სახელმწიფო მდივნის მოადგილემ, სამნერ უელესმა ურჩია მთელ რიგ ლათინური ამერიკის სახელმწიფოებს, არ გამოეცხადებინათ ომი გერმანიისათვის და

<sup>1</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 772; Крымская конференция..., გვ. 146.

<sup>2</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 772-773, 783; Крымская конференция..., გვ. 146. ბრეტონ ვუდსის კონფერენცია გაიმართა 1944წ. ივლისში და ის მიძღვნილი იყო ფინანსური საკითხებისათვის, ხოლო 1943წ. ნოემბერში ატლანტიკ-სიტიში შედგა გაერთიანებული ერების დახმარებისა და აღდგენის აღმინისტრაციის საბჭოს სხდომა.

შემოფარგლულიყვნენ მასთან დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტით. ახლა კი იმ 5 თუ 6 ქვეყანას, რომელმაც მართლაც იმოქმედა უელესის ამ, პრეზიდენტის შეფასებით, მცდარი მითითებით, უნდა მოესწრო ომის გამოცხადება. მისი თქმით, ეს უკვე გაკეთებული ჰქონდა ეკვადორს და უახლოეს ხანებში მას მიჰყვებოდა პერუც. მაშინ სტალინი დაინტერესდა არგენტინის ბედობლით და აღნიშნა, რომ მის მოწვევაზე უარის თქმა ლოგიკას ეწინააღმდეგებოდა. პასუხად რუზველტმა შენიშნა, რომ არგენტინა არ მოიხზრებოდა გაერთიანებული ერების რიცხვში, რადგანაც ხელი არ ჰქონდა მოწერილი დეკლარაციისათვის. ამავე დროს, აშშ-ს პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ საჭირო იყო რაიმე ვადის დაწესება, რომლის იქითაც გერმანიისათვის ომის გამოცხადება და გაერთიანებული ერების დეკლარაციაზე ხელის მოწერა არ იქნებოდა საერთაშორისო ორგანიზაციის დამფუძნებელ ყრილობაზე წევრის სტატუსით მოწვევის ტოლფასი. ასეთ თარიღად მან 1 მარტი დაასახელა, რაზეც თანხმობა მიიღო კიდევ<sup>1</sup>. მხარეები შეთანხმდნენ, რომ ნებისმიერი არამტრული სახელმწიფო, რომელიც გამოუცხადებდა ომს გერმანიას 1945წ. 1 მარტამდე, მიწვეული იქნებოდა დამფუძნებელ კონფერენციაზე და მიიღებდა ახალი ორგანიზაციის წევრის სტატუსს. აქ ჩერჩილმა, რომელსაც, როგორც ჩანს, კარგად ახსოვდა სტალინის ორჭოფული დამოკიდებულება თურქეთის საკითხისადმი თეირანის კონფერენციაზე, შესაძლოა, გადაწყვიტა პატარა მახის დაგება და პირდაპირ ჰკითხა სტალინს, გახდებოდა თუ არა თურქეთი ორგანიზაციის წევრი, თუ ის 1 მარტამდე გამოუცხადებდა ომს გერმანიას. საბჭოთა ლიდერსაც თანხმობის მეტი სხვა არაფერი არ დარჩენოდა<sup>2</sup>. აქვე მხარეები შეთანხმდნენ, რომ გერმანიის წინააღმდეგ ომში ოფიციალურად ჩართვის შემთხვევაში სიას დაამატებდნენ ეგვიპტესა და ისლანდიას<sup>3</sup>. ეგვიპტე და ისლანდია ფორმალურად

<sup>1</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 773, 783; Крымская конференция..., გვ. 147.

<sup>2</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 774; Крымская конференция..., გვ. 148.

<sup>3</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 774, 784; Крымская конференция..., გვ. 148.

არ იღებდნენ მონაწილეობას საომარ მოქმედებებში, მაგრამ ფაქტობრივად ევკვიპტის ხელისუფლება სრულად უჭერდა მხარს დიდ ბრიტანეთს ომის ყველაზე მძიმე წლებში და ომში არ ჩაება მხოლოდ საკუთრივ ოფიციალური ლონდონის თხოვნით, ისლანდიაში კი დაარღვია მის მიერ გამოცხადებული ნეიტრალიტეტის პირობები და ომის პერიოდში დაუთმო თავისი სანაპიროები ამერიკულ ფლოტს, რათა მას გაადვილებოდა ატლანტის ოკეანის გაკონტროლება<sup>1</sup>.

დიდი სამეულის ყურადღება მიიქცია დანიის გაწვევრიანების საკითხმაც. სტალინის წინადადებით გადაწყდა, რომ განთავისუფლებამდე დანიის გაწვევრიანება ორგანიზაციაში მიზანშეუწონელი იყო<sup>2</sup>. აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთი არგუმენტი, რომელიც გამოიყენა სტალინმა ამგვარი გადაწყვეტილების დასასაბუთებლად, ის იყო, რომ დანიელებმა თავის დროზე წინააღმდეგობა არ გაუწიეს გერმანიას<sup>3</sup>. დასასრულს კი საბჭოთა ლიდერმა, როგორც ჩანს, დაზუსტების მიზნით, იკითხა, ხომ არ იყო მიზანშეუწონილი, რომ უკრაინასა და ბელორუსიას დაუყოვნებლივ მოეწერათ ხელი გაერთიანებული ერების დეკლარაციისათვის, რათა შემდგომ კონ-

<sup>1</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 774, 784; Крымская конференция..., გვ. 148.

<sup>2</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 775; Крымская конференция..., გვ. 149.

<sup>3</sup> როგორც ცნობილია, დანია გერმანიამ ერთ დღეში, 1940წ. 9 აპრილს დაიპყრო და მოსახლეობას გერმანელების შესვლა კოპენჰაგენში ფილმის სიუჟეტი ეგონა. უ. შირერი იმასაც შენიშნავს, რომ გერმანიამ იმდენად სწრაფად და უმტკივნეულოდ დაიპყრო დანია, რომ მოსახლეობის უმრავლესობამ საუზმის შემდეგ გაიგო, თუ რა ხდებოდა ქვეყანაში (იხ.: W. Shirer. The Challenge of Scandinavia. Boston, MA, 1955, გვ. 226). როგორც ირკვევა, დანიის მეფემ და მთავრობამ შეეწებულად შეიკავეს თავი მობილიზაციის გამოცხადებისაგან, რადგანაც ეს, მათი აზრით, სულაც არ გაზრდიდა ქვეყნის უსაფრთხოებას. ამასთან, ისინი ელოდნენ მოთხოვნებს გერმანელების მხრიდან და მზად იყვნენ, წასულიყვნენ დათმობებზე საზღვაო ბაზებისა და რამდენიმე აეროდრომის გადაცემის საკითხში (იხ.: M. Häikiö. The Race for Northern Europe, September 1939 – June 1940. – წგნ.: Scandinavia during the Second World War. Ed. by Henrik S. Nissen, translated by Th. Munch-Petersen. Minneapolis, MN, 1983, გვ. 94).

ფერენციებზე მათ არ შექმნოდათ პრობლემები. ამან გარკვეული დისონანსი შეიტანა სხდომის მსვლელობაში. ჩერჩილმა მხარი დაუჭირა სტალინის წინადადებას, რუზველტმა კი თქვა, რომ ამის საჭიროება არ იყო და საბჭოთა რესპუბლიკების ხელმოწერის არარსებობა გაერთიანებული ერების დეკლარაციაზე ხელს არ შეუშლიდა მათ გაწვევრიანებას მსოფლიო ორგანიზაციაში. საბოლოო ჯამში, საბჭოთა ლიდერს აღუთქვეს, რომ უკრაინისა და ბელორუსიის მოწვევას დამფუძნებელ კონფერენციაზე ხელი არავითარ შემთხვევაში არ შეეშლებოდა, მაგრამ რადგანაც საქმე ეხებოდა ერთი ქვეყნისათვის სამი ხმის მინიჭებას, საბოლოოდ საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო სან ფრანცისკოში, სადაც დიდი ბრიტანეთი და აშშ მხარს დაუჭერდნენ მათ მიღებას ორგანიზაციაში. შედეგად, სტალინმა უარი თქვა თავის წინადადებაზე იმ პირობით, რომ საგარეო საქმეთა მინისტრების დადგენილებაში დასახელებულიყო უკრაინა და ბელორუსია<sup>1</sup>.

საერთაშორისო ორგანიზაციის ჩამოყალიბებასთან გამართული მსჯელობის შემდეგ მხარეები მიუბრუნდნენ პოლონეთის საკითხის განხილვას. რუზველტმა აღნიშნა, რომ შეისწავლა საბჭოთა წინადადებები და სავსებით დაეთანხმა პირველ პუნქტს, რომლის თანახმადაც სსრკ-პოლონეთის საზღვარს უნდა გაეკვლო კერზონის ხაზზე ზოგიერთ რაიონში პოლონეთის სასარგებლოდ 5-8 კილომეტრის გადახვევით. თუმცა იქვე აშშ-ს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ, მისი აზრით, პოლონეთის დასავლეთი საზღვრის მდ. დასავლეთ ნოისეზე გადატანა ნაკლებად იყო გამართლებული. აქვე რუზველტმა კიდევ ერთხელ წამოაყენა ე.წ. საპრეზიდენტო საბჭოს შექმნის იდეა, რომელშიც, მისი აზრით, უნდა შესულიყვნენ ბერუტი, გრაბსკი და საპეჰა. სწორედ ამ ორგანოს უნდა ჩამოეყალიბებინა ღრობითი მთავრობა, რომელიც, თავის მხრივ, უზრუნველყოფდა არჩევნების ჩატარებას. აშშ-ს პრეზიდენტის გეგმის თანახმად, ეს ერთიანი ღრობითი მთავრობა დიდ საშუალებებს უნდა ეცნო<sup>2</sup>.

<sup>1</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 775-776; Крымская конференция..., გვ. 149-150.

<sup>2</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 776; Крымская конференция...,

საინტერესოა, რომ სტალინმა თითქოს ყურადღებაც არ მი-  
აქცია იდეას საპრეზიდენტო საბჭოს შექმნის შესახებ. ბუნებრი-  
ვია, ეს იდეა მისთვის მიუღებელი იქნებოდა, რადგანაც მაშინ  
ოფიციალურად ძალაუფლება პოლონეთში მართლაც დემოკრა-  
ტიული ძალების ხელში აღმოჩნდებოდა (გრაბსკისა და საპეკას  
სახით). მიუხედავად ამისა, საბჭოთა ლიდერმა გვერდი აუარა ამ  
საკითხს და უბრალოდ იკითხა, იქნებოდა თუ არა ასეთ შემთხ-  
ვევაში ლიკვიდირებული ლონდონის მთავრობა. სწორედ ეს იყო  
სტალინისათვის მთავარი მომენტი პოლონეთის პოლიტიკური მოწ-  
ყობის დროს. ყველაზე დიდ საფრთხეს მისთვის წარმოადგენდა  
სწორედ ლონდონის ემიგრანტული მთავრობა, რომელიც სცნო  
კიდევ თავის დროზე — 1941წ., როდესაც საბჭოთა კავშირი უმ-  
ძიმეს მდგომარეობაში იყო. ახლა კი მას უკვე ეშინოდა, რომ  
ლონდონის მთავრობა, რომელიც ვარშავის აჯანყების გერმანელე-  
ბის მიერ სისხლში ჩახშობის შემდეგ კვლავაც უფრო დიდი  
მხარდაჭერით სარგებლობდა ხალხში, ვიდრე ლუბლინის მთავ-  
რობა<sup>1</sup> და რომელთანაც დიპლომატიური კავშირი მან გაწყვიტა  
ყირიმის კონფერენციის წინ, კვლავ არ გამოსულიყო წინა პლან-  
ზე, როგორც ერთადერთი ლეგიტიმური მთავრობა. სწორედ ამი-

გვ. 150.

<sup>1</sup> თუ პარიზანის ცნობებს დავეყრდნობით, გამოდის, რომ კონფერენ-  
ციის მსვლელობის პერიოდში სტალინს ნამდვილად ეგონა, თითქოს  
პოლონელები ლუბლინის მთავრობას დაუჭერდნენ მხარს არჩევნებ-  
ში და მხოლოდ მას შემდეგ ჩაშალა არჩევნების დემოკრატიულად  
ჩატარება, როცა დარწმუნდა ამ აზრის სიმცდარეში (იხ.: W. A. Har-  
rigan, E. Abel. Special Envoy to Churchill and Stalin, გვ. 414). როგორც  
ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, პოლონელების დამოკიდებულება, რაც არც  
მანამდე იყო, რბილად რომ ეთქვათ, მაინცდამაინც კეთილგანწყობი-  
ლი, ვარშავის 1944წ. აჯანყების შემდეგ საბოლოოდ ანტირუსული  
გახდა. ამის მიზეზი იყო საბჭოთა ჯარების წინსვლის შეჩერება და  
უკანდახევაც კი ბრძოლების რაიონიდან, მაშინ როდესაც ვარშა-  
ვისკენ მათ წინსვლას პრაქტიკულად არაფერი უშლიდა ხელს. უუჭ-  
ველია, რომ სტალინის ბრძანება, რომლითაც წითელმა არმიამ  
შეწყვიტა ვარშავისაკენ წინსვლა, პოლიტიკური მიზეზებით იყო გან-  
პირობებული, რადგანაც თუ ისინი წაიწყვედნენ წინ, მაშინ ძალა-  
უფლებას ვარშავაში ხელთ იგდებდნენ ლონდონის ემიგრანტული  
მთავრობის წარმომადგენლები, რომლებიც ტრიუმფატორებად დაბ-  
რუნდებოდნენ ქვეყანაში.

ტომ, ის ყოველნაირად ცდილობდა, აშშ-სა და დიდი ბრიტანეთს უარი ეთქვათ ლონდონის მთავრობის მხარდაჭერაზე. უნდა აღინიშნოს, რომ სტალინმა ამჯერად ნამდვილად მოარტყა მიზანში. ჩერჩილმაც და რუზველტმაც დაუდასტურეს მას, რომ დროებითი მთავრობის შექმნის შემდეგ ისინი სცნობდნენ მხოლოდ იმ ორგანოს, რომელსაც გადაეცემოდა პოლონეთის საზღვარგარეთული აქტივები<sup>1</sup>. ამასთან, ჩერჩილმა თავი შეიკავა აქტივების გადაცემის იურიდიული ასპექტების შეფასებისაგან, თუმცა დაეთანხმა რუზველტს, რომ მთელი საკუთრება, რომელიც გააჩნდა პოლონეთს საზღვარგარეთ, ავტომატურად გადავიდოდა დროებითი მთავრობის მფლობელობაში<sup>2</sup>. ამის შემდეგ სხდომაზე გამოცხადდა მცირე შესვენება.

შეხვედრის განახლებისას გაირკვა, რომ ბრიტანელებმა მოამზადეს პოლონეთის საკითხის მოგვარების ალტერნატიული პროექტი, თუმცა, ჩერჩილის წინადადებით, გაგრძელდა რუზველტისეული გეგმის განხილვა<sup>3</sup>. და აქ საბჭოთა მხარემ პრაქტიკულად სასიკვდილო ლახვარი ჩასცა საპრეზიდენტო საბჭოს შექმნის იდეას. აღსანიშნავია ერთი გარემოება, ამის გაკეთება ითავა არა სტალინმა, არამედ მოლოტოვმა. როგორც ჩანს, საბჭოთა ლიდერს სურდა იმის ჩვენება, რომ მას არ შეეძლო აღნიშნული საკითხის დამოუკიდებლად გადაწყვეტა, ხოლო პოლიტიბიუროს დანარჩენი წევრები აშშ-ს პრეზიდენტის იდეის წინააღმდეგი იქნებოდნენ. სხვათა შორის, სტალინი ხშირად აცხადებდა შეხვედრებისას, რომ ის ანგარიშვალდებული იყო პოლიტიბიუროს წინაშე, თუმცა, რასაკვირველია, ეს უბრალოდ მისი დიპლომატიური ხრიკი იყო. ჩვენი აზრით, სწორედ ამგვარი ტაქტიკური მანევრით იყო განპირობებული ამ საკითხის განხილვისას მთავარი როლის მოლოტოვისათვის გადაბარება.

<sup>1</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 776; Крымская конференция..., გვ. 150-151.

<sup>2</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 776; Крымская конференция..., გვ. 150-151.

<sup>3</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 776, 786; Крымская конференция..., გვ. 151. ბრიტანული პროექტი საბჭოთა მხარეს გადაეცა წინა დღეს.

სსრკ-ს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა თავისი გამო-  
სულა დაიწყო იმის აღნიშვნით, რომ პოლონეთში, თანაც ვარშა-  
ვაში, უკვე არსებობდა მთავრობა, რომელიც სარგებლობდა ხალ-  
ხის უდიდესი მხარდაჭერით და ლოგიკური იქნებოდა მოლაპარა-  
კების წარმოება სწორედ იმ მიმართულებით, რომ მომხდარიყო  
მისი შევსება. მოლოტოვმა ხაზი გაუსვა, რომ პოლონელები არ  
დაეთანხმებოდნენ რუზველტის გეგმას, ხოლო იმ შემთხვევაში,  
თუ საბჭოთა წინადადებები იქნებოდა საბაზისო, მაშინ მათი მხრი-  
დან რაიმე წინააღმდეგობა მოსალოდნელი არ იყო და წარმატე-  
ბაც გარანტირებული იქნებოდა. უფრო მეტიც, მოლოტოვი იმდენ-  
ად გადავარდა დემაგოგიაში, რომ განაცხადა, თითქოს მხოლოდ  
პოლონეთის დროებითი მთავრობის წარმომადგენლები მონაწილე-  
ობდნენ ქვეყანაში განვითარებულ ეროვნულ მოვლენებში<sup>1</sup>. ამი-  
ტომ, მისი თქმით, საჭირო იყო მხოლოდ აღნიშნული დროებითი  
მთავრობის გაფართოება, ხოლო მთავარი და საკმაოდ რთული  
საკითხი იქნებოდა მხოლოდ ის, თუ როგორ წარიმართებოდა აღ-  
ნიშნული პროცესი<sup>2</sup>. აქ, როგორც ჩანს, მოლოტოვს მხედველობა-  
ში ჰქონდა პოლონეთის განთავისუფლება გერმანელებისაგან, თუმ-  
ცა გაუგებარია, რა შუაშია აქ „ეროვნული მოვლენები“. თუ „ერო-  
ვნულ მოვლენებზე“ ვიმსჯელებდით, მაშინ მთავარი ადგილი აქ უნ-  
და დაეკავებინა ვარშავის 1944წ. აჯანყებას, რომელიც სწორედ  
რომ ლონდონის ემიგრანტული მთავრობის მომხრეებისა და წევ-  
რების მიერ იყო ორგანიზებული და რომელიც ნამდვილად წარ-  
მატებული იქნებოდა, საბჭოთა მხარეს რომ ოდნავი სურვილი  
მანც გამოეჩინა მისი დახმარებისა. გარდა ამისა, მოლოტოვმა  
მიზანშეუწონლად მიიჩნია საპრეზიდენტო საბჭოს შექმნის იდეაც,  
რადგანაც ეს, მისი თქმით, მხოლოდ და მხოლოდ წარმოქმნიდა  
მეორე რთულად გადასაწყვეტ პრობლემას. ამავე დროს, ის გა-  
მოვიდა წინადადებით, რომ მომხდარიყო კრაიოვა რადას გაფარ-  
თოება. ყოველივე ამას კი, მოლოტოვის აზრით, უნდა ჰქონოდა

<sup>1</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 776-777, 786; Крымская конфе-  
ренция..., გვ. 151.

<sup>2</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 776-777, 786; Крымская конфе-  
ренция..., გვ. 151-152.

მხოლოდ ერთი მიზანი — არჩევნების რაც შეიძლება სწრაფად ჩატარება, რათა მომხდარიყო თვითმმართველობის მუდმივი ორგანოების ჩამოყალიბება<sup>1</sup>.

სსრკ-ს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი შეეხო საზღვრების საკითხსაც. მან აღნიშნა, რომ თუ პოლონეთის აღმოსავლეთ საზღვრის შესახებ პრაქტიკულად უკვე მიღწეული იყო სრული თანხმობა, დასავლეთ საზღვრის საკითხზე არ არსებობდა ერთიანი აზრი. მოლოტოვმა განაცხადა, რომ პოლონელები უეჭველად დაუჭერდნენ მხარს საბჭოთა მთავრობის მიერ წარმოდგენილ წინადადებას<sup>2</sup>. უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში მოლოტოვი არ ცდებოდა. უფრო მეტიც, საზღვარს დასავლეთ ნი-სეზე მხარს უჭერდნენ არა მარტო პროსაბჭოური მთავრობის წარმომადგენლები, არამედ მიკოლაიჩიკი და მისი ფრთის წევრებიც, რაც გამოვლინდა კიდევ პოტსდამის კონფერენციაზე<sup>3</sup>. თავისი გამოსვლის დასკვნით ნაწილში კი მოლოტოვი შეეხო პოლონელებთან მოლაპარაკების საკითხს და აღნიშნა, რომ საბჭოთა მხარე თანახმა იყო, ეს მოლაპარაკებები ეწარმოებინათ მას, ჰარიმანსა და კერს, ხოლო პოლონეთის დროებითი მთავრობის მხრიდან მონაწილეობას კონსულტაციებში ალბათ მიიღებდნენ ბერუტი, ოსუბკა-მორავსკი და როლ-ჟიმერსკი, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდებოდა და თუ მათ დაემატებოდა მხოლოდ 2 წარმომადგენელი ლონდონიდან, მაშინ შეიძლებოდა წარმატებაზე ფიქრი. მაგრამ სსრ კავშირის დიპლომატიური უწყების ხელმძღვანელი გამოთქვამდა ეჭვს, რომ დროებითი მთავრობის წევრებს, შესაძლო იყო, უარი ეთქვა მიკოლაიჩიკთან მოლაპარაკებებზე, რადგა-

<sup>1</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 776, 786; Крымская конференция..., გვ. 151.

<sup>2</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 777, 787; Крымская конференция..., გვ. 152.

<sup>3</sup> *Foreign Relations of the United States. The Conference of Berlin (The Potsdam Conference), 1945.* Wash., 1960, გვ. 334-335; *Советский Союз на международных конференциях периода Великой Отечественной войны 1941-1945гг.* Т. VI. Берлинская (Потсдамская) конференция руководителей трех союзных держав — СССР, США и Великобритании (17 июля — 2 августа 1945г.). *Сборник документов.* М., 1980, გვ. 172-173.



ნაც, მისი თქმით, ისინი უკმაყოფილონი დარჩნენ ამ უკანასკნელის პოზიციით მოსკოვში გამართული შეხვედრების დროს<sup>1</sup>. აქვე მოლოტოვმა კიდევ ერთხელ გაუშეორა რუზველტს, რომ უმჯობესი იქნებოდა თავის შეკავება საპრეზიდენტო საბჭოს ჩამოყალიბებისაგან და არსებული დროებითი პოლონური მთავრობის გაფართოება<sup>2</sup>.

ჩერჩილმა სცადა საბჭოთა მხარისათვის საკუთარი დემაგოგიის დაპირისპირება და ამით სასურველი შედეგის მიღწევა. ბრიტანეთის პრემიერმა აღნიშნა, რომ ეს გახლდათ კონფერენციის გადამწყვეტი მომენტი და აუცილებელი იყო ამ საკითხზე საერთო აზრის შემუშავება, რადგანაც, მისი თქმით, თუ სამიტიც შემდეგ მოკავშირეების მიერ კვლავინდებურად პოლონეთის ორი სხვადასხვა მთავრობის ცნობა გაგრძელდებოდა, მთელი მსოფლიოსათვის ნათელი გახდებოდა გარკვეული უთანხმოების არსებობა<sup>3</sup>. ამავე დროს, ჩერჩილმა ხაზი გაუსვა, რომ, მის ხელთ არსებული ინფორმაციით, ლუბლინის, ანუ ვარშავის მთავრობა არ სარგებლობდა არც მასობრივი მხარდაჭერით ქვეყნის შიგნით და არც რაიმე ავტორიტეტი გააჩნდა საზღვარგარეთ, ამიტომ ბრიტანეთის ხელისუფლება ვერანაირად ვერ ცნობდა მას, რადგანაც ეს გამოიწვევდა მთელი მსოფლიოსა და უცხოეთში მცხოვრები პოლონელების პროტესტს. აქვე ბრიტანეთის პრემიერმა შეახსენა დამსწრეთ, რომ არსებობდა საზღვარგარეთ მყოფი პოლონელებისაგან შემდგარი 150 ათასიანი არმია, რომელიც იბრძოდა დასავლეთელი მოკავშირეების გვერდზე და რომელიც ნამდვილად არ შეურიგდებოდა ლუბლინის მთავრობას<sup>4</sup>. ამის შემ-

<sup>1</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 777, 787; Крымская конференция..., გვ. 152.

<sup>2</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 778, 787; Крымская конференция..., გვ. 152-153.

<sup>3</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 778, 787; Крымская конференция..., გვ. 153.

<sup>4</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 778, 788; Крымская конференция..., გვ. 153. აღსანიშნავია, რომ საბჭოთა ჩანაწერებში არ არის მოყვანილი დასავლეთელ მოკავშირეებთან ერთად მებრძოლი პოლონელების რიცხვი, რაც, ჩვენი აზრით, მიზანმიმართულ ხასიათს ატარებს, რათა საბჭოთა მკითხველს არ სცოდნოდა, რამდენი პო-

დევ ჩერჩილი საბოლოოდ გადავარდა დემაგოგიაში და განაცხადა, რომ თუ ის სცნობდა ერთი წლის წინ ჩამოყალიბებულ მთავრობას, მაშინ პარლამენტში მასზე სერიოზული შეტევა დაიწყებოდა და მას ბრალს დასდებდნენ სრულ კაპიტულაციაში საბჭოთა მხარის წინაშე<sup>1</sup>. ამავე დროს, ბრიტანეთის პრემიერის თქმით, ლონდონის მთავრობის დეზავუირება მოხდებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ორივე მხარისათვის იქნებოდა თანაბარი პირობები<sup>2</sup>. ჩერჩილის აღნიშვნით, პირადად ის ლონდონის მთავრობის მოქმედებებს სულელურად მიიჩნევდა, მაგრამ ახალი მთავრობის აღიარებისათვის მას სჭირდებოდა დარწმუნება, რომ ეს ახალი მთავრობა ხალხის ნების გამომხატველი იყო. ასეთი რამ კი შესაძლებელი გახდებოდა მხოლოდ თავისუფალი არჩევნების შემდეგ. ჩერჩილმა პირობა დადო, რომ ის სცნობდა ნებისმიერ მთავრობას, რომელიც ჩამოყალიბებული იქნებოდა არჩევნების შედეგად, მაგრამ არჩევნებამდე ის დიდი შეშფოთებით მიადევნებდა თვალყურს მოვლენების განვითარებას<sup>3</sup>.

ჩერჩილის პასუხად მოლოტოვმა შენიშნა, რომ შესაძლო იყო მოლაპარაკებებს მოსკოვში გამოელო რაიმე შედეგი, თუმცა ძალიან ძნელი იქნებოდა პოლონეთის საკითხის განხილვა პოლონელების გარეშე. ბრიტანეთის პრემიერი არ დაკმაყოფილდა ამით და განაცხადა, რომ აუცილებელი იყო შეთანხმების მიღწევა და მასზე ხელის მოწერა სწორედ კონფერენციაზე<sup>4</sup>. აქ საუ-

---

ლონელი უჭერდა აქტიურად მხარს ლონდონის ემიგრანტულ მთავრობას.

<sup>1</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 778-779, 787; Крымская конференция..., გვ. 153. ჩვენ გვინდა ყურადღება მივაქციოთ უკანასკნელ არგუმენტს. საინტერესოა, რამდენად გამართლებული შეიძლება იყოს ასეთი დამოკიდებულება მოკავშირის მიმართ. პრინციპში, ამ ფრაზით ჩერჩილმა ფაქტობრივად აღიარა, რომ მისთვის სსრკ-სთან კავშირი მხოლოდ იძულებითი ნაბიჯი იყო.

<sup>2</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 779, 788. რუსულ ჩანაწერში ეს ფრაზა რატომღაც გამოტოვებულია.

<sup>3</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 779, 788; Крымская конференция..., გვ. 154.

<sup>4</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 779, 788. საბჭოთა ჩანაწერში არც მოლოტოვის რეპლიკაა მოყვანილი და არც ჩერჩილის პასუხი.

ბარში ჩაერთო რუზველტი და სცადა სიტუაციის ერთგვარად განმუხტვა. მისი თქმით, გარკვეული შეთანხმება უკვე მიღწეული ჩანდა, რადგანაც ყველა მხარე ეთანხმებოდა პოლონეთში საყოველთაო არჩევნების უსწრაფესად ჩატარებას, მაგრამ იქვე აშშ-ს პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ გასარკვევი იყო წინასაარჩევნო პერიოდში პოლონეთის მმართველობის საკითხი<sup>1</sup>.

აქ საუბარში უკვე ჩაერთო სტალინი, რომელმაც, როგორც ჩანს, შეუძლებლად ჩათვალა ჩერჩილის მტკიცების უპასუხოდ დატოვება, რომ პოლონეთის დროებითი მთავრობა არ სარგებლობდა პოპულარობით. საბჭოთა ლიდერმა გაიხსენა ბრიტანეთის პრემიერის განცხადება, რომ ძალიან ჭირდა პოლონეთიდან ინფორმაციის მიღება. ჩერჩილმა უპასუხა, რომ მას გააჩნდა გარკვეული ინფორმაცია, მაგრამ ვერ შეძლო თავისი აზრის დასრულება, რადგანაც სტალინიმა სიტყვა გააწყვეტინა და გააგრძელა თავისი მსჯელობა. მისი თქმით, ბრიტანელების ინფორმაცია არ ემთხვეოდა იმ ცნობებს, რომელსაც საბჭოთა მხარე იღებდა. სტალინიმა კვლავინდებურად დემაგოგიურად განაცხადა, რომ ბერუტი, ოსუბკა-მორავსკი და როლ-ჟიმერსკი უდიდესი პოპულარობით სარგებლობდნენ ხალხში, რადგანაც ოკუპაციის პერიოდში პოლონეთი არ დაუტოვებიათ<sup>2</sup>, მაშინ როდესაც არციშევსკის მთავრობის წევრები, რომლებიც, შესაძლოა, უფრო დიდი გონებრივი შესაძლებლობებით გამოირჩეოდნენ, არ იყვნენ მოსახლეობის გვერდით ამ მძიმე წლებში<sup>3</sup>. შემდეგ სტალინიმა შენიშნა, რომ არსებობდა მეორე მიზეზიც, რის გამოც პოლონეთის მოსახლეობა ლონდონის მთავრობის წევრებთან შედარებით უპირატესობას ვარშა-

<sup>1</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 779, 788; Крымская конференция..., გვ. 154.

<sup>2</sup> ეს განცხადება, როგორც მინიმუმ, არასწორი იყო ბერუტის მიმართ, რომელმაც პოლონეთი ჯერ კიდევ 1938 წელს დატოვა და მხოლოდ 1943წ. მიწურულს დაბრუნდა (მთელი ეს პერიოდი ის სსრკ-ში ცხოვრობდა), როგორც ჩანს, კრემლის უშუალო მითითებით.

<sup>3</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 779-780, 789. საბჭოთა ჩანაწერში გამოტოვებულია სტალინის სიტყვები არციშევსკის მთავრობის გონებრივი შესაძლებლობების შესახებ (იხ.: Крымская конференция..., გვ. 154).

ვის მთავრობას ანიჭებდა. ეს იყო დამოკიდებულება წითელი არმიისადმი. მისი თქმით, პოლონელებმა მთლიანად შეიცვალეს დამოკიდებულება რუსებისადმი, ხვდებოდნენ მათ, როგორც განმათავისუფლებლებს და ამიტომ უკვირდათ ლონდონელი პოლონელების პასიურობა, რომლებიც არ იღებდნენ არანაირ მონაწილეობას ამ პროცესში<sup>1</sup>.

ამის შემდეგ სტალინი შეეხო ჩერჩილის შიშს, რომ ვერ მოხერხდებოდა ერთიანი შეთანხმების მიღწევა და განაცხადა, რომ სხვადასხვა ინფორმაციისა და სხვადასხვა დასკვნების არსებობისას ძნელი იყო რაიმე კონკრეტული შედეგის მიღება. მიუხედავად ამისა, საბჭოთა ლიდერის აზრით, მდგომარეობა არ იყო მაინცდამაინც ტრაგიკული. მან პარალელი გაავლო პოლონეთის დროებით ხელისუფლებასა და დე გოლის მთავრობას შორის და აღნიშნა, რომ მათ შორის არ იყო არანაირი განსხვავება. სტალინის თქმით, თუ მოკავშირეები ცნობდნენ დე გოლს და მის მთავრობას, რომელიც ასევე არ იყო არჩეული, მაშინ რატომ არ უნდა გაეტარებინათ იგივე პოლიტიკა პოლონეთის დროებითი მთავრობის მიმართ, მით უმეტეს, რომ არჩევნები პოლონეთში მალე ჩატარდებოდა<sup>2</sup>.

აქ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ სტალინის მიერ გაკეთებული შედარება, ჩვენი აზრით, არასწორი იყო, ვინაიდან პოლონეთის დროებით ხელისუფლებასა და დე გოლის მთავრობას შორის განსხვავება იყო და საკმაოდ დიდიც. დე გოლის მოძრაობა არსებობდა საფრანგეთის კაპიტულაციის დღიდან და თანდათანობით ჩამოყალიბდა საფრანგეთის მთავრობად, რომელიც თავდაპირველად აკონტროლებდა სხვადასხვა განთავისუფლებულ ზღვისიქითა ტერიტორიებს. უშუალოდ საფრანგეთის განთავისუფლებამდე ის ალჟირში ფუნქციონირებდა და უკვე ფაქტობრივად აღიარებული იყო დროებით მთავრობად მოკავშირეების მიერ (თუმცა ეს მაინცდამაინც არ მოსწონდა რუზველტს). ამიტომ, ბუნებრი-

<sup>1</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 780, 789; Крымская конференция..., გვ. 155.

<sup>2</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 780, 789; Крымская конференция..., გვ. 155.

ვია, საფრანგეთის განთავისუფლების შემდეგ დე გოლს ეკრავინ შეუშალა ხელი დროებითი მთავრობის ჩამოყალიბებაში, მით უმეტეს, რომ მის პერსონას ნამდვილად არ ჰყავდა ალტერნატივა. რაც შეეხება პოლონეთს, აქ საპირისპირო პროცესთან გვეჭონდა საქმე. ოფიციალურ ხელისუფლებას წარმოადგენდა სწორედ რომ ლონდონის მთავრობა, ხოლო 1945წ. იანვრიდან ვარშავაში მოქმედი ხელისუფლება თავის დროზე საბჭოთა კავშირის მოწადინებით შეიქმნა ლუბლინში 1944წ. შემოდგომაზე. ასე რომ, სტალინის პარალელი მთლიანად დემაგოგიური იყო, მაგრამ ჩერჩილმაც კი ვერ გაუწია მას ამ საკითხში ღირსეული ოპონირება.

საბჭოთა ლიდერის ამ განცხადებამ რუზველტის დაინტერესება გამოიწვია და მან იკითხა, თუ როდის იქნებოდა შესაძლებელი არჩევნების ჩატარება პოლონეთში. სტალინმაც უპასუხა, რომ ეს მოხდებოდა ერთ თვეში (!), თუ, რასაკვირველია, არ მოხდებოდა კატასტროფა ფრონტზე და გერმანელები არ დაამარცხებდნენ მოკავშირეებს, რაც მას წარმოუდგენლად მიაჩნდა<sup>1</sup>. ჩერჩილმა აღნიშნა, რომ საყოველთაო არჩევნები ნამდვილად მოხსნიდა ყველა პრობლემას მთავრობის კანონიერებასთან დაკავშირებით და თუ შესაძლებელი იქნებოდა ამის გაკეთება 1-2 თვეში, არავინ გამოვიდოდა ამის წინააღმდეგ. საკითხის განხილვაც სწორედ აქ შეწყდა და რუზველტის წინადადებით ის გადაეცა საგარეო საქმეთა უწყებების ხელმძღვანელებს შესასწავლად<sup>2</sup>. აქვე ბრიტანეთის პრემიერმა დამსწრეთ შესთავაზა საგარეო საქმეთა მინისტრების კონსულტაციების რეგულარულად, 3-4 თვეში ერთხელ მოწყობა, რასაც სტალინი და რუზველტი დაეთანხმნენ, ოღონდ აშშ-ს პრეზიდენტმა მოითხზოვა, რომ არ ყოფილიყო რაიმე განსაზღვრული ვადა, რადგანაც, მისი თქმით, სტეტინიუსს მთელი სამხრეთ ამერიკის საქმეები ჰქონდა გადასაწყვეტი. მოკავშირეები შეთანხმდნენ, რომ პირველი შეხვედრა შედგებოდა ლონდონში<sup>3</sup>.

<sup>1</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 781, 790; Крымская конференция..., გვ. 156.

<sup>2</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 781, 790; Крымская конференция..., გვ. 156.

<sup>3</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 781, 790; Крымская конференция..., გვ. 156.

სხდომის დასასრულს სტალინმა ითხოვა გარკვეული ინფორმაცია ბალკანეთის საკითხებთან დაკავშირებით. საბჭოთა ლიდერმა გაკვირვება გამოთქვა იუგოსლავიაში ერთობლივი მთავრობის შექმნის დაგვიანების გამო და აგრეთვე იკითხა, თუ რა ხდებოდა საბერძნეთში, თანაც ხაზი გაუსვა, რომ ეს მას სჭირდებოდა არა ბრიტანელების მოქმედებების გასაკრიტიკებლად, არამედ უბრალოდ იმისათვის, რათა სცოდნოდა საქმის ვითარება<sup>1</sup>. ჩერჩილმა აღნიშნა, რომ საბერძნეთის საქმეებზე მას ძალიან დიდხანს შეეძლო საუბარი, რაც დიდ სამეულს ჩაუმწარებდა სადილს, ამიტომ ის მოგვიანებით შეეხებოდა ამ საკითხს. იუგოსლავიასთან დაკავშირებით კი ბრიტანეთის პრემიერმა განაცხადა, რომ მეფე პრაქტიკულად აიძულეს, დათანხმებოდა რეგენტობას, ხოლო შუბაშიჩი და სხვა წევრები, თუ უკვე არ იყვნენ ჩაფრენილნი იუგოსლავიაში, მალე ჩავიდოდნენ იქ, რის შემდეგაც დაინიშნებოდა რეგენტთა საბჭო და ტიტო-შუბაშიჩის შეთანხმება ძალაში შევიდოდა<sup>2</sup>. აქვე ჩერჩილმა გამოთქვა სურვილი, განეხილა სტალინთან ერთად ამ შეთანხმების მის მიერ მომზადებული ორი შესწორება, რომელიც გააუმჯობესებდა დოკუმენტს. ბრიტანეთის პრემიერმა იმედი გამოთქვა, რომ საბჭოთა ლიდერი მოიწონებდა აღნიშნულ შესწორებებს და ტიტოსთან კონსულტაციებისას რეკომენდაციას გაუწევდა მათ შეტანას დოკუმენტში. სტალინმა შენიშნა, რომ ტიტო ამაყი კაცი იყო და ასევე დიდი პოპულარობით სარგებლობდა თავის ქვეყანაში, თუმცა უარი არ უთქვამს შუამდგომლობაზე<sup>3</sup>. პასუხად ჩერჩილმა სტალინს აღუთქვა დაწვრილებითი ინფორმაციის მიწოდება საბერძნეთის საკითხებთან დაკავშირებით, რის შემდეგაც სხდომამ თავისი მუშაობა დაასრულა<sup>4</sup>.

<sup>1</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 781, 790; Крымская конференция..., გვ. 156.

<sup>2</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 781, 790; Крымская конференция..., გვ. 156.

<sup>3</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 781-782; Крымская конференция..., გვ. 157.

<sup>4</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 782, 791; Крымская конференция..., გვ. 157.

სტალინის ამ განცხადებასთან დაკავშირებით, არ შეიძლება უყურადღებოდ დავტოვოთ ერთი გარემოება: მეორე ამერიკული ჩანაწერი მკვეთრად განსხვავდება როგორც ძირითადი ამერიკული ჩანაწერისაგან, ისე რუსულისაგან. მეთიუზის ცნობით, ჩერჩილმა აქ გამოთქვა შიში, რომ ამნისტია იუგოსლავიაში ცუდად იმუშავებდა, რადგანაც მხარეები ერთმანეთის იარაღით დევნას განაგრძობდნენ. სტალინმა მას ღიმილით უპასუხა, რომ იუგოსლავები ჯერ კიდევ არ იყვნენ შეჩვეული დისკუსიების წარმოებას და ამჯობინებდნენ ერთმანეთისთვის ყელის გამოჭრას (სტილი დაცულია — თ.პ.), რის შემდეგაც შენიშნა, რომ ტიტოც დიდი პოპულარობით სარგებლობდა ხალხში<sup>1</sup>. ძნელი წარმოსადგენია, რომ მეთიუზმა, რომელიც ძალიან ხშირად ბევრად უფრო ზუსტ ინფორმაციას იძლევა, ვიდრე ბოლენი (ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ მეთიუზი ოდნავ უკეთ ფლობდა რუსულ ენას) გამოიგონა ეს საუბარი, ასე რომ, ჩვენი აზრით, ეს ჩანაწერი ზუსტია და, როგორც ჩანს, უბრალოდ გამოტოვებულია ძირითად წყაროში.

სხდომის შემდეგ გამართულმა სადილმა სამხრეთ დითირამბებში ჩაიარა. ბოლენი, რომელმაც ჩაიწერა ამ სადილის მიმდინარეობა, აღნიშნავს, რომ საერთო ჯამში წარმოთქმულ იქნა 45 სადღეგრძელო. მისივე ცნობით, სტალინი შესანიშნავ გუნებაზე იყო და განუწყვეტლივ ხუმრობდა<sup>2</sup>. საბჭოთა ლიდერმა ბრიტანეთის პრემიერის მისამართით ძალიან თბილი სადღეგრძელო წარმოთქვა და აღნიშნა, რომ სწორედ ჩერჩილის სიმამაცემ და სიმტკიცემ მნიშვნელოვანწილად განაპირობა ინგლისის მხრიდან გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლის გაგრძელება უმძიმეს ვითარებაში. სტალინის თქმით, ძალიან მცირე იყო ისტორიაში შემთხვევა, როდესაც მთელი მსოფლიოს მომავალი ერთი კაცის პიროვნულ თვისებებზე იქნებოდა დამოკიდებული<sup>3</sup>. ბუნებრივია, ჩერჩილმაც პასუხში ქება-დიდება არ დაიშურა საბჭოთა ლიდერის მისამართით და გამოთქვა რწმენა, რომ მშვიდობიან პერიოდშიც ის ისეთივე წარმატებით წარუძღვებოდა თავის ქვეყანას, როგორც ამას

<sup>1</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 791.

<sup>2</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 797.

<sup>3</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 798.

აკეთებდა ომის პერიოდში<sup>1</sup>. არც რუზველტის მიმართ დაიშურა სტალინმა თბილი სიტყვები და აღნიშნა, რომ თუ სსრკ და დიდი ბრიტანეთი საკუთარი გადარჩენისათვის იბრძოდნენ, აშშ-ს უშუალო საფრთხე გერმანიისაგან არ ემუქრებოდა, მაგრამ მის პრეზიდენტს უფრო ფართო ხედვა აღმოაჩნდა, რაც გამოიხატა ჰიტლერის წინააღმდეგ მთელი მსოფლიოს მობილიზებაში შეტანილი უდიდესი წვლილით. სტალინმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი ლენდ-ლიზის მნიშვნელობას<sup>2</sup>. თავის მხრივ, რუზველტმა მოკავშირეები შეადარა ოჯახს მათ შორის ამ სადილზე არსებული ატმოსფეროს გამო და გამოთქვა იმედი, რომ ასეთივე ურთიერთობები დამყარდებოდა ქვეყნებს შორის<sup>3</sup>.

აშშ-ს პრეზიდენტის ეს ფრაზა აიტაცა სტალინმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ომის პერიოდში ერთობის შენარჩუნება არ იყო ძნელი, მაგრამ ახლა მთავარი პრობლემა იქნებოდა სამოკავშირეო სულისკვეთების შენარჩუნება მშვიდობის პირობებში და, მისი თქმით, დიდ სამეულს არ უნდა გასჭირვებოდა ამის გაკეთება. ჩერჩილმაც მხარი აუბა მას და განაცხადა, რომ მათი მოვალეობა იყო გაძლოლოდნენ თავიანთ ხალხებს მშვიდობისა და ბედნიერებისაკენ მიმავალ გზაზე<sup>4</sup>. ამის შემდეგ უკვე სადღეგრძელოებს დელეგაციების სხვა წევრები წარმოთქვამდნენ და ეს გულითადი სადილიც დასრულდა. ჩვენ გვინდა სწორედ ბოლო სადღეგრძელოზე გავამახვილოთ ყურადღება. მთელი ის მჭევრმეტყველება, რომელიც აჩვენებს სტალინმა და ჩერჩილმა ლიტონი სიტყვები აღმოჩნდა. ზუსტად ერთი წლის თავზე, 1946წ. 9 თებერვალს, საბჭოთა ლიდერმა მთელ მსოფლიოში კომუნიზმის ნებისმიერი გზით დამყარებისაკენ მოწოდება გააჟღერა<sup>5</sup>, ხოლო მარტში ბრიტანეთის უკვე ყოფილმა პრემიერმა „რკინის ფარდის“ ჩამოფარება მოითხოვა აღმოსავლეთ ევროპაზე, რათა არ

<sup>1</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 798.

<sup>2</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 798.

<sup>3</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 798.

<sup>4</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 799.

<sup>5</sup> D. Acheson. Present at the Creation. My Years in the State Department. New York, 1987, გვ. 150; G. Kennan. Memoirs. 1925-1950. New York, 1983, გვ. 550.



მომხდარიყო „მავნე იდეების“ გავრცელება დასავლეთ ევროპაში<sup>1</sup>.

## §8. 9 თეგერკლის სხდომა

მომდევნო დღეს საგარეო საქმეთა უწყებების ხელმძღვანელთა მორიგ სხდომაზე კვლავინდებურად პოლონეთის საკითხი დადგა წინა პლანზე. სტეტინიუსმა წარმოადგინა ახალი ამერიკული წინადადება, რომლის მიხედვითაც უნდა მომხდარიყო პოლონეთის არსებული დროებითი მთავრობის რეორგანიზება „ეროვნული ერთიანობის დროებით მთავრობად“, რომელშიც წარმოდგენილი იქნებოდა ყველა დემოკრატიული ძალა და რომელსაც სცნობდა სამივე სახელმწიფო. ამის შემდეგ ვარშავაში დანიშნული ელჩები გააკონტროლებდნენ თავისუფალი და საყოველთაო არჩევნების ჩატარებას. ამავე დროს, ამერიკელებმა მოხსნეს თავიანთი წინადადება საპრეზიდენტო საბჭოს შექმნის შესახებ<sup>2</sup>. მოლოტოვმა შესთავაზა მხარეებს, დოკუმენტში ჩაეწერათ ფრაზა, რომ რეორგანიზება მოხდებოდა არსებული მთავრობის ბაზაზე, რომელშიც შეყვანილი იქნებოდნენ დემოკრატიული ძალების წარმომადგენლები როგორც პოლონეთიდან, ისე საზღვარგარეთიდან. ამავე დროს, მან ჩათვალა, რომ ელჩებისათვის არჩევნებზე დაკვირვების უფლების მიცემა პოლონელებისათვის შეურაცხმყოფელი იქნებოდა<sup>3</sup>. იდენი მიხვდა, რომ ასეთი ფორმულირება ფაქტობრივად საბჭოთა კავშირის დიპლომატიური გამარჯვება იქნებოდა და შესთავაზა მხარეებს, არ ჩაეწერათ, თუ რის ბაზაზე შეიქმნებოდა ახალი ხელისუფლება. მისი თქმით, ის უნდა შემდგარიყო დროებითი მთავრობის წარმომადგენლებისა და დემოკრატიული ელემენტებისაგან, როგორც საკუთრივ პოლონეთიდან, ისე საზღვარ-

<sup>1</sup> *Winston S. Churchill: his complete speeches, 1897-1963*. Vol. VII. 1943-1949. Edited by *Robert Rhodes James*. New York, 1974, გვ. 7562-7564; *Sources of World History*. Ed. by *Mark A. Kishlansky*. New York, 1995, გვ. 298-302.

<sup>2</sup> *The Conferences at Malta and Yalta*, გვ. 804; *Крымская конференция...*, გვ. 167.

<sup>3</sup> *The Conferences at Malta and Yalta*, გვ. 805; *Крымская конференция...*, გვ. 165.

გარეთიდან, მაგრამ ამის მოხსენიება უსარგებლოდ ჩათვალა<sup>1</sup>. საბოლოო ჯამში, ამ საკითხზე შეთანხმება ვერ მოხერხდა.

სხდომაზე განხილული იქნა რეპარაციების საკითხიც, თუმცა ვერც აქ მოხერხდა შეთანხმების მიღწევა. მიუხედავად საბჭოთა მხარის დაჟინებული მოთხოვნისა, რომ ტექსტში ჩაწერილიყო სსრკ-ს წილის ზუსტი მონაცემი – 10 მლრდ დოლარი, იდენმა არაფრით არ დათმო თავისი პოზიციები და განაცხადა, რომ მთავრობა წინააღმდეგი იყო რაიმე რიცხვის დასახელებისა. თავის მხრივ, მოლოტოვი არ დაეთანხმა მხოლოდ პროცენტული მაჩვენებლის (50%) დაფიქსირებას<sup>2</sup>, რის გამოც საბოლოო რედაქციის მიღება კვლავ გადაიდო. ამის შემდეგ მხარეები შედარებით მეორეხარისხოვანი საკითხების განხილვაზე გადავიდნენ. სტეტინიუსმა წარმოადგინა საერთაშორისო ორგანიზაციის დამფუძნებელ კონფერენციაზე მოწვევის ტექსტის ახალი ვარიანტი, რომლის გარშემოც უნდა გაგრძელებულიყო მუშაობა. ამავე დროს, მხარეებმა მოილაპარაკეს, არ ჩაეწერათ მოსაწვევეში მეურვეობის საკითხი და განეგრძოთ მისი განხილვა დიპლომატიურ წრეებში საფრანგეთსა და ჩინეთთან ერთად<sup>3</sup>. მათ იმსჯელებს იუგოსლავიის საკითხზე და გადაწყვიტეს, გამოეყოთ თითო წარმომადგენელი საბჭოთა კავშირისა და დიდი ბრიტანეთის დელეგაციებიდან, რომლებიც შეიმუშაებდნენ მოხსენებას<sup>4</sup>. მცირე განხილვა მოეწყო ირანის გარშემო, თუმცა გაირკვა, რომ საბჭოთა მხარეს არ ჰქონდა შესწავლილი იდენის მიერ დილით გადაცემული პროექტი და საკითხის საბოლოო გადაწყვეტა გადაიდო<sup>5</sup>.

მე-9 პლენარული სხდომა ტრადიციულად დაიწყო სტეტინიუსის მოხსენებით საგარეო საქმეთა უწყებების ხელმძღვანელ-

---

<sup>1</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 804; Крымская конференция..., გვ. 165-166.

<sup>2</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 809, 813; Крымская конференция..., გვ. 163-164.

<sup>3</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 810; Крымская конференция..., გვ. 164.

<sup>4</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 811; Крымская конференция..., გვ. 165.

<sup>5</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 810; Крымская конференция..., გვ. 165.

ბის თათბირის შედეგებზე. აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ამცნო მთავრობათა მეთაურებს, რომ საბოლოო შეთანხმების მიღწევა პოლონეთის საკითხზე კვლავ გადაიდო. სანამ ის გადავიდოდა სხვა საკითხებზე, ჩერჩილის წინადადებით, მას შეაწყვეტინეს მოხსენების კითხვა და დაიწყო ამ პრობლემაზე მსჯელობა. მოლოტოვმა განაცხადა, რომ საბჭოთა მხარე დათანხმდებოდა ამერიკელთა წინადადებას, თუ მასში შეტანილი იქნებოდა უმნიშვნელო შესწორება, რის შემდეგაც ტექსტი შემდეგ სახეს მიიღებდა: „პოლონეთის არსებული დროებითი მთავრობა რეორგანიზებულ უნდა იქნას უფრო ფართო დემოკრატიულ საფუძველზე მასში პოლონეთსა და მის საზღვრებს გარეთ მყოფი დემოკრატიული მოღვაწეების შეყვანით. მთავრობას უნდა ეწოდოს პოლონეთის ეროვნული დროებითი მთავრობა“.<sup>1</sup> ერთი შეხედვით, ღიდი განსხვავება მოლოტოვის მიერ წარმოდგენილ ვარიანტსა და ორიგინალს შორის არ იყო და შენიშვნა თითქოს მხოლოდ რელაქციულ ხასიათს ატარებდა, მაგრამ აქ ერთი ნიუანსი მაინც იკვეთება. თუ პირვანდელ ფორმულირებაში არ იყო განსაზღვრული, ვის ექნებოდა უპირატესობა ახალ მთავრობაში, საბჭოთა წინადადებით ფაქტობრივად ხდებოდა არსებული დროებითი მთავრობის დაკანონება. რასაკვირველია, ახალი მთავრობა კოალიციური იქნებოდა, მაგრამ მისი შექმნა არსებული დროებითი მთავრობის საფუძველზე ნიშნავდა, რომ მასში უმრავლესობა სწორედ „ლუბლინელ პოლონელებს“ ექნებოდათ. სწორედ ეს იყო სტალინის მიზანი და წარმოდგენილი ჩასწორება ამას მშვენივრად ესადაგებოდა. სსრკ-ს სახალხო კომისარმა აქვე ითხოვა სიტყვების „დემოკრატიული პარტიების“ წინ „არაფაშისტურისა და ანტიფაშისტურის“ ჩაწერა და კვლავ გამოთქვა სურვილი, ამოეღოთ წინადადება ელჩების მიერ არჩევნების კონტროლის შესახებ, რის შემდეგაც მან დააპირა იუგოსლავიის საკითხზე გადასვლა, მაგრამ ჩერჩილის წინააღმდეგობას წააწყდა<sup>2</sup>.

<sup>1</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 842, 850; Крымская конференция..., გვ. 173.

<sup>2</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 842-843, 850; Крымская конференция..., გვ. 173-174.

ბრიტანეთის პრემიერმა განაცხადა, რომ იუგოსლავიის საკითხზე ყველაფერი შეთანხმებული იყო და უმჯობესი იქნებოდა, მთელი ყურადღება მიემართათ პოლონეთის პრობლემის საბოლოოდ მოსაგვარებლად, მით უმეტეს, რომ ამ მიმართულებით, მისი აზრით, სერიოზული წინსვლა შეიმჩნეოდა. თუმცა, ამავე დროს, ჩერჩილმა შენიშნა, რომ სიჩქარე დაუშვებელი იყო და რომ თავისი აზრის გამოთქმამდე მას უნდა შეესწავლა საბჭოთა შესწორებები<sup>1</sup>. სწორედ ამიტომ რუზველტმა შესთავაზა მხარეებს, შეესვენათ ნახევარი საათი, რასაც ჩერჩილიცა და სტალინიც დაეთანხმნენ, მაგრამ ბრიტანეთის პრემიერმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ მას არ უნდოდა კონფერენციიდან მანამ წასვლა, სანამ არ იქნებოდა მიღებული ერთობლივი გადაწყვეტილება ყველაზე მნიშვნელოვან საკითხზე, ანუ პოლონეთზე<sup>2</sup>. და მაინც, გადაწყდა, რომ შესვენებამდე სტეტინიუსს დაესრულებინა თავისი მოხსენება. აშშ-ს სახელმწიფო მდივანი გადავიდა რეპარაციებზე და აღნიშნა, რომ მიღებული იყო პირველი ორი პუნქტი იმის შესახებ, თუ რომელ ქვეყნებს ერგებოდათ რეპარაციები და რა სახის იქნებოდა ისინი, ხოლო მესამე მუხლის ფორმულირება შეთანხმებული იყო მხოლოდ საბჭოთა კავშირსა და აშშ-ს შორის. ამასთან დაკავშირებით, იდენმა ამცნო მთავრობათა მეთაურებს, რომ ის კვლავინდებურად ელოდებოდა მითითებებს ლონდონიდან<sup>3</sup>.

ამის შემდეგ სტეტინიუსი შეეხო საერთაშორისო ორგანიზაციასთან დაკავშირებულ პრობლემებს და განაცხადა, რომ ტერიტორიებსა და დამოკიდებულ ხალხებზე მეურვეობის საკითხი უნდა მოგვარებულიყო ხუთ წამყვან სახელმწიფოს შორის, რომლებსაც ექნებოდათ მუდმივი ადგილები უშიშროების საბჭოში. აქ მოულოდნელად იფეთქა ჩერჩილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ არ ეთანხმებოდა არც ერთ სიტყვას მეურვეობასთან დაკავშირებით

<sup>1</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 843, 851; Крымская конференция..., გვ. 174.

<sup>2</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 843, 851; Крымская конференция..., გვ. 174.

<sup>3</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 843, 851; Крымская конференция..., გვ. 174-175.

და რომ მასთან არანაირი კონსულტაცია ამის თაობაზე არ ყოფილა. ბრიტანეთის პრემიერმა განაცხადა, რომ ის არ დაუშვებდა თავისი ქვეყნის დასმას განსასჯელის სკამზე. სტეტინიუსმა სცადა მისი დამშვიდება და შენიშნა, რომ საუბარი ეხებოდა არა ბრიტანეთის იმპერიას, არამედ მხოლოდ მტრისათვის წართმეულ ტერიტორიებს. ჩერჩილმა მოიწონა ასეთი ვარიანტი, თუმცა იქვე მოითხოვა, ტექსტში პირდაპირ ჩაეწერათ, რომ მეურვეობა არ შეეხებოდა ბრიტანეთის იმპერიას<sup>1</sup>. თავისი გაღიზიანების გასამართლებლად მან მიმართა სტალინს და ჰკითხა, თუ როგორი იქნებოდა მისი დამოკიდებულება, ვინმეს რომ მოეთხოვა ყირიმზე საერთაშორისო კონტროლის დაწესება. როგორც ჩანს, საბჭოთა ლიდერი ხუმრობის გუნებაზე დადგა, როდესაც ჩერჩილის გაბრაზების მომსწრე გახდა და აღნიშნა, რომ ის სიამოვნებით დათმობდა ყირიმს სამი სახელმწიფოს კონფერენციების ჩასატარებლად<sup>2</sup>.

შემდეგ დღის წესრიგში დადგა იუგოსლავიის საკითხი. მოლოტოვმა მოითხოვა ტიტო-შუბაშიჩის შეთანხმების კონფერენციის დასრულებამდე ამოქმედება, რის პასუხადაც ბრიტანეთის პრემიერმა იკითხა, ეთანხმებოდა თუ არა საბჭოთა მხარე ინგლისელების მიერ წარმოდგენილ შესწორებებს. სტალინმა აღნიშნა, რომ მათი განხილვა საკითხის გაჯანჯლებას გამოიწვევდა, რაც სულაც არ იყო სასურველი. მან ისიც შენიშნა, რომ საბჭოთა მხარესაც შეეძლო შესწორებების წარმოდგენა, რაც კიდევ უფრო დააგვიანებდა შეთანხმების ძალაში შესვლას, მდგომარეობა კი იუგოსლავიაში არასტაბილური იყო. პასუხად ჩერჩილმა განაცხადა, რომ ტიტო დიქტატორი იყო და ყველაფრის გაკეთება შეეძლო, რაც სურდა<sup>3</sup>. სტალინმა უკომენტაროდ არ დატოვა ბრიტანეთის პრემიერის ეს რეპლიკა და აღნიშნა, რომ ტიტო დიქტატორი კი არა, ეროვნული კომიტეტის ხელმძღვანელი იყო მთავ-

<sup>1</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 844; Крымская конференция..., გვ. 175.

<sup>2</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 844-845; Крымская конференция..., გვ. 175-176.

<sup>3</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 845; Крымская конференция..., გვ. 176.

რობის არარსებობის პირობებში და ეს, მისი აზრით, სულაც არ გახლდათ კარგი მდგომარეობა<sup>1</sup>. აქვე საბჭოთა ლიდერმა აღნიშნა, რომ ის ძირითადად ეთანხმებოდა ბრიტანულ ჩასწორებებს, მაგრამ მაინც დაუშვებლად მიიჩნია მათ გამო ახალი მთავრობის შექმნის დაგვიანება. საბოლოოდ მხარეები შეთანხმდნენ, რომ დაუყოვნებლივ მიეცათ რეკომენდაცია ტიტო-შუბაშიჩის შეთანხმების ძალაში შესვლისათვის იმის მიუხედავად, თუ რა პოზიციას დაიკავებდა მეფე პეტრე. ამავე დროს, ტიტოსთვის უნდა შეეთავაზებინათ ბრიტანული შესწორებების მიღება<sup>2</sup>. ამის შემდეგ, როგორც იქნა, შესვენების დროც დადგა.

სხდომის განახლების შემდეგ „დიდი სამეული“ მიუბრუნდა პოლონეთის საკითხს. რუზველტმა განაცხადა, რომ, მისი აზრით, შეთანხმება ამ საკითხზე ბევრად უფრო ახლოს ჩანდა, ვიდრე ადრე და მხოლოდ რედაქტირება იყო საჭირო. მას მხოლოდ ორი შენიშვნა აღმოაჩნდა. როგორც მოსალოდნელი იყო, აშშ-ს პრეზიდენტს არ მოეწონა საბჭოთა ფორმულირება „პოლონეთის არსებული დროებითი მთავრობა“ და ამის ნაცვლად უმჯობესად მიიჩნია, ჩაეწერათ „პოლონეთში დღეისათვის მოქმედი დროებითი მთავრობა“.<sup>3</sup> აქვე რუზველტი კვლავინდებურად ითხოვდა რაიმე სახით დაეფიქსირებინათ დოკუმენტში ელჩების მოვალეობები არჩევნებთან დაკავშირებით. მისი თქმით, სადამოს საგარეო საქმეთა მინისტრებს შეეძლოთ საბოლოო ტექსტის შემუშავება<sup>4</sup>.

აშშ-ს პრეზიდენტს აუბა მხარი ბრიტანეთის პრემიერ მი-

---

<sup>1</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 845; Крымская конференция..., გვ. 176.

<sup>2</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 846; Крымская конференция..., გვ. 177.

<sup>3</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 851-852; Крымская конференция..., გვ. 177. აღსანიშნავია, რომ ამერიკული ჩანაწერები არ ემთხვევა ერთმანეთს რუზველტის მიერ წარმოდგენილ რედაქციასთან დაკავშირებით. ბოლენს მოჰყავს შემდეგი ფორმულირება: „პოლონეთში დღეს მოქმედი მთავრობა“ (იხ.: The Conferences at Malta and Yalta, გვ. 846), მაგრამ რადგანაც მეთიუსის ჩანაწერი ზუსტად ემთხვევა საბჭოთა თარგმანს, ჩვენც სწორედ მას დავყურდებით.

<sup>4</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 846, 852; Крымская конференция..., გვ. 177-178.

ნისტრმაც, რომელმაც თავისი გამოსვლა დაიწყო წითელი არმიის ქება-დიდებათ და ისიც კი მოითხოვა, დოკუმენტში ჩაეწერათ, რომ ახალი სიტუაციის შექმნა გამოიწვია საბჭოთა ჯარების მიერ პოლონეთის განთავისუფლებამ<sup>1</sup>. ასეთი დასაწყისის შემდეგ კი ჩერჩილმა აღნიშნა, რომ ის მხარს უჭერდა ამერიკელების წინადადებას, რათა მიეღო ზუსტი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ხდებოდა პოლონეთში. მისი თქმით, იყო მონაცემები, რომ ლუბლინის მთავრობა მოლაღატეებად აცხადებდა პოლონური არმიის წევრებსა და გერმანელების წინააღმდეგ იატაკქვეშეთიდან მებრძოლ ძალებს, რაც, თავის მხრივ, იწვევდა შემოფოთებას ინგლისში. ჩერჩილმა პარალელები გააწვლია იუგოსლავიასთან (იქ ტიტო უარს არ ამბობდა დამკვირვებლებზე), საბერძნეთთან, სადაც, მისი თქმით, ბრიტანელები ყველას მოიწვევდნენ მეთვალყურეებად, და იტალიასთან, სადაც დიდი სამეულის სახელმწიფოებს ასევე ეჭვბოლოდ არჩევნების სამართლიანობის შემოწმების საშუალება. ამავე დროს, მან გაიხსენა ეგვიპტე, სადაც ნებისმიერ არჩევნებს იგებდა მთავრობა, რის გამოც მეფე ფარუკმა არ ჩაატარებინა არჩევნები ნაჰას ფაშას, სანამ ეს უკანასკნელი არ გადადგა პრემიერ მინისტრის თანამდებობიდან. შედეგად გამარჯვება მეფის მომხრეებს ხვდათ წილადა<sup>2</sup>.

ჩვენი აზრით, ჩერჩილის მხრიდან ბოლო მაგალითის მოყვანა მისთვის წამგებიანი აღმოჩნდა, რადგანაც სტალინმა უცებ ჩასჭიდა ხელი მას და სწორედ ეგვიპტის შედარება დაიწყო პოლონეთთან, მიუხედავად იმისა, რომ სწორი იქნებოდა იუგოსლავიის, საბერძნეთის, იტალიისა და პოლონეთის არჩევნების ერთ ჭრილში განხილვა. საბჭოთა ლიდერმა შენიშნა, რომ ეგვიპტეში ყველა ერთმანეთის მოსყიდვით იყო დაკავებული, ხოლო მოსახლეობის განათლების დონე გაცილებით დაბალი იყო, ვიდრე პოლონეთში, სადაც ის 70-75%-ს შეადგენდა. მართალია, ჩერჩილმა პასუხად შენიშნა, რომ მას აზრადაც არ მოსვლია ეგვიპტისა და

<sup>1</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 847, 852; Крымская конференция..., გვ. 178. ჩერჩილის ეს წინადადება მიღებული იქნა კიდევ.

<sup>2</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 847, 852-853; Крымская конференция..., გვ. 179.

პოლონეთის მდგომარეობის შედარება და ეს მაგალითი მხოლოდ იმიტომ მოიყვანა, რომ სურდა ეჩვენებინა, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო არჩევნების თავისუფლად ჩატარება<sup>1</sup>, მაგრამ სტალინს უკვე გადატანილი ჰქონდა საუბარი მისთვის შედარებით სახიფათო თემიდან<sup>2</sup>. ბრიტანეთის პრემიერი უკვე დაინტერესდა, შეძლებდა თუ არა მიკოლაიჩიკი არჩევნებში მონაწილეობის მიღებას, რაზეც საბჭოთა ლიდერმა შენიშნა, რომ ეს შესაძლებელი იყო, რადგანაც გლეხთა პარტია, რომლის წევრიც იყო მიკოლაიჩიკი, არ წარმოადგენდა ფაშისტურ პარტიას. მან არ გამორიცხა ამ პარტიის რომელიმე წევრის ღროებით მთავრობაში მოხვედრაც, თუმცა აღნიშნა, რომ ეს თვითონ პოლონელების გადასაწყვეტი იყო<sup>3</sup>. აქვე სტალინმა განაცხადა, რომ ყველა ანტიფაშისტურ და არაფაშისტურ ძალას ექნებოდა საშუალება, მოხვედრილიყო პარლამენტში. მისი ფორმულირება არ მოეწონა ჩერჩილს, რომელმაც ჩვეულებრივად უბრალოდ „დემოკრატიული ძალების“ მოხსენიება მიიჩნია უმჯობესად. საბჭოთა ლიდერმა მაშინ მოიშველია განთავისუფლებული ევროპის შესახებ დეკლარაციის ამერიკული პროექტი, რომელშიც მოხსენიებული იყო „ნაციზმისა და ფაშიზმის უკანასკნელი ნიშნების მოსპობა“<sup>4</sup>. რუზველტსაც მოეწონა დეკლარაციის მოხსენიება და მოიყვანა შემდეგი აბზაცი ამ დოკუმენტიდან: „ღროებითი სამთავრობო ხელისუფლება უნდა შედგეს მოსახლეობის ყველა დემოკრატიული ელემენტის ფართო წარმომადგენლობის საფუძველზე და უმოკლეს ვადებში თავისუფალი არჩევნების გზით ხალხის ნების გა-

<sup>1</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 847, 853; Крымская конференция..., გვ. 179-180.

<sup>2</sup> საბჭოთა ლიდერისთვის პრინციპში ძნელი იქნებოდა რაიმე არგუმენტის დაპირისპირება იუგოსლავიის, საბერძნეთისა და იტალიის მაგალითებისათვის, თუმცა, არა გვერდია, რომ ეს პრინციპულად შეცვლიდა სიტუაციას და თუნდაც არჩევნებზე ელჩებისთვის დაკვირვების უფლების მიცემის შემთხვევაში გამარჯვებას მაინც სტალინის სატელიტები მიაღწევდნენ.

<sup>3</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 847-848, 853; Крымская конференция..., გვ. 180.

<sup>4</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 847-848, 853; Крымская конференция..., გვ. 180.



მომხატველი ახალი მთავრობის არჩევა“.<sup>1</sup> ამასთან დაკავშირებით, მან განაცხადა, რომ სურდა პოლონეთის არჩევნები კეისრის ცოლივით ყველა ეჭვს მალლა ყოფილიყო.

რუზველტის ეს არგუმენტი სულაც არ მიიჩნია სწორად სტალინმა, რომელმაც სავსებით რეზონულად შენიშნა, რომ კეისრის ცოლთან დაკავშირებით კი არსებობდა ასეთი გამოთქმა, მაგრამ სინამდვილეში ის სულაც არ იყო უცოდველი<sup>2</sup>. აშშ-ს პრეზიდენტმა პასუხად შენიშნა, რომ არჩევნები პოლონეთში იმდენად სუფთა უნდა ყოფილიყო, მასში ეჭვის შეტანის სურვილი არავის და, პირველ რიგში, თვითონ პოლონელებს არ უნდა გასჩენოდათ. როგორც ჩანს, აშშ-ს პრეზიდენტის ასეთმა დაჟინებულმა მოთხოვნამ თავისი გავლენა იქონია, რადგანაც მოლოტოვმა განაცხადა, რომ საბჭოთა მხარეს არ შეეძლო ამ ფრაზის ჩაწერა დოკუმენტში პოლონელების თანხმობის გარეშე და ითხოვა, ამ საკითხის გადაწყვეტა სწორედ მათთვის მიენდოთ<sup>3</sup>. აქ გვინდა შევნიშნოთ, რომ საბჭოთა ჩანაწერში არ არის მოყვანილი მოლოტოვის პასუხი. პრინციპში, ეს პასუხი სულაც არ ნიშნავდა უკანდახევას, რადგანაც პოლონელების პასუხი მთლიანად სტალინის ნება-სურვილზე იქნებოდა დამოკიდებული, მაგრამ მაინც საგულისხმოა იმ თვალსაზრისით, რომ საბჭოთა მხარე იძულებული გახდა, ეს არგუმენტი მოეყვანა თავისი პოზიციის გასამართლებლად. ეს ცხადყოფს, რომ თუ აშშ-ს პრეზიდენტი მთელ რიგ შემთხვევებში მტკიცედ დაიცავდა თავის პოზიციებს, საბჭოთა მხარე უფრო მეტ დათმობაზე წავიდოდა. ფაქტობრივად პრობლემის განხილვა უშედეგოდ დასრულდა და რუზველტმა მისი კვლავ საგარეო საქმეთა უწყებათა ხელმძღვანელებისათვის გადაცემა შესთავაზა მხარეებს. ამ მომენტში სტალინი მოულოდნელად დაეთანხმა ამერიკულ წინადადებას, რომ დოკუმენტში ჩაწერილიყო ფრაზა: „პოლონეთში დღეს მოქმედი დროებითი მთავრობა“.<sup>4</sup>

<sup>1</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 853; Крымская конференция..., გვ. 181.

<sup>2</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 854; Крымская конференция..., გვ. 181.

<sup>3</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 854.

<sup>4</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 854; Крымская конференция...,

პოლონეთის გარშემო დებატების დასრულების შემდეგ მხარეები გადავიდნენ განთავისუფლებული ევროპის შესახებ დეკლარაციის განხილვაზე. ჩერჩილმა უმალ გამოთქვა სურვილი, ოქმში ჩაეწერათ, რომ დიდი ბრიტანეთი ეთანხმებოდა ატლანტიკური ქარტიის პრინციპებს მისეული გაგებით, რომელიც წარუდგინა პარლამენტს 1941წ. 9 სექტემბერს<sup>1</sup>. პრემიერმა აღნიშნა, რომ მცირე ხნის წინ მან ამის შესახებ აცნობა ამერიკულ მხარესაც, კერძოდ, უენდელ უილკის. ჩერჩილის ამ განცხადებამ რუზველტი ხუმრობის გუნებაზე დააყენა და მან იკითხა, ხომ არ გახდა სწორედ ეს დოკუმენტი უილკის გარდაცვალების მიზეზი, რამაც საყოველთაო სიცილი გამოიწვია<sup>2</sup>. მხარეები შეთანხმდნენ აგრეთვე, რომ დეკლარაციის ტექსტში მხოლოდ კონფერენციის საბიზნესი მონაწილე სახელმწიფო ყოფილიყო მოხსენიებული და ამოეღოთ საფრანგეთი, რომელიც თავდაპირველ ტექსტში იყო დასახელებული. ბრიტანულმა დელეგაციამ გამოთქვა ვარაუდი, რომ ფრანგებს მომავალში შეეძლებოდათ დეკლარაციასთან შეერთება<sup>3</sup>. გარდა ამისა, საბჭოთა მხარემ მოითხოვა მცირე შესწორების შეტანა დეკლარაციის ბოლოდან მესამე აბზაცში: „მხარი დაეჭიროს აღნიშნული ქვეყნების იმ პოლიტიკურ მოღვაწეებს, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ გერმანიის ოკუპაციის წინააღმდეგ ბრძოლაში“<sup>4</sup>.

რუზველტი დაეთანხმა ამ დამატებას, მაგრამ ჩერჩილმა დრო ითხოვა მოსაფიქრებლად. სტალინი დაინტერესდა, ხომ არ იყო ბრიტანეთის პრემიერის ყოყმანი გამოწვეული საბერძნეთის საკითხით და შენიშნა, რომ ეს შესწორება სულაც არ იყო და-

---

გვ. 181.

<sup>1</sup> ამის შესახებ იხ.: *Winston S. Churchill: his complete speeches, 1897-1963*. Vol. VI. 1935-1942. Edited by *Robert Rhodes James*. New York, 1974, გვ. 6481-6482.

<sup>2</sup> *The Conferences at Malta and Yalta*, გვ. 848-849, 854. საბჭოთა ჩანაწერს აკლია რუზველტის პასუხი (იხ.: *Крымская конференция...*, გვ. 181).

<sup>3</sup> *The Conferences at Malta and Yalta*, გვ. 849; *Крымская конференция...*, გვ. 181.

<sup>4</sup> *The Conferences at Malta and Yalta*, გვ. 854; *Крымская конференция...*, გვ. 182.

კავშირებული საბერძნეთთან. ჩერჩილმაც პასუხად განაცხადა, რომ მას უბრალოდ სურდა, ყველას თანაბარი შანსი ჰქონოდა და ამიტომ სჭირდებოდა დრო შესწორების შესასწავლად<sup>1</sup>. აქვე ბრიტანეთის პრემიერი საბერძნეთის საკითხსაც შეეხო და აღნიშნა, რომ ის იქ დაინტესებული იყო მხოლოდ არჩევებისათვის შესაფერისი გარემოს უსწრაფესად შექმნით. ჩერჩილმა სთხოვა სტალინს ამ არჩევებზე დამკვირვებლების გამოგზავნაც, რათა ის დარწმუნებულიყო მათ სამართლიანობაში. როგორც ჩანს, საბჭოთა ლიდერს შეეშინდა, კვლავ არ მომხდარიყო რაიმე პარალელის გავლება პოლონეთთან და თავი შეიკავა ამ საკითხზე თანხმობისაგან. უფრო მეტიც, სტალინმა გამოხატა თავისი მტკიცე რწმენა ინგლისელებისადმი და სახიფათოდ ჩათვალა მათ გარდასხვა ძალების მონაწილეობა საბერძნეთის პორტების კონტროლში, რითაც ბრიტანეთის პრემიერისაგან მაღლობა დაიმსახურა<sup>2</sup>.

ამაზე რუზველტს სხდომის დახურვა სურდა, მაგრამ ჩერჩილმა სამხედრო დამნაშავეების ბედ-იბღლის საკითხის გარკვევა ითხოვა. აშშ-ს პრეზიდენტმა ეს მეტად რთულ პრობლემად მიიჩნია და განაცხადა, რომ უმჯობესი იყო, ის განეხილათ საგარეო საქმეთა მინისტრებს და პასუხი გაეცათ სამ-ოთხ კვირაში, თუმცა ბრიტანეთის პრემიერმა აქვე აღნიშნა, რომ თავის დროზე მის მიერ შედგენილ დეკლარაციის პროექტში, რომელიც მიღებული იქნა მოსკოვის კონფერენციაზე<sup>3</sup>, ნახსენები იყვნენ ისეთი დამნაშავეებიც, რომელთა მოქმედებები არ იყო დაკავშირებული კონკრეტულ გეოგრაფიულ ადგილებთან. ამჯერად მან სურვილი გამოთქვა, რომ შემდგარიყო ასეთი დამნაშავეების სია და საუკეთესო გამოსავლად ჩათვალა მათი დაკავებისთანავე დახვეტა<sup>4</sup>. რო-

<sup>1</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 849. საბჭოთა ჩანაწერში გამოტოვებულია ჩერჩილის პასუხი (იხ.: Крымская конференция..., გვ. 182).

<sup>2</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 849; Крымская конференция..., გვ. 182.

<sup>3</sup> იხ.: Советский Союз на международных конференциях периода Великой Отечественной войны 1941-1945гг. Т. I. Московская конференция министров иностранных дел СССР, США и Великобритании (19-30 октября 1943г.). Сборник документов. М., 1978, გვ. 366.

<sup>4</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 849; Крымская конференция..., გვ. 183. ეს არ იყო პირველი შემთხვევა, როდესაც რუზველტი დამ-

გორც ჩანს, სტალინს ეს მაინცდამაინც არ მოეწონა. მან იკითხა, თუ როგორ უნდა მოქცეოდნენ უკვე დაკავებულ დაზნაშავეებს, მაგალითად, რუდოლფ ჰესს, და შეიყვანდნენ თუ არა ამ საიში სამხედრო ტყვეებს, რომელთა გასამართლებაც მანამდე დაუშვებლად მიიჩნეოდა.

ბრიტანეთის პრემიერმა სტალინს უპასუხა, რომ, რასაკვირველია, მოხდებოდა კანონის დამრღვევ სამხედრო ტყვეთა გასამართლება, რადგანაც, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაზნაშავეები უბრალოდ ტყვედ ჩაბარდებოდნენ და იქვე დაზუსტება ითხოვა, თუ ნიშნავდა ეს საბჭოთა ლიდერის სურვილს, აუცილებლად გაესამართლებინათ ყველა დაზნაშავე სიკვდილით დასჯის წინ. სტალინმა დაადასტურა, რომ ეს მისთვის ნამდვილად უფრო მისაღები იქნებოდა<sup>1</sup>. აქ საუბარში ჩაერთო რუზველტი, რომელმაც აღნიშნა, რომ პროცესზე არ უნდა მისცემოდათ დასწრების უფლება კორესპონდენტებსა და ფოტოგრაფებს<sup>2</sup>. აქვე ჩერჩილმა შენიშნა, რომ სასამართლო უნდა ყოფილიყო არა იურიდიული, არამედ პოლიტიკური ხასიათის და რომ წინასწარ არაფერი არ უნდა გა-

---

ნაშავეების გასამართლების გარეშე დასჯას ითხოვდა. სხვადასხვა დროს მას მანამდეც გამოუთქვამს ასეთი აზრი (იხ.: E. Roosevelt. As He Saw It. New York, 1946, გვ. 188-191; F. von Papen. Memoirs. Translated by Brian Connell. L., 1952, გვ. 570-571).

<sup>1</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 850; Крымская конференция..., გვ. 183.

<sup>2</sup> Крымская конференция..., გვ. 183. რუზველტის სიტყვები არ გეხედება ამერიკულ ჩანაწერებში, რომლებშიც სხდომის ეს ნაწილი ზერუდედ ან საერთოდ არ არის გაშუქებული. ამიტომ ჩვენ მხოლოდ საბჭოთა ჩანაწერს ვეყრდნობით ამ შემთხვევაში, თუმცა ის ალბათ ნამდვილად სწორია. რაც შეეხება რუზველტის სიტყვებს, ჩვენთვის უბრალოდ გაუგებარია, რატომ იყო ის პროცესის ღიად წარმოების წინააღმდეგი. თუ ვინმე არ უნდა ყოფილიყო დაინტერესებული სრული სიმართლის გამომჟღავნებით, ეს იყო სტალინი, რომელსაც სურდა კატინის ტყეში პოლონელებისათვის მოწყობილი სასაკლავო გერმანელებისათვის გადაბრალება და ომის გაჩაღებაში მისი წვლილის დამალვა. როგორც ცნობილია, ნიურნბერგის პროცესზე საბჭოთა მხარემ დამალა ინფორმაცია გერმანელების მხრიდან საბჭოთა კავშირისათვის ომის გამოცხადების შესახებ და ჩამოახრჩობინა რიბენტროპი, რომელიც საწინააღმდეგოს ამტკიცებდა (იხ.: В. Суворов. Самойнство. М., 2001, გვ. 242).

მოქვეყნებულიყო პრესაში, რათა გერმანელებს არ დაეწყოთ მათ ხელთ მყოფი სამხედრო ტყვეების განადგურება<sup>1</sup>. საბოლოოდ, რუზველტის წინადადებით, ეს საკითხი გადაეცა საგარეო საქმეთა მინისტრებს და სხდომაც დახურულად გამოცხადდა<sup>2</sup>.

საგარეო საქმეთა უწყებების ხელმძღვანელთა მორიგი შეხვედრა იმავე საღამოს გაიმართა და მასზე განხილული იქნა პოლონეთის საკითხი და დეკლარაცია განთავისუფლებული ევროპის შესახებ. პოლონეთის პრობლემის ირგვლივ კვლავინდებურად ვერ მოხერხდა პოზიციების შეჯერება არჩევნებზე ელჩებისათვის დამკვირვებლის უფლების მინიჭებაზე, თუმცა მთლიანობაში შესაძლებელი გახდა ერთობლივი რედაქციის შემუშავება დანარჩენ საკითხებზე. ახალი, უკვე შეთანხმებული ვარიანტი, პრინციპში, პირველ რიგში, საბჭოთა მხარისათვის იყო მომგებიანი, რადგანაც მასში ეწერა შემდეგი ფრაზა: „პოლონეთში დღეისათვის მოქმედი ღრობითი მთავრობა რეორგანიზებული უნდა იქნას უფრო ფართო დემოკრატიულ საწყისებზე მასში საკუთრივ პოლონეთში თუ საზღვარგარეთ მცხოვრები დემოკრატიული ლიდერების შეყვანით“<sup>3</sup>. გარდა ამისა, მოლოტოვს, ჰარიმანს და კერს მოსკოვში უნდა ეწარმოებინათ მოლაპარაკებები პოლონელებთან ახალი მთავრობის შემადგენლობის შესახებ, ხოლო მისი ჩამოყალიბების შემდეგ უნდა მომხდარიყო დროებითი ეროვნული ერთიანობის მთავრობის ცნობა „დიდი სამეულის“ მიერ<sup>4</sup>. დეკლარაციის განხილვისას სტეტინიუსმა და იდენმა მიუღებლად მიიჩნიეს საბჭოთა მხარის მიერ პლენარულ სხდომაზე შემოტანილი შესწორება ფაშისტების წინააღმდეგ მებრძოლი დემოკრატი ლიდერების მხარდაჭერის შესახებ, რის შემდეგაც ჩათვალეს, რომ აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა კვლავინდებურად მთავრობათა მეთაურები-

<sup>1</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 854; Крымская конференция..., გვ. 183.

<sup>2</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 850, 854-855; Крымская конференция..., გვ. 183-184.

<sup>3</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 867; Крымская конференция..., გვ. 193.

<sup>4</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 867; Крымская конференция..., გვ. 193.

სათვის შეეთავაზებინათ<sup>1</sup>. იყო კიდევ ერთი საკითხი, რომელმაც ასევე გამოიწვია აზრთა სხვადასხვაობა. იდენმა სტეტინიუსსა და მოლოტოვს შესთავაზა, დეკლარაციის დასკვნით ნაწილში გაეკეთებინათ მინაწერი, რომელიც უფლებას მისცემდა საფრანგეთის დროებით მთავრობას, შეერთებოდა „დიდ სამეულს“ „წარმოდგენილ ქმედებებსა და პროცედურაში“. მოლოტოვმა მიუღებლად მიიჩნია ასეთი მინაწერი, რადგანაც, მისი აზრით, საფრანგეთის დროებით მთავრობას თვითონ სჭირდებოდა მხარდაჭერა, თუმცა ის დაეთანხმა ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრს, რომ ფრანგები მოსალოდნელზე გაცილებით უკეთ ართმევდნენ თავს თავიანთ მოვალეობებს<sup>2</sup>.

### **§9. 10 თებერვალი. დღე გვ-7**

10 თებერვალს, დილით, საგარეო საქმეთა უწყებების ხელმძღვანელებმა კვლავ განაახლეს მოლაპარაკებები. ამ სხდომაზე პრაქტიკულად ყველა საკითხი იქნა განხილული. სტეტინიუსმა კოლეგებს გააცნო აშშ-ს დელეგაციის გადაწყვეტილება, მოეხსენათ წინადადება პოლონეთის არჩევნებზე ელჩებისათვის დაკვირვების უფლების მინიჭებაზე იმ პირობით, რომ თეთრი სახლი უფლებას დაიტოვებდა, ელჩის ინფორმაციაზე დაყრდნობით გაეკეთებინა ნებისმიერი სახის განცხადება<sup>3</sup>. უნდა აღინიშნოს, რომ იდენმა არ გაიზიარა ამერიკელების შეცვლილი პოზიცია და ხაზი გაუსვა იმას, რომ ბრიტანეთის პრემიერი არ ეთანხმებოდა ბოლო აბზაცის ამოღებას პოლონეთის შესახებ დოკუმენტის პროექტიდან<sup>4</sup>. ამით პოლონეთის საკითხის განხილვა არ დამთავრებულა. საკმაოდ მოულოდნელად, მოლოტოვმა კიდევ ერთი შესწო-

<sup>1</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 868; Крымская конференция..., გვ. 192.

<sup>2</sup> Крымская конференция..., გვ. 192. საფრანგეთის საკითხზე გამართული მცირე კამათი არ გვხვდება ამერიკულ ჩანაწერებში.

<sup>3</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 872; Крымская конференция..., გვ. 194.

<sup>4</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 872; Крымская конференция..., გვ. 195.

რების პროექტი წამოაყენა, რომლის თანახმადაც პროექტში დროებითი მთავრობის ცნობის შემდეგ უნდა ჩამატებულიყო ფრაზა: „აშშ-სა და ბრიტანეთის მთავრობები დაამყარებენ მასთან დიპლომატიურ ურთიერთობებს“. ბუნებრივია, ამას არ დაეთანხმნენ სტეტინიუსი და იდენი, მაგრამ მოლოტოვმა განაგრძო თავისი პოზიციის დაცვა<sup>1</sup>. ერთი შეხედვით, უცნაურია, თუ რაში დასჭირდა საბჭოთა მხარეს ერთხელ უკვე შეთანხმებული საკითხის კვლავ განსახილველად გამოტანა და რატომ არ იკმარა მან უკვე მიღწეული წარმატება. ვარაუდის სახით შეიძლება გამოითქვას, რომ სტალინმა შესაძლებლად ჩათვალა უფრო დიდი წარმატების მიღწევა, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ ის საერთოდ არ იყო დაინტერესებული საბოლოო შეთანხმების მიღწევით პოლონეთის საკითხში და ამ წინადადებით სწორედ ერთობლივი პროექტის ტორპედირებას ისახავდა მიზნად და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს არ გამოუვიდოდა, ფიქრობდა მორიგი დათმობების მიღებას. საბოლოოდ, მხარეებმა გადაწყვიტეს, ეს საკითხიც მთავრობათა მეთაურებისათვის მოეხსენებინათ.

პოლონეთის პრობლემის განხილვის შემდეგ საგარეო საქმეთა უწყებათა ხელმძღვანელები გადავიდნენ განთავისუფლებული ევროპის შესახებ დეკლარაციის განხილვაზე. მოლოტოვმა აღნიშნა, რომ ის ხსნიდა თავის წინადადებას გერმანიის წინააღმდეგ მებრძოლი ლიდერების მხარდაჭერის თაობაზე, რასაც სტეტინიუსი და იდენი სიხარულით შეხვდნენ. აქვე მოლოტოვმა შესთავაზა კოლეგებს, შეეტანათ დოკუმენტში ფრაზა მხარეების „მიერ

---

<sup>1</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 872, 878. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ საბჭოთა ჩანაწერში რატომღაც წერია, თითქოს მოლოტოვის წინადადება მიღებული იქნა (იხ.: Крымская конференция..., გვ. 195). როგორც ჩანს, შეცდომა გამოიწვია მოლოტოვის მიერ წარმოდგენილი მეორე, რედაქციული ხასიათის შესწორების წარმოდგენამ, რომელზეც არანაირი რეაქცია არ ჰქონდათ სტეტინიუსსა და იდენს. სსრკ-ს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა შესთავაზა კოლეგებს, შეეცვალათ ფრაზა „როგორც კი ეს მოსახერხებელი გახდებოდა“ სიტყვებით „როგორც კი ეს შესაძლებელი იქნებოდა“. რასაკვირველია, არანაირი განხილვა ამ შესწორებას არ მოჰყოლია და არც შეიძლებოდა მოჰყოლოდა. ეს მართლაც რედაქციული ხასიათის შენიშვნა იყო, რომელიც აკეთილშობილებდა ტექსტს.

აღებული ვალდებულებების განსახორციელებლად დაუყოვნებლივ კონსულტაციების ჩატარების შესახებ“, რაც მიღებული იქნა კიდეც<sup>1</sup>. დეკლარაციის განხილვა დასრულდა იდენის კითხვით, შეეყვანათ თუ არა საფრანგეთი მთავარ ხელისმომწერთა შორის, რაზეც მოლოტოვმა უპასუხა, რომ მას საკმარისი დრო არ ჰქონდა ბრიტანელების წინადადების შესასწავლად<sup>2</sup>, რის შემდეგაც საგარეო საქმეთა უწყებების ხელმძღვანელები გადავიდნენ იუგოსლავიის საკითხზე. მხარეებმა სწრაფად გადაწყვიტეს, რომ ტიტოსა და შუბაშიჩის შეთანხმება ძალაში შესულიყო და შესაბამისი შეტყობინება გაეგზავნათ ორივე მხარისათვის<sup>3</sup>.

თუ დეკლარაციისა და იუგოსლავიის საკითხებზე რაიმე სერიოზულ კამათს ადგილი არ ჰქონია, რეპარაციების პრობლემის განხილვისას იდილია დაირღვა. იდენმა სასწრაფოდ მოითხოვა სარეპარაციო კომისიის შექმნა. საბჭოთა მხარემ, კერძოდ კი მაისკიმ, მიუთითა მას, რომ თუ ბრიტანელები არ დაეთანხმებოდნენ ამერიკელების მიერ წინა დღით წარმოდგენილ წინადადებას, რომელშიც განსაზღვრული იყო კომისიის სამუშაო პრინციპები, მას არ ექნებოდა არც საფუძველი და არც სამოქმედო დირექტივები. იდენი, როგორც ჩანს, მზად იყო ასეთი კითხვისათვის და განაცხადა, რომ, მას ჰქონდა ალტერნატიული პროექტი, რომელიც წარუდგინა კიდეც კოლეგებს<sup>4</sup>. ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა აღნიშნა, რომ რეპარაციების საკითხი უნდა განხილულიყო გერმანიის დანაწევრებასთან ერთად. აქვე მან განაცხადა, რომ ინგლისელებს არ სურდათ, რეპარაციების გადახდას გერმანიაში შიშვლილი გამოეწვია. იდენის თქმით, საბჭოთა წინადადება: მოეხდინათ ერთჯერადი რეკვიზიცია და შემდეგ გადაეხდებინათ მრავალწლიანი რეპარაციები, — ერთმა-

<sup>1</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 873, 878-879; Крымская конференция..., გვ. 195.

<sup>2</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 873, 879; Крымская конференция..., გვ. 195.

<sup>3</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 873, 879; Крымская конференция..., გვ. 195.

<sup>4</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 874. საბჭოთა ჩანაწერში ეს მონაკვეთი საერთოდ არ გვხვდება.



ნეთთან შეუთავსებელი იყო. მისი განცხადებით, არ შეიძლებოდა რაიმე რიცხვის განსაზღვრა, სანამ მოსკოვის კომისია არ დაიწყებდა მუშაობას. ამავე დროს, ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრს სურდა საფრანგეთის დაუყოვნებლივი შეყვანა კომისიაში<sup>1</sup>. იდენის ამ გამოსვლამ მოლოტოვის მხრიდან გამოიწვია იქედნური შეკითხვა, ეთანხმებოდა თუ არა ბრიტანული დელეგაცია ამერიკული მხარის წინადადების რომელიმე პუნქტს მაინც. აღმოჩნდა, რომ იდენი იზიარებდა პრინციპებს, მაგრამ დეტალების გადაწყვეტა უკვე მოსკოვის კომისიაში ერჩივნა<sup>2</sup>. ბუნებრივია, საბჭოთა მხარეს სულაც არ მოეწონა ბრიტანელების ასეთი პოზიცია და მაისკიმ შენიშნა კიდევ, რომ ინგლისელებს თითქოს სურდათ, რაც შეიძლება ნაკლები მიეღოთ გერმანიისაგან. საბოლოოდ, მხარეები შეთანხმდნენ, რომ იდენი წერილობითი სახით წარმოადგენდა თავის ვარიანტს, მისი განხილვა კი მოხდებოდა უკვე მთავრობათა მეთაურების სხდომაზე.

შემდეგი საკითხი, რომელსაც შეეხნენ მინისტრები, იყო კონფერენციის კომუნიკეს შედგენა, რაც ითავა სტეტინიუსმა. ასევე განხილვის გარეშე იქნა მიღებული ქვეკომიტეტის მოხსენება საერთაშორისო ორგანიზაციის დამფუძნებელ კონფერენციაზე მოწვევის ტექსტითურთ<sup>3</sup>. არც იუგოსლავიის საზღვრების გარშემო გამართულა დებატები. იდენმა წარმოადგინა ორი დოკუმენტი, რომელიც ეხებოდა იუგოსლავია-იტალიისა და იუგოსლავია-ავსტრიის საზღვრებს. მოლოტოვმა უბრალოდ გამოთქვა ამ დოკუმენტების შესწავლის სურვილი, ხოლო სტეტინიუსმა აღნიშნა, რომ იუგოსლავია-ავსტრიის საზღვართან დაკავშირებულ წინადადებას რედაქტირება სჭირდებოდა<sup>4</sup>. აქვე იდენმა წარმოადგინა კიდევ ერთი დოკუმენტი, რომელიც ეხებოდა რუმინეთის სანავთობე მოწ-

<sup>1</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 874; Крымская конференция..., გვ. 195.

<sup>2</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 874, 879; Крымская конференция..., გვ. 195-196.

<sup>3</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 875-876; Крымская конференция..., გვ. 196.

<sup>4</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 876, 881; Крымская конференция..., გვ. 196.

ყობილობების საბჭოთა მხარის მიერ გაზიდვას. მასში აღნიშნული იყო, რომ გატანილი მოწყობილობები ჩაითვლებოდა რეპარაციებში, ხოლო რუატის ქარხანა სასწრაფოდ უნდა ყოფილიყო აღდგენილი და ამუშავებული<sup>1</sup>.

შედარებით მეტი ყურადღება დაეთმო იუგოსლავიასა და ბულგარეთს შორის არსებული ურთიერთობების განხილვას. მოლოტოვმა აღნიშნა, რომ მან მიიღო შეტყობინება ბრიტანელებისაგან ბალკანური კონფედერაციის შესახლო შექმნის შემთხვევაში მასში თურქეთის შესვლის აუცილებლობაზე. სსრკ-ს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ეს საკითხი არ მიიჩნია მნიშვნელოვნად და დაუყოვნებლივ გადასაჭრელად, სამაგიეროდ, მისი თქმით, იუგოსლავიასა და ბულგარეთს შორის სერიოზული წინსვლა იყო მეგობრული და სამოკავშირეო ხელშეკრულების დადების გზაზე, რასაც საბჭოთა მხარე დადებითად თვლიდა. მოლოტოვის აზრით, რადგანაც იუგოსლავებიცა და ბულგარელებიც სამხედრო თვალსაზრისით თანამშრომლობდნენ სსრკ-სთან, გასაკვირი არც იყო, რომ მას არაფერი ჰქონდა ამ ალიანსის საწინააღმდეგო<sup>2</sup>. სამაგიეროდ, იდენისთვის აღმოჩნდა ასეთი კავშირი მიუღებელი. მან აღნიშნა, რომ ბულგარეთი ყოფილი მოწინააღმდეგე იყო და არ ჰქონდა უფლება, მოკავშირეთა თანხმობის გარეშე დაედო ხელშეკრულებები. ამასთან, ბულგარეთს უნდა გადაეხადა რეპარაციები საბერძნეთისათვის. ყოველივე ამის გამო, იდენმა მიზანშეწონილად ჩათვალა, რომ ბულგარელებსა და იუგოსლავებს ცოტა მოეცადათ, რადგანაც ბრიტანეთის მთავრობა წინააღმდეგი იქნებოდა ასეთი ხელშეკრულებისა არსებულ პერიოდში. წააწყდა რა წინააღმდეგობას იდენის მხრიდან, მოლოტოვმა კოლეგებს შესთავაზა, ამ საკითხის განხილვა მეორე დღისათვის

<sup>1</sup> Крымская конференция..., გვ. 196, 204. ამერიკულ ჩანაწერებში ეს დოკუმენტი არ ფიგურირებს, როგორც ჩანს, იმის გამო, რომ მისი განხილვა არ მომხდარა, ხოლო ბარათი იდენმა პირდაპირ მოლოტოვს გადასცა.

<sup>2</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 876, 881; Крымская конференция..., გვ. 197. საინტერესოა, მაგრამ საბჭოთა ჩანაწერში ერთი სიტყვიტაც არ არის ნახსენები ბრიტანული მხარის წინადადება და თურქეთის მონაწილეობა შესაძლო ბალკანურ ფედერაციაში.

გადაელოთ<sup>1</sup>. შეხვედრის ბოლოს კი მხარეები შეეხნენ ირანის საკითხს, თუმცა სსრკ-ს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა უარი განაცხადა როგორც ამ პრობლემის განხილვაზე ყირიმში, ისე ირანის მოხსენიებაზე კომუნიკეში<sup>2</sup>.

10 თებერვალს პლენარულ სხდომაზე შედგა ჩერჩილისა და სტალინის შეხვედრა, რომლის ინიციატორიც ბრიტანეთის პრემიერ მინისტრი იყო. მას კვლავინდებურად პოლონეთის საკითხი აწუხებდა და, როგორც ჩანს, ჩათვალა, რომ საბჭოთა ლიდერი პირადი შეხვედრისას უფრო დამთმობი იქნებოდა, ვიდრე საკონფერენციო დარბაზში. ჩერჩილმა ჯერ იკითხა, მართლაც არსებობდა თუ არა ახალი საბჭოთა წინადადება, რომელიც შემუშავებულ იქნა საგარეო საქმეთა მინისტრების სხდომის შემდეგ. როგორც ჩანს, საბჭოთა დელეგაცია მიხვდა, რომ ვერ მოახერხებდა სრული წარმატების მიღწევას და ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა. სტალინს ძალიან სჭირდებოდა პოლონეთის ახალი მთავრობის დიპლომატიური ცნობა და ამიტომ შემუშავებული იქნა ახალი ვარიანტი, რომელიც წინამორბედებისაგან განსხვავდებოდა ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ნიუანსით. მასში საუბარი იყო ახალი დროებითი მთავრობის ცნობაზე არა მხოლოდ აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის მხრიდან, არამედ საბჭოთა კავშირის მიერაც<sup>3</sup>. ეს, თითქოს, მართლაც ცვლიდა ვითარებას, რადგანაც იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ახალი მთავრობა არ იქნებოდა ე.წ. „ლუბლინის მთავრობის“ სამართალმემკვიდრე, რომელთანაც საბჭოთა კავშირს უკვე დამყარებული ჰქონდა დიპლომატიური ურთიერთობები. ამიტომ ჩერჩილი და იდენი კმაყოფილებით შეხვდნენ ახალ წინადადებას, მაგრამ, ჩვენი აზრით, მათ ვერ გაითვალისწინეს შემდეგი გარემოება: მიუხედავად ამგვარი ფორმულირებისა, რომელსაც კომპრომისული ხასიათი ჰქონდა, შეთანხმება მაინც უფრო საბჭოთა მხარისათვის იყო მომგებიანი, რადგანაც მასში ჩაწერილი ფრაზა „მოქმედი დროებითი მთავრობის რეორგანიზების

<sup>1</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 877, 881; Крымская конференция..., გვ. 197.

<sup>2</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 877, 882; Крымская конференция..., გვ. 197.

<sup>3</sup> Крымская конференция..., გვ. 208, 212.

შესახებ“, უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ახალი მთავრობის სამივე სახელმწიფოს მიერ ცნობა. მართლაც, მას შემდეგ, რაც შეიქმნა ახალი მთავრობა და მასში უპირატესობა პროსაბჭოურმა ელემენტებმა მიიღეს, სტალინმა უკვე მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო ლონდონი და ვაშინგტონი, რომლებსაც მოუწიათ შეთანხმების დარჩენილი ნაწილის შესრულება და ამ მთავრობასთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება.

ამის შემდეგ ბრიტანეთის პრემიერი უკვე საკუთრივ თავის სატყვივარზე გადავიდა. მან აღნიშნა, რომ პოლონეთიდან ობიექტურ ინფორმაციას თითქმის ვერ იღებდა და პრაქტიკულად მთლიანად დამოკიდებული იყო ლონდონის მთავრობის მონაცემებზე. ამიტომ ჩერჩილი ითხოვდა პოლონეთში ბრიტანეთის მისიის გაგზავნას, რაც, მისი თქმით, უზრუნველყოფდა საერთო მდგომარეობის დაცვას<sup>1</sup>. ამავე დროს, მან აღნიშნა, რომ საბჭოთა მხარეს შეეძლებოდა ანალოგიური მისიის გაგზავნა მოკავშირეთა ჯარების ზურგში ნებისმიერ ადგილას: საბერძნეთში, ფლანდრიაში თუ იტალიაში<sup>2</sup>.

სტალინისათვის, როგორც ჩანს, წინასწარ იყო ცნობილი, თუ რა თემაზე აპირებდა მასთან საუბარს ჩერჩილი, ამიტომაც პასუხი უმალ გასცა. საბჭოთა ლიდერმა ურჩია ბრიტანეთის პრემიერს უბრალოდ დაენიშნა თავისი წარმომადგენელი პოლონეთში, ისევე, როგორც ეს გაკეთებული ჰქონდა დე გოლს. ამავე დროს, მან შესაძლებლად ჩათვალა ინგლისელი კორესპონდენტების ჩასვლაც პოლონეთში და აღუთქვა, რომ საბჭოთა მხარე არ შეუშლიდა მათ ხელს პროფესიულ საქმიანობაში<sup>3</sup>. ჩერჩილმა შენიშნა, რომ მას სურდა ოფიციალური წარმომადგენლების გაგზავნა და არა კორესპონდენტების, რათა პირადად მას ჰქონოდა სრული ინფორმაცია. სტალინმა კვლავ განაცხადა, რომ ყველაზე იოლი გამოსავალი სწორედ ასეთი წარმომადგენლების დანიშვნა იქნებოდა, თუ, რასაკვირველია, ბრიტანეთის პრემიერს ლონდონელი პოლო-

<sup>1</sup> Крымская конференция..., გვ. 208. ჩერჩილს მხედველობაში ჰქონდა მოკავშირეების ერთიანობის მთელი მსოფლიოსთვის ჩვენების აუცილებლობა.

<sup>2</sup> Крымская конференция..., გვ. 208.

<sup>3</sup> Крымская конференция..., გვ. 208.

ნელების წყენინების არ შეეშინდებოდა<sup>1</sup>. აქ ჩერჩილმა, როგორც იქნა, პირდაპირ უთხრა სტალინს, რომ ასეთი წარმომადგენლების გაგზავნა მას მხოლოდ ახალი მთავრობის შექმნის შემდეგ შეეძლებოდა, ახლა კი მას სურდა, დოკუმენტში ჩაეწერათ პუნქტი, რომლის თანახმადაც მოკავშირეები მიიღებდნენ უფლებას, პოლონეთში ჰყოლოდათ წარმომადგენლები, რომლებიც მიაწვდიდნენ ინფორმაციას თავიანთ მთავრობებს იმის შესახებ, თუ როგორ სრულდებოდა შეთანხმების პირობები.

როგორც ჩანს, სტალინი მაინც ვერ გაერკვა ბოლომდე, თუ რა უნდოდა ჩერჩილს და ჰკითხა, სურდა თუ არა მას ასეთი წარმომადგენლების გაგზავნა ჯერ კიდევ მთავრობის შექმნამდე<sup>2</sup>. საბჭოთა ლიდერს ალბათ ვერ წარმოუდგინა, რომ ბრიტანეთის პრემიერი მას უთანხმებდა პოლონეთში ელჩის ყოლის უფლებას, როგორც ეს ნათელი გახდა მისი პასუხიდან. ჩერჩილმა ითხოვა, რომ ოფიციალური ლონდონის წარმომადგენელს ჰქონოდა მისი ინფორმირების უფლება, რაც უნდა ჩაწერილიყო დოკუმენტში. სტალინმაც საბოლოოდ განუმარტა ბრიტანეთის პრემიერს, რომ პოლონეთის ახალ მთავრობასთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შემდეგ მას ვარშავაში ეყოლებოდა ელჩი და საელჩოს სხვა წარმომადგენლები, რომლებსაც, ბუნებრივია, ექნებოდათ ბრიტანეთის მთავრობის ინფორმირების უფლება<sup>3</sup>. აქ ჩერჩილმა უკვე თავისუფალი გადაადგილების უფლებაც ითხოვა, რაზეც სტალინმა უპასუხა, რომ საბჭოთა ჯარები არ შეუშლიდნენ ხელს ბრიტანეთის ელჩს, ხოლო პოლონეთის მთავრობასთან უბრალოდ საკითხის შეთანხმება იქნებოდა საჭირო<sup>4</sup>. განარბულმა ჩერჩილმა უცებ შესთავაზა საბჭოთა ლიდერს, ჩაეწერათ შეთანხმებაში შემდეგი ფრაზა: „და გაცვლიან ელჩებს, რომელთა მოხსენებების საფუძველზეც მთავრობები ინფორმირებული იქნებიან პოლონეთში არსებულ ვითარებაზე“. სტალინს წინააღმდეგობა არ გაუწევია და დაეთანხმა ამ შესწორებას<sup>5</sup>.

<sup>1</sup> Крымская конференция..., გვ. 208.

<sup>2</sup> Крымская конференция..., გვ. 209.

<sup>3</sup> Крымская конференция..., გვ. 209.

<sup>4</sup> Крымская конференция..., გვ. 209.

<sup>5</sup> Крымская конференция..., გვ. 209-210.

პოლონეთის საკითხის განხილვის შემდეგ დღის წესრიგში უკვე სხვა პრობლემები დადგა. სტალინმა სთხოვა ჩერჩილს, რომ გადმოეცათ ყველა საბჭოთა მოქალაქე, რომელიც განთავისუფლებული იყო ან იქნებოდა გერმანელთა ტყვეობიდან, ზოლო სამშობლოში დაბრუნებამდე კარგად მოპყრობოდნენ და არ ეცემათ ისინი. აქვე მან ხაზი გაუსვა იმ გარემოებასაც, რომ ამ ხალხის ნაწილი ნებაყოფლობით იყო მოწინააღმდეგის მხარეს გადასული, მაგრამ სსრკ-ს მთავრობა მაინც საბჭოთა მოქალაქეებად თვლიდა მათ. ჩერჩილმა პასუხად შენიშნა, რომ ბრიტანეთის მთავრობას საბჭოთა მხარისათვის ყველა მოქალაქის უსწრაფესად დაბრუნება სურდა, მაგრამ არ გააჩნდა საკმარისი რაოდენობის გემები. აქვე მან შესთავაზა სტალინს, რომ იმავე ზომიდან, რომლებითაც საბჭოთა მოქალაქეები დაბრუნდებოდნენ სამშობლოში, უკან გამოეგზავნათ ინგლისელი ტყვეები, რომლებიც განთავისუფლებულ იქნენ საბჭოთა ჯარების მიერ, რაზეც თანხმობა მიიღო კიდევ<sup>1</sup>.

აღსანიშნავია, რომ საბჭოთა ტყვეების ამბავი სულაც არ იყო ისე იოლად მოსაგვარებელი, როგორც ეს ამ საუბრიდან ჩანს. სტალინს აშფოთებდა პრობლემისადმი ამერიკული მიდგომა, რომლის თანახმადაც ნებისმიერ ჯარისკაცსა და ოფიცერს, რომელიც გერმანულ ფორმაში იქნებოდა გამოწყობილი დატყვევების მომენტში, შეეძლო თავი გამოეცხადებინა გერმანიის მოქალაქედ, რაც ავტომატურად ნიშნავდა მოქცევას უნევის კონვენციის დაცვის ქვეშ და შეუძლებელს გახდიდა მის გადაცემას საბჭოთა მხარისათვის<sup>2</sup>. უნდა ითქვას, რომ ინგლისელები გაცილებით უფრო მკაცრად ამოწმებდნენ ტყვეთა ეროვნებას და საბჭოთა მხარეს

<sup>1</sup> Крымская конференция..., გვ. 210-211.

<sup>2</sup> *Foreign Relations of the United States. Diplomatic Papers. 1944. Vol. IV.* Wash., 1966, გვ. 1269-1270. მიუხედავად ამისა, საბჭოთა ჯარისკაცებისა და ოფიცრების უმრავლესობას წარმოდგენაც არ ჰქონდა ქონების კონვენციის შესახებ და მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილმა ისარგებლა აღნიშნული შესაძლებლობით. საინტერესოა, რომ ამერიკელების მიერ საბჭოთა მხარისათვის გადმოცემული ჯარისკაცების ნაწილი დროებით კვლავ დაბრუნებული იქნა წითელი არმიის შემადგენლობაში და მათ მონაწილეობა მიიღეს ბერლინის აღებაში. ისინი მხოლოდ ამის შემდეგ დააპატიმრეს, გაასამართლეს და 25 წელი მიუსაჯეს (იხ.: J. Scholmer. Vorkuta. L., 1954, გვ. 172).

გადასცემდნენ ყველას, ვინც კი თავს აღიარებდა რუსად<sup>1</sup>. სწორედ ამიტომ, სტალინმა ბრიტანელებსა და ამერიკელებთან ცალკე ხელშეკრულებების დადება ამჯობინა.

შემდეგი საკითხი, რომელსაც შეეხნენ მხარეები, იყო რეპარაციების რაოდენობა. სტალინმა ჰკითხა ჩერჩილს, ხომ არ ამინებდა ბრიტანეთის მთავრობას საბჭოთა დელეგაციის მიერ წარმოდგენილი თანხა და პასუხად მიიღო, რომ წინააღმდეგობა ამ საკითხზე გამოწვეული იყო ლონდონში სარეპარაციო კომიტეტის არარსებობითა და, შესაბამისად, ზუსტი ციფრების დასახელების შეუძლებლობით. ბრიტანეთის პრემიერმა მთელი ამ საშუაოს ჩატარება მოსკოვის სარეპარაციო კომისიაში ჩათვალა შესაძლებლად<sup>2</sup>. სტალინს, რასაკვირველია, არ მოეწონა ეს, მაგრამ მხოლოდ ის უთხრა ჩერჩილს, რომ ბრიტანეთის პრემიერს, როგორც ჩანს, ეცოდებოდა გერმანელები. ინგლისელები იძულებული გახდნენ, კვლავ განემარტათ, რომ მათ უბრალოდ ახსოვდათ პირველი მსოფლიო ომის შემდგომი ვითარება და არ სურდათ, ამჯერადაც იგივე განმეორებულიყო. აქვე ჩერჩილმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ის მხარს უჭერდა საბჭოთა კავშირისათვის გერმანიის ქარხნების მოწყობილობების გადაცემას, რადგანაც ამის შედეგად გერმანელების საექსპორტო ბაზრებს ინგლისელები ივლებდნენ ხელთ. უნდა აღინიშნოს, რომ სტალინმა მეტად უცერემონიოდ აგრძნობინა ბრიტანეთის პრემიერს, რომ ეს საკითხი მთლიანად მისი გადასაწყვეტი იყო და არა ინგლისელების თუ ამერიკელების. მან განაცხადა, რომ საბჭოთა მხარე, რასაკვირველია, დაიწყებდა გერმანიის ქარხნების დემონტაჟს, როგორც კი მათ ხელში ჩაიგდებდა<sup>3</sup>.

შეხვედრის ბოლოს ჩერჩილმა ჰკითხა სტალინს, ხომ არ აპირებდა საბჭოთა მხარე მოწინააღმდეგის დატყვევებული გენერლების გერმანიაში გამოყენებას, რაზეც სტალინმა უარყოფითად უპასუხა<sup>4</sup>. აქვე ბრიტანეთის პრემიერმა დაიჩივლა, რომ საბჭოთა

<sup>1</sup> Н. Д. Толстой. Жертвы Ялты, გვ. 83.

<sup>2</sup> Крымская конференция..., გვ. 211.

<sup>3</sup> Крымская конференция..., გვ. 211.

<sup>4</sup> Крымская конференция..., გვ. 211.

კავშირი არ ანაღლებდა „ლენა გოლდფილდის“ ობლიგაციებს. სტალინისათვის ეს საკითხი უცნობი აღმოჩნდა და მან ალუტქა ჩერჩილს, რომ შეისწავლიდა პრობლემას<sup>1</sup>. ამის შემდეგ კი უკვე საბჭოთა ლიდერმა ჰკითხა ჩერჩილს, თუ რა დამოკიდებულება ჰქონდა მას მონტრეს კონვენციის რევიზიასთან დაკავშირებით. ბრიტანეთის პრემიერმა შეახსენა სტალინს ოქტომბრის შეხვედრისას მიღწეული შეთანხმება, რომ საბჭოთა მხარე წარმოადგენდა თავის წინადადებებს იმ კონვენციების შეცვლასთან დაკავშირებით, რომელსაც ის აუცილებლობად მიიჩნევდა. მხარეები საბოლოოდ შეთანხმდნენ, რომ ეს საკითხი განხილულ იქნებოდა პლენარულ სხდომაზე და გადაეცემოდა საგარეო საქმეთა მინისტრებს<sup>2</sup>. ამით შეხვედრა დასრულდა კიდევც.

ჩერჩილთან შეხვედრის შემდეგ სტალინს კონფიდენციალური საუბარი ჰქონდა რუზველტთანაც. ამჯერად ინიციატივა საბჭოთა ლიდერისაგან მოდიოდა. აღნიშნული შეხვედრა აღმოჩნდა 8 თებერვლის მოლაპარაკებების გაგრძელება. სტალინს მხოლოდ ერთი შესწორება ჰქონდა ორი დღის წინ მიღწეულ შეთანხმებებში. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ თუ დაირენის თავისუფალ პორტად გამოცხადება მისაღები იყო, პორტ-არტური სსრკ-ს იჯარით უნდა გადამოცემოდა, რადგანაც ის ადრე რუსულ საზღვაო ბაზას წარმოადგენდა. გარდა ამისა, სტალინმა ფაქტობრივად შუამდგომლობა სთხოვა რუზველტს, რომ სწორედ ამ უკანასკნელს გაეცნო ეს წინადადებები ჩან კაიშისათვის. აშშ-ს პრეზიდენტმაც ალუტქა მას დახმარება ამ საქმეში<sup>3</sup>.

## §10. 10 თებერვლის სხდომა

მე-7 პლენარული სხდომა ტრადიციულად დაიწყო მოხსენებით საგარეო საქმეთა უწყებების ხელმძღვანელების მოლაპარაკებების შესახებ. იდენმა გააცნო მხარეებს პოლონეთის ირგვლივ წინა დღითა და მეორე დღით გამართული კონსულტაციების

<sup>1</sup> Крымская конференция., გვ. 211.

<sup>2</sup> Крымская конференция., გვ. 211-212.

<sup>3</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 896.



შედეგად მიღწეული შეთანხმების პროექტი. ფაქტობრივად ეს საკითხი განხილვის გარეშე იქნა მიღებული, რაც არც იყო გასაკვირი, რადგანაც სტალინსა და ჩერჩილს ორმხრივი შეხვედრისას უკვე მიღწეული ჰქონდათ თანხმობა, რუზველტმა კი უმაღლესი დოკუმენტი. ამრიგად, მხარეები შეთანხმდნენ, რომ მოხდებოდა პოლონეთში მოქმედი დროებითი მთავრობის რეორგანიზება მასში საკუთრივ პოლონეთიდან და საზღვარგარეთიდან დემოკრატიული ლიდერების შეყვანის გზით. ახლადშექმნილი მთავრობა იქნებოდა პოლონეთის ეროვნული ერთიანობის დროებითი მთავრობა, რომელსაც უმოკლეს ვადებში უნდა უზრუნველყო თავისუფალი და შეუზღუდავი არჩევნების ჩატარება ქვეყნის ტერიტორიაზე. დოკუმენტში აგრეთვე აღნიშნული იყო, რომ საბჭოთა კავშირი (რომელსაც უკვე ჰქონდა დიპლომატიური ურთიერთობები არსებულ მთავრობასთან), აშშ და დიდი ბრიტანეთი, მას შემდეგ, რაც დაამყარებდნენ დიპლომატიურ ურთიერთობებს პოლონეთის ახალ მთავრობასთან, დანიშნავდნენ ელჩებს, რომლებიც მოახსენებდნენ თავიანთ მთავრობებს პოლონეთში არსებული ვითარების შესახებ<sup>1</sup>.

მიუხედავად მიღწეული შეთანხმებისა, აღმოჩნდა, რომ დასაზუსტებელი იყო კიდევ ერთი საკითხი, რომელიც ეხებოდა პოლონეთის საზღვრებს. ჩერჩილმა განაცხადა, რომ საჭირო იყო მინიშნების გაკეთება, მით უმეტეს, რომ აღმოსავლეთით საზღვარი უკვე დადგენილი იყო. ბრიტანეთის პრემიერის თქმით, დასავლეთის საზღვარზე კონკრეტული პუნქტების ჩაწერა შეუძლებელი იქნებოდა, რადგანაც სამხედრო კაბინეტი წინ აღუდგებოდა მდ. დასავლეთ ნოისეს ვარიანტს<sup>2</sup>. რუზველტმა შენიშნა, რომ დასავლეთის საზღვრის შესახებ რაიმე გადაწყვეტილების მიღებამდე საჭირო იქნებოდა კონსულტაციების ჩატარება პოლონეთის მთავრობასთან. თავის მხრივ, სტალინმა განაცხადა, რომ მას ეგონა, დოკუმენტში იქნებოდა მოხსენიებული აღმოსავლეთის საზღვარი,

<sup>1</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 898; Крымская конференция..., გვ. 218-219.

<sup>2</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 898, 907, 912; Крымская конференция..., გვ. 212.

რადგანაც მასზე სამივე სახელმწიფო უკვე შეთანხმდა. საბჭოთა ლიდერს მხარი აუბა ჩერჩილმაც, რომელმაც აღნიშნა, რომ ხალხს ნამდვილად სურდა გაეგო, თუ რა დაადგინეს ამ საკითხის გარშემო „დიდი სამეულის“ ლიდერებმა<sup>1</sup>. საბოლოოდ მხარეებმა გადაწყვიტეს, დოკუმენტის ბოლო აბზაცში ჩაეწერათ, რომ პოლონეთის აღმოსავლეთი საზღვარი ძირითადად გაივლიდა კერზონის ხაზზე, ხოლო დასავლეთით პოლონეთი მიიღებდა კომპენსაციას, ზუსტი საზღვარი კი შემდგომში იქნებოდა განსაზღვრული. ამ დოკუმენტის საბოლოო რედაქცია საგარეო საქმეთა მინისტრებს დაევაალათ<sup>2</sup>.

სხდომა გაგრძელდა განთავისუფლებული ევროპის შესახებ დეკლარაციის განხილვით. საბჭოთა მხარემ ოფიციალურად მოხსნა თავისი შესწორება დემოკრატი ლიდერებისათვის მხარდაჭერის შესახებ. აქვე მოლოტოვმა წარმოადგინა ახალი შესწორება, რომელიც უკვე მოწონებული იყო ბრიტანელების მიერ. რუზველტიც დაეთანხმა მას და დეკლარაციაში ჩაიწერა, რომ მხარეები დაუყოვნებლივ გამართავდნენ კონსულტაციებს, რათა განეხორციელებინათ ამ დოკუმენტით მათზე დაკისრებული ვალდებულებები<sup>3</sup>. ეს არ იყო ერთადერთი შესწორება, რომელიც ჩაიწერა დეკლარაციაში. იდენის წინადადებით, მხარეებმა გამოთქვეს სურვილი, რომ მათ შეერთებოდა საფრანგეთის ღრობითი მთავრობაც. სტალინს ამჯერად არანაირი წინაღმდეგობა არ გაუწევია ამისთვის. უფრო მეტიც, როდესაც რუზველტმა განაცხადა, რომ მან შეიცვალა თავისი პოზიცია და მხარს უჭერდა როგორც საფრანგეთის შემოერთებას დეკლარაციასთან, ისე მის შეყვანას გერმანიაში მოკავშირეთა საკონტროლო მექანიზმში, საბჭოთა ლიდერიც დაეთანხმა ასეთ გადაწყვეტილებას<sup>4</sup>. გარდა ამისა, გადაწყდა,

<sup>1</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 898-899, 907, 912; Крымская конференция., გვ. 213.

<sup>2</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 899, 907, 912-913; Крымская конференция., გვ. 213.

<sup>3</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 908; Крымская конференция., გვ. 214.

<sup>4</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 900, 908, 913; Крымская конференция., გვ. 214.

გაეგზავნათ დე გოლისათვის ოფიციალური შეტყობინება, რომელშიც ასახული იქნებოდა კონფერენციის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები<sup>1</sup>.

შემდეგ „დიდი სამეული“ გადავიდა იუგოსლავიის საკითხზე. იდენმა წაიკითხა ლეჰემის ტექსტი, რომელიც უნდა გაეგზავნათ ტიტოსა და შუბაშიჩისათვის. ბრიტანელების წინადადებით, ტიტო-შუბაშიჩის შეთანხმება დაუყოვნებლივ უნდა ამოქმედებულიყო და მის საფუძველზე შექმნილიყო ახალი მთავრობა, რომელსაც, თავის მხრივ, უნდა გამოეცხადებინა ანტიფაშისტური ვერეს გაფართოება ომამდელი სკუპშჩინის იმ წევრებით, რომლებსაც არ ჰქონდათ შებღალული სახელი მტერთან თანამშრომლობით და ამგვარად ჩამოეყალიბებინა დროებითი პარლამენტი. გარდა ამისა, ვერეს მიერ მიღებული საკანონმდებლო აქტები შემდგომში დადასტურებული უნდა ყოფილიყო დამფუძნებელი კრების მიერ. აქვე ბრიტანელებს აღნიშნული ჰქონდათ, რომ ახალი მთავრობა იქნებოდა დროებითი, სანამ შესაძლებელი გახდებოდა თავისუფალი არჩევნების ჩატარება<sup>2</sup>. რუზველტმა აღნიშნა, რომ ის აღრე არ იყო დარწმუნებული, შეუერთდებოდა თუ არა განცხადებას იუგოსლავიის შესახებ, მაგრამ ამ დოკუმენტის წაკითხვისას კმაყოფილი დარჩა და დაეთანხმა მას. სტალინმაც ასევე მოიწონა იდენის მიერ შემოთავაზებული წინადადებების პაკეტი, მაგრამ ითხოვა ბოლო პუნქტის ამოღება მთავრობის დროებითობის შესახებ, რაც, საბოლოო ჯამში, დაკმაყოფილებული იქნა. ასევე გადაწყდა, რომ ლეჰემის ტექსტი მთლიანად შევიდოდა კომუნიკეში<sup>3</sup>.

<sup>1</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 900. საბჭოთა ჩანაწერში აღნიშნულია, რომ ჩერჩილმა შემოიტანა წინადადება, ეს ყველაფერი კომუნიკეში შეეტანათ და არ არის ნახსენები დე გოლისათვის შეტყობინების გაგზავნა (იხ.: Крымская конференция..., გვ. 214). მაგრამ ამ სხდომის სამივე ამერიკული ჩანაწერი ცხადყოფს, რომ საბჭოთა ჩანაწერი აქ უბრალოდ არ არის სწორი.

<sup>2</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 919; Крымская конференция..., გვ. 219.

<sup>3</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 901, 909, 914; Крымская конференция..., გვ. 214.

დღის წესრიგის შემდეგი საკითხი დაკავშირებული იყო სერთაშორისო ორგანიზაციის დამფუძნებელ კონფერენციასთან, მაგრამ იდენმა მოახსენა მთავრობათა მეთაურებს, რომ ყველაფერი უკვე შეთანხმებული იყო და „დიდი სამეულიც“ გადავიდა რეპარაციების პრობლემის განხილვაზე<sup>1</sup>. აქ უკვე ვითარება რამდენადმე დაიძაბა. მეთიუზი შენიშნავს კიდევ, რომ ეს იყო ერთადერთი შემთხვევა, როდესაც სტალინი მართლაც გაღიზიანდა კონფერენციის მსვლელობისას<sup>2</sup>. ჩერჩილმა უმაღლესი განაცხადა, რომ სამხედრო კაბინეტისაგან მიიღო მითითება, რომელიც უკრძალავდა მას ლოკუმენტში რაიმე თანხის მოხსენიებას. ამიტომ მას სურდა, თანხის რაოდენობა განესაზღვრა უშუალოდ სარეპარაციო კომისიას. ბრიტანეთის პრემიერს მხარი აუბა აშშ-ს პრეზიდენტმაც. რუზველტმა სცადა თავისი პოზიციის გამართლება იმ არგუმენტით, რომ აშშ-ს საზოგადოება ლოკუმენტში ზუსტი რიცხვების დასახელებას ფულად რეპარაციებად მიიჩნევდა<sup>3</sup>. სტალინმა აღნიშნა, რომ სსრკ-ს უკვე გაფორმებული ჰქონდა შეთანხმებები უნგრეთთან, ფინეთთან და რუმინეთთან, რომლებშიც ჩაწერილი იყო რეპარაციები თანხით, თუმცა მათი ამოღება ნატურით ხდებოდა. მისი თქმით, ეს არანაირ პრობლემას არ ქმნიდა.

საბჭოთა ლიდერმა, რომელმაც კარგად იცოდა, რომ მთავარი პრობლემა აქ იყო არა რუზველტი, რომელმაც კონფერენციის დასაწყისშივე გამოხატა თავისი ინდიფერენტული დამოკიდებულება რეპარაციების მიმართ, არამედ ჩერჩილი, გაბრაზებით უთხრა პრემიერს, პირდაპირ ეთქვა, უნდოდა თუ არა ბრიტანეთს, რომ საბჭოთა კავშირს მიეღო რეპარაციები<sup>4</sup>. ჩერჩილმა, ბუნებრივია, განაცხადა, რომ მას არაფერი ჰქონდა საწინააღმდეგო და წინადადება შემოიტანა, რეპარაციების საკითხი კომისიას შეეს-

<sup>1</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 901, 914; Крымская конференция..., გვ. 215.

<sup>2</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 909.

<sup>3</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 901, 909, 914. საბჭოთა ჩანაწერში რატომღაც არ არის მოყვანილი მიზეზი, რომელიც დაასახელა რუზველტმა (იხ.: Крымская конференция..., გვ. 215).

<sup>4</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 901, 909; Крымская конференция..., გვ. 215.

წავლა და გაეკეთებინა მოხსენება მათი მიღების თაობაზე<sup>1</sup>. მაშინ სტალინმა უკვე იკითხა, ეთანხმებოდნენ თუ არა რუზველტი და ჩერჩილი გერმანიიდან საქონლის ამოღებას. მან აღნიშნა, რომ კონფერენციაზე ჯერ არ იყო დადგენილი პრინციპებიც კი და შესთავაზა კოლეგებს, მიეღოთ შემდეგი გადაწყვეტილებები: 1. გერმანიას საქონლით ან ნატურით უნდა აენაზღაურებინა ზარალი, რომელიც მან მიაყენა მოკავშირეებს; 2. მოსკოვის სარეპარაციო კომისიას დავალებოდა რეპარაციების ზუსტი თანხის განსაზღვრა საბჭოთა კავშირისა და აშშ-ს ერთობლივ წინადადებაზე დაყრდნობით, რომლის თანახმადაც ბაზისად აღებული იქნებოდა 20 მილიარდი დოლარი, საიდანაც ნახევარი უნდა რეგებოდა საბჭოთა კავშირს<sup>2</sup>. აქვე სტალინმა იკითხა, ხომ არ აპირებდნენ ამერიკელები უარის თქმას ამ ფორმულაზე<sup>3</sup>. რუზველტმა უპასუხა, რომ ის კვლავინდებურად ეთანხმებოდა ამ წინადადებას და არ მოსწონდა მხოლოდ სიტყვა „რეპარაციები“, რაც, მისი თქმით, ძალიან ბევრისათვის ნიშნავდა ფულს<sup>4</sup>. საბჭოთა ლიდერმა ჰკითხა აშშ-ს პრეზიდენტს, თუ დააკმაყოფილებდა მას ასეთი ფორმულირება: „გერმანიის მიერ მიყენებული ზარალის კომპენსაცია“ „რეპარაციების“ ნაცვლად<sup>5</sup> – და იქვე შენიშნა, რომ სულაც არ იყო აუცილებელი შეთანხმების გამოქვეყნება<sup>6</sup>.

ჩერჩილი აშკარა უმცირესობაში აღმოჩნდა, მაგრამ მან მაინც განაგრძო თავისი პოზიციის დაცვა და წარმოადგინა სამხედრო კაბინეტის მიერ გამოგზავნილი წერილი, რომლითაც ბრიტანეთის დელეგაციას ეკრძალებოდა რაიმე ზუსტი ციფრის დასახელება დოკუმენტში. ამავე დროს, ბარათში აღნიშნული იყო,

<sup>1</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 901, 914; Крымская конференция..., გვ. 215.

<sup>2</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 901, 909, 915; Крымская конференция..., გვ. 215.

<sup>3</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 915. ეს კითხვა არ არის დაფიქსირებული საბჭოთა ჩანაწერში.

<sup>4</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 902, 915; Крымская конференция..., გვ. 216.

<sup>5</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 902, 915;

<sup>6</sup> Крымская конференция..., გვ. 215.

რომ 20 მილიარდი დოლარი მეტად დიდი თანხა იყო. ინგლისელები თავიანთ შეხედულებას ასაბუთებდნენ იმ მოსაზრებით, რომ გერმანიას გაუჭირდებოდა ასეთი დიდი რაოდენობით საქონლის გამოძებნა და საჭირო გახდებოდა მისი დახმარება, რაც ფაქტობრივად გამოიწვევდა რეპარაციების სხვა სახელმწიფოების მიერ გადახდას<sup>1</sup>. საბოლოოდ, სტალინმა ოდნავ უკან დაიხია და მოხსნა თავისი მოთხოვნა დოკუმენტში თანხის მითითების შესახებ, რის შემდეგაც მისი წინადადება მიიღეს. გაბრაზებულმა საბჭოთა ლიდერმა ბოლომდე მაინც ვერ შეიკავა თავი და ღვარძლიანად ჰკითხა ჩერჩილს, ხომ არ აპირებდა ის მეორე ღლეს უარის თქმას ამ წინადადებაზე<sup>2</sup>. საბჭოთა ჩანაწერიდან გარკვევით არ ჩანს, სტალინის ეს სიტყვები მხოლოდ ჩერჩილის მისამართით იყო ნათქვამი, თუ რუზველტსაც ეხებოდა, რადგანაც იქ ფიგურირებს ნაცვალსახელი „თქვენ“. ამერიკულ ჩანაწერებში ეს ფრაზა საერთოდ არ გვხვდება, მაგრამ ერთი ადგილი ცხადყოფს, რომ საბჭოთა ლიდერის დასკვნითი რემარკა ბრიტანეთის პრემიერს ეხებოდა. კერძოდ, იქ სტალინი სიტყვას ასრულებს ჩერჩილისადმი მიმართვით: „ჩვენ წარმოვადგენთ ჩვენს რიცხვებს კომისიის წინაშე, თქვენ კი — თქვენსას“<sup>3</sup>. ეს ფრაზა, რომელიც, თავის მხრივ, არ არის საბჭოთა ჩანაწერში, ცხადყოფს, რომ სტალინმა ბოლო რეპლიკა მხოლოდ ჩერჩილის მისამართით წარმოთქვა. გადაწყვეტილების მიღებისთანავე გამოცხადდა მცირე შესვენება, რომლის დროსაც მიმდინარეობდა მუშაობა პოლონეთის საზღვრების შესახებ განცხადებაზე<sup>4</sup>.

შესვენების შემდეგ, სტალინის ინიციატივით, განიხილეს მონტრეს კონვენციის საკითხი. მან აღნიშნა, რომ ეს ხელშეკრულება მოძველებული იყო და უნდა მომხდარიყო მისი რევიზია. თავისი თვალსაზრისის გასამყარებლად საბჭოთა ლიდერმა შეახსენა დამსწრეთ, რომ კონვენცია მჭიდრო კავშირში იყო ერთა ლი-

<sup>1</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 902; Крымская конференция..., გვ. 216.

<sup>2</sup> Крымская конференция..., გვ. 216.

<sup>3</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 909

<sup>4</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 909.

გასთან, რომელმაც შეწყვიტა არსებობა. გარდა ამისა, ხელშეკრულების ერთ-ერთი მთავარი გარანტი იყო იაპონია, თურქეთს კი ჰქონდა უფლება, ნებისმიერ დროს დაეხურა სრუტეები. სტალინის აზრით, პირობები უნდა შეცვლილიყო თურქეთის სუვერენიტეტის შელახვის გარეშე. ის არ მოითხოვდა საკითხის დაუყოვნებლივ გადაწყვეტას და მხოლოდ სურდა, რომ საგარეო საქმეთა მინისტრებს განეხილათ ეს საკითხი თავიანთ თათბირზე ლონდონში, ორი-სამი თვის შემდეგ<sup>1</sup>. უნდა აღინიშნოს, რომ სტალინის ეს განცხადება საკმაოდ რთულ მდგომარეობაში აყენებდა რუზველტს, ვინაიდან მას ჰქონდა სახელმწიფო დეპარტამენტის მემორანდუმი, რომელიც უკრძალავდა რაიმე ცვლილებების შეტანას ამ კონვენციაში კონფერენციის მსვლელობის დროს<sup>2</sup>, თუმცა, ამავე დროს, არ გამორიცხავდა მცირედი რევიზიის შესაძლებლობას მომავალში<sup>3</sup>. ალბათ, სწორედ ამიტომ შემოიფარგლა აშშ-ს პრეზიდენტი არაფრისმთქმელი განცხადებით, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს გააჩნდათ 3000-მილიანი საზღვარი კანადასთან, რომლის გაყოლებაზეც არ იყო არც ერთი სიმაგრე თუ სამხედრო ხომალდი და ისურვა, რომ ასეთივე ვითარება ყოფილიყო მსოფლიოს ყველა კუთხეში<sup>4</sup>.

ჩერჩილმა მხარი აუბა სტალინს და აღნიშნა, რომ მოსკოვში ყოფნისას ისინი შეეხნენ ამ საკითხსაც და მაშინაც მისი პოზიცია დადებითი იყო. აქვე ბრიტანეთის პრემიერმა აღნიშნა, რომ მის ქვეყანას გააჩნდა გარკვეული ვალდებულებები თურქეთის წინაშე და ჰკითხა საბჭოთა ლიდერს, შეიძლებოდა თუ არა თურ-

---

<sup>1</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 903, 910, 916; Крымская конференция..., გვ. 216.

<sup>2</sup> მემორანდუმი შექმნის მიზეზი გახდა ჩერჩილის მიერ რუზველტისათვის მოსკოვიდან ოქტომბრის შეხვედრის დროს გამოგზავნილი შეტყობინება, რომ სტალინმა დღის წესრიგში დააყენა მონტრეს კონვენციის გადახედვისა და საბჭოთა ხომალდებისათვის სრუტეებში თავისუფალი მიმოსვლის მინიჭების საკითხი (იხ.: W. F. Kimball. Churchill and Roosevelt, vol. 3, გვ. 365).

<sup>3</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 328-329.

<sup>4</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 904, 910, 916; Крымская конференция..., გვ. 216.

ქებისათვის გარანტიის მიცემა ასეთ შემთხვევაში მათი დაბოუკიდებლობის შეუზღუდავობის შესახებ<sup>1</sup>. სტალინმაც დაადასტურა, რომ თურქები საქმის კურსში უნდა ჩაეყენებინათ და რომ მონტრეს კონვენციის რევიზიას არ მოჰყვებოდა რაიმე სახით თურქეთის სუვერენიტეტის შეზღუდვა<sup>2</sup>. აქვე საბჭოთა ლიდერმა იკითხა, იყო თუ არა შესაძლებელი ამ საკითხის განხილვა საერთაშორისო ორგანიზაციის დამფუძნებელი ყრილობის დასრულების შემდეგ აშშ-ში, რაზეც ჩერჩილისაგან უპასუხა, რომ სრუტეების პრობლემა უფრო დიდ ბრიტანეთს ეხებოდა და არა ამერიკის შერთებულ შტატებს და უპრინადალ ჩათვალა, საგარეო საქმეთა მინისტრებს ლონდონში ემსჯელათ ამ საკითხზე<sup>3</sup>. გარდა ამისა, ბრიტანეთის პრემიერმა სინანულით გაიხსენა, რომ თავის დროზე მან სცადა ამ სრუტეების გავლა და ორ რუსულ კორპუსთან შეერთება, მაგრამ ოპერაცია წარუმატებლად დასრულდა<sup>4</sup>. სტალინმა, როგორც ჩანს, ჩერჩილის დასამშვიდებლად შენიშნა, რომ ანტანტის ძალებს ერთი-ორი კვირაც რომ დაეცადათ, თურქები და გერმანელები უკვე თვითონ აპირებდნენ უკანდახევას და ოპერაციაც წარმატებით დასრულდებოდაო, მაგრამ ამან ბრიტანეთის პრემიერს კიდევ უფრო გაუფუჭა ხასიათი. მან შენიშნა, რომ ამ დროს ის უკვე არ იყო მთავრობის წევრი და არ შეეძლო რაიმე

<sup>1</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 904, 910, 917; Крымская конференция..., გვ. 217.

<sup>2</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 904, 910, 917; Крымская конференция..., გვ. 217.

<sup>3</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 904, 910, 917; Крымская конференция..., გვ. 217.

<sup>4</sup> საუბარია პირველი მსოფლიო ომის დროს ანტანტის ძალების მიერ პალიპოლის (პალიბოლუ) ნახევარკუნძულზე განხორციელებულ სადესანტო ოპერაციაზე, რომლის დამგეგმავი და სულის ჩამდგმელი იყო ჩერჩილი, მაშინ ინგლისის საზღვაო მინისტრი. ოპერაცია, რომლის სამხედრო მიზანშეწონილობის შესახებაც სხვადასხვაგვარი აზრი არსებობს, ჩაიშალა და თითქმის ერთწლიანი ბრძოლების შემდეგ ინგლისელები და ფრანგები იძულებული გახდნენ, დაეცულათ დაკავებული პლაცდარმი. სწორედ ამ ოპერაციის წარუმატებლობის შედეგი იყო ჩერჩილის გადადგომა თავისი პოსტიდან (ამის შესახებ იხ.: R. R. James. Gallipoli. New York, 1965).



გაკლენა ექონია საომარი მოქმედებების მსვლელობაზე<sup>1</sup>.

სხდომის ბოლო საკითხი ეხებოდა შესწორებას პოლონეთის საზღვრების შესახებ. იდენის მიერ წარმოდგენილი შესწორება, რომლის თანახმადაც აღმოსავლეთ საზღვრად დადგინდა კერზონის ხაზი რიგ შემთხვევებში პოლონეთის სასარგებლოდ 5-8 კილომეტრით, ჩრდილოეთითა და დასავლეთით კი პოლონელებს უნდა მიეღოთ მნიშვნელოვანი კომპენსაცია, ძირითადად მოიწონეს. შეტანილ იქნა მხოლოდ სარედაქციო ხასიათის შესწორება, კერძოდ, რუზველტის თხოვნით, შეცვალეს ფორმულირება „სამი სახელმწიფო“ „სამი ქვეყნის მეთაურით“, რადგანაც, წინააღმდეგ შემთხვევაში მას მოუწევდა ამ შეთანხმების კონგრესში წარდგენა განსახილველად<sup>2</sup>. საბჭოთა მხარემ სცადა კიდევ ერთი შესწორების შეტანა და იმის დაზუსტება, თუ რა სახის ტერიტორიულ კომპენსაციას მიიღებდა პოლონეთი. მოლოტოვმა შესთავაზა მხარეებს, ჩაეწერათ დოკუმენტში, რომ პოლონეთი მიიღებდა „ისტორიულ საზღვრებს აღმოსავლეთ პრუსიასა და ოდერზე“.

რუზველტი დაინტერესდა ამ საკითხით და იკითხა, თუ როდის იყო ეს მიწები პოლონეთის საკუთრება, რაზეც სსრკ-ს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა შენიშნა, რომ მას შემდეგ საკმაოდ დიდი დრო იყო გასული, მაგრამ ეს ძალიან მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენდა პოლონელებისათვის<sup>3</sup>. როგორც ჩანს, აშშ-ს პრეზიდენტი არ დააკმაყოფილა ამ პასუხმა და მან ხუმრობით შენიშნა, რომ ასეთ შემთხვევაში ბრიტანელებს შესაძლოა აშშ-ს დაბრუნება მოეთხოვათ. ჩერჩილმა პასუხად აღნიშნა, რომ ინგლისელებს ისევე გაუჭირდებოდათ უზარმაზარი სახელმწიფოს მონელება, როგორც პოლონელებს, თუ ისინი შე-

<sup>1</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 904-905, 910-911, 917. სტალინის რეპლიკა არ გეხვედება საბჭოთა ჩანაწერში (იხ.: Крымская конференция..., გვ. 217).

<sup>2</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 905, 917; Крымская конференция..., გვ. 217.

<sup>3</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 905, 917. საბჭოთა ჩანაწერში რატომღაც მთელი ეს მონაკვეთი ამოღებულია (იხ.: Крымская конференция..., გვ. 217).

ტისმეტად დიდ ტერიტორიას მიიღებდნენ გერმანიისაგან<sup>1</sup>. სტალინმა სრული სერიოზულობით აღნიშნა, რომ ოკეანე ხელს შეუშლიდა ბრიტანელებს ამგვარი სურვილის განხორციელებაში და განაცხადა, რომ წარმოდგენილ დოკუმენტში არ იყო არანაირი მინიშნება შესაძლო საზღვარზე, რაც მნიშვნელოვანი იქნებოდა პოლონელებისათვის. მიუხედავად ამისა, ჩერჩილმა და რუზველტმა უარი განაცხადეს დოკუმენტის უფრო მეტად დაკონკრეტებაზე და შენიშნეს, რომ საჭიროების შემთხვევაში დაეთანხმებოდნენ ნებისმიერ საზღვარს ოდერზე, რომელსაც მოითხოვდნენ პოლონელები. ამის შემდეგ სტალინმა უარი თქვა შესწორებაზე და ტექსტიც დამტკიცებულ იქნა<sup>2</sup>. ამით სხდომა დასრულდა.

სხდომის შემდეგ გაიმართა ოფიციალური სადილი, რომელმაც, ჩერჩილის თქმით, ძალიან მშვიდ გარემოში ჩაიარა, თუმცა, უნდა შევნიშნოთ, რომ მხარეებმა საკმაოდ ბევრ მნიშვნელოვან საკითხზე ისაუბრეს. ერთგვარი უხერხულობა წარმოშვა იმან, თუ როგორ აღდგებოდა სტალინმა ინგლისის მეფე. კერძოდ, საბჭოთა ლიდერმა აღნიშნა, რომ მას საერთოდ არ უყვარდა მონარქები, მაგრამ ამ ომში ისწავლა პატივისცემა ბრიტანელებისა, რომლებიც, თავის მხრივ, თაყვანს სცემდნენ საკუთარ მეფეს, ამიტომ ის უსურვებდა ჯანმრთელობას ინგლისის მეფეს<sup>3</sup>. ბუნებრივია, რომ ასეთი სადღეგრძელოს შემდეგ ჩერჩილს, რომელსაც აშკარად არ მოეწონა სტალინის ანტიმონარქისტული მინიშნებები, მისთვის მცირე სამაგიეროს გადახდის სურვილი გაუჩნდა და, საფიქრებელია, მან ეს რამდენადმე მოახერხა კიდევ. ბრიტანეთის პრემიერმა აღნიშნა, რომ მომავალში ასეთი სირთულეებისთვის თავის დაღწევა შესაძლებელი გახდებოდა, თუ გამოიყენებდნენ შემდეგ ფორმულას: „სახელმწიფოს მეთაურები“, რის შემდეგაც აღდგებოდა კიდევ ინგლისის მეფე, აშშ-ს პრეზიდენტი და... სსრკ-ს პრეზიდენტი მიხეილ კალინინი<sup>4</sup>. თავის მხრივ, რუზ-

<sup>1</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 911.

<sup>2</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 906, 911, 917-918.

<sup>3</sup> W. S. Churchill. The Second World War, vol. 6, გვ. 391.

<sup>4</sup> W. S. Churchill. The Second World War, vol. 6, გვ. 391; The Conferences at Malta and Yalta, გვ. 921. ოფიციალურ ამერიკულ ჩანაწერში რა-

ველტმა აღნიშნა, რომ ჩერჩილის სიტყვებმა მას გაახსენა 1933 წლის ზაფხული, როდესაც მან მისწერა წერილი კალინინს და საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების ინიცირება მოახდინა<sup>1</sup>.

აღსანიშნავია, რომ სტალინის ოფიციალურად არანაირი რეაქცია არ ჰქონია ბრიტანეთის პრემიერის სადღეგრძელოზე, მაგრამ ნიშანდობლივია მის მიერ საუბრის გადატანა რეპარაციებზე. საბჭოთა ლიდერის განცხადებით, მას ეშინოდა მოსკოვში დაბრუნებისა და ზალზისათვის იმის თქმის, რომ ბრიტანელების წინააღმდეგობის გამო სსრ კავშირი ვერ მიიღებდა რეპარაციებს. პასუხად უკვე ჩერჩილს მოუწია თავის მართლება და იმის დაფიქსირება, რომ პირიქით, მას იმედი ჰქონდა, სსრკ საკმაო რაოდენობით მიიღებდა რეპარაციებს, მაგრამ მიზანშეწონილად არ მიანდა რეპარაციების რიცხვის განსაზღვრა ძალიან დიდი ციფრით, რისი გადახდის უნარიც გერმანიას არ ექნებოდა, როგორც ეს მოხდა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ<sup>2</sup>. საბოლოოდ, რუზველტმა და ჩერჩილმა სტალინს აღუთქვეს, რომ კომუნიკეში აღინიშნებოდა გერმანიის მოვალეობა, გადაეხადა კონტრიბუციები, რის შემდეგაც სადილი მშვიდად გაგრძელდა და ბრიტანეთის პრემიერმა უკვე საბჭოთა ლიდერიც ადღეგრძელა<sup>3</sup>. ამის შემდეგ უკვე სტეტინიუსმა წარმოთქვა თავისი წინამორბედის, კორდელ ჰალის სადღეგრძელო, რუზველტმა კი ადღეგრძელა ჩერჩილი.

ბრიტანეთის პრემიერმა მადლობა გადაიხადა დღეგრძელობისათვის და განაცხადა, რომ მას ელოდა საკმაოდ რთული არჩევნები, რადგანაც არ იცოდა, თუ რას იზამდნენ მემარცხენეები. სტალინმა დაამშვიდა ჩერჩილი და აღნიშნა, რომ მემარცხენეები და მემარჯვენეები უკვე საპარლამენტო ტერმინებად იყო ქცეული<sup>4</sup>

---

ტომდაც გამოტოვებულია სტალინის სადღეგრძელო და სადილის გადმოცემა დაწყებულია პირდაპირ ჩერჩილის სადღეგრძელოთი.

<sup>1</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 921.

<sup>2</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 921-922.

<sup>3</sup> W. S. Churchill. The Second World War, vol. 6, გვ. 392; The Conferences at Malta and Yalta, გვ. 922.

<sup>4</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 923.

და რიტორიკულად იკითხა, ვინ უნდა აერჩია ხალხს, თუ არა გამარჯვების მომტანი ლიდერი. ბრიტანეთის პრემიერმა, რომელსაც, როგორც ჩანს, მომავალი არჩევნების მართლაც ძალიან დიდი შიში ჰქონდა, შენიშნა, რომ ის მხოლოდ ერთი პარტიის ლიდერი იყო<sup>1</sup>. აქვე ჩერჩილმა უთხრა სტალინს, რომ მას ბევრად უფრო უკეთესად ჰქონდა საქმე, რადგანაც სსრკ-ში მხოლოდ ერთი პარტია იყო. საბჭოთა ლიდერმაც დარწმუნებით განაცხადა, რომ ერთი პარტია ნამდვილად უკეთესი იყო<sup>2</sup>. შემდეგ ჩერჩილი კვლავ ალაპარაკდა თავის მომავალ არჩევნებზე და აღუთქვა სტალინს, რომ ნებისმიერ შემთხვევაში ის და იდენი დაცივდნენ აშშ-სა და სსრკ-ს ინტერესებს, ვისაც არ უნდა მოეგო არჩევნები, რაზეც სტალინმა განაცხადა, რომ ლეიბორისტები ვერასდროს ვერ მოვიდოდნენ ხელისუფლებაში<sup>3</sup>.

ამის შემდეგ საუბარი ჩამოვარდა იმაზე, საკმარისი იქნებოდა თუ არა დრო კომუნიკეს შესამუშავებლად და ჩერჩილმა აღნიშნა, რომ ის დარჩებოდა ორშაბათამდე<sup>4</sup>, თუ საჭირო გახდებოდა, მაგრამ რუხველტმა ეს მიუღებლად მიიჩნია და განაცხადა, რომ მას ახლო აღმოსავლეთში ელოდებოდა სამი მეფე, მათ შორის იბნ საუდი<sup>5</sup>. ამან საუბარი გადაიყვანა უკვე ახლო აღმოსავლეთის პრობლემების განხილვაზე და სტალინმა წამოჭრა ებრაული სახელმწიფოს შექმნის საკითხი. საბჭოთა ლიდერმა აღნიშნა, რომ ეს ძალიან რთული პრობლემა იყო და მას უკვე ჰქონდა ებრაელების ბირობიჯანში დასახლების მცდელობა, მაგრამ ორ-სამ წელიწადში ისინი იქიდან გაიქცნენ და სხვა ქალაქებში დასახლდნენ. სტალინის თქმით, ებრაელები ბუნებით ვაჭრები იყვნენ, თუმცა სამიწათმოქმედო რაიონებში მათი მცირე ჯგუფ-

<sup>1</sup> W. S. Churchill. The Second World War, vol. 6, გვ. 392. როგორც მოვლენების შემდგომმა განვითარებამ ცხადყო, ჩერჩილის შიში საეკსპობით გამართლებული გამოდგა და არჩევნებში გამარჯვება ლეიბორისტებმა მოიპოვეს.

<sup>2</sup> W. S. Churchill. The Second World War, vol. 6, გვ. 392; The Conferences at Malta and Yalta, გვ. 923.

<sup>3</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 924.

<sup>4</sup> კონფერენციის ბოლო დღედ დაგეგმილი იყო კვირა, 11 თებერვალი.

<sup>5</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 924.

ფებით დასახლებამ საკმაოდ კარგი შედეგი გამოიღო<sup>1</sup>. აქ რუზველტმა შენიშნა, რომ ის თვითონ სიონისტი იყო და ჰკითხა სტალინს, იდგა თუ არა საბჭოთა ლიდერი მსგავს პოზიციაზე. სტალინმა ალბათ ძლივს შეიკავა გაცემა ასეთი შეკითხვის გამო, მაგრამ მაინც მოახერხა საკმაოდ დიპლომატიური პასუხის გაცემა, რომ ის ძირითადად იზიარებდა ასეთ თვალსაზრისს, მაგრამ ეს მაინც ძალიან რთული საკითხი იყო<sup>2</sup>.

საუბრის მსვლელობისას სტალინმა კიდევ ერთი მრავლისმთქმელი განცხადება გააკეთა, როდესაც შენიშნა, რომ საბჭოთა მთავრობა არასდროს არ მოაწერდა ხელს პაქტს ჰიტლერთან, რომ არ ყოფილიყო მიუნხენი და პოლონეთ-გერმანიის 1934 წლის ხელშეკრულება<sup>3</sup>. სადილის ბოლოს კი მან კვლავ აღნიშნა, რომ დრო აშკარად არ იქნებოდა საკმარისი მეორე დღის სამ საათამდე კონფერენციის დასასრულებლად. როგორც ჩანს, რუზველტმა, ბოლოს და ბოლოს, ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა და აღუთქვა სტალინს, რომ საჭიროების შემთხვევაში ისიც დარჩებოდა ორშაბათამდე, რითაც საბჭოთა ლიდერს ძლიერ ასიამოვნა<sup>4</sup>.

## **§11. დღე მე-8. კონფერენციის დასასრული და მისი შედეგების შეფასება**

ბოლო დღეს, 12 საათზე, დაიწყო ყირიმის კონფერენციის

<sup>1</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 924.

<sup>2</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 924.

<sup>3</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 925. გაუგებარია, თუ რატომ გაიხსენა სტალინმა პოლონეთსა და გერმანიას შორის ბერლინში 1934წ. 26 იანვარს ხელმოწერილი თავდაუსხმელობისა და ურთიერთგაგების დეკლარაცია ამ საუბრისას (დოკუმენტის ტექსტი იხ.: *Great Britain. Foreign Office. British (domestic) and Foreign State Papers, 1812-1934. vol. CXXXVII. L., 1954, გვ. 495-496; Documents on German Foreign Policy 1918-1945. Series C (1933-1937). The Third Reich: First Phase. Vol II. October 14, 1933, June 13, 1934. Wash., 1959, გვ. 421-422*). ძნელი წარმოსადგენია, რომ ამ დოკუმენტს რაიმე ხიფათი შეექმნა საბჭოთა კავშირისათვის და, მით უმეტეს, რაიმე გავლენა ჰქონოდა 1939 წელს შექმნილი ვითარების შეფასებისას.

<sup>4</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 925.

დასკვნითი პლენარული სხდომა, რომელიც თითქმის მთლიანად მიეძღვნა კომუნიკეს განხილვას. უნდა აღინიშნოს, რომ სტალინი შეცდა და მთავრობათა მეთაურებს სავსებით ეყოთ დრო კომუნიკეს შესათანხმებლად. უფრო მეტიც, სხდომისას, პრაქტიკულად მხოლოდ რედაქციული ხასიათის შენიშვნები გაკეთდა. ერთადერთი, რაზეც მცირე კამათი გაიმართა, უკრაინისა და ბელორუსიის საერთაშორისო ორგანიზაციის დამფუძნებელ კონფერენციაზე მოწვევის საკითხი იყო. სტალინმა სცადა, რომ ეს გადაწყვეტილება ჩაწერილიყო მოსაწვევში, რომელიც დაეგზავნებოდა აღნიშნული თავყრილობის მონაწილე წევრებს, მაგრამ ჩერჩილმა და რუზველტმა წინააღმდეგობა გაუწიეს მას. საბოლოოდ, საბჭოთა რესპუბლიკების სან ფრანცისკოში მოწვევის შესახებ დადგენილება ჩაწერილ იქნა მხოლოდ კონფერენციის გადაწყვეტილებებში<sup>1</sup>. მცირე კამათი გამოიწვია აგრეთვე კომუნიკეზე ხელმოწერების თანმიმდევრობამ. რუზველტმა წამოაყენა წინადადება, რომ პირველი ხელმოწერა გაეკეთებინა სტალინს, მაგრამ საბჭოთა ლიდერმა იუარა და აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში ამერიკულ პრესას მიეცემოდა საშუალება, წარმოედგინა სტალინი წინამძღოლად, რომელსაც მიჰყვებოდნენ აშშ-ს პრეზიდენტი და ბრიტანეთის პრემიერ მინისტრი. ამიტომ, მისი აზრით, უპრიანი იყო ხელი მოეწერათ ანბანის მიხედვით: პირველად რუზველტს, შემდეგ თვითონ მას და ბოლოს ჩერჩილს. აქ ბრიტანეთის პრემიერმა შენიშნა, რომ ინგლისური ალფაბეტის მიხედვით, ის უნდა ყოფილიყო პირველი, ხოლო შემდეგ რუზველტი და სტალინი. საბოლოო ვაშში, სწორედ ეს წინადადება იქნა მიღებული. გადაწყდა აგრეთვე, რომ კომუნიკე ერთდროულად გამოეკვეყნებინათ 12 თებერვალს 23 საათსა და 30 წუთზე მოსკოვის დროით<sup>2</sup>.

<sup>1</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 927; Крымская конференция., გვ. 221.

<sup>2</sup> Крымская конференция., გვ. 223. როგორც ჩანს, ბოლო სხდომის ფაქტობრივი უმნიშვნელობის გამო ბოლენს არ უწარმოებია მისი ჩაწერა და ის შემოიფარგლა მასზე განხილული საკითხების მოკლე მიმოხილვით. ამავე დროს, ეს არის ის იშვიათი შემთხვევა, როდესაც მეთიუსს ცვლიდა პისი, რომელსაც ასევე მხოლოდ მოკლე შინაარსი აქვს მოცემული თავის ჩანაწერებში (იხ.: The Conferences at Malta and Yalta, გვ. 926-929).

სხდომის დასრულების შემდეგ მთავრობათა მეთაურები რუზველტმა მიიწვია ლანჩზე. დღის მეორე ნახევარში კი გაიმართა საგარეო საქმეთა მინისტრების კიდევ ერთი სხდომა, რომელზეც კომუნიკეს ტექსტის საბოლოო რედაქტირება მოხდა, რის შემდეგაც კონფერენციამ დაასრულა თავისი მუშაობა.

ყირიმის კონფერენციაზე მიღებული გადაწყვეტილებები იმთავითვე მოექცა ყურადღების ცენტრში. თავის დროზე ის ლამის ერთხმად იქნა შეფასებული, როგორც დიდი სამეულის ერთიანობის უმაღლესი მწვერვალი<sup>1</sup>, მაგრამ სულ მცირე ხანში მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა და იალტის კონფერენცია სულ უფრო ხშირად განიხილებოდა როგორც „ახალი მიუნხენი“. განსაკუთრებით მძაფრი ხასიათი პოლემიკამ ყირიმის კონფერენციის შეფასების საკითხის შესახებ მიიღო აშშ-ში, სადაც აქცენტი გადატანილ იქნა აშშ-ს პრეზიდენტ ფრანკლინ რუზველტის მიერ იალტაში დაკავებული პოზიციის შეფასებაზე.

თავდაპირველად ყირიმის კონფერენცია თითქოს რუზველტის დიპლომატიურ ტრიუმფად მიიჩნიეს. ამ აზრის ჩამოყალიბებაზე საკმაოდ დიდი გავლენა იქონია აშშ-ს ყოფილი სახელმწიფო მდივნის ედუარდ სტეტინიუსის შეფასებებამ. სტეტინიუსმა თავის წიგნში – „რუზველტი და რუსები“ – განაცხადა: „კონფერენციის ჩანაწერები ნათლად ცხადყოფს, რომ საბჭოთა კავშირს უფრო დიდ დათმობებზე მოუწია წასვლა, ვიდრე აშშ-სა და დიდ ბრიტანეთს“.<sup>2</sup> მისი თქმით, რუზველტს, სტალინსა და ჩერჩილს შორის მიღწეული შეთანხმებები სხვა არაფერი იყო, თუ არა „აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის დიპლომატიური ტრიუმფი“, და რომ სირთულეები შეიქმნა მხოლოდ მას შემდეგ, რაც აღნიშნული შეთანხმებები არ იქნა დაცული<sup>3</sup>. უნდა აღინიშნოს, რომ სტეტინიუსი არ შეიძლება ჩაითვალოს მიუკერძოებელ პირად იალტის კონფერენციის შედეგების შეფასებისას. ის მონაწილეობდა აღნიშნულ სამიტში, როგორც აშშ-ს სახელმწიფო მდივანი

<sup>1</sup> R. Sherwood. Roosevelt and Hopkins, გვ. 869.

<sup>2</sup> E. Stettinius, Jr. Roosevelt and the Russians: The Yalta Conference. New York, 1949, გვ. 295.

<sup>3</sup> E. Stettinius, Jr. Roosevelt and the Russians, გვ. 295.

და, ბუნებრივია, ყველანაირად ეცდებოდა საკუთარი ქმედებების გამართლებას.

სტეტინიუსს მხარი დაუჭირა აშშ-ს ყოფილმა სახელმწიფო მდივნის მოადგილემ სამნერ უელესმაც, რომელმაც აღნიშნა, რომ იმ დროს რუზველტს არ შეეძლო სცოდნოდა, თუ როგორ სწრაფად მოისპობოდა მის მიერ სტალინთან ჩამოყალიბებული თანამშრომლობის ატმოსფერო მისი სიკვდილის შემდეგ<sup>1</sup>.

მაგრამ მცირე ხანში არენაზე გამოვიდნენ ე.წ. „რევიზიონისტები“ – ისტორიკოსები, რომლებსაც რუზველტის მიერ თერანსა და, განსაკუთრებით, იალტაში დაკავებული პოზიცია სულაც არ მოეწონათ. ყირიმის კონფერენციაზე მიღებული გადაწყვეტილებები ყველაზე მძაფრად გააკრიტიკა მანამდე პრაქტიკულად უცნობმა ისტორიკოსმა ფ. უიტმერმა, რომელმაც, არც მეტი, არც ნაკლები, თავის წიგნს „იალტაში იალტაში“ უწოდა<sup>2</sup>, ხოლო რუზველტი მოლაღატედ გამოაცხადა<sup>3</sup>.

მსგავსი განცხადებები გააკეთა ჯ. ფლინმა, რომელიც თავის წიგნში – „რუზველტის მითი“<sup>4</sup> – უფრო შორსაც წავიდა და იალტის კონფერენციაზე აშშ-ს პრეზიდენტის მოქმედებას „უკანასკნელი ღალატი“ უწოდა<sup>5</sup> (ფლინისათვის რუზველტის ღამის მთელი ომისდროინდელი საქმიანობა აშშ-ს ინტერესების ღალატს წარმოადგენს). მან ბრალი დასდო რუზველტს, რომ ის, უკვე მძიმედ ავადმყოფი, აბსოლუტურად მოუმზადებელი წავიდა ამ კონფერენციაზე და საგარეო საკითხებზე მრჩეველად თან წაიყვანა

<sup>1</sup> S. Welles. Seven Decisions that Shaped History. New York, 1951, გვ. 170.

<sup>2</sup> F. Wittmer. The Yalta Betrayal. Caldwell, 1953.

<sup>3</sup> F. Wittmer. The Yalta Betrayal, გვ. 5. უნდა აღინიშნოს, რომ რომ რუზველტის გარემოცვაშიც იყვნენ პირები, რომლებიც კრიტიკულად შეხვდნენ იალტის შეთანხმებებს. როგორც ჩანს, თავად აშშ-ს პრეზიდენტიც არ იყო ბოლომდე კმაყოფილი ყირიმის კონფერენციის შედეგებით, რადგანაც ა. ბერდთან საუბრისას მან შენიშნა: „აღლოფ! მე არ ვამტკიცებ, რომ ისინი (იალტის შეთანხმებები – თ.პ.) კარგია, მაგრამ მე ყველაფერი გავაკეთე, რაც შემიძლო“ (იხ.: *Navigating the Rapids, 1918-1971: From Papers of Adolf A. Berle*. New York, 1973, გვ. 277).

<sup>4</sup> J. Flynn. The Roosevelt Myth. New York, 1953.

<sup>5</sup> J. Flynn. The Roosevelt Myth, გვ. 387.



ბირნსი, რომელსაც წარმოადგენა არ ჰქონდა სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ მომზადებულ დოკუმენტებზე<sup>1</sup>. ამასთან, რუზველტი თურმე არც ბირნსს აყენებდა საქმის კურსში<sup>2</sup> და გადაწყვეტილებებს მასთან განხილვის გარეშე იღებდა. კერძოდ, ასე მოხდა მაშინ, როდესაც აშშ-ს პრეზიდენტი ერთპიროვნულად შეუთანხმდა სტალინს იაპონიის წინააღმდეგ ომში სსრკ-ის ჩართვის საწესდოდ სერიოზულ დათმობებზე<sup>3</sup>.

რუზველტის ამგვარი კრიტიკა მიუღებელი აღმოჩნდა აშშ-ს ე.წ. „ოფიციალური“ ისტორიკოსებისათვის. 1956 წელს ამ დასის წარმომადგენლებმა ჯ. სნელმა, ფ. პოგიუმ, ჩ. დელზელმა და ჯ. ლენსენმა გამოსცეს კრებული „იალტის მნიშვნელობა“<sup>4</sup>. აღნიშნულმა მკვლევრებმა გაამართლეს იალტაში მიღებული გადაწყვეტილებები და ეს ახსნეს იმით, რომ ძალთა თანაფარდობა როგორც დასავლეთში, ისე, პოტენციურად, აღმოსავლეთში საბჭოთა კავშირის სასარგებლოდ იყო შეცვლილი<sup>5</sup>.

---

<sup>1</sup> J. Flynn. The Roosevelt Myth, გვ. 387. აღსანიშნავია, რომ თავად ბირნსი ამის მიუხედავად პრეზიდენტის ავადმყოფობას ასახელებს, რის გამოც ვერ მოხერხდა ხომალდზე ყოფნისას პრობლემების განხილვა (იხ.: J. F. Byrnes. Speaking Frankly. New York, 1947, გვ. 22).

<sup>2</sup> როგორც ჩანს, ბირნსი მართლაც პრაქტიკულად არანაირად არ მონაწილეობდა კონფერენციის მსვლელობაში და ის იალტაში წაიყვანეს მხოლოდ იმისათვის, რომ შემდგომში მოეხდინა მიღებული გადაწყვეტილებების ღობირება როგორც კონგრესში, ისე საზოგადოებაში (იხ.: R. Messer. The End of an Alliance: James F. Byrnes, Roosevelt, Truman and the Origins of the Cold War. Chapel Hill, NC, 1982, გვ. 37).

<sup>3</sup> J. Flynn. The Roosevelt Myth, გვ. 387. გასაოცარია, მაგრამ თურმე ბირნსს არაფერი სცოდნია ამ შეთანხმების შესახებ. მან მხოლოდ რუზველტის სიკვდილის შემდეგ, როდესაც ის გახდა აშშ-ს სახელმწიფო მდივანი ტრუმენის ადმინისტრაციაში, შეიტყო აღნიშნული შეთანხმების არსებობის შესახებ (ისიც საბჭოთა მხარის მიერ გამოგზავნილი დეკემბრიდან). ამან აიძულა ბირნსი, გაეცა ბრძანება, მოეკეზნათ თეთრი სახლის ოფიციალურ დოკუმენტაციაში ზემოხსენებული და, აგრეთვე, ყველა სხვა საიდუმლო შეთანხმება, რომლებიც დადებულ იქნა ომის დროს (J. F. Byrnes. Speaking Frankly, გვ. 43).

<sup>4</sup> The Meaning of Yalta: The Big Three Diplomacy and the New Balance of Power. Ed. by J. Snell. With a foreword by Paul H. Clyde. Baton Rouge, LS, 1956.

<sup>5</sup> F. Pogue. The Struggle for the New Order. – In: The Meaning of Yalta: The Big Three Diplomacy and the New Balance of Power. Ed. by J. Snell. With a

უნდა აღინიშნოს, რომ ამ გამოცემაში სრულიადაც ვერ შენეულა კრიტიკის ქარ-ცეცხლი, რომელიც თავს ატყდებოდა რუზველტის მიერ იალტაში გატარებულ პოლიტიკას. 1959 წელს ჯ. კროკერმა გამოსცა წიგნი — „რუზველტის გზა იალტისაკენ“, რომელშიც განაცხადა, რომ „ყირიმის კონფერენცია იქცა საერთაშორისო ამორალობის სიმბოლოდ“.<sup>1</sup>

იალტის კონფერენციას შეეხო თავის წიგნში — „მოწმე ისტორიისთვის“ ჩ. ბოლენი. ის იყო აშშ-ს დელეგაციის ოფიციალური თარჯიმანი აღნიშნულ სამიტზე და, შესაბამისად, მის მიერ მოწოდებული ინფორმაცია მეტად მნიშვნელოვანია. ბოლენმა ყირიმის კონფერენციას უწოდა „ყველაზე წინააღმდეგობრივი მოვლენა აშშ-ს ისტორიაში.., რომლის გადაწყვეტილებებსაც ჯერ უდიდესი მიღწევები უწოდეს, ხოლო მერე გააკრიტიკეს ჯერ მარჯვნიდან, შემდეგ კი — მარცხნიდან“.<sup>2</sup> რაც შეეხება რუზველტს, ბოლენი მის საგარეო პოლიტიკას აფასებს თავისი წიგნის სხვა ადგილას, თეირანის კონფერენციაზე საუბრისას. მისი თქმით, რუზველტი საშუალოდ ერკვეოდა საგარეო საქმეებში, ხოლო თეირანში მხოლოდ ის (ანუ ბოლენი — თ.პ.) მიხვდა საბჭოთა კავშირის ნამდვილ ზრახვებს<sup>3</sup>.

XX საუკუნის 60-იანი წლებიდან იალტის შეთანხმებების საკითხის განხილვისას აქტიურად ჩაებნენ ე.წ. „ახალი მემარცხენეების“ წარმომადგენლები<sup>4</sup>. მათი აზრით, საბჭოთა კავშირის სულაც არ სურდა ცივი ომის გაჩაღება და ყველაფერში დამნაშავე აშშ-ს ადმინისტრაცია იყო. ამ ჯგუფის ერთ-ერთი თვალსა-

---

foreword by *Paul H. Clyde*. Baton Rouge, LS, 1956, გვ. 3; *F. Pogue*. Yalta in Retrospect. — In: *The Meaning of Yalta: The Big Three Diplomacy and the New Balance of Power*. Ed. by *J. Snell*. With a foreword by *Paul H. Clyde*. Baton Rouge, LS, 1956, გვ. 188-189.

<sup>1</sup> *G. N. Crocker*. Roosevelt's Road to Russia, ch. 15.

<sup>2</sup> *Ch. Bohlen*. Witness to History, გვ. 182.

<sup>3</sup> *Ch. Bohlen*. Witness to History, გვ. 138.

<sup>4</sup> აღნიშნული მიმდინარეობა ლიბერალურ-კრიტიკული მიმართულების რადიკალური ფრთაა და მისი გავლენა საკმაოდ ძლიერი იყო 60-70-იან წლებში, თუმცა დღესდღეობით საბჭოთა კავშირის მეორე მსოფლიო ომისდროინდელი საგარეო პოლიტიკის დამცველების რაოდენობა და გავლენა მსოფლიოში მეტად მცირეა.

ჩინო წარმომადგენელი დ. ფლემინგი ყირიმის კონფერენციის შედეგებს დადებითად აფასებს და ბრალს სდებს აშშ-ს მთავრობას საბჭოთა კავშირის ნამდვილი მიზნების ვერგაგებაში. მისი თქმით, ამერიკელები მხოლოდ მაშინ შეძლებდნენ „საბჭოთა ხალხების მიზნების გაგებას, თუ აშშ აოხრებული იქნებოდა ატლანტიკიდან მისისიპიმდე და დაილუპებოდა 15 მლნ ამერიკელი, 30 მლნ კი უსახლკაროდ დარჩებოდა“.<sup>1</sup>

იალტის კონფერენციაზე რუზველტის მოქმედება დადებითად შეაფასა დ. კლემენსმაც. მისი თქმით, ყირიმში სტალინმა უფრო მეტი დათმო, ვიდრე მიიღო<sup>2</sup>. აქვე ის სწორედ ამერიკელებს ადანაშაულებს იალტის შეთანხმებების დარღვევაში, რამაც შექმნა დაძაბულობა მსოფლიოში და გამოიწვია „ცივი ომის“ დაწყება. კერძოდ, მისი თქმით, საბჭოთა კავშირის სხვანაირი მოქმედება განაპირობა ვაშინგტონის მხრიდან ზონების შესახებ შეთანხმების გადასინჯვის მცდელობამ საბჭოთა საოკუპაციო ზონაში ჯარების ხანგრძლივად დატოვებით, პოლონეთის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების ინტერპრეტაციის შეცვლამ და თეთრი სახლისა და დაუნინგ სტრიტის მიერ რეპარაციებზე უარის თქმამ<sup>3</sup>.

ამავე პერიოდში აღნიშნულ საკითხს შეეხო ა. თეოჰარისი. მისი თქმით, იალტის კონფერენციის შედეგების გადაფასება გამოიწვია ომის შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა და ცივი ომის რეალიებმა<sup>4</sup>, რაც, ფაქტობრივად, ასევე რუზველტის დაცვის ცდას წარმოადგენდა.

ყირიმის კონფერენციის გადაწყვეტილებებს მაღალი შეფასება მისცა ჩ. მიმ, რომელიც ასევე საკმაოდ ახლოს დგას „ახალ მემარცხენებთან“. მან დაიცვა რუზველტი და განაცხადა, რომ იალტაში მიღწეულ იქნა მთავარი მიზანი — შეიქმნა წინაპირობა,

<sup>1</sup> D. Fleming. The Cold War and Its Origins. Vol. I. New York, 1961, გვ. 252-253.

<sup>2</sup> D. Sh. Clemens. Yalta. New York, 1970, გვ. 290.

<sup>3</sup> D. Sh. Clemens. Yalta, გვ. 290.

<sup>4</sup> A. G. Theoharis. An Issue in U.S. Politics, 1945-1955. Columbia, MO, 1970, გვ. 1.

რათა ომისდროინდელი თანამშრომლობა გაგრძელებულიყო ომის შემდეგაც<sup>1</sup>.

განსხვავებული თვალსაზრისი გამოთქვა ვ. მასტნიმ. მისი თქმით, იალტა, რასაკვირველია, სულაც არ იყო დასავლეთის წარმატება, მაგრამ, ამავე დროს, მან უარყო, რომ ყირიმის კონფერენცია დაგვირგვინდა სტალინის უდიდესი გამარჯვებით<sup>2</sup>.

80-90-იან წლებში საკმაოდ პოპულარული გახდა თეზისი იმის შესახებ, რომ იალტაში მიღებული გადაწყვეტილებები გარკვეულწილად იძულებითი იყო. რ. ბუჰიტის აზრით, ყირიმის კონფერენციაზე დასავლეთის ლიდერებს წარმატების მიღწევის მხოლოდ მოჩვენებითი შანსი ჰქონდათ<sup>3</sup>. დაახლოებით ამავე აზრს ავითარებს ფრანგი მკვლევარი პ. დე სენარკლენი. ის რიტორიკულ კითხვას სვამს, თუ ჰქონდათ ჩერჩილსა და რუზველტს რაიმე პოლიტიკური არჩევანი გარდა საბჭოთა კავშირთან გულწრფელი თანამშრომლობისა, და თვითონვე პასუხობს, რომ აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის ლიდერებს სტალინთან მორიგების გარდა სხვა გამოსავალი არც ჰქონდათ<sup>4</sup>. ს. კაშმანმა კი სცადა, რუზველტის მოქმედება გაემართლებინა თვით იაპონიასთან მიღებული გადაწყვეტილებების საკითხში. მისი თქმით, აშშ-ს პრეზიდენტის დათმობები ამ მიმართულებით განპირობებული იყო მხოლოდ და მხოლოდ კვანტუნის არმიის არსებობით და იმის არცოდნით, რომ 1945 წლის დასაწყისისათვის ეს არმია მნიშვნელოვნად შესუსტებული იყო<sup>5</sup>. თ. პერიშმა კი საერთოდ სწორად

<sup>1</sup> Ch. Mee. Meeting of Potsdam. New York, 1975, გვ. XII.

<sup>2</sup> V. Mastny. Russia's Road to the Cold War: Diplomacy, Warfare and Politics of Communism, 1941-1946. New York, Columbia University Press, 1979, გვ. 253.

<sup>3</sup> R. Buhite. Decisions at Yalta: An Appraisal of Summit Diplomacy. Wilmington, DL, 1986, გვ. 133.

<sup>4</sup> P. de Senarclens. Yalta. New Brunswick, 1988, გვ. 87.

<sup>5</sup> S. D. Cashman. America, Roosevelt and World War II. New York, 1989, გვ. 325-326. საინტერესოა, რომ თავის დროზე სტრატეგიული სადაზვერვო სამსახურის უფროსს უილიამ დონოვანს აუკრძალეს ჯაშუშების გაგზავნა კვანტუნის არმიის დასაზვერად. სწორედ ამ გადაწყვეტილებას დააბრალა დონოვანმა იალტაში დაშვებული შეცდომები შორეული აღმოსავლეთის საკითხებში (იხ.: R. Dunlop. Donovan: America's Master Spy, გვ. 461).

მიჩნია იაპონიის წინააღმდეგ საბჭოთა კავშირის ომში ჩაბმის სანაცვლოდ რუზველტის მხრიდან სტალინთან დათმობებზე წასვლა<sup>1</sup>.

ზემოთ ჩამოთვლილ ავტორებს არ ეთანხმება ფ. მარკს III, რომელმაც 80-იანი წლების მიწურულს თავის წიგნში – „ქარი ქვიშაზე. ფრანკლინ რუზველტის დიპლომატია“ – რუზველტზე ახალი შეტევა მიიტანა. ფ. მარკსის აზრით, ყირიმში მიღებული გადაწყვეტილებების მთავარი მიზეზი იყო აშშ-ს პრეზიდენტის დიპლომატიური არაკომპეტენტურობა<sup>2</sup>.

90-იან წლებში ყირიმის კონფერენციის გადაწყვეტილებებს შეეხო ა. პერლმუტერი, რომელმაც ხაზი გაუსვა, რომ რუზველტისათვის იალტაში მნიშვნელოვანი იყო არა ის, რასაც ხელი მოეწერა, არამედ რა დაპირებებიც მიიღო, რამაც გამოიწვია კიდევ ტრაგედია<sup>3</sup>.

ამავე პერიოდში რ. რააკმა აღნიშნა, რომ რუზველტსა და ჩერჩილს იალტაში დიდად არაფრის შეცვლა არ შეეძლოთ ფრონტებზე შექმნილი მდგომარეობის გამო. კერძოდ, მას მოჰყავს მონაცემები, რომ ამ დროისათვის სტალინს უკვე დაწყებული ჰქონდა როგორც პოლონელი მოსახლეობის გადაყვანა კერზონის ხაზის დასავლეთით, ისე უკრაინელებისა – აღმოსავლეთით<sup>4</sup>.

შორეული აღმოსავლეთის მიმართ რუზველტის პოზიცია გააკრიტიკა ჰ. კისინჯერმა და იალტაში მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებიდან ყველაზე გაუგებარი უწოდა. მისი თქმით, ზოგიერთი ამერიკელი უბრალოდ ვერ გაერკვა, რომ სტალინს სურდა იაპონიის წინააღმდეგ ომში ჩაბმა და ამიტომ არ იყო საჭირო ზედმეტი დათმობები<sup>5</sup>.

ა. გროთმა რუზველტის დათმობებს იალტაში უწოდა არა

---

<sup>1</sup> Th. D. Parrish. Roosevelt and Marshall. Partners In Politics And War. The Personal Story. New York, 1988, გვ. 423.

<sup>2</sup> F. W. Marks III. Wind Over Sand. Diplomacy of Franklin Roosevelt. Athens, GA, 1988, გვ. 171-176.

<sup>3</sup> A. Perlmutter. FDR & Stalin, გვ. 179.

<sup>4</sup> R. C. Raack. Stalin's Drive to the West, 1938-1945: The Origins of the Cold War. Stanford, CA, 1995, გვ. 96.

<sup>5</sup> H. Kissinger. Diplomacy. New York, 1995, გვ. 414-416.

იმდენად არჩევანის გაკეთება რეალობის სასარგებლოდ მორალურობის წინააღმდეგ, არამედ ტიპიურად დემოკრატიული გადაწყვეტილების მიღება აწმყო ინტერესებიდან გამომდინარე მომავალი ინტერესების საზიანოდ<sup>1</sup>.

და მაინც, ბოლოს და ბოლოს, რამ განაპირობა ამგვარი წინააღმდეგობრიობა ყირიმის კონფერენციის შედეგების შეფასებებში? საინტერესოა, რომ ყველა მკვლევარი თავის მსჯელობაში იალტაში მიღებული გადაწყვეტილებებს ეყრდნობა, თუმცა ისინი, პრინციპში, არ იძლევა მსგავსი ურთიერთგამომრიცხავი დასკვნების გაკეთების საფუძველს. ამის დასტურად ჩვენ შეგვიძლია მოვიყვანოთ ყირიმის კონფერენციის დასრულების შემდეგ გამოქვეყნებული სამი ქვეყნის მეთაურის ოფიციალური განცხადება<sup>2</sup> და მონაწილე სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრების მიერ ხელმოწერილი ოქმი<sup>3</sup>, რომელშიც დეტალურადაა ასახული იალტაში მიღებული გადაწყვეტილებები.

ოქმის I ნაწილში ყურადღება ეთმობა მსოფლიო ორგანიზაციის ჩამოყალიბების საკითხებს. კერძოდ, გადაწყდა, რომ გაერთიანებული ერების კონფერენცია მოწვეული უნდა ყოფილიყო 1945 წლის 25 აპრილს აშშ-ში<sup>4</sup>. უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრებს (იალტის კონფერენციაზე ასეთად მოიაზრებოდნენ აშშ, დიდი ბრიტანეთი, სსრკ და ჩინეთი) მიეცათ ვეტოს უფლება (გარდა პროცედურული საკითხებისა), ხოლო თუ რომელიმე მათგანი მონაწილეობდა დაევაში, მას თავი უნდა შეეკავებინა ამ სადავო საკითხზე კენჭისყრისას. ამავე დროს, დადგინდა, რომ ლამფუძნებულ კონფერენციაზე მიწვეული იქნებოდნენ გაერთიანებული ერები 1945წ. 8 თებერვლის შემადგენლობით და ის მიმხრობილი ერები, რომლებიც ომს გამოუცხადებდნენ გერმანიას 1945 წლის 1 მარტისათვის. გარდა ამისა, აშშ-მა და დიდმა ბრიტანეთმა აიღეს

<sup>1</sup> A. Groth. Democracies Against Hitler: Myth, Reality and Prologue. 1999, გვ. 334.

<sup>2</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 968-975; Крымская конференция., გვ. 264-271.

<sup>3</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 975-982; Крымская конференция., გვ. 274-282.

<sup>4</sup> აღნიშნული კონფერენცია სან-ფრანცისკოში გაიმართა.

ვალდებულება, რომ მხარს დაუჭერდნენ დამფუძნებელ წევრებად ორი საბჭოთა რესპუბლიკის, კერძოდ, უკრაინისა და ბელორუსიის, მიღებას<sup>1</sup>.

ძნელი მისახვედრი არ არის, რომ მსოფლიო ორგანიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებები ძირითადად სტალინისათვის იყო უფრო ხელსაყრელი. მართალია, იალტაში საბჭოთა მხარის დათმობად ჩაითვალა უშიშროების საბჭოში კენჭისყრისას მუდმივი წევრებისათვის ვეტოს უფლების მინიჭება, მაგრამ შემდეგ გაირკვა, რომ ვეტო არა მარტო რუზველტისათვის იყო მომგებიანი, რამეთუ ძალიან დიდი ხნის განმავლობაში საბჭოთა კავშირი მშვენივრად იყენებდა მას საჭიროების დროს და ბლოკავდა მისთვის არასასურველ გადაწყვეტილებებს. რაც შეეხება დანარჩენ საკითხებს, მათგან მნიშვნელოვანი მხოლოდ 16 ხმაზე უარის თქმა იყო, ვინაიდან დანარჩენი ორი ქვეპუნქტი ადრე თუ გვიან მაინც უნდა განხორციელებულიყო, წინააღმდეგ შემთხვევაში გამარჯვებულებს მსოფლიო დიქტატში დაედებოდათ ბრალი. ასე რომ, იქ არც სტალინს და არც სხვა ვინმეს არ შეეძლო, წინ აღსდგომოდა მთელი რიგი ქვეყნების გაეროში გაწევრიანებასა და ამ ორგანიზაციის ტრიბუნის გამოყენებას. რასაკვირველია, ლათინური ამერიკის ქვეყნებს ძირითადად პროამერიკული პოზიციები ეკავათ და გენერალურ ასამბლეაზე კენჭისყრისას აშშ-ს მთავრობის მითითებებს გაითვალისწინებდნენ, მაგრამ ამას დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგანაც იმ დროისათვის გაეროში საბჭოთა კავშირი პრინციპული საკითხების განხილვისას მაინც უმცირესობაში აღმოჩნდებოდა. სწორედ ამიტომ იყო სტალინისათვის მნიშვნელოვანი ყველა საბჭოთა რესპუბლიკის გაწევრიანება გაეროში, მაგრამ, ვინაიდან რუზველტისა და ჩერჩილის მტკიცე წინააღმდეგობას წააწყდა, მან ამ წინადადების გატანა ვერ მოახერხა. შედეგად, საბჭოთა ლიდერმა თანხმობა მიიღო მხოლოდ უკრაინისა და ბელორუსიის შეყვანაზე გაეროში, რაც, თავის მხრივ, ნამდვილად დიპლომატიურ გამარჯვებას წარმოადგენდა, რადგანაც დაირღვა პრინციპი: ერთი სახელ-

<sup>1</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 976; Крымская конференция..., გვ. 274-275.

მწიფო — ერთი ხმა.

ლოკუმენტის II ნაწილში განთავსებულ იქნა დეკლარაცია განთავისუფლებული ევროპის შესახებ. მხარეებმა ერთმანეთს ალუთქეს, რომ გაატარებდნენ ერთობლივ პოლიტიკას გერმანიის ბატონობისაგან განთავისუფლებული ევროპული ქვეყნების მიმართ და დაეხმარებოდნენ მათ ეკონომიკური თუ პოლიტიკური პრობლემების გადაწყვეტაში. ამავე დროს, ისინი ადასტურებდნენ თავიანთ ერთგულებას ატლანტიკური ქარტიის პრინციპებისადმი<sup>1</sup> და აცხადებდნენ, რომ ნებისმიერ ერს შეეძლო, თავად აერჩია ქვეყნის მმართველობის ფორმა<sup>2</sup>. უნდა აღინიშნოს, რომ დეკლარაცია სტალინს სულაც არ ზღუდავდა. პირიქით, მან ზემოთ მოყვანილი დებულებების კარგად გამოყენება შეძლო კიდევ<sup>3</sup>.

ოქმის III-V პუნქტები დაეთმო გერმანიის მომავალთან დაკავშირებულ საკითხებს. შეთანხმებული ვარიანტის თანახმად, გერმანიაში სამ მოკავშირეს ექნებოდა უზენაესი ხელისუფლება, რომლის განხორციელებისას ისინი მიიღებდნენ უსაფრთხოების აუცილებელ ზომებს, განხორციელებდნენ გერმანიის სრულ განიარაღებას, მის დემილიტარიზაციასა და დაყოფას<sup>4</sup>. ამავე დროს, მოხდა საოკუპაციო ზონების დაყოფა და გადაწყდა თავისი ზონის გამოყოფა საფრანგეთისათვის ბრიტანული და ამერიკული ზონების ხარჯზე. გარდა ამისა, საფრანგეთი შეეყვანილ იქნა საკონტროლო საბჭოში გერმანიის შესახებ<sup>5</sup>. როგორც ზემოთ ვნა-

<sup>1</sup> ამის შესახებ დაწერილებით იხ.: თ. პაპასქირი. ანტიჰიტლერული კოალიციის შექმნის სათავეებთან. ატლანტიკური კონფერენცია. — „საისტორიო ძიებანი“, I. თბ., 1998, გვ. 189-198; თ. პაპასქირი. მეორე ფრონტის მომზადებისა და განხორციელების პრობლემა აშშ-ინგლისის დიპლომატიაში. 1941-1943, თბ., 2002, გვ. 23-34.

<sup>2</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 977; Крымская конференция., გვ. 276.

<sup>3</sup> რ. ნისბეტის თქმით, სწორედ ამ დეკლარაციამ დააკანონა საბჭოთა სიუსერენიტეტი ცენტრალურსა და აღმოსავლეთ ევროპაზე (იხ.: R. Nisbet. Roosevelt and Stalin: The Failed Courtship. Wash., 1988, გვ. 71-72).

<sup>4</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 978; Крымская конференция., გვ. 277.

<sup>5</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 978; Крымская конференция., გვ. 278.



ხეთ, რეპარაციების საკითხზე საბოლოო შეთანხმების მიღწევა ვერ მოხერხდა, რისი მიზეზიც ბრიტანელების პოზიცია გახდა. ჩერჩილი საკმაოდ პესიმისტურად უყურებდა რეპარაციების საკითხს და, შეიძლება ითქვას, წინააღმდეგობას ბოლომდე ვერ უწევდა ამ საკითხის განხილვას მხოლოდ იმიტომ, რომ ეს უბრალოდ გაუგებარი იქნებოდა. საბოლოო ჯამში, ოქმში ასახვა პპოვა გადაწყვეტილებამ რეპარაციების გადახდის თაობაზე, მაგრამ თანხა განსაზღვრული არ იქნა<sup>1</sup>.

გერმანიის საკითხების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებები ასევე არ ნიშნავდა სტალინის მარცხს. საფრანგეთისათვის საოკუპაციო ზონის მიცემა არ იყო სტალინის მხრიდან რაიმე განსაკუთრებულ დათმობაზე წასვლა, რადგანაც ის გამოიყოფოდა ბრიტანული და ამერიკული საოკუპაციო ზონებიდან და საბჭოთა მხარე ამით არაფერს არ კარგავდა. უფრო მეტიც, ამით მხოლოდ ჩერჩილი და რუზველტი იჩინდნენ ზედმეტ სატიკივარს, რადგანაც შარლ დე გოლი სულაც არ იყო მათთვის მინცდამინც მისაღები პიროვნება. რაც შეეხება საფრანგეთის საკონტროლო კომისიაში შეყვანას, ეს გადაწყვეტილება პირდაპირ გამომდინარეობდა საოკუპაციო ზონის გამოყოფის საკითხიდან და, ამასთანავე, სულაც არ უშლიდა რაიმეთი ხელს საბჭოთა კავშირს, რადგანაც საკონტროლო საბჭოში ყველა საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო კონსენსუსის საფუძველზე. განსხვავებული სიტუაცია იყო რეპარაციების საკითხთან დაკავშირებით. მართალია, საბოლოო გადაწყვეტილება უბრალოდ არ იქნა მიღებული, მაგრამ, ძირითადად, შეიძლება აღინიშნოს, რომ ამ საკითხში სტალინი მართლაც დამარცხდა, რადგანაც ვერ მოახერხა შემდგომში საკუთარი წინადადების გატანა და იძულებული გახდა, უარი ეთქვა ფულად კომპენსაციაზე. ფაქტობრივად ეს იყო იალტაში სტალინის მიერ განცდილი ერთადერთი დიპლომატიური მარცხი.

ოქმის VI ნაწილში დაფიქსირდა კონფერენციის მონაწილეთა გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ მთავარი სამხედრო დამანაშავეების საკითხი განეხილათ საგარეო საქმეთა მინისტრებს შე-

<sup>1</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 979; Крымская конференция..., გვ. 278-279.

საბამის დროს მოხსენების გასაკეთებლად<sup>1</sup>.

კონფერენციაზე, როგორც ვნახეთ, ერთ-ერთი მთავარი ადგილი ეკავა პოლონეთის საკითხის განხილვას. მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხზე საკმაოდ ხანგრძლივი დებატები მიმდინარეობდა, იალტაში საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას პოლონეთის დროებითი მთავრობის შემადგენლობისა და პოლონეთის მომავალი საზღვრების შესახებ მაინც ვერ მიაღწიეს. ოქმის VII ნაწილში დაფიქსირდა სამი ქვეყნის ლიდერებს შორის იალტაში მიღწეული შეთანხმება, რომ დროებითი მთავრობა დაკომპლექტებულიყო როგორც ლუბლინის მთავრობის, ისე პოლონეთის ემიგრანტული მთავრობის წევრებით, თუმცა ვერ მოხერხდა იმის დადგენა, თუ როგორი იქნებოდა მათი წარმომადგენლების პროცენტული შეფარდება<sup>2</sup>. საზღვრების შესახებ კი დადგინდა, რომ აღმოსავლეთი საზღვარი გაივლიდა ე.წ. „კერზონის ხაზზე“, ზოგიერთ ადგილას 5-8 კმ-ით პოლონეთის სასარგებლოდ გადაწევით, ხოლო დასავლეთი საზღვარი გაივლიდა მდ. ნოისეზე, თუმცა არ იქნა დაკონკრეტებული — აღმოსავლეთ ნოისეზე თუ დასავლეთ ნოისეზე<sup>3</sup>. ჩვენი აზრით, აღნიშნული გადაწყვეტილებები სტალინის გამარჯვებას ნიშნავდა. მართალია, მან უკან წაიღო წინადადება პოლონეთის დასავლეთ საზღვრად მდ. დასავლეთ ნოისეს მიჩნევის შესახებ, მაგრამ სულ რაღაც ნახევარი წლის შემდეგ პოტსდამში მიღებულ იქნა ამ საკითხის გადაწყვეტის სწორედ მისეული ფორმულა<sup>4</sup>. კერზონის ხაზიდან საზღვრის ოდნავ აღმოსავლეთით გადმოწევამ კი მას ძალიან დიდი დიპლომატიური წარმატება მოუტანა, რადგანაც მან შეძლო, ჩერჩილი და რუზველტი უძძიმეს მდგომარეობაში ჩაეყენებინა, რის შედეგადაც აიძულა ისინი, ეცნოთ საბჭოთა კავშირის დასავლეთი საზღვარი, ანუ ის მიწები, რომლებიც სტალინმა ჰიტლერთან დადებული პაქტით

<sup>1</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 979; Крымская конференция..., გვ. 279.

<sup>2</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 980; Крымская конференция..., გვ. 279.

<sup>3</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 980; Крымская конференция..., გვ. 279-280.

<sup>4</sup> The Conference of Berlin, vol. 2, გვ. 1491.

მიიღო<sup>1</sup>. არც ლუბლინის მთავრობის რეორგანიზაცია აღმოჩნდა სტალინისათვის წამგებიანი. მან შეძლო ამ რეორგანიზებულ მთავრობაში უმრავლესობის მიღება, რის შედეგადაც მოახერხა პოლონეთის სსრ კავშირის სატელიტ სახელმწიფოდ გადაქცევა.

ოქმის VIII-X პუნქტებში აისახა იუგოსლავიასთან დაკავშირებული საკითხები, კერძოდ: რეკომენდაცია ტიტოსა და შუბაშიჩისათვის, დაუყოვნებლივ აემოქმედებინათ მათ შორის დადებული ხელშეკრულება<sup>2</sup>, რის შემდეგაც ახალ მთავრობას უნდა შეექმნა დროებითი პარლამენტი ანტიფაშისტური ვენესა და ძველი სკუპშჩინის იმ წევრების ბაზაზე, რომლებმაც უარი თქვეს მტერთან თანამშრომლობაზე<sup>3</sup>. გარდა ამისა, გადაწყდა იტალია-იუგოსლავიისა და იუგოსლავია-ბულგარეთის საზღვრების საკითხის მომავლისათვის გადადება. ფაქტობრივად, ყოველივე ეს სტალინსა და ჩერჩილს შორის უფრო ადრე (1944წ. ოქტომბერში) მოსკოვში მიღწეული შეთანხმების შედეგი იყო. ასე რომ, ეს არ იყო იალტაში დასავლეთელი მოკავშირეების მიერ იალტაში გამოვლენილი დიპლომატიური ნიჭის შედეგი. თანაც, საბოლოო ჯამში, იუგოსლავია სოციალისტური სახელმწიფო გახდა და საბჭოთა ბლოკის უშუალო წევრად არ იქცა მხოლოდ სტალინსა და ტიტოს შორის მომხდარი დაპირისპირების გამო.

ოქმის XI და XII ნაწილებში შესაბამისად აისახა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისა და სპარსეთის საკითხების შესახებ გამართული განხილვების შედეგები, თუმცა რაიმე კონკრეტული გადაწყვეტილებები ოქმში არ იქნა დაფიქსირებული.

და ბოლოს, გადაწყდა, რომ საგარეო საქმეთა მინისტრები რეგულარულად (3-4 თვეში ერთხელ მაინც) შეხვედროდნენ ერთმანეთს რიგრიგობით მოკავშირე ქვეყნების დელაქალაქებში, ხოლო პირველი სხდომა გამართულიყო ლონდონში. ყოველივე ეს აისახა ოქმის XIII პუნქტში<sup>4</sup>. ბუნებრივია, რომ აღნიშნულ საკითხში რო-

<sup>1</sup> *Документы внешней политики, 1939г.* Т. XXII, кн 2, გვ. 632.

<sup>2</sup> ეს ხელშეკრულება გაფორმდა 1944წ. 1 დეკემბერს.

<sup>3</sup> *The Conferences at Malta and Yalta*, გვ. 980; *Крымская конференция..*, გვ. 270, 280.

<sup>4</sup> *The Conferences at Malta and Yalta*, გვ. 982; *Крымская конференция..*, გვ. 282.

მელიძე მხარის დიპლომატიურ გამარჯვებაზე საუბარი უბრალოდ შეუძლებელია.

ოქმის დასკვნითი XIV პუნქტი მონტრეს კონვენციასა და სრუტეებს ეხებოდა. მხარეები შეთანხმდნენ, რომ საგარეო საქმეთა მინისტრები განიხილავდნენ ამ საკითხს, ზოლო თურქეთის მთავრობას საჭირო დროს აცნობებდნენ მიღებულ გადაწყვეტილებებს<sup>1</sup>.

ამით სრულდება ოფიციალური ოქმი, თუმცა ერთ-ერთი უმთავრესი შეთანხმება, რომელიც მიღწეულ იქნა ყირიმში, მასში არ შევიდა. საუბარია შორეული აღმოსავლეთის საკითხებზე დადებულ ხელშეკრულებაზე. ჩვენი აზრით, სტალინის მიერ იაპონიის წინააღმდეგ ომში ჩაბმის სანაცვლოდ მიღებული დივიდენდები ფასდაუდებლად შეიძლება ჩაითვალოს. აშშ-მ და დიდმა ბრიტანეთმა ალუთქვეს საბჭოთა კავშირს სამხრეთ სახალინის დაბრუნება, კურილის კუნძულების გადაცემა, პორტ-არტურსა და დაირენზე საიჯარო უფლებების, ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთში ზოგიერთი მნიშვნელოვანი სარკინიგზო მაგისტრალის ექსპლუატირების უფლების გადაცემა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის იმდროინდელი სტატუსის შენარჩუნება. ამის ყველაფრის თავიდათავი იყო აშშ-ს პრეზიდენტი რუზველტი, რომელმაც ყველაფერი ეს სტალინს მისცა იმის სანაცვლოდ, რის გაკეთებასაც საბჭოთა ლიდერი ისედაც აპირებდა. აშშ-ს პრეზიდენტმა ვერ გათვალა, რომ სტალინი თვითონ იყო დაინტერესებული იაპონიის წინააღმდეგ ომში ჩაბმით, რადგანაც ამას მისთვის ძალიან დიდი სარგებელი შეეძლო მოეტანა. პირველ რიგში, საბჭოთა ლიდერს სურდა იაპონიის გამოძევება ჩინეთიდან და იქ საბჭოთა გავლენის დამყარება. არადა, რუზველტს ოდნავ მაინც რომ ეუფიქრა ასეთ შესაძლებლობაზე, მას შეეძლო ბევრად უფრო ნაკლებ დათმობებზე წასვლა, რაც ცივ ომში საბჭოთა მხარის პოზიციებს მნიშვნელოვნად შეასუსტებდა<sup>2</sup>.

<sup>1</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 982; Крымская конференция.., გვ. 282.

<sup>2</sup> აქ აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოება: თავის დროზე, 1941წ. მაისში ლ. შტეინჰარდტმა, რომელიც იმ პერიოდში აშშ-ს ელჩი იყო საბჭოთა კავშირში, დაწერილებით აღუწერა სახელმწიფო დეპარტამენტს ის დიპლომატიური მეთოდები, რომელსაც იყენებდა საბჭოთა მხარე მოლაპარაკებების წარმოებისას. მოხსენება მთლიანად ეყრდნობოდა ერთ-ერთი ფინელი დიპლომატის (შტეინჰარდტს არ

ამრიგად, იალტის კონფერენციის შეფასებისას თამამად შეიძლება ითქვას, რომ კონფერენციაზე მიღებული გადაწყვეტილებებიდან ყველაზე დიდი სარგებელი საბჭოთა კავშირმა მიიღო. შეიძლება ითქვას, რომ გააფთრებული ბრძოლა, რომელსაც სამივე ლიდერი აწარმოებდა იმის შესახებ, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ომისშემდგომი მსოფლიო<sup>1</sup>, სტალინის დიპლომატიური გამარჯვებით დასრულდა. ჩერჩილმა, იმის გათვალისწინებით, რომ მისი ქვეყანა უკვე დავიდა მხოლოდ და მხოლოდ მესამე მოკავშირის სტატუსამდე, პრაქტიკულად მაქსიმუმი გამოწერა თავისი შესაძლებლობებიდან, თუმცა, ჩვენი აზრით, მისთვის ეს დიდი ვერაფერი ნუგეში იყო, რადგანაც პოლონეთის საკითხი მინც ფაქტობრივად წაგებული იქნა. რაც შეეხება რუზველტს, აშშ-ს პრეზიდენტისათვის ყირიმის კონფერენცია ნამდვილად წარუმატებლად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც მას თავისუფლად შეეძლო გაცილებით ნაკლები დათმობებით შემოფარგლულიყო.

---

აქვს მოყვანილი მისი გვარი მოხსენებაში, თუმცა, სავარაუდოდ, ეს უნდა იყოს ტანერი – თ.ბ.) მონათხრობს. ფინელი დიპლომატი, რომელსაც 50-ჯერ მოუწია შეხვედრა სტალინსა და მოლოტოვთან, აღნიშნავდა, რომ საბჭოთა მხარისათვის დამახასიათებელი იყო მაღალი საფასურის მოთხოვნა იმის სანაცვლოდ, რის გაკეთებასაც ის ისედაც აპირებდა. გარდა ამისა, მისი თქმით, საბჭოთა დიპლომატები ყველაფერზე მაღლა აყენებდნენ პრესტიჟს, ცოტას მიღების შემდეგ კიდევ უფრო მეტს ითხოვდნენ, არასოდეს ამბობდნენ უარს დღევანდელ კვერცხზე ხვალინდელი ქათმის იმედით, ყურადღებას აქცევდნენ მხოლოდ საქმეს და არა ნათქვამს, არ აინტერესებდათ ეთიკური თუ ჰუმანური მოტივები და ხელმძღვანელობდნენ მხოლოდ პრაქტიკული და რეალისტური წინაპირობებით (იხ.: J. Barros, R. Gregor. Double Deception: Stalin, Hitler and the Invasion of Russia. DeKalb, Northern Illinois University Press, IL, 1995, გვ. 79). ძნელი სათქმელია, მიაღწია თუ არა ამ მოხსენებამ რუზველტამდე, მაგრამ იმის გათვალისწინებით, თუ როგორი დამოკიდებულება ჰქონდა აშშ-ს პრეზიდენტს თავისი სახელმწიფო მდივნისა და საერთოდ დეპარტამენტის დიპლომატებისადმი, რომელთაც ის „ძველმოღურ ბიუროკრატებს“ უწოდებდა (იხ.: G. Walker. Franklin D. Roosevelt as a Summit Negotiator at Teheran, 1943 and Yalta, 1945. Ph.D. dissertation, University of Kansas, 1983, გვ. 142), ძნელი დასაჯერებელია, რომ მას ამ ინფორმაციისათვის ყურადღება მიექცია.

<sup>1</sup> Ch. E. Bohlen. Witness to History, გვ. 160.

**„დიდი სამეულის“ დიპლომატიური  
ურთიერთობები გერმანიაზე  
გადაფრთხილებით დარტყმის მიყენების წინ და  
მესამე რაიხის კაპიტულაცია**

**§1. ბერნის ინციდენტი და დიპლომატიური კოლმეიკა  
„დიდი სამეულის“ წევრებს შორის  
1945წ. გაზაფხულზე**

1945 წლის მარტ-აპრილში ანტიჰიტლერული კოალიციის ერთიანობა, რომლის დემონსტრირება მოხდა ყირიმის კონფერენციაზე, სერიოზული გამოცდის წინაშე აღმოჩნდა. საბჭოთა კავშირსა და დასავლეთელ მოკავშირეთა შორის ურთიერთობები მკვეთრად დაიძაბა. ამის მიზეზი გახდა ე.წ. „ბერნის ინციდენტი“ ანუ ჯერ კიდევ 1945წ. თებერვალში ბერნში დაწყებული მოლაპარაკებები აშშ-ს სტრატეგიული სამსახურების სამმართველოს (OSS – Office of Strategic Services) ევროპული ბიუროს უფროს ალენ დალესსა და იტალიაში SS-ის ჯარების სარდალ გენ. კარლ ვოლფს შორის დასავლეთ ევროპაში გერმანელების კაპიტულაციის თაობაზე.

აღნიშნული საკითხის შესწავლისას, პირველ რიგში, ყურადღებას იპყრობს მეცნიერულ გამოკვლევათა სიმცირე. იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ ინგლისელი თუ ამერიკელი მკვლევრები ან ყურადღებას არ აქცევდნენ ამ საკითხს, ანაც უბრალოდ მისთვის გვერდის ავლას ცდილობდნენ. ფაქტობრივად ძირითად წყაროს ამ პრობლემის გარშემო წარმოადგენს ალენ დალესის მეტად საეჭვო ღირსების მქონე მემუარები<sup>1</sup> და კარლ ვოლფის

<sup>1</sup> A. Dulles. The Secret Surrender. New York, 1956. არსებობს მოლაპარაკებათა კიდევ ერთი მონაწილის, შვეიცარიელი დაზვერვის ოფიცრის მაქს ვაიბელის მემუარებიც (იხ.: M. Weibel. Kapitulation in Norditalien. Basel, 1981), თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები მის გარეშე წყდება.

დაკითხვის ოქმები, რომლებიც ჯერ კიდევ არ არის გამოქვეყნებული. რაც შეეხება სამეცნიერო გამოკვლევებს, მონოგრაფიულად „ბერნის ინციდენტი“ შესწავლილი აქვს მხოლოდ იტალიელ ისტორიკოსს ელენა აგაროსის, რომელმაც 1979წ. ამერიკელ მკვლევარ ბრედლი სმიტთან ერთად ინგლისურ ენაზე გამოაქვეყნა ნაშრომი: „ოპერაცია „განთიადი“. საიდუმლო კაპიტულაცია“.<sup>1</sup> მეორე მსოფლიო ომზე მომუშავე სხვა მკვლევრები კი, ჩვეულებრივ, ან საერთოდ არ ეხებიან ამ მოლაპარაკებებს, ან ზოგადად იხსენიებენ მათ და აღნიშნავენ, რომ ბერნის შეხვედრებს პრაქტიკულად არანაირი შედეგი არ მოჰყვა<sup>2</sup>. ამ მხრივ, ერთგვარ გამონაკლისს წარმოადგენენ მხოლოდ ჰ. ფეისი და ჯ. ტოლანდი, რომლებმაც განიხილეს აღნიშნული საკითხი თავიანთ გამოკვლევებში<sup>3</sup>, თუმცა მათთვის ეს მხოლოდ ერთი დეტალი იყო და თანაც არც თუ ყველაზე მნიშვნელოვანი. საბჭოთა მკვლევრები, რომლებიც ასევე ზოგადად ეხებიან ამ საკითხს, პირდაპირ ადანაშაულებენ აშშ-სა და დიდ ბრიტანეთს გერმანელებთან მორიგების მცდელობაში<sup>4</sup> და ამის მთავარ არგუმენტად მოჰყავთ სტალინისა და მოლოტოვის მიერ 1945წ. მარტ-აპრილში მოკავშირეთათვის

<sup>1</sup> B. Smith, E. Agarossi (Joint Author). Operation “Sunrise”. The Secret Surrender. New York, 1979.

<sup>2</sup> L. Woodward. British Foreign Policy in the Second World War. Vol. III. L., 1971; R. Sherwood. Roosevelt and Hopkins. An Intimate History. New York, 1948; J. Ehrman. Grand Strategy. Vol. VI. October 1944 – August 1945. L., 1956, გვ. 125; R. Dallek. Franklin Roosevelt and World War II. New York, 1978, გვ. 295; H. Michel. The Second World War. New York, 1975, გვ. 756; B. H. Liddell Hart. The History of World War II. New York, 1971, გვ. 674; Ch. Wilmot. The Struggle for Europe. L., 1974, გვ. 548 და ა.შ.

<sup>3</sup> H. Feis. Churchill, Roosevelt and Stalin. The War They Waged and the Peace They Sought. Princeton, NJ, 1957, გვ. 602-615; J. Toland. The Last 100 Days. New York, 1966, გვ. 73-75, 230-235.

<sup>4</sup> *История второй мировой войны*. В 12 томах. Пред. ред. ком. А. А. Гречко (т. 1-7) и Д. Ф. Устинов (т. 8-12). Т. 10. Гл. ред. Н. И. Шеховцев. М., 1979, гв. 357-358; *История дипломатии*. В 6 томах. Под ред. В. А. Зорина (т. I) и А. А. Громыко (т. II-V). Т. IV. М., 1975, гв. 623-625; В. Л. Израэлян. Дипломатия в годы войны, гв. 367-375; II. Иноземцев. Внешняя политика США в эпоху империализма. М., 1960, гв. 420-421; В. М. Кулиш. История второго фронта. М., 1971, гв. 587 და ა.შ.

წაყენებული ბრალდებები<sup>1</sup>.

„ბერნის ინციდენტის“ გაშუქებისას, პირველ რიგში, ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, რომ ეოლფის მისია სულაც არ იყო პირველი ცდა მესამე რაიხის ხელმძღვანელობის ცალკეულ წარმომადგენელთა მხრიდან დასავლეთელ მოკავშირეებთან ლოკალურ თუ ფართომასშტაბიან კაპიტულაციასზე წასვლისა. გერმანელებმა ჯერ კიდევ 1944წ. სექტემბრიდან დაიწყეს იმის ზონდაჟი, თუ რამდენად იყო შესაძლებელი კაპიტულაციის მიღწევა დასავლეთის ფრონტზე. მაშინ ბალკანეთში გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი წარმომადგენელი დაუკავშირდა OSS-ს და შესთავაზა მათ გეგმა, რომლის მიხედვითაც გერმანელები დაიხვედნენ ღუნაიმდე და მისცემდნენ აშშ-სა და დიდ ბრიტანეთს ბალკანეთის დაკავების საშუალებას, ხოლო გამოთავისუფლებული გერმანული ნაწილები გადასროლილი იქნებოდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. მაშინ OSS-მა კატეგორიული უარი განაცხადა მოლაპარაკებების წარმოებაზე, რადგანაც ეს მოკავშირეთა ერთიანობას საფრთხეში ჩააგდებდა. მთელი ეს ინფორმაცია (როგორც გერმანელთა წინადადება, ისე OSS-ის პასუხი) დაუყოვნებლივ ეცნობა მოკავშირეთა გაერთიანებულ შტაბს და საბჭოთა მთავრობას<sup>2</sup>.

თითქმის იმავედროულად, მსგავსი წინადადებით მიმართა OSS-ის წარმომადგენლებს შვეიცარიაში გენერალმა გლაიზ ჰორსტენაუმ, ავსტრიელმა ოფიცერმა, რომელიც ანშლუსის შემდგომ გერმანელთა სამსახურში ჩადგა. მან შესთავაზა ამერიკელებს ავსტრიელი ოფიცრების დახმარებით ფრონტის მოშლა, რათა ავსტრიის ოკუპირება მოეხდინა არა საბჭოთა არმიას, არამედ ინგლისსა და აშშ-ს. ამერიკელებმა ჰორსტენაუსა და მის გუნდს უარი შეუთვალეს<sup>3</sup>.

ამგვარ ინციდენტებს, როგორც ჩანს, საფუძვლად საკუთრივ OSS-ის მოქმედება დაედო, რომელიც, 1944წ. შემოდგომიდან მო-

<sup>1</sup> Переписка., т. I, გვ. 320-323, 402-403; т. II, გვ. 198-199, 204-205, 206-208, 291-292.

<sup>2</sup> B. Smith, E. Agarossi. Operation "Sunrise", გვ. 55.

<sup>3</sup> B. Smith, E. Agarossi. Operation "Sunrise", გვ. 56.



ყოლებული, ყოველმხრივ ცდილობდა, კონტაქტი დაემყარებინა გერმანიის სამხედრო ხელმძღვანელობის წარმომადგენლებთან ლოკალური კაპიტულაციების მისაღწევად. ამ მიზნით, ისინი იყენებდნენ ტყვედ აყვანილ გერმანელ ოფიცრებს<sup>1</sup>. ყოველივე ამას პრაქტიკულად არანაირი შედეგი არ მოჰყოლია, მაგრამ სავარაუდოა, რომ გარკვეულ წრეებს გერმანიაში უყურადღებოდ არ ღარჩენიათ OSS-ის აქტიურობა. მათ ჩათვალეს, რომ დასავლეთის სახელმწიფოები, შესაძლოა, დაინტერესებული იყვნენ სეპარატული სამშვიდობო მოლაპარაკებებით<sup>2</sup>. ოქტომბერ-ნოემბრის განმავლობაში ვატიკანში გერმანიის საელჩოს წარმომადგენელი ალბრეხტ ფონ კესელი დაუკავშირდა ბრიტანელებს წინადადებით, რომ ის შეეცდებოდა დასავლეთის ფრონტის მოშლის თაობაზე გერმანელი სარდლების თანხმობის მიღწევას. მისი თქმით, ამაში მას დაეხმარებოდა საკუთრივ გერმანიის ელჩი ვატიკანში ბარონი ფონ ვაიცზეკერი, რომელსაც მიაჩნდა, რომ ეს ააცილებდა გერმანიას მიწასთან გასწორებას. კესელის წინადადება უარყოფილ იქნა იმ მოტივით, რომ მას არ ჰქონდა უნარი, დაემყარებინა ქმედითი კონტაქტები გერმანელ გენერლებთან<sup>3</sup>.

იმავე პერიოდში ბრიტანელებმა მიიღეს კიდევ ერთი წინადადება იტალიიდან გერმანიის ჯარების გაყვანის შესახებ. ინგლისელებს დაუკავშირდა მსხვილი იტალიელი მეწარმე ფრანკო მარინოტი, რომელმაც განაცხადა, რომ გერმანელები უარს იტყობდნენ ჩრდილოეთ იტალიის ინდუსტრიული პოტენციალის განადგურებაზე, თუ მათ ნებას დართავდნენ ჯარების აპენინის ნაკადან გამოყვანასა და საბჭოთა ფრონტზე გადასროლაზე<sup>4</sup>. მარინოტის თქმით, მართალია, ეს წინადადება ოფიციალურად მოდიოდა იტალიაში საიდუმლო პოლიციის უფროსის, SS-ის გრუპენფიურერ ვილჰელმ ჰარსტერისაგან, მაგრამ სინამდვილეში ამ იდეის უკან იდგნენ ჰარსტერთან ახლო ურთიერთობებში მყოფი ვალტერ შელენბერგი და თვით ჰაინრიხ ჰიმლერი. გარდა ამისა, საქმის

<sup>1</sup> B. Smith, E. Agarossi. Operation "Sunrise", გვ. 56.

<sup>2</sup> B. Smith, E. Agarossi. Operation "Sunrise", გვ. 56.

<sup>3</sup> B. Smith, E. Agarossi. Operation "Sunrise", გვ. 56.

<sup>4</sup> B. Smith, E. Agarossi. Operation "Sunrise", გვ. 56-57.

კურსში იყვნენ SD-ს VI განყოფილების (დაზვერვა) უფროსი იტალიის რეგიონში კლაუს ჰიუგელი და გერმანიის კონსული ლუგანოში ალექსანდერ ნოირატი. მიუხედავად ამისა, ბრიტანელებმა მარინოტის უმაღლეს მიუხეურეს კარები<sup>1</sup>. ამის შემდეგ მან მიმართა OSS-ს და აღენ დალეს, რომელმაც ბევრად უფრო დიდი დაინტერესება გამოამჟღავნა ამ წინადადებისადმი, მაგრამ, ვაშინგტონიდან მოსული დირექტივის საფუძველზე, იძულებული გახდა, უარი ეთქვა კონტაქტის გაგრძელებაზე<sup>2</sup>.

პარსტერ-მარინოტის მცდელობის ჩაშლისთანავე გამოჩნდა კიდევ ერთი „მშვიდობისმყოფელი“ — მილანის არქივისკოპოსი, ფაშისტური რეჟიმის აქტიური მხარდამჭერი კარდინალი ილდებრანდო შუსტერი, რომელმაც 1944წ. 14 სექტემბერს გააგზავნა თავისი ერთ-ერთი მდივანი ჯუზეპე ბიკიერაი SS-ის შტანდარტენფიურერ ოიგენ დოლმანთან და შესთავაზა მას დახმარება ფელდმარშალ ალბერტ კესელრინგსა და პარტიზანებს შორის შეთანხმების მიღწევაში. ამ შეთანხმების თანახმად, გერმანელები უარს იტყობდნენ იტალიური საწარმოების განადგურებაზე, პარტიზანები კი შეწყვეტდნენ საბოტაჟს და სხვა მტრულ მოქმედებებს გერმანელების წინააღმდეგ. გერმანელებს გეგმა მოეწონათ, მაგრამ ბრიტანელებმა სამართლიანად ჩათვალეს, რომ ასეთი გეგმა მათ პრობლემებს შეუქმნიდა და მტკიცე უარით გაისტუმრეს ბიკიერაი<sup>3</sup>. საინტერესოა, რომ, ბრიტანელებისაგან განსხვავებით, დალესმა დიდი დაინტერესება გამოიჩინა ამ სქემისადმი, მაგრამ, საბოლოოდ, პარტიზანების მტკიცე პოზიციას წააწყდა და გაწყვიტა კონტაქტი<sup>4</sup>.

ბიკიერაის შემდეგ არენაზე გამოჩნდა ალექსანდერ ნოირატი, რომელმაც ამჯერად, პარსტერის საქმისაგან განსხვავებით, საკუთარ თავზე აიღო ინიციატივა. ის დაუკავშირდა დალესს<sup>5</sup> და გა-

<sup>1</sup> B. Smith, E. Agarossi. Operation "Sunrise", გვ. 57.

<sup>2</sup> A. Dulles. The Secret Surrender, გვ. 44-45.

<sup>3</sup> B. Smith, E. Agarossi. Operation "Sunrise", გვ. 57-58. საინტერესოა, რომ პარტიზანებმა მხოლოდ ბრიტანელებისა და ამერიკელებისაგან შეიტყვეს ასეთი გეგმის არსებობის შესახებ.

<sup>4</sup> A. Dulles. The Secret Surrender, გვ. 46.

<sup>5</sup> როგორც ჩანს, აქ გარკვეული გავლენა იქონია ბრიტანელთა აშ-

ნუცხადა მას, რომ მზად იყო, მოეწყო გერმანელთა კაპიტულაცია დასავლეთში<sup>1</sup>. ნოირატის თქმით, კესელრინგი, კარლ ვოლფი და რუდოლფ რანი (გერმანიის ელჩი მუსოლინის ფაშისტურ რესპუბლიკაში) ფიქრობდნენ, რომ ომი წაგებული იყო და ის აპირებდა მათი ამ განწყობილებების გამოყენებას. გარდა ამისა, ის იმედოვნებდა, რომ შეძლებდა გერდ ფონ რუნდშტელტზე (გერმანიის ჯარების მთავარსარდალი დასავლეთის ფრონტზე) კესელრინგის გავლენის გამოყენებას, რათა რუნდშტელტს შეეწყვიტა წინააღმდეგობა დასავლეთის ფრონტზე და გზა გაეხსნა ინგლის-აშშ-ს ჯარებისათვის<sup>2</sup>. ორ თვეზე მეტხანს ამყარებდა დალესი იმედებს ნოირატზე, მაგრამ ამ უკანასკნელმა ვერაფრით ვერ მოახერხა რანთან, ვოლფთან და კესელრინგთან მჭიდრო კონტაქტების დამყარება. თებერვლის შუა რიცხვებში კესელრინგმა ნოირატი მიიწვია შეხვედრაზე, რომელსაც აგრეთვე ესწრებოდნენ გენერალი იოჰანეს ბლასკოვიცი (არმიათა ჯგუფ „H“-ის სარდალი) და გენერალი ზიგფრიდ ვესტფალი. ამ უკანასკნელებმა ციკად მიიღეს წინადადება კაპიტულაციის შესახებ და განაცხადეს, რომ არ ღირდა რისკის გაწევა ლოკალური კაპიტულაციისათვის, რადგანაც, ამის გამო, შესაძლო იყო, ისინი სამხედრო დამნაშავეებად გამოეცხადებინათ. მიუხედავად ამისა, მათ კატეგორიული უარი არ უთქვამთ, რამაც დაამთავრა კიდევ ნოირატი, რომელმაც მოახსენა დალესს, რომ გენერლები უახლოვდებოდნენ იმ მომენტს, როდესაც ისინი დათანხმდებოდნენ კაპიტულირებას<sup>3</sup>. ამ გარემოებისა და აგრეთვე იმის გამო, რომ მოკავშირეები სისტემატურად იღებდნენ ინფორმაციას (ძირითადად არასწორს), თითქოს კესელრინგი მზად იყო, დანებებოდა მათ, ამერიკელებმა გააგრძელეს დიალოგი ნოირატთან<sup>4</sup>.

---

კარად ნეგატიურმა დამოკიდებულებამ მსგავსი წინადადებებისადმი და დალესის საკმაო დაინტერესებამ ამგვარი იდეებით.

<sup>1</sup> B. Smith, E. Agarossi. Operation "Sunrise", გვ. 59-60.

<sup>2</sup> B. Smith, E. Agarossi. Operation "Sunrise", გვ. 59.

<sup>3</sup> B. Smith, E. Agarossi. Operation "Sunrise", გვ. 59.

<sup>4</sup> B. Smith, E. Agarossi. Operation "Sunrise", გვ. 60. აღსანიშნავია, რომ ეს მონაცემები იმდენად გაერცყელდა 1945წ. თებერვლის ბილოსათვის, რომ ერთ-ერთმა ბრიტანელმა კორესპონდენტმაც კი შეიტყო მათ

ამავე პერიოდში მოკავშირეებმა მიიღეს კიდევ რამდენიმე წინადადება, ამჯერად უკვე გერმანიის მმართველი წრეების უმაღლესი ეშელონიებიდან, კერძოდ, ჯერ შელენბერგისაგან, ხოლო შემდეგ კი – ერთობლივად ჰიმლერისა და კალტენბრუნერისაგან. ისინი ითხოვდნენ უპირობო კაპიტულაციის მოთხოვნის შეკვლას, რის შემდეგადაც გავიდოდნენ დასავლეთელ მოკავშირეებთან მჭიდრო კონტაქტზე<sup>1</sup>. გარდა ამისა, შელენბერგის წინადადება შეიცავდა გარკვეულ მუქარასაც, რომ თუ უპირობო კაპიტულაციის პრინციპი ძალაში დარჩებოდა, გერმანელები შეწყვეტდნენ წინააღმდეგობას აღმოსავლეთის ფრონტზე და მთელ ცენტრალურ ევროპას საბჭოთა კავშირს დაუთმობდნენ<sup>2</sup>. ინგლისელებმა და ამერიკელებმა ეს წინადადებები უყურადღებოდ დატოვეს. ჰიმლერი და კალტენბრუნერი მეტისმეტად ოდიოზური ფიგურები იყვნენ მოლაპარაკების საწარმოებლად.

ამის შემდგომ მოკავშირეებმა კიდევ რამდენიმე უმნიშვნელო წინადადება მიიღეს ზოგიერთი გერმანული ნაწილის ჩაბარების თაობაზე, მაგრამ ეს არანაირ გავლენას არ ახდენდა საერთო სიტუაციაზე და თითქოს ამით უნდა დასრულებულიყო ყოველგვარი კონსულტაციები კაპიტულაციის შესახებ. ვითარება მოულოდნელად შეიცვალა 1945წ. თებერვალში, როდესაც ასპარეზზე გამოჩნდა ობერგრუპენფიურერი კარლ ვოლფი, რომელიც სარდლობდა იტალიაში განლაგებულ SS-ის ძალებს. ვოლფი ჰიტლერსა და ჰიმლერთან დაახლოებული პირი გახლდათ. ის 1933 წლიდან მოყოლებული იყო რაიხსფიურერ ჰიმლერის ადიუტანტი, 1941 წლიდან – მისი პირადი შტაბის უფროსი, ხოლო 1939-1943წწ. ამავდროულად ეკავა მეკავშირე ოფიცრის თანამდებობა ჰიტლერის შტაბში<sup>3</sup>. 1943წ. ვოლფსა და ჰიმლერს შორის უთანხმოება ჩამოვარდა<sup>4</sup>, რის შედეგადაც ვოლფმა დაკარგა თავისი თანამდებ-

---

შესახებ და გაზეთშიც გამოაქვეყნა (იხ.: *London Daily Dispatch*, February 23, 1945).

<sup>1</sup> B. Smith, E. Agarossi. Operation "Sunrise", გვ. 61-62.

<sup>2</sup> B. Smith, E. Agarossi. Operation "Sunrise", გვ. 61-62.

<sup>3</sup> *World War in Europe*, – an Encyclopedia, ed. by D. Zabecki. New York, 1999, vol. I, გვ. 556.

<sup>4</sup> განხეთქილების მიზეზი იყო ის, რომ რაიხსფიურერი ვოლფის გან-

252

ბოები ჰიტლერისა და ჰიმლერის შტაბებში. ის გააგზავნეს იტალიაში, თუმცა ვოლფმა შეინარჩუნა ჰიტლერის კეთილგანწყობა და მასთან წინასწარი შეთანხმების გარეშე შესვლის უფლება. ასე რომ, მისი გამოჩენა მოკავშირეებს შეუმჩნეველი არ დარჩათ, მით უმეტეს, რომ ვოლფის სახელი უკვე ფიგურირებდა მოკავშირეებთან მოლაპარაკებისას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ალექსანდერ ნოირატმა ის დაასახელა კაპიტულაციის სავარაუდო მომხრეთა შორის.

ნოირატი მართლაც შეხვდა ვოლფს, მაგრამ რაიმე კონკრეტული შედეგი ამ კონტაქტს არ მოჰყოლია. ყოველ შემთხვევაში, ვოლფი არაფერს არ დაჰპირებია ნოირატს. როგორც ჩანს, მან გადაწყვიტა საკუთარი თამაშის წამოწყება, ვინაიდან ის სასწრაფოდ გაემგზავრა გერმანიაში, ესაუბრა ჰიმლერს (1945წ. 4 თებერვალი) და, დარწმუნდა რა გერმანიის სრულ სამხედრო უძღურებაში<sup>1</sup>, 6 თებერვალს შეხვდა ჰიტლერს<sup>2</sup>. ამ შეხვედრის ამსახველი ერთადერთი წყარო არის თვითონ ვოლფი<sup>3</sup>, რომლის ბო-

---

ქორწინების წინააღმდეგ წავიდა, რის შემდეგაც ვოლფი პირდაპირ ჰიტლერთან შევიდა და მისგან მიიღო თანხმობა, რაც ჰიმლერმა პირად შეურაცხყოფად მიიღო. იხ.: A. Dulles. The Secret Surrender, გვ. 60.

<sup>1</sup> იტალიის ფრონტიდან, რომელზეც 1944 წლის ზაფხულის შემდეგ ცვლილებები პრაქტიკულად არ იყო, საკმაოდ ცუდად აღიქმებოდა სიტუაცია სხვა ფრონტებზე. საქმე ისეთ კუროსამადეც კი მივიდა, რომ 1945წ. აპრილში (!) კაპიტულაციის ერთ-ერთმა მომხრემ კესლერინგს ურჩია „სამი დღით შევიცარიანო წასვლა იმის გასარკვევად, თუ რა ხდებოდა მსოფლიოში“. იხ.: B. Smith, E. Agarossi. Operation "Sunrise", გვ. 60.

<sup>2</sup> J. Toland. The Last 100 Days, გვ. 73.

<sup>3</sup> ვოლფი უნდა გაესამართლებინათ ნიურნბერგში, მაგრამ ამერიკელებმა იმდენად გააჭიანურეს მისი გადაცემა, რომ ვერ მოესწრო პროცესში მისი ჩართვა და ის მხოლოდ მეორე ეშელონში მოხვდა. შესაძლოა, ამან ვოლფი სიკვდილს გადაარჩინა, რადგანაც საბჭოთა მხარე ნიურნბერგში ასეთი მაღალი ჩინის შშ-ის ოფიცრის გამართლებას უბრალოდ არ დაუშვებდა, თუმცა ალბათ ეს ამერიკელებს მხოლოდ ვოლფის სიცოცხლეზე ზრუნვის გამო არ ჩაუდუნიათ. შესაძლოა, მათ არ ჰქონდათ ვოლფთან დაკავშირებული საკმაოდ საჩოთირო საკითხების განხილვის სურვილი. შედეგად კი მეორე პროცესი ნიურბერგში არც შედგა და ვოლფი გადაეცა ბრიტანელებს, რომლებმაც ის გაასამართლეს 1949წ. და გაამართლეს

ლომდე ნდობა, რასაკვირველია, არ შეიძლება, თუმცა არაა გამო-  
რიცხული, რომ ის ძირითადად, ზოგიერთი დეტალის გამოკლე-  
ბით, სიმართლეს ამბობდა. ჰიტლერთან საუბარში მას თითქოს გა-  
ნუცხადებია, რომ „არაბუნებრივ მოკავშირეებს შორის იყო გარკ-  
ვეული უთანხმოებები, რომლებიც არ იქნებოდა საკმარისი ალი-  
ანსის დასაშლელად, თუ გერმანია აქტიურად არ ჩაებმებოდა ამ  
პროცესში“<sup>1</sup>, რასაც ჰიტლერი ერთგვარად დასთანხმებია კიდევ  
(თავი დაუქნევია), თუმცა რაიმე კონკრეტული განკარგულება არ  
გაუცია<sup>2</sup>. ამის შემდეგ ვოლფი, რომელმაც, მისი თქმით, ჰიტლე-  
რისაგან მხარდაჭერა თუ არა, ცოდვების შენდობა მანც მიიღო<sup>3</sup>,  
იტალიაში დაბრუნდა.

მიუხედავად ამისა, იტალიაში დაბრუნების შემდეგ ვოლფმა  
მანც მეტად ფრთხილად დაიწყო მოქმედება, რადგანაც, როგორც

---

კიდევ. მოგვიანებით, 1964წ. ვოლფი უკვე გფრ-ს მთავრობამ გაასა-  
მართლა და მიუსაჯა მას 15 წელი. ვოლფს ამ პროცესზე დაუშტ-  
კიცლა ტრებლინკაში ებრაელების გადასაყენად მანქანების გადაგ-  
ზაენის ფაქტი, თუმცა ის კატეგორიულად ამტკიცებდა, რომ არც  
იცოდა, თუ რა ხდებოდა საკონცენტრაციო ბანაკებში საერთოდ და  
ტრებლინკაში კერძოდ. მაგრამ ამით „ვოლფის საქმე“ არ დასრუ-  
ლებულა. 1971წ. ვოლფი გაათავისუფლეს და ამის შემდეგ ის ერთი  
პერიოდი ლამის ტელევიარსკელავადაც კი იქცა. იხ.: *World War in Eu-  
rope*, vol. I, გვ. 556; A. Dulles. *The Secret Surrender*, გვ. 252-253; B. Smith,  
E. Agarossi. *Operation "Sunrise"*, გვ. 191.

<sup>1</sup> J. Toland. *The Last 100 Days*, გვ. 73; B. Smith, E. Agarossi. *Operation  
"Sunrise"*, გვ. 67.

<sup>2</sup> J. Toland. *The Last 100 Days*, გვ. 73. არ არის გამორიცხული, რომ  
ჰიტლერმა ვოლფს პირდაპირი ბრძანებაც მისცა, მაგრამ თუ ეს არ  
მომხდარა, არც ამას აქვს პრინციპული მნიშვნელობა, რადგანაც  
ჰიტლერი ხშირად აძლევდა თავის ხელქვეითებს დამოუკიდებლად  
მოქმედების უფლებას, რაც ვოლფმაც კარგად იცოდა. ამავე დროს,  
თუ ვოლფის ნათქვამს ბოლომდე ვირწმუნებთ, მაშინ ყურადღება უნდა  
მივაქციოთ მის კიდევ ერთ საუბარს ჰიტლერთან, რომელიც შედგა  
1945წ. 17 აპრილს, უკვე ალყაშემორტყმულ ბერლინში. მიიღო რა დაწ-  
ერილებითი ინფორმაცია ვოლფისაგან, ჰიტლერმა ფაქტობრივად თან-  
ხმობა განაცხადა უპირობო კაპიტულაციასზე იტალიაში და აღნიშ-  
ნა, რომ მისიის წარუმატებლად დასრულების შემთხვევაში ვოლფს  
ჰესის ბედი ელოდა (იხ.: J. Toland. *The Last 100 Days*, გვ. 479-480).

<sup>3</sup> B. Smith, E. Agarossi. *Operation "Sunrise"*, გვ. 67.

თვითონ განუცხადა შემდგომში ამერიკელებს, კალტენბრუნერისა და ბორმანის შიში ჰქონდა<sup>1</sup>. აქ მას უკვე ბელნიერი შემთხვევაც დაეხმარა. იტალიელებს ხელში ჩაუვარდათ ბრიტანელი აგენტი, რომლის დაკითხვის შემდეგ მარშალმა გრაციანომ (მუსოლინის მთავრობის თავდაცვის მინისტრი) ჩათვალა, რომ ის (აღნიშნული აგენტი მოკავშირეთა ლოკუმენტებში 4 კოლური სახელით ფიგურირებს: ტაკერი, დრაკერი, უოლაბი და მოლაბი) გერმანელთა და იტალიელთა უმაღლეს სარდლობასთან კონტაქტის დასამყარებლად იყო გამოგზავნილი<sup>2</sup>. ვოლფმაც დაკითხა ტაკერ-დრაკერ-უოლაბი-მოლაბი და მანაც იგივე დასკვნა გამოიტანა, რაც გრაციანომ. მაშინ ვოლფმა გაათავისუფლა ბრიტანელი, დაეხმარა მას შვეიცარიაში გადასვლაში და დაავალა, ეთქვა თავისი პატრონებისათვის, რომ „მისია წარმატებით დასრულდა და კონტაქტი უმაღლეს დონეზე დამყარდა“.<sup>3</sup> ვოლფის გასაკვირად, რაიმე გავრძელება ამ ისტორიას არ მოჰყოლია. ტაკერის მოხსენებას ბრიტანელებმა არანაირი ყურადღება არ მიაქციეს, რადგანაც მას სულაც არ ევალებოდა მსგავსი მისიის შესრულება.

ბრიტანელებისაგან პასუხის ამო ლოღინის შემდეგ ვოლფმა გადაწყვიტა, არ გამოეყენებინა მოკავშირეებთან კონტაქტებისთვის მათივე აგენტები ან ნოირატის მსგავსად მოაზროვნე გერმანელები. მან ამ მიზნით მიმართა იტალიელ ბარონ ლუიჯი პა-

---

<sup>1</sup> B. Smith, E. Agarossi. Operation "Sunrise", გვ. 68. არც აქ არის გამო-  
რიცხული, რომ ვოლფი უბრალოდ ატყუებდა ამერიკელებს მითიური  
საფრთხით, რათა ამით აეხსნა კაპიტულაციის მოწყობის გადაუ-  
დება, თუმცა, შესაძლოა, კალტენბრუნერს მართლაც შეეშალა ვოლ-  
ფისათვის ხელი, რადგანაც მას თავად სურდა კაპიტულაციის სხვებ-  
ზე ადრე გამოცხადების ორგანიზება.

<sup>2</sup> სინამდვილეში ტაკერ-უოლაბი პარტიზანების დასახმარებლად გა-  
დადიოდა იტალიაში და ეს მისი პირველი მისიაც არ იყო. უბრა-  
ლოდ ორ იტალიელ პარტიზანთან ერთად ტყვედ ჩაუვარდნის შემ-  
დეგ მან თავისი სიცოცხლის გადასარჩენად შეთხზა ეს ამბავი. მო-  
ნაყოლი მას იმდენად ეფექტური გამოუვიდა, რომ მან მართლაც  
მოახერხა „კონტაქტის დამყარება“ გერმანელთა და იტალიელთა უმაღ-  
ლეს სარდლობასთან (იხ.: B. Smith, E. Agarossi. Operation "Sunrise",  
გვ. 68).

<sup>3</sup> B. Smith, E. Agarossi. Operation "Sunrise", გვ. 68.

რილის (ომამდე თანამშრომლობდა ამერიკულ ფირმა „კელვინატორთან“, ომის დროს — გერმანელებთან). პარილი ანალოგიური მისიით უკვე ერთხელ იმყოფებოდა შვეიცარიაში ჰაუპტშტურმფურერ გვილო ციმერისა და კლაუს ჰიუგელის დავალებით<sup>1</sup>. იტალიელმა ბიზნესმენმა შეძლო თავისი ნაცნობის — პროფესორ მაქს ჰუსმანის წყალობით შვეიცარიის დაზვერვის ოფიცერ მაქს ვაიბელზე გასვლა, რომელმაც, თავის მხრივ, მოუწყო იტალიელს შეხვედრა დალესის თანამშრომელ ჯერო ფონ შულცე გავერნიცთან<sup>2</sup>. გავერნიცი მეტად სკეპტიკურად მოეკიდა პარილის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას და განუცხადა მას, რომ ღირებული იქნებოდა კონტაქტების დამყარება მხოლოდ დოლმანის<sup>3</sup>, ვოლფის ან კესლერინგის დონეზე. ამით გავერნიცმა და დალესმა საქმე მოთავებულად ჩათვალეს და მხოლოდ ზოგადი ხასიათის შენიშვნა გააგზავნეს ვაშინგტონში<sup>4</sup>.

პარილიმ დაბრუნებისთანავე ანგარიში ჩააბარა ვოლფს, რომელიც საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ინგლისელები და ამერიკელები წავიდოდნენ სეპარატულ შეთანხმებაზე გერმანელებთან. ამიტომ მან უბრძანა დოლმანსა და ციმერს, გამგზავრებულიყვნენ შვეიცარიაში და შეხვედროდნენ დალესს. ბ. სმიტსა და ე. აგაროსის ეს საკმაოდ სარისკო გადაწყვეტილებად მიაჩნიათ, რადგან შეიძლებოდა, რომ ამის შესახებ შეეტყვოთ ვოლფის მტრებს<sup>5</sup>. მაგრამ არსებობს ყველა საფუძველი, ვიფიქროთ, რომ ობერგრუპენფიურერი იმ დროს სულაც არ აპირებდა კაპიტულაციის რეა-

<sup>1</sup> ციმერი და ჰიუგელი თავდაპირველად მოქმედებდნენ ვალტერ შულენბერგის ინსტრუქციების მიხედვით და პარილის შვეიცარიაში გაგზავნის ბრძანებაც სწორედ მას უნდა გაეცა, მაგრამ შულენბერგმა დააგვიანა ამის გაკეთება. საბოლოოდ ჰიუგელმა თავისით მიიღო ასეთი გადაწყვეტილება და ციმერის მეშვეობით გადააგზავნა პარილი საზღვარს იქით (იხ.: B. Smith, E. Agarossi. Operation "Sunrise", გვ. 68-69).

<sup>2</sup> M. Weibel. Kapitulation in Norditalien, გვ. 80.

<sup>3</sup> როგორც ჩანს, პარილიმ ახსენა, რომ მისი მისიის შესახებ დოლმანიც იყო კურსში, რაც, შესაძლოა, სიმართლეს შეესაბამებოდა კიდევ, რადგანაც ის თანაუგრძნობდა ჰიუგელსა და ციმერს (იხ.: B. Smith, E. Agarossi. Operation "Sunrise", გვ. 69).

<sup>4</sup> B. Smith, E. Agarossi. Operation "Sunrise", გვ. 69.

<sup>5</sup> B. Smith, E. Agarossi. Operation "Sunrise", გვ. 71.



ლურად გამოცხადებას და ყოველივე ამას იყენებდა შირმად თავისი ნამდვილი მიზნის — მოკავშირეთა შორის შუღლის ჩამოგდების მისაღწევად. საოცარია, მაგრამ გერმანელებში იმ დროს საკმაოდ გავრცელებული იყო აზრი, რომ შესაძლო იყო, ინგლისსა და აშშ-ს კავშირი შეეკრათ გერმანიასთან და დახმარებოდნენ მას სსრკ-სთან ომში. უფრო მეტიც, თვით ჰიტლერიც კი დარწმუნებული იყო, რომ ორ თვეში გერმანიის წინააღმდეგ მიმართული კოალიცია დაიშლებოდა<sup>1</sup>.

1945წ. 3 მარტს ლუგანოში დოლმანი და ციმერი, ჰუსმა-ნისა და პარილის მეშვეობით, შეხვდნენ OSS-ის წარმომადგენელ პოლ ბლუმს. დოლმანმა ბლუმს არ გაუჟღავნა, რომ ის ვოლფის წარმომადგენელი იყო, მაგრამ, სამაგიეროდ, ჰკითხა ამერიკელს, წავიდოდნენ თუ არა ინგლისი და აშშ შეთანხმებაზე ჰიმლერთან, თუ ის მოკავშირეებს იტალიაში დაზავებას შესთავაზებდა<sup>2</sup>. ბლუმმა უარყოფითად უპასუხა და მაშინ დოლმანმა აცნობა ამერიკელს, რომ შესაძლებელი იყო შვეიცარიაში თავად ვოლფის ჩასვლა. ბლუმმაც, გერმანელების განზრახვის სერიოზულობის შესამოწმებლად, ერთგვარი ულტიმატუმი წამოაყენა: თუ მათ სურდათ თავისი გავლენის რეალურად ჩვენება, მათ უნდა გაეთავისუფლებინათ იტალიელ პარტიზანთა ორი ლიდერი — ფერუციო პარი და ანტონიო უსმიანი<sup>3</sup>.

ძნელი სათქმელია, როგორ ჩაივლიდა ეს შეხვედრა, OSS-ის ევროპული ბიუროს ხელმძღვანელი ალენ დალესი რომ არ ყოფილიყო. ე. აგაროსი და ბ. სმიტი ამტკიცებენ, რომ მან, გერმანელების მსგავსად, რეალობის შეგრძნება დაკარგა და ვერ ხვდებოდა, რომ ომი დასასრულს უახლოვდებოდა<sup>4</sup>. მათი მოსაზრება, ცოტა არ იყოს, ძნელი დასაჯერებელია. დალესს ხომ სულაც არ სურდა, რომ გერმანელებს კაპიტულაცია ყველა ფრონტზე ერთდროულად გამოეცხადებინათ. ყოველ შემთხვევაში, თავის მეშუარეობაში ის არაფერს ამბობს მსგავს პერსპექტივაზე. როგორც ჩანს, დალესი უფრო იქითკენ იხრებოდა, რომ საჭირო იყო კაპი-

<sup>1</sup> В. Л. Исраэлян. Дипломатия в годы войны, გვ. 371.

<sup>2</sup> A. Dulles. The Secret Surrender, გვ. 76.

<sup>3</sup> A. Dulles. The Secret Surrender, გვ. 76-77.

<sup>4</sup> B. Smith, E. Agarossi. Operation "Sunrise", გვ. 80.

ტულაციის მიღწევა დასავლეთში, რაც გზას გაუხსნიდა ამერიკელებსა და ინგლისელებს ცენტრალურ ევროპაზე კონტროლის მისაღწევად. რასაკვირველია, ეს სულაც არ ნიშნავდა იმას, რომ ამერიკელები და ბრიტანელები რაიმე დახმარებას გაუწევდნენ გერმანელებს, უბრალოდ, ამავე პერიოდში ბრძოლები აღმოსავლეთის ფრონტზე გაგრძელდებოდა და შეწყდებოდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც გერმანელებს ზურგიდან მიაღებოდნენ დასავლეთელი მოკავშირეები, რომელთაც ისინი დანებდებოდნენ კიდევ ერთი სიტყვით, დალესი, როგორც ჩანს, ხვდებოდა, რომ ომის დამთავრების შემდეგ ადგილი ექნებოდა დაპირისპირებას საბჭოთა კავშირთან, დაიწყებოდა „ცივი ომი“ და ჩამოეშვებოდა ე.წ. „რკინის ფარდა“, რომელიც, სასურველი იყო, რაც შეიძლება აღმოსავლეთით გადაეწიათ. ამასთან, მას თავის გამოჩენის სურვილიც კლავდა. სწორედ ამიტომ, თავდაპირველად დალესმა ვაშინგტონსაც კი დაუმალა ვოლფის ინიციატივის შესახებ<sup>1</sup>, ხოლო როდესაც გაიგო, რომ პარი და უსმინი გაათავისუფლეს, ვოლფი, დოლმანი და პარილი კი შვეიცარიისაკენ გაემგზავრნენ, ის საერთოდ ეიფორიაში ჩავარდა. ეტყობა დალესმა ან არ მიაქცია ყურადღება იმ ფაქტს, რომ ვოლფისათვის უბრალოდ შეუძლებელი იქნებოდა ბერლინისაგან შეუმჩნეველად პარიისა და უსმინის განთავისუფლება, ხოლო შემდეგ თავის მოადგილესთან ერთად შვეიცარიაში გამგზავრება, ან კიდევ თავისი ინტერპრეტაცია მისცა ყოველივე ამას და ჩათვალა, რომ ბერლინი მზად იყო კაპიტულაციაზე. მთელი მისი შემდგომი მოქმედება ადასტურებს, რომ მას წამითაც კი არ დაუშვია იმის შესაძლებლობა, რომ ბერლინი სულ სხვა მიზნებს ისახავდა. არადა, როგორც ჩანს, პარი და უსმინი ბერლინში პაიკებად ჩათვალეს დიდ თამაშში და მათ „გაქცევაზე“ თვალის დახუჭეს, ხოლო დალესი კი ამ მომენტიდან უბრალოდ სათამაშოდ იქცა ვოლფის ხელში.

1945წ. 8 მარტს ციურიხში დალესი შეხვდა ვოლფს და მის თანამოაზრეებს<sup>2</sup>. შეხვედრაზე ვოლფმა განაცხადა, რომ „ჩვე-

<sup>1</sup> L. Mosley. Dulles: A Biography of Eleanor, Allen and John Foster Dulles and Their Family Network. New York, 1978, გვ. 178.

<sup>2</sup> არსებობს მონაცემები, რომ ინფორმაცია ამ შეხვედრის შესახებ სადაზვერეო წყაროებიდან მიიღო საბჭოთა მხარემაც (იხ.: M. C. Ште-258

უღებრივი სამხედრო კაპიტულაციის“ მოწყობა ძნელი იყო და ის შეეცდებოდა, მოკავშირეებისათვის ჩრდილოეთ იტალია ჩაებარებინა კესელრინგის დარწმუნების გზით. მისი თქმით, თუ კესელრინგი ამ იდეას გაიზიარებდა, მაშინ გერმანელი სარდლები უბრალოდ გაამზადდებდნენ დეკლარაციას და გამოუცხადებდნენ ჯარებს, რომ შემდგომ წინააღმდეგობას აზრი არ ჰქონდა, რასაც მოჰყვებოდა „მიმართვა გერმანელი ხალხისადმი“ იგივე პუნქტებითა და ჰიტლერ-ჰიმლერის მმართველობისადმი დაუმორჩილებლობის განცხადებით<sup>1</sup>. დალესმა ენთუზიზმით აღიქვა როგორც ეს წინადადება, ისე ვოლფის დაპირება, რომ შეწყდებოდა საომარი მოქმედებები პარტიზანების წინააღმდეგ და სასწრაფოდ აფრინა მოხსენებები ლონდონში, ვაშინგტონსა და კაზერტაში – ფელდმარშალ ალექსანდერის შტაბში. ამ მოხსენებაში მას უხეში შეცდომა გაეპარა: მან ახსენა, რომ შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო გერმანელმა ოფიცერმა კესელრინგის შტაბიდან<sup>2</sup>. დალესი მალე გაერკვა ამ შეცდომაში და შემდგომ ორ მოხსენებაში აღნიშნა, რომ მოლაპარაკებაში მონაწილე ყველა გერმანელი SS-ის წევრი იყო, მან მაინც არ ჩათვალა საჭიროდ იმის განცხადება, რომ პირველ მოხსენებაში შეცდომა დაუშვა. არადა, ამ ფრაზამ ძირეულად შეცვალა ალექსანდერისა და მისი შტაბის დამოკიდებულება მოლაპარაკებებისადმი. თუ მათ არანაირად არ აინტერესებდათ SS-თან რაიმე სახის შეთანხმების მიღწევა, კესელრინგის მიერ იტალიაში კაპიტულაციის გამოცხადება სამხედრო თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანი იქნებოდა. ამიტომ ალექსანდერმა ითხოვა ინსტრუქციები ლონდონიდან და ვაშინგტონიდან შევიცარიში თავისი წარმომადგენლების გაგზავნის თაობაზე.

ჩერჩილმა მოუწონა ალექსანდერს ეს იდეა, ოღონდ აუკრძალა წარმომადგენლების გაგზავნა მოკავშირეთა გაერთიანებული შტაბის თანხმობის გარეშე და, აგრეთვე, საჭიროდ ჩათვალა მსგავსი შეხვედრის მოწყობამდე საბჭოთა მხარის ინფორმირება<sup>3</sup>. გაერ-

---

менко. Генеральный штаб в годы войны. М., 1989, гл. 507).

<sup>1</sup> A. Dulles. The Secret Surrender, გვ. 98-99.

<sup>2</sup> B. Smith, E. Agarossi. Operation “Sunrise”, გვ. 84. როგორც ჩანს, ასეთ ოფიცრად მან მიიჩნია ვოლფის ადიუტანტი ოიგენ ვენერი.

<sup>3</sup> B. Smith, E. Agarossi. Operation “Sunrise”, გვ. 85.

თიანებული შტაბიდანაც მოვიდა თანხმობა როგორც წარმომადგენლების გაგზავნაზე, ისე სტალინისათვის ინფორმაციის მიწოდებაზე<sup>1</sup>. ჩერჩილმაც, სსრკ-ში დიდი ბრიტანეთის ელჩის ა. კერის მეშვეობით, აცნობა საბჭოთა ლიდერს, რომ შესაძლებელი იყო ბერნში მოლაპარაკებების დაწყება იტალიაში კაპიტულაციის შესახებ და აღნიშნა, რომ არანაირი შემდგომი კონტაქტი არ მოხდებოდა პასუხის მიღებამდე<sup>2</sup>. ჩერჩილის ამ ნაბიჯმა ძალიან გააბრაზა ამერიკელები, რომლებმაც ჩათვალეს, რომ ინგლისის პრემიერ მინისტრს ჯერ მათთან უნდა შეეთანხმებინა ეს საკითხი და მხოლოდ შემდეგ მოეხდინა სტალინის ინფორმირება. აშშ-ს თავდაცვის მინისტრმა ჰ. სტიმსონმა ჩერჩილის ამ ნაბიჯს „საბელისწერო შეცდომა“ კი უწოდა<sup>3</sup>. გაირკვა, რომ ამერიკელებს სულაც არ სურდათ ბერნში საბჭოთა წარმომადგენლების მიწვევა. მათ, თავის მხრივ, აცნობეს სტალინს, რომ საბჭოთა წარმომადგენლებს კაზერტაში მოიწვევდნენ<sup>4</sup>. უფრო მეტიც, სტიმსონმა რატომღაც საჭიროდ ჩათვალა საბჭოთა მხარის საერთოდ მოტყუება და განუცხადა მათ, რომ ბერნში არანაირ მოლაპარაკებას არ ექნებოდა ადგილი<sup>5</sup>. სტალინმა ეს საკმაოდ უცნაურად ჩათვალა და 16 მარტს მოლოტოვს გააკეთებინა განცხადება, რომელშიც მოკავშირეებს მოსთხოვა ბერნში მიმდინარე მოლაპარაკებების შე-

<sup>1</sup> B. Smith, E. Agarossi. Operation "Sunrise", გვ. 85-86.

<sup>2</sup> B. Smith, E. Agarossi. Operation "Sunrise", გვ. 86. გაუგებარი მიზეზების გამო, დიდ ბრიტანეთისა და სსრკ-ს ურთიერთობების დიდი სამამულო ომის დროინდელ ოფიციალურ კრებულში სრული სახით ამ წერილმა ასახვა არ ჰპოვა. იქ მოყვანილია მხოლოდ პატარა ციტატა ალექსანდერის მოხსენებიდან, რომ ბერნში დაიწყო მოლაპარაკებები ვოლფთან და კომენტარში რატომღაც მითითებულია, რომ ამ მოლაპარაკებებს აწარმოებდა „ინგლის-ამერიკის ჯარების სტრატეგიული სამსახურების სამმართველო“ (Советско-американские отношения., т. II, გვ. 455-456, შენ. 75). ეს, ცოტა არ იყოს, უცნაურ შთაბეჭდილებას ტოვებს, რადგანაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვოლფთან კონტაქტი ჰქონდა აშშ-ს (და არა ინგლის-ამერიკის ჯარების) სტრატეგიული სამსახურების სამმართველოს ბერნის განყოფილებას.

<sup>3</sup> Diary of H. L. Stimson. Yale University, 12 march, 1945.

<sup>4</sup> B. Smith, E. Agarossi. Operation "Sunrise", გვ. 87. კაზერტაში უნდა მომხდარიყო საბოლოო შეთანხმება და კაპიტულაციის გამოცხადება.

<sup>5</sup> B. Smith, E. Agarossi. Operation "Sunrise", გვ. 91.

წყვეტა<sup>1</sup>.

ამერიკელების, და საერთოდ დასავლეთელი მოკავშირეების, მღვდმარეობა კიდევ უფრო დამძიმდა მომდევნო დღეს – 17 მარტს, როდესაც ალექსანდერმა, რომელმაც არაფერი იცოდა სტიმსონის შეტყობინებისა და მოლოტოვის მიმართვის შესახებ, საბჭოთა შტაბს გაუგზავნა წერილი და განაცხადა, რომ ბერნის მოლაპარაკებების წარმატებით დასრულების შემთხვევაში ის მოხარული იქნებოდა, მიეღო საბჭოთა წარმომადგენლები კაზერტაში<sup>2</sup>. ბუნებრივია, ამ წერილის მიღებამ კიდევ უფრო დააეჭვა სტალინი, რომელმაც ალექსანდერის წერილი უფრო სარწმუნოდ მიიჩნია და სავსებით სწორიც აღმოჩნდა. 19 მარტს ვოლფსა და ალექსანდერის წარმომადგენლებს – გენ. ეირისა და გენ. ლემბიტცერს შორის მოეწყო ახალი შეხვედრა, რომელზეც გერმანელმა გენერალმა გააცნო მოკავშირეებს ვერმახტის ჯარების იტალიაში კაპიტულაციის პირობები. ვოლფს ამ შეხვედრაზე ფაქტობრივად არანაირი რეალური წინადადება არ შემოუტანია და მხოლოდ ზოგადი ფრაზებით შემოიფარგლა. როგორც ჩანს, მას უბრალოდ დრო გაჰყავდა. ძნელი სათქმელია, იცოდნენ თუ არა გერმანელებმა მოკავშირეებს შორის უკვე დაწყებულ უთანხმოებაზე, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ მათ შეიტყვეს ამის შესახებ და ცდილობდნენ, ყოველმხრივ შეეწყოთ ხელი მისი გაღრმავებისათვის. ვოლფმა მოკავშირეებს განუცხადა, რომ ფელდმარშალ კესელრინგის დასავლეთის ფრონტზე გადაყვანის გამო საჭირო იქნებოდა იტალიაში გერმანული ნაწილების ახალი მთავარსარდლის გენ. ჰაინრიხ ფონ ფიტინგოფ შეელის თანხმობა კაპიტულაციაზე<sup>3</sup>. ვოლფმა აღუთქვა მოკავშირეებს, რომ ის ამას მიაღ-

<sup>1</sup> Советско-английские отношения..., т. II, გვ. 455-456, შენ. 75.

<sup>2</sup> B. Smith, E. Agarossi. Operation "Sunrise", გვ. 90.

<sup>3</sup> კესელრინგი სასწრაფოდ იქნა გადაყვანილი დასავლეთის ფრონტზე, რისთვისაც ჰიტლერმა საკუთარი თვითმფრინავიც კი გამოყო. იქ კესელრინგმა მთავარსარდლის პოსტზე შეცვალა ფელდმარშალი გერდ ფონ რუნდშტედტი (იხ.: C. Ford. Donovan of OSS. Boston, MA, 1970, გვ. 292). ამ უკანასკნელის გადაყვანების მთავარი მიზეზი გახდა მოკავშირეთა მიერ ლიუდენდორფის ხიდის ხელში ჩაგდება და მდ. რაინის მარჯვენა სანაპიროზე რემაგენის პლაცდარმის შექმ-

წვედა კესელრინგის დახმარებით, მაგრამ ამ უკანასკნელთან შესაზვედრად მას სჭირდებოდა გერმანიაში გამგზავრება. ამიტომ ვოლფმა ითხოვა ტაიმ-აუტი, რომელიც მას მიეცა კიდევ<sup>1</sup>. როგორც შემდეგ გაირკვა, ბერლინში ის გაემგზავრა არა კესელრინგთან შესაზვედრად, არამედ ჰიმლერისა და ჰიტლერისათვის ანგარიშის ჩასაბარებლად. ჰიტლერი სავსებით დააკმაყოფილა ვოლფის მიერ გაკეთებულმა მოხსენებამ და ის არ შეწინაღმდეგებია კონტაქტების გაგრძელებას<sup>2</sup>, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მის დანტერესებას ამ მოლაპარაკებით.

ამასობაში სტალინმაც მიიღო დაზუსტებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მოლაპარაკებები ბერნში კვლავ გრძელდებოდა<sup>3</sup> და 22 მარტს მოლოტოვს გააკეთებინა კიდევ ერთი საპროტესტო განცხადება ა. ჰარიმანისადმი<sup>4</sup> (აშშ-ს ელჩი საბჭოთა კავშირში). ამის შემდეგ ამ საკითხის განხილვა უკვე უმაღლეს დონაზე გადავიდა.

---

ნა. უნდა აღინიშნოს, რომ არ არის გამორიცხული, ლიუდენდორფის ხიდის ხელში ჩაგდება სპეცოპერაციის შედეგი ყოფილიყო. OSS-ის უფროსს, უილიამ დონოვანს იმ პერიოდში მჭიდრო კონტაქტი ჰქონდა ვაიცზეკერთან, რომელიც, თავის მხრივ, რუნდშტედტთან დაახლოებული პირი იყო (იხ.: **A. C. Brown. The Last Hero: Wild Bill Donovan**, გვ. 733). ხაზგასახმელია ის ფაქტიც, რომ სწორედ ამ ხიდის დანადგმა გერმანელებმა დააეაღეს პოლონელ მუშებს, რომლებიც ჩვეულებრივ ყველანაირი სამუშაოების საბოტაჟს ეწეოდნენ (**A. C. Brown. The Last Hero**, გვ. 735). როგორც ჩანს, ჰიტლერს რაღაც ეჭვები გაუჩნდა და სასწრაფოდ გადააყენა რუნდშტედტი (**A. C. Brown. The Last Hero**, გვ. 732).

<sup>1</sup> **B. Smith, E. Agarossi. Operation "Sunrise"**, გვ. 97-98.

<sup>2</sup> **В. Л. Исраэлян. Дипломатия в годы войны**, გვ. 370. საინტერესოა, რომ ვოლფს ამ შეხვედრის შემდეგ OSS-მა გააყოლა თავისი ჩეხი რადისტი, მეტსახელად „უოლი“, რომელიც ვოლფმა ციმერთან დააბინავა (**The Secret War Report of the OSS**. Edited and with Introduction by **Anthony Cave Brown**. New York, 1976, გვ. 253).

<sup>3</sup> არ არის გამორიცხული, რომ ადგილი ჰქონდა ინფორმაციის გაუქონებას, თანაც, შესაძლოა, ბერლინის მიერ დაგეგმილს, თუმცა შეიძლება სტალინის წყარო სულაც ვაშინგტონში იყო. როგორც ირუევა, დონოვანის ერთ-ერთი თანაშემწე, დუნკან ლი 1943 წლიდან მოყოლებული საბჭოთა აგენტის იყო (იხ.: **J. E. Persico. Roosevelt's Secret War: FDR and World War II Espionage**. New York, 2002, გვ. 293).

<sup>4</sup> **Советско-американские отношения...**, т. II, გვ. 338-339.

ნეზე დაიწყო. 25 მარტს სტალინმა რუზველტისაგან მიიღო წერილი<sup>1</sup>, რომელშიც აშშ-ს პრეზიდენტი საბჭოთა ლიდერს უხსნიდა იმის მიზეზებს, თუ რატომ არ იქნენ მიწვეული საბჭოთა წარმომადგენლები ბერნში. რუზველტმა აღნიშნა, რომ შვეიცარიაში მხოლოდ წინასწარი მოლაპარაკებები იმართებოდა და მათ დასკვნით ეტაპზე კაზერტაში უკვე საბჭოთა დელეგაციაც მიიღებდა მონაწილეობას. გარდა ამისა, მან განაცხადა, რომ მოკავშირეებს უარი არ უნდა ეთქვათ მოწინააღმდეგის წინააღმდეგე კაპიტულაციის შესახებ, რადგანაც ეს ზედმეტ მსხვერპლს აარილებდა მათ. რუზველტმა აგრეთვე აღნიშნა, რომ მას არ ექნებოდა არანაირი პრეტენზიები, თუ საბჭოთა მხარე ზუსტად ასევე მოიქცეოდა დანციგთან ან კენიგსბერგთან გერმანელებისაგან დანებების სურვილის გამოჩენის შემთხვევაში. ამიტომ აშშ-ს პრეზიდენტი აცხადებდა, რომ მოლაპარაკებები იტალიაში გერმანიის ჯარების კაპიტულაციის შესახებ არ შეწყდებოდა მიუხედავად, მისთვის სრულიად გაუგებარი მიზეზების გამო, საბჭოთა მხარის მიერ გაწეული წინააღმდეგობისა<sup>2</sup>.

სტალინზე რუზველტის არგუმენტებმა არანაირი გავლენა არ მოახდინა და საპასუხო წერილში მან ბრალი დასდო მოკავშირეებს, კერძოდ კი – ფელდმარშალ ალექსანდერს, ყირიმის კონფერენციის გადაწყვეტილებების დარღვევაში. მან აღნიშნა, რომ ალექსანდერი აძლევდა მოწინააღმდეგეს აღმოსავლეთისაკენ ძალების გადასროლის საშუალებას და რომ მოლაპარაკებების პერიოდში გერმანელებმა უკვე სამი დღეიზია გადმოიყვანეს იტა-

<sup>1</sup> აღსანიშნავია, რომ ბერნის ინციდენტთან დაკავშირებით რუზველტის მიერ სტალინისათვის გამოგზავნილი ყველა წერილი აღმირალღობის მიერ არის დაწერილი და სტიმსონისა და მარშალის რედაქტირებულია. რუზველტი მხოლოდ ათვალეიერებდა ხოლმე ამ წერილებს და ისე აწერდა ხელს. სმიტი და აგაროსი ამას რუზველტის ავადმყოფობით ხსნიან (B. Smith, E. Agarossi. Operation "Sunrise", გვ. 109), თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ აშშ-ს პრეზიდენტი იმ დროს არც თუ ცუდად გრძნობდა თავს (იხ.: А. И. Уткин. Дипломатия Франклина Рузвельта. Свердловск, 1990, გვ. 537). შესაძლოა, მას უბრალოდ სინდისის ქენჯნა აწუხებდა და არ სურდა სტალინისათვის ტყუილების საკუთარი ხელით მიწერა.

<sup>2</sup> Переписка..., т. II, გვ. 196-197.

ლიიდან საბჭოთა ფრონტზე<sup>1</sup>. გარდა ამისა, სტალინმა სულაც არ ჩათვალა მართებულად იტალიაში განლაგებული ვერმახტის ჯარების მდგომარეობის შედარება იმ ვითარებასთან, რომელიც შეიქმნა დანციგსა და კენიგსბერგთან. მან აღნიშნა, რომ უკანასკნელ შემთხვევაში გერმანელები ალყაში იყვნენ მოქცეულნი და მათი დანებება დიდ გავლენას არ იქონიებდა აღმოსავლეთის ფრონტზე, მაშინ როდესაც იტალიაში კაპიტულაციით ისინი გზას უხსნიდნენ ინგლისელებსა და ამერიკელებს. საბჭოთა ლიდერს ეეჭვებოდა, რომ გერმანელებს რაღაც სხვა მიზეზი ამოდრავებდათ, როდესაც მათ მოლაპარაკებაზე გადაწყვიტეს წასვლა, რადგანაც იტალიაში ისინი ალყაში არ იყვნენ მოქცეული და უკანდასახევი გზა ჰქონდათ. ის შიშობდა, რომ გერმანელები იტალიაში განლაგებულ ძალებს გადაისროდნენ აღმოსავლეთში და მოლაპარაკებებსაც სწორედ საბჭოთა ფრონტზე წინააღმდეგობის გაძლიერების მიზნით აწარმოებდნენ<sup>2</sup>. წერილის ბოლოს კი სტალინი ნიშნის მოგებით აღნიშნავდა, რომ აღმოსავლეთის ფრონტზე ანალოგიური ვითარების წარმოქმნის შემთხვევაში ის დაუყოვნებლივ სთხოვდა ინგლის-აშშ-ს ჯარების მთავარსარდლობას თავისი წარმომადგენლების გამოგზავნას, რადგანაც, მისი აზრით, მოკავშირეებს ასეთ სიტუაციაში ერთმანეთისაგან საიდუმლოებები არ უნდა ჰქონოდათ<sup>3</sup>.

საბჭოთა მხარის განუწყვეტელი პროტესტების მიუხედავად, კონსულტაციები ბერნში მაინც გრძელდებოდა. 30 მარტს ამერიკელებმა მიიღეს ახალი ცნობა ვოლფისაგან, რომელშიც ის იუწყებოდა, რომ კესელრინგი დათანხმდა, ეცნო კაპიტულაცია

<sup>1</sup> Переписка..., т. II, გვ. 199.

<sup>2</sup> Переписка..., т. II, გვ. 199. უნდა აღინიშნოს, რომ გერმანელები აღმოსავლეთის ფრონტზე ჯარების გადასროლას ყოველგვარი მოლაპარაკებების გარეშეც ახერხებდნენ და მხოლოდ ამ მიზნით ბერნში შეხვედრების მოწყობა არ სჭირდებოდათ. მათ აშკარად უფრო დიდი მიზნები ჰქონდათ დასახული.

<sup>3</sup> Переписка..., т. II, გვ. 199. ამ ფრაზის დაწერა სტალინს პრაქტიკულად არანაირ ვალდებულებას არ აკისრებდა. აღმოსავლეთის ფრონტზე მსგავსი სიტუაციის შექმნა უბრალოდ არარეალური იყო და ეს სტალინსაც კარგად ესმოდა.



იტალიაში გერმანელთათვის საუკეთესო გამოსავლად და გაეზიარებინა თავისი თვალსაზრისი ფიტინგოფისათვის<sup>1</sup>. წერილში ვოლფი იტყობინებოდა იმასაც, რომ მალე ჩამოვიდოდა შვეიცარიაში და განაგრძობდა მოლაპარაკებებს, თუმცა ეს მან ვერ (ან არ) მოახერხა. ამიტომ 2 აპრილს ასკონაში გამართულ შეხვედრაზე მხოლოდ პარილი გამოცხადდა. ამ უკანასკნელმა ამცნო მოკავშირეებს, რომ ვოლფი შეხვდა ფიტინგოფს და მიიღო მისგან თანხმობა მოლაპარაკებების წარმოებაზე<sup>2</sup>. ამის შემდეგ პარილიმ განაცხადა, რომ გერმანელები შეთანხმების უმთავრეს პირობად მიიჩნევდნენ თავიანთი ჯარების გერმანიაში დაბრუნების უზრუნველყოფას<sup>3</sup>. როგორც ვხედავთ, სტალინმა სწორად შეაფასა გერმანელების ნამდვილი მიზნები. სხვა საქმეა, რომ მოკავშირეთა წარმომადგენლებმა არ მიიღეს გერმანელთა წინადადებები, თუმცა მათ არც მოლაპარაკებები შეუწყვეტიათ, როგორც ეს 1 აპრილს აცნობა რუზველტმა სტალინს<sup>4</sup>.

აშშ-ს პრეზიდენტის ეს წერილი მიზნად ისახავდა დაძაბულობის მოხსნას. რუზველტმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმ გარემოებას, რომ შვეიცარიაში მიმდინარეობდა მხოლოდ მოსამზადებელი კონსულტაციები, ხოლო ძირითადი მოლაპარაკებები გაიმარ-

<sup>1</sup> B. Smith, E. Agarossi. Operation "Sunrise", გვ. 113.

<sup>2</sup> ეს სიმართლეს მხოლოდ ნაწილობრივ შეეფერებოდა. ფიტინგოფმა მართლაც მოუწონა ვოლფს ამერიკელებთან ურთიერთობების დამყარება, მაგრამ ნებისმიერი დახმარებისაგან იმ ეტაპზე თავი შეიკავა (იხ.: B. Smith, E. Agarossi. Operation "Sunrise", გვ. 118-119). არ არის გამორიცხული, რომ ამერიკელებმაც შეიტყვეს ფიტინგოფის ორგოფული დამოკიდებულების შესახებ ამ საკითხისადმი. ყოველ შემთხვევაში, სწორედ ამ პერიოდში მათ სცადეს გერმანელი გენერლის მოცილება. ზემოხსენებულმა „უოლიშ“ OSS-ს შეატყობინა ფიტინგოფის შტაბ-ბინის ზუსტი მისამართი, რასაც მოჰყვა დაბომბვა და ფიტინგოფიც ძლივს გადაურჩა სიკვდილს (იხ.: *The Secret War Report of the OSS*, გვ. 253).

<sup>3</sup> B. Smith, E. Agarossi. Operation "Sunrise", გვ. 119.

<sup>4</sup> *Нерениска...* т. II, გვ. 203. ამერიკელი მკვლევარი უ. კიმბოლი, სტიმსონზე დაყრდნობით, იცავს რუზველტს და მიიჩნევს, რომ მას, შესაძლოა, არ ჰქონდა სრული ინფორმაცია ბერნის ინციდენტის შესახებ (იხ.: W. F. Kimball. *Forged in War: Churchill, Roosevelt and the Second World War*. L., 1997, გვ. 326).

თებოდა კაზერტაში და იქ მხოლოდ უპირობო კაპიტულაციაზე იქნებოდა საუბარი<sup>1</sup>. ეს იყო აშკარა ტყუილი, თუმცა რუზველტს უკვე სხვა გამოსავალი არ დარჩენოდა. აშშ-ს პრეზიდენტმა ისიც აღნიშნა, რომ ალექსანდერი ვერანაირად ვერ შეუშლიდა ხელს გერმანელების მიერ 3 დივიზიის აღმოსავლეთში გადასროლას, რადგანაც ეს დივიზიები გაყვანილ იქნენ იტალიიდან 1945 წლის იანვარ-თებერვალში, ე. ი. მანამდე, სანამ გერმანელებმა საუბარი დაიწყეს კაპიტულაციაზე<sup>2</sup>. ამასთან, ამავე პერიოდში თვითონ მოკავშირეებმაც გადაისროლეს თავისი ნაწილები იტალიიდან დასავლეთის ფრონტზე, სადაც ისინი რაინის ფორსირებისათვის ემზადებოდნენ. გარდა ამისა, რუზველტმა ამცნო სტალინს, რომ იგეგმებოდა შეტევა იტალიაში, რომელიც, მართალია, არ იქნებოდა ფართო მასშტაბის, რადგანაც მოკავშირეებს აქ მხოლოდ 17 დივიზია ჰყავდათ 24-ის წინააღმდეგ, მაგრამ ეს მაინც შეუშლიდა ხელს მომავალში გერმანელთა ჯარების გადაყვანას აპენინის ნ-კ-დან რომელიმე სხვა ფრონტზე<sup>3</sup>. თავისი წერილის ბოლო ნაწილში კი აშშ-ს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მთელი ეს საკონფლიქტო სიტუაცია წარმოიშვა ერთი გერმანელი ოფიცრის ინიციატივის გამო, რომელსაც მთავარ მიზნად დასახული ჰქონდა მოკავშირეებს შორის უნდობლობის ჩამოგდება და გამოთქვა იმედი, რომ ეს წერილი სტალინს ყოველგვარ ეჭვებს გაუფანტავდა<sup>4</sup>.

აშკარაა, რომ რუზველტი, როგორც იქნა, მიხვდა ვოლფის მოქმედების ნამდვილ მიზანს, მაგრამ გასაოცარია, რომ მან არც ამის შეზღვევა გასცა ბრძანება ბერნის მოლაპარაკებების საბოლოოდ შეწყვეტის შესახებ. კონტაქტები დალესსა და პარილის შორის გრძელდებოდა და დალესიც ღებულობდა ვოლფის წერილებს, რომლებიც ფაქტობრივად არანაირ ფასეულ ინფორმაციას არ შეიცავდა. მხოლოდ 21 აპრილს, იტალიაში მოკავშირეთა შეტევის დაწყებამდე 2 დღით ადრე<sup>5</sup>, მიიღო დალესმა ბრძანება გა-

<sup>1</sup> *Переписка...*, т. II, გვ. 203.

<sup>2</sup> *Переписка...*, т. II, გვ. 203.

<sup>3</sup> *Переписка...*, т. II, გვ. 203.

<sup>4</sup> *Переписка...*, т. II, გვ. 203.

<sup>5</sup> სხვა ფრონტებზე მდგომარეობა უკვე გარკვეული იყო: აღმოსავლეთში საბჭოთა ჯარებმა ალყა შემოარტყეს ბერლინს, დასავლეთ-  
266

ერთიანებული შტაბიდან ვოლფთან ყველანაირი კონტაქტების გაწყვეტის თაობაზე<sup>1</sup>. მიუხედავად ამისა, დალესი ამ ბრძანებას არ დაემორჩილა და როდესაც მიიღო ცნობა პარილისაგან ვოლფისა და გერმანიის არმიის წარმომადგენლის საზღვართან მოსვლის შესახებ, თავის ხელმძღვანელობას მოსთხოვა ახალი ბრძანების გაცემა კონტაქტების აღდგენის შესახებ.

მართლაც, დალესმა ასეთი ბრძანება მიიღო 25 აპრილს, მაშინ, როდესაც მოკავშირეთა შეტევა უკვე ორი დღის დაწყებული იყო და მათ მოახერხეს მდ. პოს ხეობაში გერმანელთა თავდაცვითი ზღუდეების გარღვევა, რაც გადამწყვეტ წარმატებას ნიშნავდა. უფრო მეტიც, 25 აპრილს ჩრდილოეთ იტალიაში დაიწყო აჯანყება, რის შედეგადაც ტურინი, გენუა და მილანი პარტიზანების ხელში გადავიდა. ვოლფი თვითონაც ალყაში მოექცა ერთ-ერთ სოფელში, საიდანაც დალესის ხალხმა ის ძლიევ გამოიყვანა<sup>2</sup>. 27 აპრილს დალესმა მიიღო ბრძანება, რომ გადაეგზავნა ვოლფი კაზერტაში, ხოლო თვითონ თავი შეეკავებინა რაიმე მოლაპარაკებებისაგან შვეიცარიაში. ამ ღროისათვის გერმანული შენაერთები იტალიაში რაიმე სერიოზულ ძალას არ წარმოადგენდნენ და მაქსიმუმ ერთი კვირის განმავლობაში ალბათ უეოლფოდაც დახვდებოდნენ მოკავშირეებს, მაგრამ მაინც გადაწყდა, რომ კაპიტულაცია უფრო სწრაფად სწორედ ვოლფის დახმარებით მოხდებოდა<sup>3</sup>. არ არის გამორიცხული, რომ მოკავშირეებს ასეთი გადაწყვეტილება განაპირობა ტრიესტში ტიტოს ძალებზე უფრო ადრე შესვლის სურვილმა. თუმცა მათ აქაც კაზუსი შეემთხვათ. კაპიტულაციამდე რამდენიმე დღით ადრე ტრიესტი იტალიაში

---

ში კი – გერმანული ნაწილები, ყოველგვარი ვოლფების გარეშე, თითქმის მასობრივად ნებდებოდნენ ამერიკელებსა და ბრიტანელებს.

<sup>1</sup> B. Smith, E. Agarossi. Operation "Sunrise", გვ. 154.

<sup>2</sup> A. Dulles. The Secret Surrender, გვ. 186-187. როგორც ჩანს, დალესი და მისი ხალხი იმდენად შეიპყრო გამარჯვების უომრად მიღწევის იდეამ, რომ მათ ასეთ სიტუაციაშიც კი არ დაიშურეს ძალ-ღონე კაპიტულაციის მოსაწყობად, რაც ალბათ, პირველ რიგში, უკვე საკუთარი დამსახურებისა და როლის წარმოჩენის სურვილით იყო განპირობებული.

<sup>3</sup> B. Smith, E. Agarossi. Operation "Sunrise", გვ. 145-146.

განლაგებული ჯარების იურისდიქციიდან გადაეცა არმიათა ჯგუფ „H“-ის სარდლობას. ასე რომ, კაპიტულაციისას მოკავშირეებმა ტრიესტის ავტონატურად დაკავების უფლება ვერ მიიღეს.

29 აპრილს კაზერტაში ხელი მოეწერა იტალიაში განლაგებული (უფრო სწორად, ტრიესტის მახლობლად გამომწყვდეული) გერმანული ნაწილების უპირობო კაპიტულაციას<sup>1</sup>. ბუნებრივია, რომ ამ ფაქტმა დიდი ზეგავლენა ვერ მოახდინა სხვა ფრონტებზე არსებულ მდგომარეობაზე, რადგანაც 10 დღეში იქაც ყველაფერი მოთავდა. ასე რომ, ვოლფმა თავის მთავარ მიზანს – მოკავშირეთა შორის განხეთქილების ჩამოგდებას ვერ მიაღწია, თუმცა, სამაგიეროდ, საჭირო ღროს მართლაც შეძლო კაპიტულაციის მოწყობაში მონაწილეობის მიღება და საკუთარი თავის გადარჩენა.

და მაინც, ვოლფი თავის საბოლოო მიზანთან საკმაოდ ახლოს აღმოჩნდა 1945წ. აპრილის დასაწყისში. სტალინმა რუზველტის 1 აპრილის წერილი დამაკმაყოფილებლად სულაც არ ჩათვალა. 3 აპრილს მან აშშ-ს პრეზიდენტს, და საერთოდ დასავლეთელ მოკავშირეებს, სერიოზული ბრალდება წარუყენა. სტალინმა განაცხადა, რომ საბჭოთა ინფორმატორების ცნობებით, ბერნში მიმდინარე მოლაპარაკებები დასრულდა შეთანხმებით, რომ-

---

<sup>1</sup> ამ კაპიტულაციას დაესწრო გენ. ა. კისლენკო, საბჭოთა წარმომადგენელი იტალიის საქმეების საკონსულტაციო საბჭოში. კაპიტულაციის პირობები ძალაში შედიოდა 2 მაისს, 12 საათზე (იხ.: E. F. Fisher, Jr. *Cassino to the Alps. – United States Army in the World War II. The Mediterranean Theater of Operations.* Wash., DC, 1993, გვ. 522-524). აღსანიშნავია, რომ კაპიტულაციის ხელმოწერისას მოხდა მცირე ინციდენტი. გენ. კლარკი შეურაცხყოფილი დარჩა, რომ გერმანელთა წარმომადგენელ ფონ ზენგერს კაპიტულაციაზე ხელის მოწერისას თან პქონდა საკუთარი რეკოლმერი და უბრძანა მას იარაღის დაფრა, რაც შესრულებული იქნა კიდევ (იხ.: M. W. Clark. *Calculated Risk.* New York, 1950, გვ. 440). როგორც ჩანს, კლარკმა არ იცოდა, რომ ხმელთაშუაზღვისპირეთში მოკავშირეთა სარდალმა გენ. უილსონმა კაპიტულაციის ძალაში შესვლამდე გერმანელ ოფიცრებს იარაღის ტარების ნება დართო. ამ უკანასკნელთ ეშინოდათ, რომ ზოგიერთ ნაწილს შეიძლება უარი ეთქვა დანებებაზე და არ დამორჩილებოდა საკუთარ ხელმძღვანელობას (E. F. Fisher, Jr. *Cassino to the Alps*, გვ. 523).

ლის თანახმადაც კესელრინგი დათანხმდა ინგლისელებსა და ამერიკელებს დასავლეთის ფრონტის მოხსნას დაზავების პირობების შემსუბუქების სანაცვლოდ. მისი აზრით, ყოველივე ეს ძალიან წააგავდა სიმართლეს, რადგანაც წინააღმდეგ შემთხვევაში საბჭოთა წარმომადგენლებს მიიწვევდნენ შევიცარიაში<sup>1</sup>. სტალინის თქმით, მას კარგად ესმოდა, თუ რა დივიდენდებს მიიღებდნენ ინგლის-ამშშ-ს ჯარები ამ სეპარატული მოლაპარაკებების შედეგად, მაგრამ ეს, მისი აზრით, მაინც არ იქნებოდა გამართლებული, რადგანაც მოკავშირეთა შორის ნდობის შენარჩუნება-განმტკიცება უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე გერმანიის სიღრმეში პრაქტიკულად უბრძოლველად წინსვლა. საბჭოთა ლიდერის განცხადებით, ის არასდროს არ გადადგამდა მსგავს ნაბიჯს<sup>2</sup>.

სტალინის ასე მკვეთრად გამოხატულ უკმაყოფილებას და მოკავშირეების პირდაპირ დადანაშაულებას კესელრინგთან ხელშეკრულების დადებასა და ამის სანაცვლოდ სამხედრო წარმატებების მოპოვებაში, საკმაოდ სერიოზული მიზეზები ჰქონდა. მას კარგად ესმოდა, რომ ომის შემდგომ პოლიტიკურად გაცილებით უფრო მომგებიან სიტუაციაში აღმოჩნდებოდა ის მხარე, რომლის ჯარებიც დაიკავებდნენ ბერლინს. სტალინს ეშინოდა, რომ ამერიკელები და ინგლისელები მართლაც წავიდოდნენ გერმანელებთან შეთანხმებაზე, რათა პირველებს მიეღწიათ გერმანიის დელაქაქამდე. ერთი შეხედვით, მას თითქოს არ უნდა ჰქონოდა ასეთი შიშის საფუძველი, რადგანაც 1945წ. 28 მარტს მოკავშირეთა ჯარების უმაღლესმა მთავარსარდალმა დასავლეთ ევროპაში დუაიტ ეიზენჰაუერმა საბჭოთა ლიდერს აცნობა, რომ მისი ძალების მთავარი დარტყმა ბერლინის სამხრეთით – ერფურტის, ლაიფციგისა და დრეზდენისაკენ იქნებოდა მიმართული<sup>3</sup>. ამ ინფორმაციას სტალინი უნდა დაემშვიდებინა, მაგრამ მან ან რაღაც იცოდა, ან უბრალოდ ზვდებოდა, რომ ბერლინის საკითხზე მოკავშირეებს შორის თანხმობა არ არსებობდა. მართლაც, დასავლეთულ

<sup>1</sup> Переписка..., т. II, გვ. 204.

<sup>2</sup> Переписка..., т. II, გვ. 204-205.

<sup>3</sup> D. Eisenhower. Crusade in Europe. New York, 1948, გვ. 523; Д. Эйзенхауэр. Крестовый поход в Европу. Военные мемуары. М., 1980, гв. 452.

მოკავშირეებს შორის აზრთა სხვადასხვაობა იყო ბერლინის ასაღებად ოპერაციის განხორციელების მიზანშეწონილობის შესახებ. ამ დისპუტმა განსაკუთრებით მწვავე ხასიათი სწორედ ეიზენჰაუერის აღნიშნული წერილის შემდეგ მიიღო. ჩერჩილმა ჩათვალა, რომ მოკავშირეთა ჯარების მთავარსარდალმა გადაამეტა თავის უფლებებს, როდესაც აცნობა სტალინს თავისი გეგმის შესახებ. მართალია, 1945წ. იანვარში ეიზენჰაუერს მიეცა უფლება, სამხედრო საკითხების თაობაზე პირდაპირ დაკავშირებოდა მოსკოვს, მაგრამ, ბრიტანეთის პრემიერის აზრით, ეს პრობლემა სცილდებოდა მხოლოდ სამხედრო ჩარჩოებს და მას პოლიტიკური ასპექტებიც ჰქონდა. ჩერჩილი საჭიროდ თვლიდა ბ. მონტგომერის ძალებისათვის ყველა შესაძლო ნაწილის დამატებას და ამ შენაერთის გაგზავნას ბერლინის მიმართულებით<sup>1</sup>. მან მიმართა კიდევ აღნიშნული წინადადებით გაერთიანებულ შტაბს. საბოლოოდ, ამერიკელებმა მაინც ძალაში დატოვეს ეიზენჰაუერის გეგმა, რაც რეალობის საღად შეფასებას ნიშნავდა. ეიზენჰაუერის თქმით, ბერლინის აღება მაშინ, როდესაც საბჭოთა ჯარები გერმანიის დედაქალაქიდან დაახლოებით 50-55კმ-ზე იმყოფებოდნენ, შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ უზარმაზარი მსხვერპლის – 100 ათ. ამერიკელი ჯარისკაცის სიცოცხლის ფასად და ასეთი დანაკარგებიც კი არ იძლეოდა წარმატების სრულ გარანტიას<sup>2</sup>. გარდა ამისა, რუზველტი ითვალისწინებდა იმ გარემოებასაც, რომ იალტაში ის და ჩერჩილი დათანხმდნენ ბერლინის საბჭოთა საოკუპაციო ზონაში მოქცევას, რაც იძულებულს გახდიდა მათ, გერმანიის დედაქალაქის აღების შემთხვევაში მაინც გადაეცათ ქალაქი საბჭოთა მხარისათვის.

სტალინის ბრალდებები, რასაკვირველია, არ შეიძლებოდა უპასუხოდ დარჩენილიყო და 1945წ. 5 აპრილს საბჭოთა ლი-

<sup>1</sup> D. Eisenhower. Crusade in Europe, გვ. 515.

<sup>2</sup> D. Eisenhower. Crusade in Europe, გვ. 575. აღსანიშნავია, რომ თუ ამერიკელმა სარდლებმა 100 ათ. კაცი უზარმაზარ მსხვერპლად ჩათვალეს, საბჭოთა მხარე ასე სულაც არ ფიქრობდა. 100 ათ. კაცი მარშალმა გ. ჟუკოვმა 2 დღეში შეაწყვიტა ზეელის სიმაღლეების აღებას, საერთო ჯამში კი ბერლინის აღებისას დაიღუპა 500 ათ. საბჭოთა ჯარისკაცი.

დერმა მიიღო მორიგი წერილი რუზველტისაგან. აღნიშნულ წერილში აშშ-ს პრეზიდენტმა გამოთქვა თავისი გაცემა სტალინის ბრალდების გამო, თითქოს ბერნში დაიღო შეთანხმება კესლერინგთან, რისი შედეგიც იყო აშშ-ინგლისის ჯარების ელვისე ბური წინსვლა დასავლეთის ფრონტზე. ეს, რუზველტის თქმით, ინგლისელთა და ამერიკელთა სამხედრო წარმატებებით იყო განპირობებული და რომ ეიზენჰაუერი მოწინააღმდეგე მხარესთან დადებდა მხოლოდ ერთ შეთანხმებას, კერძოდ, მიიღებდა უპირობო კაპიტულაციას<sup>1</sup>. გარდა ამისა, აშშ-ს პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ ბერნში მიმდინარე შეხვედრები ატარებდა საკონსულტაციო ხასიათს, რის გამოც მათ არ ჰქონდა არანირი პოლიტიკური კონტექსტი და არავითარი მოლაპარაკებები კაპიტულაციის შესახებ იქ არ წარმოებულა. ამასთან, რუზველტმა აღუთქვა სტალინს, რომ საბჭოთა წარმომადგენლებს მიწვევდნენ იტალიაში მყოფი გერმანიის ჯარების უპირობო კაპიტულაციის პრინციპზე დაფუძნებული დანებების პროცედურაზე დასასწრებად<sup>2</sup>. წერილის დასკვნით ნაწილში რუზველტმა გამოხატა თავისი უკიდურესი უკმაყოფილება იმ პირობების მიმართ, რომლებმაც არასწორი ინფორმაცია მიაწოდეს საბჭოთა ლიდერს ბერნის შეხვედრების შესახებ და გამოთქვა ვარაუდი, რომ ეს ცნობები მიღებული იყო გერმანული წყაროებიდან<sup>3</sup>. აშშ-ს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ვოლფმა ეტყობა ნაწილობრივ მიაღწია კიდევ თავის მიზანს და შეძლო მოკავშირეთა შორის გარკვეული განხეთქილების შეტანა, რის დასტურადაც გამოდგებოდა სტალინის 3 აპრილის წერილი<sup>4</sup>.

რუზველტს ამჯერად მხარი აუბა ჩერჩილმაც, რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში სტალინთან მიმოწერისას ფაქტობრივად არ შეხებია „ბერნის ინციდენტს“. როგორც ჩანს, მისი გააქტიურება გამოიწვია სტალინის ზემოხსენებული 3 აპრი-

<sup>1</sup> Переписка..., т. II, გვ. 205-206.

<sup>2</sup> Переписка..., т. II, გვ. 205.

<sup>3</sup> Переписка..., т. II, გვ. 205. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს მართლაც ძალზე სავარაუდო უნდა იყოს.

<sup>4</sup> Переписка..., т. II, გვ. 206.

ლის წერილის ერთმა ნაწილმა, რომელშიც საბჭოთა ლიდერმა მთელი პასუხისმგებლობა ბერნში მიმდინარე მოლაპარაკებებზე ინგლისელებს დააკისრა და ამერიკელები მათი ინტრიგების მსხვერპლად გამოიყვანა. ჩერჩილმა სტალინს აუწყა, რომ ინგლისელები უკიდურესად გოცებულნი და შეურაცხყოფილნი დარჩნენ ამგვარი ბრალდებით<sup>1</sup>. ინგლისის პრემიერმა ხაზი გაუსვა, რომ შვეიცარიაში გერმანელთა იტალიაში კაპიტულაციის შესახებაც კი არ შემდგარა არავითარი მოლაპარაკებები და, მით უმეტეს, ამ შეხვედრებზე არ დადებულა ასეთი სამარცხვინო სამხედრო-პოლიტიკური შეთანხმება. ჩერჩილმა აღნიშნა, რომ ბერნის კონსულტაციების წარმატებით დასრულების შემთხვევაში გათვალისწინებული იყო საბჭოთა წარმომადგენლების მიწვევა ალექსანდრის შტაბში საბოლოო მოლაპარაკებებზე, თუმცა კონტაქტების ჩამლის გამო ამ იდეიდან არაფერი არ გამოვიდა. წერილის ბოლოს ინგლისის პრემიერმა გაიზიარა რუზველტის აღშფოთება საბჭოთა ინფორმატორებზე მათ მიერ სტალინისათვის არასწორი ცნობების მიწოდების გამო<sup>2</sup>.

წააწყდა რა რუზველტისა და ჩერჩილის მხრიდან ასეთ მწვავე რეაქციას, სტალინი იძულებული გახდა, საპასუხო წერილში, რომელიც მან აშშ-ს პრეზიდენტს 1945წ. 7 აპრილს გაუგზავნა, ოდნავ შეერბილებინა ტონი და უარი ეთქვა გერმანელებთან შეთანხმებაში თავისი მოკავშირეების პირდაპირ დადანაშაულებაზე. საბჭოთა ლიდერმა განაცხადა, რომ მას არ ეპარებოდა ეჭვი რუზველტისა და ჩერჩილის პატიოსნებასა და საიმედოობაში<sup>3</sup>. მან აღნიშნა, რომ საქმე ეხებოდა მხოლოდ იმას, თუ

<sup>1</sup> Переписка..., т. I, გვ. 316. როგორც ჩანს, სტალინის ამგვარ ბრალდებას საფუძვლად დაედო ის ფაქტი, რომ მოკავშირეთა ჯარებს იტალიაში სარდლობდა ბრიტანელი ფელდმარშალი ალექსანდერი. არადა, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ინგლისელებს აშკარად ძალზედ მცირე წვლილი მიუძღოდათ „ბერნის ინციდენტში“. მთელი ამ ავანტიურის მთავარ სულისჩამდგმელად თამამად შეიძლება ჩაითვალოს აღენ დაღესი, რომელმაც ეოლფის მიერ მომზადებული სატყუარა მთლიანად ჩაყლაპა.

<sup>2</sup> Переписка..., т. I, გვ. 317.

<sup>3</sup> Переписка..., т. II, გვ. 206-208.



როგორ აფასებდნენ მხარეები თავიანთ მოკავშირულ ვალდებულებებს. სტალინის თქმით, ამ საკითხისადმი ინგლისსა და აშშ-ს სულ სხვა დამოკიდებულება ჰქონდათ, ვიდრე საბჭოთა კავშირს, თუმცა, მისი აზრით, სწორედ საბჭოთა მიდგომა იყო სწორი, რადგანაც ის გამორიცხავდა ყოველგვარ ეჭვებს მოკავშირეთა ურთიერთობებში და არ მისცემდა მოწინააღმდეგეს მათ შორის უნდობლობის ჩამოგდების საშუალებას<sup>1</sup>. საბჭოთა ლიდერი არ დაეთანხმა რუზველტს არც იმაში, რომ დასავლეთის ფრონტზე ინგლისელებისა და ამერიკელების წარმატებები გამოწვეული იყო მხოლოდ გერმანელების მიერ იქ განცდილი სამხედრო კრახით. მან განაცხადა, რომ გერმანელებს თავისუფლად შეეძლოთ დასავლეთში 15-20 დივიზიის გადასროლა აღმოსავლეთის ფრონტიდან, სადაც მათ 147 დივიზია ჰყავდათ, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. სტალინს ძალიან უცნაურად მიაჩნდა, რომ მოწინააღმდეგე გააფთრებით ებრძოდა საბჭოთა ჯარებს ჩეხოსლოვაკიაში რომელიმე ნაკლებად ცნობილ სადგურ ზემლიანიცასათვის, რომელსაც არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა გერმანიისათვის, მაშინ როდესაც ინგლისელები და ამერიკელები ფაქტობრივად უბრძოლველად იღებდნენ ოსნაბრიუკს, მანჰაიმსა და კასელს – საკვანძო პუნქტებს გერმანიის ცენტრში<sup>2</sup>.

უნდა ითქვას, რომ, ჩვენი აზრით, სტალინის ამ განცხადებას გულწრფელობა აკლდა. მან ძალიან კარგად იცოდა, რომ გერმანელებს ერჩივნათ კაპიტულაციის გამოცხადება სწორედ დასავლეთელი მოკავშირეების და არა საბჭოთა კავშირის წინაშე. ასე რომ, მისთვის სრულიადაც არ უნდა ყოფილიყო გაუგებარი მოწინააღმდეგის ამგვარი მოქმედება. შესაძლოა, სტალინის ეს განცხადება სხვა არაფერი იყო, თუ არა ინგლისელებისა და ამერიკელების კიდევ ერთხელ დადანაშაულება გერმანელებთან შეთანხმების დადებაში, ოღონდ ამჯერად ყოველივე ეს ბევრად უფრო დაპლომატიურად იყო გამოთქმული. ამას ადასტურებს ისიც, რომ წერილის ბოლოს სტალინმა დაიცვა თავისი ინფორმატორები, რომლებიც, მისი თქმით, არაერთხელ იყვნენ შემოწმებულ-

<sup>1</sup> Переписка..., т. II, გვ. 206-207.

<sup>2</sup> Переписка..., т. II, გვ. 207.

ნი საქმეში. გარდა ამისა, მან ეჭვი შეიტანა მოკავშირეთა მიერ მოწოდებული ცნობების სისწორეში, რის დასტურადაც მოიყვანა ჯ. მარშალის მონაცემები, რომლებიც 1945წ. თებერვალში გადაეცა საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების გენერალურ შტაბს.

სტალინის განცხადებით, ამერიკელი გენერლის ინფორმაციის თანახმად, მარტში გერმანელები აპირებდნენ ორი მძლავრი კონტრშეტევის მოწყობას აღმოსავლეთის ფრონტზე. ერთი შეტევა მიმართული იქნებოდა პომერანიიდან ტორნისკენ, ხოლო მეორე – მორავსკა ოსტრავიდან ლოდისკენ. მარშალის ეს მონაცემები თავიდან ბოლომდე მცდარი აღმოჩნდა. სტალინი ერთგვარი ნიშნის მოგებით უცხადებდა რუზველტს, რომ 1945წ. მარტში გერმანელებმა მართლაც მოაწყვეს კონტრშეტევა, ოღონდ ბუდაპეშტის მიდამოებში, კერძოდ, ბალატონის ტბის რაიონში და მარშალმა ტოლბუხინმა, საბჭოთა ლიდერის თქმით, კატასტროფის თავიდან აცილება მხოლოდ საბჭოთა ინფორმატორების წყალობით მოახერხა, რომელთაც, მართალია, დაგვიანებით, მაგრამ მაინც გაიგეს გერმანელების ნამდვილი გეგმები და აცნობეს მათ შესახებ მთავარსარდლობას<sup>1</sup>. ასე რომ, სტალინმა ფაქტობრივად უკან არ დაიხია, თუმცა ამჯერად უფრო დიპლომატიური ტონით ამჯობინა ფონს გასვლა. მან აღნიშნული წერილი ჩერჩილსაც გადაუგზავნა პატარა შესავლით, რომელშიც ინგლისის პრემიერს აცნობა, რომ თუ მისი ყველა გულწრფელი განცხადება შეურაცხყოფად იქნებოდა აღქმული, ეს ძალზე გაართულებდა მიმოწერას<sup>2</sup>.

სტალინის 7 აპრილის წერილით „ბერნის ინციდენტი“ ფაქტობრივად ისტორიას ჩაბარდა. ჩერჩილი შემდგომში არც შეხებია ამ თემას, ხოლო რუზველტმა 12 აპრილს (თავის სიკვდილამდე რამდენიმე საათით ადრე) სტალინს გამოუგზავნა პატარა ბარათი, რომელშიც მადლობა გადაუხადა მას თავისი თვალსაზრისის გულწრფელად გაზიარებისათვის და იმედი გამოთქვა, რომ მომავალში მსგავსი შემთხვევები არ განმეორდებოდა<sup>3</sup>. როგორც

<sup>1</sup> Переписка..., т. II, გვ. 207-208.

<sup>2</sup> Переписка..., т. I, გვ. 321.

<sup>3</sup> Переписка..., т. II, გვ. 211-212.

ჩანს, არც მას სურდა ამ საკითხზე შეჩერება, მით უმეტეს, რომ 1945წ. 5 აპრილს სტალინმა ინგლისსა და აშშ-ს სამოკავშირო ვალდებულებების დაცვის მაგალითი უჩვენა, როდესაც მოახდინა 1941 წლის 13 აპრილს იაპონიასთან დადებული პაქტის აღწერა<sup>1</sup>. ასე და ამგვარად, ვოლფის მიერ 1945წ. თებერვალში დაწყებულმა პროვოკაციამ თავის მიზანს ვერ მიაღწია, თუმცა მოკავშირეებს შორის საკმაოდ დიდი დაძაბულობა ჩამოაგდო.

## **§2. სან ფრანცისკოს კონფერენცია. გაერთიანებული ქრეების ორგანიზაციის შექმნა**

ბერნის ინციდენტის დასრულებიდან რამდენიმე დღეში ანტიპიტლერულმა კოალიციამ დიდი დანაკლისი განიცადა. 1945წ. 12 აპრილს უორმ სპრინგსში გარდაიცვალა აშშ-ს პრეზიდენტი ფრანკლინ დელანო რუზველტი. ამ ფაქტმა გერმანიის ხელმძღვანელობის უმაღლეს ეშელონებში ახალი იმედები გააღვიძა. პიტლერმა ეს მოვლენა მიიჩნია იმის ნიშნად, რომ გერმანია გადარჩებოდა. მისი აზრით, რუზველტის სიკვდილის შემდეგ სამხედრო კონფლიქტი ანტიპიტლერული კოალიციის წევრებს შორის გარდაუვალი იქნებოდა<sup>2</sup>. პიტლერის ამ იმედებს თითქოს ჰქონდა კიდევ გარკვეული საფუძველი. აშშ-ს ახალი პრეზიდენტი ხომ პარი ტრუმენი გახდა — სწორედ ის პარი ტრუმენი, რომელმაც გერმანიის საბჭოთა კავშირზე თავდასხმის პირველ დღეებში შემდეგი განცხადება გააკეთა: „თუ ჩვენ ვნახავთ, რომ იმარჯვებს გერმანია, მაშინ უნდა დავეხმაროთ საბჭოთა კავშირს, ხოლო თუ რუსები დაიწყებენ გამარჯვებას, მაშინ ჩვენ უნდა დავეხმაროთ გერმანიას, და დაე მათ ხოცონ ერთმანეთი“<sup>3</sup>. ასევე ცნობილი იყო ტრუმენის უფრო მკვეთრი ანტისაბჭოური განცხადებაც: „ნაციზმთან ომში კომუნისტების გამარჯვება არანაკლებ და უფრო სახიფათოც კი არის, ვიდრე პიტლერის მიერ რუსეთის დაპყრო-

<sup>1</sup> История дипломатии, т. IV, гл. 696-697.

<sup>2</sup> В. Л. Исраэлян. Дипломатия в годы войны, гл. 384.

<sup>3</sup> The New York Times, 24.VI.1941.

ბა“.<sup>1</sup> ბუნებრივია, აშშ-ს ახალი პრეზიდენტის ამგვარი განცხადებები ჰიტლერსა და მის გუნდს ნამდვილად აძლევდა ერთგვარი ოპტიმიზმის საფუძველს, მაგრამ იმედი, რომელსაც ისინი თეთრი სახლის ახალ პატრონზე ამყარებდნენ, ფუჭი აღმოჩნდა. 1945წ. აპრილში ტრუმენი სულაც არ აპირებდა გერმანიის ხსნას. 22 აპრილს, მოლოტოვთან შეხვედრისას, აშშ-ს ახალმა პრეზიდენტმა ზაზი გაუსვა, რომ ის დაიცავდა რუზველტის მიერ ხელმოწერილ ყველა შეთანხმებას<sup>2</sup>. თუმცა, როგორც სულ მოკლე ხანში გახდა ნათელი, ეს სულაც არ ნიშნავდა, რომ ტრუმენი მომავალში გააგრძელებდა რუზველტისეული დათმობების პოლიტიკას. საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისართან შეხვედრამდე რამდენიმე დღით ადრე თეთრ სახლში შედგა საგანგებო თათბირი, რომელზეც აშშ-ს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირთან მიმართებაში ის გაცილებით უფრო ხისტ პოლიტიკას გაატარებდა<sup>3</sup>. ტრუმენზე გაცილებით უფრო შორს მიდიოდა ზოგიერთი ამერიკელი სამხედრო თუ პოლიტიკური მოღვაწე, რომლებსაც ღრმად სწამდათ, რომ ცოტა ხანში უკვე სსრკ-ს წინააღმდეგ მოუწევდათ ომის წარმოება. მათ ასეთი ომის გაჩაღების პროპაგანდაც დაიწყეს<sup>4</sup>, თუმცა მათი აზრი პრეზიდენტმა არ გაიზიარა.

---

<sup>1</sup> В. Л. Мальков. Франклин Рузвельт. Проблемы внутренней политики и дипломатии. М., 1988, გვ. 212-213. დაახლოებით იგივე ტონით საუბრობდა რესპუბლიკელთა ერთ-ერთი ლიდერი რობერტ ტაფტი, რომელიც აღნიშნავდა, რომ იდეოლოგიური თვალსაზრისით ფაშიზმსა და კომუნიზმს შორის განსხვავება არ იყო. მიუხედავად ამისა, მისი აზრით, კომუნიზმი უფრო სახიფათო იყო, ვიდრე ფაშიზმი, რადგანაც ის უფრო ფართო მასებზე იყო გათვლილი (იხ.: R. H. Dawson. The Decision to Aid Russia, 1941. Chapel Hill, NC, 1959, გვ. 104).

<sup>2</sup> J. R. Moskin. Mr. Truman's War: The Final Victories of World War II and the Birth of the Postwar World. New York, 1996, გვ. 80-81.

<sup>3</sup> W. Leahy. I Was There: The Personal Story of the Chief of Staff to Presidents Roosevelt and Truman, Based on His Notes and Diaries Made at the Time. With a foreword by *President Truman*. New York, 1950, გვ. 35.

<sup>4</sup> H. H. Arnold. Global Mission. New York, 1949, გვ. 586-587; J. Grew. The Turbulent Era: A Diplomatic History of Forty Years, 1904-1945. V. II. Boston, MA, 1952, გვ. 1446.

ტრუმენის შედარებით უფრო მკაცრმა კურსმა თავისი პირველი რეალური გამოვლინება ჰპოვა 1944წ. 25 აპრილს სან ფრანცისკოში დაწყებულ გაერთიანებული ერების დამფუძნებელ კონფერენციაზე. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გადაწყვეტილება კონფერენციის მოწვევის შესახებ მიღებულ იქნა იალტის სამიტზე<sup>1</sup>. 1945წ. 5 მარტს აშშ-ს, დიდი ბრიტანეთის, სსრკ-სა და ჩინეთის სახელით კონფერენციაზე მონაწილეობის მისაღებად მოსაწვევები დაურიგდა 39 სახელმწიფოს<sup>2</sup>. უკანასკნელ მომენტში კონფერენციის ორგანიზატორ სახელმწიფოთა რიცხვს გამოაკლდა საფრანგეთი, რომლის დროებითი მთავრობის მეთაურმა გენერალმა შარლ დე გოლმა იუკადრისა მისი არმიწვევა ყირიმის კონფერენციაზე და წამოაყენა აპრიორი მიუღებელი წინადადება, რომ ღუმბარტონ ოქსში მიღებული გადაწყვეტილებები ყოფილიყო მხოლოდ მოლაპარაკებების, და არა გაეროს წესდების, ბაზისი<sup>3</sup>. შედეგად, კონფერენციაზე საფრანგეთი მონაწილეობდა, როგორც უბრალო წევრი.

სან ფრანცისკოს კონფერენციის დაწყებისათვის უკვე ნათელი გახდა, რომ მოკავშირეებს შორის საკმაოდ სერიოზული პრობლემები არსებობდა. კონფერენციაზე პოლონეთის პროსაბჭოური მთავრობის არმიწვევის გამო სტალინი ჯერ კიდევ მარტში აპირებდა მოლოტოვის შეცვლას გრომიკოთი. რუზველტმა ამასთან დაკავშირებით ისიც კი სთხოვა სტალინს, რომ მოლოტოვი „უმნიშვნელოვანეს გახსნით სხდომებს“ მინც დასწრებოდა, რათა მი-

<sup>1</sup> The Conferences at Malta and Yalta, გვ. 975; Крымская конференция..., გვ. 274.

<sup>2</sup> The United Nations Conference on International Organization. San Francisco, California. April 25 to June 26, 1945. Selected Documents. Wash., 1946, გვ. 3. მოგვიანებით მოსაწვევი გაეგზავნა აგრეთვე სირიასა და ლიბანს (იხ.: Советский Союз на международных конференциях периода Великой Отечественной войны 1941-1945гг. Т. V. Конференция объединенных наций в Сан-Франциско (25 апреля-26 июня 1945г.). Сборник документов (შემდგომში Конференция объединенных наций...). М., 1980, გვ. 12. საბოლოო ჯამში, უკვე კონფერენციის დაწყების შემდეგ სხვადასხვა ქვეყნების მოწვევის შედეგად მონაწილეთა რიცხვი 50-მდე გაიზარდა.

<sup>3</sup> Советско-французские отношения., т. II, გვ. 261.

სი არყოფნა არ აღქმულიყო საბჭოთა მხარის მიერ კონფერენციის უგულებელყოფად<sup>1</sup>. მიუხედავად ამისა, სტალინი თავიდან არ აპირებდა დათმობაზე წასვლას, მაგრამ რუზველტის სიკვდილის შემდეგ მან გადაიფიქრა და დელეგაციის სათავეში მაინც მოლოტოვის ჩაყენება გადაწყვიტა<sup>2</sup>. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ 24 აპრილს, კონფერენციის გახსნის წინა დღეს, იყო იმის საშიშროება, რომ საბჭოთა დელეგაციას დაეტოვებინა სან ფრანცისკო, რამაც ამერიკელებისა და პრეზიდენტ ტრუმენის ერთგვარი კმაყოფილება კი გამოიწვია<sup>3</sup>. სენატორი ვანდერბერგი აღნიშნავდა, რომ ეს საშუალებას მისცემდა ამერიკელებს, მაქსიმალურად განეხორციელებინათ თავიანთი მიზნები კონფერენციაზე<sup>4</sup>. როგორც ჩანს, საბჭოთა მხარე მიხვდა, რომ პროტესტის ამგვარად გამოხატვა მათთვის იქნებოდა საზიანო და თავი შეიკავეს რადიკალური ნაბიჯების გადადგმისაგან. კონფლიქტის მიზეზი ამ შემთხვევაში იყო კონფერენციის მონაწილეთა საკითხი. მართალია, აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის დელეგაციებს არ შეუშლიათ ხელი კონფერენციაზე უკრაინის სსრ-სა და ბელორუსიის სსრ-ს დელეგაციების მოწვევისათვის, რითაც ცნეს ისინი ახალი ორგანიზაციის წევრებად, სამაგიეროდ მათ სავსებით დასაბუთებულად თქვეს უარი პოლონეთის წარმომადგენლების დაშვებაზე<sup>5</sup>. ამის მიზეზი გახდა ყირიმის კონფერენციაზე მიღებული გადაწყვეტილების შეუსრულებლობა, რომლის თანახმადაც პოლონეთში უნდა მომხდარიყო მთავრობის რეორგანიზება და ახალი არჩევნების ჩატარება<sup>6</sup>. ბუნებრივია, ამან საბჭოთა დელეგაციის უკმაყოფილება გამოიწვია,

<sup>1</sup> *F.D.R. – His Personal Letters: 1928-1945*. Ed. by *Elliott Roosevelt*. Wash., 1950, გვ. 1517-1518.

<sup>2</sup> *R. B. Russell. A History of the United Nations: The Role of the United States, 1940-1945*. Wash., 1958, გვ. 629.

<sup>3</sup> *J. Forrestal. The Forrestal Diaries*. New York, 1951, გვ. 50.

<sup>4</sup> *The Private Papers of Senator Vandenberg*. Boston, 1952, გვ. 176.

<sup>5</sup> *The United Nations Conference..*, გვ. 318-320; *United Nations Conference on the International Organization, San Francisco, California, April 25 to June 26, 1945. Selected Documents. Vol. V. Wash., 1945.* გვ. 57; *Конференция объединенных наций..*, გვ. 331.

<sup>6</sup> *The Conferences at Malta and Yalta*, გვ. 980; *Крымская конференция..*, გვ. 279.

რაც კიდევ უფრო გამძაფრდა მას შემდეგ, რაც გადაწყდა კონფერენციასზე არგენტინის მოწვევა<sup>1</sup>.

კონფერენციის მსვლელობა სამ ეტაპად დაიყო: პირველ სტადიაზე, 25 აპრილიდან 2 მაისამდე, შედგა 8 პლენარული სხდომა. გარდა ამისა, გაერთიანებული ერების დელეგაციების მეთაურები ცალკე იკრიბებოდნენ და წყვეტდნენ, თუ რა საკითხები უნდა განხილულიყო პლენარულ სხდომებზე. მეორე ეტაპი, რომლის დროსაც მოხდა გაეროს წესდების შემუშავება და შეთანხმება კომიტეტებში, საკმაოდ ხანგრძლივი გამოდგა და დაგეგმილზე მეტხანს გაგრძელდა. შედეგად, კონფერენციის დასკვნითი ეტაპი, როდესაც მხარეებს უნდა დაემტკიცებინათ პლენარულ სხდომაზე წესდების პროექტი და ხელი მოეწერათ მასზე, დაიწყო მხოლოდ 1945წ. 25 ივნისს<sup>2</sup>.

კონფერენციაზე განხილულ იქნა დუმბარტონ ოქსში შემუშავებული წესდება და მასში შეტანილ იქნა მთელი რიგი დამატებები. ასე, მაგალითად, წესდებას დაემატა პრეამბულა, რომელშიც მოკლედ იქნა ჩამოყალიბებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძირითადი მიზნები და პრინციპები. უფრო ვრცლად ეს ყველაფერი ჩაიწერა წესდების I თავში<sup>3</sup>.

<sup>1</sup> The United Nations Conference..., გვ. 410; Конференция объединенных наций..., გვ. 189. არგენტინის მოწვევა კონფერენციაზე ნამდვილად შეთანხმებული პირობების დარღვევით მოხდა, რადგანაც ის არ იყო არც გაერთიანებული ერების დეკლარაციის ხელისმომწერი ქვეყანა და იმ მომენტისათვის მას არც გერმანიისთვის პქონდა ომი გამოცხადებული. მიუხედავად ამისა, აშშ-ს დიდი ზეწოლის შედეგად არგენტინა მოიწვიეს კონფერენციაზე. როგორც ჩანს, ამის მთავარი მიზანი იყო ლათინური ამერიკის ქვეყნების დარაზმვა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, რისი გაკეობაც, სენატორ ვანდერბერგის თქმით, მან შეძლო (იხ.: *The Private Papers of Senator Vandenberg*, გვ. 182).

<sup>2</sup> The United Nations Conference..., გვ. 905; Конференция объединенных наций..., გვ. 17, 38.

<sup>3</sup> *Facsimile of the Charter of the United Nations, Statute of the International Court of Justice, and Interim Arrangements*. In five languages, signed at the United Nations Conference on International Organization, San Francisco, California, June 26, 1945. Department of State. Publication 2368. Conference Series 76 (შემდგომში *Facsimile...*). San Francisco, CA, 1945, გვ. 3; *Charter of the United Nations together with the, Statute of the International Court of Justice*.

წესდების მეორე თავში — „ორგანიზაციის წევრები“ — განსაზღვრულ იქნა, თუ რა პრინციპით მოხდებოდა ორგანიზაციაში ახალი წევრების მიღება. აღინიშნა, რომ დამფუძნებელი წევრები იყვნენ ის სახელმწიფოები, რომლებმაც მიიღეს მონაწილეობა სან ფრანცისკოს კონფერენციაში ან თავის დროზე ხელი მოაწერეს 1942წ. 1 იანვრის გაერთიანებული ერების დეკლარაციას და მოახდინეს წესდების რატიფიცირება<sup>1</sup>. ამგვარი ფორმულირება პრაქტიკულად მიღებული იქნა მხოლოდ პოლონეთის გამო, რადგანაც ის იყო ერთადერთი სახელმწიფო, რომელსაც ხელი ჰქონდა მოწერილი დეკლარაციაზე, მაგრამ, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, გარკვეული მიზეზების გამო, არ იყო წარმოდგენილი სან ფრანცისკოს კონფერენციაზე. გარდა ამისა, განისაზღვრა, რომ ორგანიზაციაში შესაძლებელი იქნებოდა ყველა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს მიღება და მისი წესდების სისტემატურად დამრღვევი ნებისმიერი წევრის გარიცხვა უშიშროების საბჭოს რეკომენდაციისა და გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილების საფუძველზე<sup>2</sup>.

წესდების III თავში ჩამოყალიბებულ იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტრუქტურა და ორგანოები. აქ თითქმის უცვლელი დარჩა დუმბარტონ ოქსში შეთანხმებული ტექსტი, მხოლოდ ძირითადი ორგანოების ჩამონათვალში გენერალური ასამბლეას, უშიშროების საბჭოს, საერთაშორისო სასამართლოსა და სამდივნოს დაემატა ეკონომიკური და სოციალური საკითხების საბჭო და სამეურვეო საბჭო<sup>3</sup>.

საკმაოდ დაძაბული კამათი გაიმართა გენერალური ასამბლეის ფუნქციების შესახებ. ავსტრალიის, ახალი ზელანდიის, ბელგიის, კანადის, ნიდერლანდებისა და ლათინური ამერიკის სახელმწიფოების წინადადებას, რომ გენერალურ ასამბლეას მინიჭებოდა ყველა უფლება, რაც დუმბარტონ ოქსის შეთანხმებებით უშიშროების საბჭოს უნდა ჰქონოდა, მხარი დაუჭირეს აშშ-მ და ლიბა

Department of State. Publication 2353. Conference Series 74 (Reprint). Wash., 1947, გვ. 3-5; Конференция объединенных наций..., გვ. 586-587.

<sup>1</sup> Facsimile..., გვ. 3; Конференция объединенных наций..., გვ. 587.

<sup>2</sup> Facsimile..., გვ. 4; Конференция объединенных наций..., გვ. 587-588.

<sup>3</sup> Facsimile..., გვ. 4; Конференция объединенных наций..., გვ. 588.



ბრიტანეთმაც. მაგრამ მოგვიანებით, საბჭოთა დელეგაციის კატეგორიული მოთხოვნის შემდეგ, დიდი სახელმწიფოები დაუბრუნდნენ დუმბარტონ ოქსში მიღებულ ფორმულირებებს და მხოლოდ ოდნავ განაწვრიეს ისინი<sup>1</sup>. შედეგად, გენერალურ ასამბლეას მიენიჭა გამოკვლევების ჩატარებისა და რეკომენდაციების მიცემის უფლება, რაც მიზნად ისახავდა პოლიტიკურ საკითხებში საერთაშორისო თანამშრომლობისათვის ხელის შეწყობას, საერთაშორისო სამართლის განვითარებასა და მის კოდფიკაციას. გარდა ამისა, გენერალურ ასამბლეას მიენიჭა უფლება, მიეცა რეკომენდაციები საყოველთაო კეთილდღეობისათვის ნებისმიერი სახის სახიფათო სიტუაციების დარეგულირებისათვის<sup>2</sup>.

ძირითადი ბრძოლა სან ფრანცისკოში, ბუნებრივია, გაიმართა უშიშროების საბჭოში კენჭისყრის პროცედურის შესახებ საკითხის განხილვისას. გაირკვა, რომ იალტაში შეთანხმებული ფორმულა მხარეებს სხვადასხვანაირად ესმოდათ. კერძოდ, საუბარი ენებოდა სადავო საკითხის განხილვას უშიშროების საბჭოში. საბჭოთა დელეგაცია აცხადებდა, რომ მუდმივ წევრებს უნდა ჰქონოდათ ვეტო თვით ასეთი საკითხის დღის წესრიგში შეტანის დროსაც კი. მაგრამ, საბოლოო ჯამში, მიღებული იქნა აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის მიერ წამოყენებული ფორმულირება, რომელიც ამგვარ შემთხვევებს განიხილავდა, როგორც საპროცედურო საკითხებს და მასზე გადაწყვეტილების მისაღებად საკმარისი იყო მხოლოდ უბრალო უმრავლესობა. სამაგიეროდ, საბჭოში საკითხის განხილვისას მუდმივ წევრს უკვე შეეძლო ვეტოს გამოყენება, ოღონდ, რასაკვირველია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დავა უშუალოდ ამ სახელმწიფოს ენებოდა<sup>3</sup>. სწორედ ამ უკანასკნელი მომენტის გამო სურდა საბჭოთა მხარეს ჰქონოდა ვეტოს დადების უფლება საპროცედურო საკითხებზეც. მაისის შუა რიცხვებში კვლავ გაჩნდა საბჭოთა კავშირის მხრიდან კონფერენციის ბოიკოტირების საფრთხე უშიშროების საბჭოში კენჭისყრის საკითხის გამო. სიტუაციის განსამუხტავად ტრუმენმა, ბოლენის რჩე-

<sup>1</sup> R. Russell. History of the United Nations, გვ. 648-647.

<sup>2</sup> Facsimile..., გვ. 4-6; Конференция объединенных наций..., გვ. 589-592.

<sup>3</sup> Facsimile..., გვ. 7; Конференция объединенных наций..., გვ. 594.

ვით, მოსკოვში გააგზავნა ჰოპკინსი, რომელმაც შეძლო სტალინის დარწმუნება, რომ აშშ-ს მიერ წარმოდგენილი ვარიანტი არ შეიცავდა რაიმე ხიფათს საბჭოთა კავშირისათვის. შედეგად მოლოტოვი დაბრუნდა სან ფრანცისკოში და 8 ივნისს მიღწეულ იქნა შეთანხმება ყირიმში შემუშავებული ფორმულის ძალაში დატოვებაზე<sup>1</sup>. სხვა შემთხვევებში ღუმბარტონ ოქსში მიღებული გადაწყვეტილებები პრაქტიკულად უცვლელად იქნა დამტკიცებული.

წესდების VI თავი დაეთმო დავების მშვიდობიანად მოგვარებას. მასში აღინიშნა, რომ სადავო საკითხის წარმოშობის შემთხვევაში მხარეებმა ყველა საშუალება უნდა გამოიყენონ მის მშვიდობიანად მოსაგვარებლად, ხოლო თუ ისინი ამას ვერ მოახერხებენ, საკითხი განსახილველად გადასცენ უშიშროების საბჭოს<sup>2</sup>. გარდა ამისა, განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც წარმოიშობა საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის სახიფათო კონფლიქტი, უშიშროების საბჭოს მიეცა უფლება, განახორციელოს აუცილებელი ზომები კონფლიქტის მოსაგვარებლად და საჭიროების შემთხვევაში ძალაც გამოიყენოს მშვიდობის დასამყარებლად. ყოველივე ამან ასახვა ჰპოვა წესდების VII თავში<sup>3</sup>.

გარკვეული სირთულეები წარმოიშვა რეგიონალურ შეთანხმებებთან დაკავშირებით. ლათინური ამერიკისა და აშშ-ს წარმომადგენლებს მიაჩნდათ, რომ უშიშროების საბჭო არ უნდა ჩარეულიყო ამერიკის კონტინენტის საქმეებში და იქ წარმოშობილი კონფლიქტები ადგილობრივი შეთანხმებებით უნდა მოგვარებულიყო<sup>4</sup>, მაგრამ დიდი ბრიტანეთისა და საბჭოთა კავშირის მიერ გაწეული წინააღმდეგობის გამო ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციამ მოხსნა თავისი მოთხოვნა. საბოლოო ჯამში, წესდების VIII თავში აღინიშნა, რომ გაერო არანაირად არ უშლიდა ხელს რეგიონალური ორგანიზაციების შექმნას, მაგრამ ყველა გადაწყვეტილება ძალის გამოყენების შესახებ უნდა მიეღო

<sup>1</sup> S. Meisler. United Nations: The First Fifty Years. New York, 1995, გვ. 15-16.

<sup>2</sup> *Facsimile...*, გვ. 8; Конференция объединенных наций..., გვ. 595-597.

<sup>3</sup> *Facsimile...*, გვ. 9-10; Конференция объединенных наций..., გვ. 597-601.

<sup>4</sup> United Nations Conference on the International Organization, San Francisco, California, April 25 to June 26, 1945. Selected Documents. Vol. III, Wash., 1946, გვ. 688.

უშიშროების საბჭოს<sup>1</sup>.

საერთაშორისო ეკონომიკური და სოციალური თანამშრომლობის საკითხებს მიეძღვნა წესდების IX თავი, რომელშიც ჩამოყალიბდა შესაბამისი პრინციპები<sup>2</sup>. X თავში კი განისაზღვრა სპეციალური საბჭოს ფუნქციები და უფლებამოსილებები, რომელიც დაკავებული იქნებოდა ეკონომიკური და სოციალური საკითხებით<sup>3</sup>.

საკმაოდ მძიმე ბრძოლა გაიმართა მეურვეობის საერთაშორისო სისტემის შექმნასთან დაკავშირებით. წესდების XI-XIII თავები დაეთმო არათვითმმართველი ტერიტორიების საკითხების განსაზღვრას. უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო მეურვეობის საკითხზე საკმაოდ დაძაბული დებატები გაიმართა. საფრანგეთის დელეგაციამ წარმოადგინა პროექტი, რომელიც საერთოდ გამორიცხავდა კოლონიებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭებას, ხოლო საერთაშორისო მეურვეობის სისტემაში უნდა შესულიყო მხოლოდ მანდატსაქვეშ მყოფი ტერიტორიები და ის მიწები, რომლებსაც წაართმევდნენ მოწინააღმდეგეს მიმდინარე ომის შედეგად<sup>4</sup>. ბრიტანელებმა ფაქტობრივად ძველი სამანდატო სისტემის აღდგენა მოისურვეს, ხოლო ამერიკელები საკმაოდ საჩოთირო სიტუაციაში აღმოჩნდნენ. მათ სჭირდებოდათ იაპონიის მანდატსაქვეშ მყოფი კუნძულების დაკავების დაკანონება<sup>5</sup>, ამიტომაც მათი პროექტიდან ამოვარდა კოლონიებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების დებულება. მიუხედავად ამგვარი წინააღმდეგობებისა, საბოლოო ჯამში, კონფერენციის მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ მეურვეობის სისტემის მთავარი ამოცანა იყო სამეურვეო ტერიტორიების პროგრესული განვითარება დამოუკიდებლობისაკენ ან თვითმმართველობისაკენ აღნიშნული ტერიტორიისა და მისი ხალხების სპეციფიკურობის გათვალისწინებით<sup>6</sup>. სამეურვეო სისტემა არ შეიძლე-

<sup>1</sup> Facsimile..., გვ. 11; Конференция объединенных наций..., გვ. 601-602.

<sup>2</sup> Facsimile..., გვ. 11-12; Конференция объединенных наций..., გვ. 602-603.

<sup>3</sup> Facsimile..., გვ. 12-14; Конференция объединенных наций..., გვ. 603-606.

<sup>4</sup> Конференция объединенных наций..., გვ. 34.

<sup>5</sup> R. B. Russell. The United Nations and United States Security Policy. Wash., 1968, გვ. 31.

<sup>6</sup> Facsimile..., გვ. 15; Конференция объединенных наций..., გვ. 608.

ბოლა გავრცელდებულიყო გაეროს წევრ სახელმწიფოებზე<sup>1</sup>.

საერთაშორისო სასამართლოს და სამდივნოს საკითხების განხილვისას პრაქტიკულად უპრობლემოდ იქნა დამტკიცებული დუმბარტონ ოქსში შეთანხმებული წინადადებები, რამაც ასახვა პპოვა წესდების XIV<sup>2</sup> და XV თავებში<sup>3</sup>. გარკვეული უთანხმოება აქ იყო მხოლოდ გენერალური მდივნის არჩევასთან დაკავშირებულ საკითხებში, როდესაც აშშ-ს დელეგაციამ სცადა, ის გამოეცხადებინა საპროცედურო საკითხად, მაგრამ სხვა დიდმა სახელმწიფოებმა არ დაუჭირეს მხარი ამ წინადადებას<sup>4</sup>.

წესდების დასკვნითი ოთხი თავი მიეძღვნა სხვადასხვა დადგენილებებს<sup>5</sup>, გარდამავალ პერიოდში უსაფრთხოების შესანარჩუნებლად განსახორციელებელ ღონისძიებებს<sup>6</sup>, შესწორებებს<sup>7</sup> და წესდების რატიფიკაციასა და ხელმოწერას<sup>8</sup>. გაეროს წესდება ხელმოწერილი იქნა სან ფრანცისკოში 1945წ. 26 ივნისს. პროცედურა დილით ადრე დაიწყო. წესდებაზე პირველი ხელმოწერები გააკეთეს ჩინეთმა, საბჭოთა კავშირმა, დიდმა ბრიტანეთმა და აშშ-მ, როგორც მასპინძელმა სახელმწიფოებმა, შემდეგ საფრანგეთმა, რის შემდეგაც ყველა დანარჩენმა მონაწილე სახელმწიფომ ანბანის მიხედვით<sup>9</sup>. წესდება ძალაში შევიდა 1945წ. 24 ოქტომბერს, როდესაც ის რატიფიცირებული იქნა უშიშროების საბჭოს ყველა მუდმივი წევრისა და ხელისმომწერ სახელმწიფოთა 2/3-ის მიერ<sup>10</sup>.

სან ფრანცისკოს კონფერენციაზე გაეროს წესდების დამტკიცებისა და ახალი საერთაშორისო ორგანიზაციის დაფუძნების მნიშვნელობა ძალიან დიდი იყო. გაერო ერთა ლიგასთან შედარე-

<sup>1</sup> *Facsimile...*, გვ. 15; Конференция объединенных наций..., გვ. 609.

<sup>2</sup> *Facsimile...*, გვ. 17-18; Конференция объединенных наций..., გვ. 613-614.

<sup>3</sup> *Facsimile...*, გვ. 18; Конференция объединенных наций..., გვ. 614-615.

<sup>4</sup> Конференция объединенных наций..., გვ. 37.

<sup>5</sup> *Facsimile...*, გვ. 18-19; Конференция объединенных наций..., გვ. 615-616.

<sup>6</sup> *Facsimile...*, გვ. 19; Конференция объединенных наций..., გვ. 616-617.

<sup>7</sup> *Facsimile...*, გვ. 19-20; Конференция объединенных наций..., გვ. 617.

<sup>8</sup> *Facsimile...*, გვ. 20; Конференция объединенных наций..., გვ. 618.

<sup>9</sup> *Facsimile...*, გვ. 20; Конференция объединенных наций..., გვ. 38.

<sup>10</sup> Конференция объединенных наций..., გვ. 39.

ბით წინ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა. გაეროს შექმნა და-  
ღებითად შეფასდა მთელს მსოფლიოში<sup>1</sup>. მისი შექმნა შესაძლე-  
ბელი გახდა მხოლოდ დიდი სამეულის სახელმწიფოების ურთი-  
ერთშეთანხმებული მოქმედების შედეგად. მათ მიერ თავისთვის  
დაკანონებულმა ვეტოს უფლებამ საკმაოდ პოზიტიური როლი  
შეასრულა თავის დროზე და, შესაძლოა, მსოფლიოს თავიდან  
ააცილა ბირთვული ომი, თუმცა, დღესდღეობით, გაეროს ეფექ-  
ტურობის ხარისხი საკმაოდ დაბალია, რისი მთავარი მიზეზიც  
სწორედ ერთხმივობის პრინციპია.

### §3. გერმანიის კაპიტულაცია

1945წ. 16 აპრილს საბჭოთა ჯარებმა დაიწყეს შეტევა ბერ-  
ლინზე და 25 აპრილისათვის გერმანიის დედაქალაქი მთლიანად  
აღყაში მოაქციეს<sup>2</sup>. ამავე დროს, ინგლისელებმა და ამერიკელებმა  
განაგრძეს წინსვლა და 25 აპრილს მდ. ელბაზე, ტორგაუს  
მანლობლად, ერთმანეთს შეხვდნენ 1-ლი ამერიკელი არმიის V  
კორპუსის 69-ე დივიზიისა და საბჭოთა არმიის 58-ე გვარდიუ-

<sup>1</sup> ლ. ალექსიძე. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. თბ., 1985, გვ. 14; *Charter of the United Nations. Report to the President on the results of the San Francisco Conference. By the Chairman of the United States Delegation, the Secretary of State.* New York, 1969, გვ. 30-31; Y. M. Dean. *The Four Cornerstones of Peace.* New York, 1946, გვ. 103; *Charter of the United Nations. Commentary and documents [by] Leland M. Goodrich, Edvard Hambro, and Anne Patricia Simons.* New York, 1969, გვ. 10-12; D. B. Robins. *Experiment in Democracy. The Story of U.S. Citizen Organizations in Forging the Charter of the United Nations.* New York, 1971, გვ. 149-150; T. Connally. *My name is Tom Connally.* By Tom Connally, as told to Alfred Steinberg. New York, 1954, გვ. 285-286; A. Vandenbosch, W. N. Hogan. *The United Nations: Background, Organization, Functions, Activities.* Westport, CT, 1970, გვ. 83; Th. M. Franck. *Nation Against Nation: What Happened to the U.N. Dream and What the U.S. Can Do about It.* Oxford, NY, 1985, გვ. 7; Sh. Hazzard. *The Defeat of the Ideal: A Study of the Self-Destruction of the United Nations.* Boston, MA, 1973, გვ. 4.

<sup>2</sup> *История Великой Отечественной войны.* В 6 томах. Т. 5. Гл. ред. И. П. Барбашин. М., 1963, гв. 262-277.

ლი დივიზიის ნაწილები<sup>1</sup>. ეს ნიშნავდა გერმანული არმიების შუაზე გახლეჩას. მონტგომერის სარდლობით მებრძოლმა ბრიტანულმა შენაერთებმა კი განავითარეს შეტევა ლიუბეკის მიმართულებით. 16 აპრილს მათ აიღეს ბრემენი, 29 აპრილს გადალახეს ელბა და 3 მაისს ხელთ იგდეს კიდევ ლიუბეკი<sup>2</sup>. თავის მხრივ, გენ. პატონის მე-3 არმიამაც 22 აპრილს დაიწყო შეტევა დუნაის გაყოლებით, დაძლია გერმანელთა წინააღმდეგობა რეგენსბურგთან და 5 მაისს აიღო ლინცი. 22 აპრილსვე დაიწყო თავისი დასკვნითი შეტევა გენ. ა. პეტჩის მე-7 არმიამაც, რომლის XV კორპუსმა 30 აპრილს აიღო მიუნხენი, 4 მაისს კი — ბერჰტესგაღენი და ზალცბურგი, VI კორპუსმა 3 მაისს დაიკავა ინსბრუკი და შემდეგ შეუერთდა მე-5 ამერიკული არმიის 88-ე დივიზიას, რომელიც იტალიიდან უტევედა<sup>3</sup>.

ამასობაში კი გერმანიის ხელმძღვანელ წრეებში სერიოზული განხეთქილება მოხდა. 23 აპრილს ჰიტლერმა შერისხა გერინგი, რომელმაც მოსთხოვა ფიურერს მთელი ძალაუფლების მისთვის გადაცემა, რაც, მისი აზრით, ხელს შეუწყობდა ბრიტანელებსა და ამერიკელებთან საერთო ენის გამონახვას<sup>4</sup>. გერინგს ჩამოერთვა ყველა ჯილდო თუ წოდება და ის დაპატიმრებულ იქნა<sup>5</sup>. მიუხედავად ამისა, კაპიტულანტური განწყობილება უკვე ფართოდ იყო გავრცელებული გერმანიის უმაღლეს წრეებში<sup>6</sup>. ამ

<sup>1</sup> D. Eisenhower. Crusade in Europe, გვ. 411.

<sup>2</sup> B. Montgomery. 21-st Army Group, გვ. 453.

<sup>3</sup> *The Seventh United States Army in France and Germany 1944-1945: Report of Operations*. Heidelberg, 1946, გვ. 862-863; თ. პაპასქირი. სტალინი, რუს-ველტი და ჩერჩილი ჰიტლერის წინააღმდეგ. 1941-1945. *ლიპლომატიური ქრონიკა და სამხედრო მოქმედებები*. თბ., 1996, გვ. 137.

<sup>4</sup> W. Shirer. *The Rise and Fall of the Third Reich*. New York, 1960, გვ. 988.

<sup>5</sup> W. Shirer. *The Rise and Fall of the Third Reich*, გვ. 988.

<sup>6</sup> უნდა აღინიშნოს, რომ წლის დასაწყისში თვითონ ჰიტლერმაც კი სცადა ზონდაჟი და იანვარში შვედეთში გააგზავნა თავისი მრჩეველი ფ. ჰესე, რომელსაც დაევალა დასაეღეთელ მოკავშირეებთან სეპარატული დაზავების თაობაზე მემორანდუმის გავრცელება. აღნიშნული მემორანდუმის თანახმად, უნდა მომხდარიყო დაზავება დასაეღეთში და გერმანიის მთელი შეიარაღებული ძალების გადასროლა აღმოსავლეთის ფრონტზე (იხ.: F. Hesse. *Hitler and the English*. Edited and translated from the German by F. A. Voigt. L., 1954, გვ. 198). ბუ-

მხრივ ძალიან აქტიურობდა რაიხსფიურერი ჰიმლერი, რომელსაც კარგი კავშირები ჰქონდა შვედეთის წითელი ჯვრის წარმომადგენელ გრაფ ბერნადოტთან. 13 აპრილს მან განუცხადა შვედ დიპლომატს, რომ გერმანელებს თავი უნდა ეცნოთ დამარცხებულებად დასავლეთის სახელმწიფოების წინაშე და სთხოვა ბერნადოტს, გადაეცა ეს ინფორმაცია ვიზენჰაუერისათვის<sup>1</sup>. აქვე ჰიმლერმა ხაზი გაუსვა, რომ გერმანელებისთვის და განსაკუთრებით მისთვის შეუძლებელი იყო კაპიტულაციის გამოცხადება საბჭოთა ფრონტზე. მისი თქმით, აქ ბრძოლა გაგრძელდებოდა მანამ, სანამ „გერმანელთა ფრონტს არ შეცვლიდა დასავლეთის სახელმწიფოების ფრონტი“<sup>2</sup>. როდესაც გაირკვა, რომ ინგლისელებს და ამერიკელებს ჰიმლერთან გარიგებაზე წასვლის არანაირი სურვილი არ ჰქონდათ, ამ უკანასკნელმა უკვე დე გოლთან სცადა დაკავშირება და შესთავაზა მას კავშირის დადება როგორც ანგლოსაქსების, ისე რუსების წინააღმდეგ<sup>3</sup>.

---

ნებრივია, ინგლისელებმაც და ამერიკელებმაც ჰიმლერთან ნებისმიერ მოლაპარაკებებზე უარი განაცხადეს, თუმცა ჰესე სტოკჰოლმიდან ხელცარიელი არ დაბრუნებულა. შვედი ბანკირის მარკუს ვალენბერგისაგან მან მიიღო რჩევა, რომ გერმანელებისათვის უკეთესი იქნებოდა მოლაპარაკებების წარმოება საბჭოთა მხარესთან. თუ ჰესეს ცნობას ვირწმუნებთ, საბჭოთა მხარე ნამდვილად გამოთქვამდა ასეთ სურვილს, რასაც ადასტურებდა სსრკ-ს ელჩის ა. კოლონტაის შეხვედრა ვალენბერგთან. ჰესე სასწრაფოდ დაბრუნდა გერმანიაში და აცნობა აღნიშნული შესაძლებლობის შესახებ რიბენტროპსა და ჰიტლერს. ბერლინში შესაძლებლად ჩათვალეს ამგვარი შეთანხმების შესახებ ფიქრი და ჰესე ხელახლა გაგზავნეს სტოკჰოლმში, სადაც უკვე ყველაფერი მზად იყო მოლაპარაკებების დასაწყებად. თუმცა მოულოდნელად ჰიტლერმა გადაიფიქრა და შეწყვიტა მოლაპარაკებები (იხ.: F. Hesse. Hitler and the English, გვ. 208-216). აქ აუცილებლად უნდა შევნიშნოთ, რომ საბჭოთა მკვლევარი ვ. ისრაელიანი, რომელიც ჰესესზე დაყრდნობით ამტკიცებს, რომ სტოკჰოლმში მიმდინარეობდა მოლაპარაკებები ბრიტანელებსა და ამერიკელებთან ებრაელების ნაწილის განთავისუფლების შესახებ, რატომღაც ყურადღებას არ აქცევს ჰესეს ამ მეორე ცნობას (იხ.: В. Л. Исраэлян. Дипломатия в годы войны, გვ. 386).

<sup>1</sup> В. Л. Исраэлян. Дипломатия в годы войны, гв. 386.

<sup>2</sup> W. Schellenberg. Memoirs. L., 1958, გვ. 193.

<sup>3</sup> „Из военных мемуаров де Голля“. — „Международная жизнь“, №4, 1961, გვ. 110.

ბერნადოტმა ჰიმლერის თხოვნა მართლაც შეასრულა და გადასცა ეს ინფორმაცია შვედეთში ბრიტანეთის ელჩს სერ ვიქტორ მალეტს და აშშ-ს ელჩ ჰირშელ ჯონსონს. მალეტმა დაუყოვნებლივ აცნობა ჩერჩილს გერმანელთა ინიციატივის შესახებ, რის შემდეგაც ბრიტანეთის პრემიერმა ჰიმლერის მოსაზრებები გააცნო მოკავშირეთა მთავარსარდალ დუაიტ ეიზენჰაუერს<sup>1</sup>. ამედროულად, ცნობა გერმანელთა შემოთავაზების შესახებ მიიღო ტრუმენმაც, თუმცა სწორედ ჩერჩილისაგან და არა ჯონსონისაგან, რომელმაც აშკარად დააგვიანა ვაშინგტონისათვის ინფორმაციის მიწოდება. აშშ-ს პრეზიდენტმა შორს დაიჭირა ჰიმლერთან მორიგების იდეა. მან 26 აპრილს სტალინს შეატყობინა რაიხსფიურერის ინიციატივის შესახებ და შეჰპირდა, რომ არ მიიღებდა ამ წინადადებას. ტრუმენმა აცნობა სტალინს, რომ ამერიკელები გერმანელების კაპიტულაციის ერთადერთ მისაღებ ფორმად თვლიდნენ უპირობო კაპიტულაციას ყველა ფრონტზე სსრკ-ს, აშშ-ს და დიდი ბრიტანეთის წინაშე<sup>2</sup>. თავის მხრივ, არც ჩერჩილმა მიიღო ჰიმლერის წინადადება<sup>3</sup>. ასე რომ, სტალინი კმაყოფილი დარჩა მოკავშირეთა მოქმედებით<sup>4</sup>.

1945წ. 30 აპრილს, როდესაც უკვე საბჭოთა ჯარები ჰიმლერის ბუნკერისაგან სულ რაღაც ერთ კვარტალში იყვნენ, ფიურერმა თავი მოიკლა. სიკვდილის წინ ჰიტლერმა დაწერა ანდერძი, რომლითაც თავის მემკვიდრედ დანიშნა გროს-ადმირალი დიონიცი. ამ უკანასკნელმა თავის რეზიდენციად აირჩია ფლენსბურგი, რადგანაც 2 მაისს საბჭოთა ჯარებმა დაასრულეს ბერლინის აღება. თავის მიმართვაში მან ხაზი გაუსვა, რომ მთელი ძალით გააგრძელებდა ბრძოლას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ხოლო „ინგლისელებთან და ამერიკელებთან იომებდა იმდენად, რამდენადაც ისინი მას ხელს შეუშლიდნენ ბოლშევიკებთან ბრძოლაში“<sup>5</sup>. გარდა ამისა, დიონიცმა გასცა ბრძანება, რომ გერმანუ-

<sup>1</sup> D. Eisenhower. Crusade in Europe, გვ. 398.

<sup>2</sup> Переписка..., т. II, გვ. 219-220.

<sup>3</sup> Переписка..., т. I, გვ. 337-339.

<sup>4</sup> Переписка..., т. I, გვ. 339; Переписка..., т. II, გვ. 221.

<sup>5</sup> А. А. Галкин, О. М. Накропин. Капитуляция Германии и „правительство“ Дёница. — „Вопросы истории“, №8, 1956, გვ. 73.



ლი ნაწილები ტყვედ ჩაბარებოდნენ მხოლოდ ინგლისელებსა და ამერიკელებს<sup>1</sup>. მის ამგვარ გადაწყვეტილებას გარკვეულწილად ხელს უწყობდა ეიზენჰაუერის მიერ ჯერ კიდევ 1944წ. აგვისტოში გაცემული ბრძანება, რომლითაც ის უფლებას აძლევდა თავის ხელქვეითებს, მიეღოთ გერმანული შენაერთების კაპიტულაცია მათი მეთაურების მეშვეობით ფრონტის ნებისმიერ კონკრეტულ უბანზე<sup>2</sup>. მისი აზრით, ეს მხოლოდ ტაქტიკური და სამხედრო საკითხი იყო და არა პოლიტიკური<sup>3</sup>. სამაგიეროდ, განხვევებული იყო მოკავშირეთა მთავარსარდლის მიდგომა გერმანიის მთავრობისადმი, რომელსაც, მისი აზრით, მოქმედების მხოლოდ ერთი გზა ჰქონდა დარჩენილი – უპირობო კაპიტულაცია ყველა ფრონტზე ყველა მოკავშირის წინაშე<sup>4</sup>.

დიონიციის ბრძანების მიღების შემდეგ გერმანელი ჯარისკაცები მიაწყდნენ მდ. ელბას, რათა გადაელახათ ის და დანებებოდნენ დასაველეთელ მოკავშირეებს. ნათელი გახდა, რომ დღე-დღეზე მოსალოდნელი იყო გერმანიის მთავრობის კაპიტულაცია. გერმანელები ბოლომდე ცდილობდნენ, რომ კაპიტულაცია გამოეცხადებინათ მხოლოდ დასაველეთის ფრონტზე, აღმოსავლეთში კი განეგრძოთ ბრძოლა საბჭოთა არმიების წინააღმდეგ. 29 აპრილს კაზერტაში ხელი მოეწერა იტალიაში განლაგებული გერმანული ნაწილების კაპიტულაციას, რომლის პირობებითაც საომარი მოქმედებები ამ ფრონტზე 2 მაისს შეწყდა. 4 მაისს მონტგომერის წინაშე კაპიტულაცია გამოაცხადეს გერმანიაში, ჰოლანდიასა და დანიაში მყოფმა გერმანულმა შენაერთებმა<sup>5</sup>, 5 მაისს კი უპირობო კაპიტულაცია გამოაცხადა იტალიის საზღვრის ჩრდილოეთით განლაგებულმა არმიათა ჯგუფმა „G“-მ.<sup>6</sup>

შექმნილ ვითარებაში დიონიციმა გადაწყვიტა, კიდევ ერთხელ

<sup>1</sup> В. Л. Исраэлян. Дипломатия в годы войны, გვ. 389.

<sup>2</sup> F. C. Pogue. The Supreme Command. Wash., 1989, გვ. 480.

<sup>3</sup> D. Eisenhower. Crusade in Europe, გვ. 423.

<sup>4</sup> D. Eisenhower. Crusade in Europe, გვ. 423-424.

<sup>5</sup> B. Montgomery. 21-st Army Group. Normandy to the Baltic Germany, L., 1964, გვ. 430.

<sup>6</sup> The Seventh United States Army in France and Germany 1944-1945: Report of Operations. Heidelberg, 1946, გვ. 864.

ეცადა ბედი და გამოეცხადებინა საერთო კაპიტულაცია მთელ დასავლეთის ფრონტზე. ამ მიზნით მან მოკავშირეთა შტაბში, რომელიც რეიმსში იყო განლაგებული, გაგზავნა ადმირალი ფრიდებურგი. ამავე დროს, დასავლეთის ფრონტზე გერმანიის ჯარების მთავარსარდალმა ფელდმარშალმა კესელრინგმა მიმართა ეიზენჰაუერს თხოვნით, რომ შეთანხმებულიყვნენ კაპიტულაციაზე, მაგრამ ამერიკელმა გენერალმა უარი განაცხადა მოლაპარაკებების წარმოებაზე, თუ საუბარი არ იქნებოდა ყველა ფრონტზე ვერმახტის ყველა ნაწილის კაპიტულაციაზე. იგივე განუცხადა ფრიდებურგს გენერალმა ბ. სმითმა<sup>1</sup>. პასუხად გერმანელმა ადმირალმა აღნიშნა, რომ მას არ ჰქონდა ამგვარ დოკუმენტზე ხელისმომწერის უფლება და დაუკავშირდა დიონიცს, რომელმაც ფრიდებურგის დასახმარებლად რეიმსში გენერალ-პოლკოვნიკი იოლდი გაგზავნა<sup>2</sup>.

ამასობაში მოკავშირეთათვის ნათელი გახდა, რომ გერმანელებს უბრალოდ დრო გაჰყავდათ, რათა რაც შეიძლებოდა მეტი ჯარისკაცი გადაეტარებინათ ინგლისელებისა და ამერიკელების ფრონტის ხაზს იქით. ამიტომ ეიზენჰაუერმა დააეალა სმითს, რომელიც აწარმოებდა მოლაპარაკებებს იოლდსა და ფრიდებურგთან, გადაეცა გერმანელებისათვის, რომ ის „დახურავდა“ დასავლეთის ფრონტს და არ გადმოუშვებდა არც ერთ ჯარისკაცს, თუ დაუყოვნებლივ არ მოეწერებოდა ხელი უპირობო კაპიტულაციას<sup>3</sup>. მოკავშირეთა მთავარსარდლის ულტიმატუმმა შედეგი ძალიან სწრაფად გამოიღო. იოლდმა და ფრიდებურგმა მეორე დღესვე მიიღეს დიონიცისაგან უპირობო კაპიტულაციის აქტზე ხელის მოწერის უფლება<sup>4</sup>. 1945წ. 7 მაისს, დილის 2 საათსა და 41 წუთზე რეიმსში იოლდმა და სმითმა ხელი მოაწერეს აქტს გერმანიის კაპიტულაციის შესახებ<sup>5</sup>. საომარი მოქმედებები უნდა შე-

<sup>1</sup> D. Eisenhower. Crusade in Europe, გვ. 425.

<sup>2</sup> D. Eisenhower. Crusade in Europe, გვ. 425-426.

<sup>3</sup> D. Eisenhower. Crusade in Europe, გვ. 426.

<sup>4</sup> D. Eisenhower. Crusade in Europe, გვ. 426.

<sup>5</sup> კაპიტულაციის ხელმოწერისა და მისი ძალაში შესვლის დროის აღნიშვნისას ბატჩერს – ეიზენჰაუერის თანაშემწეს – ხაზგასმით აქვს აღნიშნული, რომ ეს იყო ბრიტანეთში მოქმედი ზაფხულის დრო,

წყვეტილიყო 8 მაისს, 24 საათსა და 00 წუთზე<sup>1</sup>. მხოლოდ კაპიტულაციაზე ხელის მოწერის შემდეგ მიიღო იოდლი ეიზენჰაუერმა. მოკავშირეთა მთავარსარდალმა ჰკითხა გერმანელ გენერალს, გასაგები იყო თუ არა მისთვის ხელმოწერილი დოკუმენტის ყველა მუხლის შინაარსი და დადებითი პასუხის მიღების შემდეგ გააფრთხილა, რომ მას ეკისრებოდა პასუხისმგებლობა კაპიტულაციის პირობების დაცვაზე, მათ შორის გერმანელი სარდლების გამოცხადებაზე ბერლინში საბჭოთა მთავრობის წინაშე ოფიციალური კაპიტულაციის გასაფორმებლად<sup>2</sup>.

1945წ. 8 მაისს, 23 საათსა და 45 წუთზე<sup>3</sup>, ბერლინის გარეუბან კარლჰორსტში მოხდა გერმანიის მთავრობის მეორე ხელმოწერა უპირობო კაპიტულაციაზე, ამჯერად უკვე საბჭოთა კავშირის წინაშე. ამ დოკუმენტს, რომელსაც, ისევე როგორც რეიმისისს, ეწოდა აქტი გერმანიის სამხედრო კაპიტულაციის შესახებ, ხელი მოაწერეს სსრკ-ს შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის მოადგილემ, მარშალმა გიორგი ჟუკოვმა და ვერმახტის უმაღლესი სარდლობის შტაბის უფროსმა, ფელდმარშალმა

---

რომელიც ბუნებრივზე 2 საათით წინ გადაწეული – “British Double Summer Time” (იხ.: H. C. Butcher. *My Three Years With Eisenhower*. New York, 1946. გვ. 833-834).

<sup>1</sup> რეიმისის კაპიტულაციის ტექსტი იხ.: *World War II, Policy and Strategy: Selected Documents with Commentary*. Ed. by Hans-Adolf Jacobsen and Arthur L. Smith, Jr. Santa Barbara, CA, 1979, გვ. 427. რუსულ ენაზე რეიმისის კაპიტულაციის ტექსტი იხ.: Ф. Полю. Верховное командование. М., 1959, გვ. 497.

<sup>2</sup> D. Eisenhower. *Crusade in Europe*, გვ. 427.

<sup>3</sup> J. R. Deane. *The Strange Alliance: The Story of Our Efforts at Wartime Cooperation with Russia*. New York, 1947, გვ. 177; J. de Lattre de Tassigny. *Histoire de la Première Armée Française*. P., 1949, გვ. 606; J. de Lattre de Tassigny. *The History of the French First Army*. Translated by Malcolm Barnes, with a pref. by General Eisenhower and an appreciation by B. H. Liddell Hart. L., 1952, გვ. 521. ჟუკოვს თავის მემუარებში მოხსენიებული აქვს, რომ ხელმოწერა დასრულდა 9 მაისს, 00 საათსა და 43 წუთზე (Г. К. Жуков. *Воспоминания и размышления*. М., 1969, გვ. 666-667). ამგვარი მონაცემი, როგორც ჩანს, გამოწვეული იყო სასაათო სარტყლებს შორის არსებული სხვაობით, თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ აქ ეს შეცდომა გამიზნულად იყოს დაშვებული, რათა შეცვლილიყო ხელმოწერის დღე.

ვილჰელმ კაიტელმა<sup>1</sup>.

ჩვენი ყურადღება კაპიტულაციების საკითხმა იმიტომ მიიყრო, რომ მოგვიანებით ისტორიკოსებს შორის დაიწყო დავა, რომელიც დღემდე გრძელდება, იმის თაობაზე, თუ რომელი კაპიტულაცია იყო მთავარი და რომელი ფორმალური. საბჭოთა მკვლევრები ერთხმად ამტკიცებდნენ, რომ რეიმსში ხელმოწერილი იქნა კაპიტულაციის მხოლოდ წინასწარი ოქმი, ხოლო ბერლინში კი — ოფიციალური აქტი<sup>2</sup>, მაშინ როდესაც დასავლეთელი ისტორიკოსები ძირითად კაპიტულაციად სწორედ რეიმსისას მიიჩნევენ და ბერლინისას მხოლოდ „ეკრემონიას“, თანაც საბჭოთა სარდლობის წინაშე, უწოდებენ<sup>3</sup>. ოფიციალურ საბჭოთა ვერსიად კი იქცა პირველად ჟუკოვის მეტუარებში გახმოვანებული ცნობა, რომ სტალინმა შეათანხმა მოკავშირეებთან აღნიშნული საკითხი და გადაწყდა რეიმსის კაპიტულაციის წინასწარ აქტად ცნობა<sup>4</sup>.

ძნელი სათქმელია, მართლაც გაუგზავნა მსგავსი სახის შე-

<sup>1</sup> კაპიტულაციის ტექსტი იხ.: *Внешняя политика Советского Союза в период Отечественной войны. Документы и материалы. В 3-х томах. Т. III. М., 1947, გვ. 261-262.* კაპიტულაციის შემდეგ საბჭოთა მხარემ მოაწყო 200-კაციანი ბანკეტი, რომელზეც ერთი საკმაოდ კურიოზული ფაქტი მოხდა: ჟუკოვს და ტედერს დააეიწყდათ (ან დაიფიქეს), რომ სუფრას ფრანგი წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ და მისასაღმებელ სადღეგრძელოში ერთი სიტყვითაც არ უხსენებიათ საფრანგეთი. ბუნებრივია, ამან გააღიზიანა საფრანგეთის წარმომადგენელი გენ. ჟ. დე ლატრ დე ტასიანი, რომელმაც პროტესტის ნიშნად უარი თქვა სასმელსა და საჭმელზე, თანაც ყველაფერი გააკეთა, რომ ჟუკოვისათვის ეცნობებინა ამის შესახებ. შედეგად, საბჭოთა მარშალს მოუწია საფრანგეთის სადღეგრძელოს ცალკე წარმოთქმა. გარდა ამისა, მან ორკესტრს „მარსელიოზა“ შეასრულებინა (იხ.: *J. de Lattre de Tassigny. Histoire de la Première Armée Française, გვ. 607-608; J. de Lattre de Tassigny. The History of the French First Army, გვ. 523.*

<sup>2</sup> *ИВОВ, т. 5, гв. 351; История второй мировой войны. В 12 томах, пред. ред. ком. А. А. Гречко (т. 1-7) и Д. Ф. Устинов (т. 8-12). Т. 10, гл. ред. Н. И. Шеховцева. М., 1979, гв. 363-364.*

<sup>3</sup> *E. F. Fisher, Jr. Cassino to the Alps, гв. 524; Ch. McDonald. The Last Offensive, гв. 475; F. C. Pogue. The Supreme Command, гв. 490 და ა.შ.*

<sup>4</sup> *Г. К. Жуков. Воспоминания и размышления. М., 1969, гв. 664; История дипломатии. В 5 томах, под ред. В. А. Зорина (т. I) и А. А. Громыко (т. II-V). Т. IV. М., 1975, гв. 630.*

ტყობინება სტალინმა ჟუკოვს თუ არა (ჟუკოვის მეშუარები საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდშიც კი არ ითვლებოდა მეთისმეტად სანდო წყაროდ — თ.პ.), მაგრამ ერთი რამ ნათელია: არანაირი შეთანხმება დიდი სამეულის ლიდერებს შორის ამის შესახებ არ ყოფილა. ერთადერთი, რაზეც შეთანხმდნენ მხარეები, იყო ის, რომ საბჭოთა მთავრობის მიერ გერმანიის კაპიტულაციის შესახებ განცხადების გაკეთება გადაიდებოდა ერთი დღით, კაპიტულაციის ძალაში შესვლამდე<sup>1</sup>. თუმცა საბჭოთა ისტორიკოსების მიერ ფაქტების ფალსიფიკაცია არ შემოიფარგლება მხოლოდ მეშუარული მონაცემებით, რომლებიც ხშირად სუბიექტურ ხასიათს ატარებს და შეიძლება შეცდომები თავად ავტორის ბრალი იყოს<sup>2</sup>. პრაქტიკულად ყველა საბჭოთა (დღეს უკვე რუსი) მკვლევარი ბერლინში ხელმოწერილ დოკუმენტს მოიხსენიებს საბოლოო (ხაზგასმა ჩვენია — თ.პ.) აქტად გერმანიის კაპიტულაციის შესახებ<sup>3</sup>. ჩვენთვის უბრალოდ გაუგებარია, თუ რის საფუძველზე აკეთებენ ისინი ამ განცხადებას, რადგანაც საბჭოთა მთავრობის მიერ ოფიციალურად გამოცემულ ყველა დოკუმენტურ კრებულში დოკუმენტს, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, რეჟიმის კაპიტულაციის მსგავსად, ეწოდება „აქტი გერმანიის სამხედრო კაპიტულაციის შესახებ“<sup>4</sup>.

და მაინც, რომელი კაპიტულაცია შეიძლება ჩაითვალოს ძირითადად? ალბათ უფრო გამართლებული იქნებოდა, თავის დროზე შემდგარიყო ერთობლივი ხელმოწერის პროცედურა. მაშინ ამგვარი კამათი არც დაიწყებოდა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ჩვენი

<sup>1</sup> *Переписка...*, т. I, გვ. 356; *Переписка...*, т. II, გვ. 228. ხაზგასმა ჩვენია — თ.პ.

<sup>2</sup> ჩვენი აზრით, ჟუკოვი ამ შემთხვევაში სიმართლეს უნდა ამბობდეს და სტალინმა ის ალბათ მიზანმიმართულად შეიყვანა შეცდომაში.

<sup>3</sup> В. Л. Исраэлян. *Дипломатическая история Великой Отечественной войны*, გვ. 307; В. Л. Исраэлян. *Дипломатия в годы войны*, გვ. 391; О. А. Ржевский. *История второго фронта: Война и дипломатия*. М., 1988, გვ. 41; В. А. Секистов. *Война и политика*. М., 1989, გვ. 429 და ა.შ.

<sup>4</sup> *Внешняя политика...*, т. 3, გვ. 261-262; *Советско-английские отношения...*, т. II, გვ. 337-338; *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 326-327; *Советско-американские отношения...*, т. II, გვ. 379.

აზრით, ამ დავაში ორივე მხარე მართალია, ოღონდ, რასაკვირველია, ნაწილობრივ. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ რეიმსის კაპიტულაცია სულაც არ იყო წინასწარი ოქმი. ეს იყო გერმანიის ოფიციალური კაპიტულაცია, რომელსაც ხელი მოეწერა დასავლეთელ მოკავშირეთა შტაბში. სხვათა შორის, ანტიჰიტლერულ კოალიციაში მონაწილე სამივე ძირითადი ქვეყნის ლიდერი სულაც არ თვლიდა, რომ ეს აქტი იყო წინასწარი ოქმი. 1945წ. 7 მაისს ტრუმენმა სტალინს გააცნო ეიზენჰაუერის რეკომენდაცია, რომ გერმანიის კაპიტულაციის გამოცხადება მომხდარიყო სამშაბათს, 8 მაისს, ვაშინგტონის დროით დილის 9 საათზე<sup>1</sup>. ანალოგიური შინაარსის წერილი აშშ-ს პრეზიდენტმა გაუგზავნა ჩერჩილსაც. თავის მხრივ, ბრიტანეთის პრემიერმა სტალინს შესთავაზა, რომ ასეთი განცხადება გაკეთებულიყო სამივე ქვეყანაში ერთდროულად — სამშაბათს 8 მაისს, გრინვიჩის დროით 15 საათზე, რაც შეესაბამებოდა დილის 9 საათს ვაშინგტონში და 16 საათს მოსკოვში<sup>2</sup>. პასუხად, სტალინმა აცნობა ჩერჩილს და ტრუმენს, რომ 8 მაისს ის ვერ გააკეთებდა ასეთ განცხადებას, რის მიზეზად საბჭოთა ლიდერმა მოიყვანა ის ფაქტი, რომ დიონიციის ბრძანება ცალკეულ ნაწილებს შეიძლებოდა არ შეესრულებინათ და ამიტომ მას სურდა, მოეცადა მანამ, სანამ გერმანიის კაპიტულაცია ძალაში შევიდოდა<sup>3</sup>. ეს კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უნდა მომხდარიყო 8 მაისს, 24 საათსა და 00 წუთზე. სტალინმა ასევე აცნობა მოკავშირეებს, რომ საბჭოთა კავშირში განცხადება გერმანიასთან ომის გამარჯვებით დასრულების შესახებ გაკეთებოდა ოთხშაბათს, 9 მაისს, საღამოს 7 საათზე<sup>4</sup>.

იყო თუ არა სტალინი ამ შემთხვევაში გულწრფელი მოკავშირეების წინაშე? ჩვენი აზრით, ის ამ წერილით ნიღბავდა თავი-

<sup>1</sup> *Переписка...*, т. II, გვ. 227.

<sup>2</sup> *Переписка...*, т. I, გვ. 354.

<sup>3</sup> *Переписка...*, т. I, გვ. 356; *Переписка...*, т. II, გვ. 227-228.

<sup>4</sup> *Переписка...*, т. I, გვ. 356; *Переписка...*, т. II, გვ. 228. აღსანიშნავია, რომ სტალინმა არ შეასრულა თავისი პირობა და გამარჯვების შესახებ საბჭოთა კავშირში 9 მაისს დილაადრიან გააკეთებინა განცხადება (იხ.: A. Werth. *Russia at War, 1941-1945*. New York, 1964, გვ. 969; A. Верт. *Россия в войне. 1941-1945*. М., 1967, გვ. 707).

სი მოქმედების ნამდვილ მიზანს. მას კარგად ესმოდა, რომ თუ ის გერმანიის კაპიტულაციის შესახებ გამოაცხადებდა 8 მაისს, სანამ არ იქნებოდა ხელმოწერილი აქტი ბერლინში, ეს ერთგვარად დაამცირებდა საბჭოთა კავშირის წვლილს გამარჯვებაში. ამაზე მეტყველებს კიდევ ჩვენს მიერ ზემოთ მოხსენიებული შეტყობინება ჟუკოვისადმი, რომელშიც სტალინი აცხადებს: „ომის ძირითადი სიმძიმე გადაიტანა საბჭოთა ხალხმა, და არა მოკავშირეებმა, ამიტომაც კაპიტულაცია ხელი უნდა მოეწეროს ანტიჰიტლერული კოალიციის წევრი ყველა ქვეყნის უმაღლესი სარდლობის წინაშე, და არა მხოლოდ მოკავშირეთა უმაღლესი მთავარსარდლის წინაშე“.<sup>1</sup> აშკარაა, სტალინმა სწორედ იმიტომ გადალო 9 მაისამდე განცხადების გაკეთება, რომ მას არ სურდა, რაიმეთი მანც ყოფილიყო დავალებული მოკავშირეებისაგან, 8 მაისს ბერლინში ხელმოწერილი აქტის შემდეგ კი ეს ასე არ იქნებოდა<sup>2</sup>. ასე რომ, საბჭოთა ლიდერის ამგვარი მოქმედების შემდეგ კარლჰორსტის კაპიტულაცია უკვე აღმოჩნდა არა უბრალოდ რატიფიკაცია, არამედ სრულიად ოფიციალური აქტი. შედეგად, ჩვენ მივიღეთ ორი, პრაქტიკულად იდენტური დოკუმენტი, რომელთა შორის არის განსხვავება მხო-

<sup>1</sup> Г. К. Жуков. Воспоминания и размышления, გვ. 663-664.

<sup>2</sup> ამ საკითხთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს კიდევ ერთი თვალსაზრისი, თუ რატომ იქნა გადადებული საბჭოთა კავშირში გერმანიის კაპიტულაციის შესახებ განცხადების გაკეთება 9 მაისამდე. ამის მიზეზად ა. ვერთი მიიჩნევს იმას, რომ არ იყო განთავისუფლებული პრალა (იხ.: A. Werth. Russia at War, გვ. 969; A. Верт. Россия в войне, გვ. 707). ჩვენი აზრით, ეს არ არის მთლად მართებული თვალსაზრისი, რადგანაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ და როგორც თავად ვერთი იხსენიებს, განცხადება გერმანიის კაპიტულაციის შესახებ 9 მაისს გაკეთდა დილაადრიან, როდესაც საბჭოთა ნაწილებს ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქი ჯერ კიდევ ბოლომდე არ ჰქონდათ აღებული. გარდა ამისა, თუ საბჭოთა მხარეს აწუხებდა პრალის სასწრაფოდ განთავისუფლების საკითხი, მაშინ ის მისცემდა უფლებას ამერიკელებს, გაეკეთებინათ ეს. ჯ. პატონის მე-3 არმიას ხომ რამდენიმე დღით ადრე შეეძლო ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქში შესვლა. რასაკვირველია, სტალინის მოქმედება პოლიტიკური მოსაზრებებით იყო განპირობებული და ამის გამო ის წავიდა ზედმეტ მსხვერპლზე როგორც საბჭოთა ჯარისკაცებში, ისე პრალის მოსახლეობაში, რომელმაც 5 მაისს აჯანყება დაიწყო (HBMB, т. 10, გვ. 352).

ლოდ მე-2 პუნქტში, სადაც საუბარი არის გერმანელი ჯარისკაცების მხრიდან მოკავშირეთა შეიარაღებული ძალებისა და ტექნიკისათვის ზიანის არმიყენების შესახებ. აქ, საბჭოთა მხარის მოთხოვნით, ტექნიკის ჩამონათვალს დაემატა ფრაზა: „აპარატები და საერთოდ ომის საწარმოებელი სამხედრო-ტექნიკური საშუალებები“.<sup>1</sup> მცირე განსხვავება არის დასკვნით, მე-ნ მუხლშიც, თუმცა მას უკვე იძულებითი ხასიათი აქვს, რადგანაც აქ საუბარი მიდის აუთენტურ ენებზე, რომლებადაც გამოცხადებულია რუსული და ინგლისური, მაშინ როდესაც რეიმსის კაპიტულაციის ტექსტში აუთენტურად მხოლოდ ინგლისური ენაა ჩაწერილი<sup>2</sup>. სამაგიეროდ, რეიმსისა და ბერლინის კაპიტულაციების მე-4 პუნქტი იდენტურია. არადა, ამ მუხლში მოყვანილი დებულებით, შესაძლებელი იყო აქტის შეცვლა სხვა დოკუმენტით კაპიტულაციის შესახებ<sup>3</sup>. ეს გვაძლევს ჩვენ საფუძველს, ვამტკიცოთ, რომ ეს ორი აქტი თანაბარი ძალის დოკუმენტია. რეიმსში ხელმოწერილი დოკუმენტი არის გერმანიის კაპიტულაცია დასავლეთელი მოკავშირეების წინაშე, ხოლო ბერლინში გაფორმებული აქტი — გერმანიის კაპიტულაცია საბჭოთა კავშირის წინაშე. ჩვენი აზრით, სწორედ ამის დასტურია ეიზენჰაუერის ზემოთ უკვე მოყვანილი სიტყვები იოლლისადმი.

სტალინის მიერ გერმანიის კაპიტულაციის გამოცხადების ერთი დღით გადავადებამ განაპირობა ის, რომ ევროპასა და აშშ-ში გერმანიაზე გამარჯვების დღედ ითვლება 8 მაისი, ხოლო აწ უკვე ყოფილ საბჭოთა კავშირში კი — 9 მაისი. ეს ჯერ კიდევ 1945წ. 8 მაისს აღნიშნა უინსტონ ჩერჩილმა თავის საზეიმო სიტყვაში: „ჩვენ დღეს (ე. ი. 8 მაისს — თ.პ.) ძირითადად ჩვენს თავზე ვფიქრობთ,

<sup>1</sup> შდრ.: *World War II, Policy and Strategy*, გვ. 427; **Ф. Погью.** Верховное командование, გვ. 497; *Внешняя политика.*, т. 3, გვ. 261. ჩვენი აზრით, ეს არაფრისმომცემი ჩამატება საბჭოთა მხარემ მხოლოდ იმისთვის ჩააწერინა ტექსტში, რომ მოგვიანებით ბერლინის კაპიტულაცია გამოცხადებინა ძირითად დოკუმენტად.

<sup>2</sup> შდრ.: *World War II, Policy and Strategy*, გვ. 427; **Ф. Погью.** Верховное командование, გვ. 497; *Внешняя политика.*, т. 3, გვ. 262.

<sup>3</sup> შდრ.: *World War II, Policy and Strategy*, გვ. 427; **Ф. Погью.** Верховное командование, გვ. 497; *Внешняя политика.*, т. 3, გვ. 262.



ხვალ კი გადავუხდით მადლობას ჩვენს რუს მეგობრებს“.<sup>1</sup>

რეიმისისა და ბერლინის აქტები მეტად ზოგადი დოკუმენტები იყო და ისინი მხოლოდ გერმანიის სამხედრო კაპიტულაციას ეხებოდა, დეკლარაციას კი გერმანიის დამარცხებისა და გერმანიის ტერიტორიაზე უზენაესი ხელისუფლების თავის თავზე აღების შესახებ აშშ-ს, დიდი ბრიტანეთის, საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის წარმომადგენლებმა – გ. ჟუკოვმა, დ. ეიზენჰაუერმა, ბ. მონტგომერიმ და ჟ. დე ლატრ დე ტასინიმ – 1945წ. 5 ივნისს მოაწერეს ხელი ბერლინში. ამ დოკუმენტით, რომელიც პრემბულისა და 15 მუხლისაგან შედგებოდა, მოკავშირეებმა განსაზღვრეს გერმანიის ოკუპაციის პირობები. I პუნქტის თანახმად, გერმანიის შეიარაღებულ ძალებს უნდა შეეწყვიტათ ნებისმიერი სახის წინააღმდეგობა<sup>2</sup>, რაც, პრინციპში, უკვე ისედაც მომხდარი იყო. II მუხლით უნდა მომხდარიყო ყველა შენაერთის განიარაღება და გერმანიის 1937წ. 31 დეკემბრისათვის არსებულ საზღვრებში დაბრუნება<sup>3</sup>. III და IV პუნქტებით გერმანიის კუთვნილი ყველა თვითმფრინავი და გემი უნდა დარჩენილიყო დისლოკაციის ადგილზე და დალოდებოდა მოკავშირეთა ბრძანებას გადაადგილების შესახებ<sup>4</sup>.

დეკლარაციის V მუხლი შეიცავდა იმ დაწესებულებების, საგნებისა თუ ნივთების ზოგად ნუსხას (ფაბრიკა-ქარხნები, ზომალდები, თვითმფრინავები, დოკუმენტები, ნახაზები, გადაზიდვის საშუალებები და ა.შ.), რომლებიც გერმანელებს უნდა გადაეცათ მოკავშირეებისათვის. გარდა ამისა, ისინი ვალდებული იყვნენ, გამოეყოთ საკმარისი რაოდენობით მუშა-ხელი ობიექტების ექსპლუატაციისა თუ შენარჩუნებისათვის<sup>5</sup>. დეკლარაციის VI პუნქტი ავალდებულებდა გერმანელებს მათ ხელთ მყოფი ყველა სამხედრო ტყვისა თუ უცხო ქვეყნების მოქალაქეების განთავისუფლებას და თავისუფლების აღმკვეთი დაწესებულებების მოკავშირე-

<sup>1</sup> *Conditions of Surrender: Britons and Germans Witness the End of the War.* – Ed. by Ulrike Jordan. L., 1997, გვ. 146.

<sup>2</sup> *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 335.

<sup>3</sup> *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 335-336.

<sup>4</sup> *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 336.

<sup>5</sup> *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 337.

თა კონტროლქვეშ გადაცემას<sup>1</sup>. VII მუხლით გერმანელებს უნდა გადაეცათ მოკავშირეებისათვის სრული ინფორმაცია შეიარაღებული ძალებისა და დანაღმული ტერიტორიების შესახებ<sup>2</sup>.

დეკლარაციის VIII პუნქტი კრძალავდა რაიმე ზიანის მიყენებას ნებისმიერი სამხედრო თუ სამოქალაქო ქონებისა და დოკუმენტებისათვის<sup>3</sup>. IX მუხლით კავშირგაბმულობის ყველა საშუალება უნდა გადასცემოდა მოკავშირეებს, მანამდე კი მათი ფუნქციონირება უნდა შეწყვეტილიყო, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამას თავად მოკავშირეები მოისურვებდნენ<sup>4</sup>. X პუნქტით დეკლარაციის უფლებამოსილება ვრცელდებოდა მთელ სამხედრო ქონებაზე, რომელიც გერმანიის ტერიტორიაზე გააჩნდა მოკავშირეთა წინააღმდეგ მეომარ ნებისმიერ სხვა სახელმწიფოს<sup>5</sup>. XI მუხლი ეხებოდა ნაცისტების ლიდერებს, რომლებიც უნდა დაეპატიმრებინათ მოკავშირეთა მოთხოვნების შესაბამისად. გარდა ამისა, გერმანელებს უნდა გადაეცათ ყველა პირი, განურჩევლად მისი მოქალაქეობისა (თუნდაც ის ყოფილიყო გაერთიანებული ერების წევრი სახელმწიფოს მოქალაქე — თ.პ.), ვისაც ჩადენილი ჰქონდა დანაშაული საკუთარი ქვეყნის კანონმდებლობის წინაშე<sup>6</sup>.

დეკლარაციის XII პუნქტით მოკავშირეები უფლებას იტოვებდნენ, განეღებინათ შეიარაღებული ძალები სურვილის მიხედვით გერმანიის მთელ ტერიტორიაზე<sup>7</sup>. XIII მუხლით მოკავშირეები აცხადებდნენ, რომ აუცილებლობის შემთხვევაში განახორციელებდნენ ნებისმიერ ზომას გერმანიის წინააღმდეგ, რომელსაც ჩათვლიდნენ საჭიროდ მშვიდობისა და უსაფრთხოების შესანარჩუნებლად. გარდა ამისა, ისინი იტოვებდნენ გერმანიისათვის მომავალში დამატებითი მოთხოვნების წაყენების უფლებას<sup>8</sup>. XIV და XV პუნქტებით განსაზღვრული იყო დეკლარაციის ძალაში

<sup>1</sup> *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 338.

<sup>2</sup> *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 338-339.

<sup>3</sup> *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 339.

<sup>4</sup> *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 339.

<sup>5</sup> *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 339.

<sup>6</sup> *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 339-340.

<sup>7</sup> *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 340.

<sup>8</sup> *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 340.

შესვლის თარიღი და მისი ტექსტის აუთენტურობის დამადასტურებელი ენები — ინგლისური, რუსული და ფრანგული<sup>1</sup>.

გარდა დეკლარაციისა, იმავე დღეს ხელი მოეწერა შეთანხმებებს გერმანიის საოკუპაციო ზონებად დაყოფისა<sup>2</sup> და საკონტროლო მექანიზმის შექმნის შესახებ<sup>3</sup>. გერმანია დაიყო 4 საოკუპაციო ზონად: აღმოსავლეთში უზენაესი ხელისუფლება უნდა განხორციელებინა საბჭოთა კავშირს, ჩრდილო-დასავლეთში — დიდ ბრიტანეთს, სამხრეთ-დასავლეთში — ამერიკის შეერთებულ შტატებს, დასავლეთში კი — საფრანგეთს. ე.წ. „დიდი ბერლინის“ რაიონს ოთხივე სახელმწიფოს შეიარაღებული ძალები დაიკავედნენ და მის სამართავად უნდა შექმნილიყო ცალკე კომენდატურა, რომელშიც შევიდოდა ოთხივე სახელმწიფოს თითო-თითო წარმომადგენელი<sup>4</sup>. საკონტროლო მექანიზმის შესახებ შეთანხმებით განისაზღვრა, რომ შეიქმნებოდა საკონტროლო საბჭო, რომელშიც შევიდოდნენ მოკავშირეთა საოკუპაციო ძალების სარდლები, რომლებიც, ამავდროულად, იქნებოდნენ თავიანთი საოკუპაციო ზონების უზენაესი ხელისუფლები. გადაწყვეტილებები საკონტროლო საბჭოს უნდა გამოეტანა კონსენსუსის საფუძველზე<sup>5</sup>.

5 ივნისს ხელმოწერილი დოკუმენტებით დაიწყო გერმანიის ოკუპაცია. საომარი მოქმედებები ევროპაში ოფიციალურად შეწყდა. მოკავშირეებს სამხედრო თვალსაზრისით რჩებოდათ მხოლოდ ერთი მოწინააღმდეგე — იაპონია, თუმცა ომი აღმოსავლეთში დასასრულს უახლოვდებოდა. 1945წ. 2 სექტემბერს იაპონიამ ასევე მოაწერა ხელი უპირობო კაპიტულაციას<sup>6</sup>, რითაც მეორე მსოფლიო ომი უკვე საბოლოოდ დასრულდა.

<sup>1</sup> Советско-французские отношения..., т. II, გვ. 340-341.

<sup>2</sup> Советско-французские отношения..., т. II, გვ. 343.

<sup>3</sup> Советско-французские отношения..., т. II, გვ. 341-342.

<sup>4</sup> Советско-французские отношения..., т. II, გვ. 343.

<sup>5</sup> Советско-французские отношения..., т. II, გვ. 341.

<sup>6</sup> ტექსტი იხ.: World War II, Policy and Strategy, გვ. 435-436; Сборник действующих договоров, соглашений и конвенций, заключенных СССР с иностранными государствами. Вып. XI, М., 1955, გვ. 137-139.

ამრიგად, ნაშრომში განხილულია მეორე მსოფლიო ომის ერთ-ერთი ყველაზე რთული პრობლემა — „დიდი სამეულის“ ლიდერთა: საბჭოთა მთავრობის მეთაურის იოსებ სტალინის, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ფრანკლინ დელანო რუზველტისა და დიდი ბრიტანეთის პრემიერ მინისტრის უინსტონ ჩერჩილის — დიპლომატიური ურთიერთობები ევროპაში საომარი მოქმედებების დასკვნით ეტაპზე (1944წ. სექტემბრიდან 1945წ. მაისის ჩათვლით). შესაბამისი დოკუმენტური მასალების, აგრეთვე მემუარული ლიტერატურისა და პრობლემის შესახებ არსებული სამეცნიერო გამოკვლევების კრიტიკულად გააზრების შედეგად შესაძლებლად მიგვაჩნია შემდეგი დასკვნების გაკეთება:

კვებეკის კონფერენციის შეფასებისას მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს არა მის კონკრეტულ შედეგებს, არამედ იმ გარემოებას, რომ ამ კონფერენციაზე მოკავშირეები სამხედრო ოპერაციების დაგეგმვისას აღრინდელთან შედარებით მეტ ყურადღებას უთმობდნენ მათ პოლიტიკურ ასპექტებს. ეს იმას ნიშნავდა, რომ მეორე მსოფლიო ომის დასასრულის მოახლოებასთან ერთად დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ს ლიდერები უკვე იწყებდნენ სერიოზულ ფიქრს მსოფლიოს მომავალ მოწყობაზე. ჩვენი აზრით, ყველაზე მკაფიოდ ამ ფაქტზე მეტყველებს კვებეკის კონფერენციის შემდგომ ვაშინგტონში ჩერჩილისა და რუზველტის მიერ ბირთვულ საკითხებზე მიღებული „სამახსოვრო ბარათის“ მე-3 პუნქტი, რომლის თანახმად აუცილებლად იყო მიჩნეული დარწმუნება იმაში, რომ პროფესორი ნილს ბორი არ გადასცემდა რაიმე ინფორმაციას „რუსებს“. ეს აშკარად მეტყველებს იმაზე, რომ უკვე 1944 წლის სექტემბერში ბირთვულ იარაღს (პოტენციურად მაინც) ანტისაბჭოთა დატვირთვა ეძლეოდა.

ჩერჩილის მეორე ვიზიტი მოსკოვში და სტალინთან გამართული მოლაპარაკებები უაღრესად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა დიპლომატიური თვალსაზრისით. ახლად გამოქვეყნებული ბრიტანუ-

ლი ჩანაწერები საბოლოოდ ცხადყოფს, რომ კონფერენცია „ტოლ-სტოის“ მსვლელობისას სტალინსა და ჩერჩილს შორის მოხდა გარიგება ბალკანეთისა და ცენტრალური ევროპის ქვეყნების დაყოფის შესახებ. სავარაუდოდ, საბოლოო ვარიანტი საიდუმლოდ იქნა პარაფირებული 11 ოქტომბრის ღამეს უშუალოდ მთავრობათა მეთაურების მიერ. გარიგების თანახმად, საბჭოთა კავშირი იღებდა უპირატეს მდგომარეობას რუმინეთში (90%-10%-ზე), უნგრეთში (80%-20%-ზე) და ბულგარეთში (75%-25%-ზე), დიდი ბრიტანეთი კი (აშშ-სთან ერთად) – საბერძნეთში (90%-10%-ზე); იუგოსლავიაში მხარეთა ინტერესები თანაბარი უნდა ყოფილიყო (50%-50%-ზე). პრაქტიკულად ეს აღმოჩნდა ის საზღვრები, რომლებზეც შემდგომში გაიარა კიდეც ე.წ. „რკინის ფარდამ“. აქვე ჩვენს მიერ ყურადღება არის გამახვილებული რუხველტის პოზიციაზე ამ საკითხის მიმართ და აღნიშნულია, რომ აშშ-ს პრეზიდენტი, როგორც ჩანს, თვითონაც ვერ გაერკვა ბოლომდე, თუ რა სურდა მას ბალკანეთში. ჩვენი აზრით, ის უფრო შეწუხებული იყო იმით, რომ საკითხი მისი მონაწილეობის გარეშე წყდებოდა, ხოლო თუ რა შეთანხმება იქნებოდა მიღწეული, რუხველტისათვის ამას პრაქტიკულად არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა, რის დასტურადაც შეიძლება მივიჩნიოთ ჰარი ჰოპკინსის საუბარი ა. გრომიკოსთან მოსკოვში ჩერჩილსა და სტალინს შორის მიმდინარე მოლაპარაკებების პერიოდში.

მოსკოვში განხილული სხვა საკითხებიდან უნდა აღინიშნოს საბჭოთა მხარის მიერ თურქეთის სრუტეების პრობლემის წამოჭრა. ჩვენი აზრით, სტალინი მხოლოდ მონტრეს კონვენციის რევიზიას არ ისახავდა მიზნად და მას სურდა თურქეთის ჩართვა გავლენის სფეროებად გასანაწილებელი ქვეყნების რიცხვში, მაგრამ ჩერჩილმა შეძლო ამ საკითხზე დებატებისაგან თავის არიდება და შეხვედრაზე მხოლოდ სრუტეების საკითხზე გამახვილდა ყურადღება, თუმცა რაიმე გადაწყვეტილება მოსკოვში ამასთან დაკავშირებით არ იქნა მიღებული.

1944წ. დეკემბერში საფრანგეთის ლიდერის, გენ. შარლ დე გოლის ვიზიტი სტალინის დიპლომატიური გამარჯვებით აღინიშნა. სსრ კავშირსა და საფრანგეთს შორის პაქტის დადების

სანაცვლოდ დე გოლი იძულებული გახდა, პოლონეთის ეროვნული განთავისუფლების კომიტეტთან არაოფიციალური წარმომადგენლების გაცვლას დათანხმებოდა. ამით მოსკოვმა პირველი ნაბიჯი გადადგა პოლონეთის პროსაბჭოური მარიონეტული მთავრობის საერთაშორისო აღიარების უზრუნველყოფის გზაზე. ჩვენი აზრით, სტალინის წარმატების ერთ-ერთ მიზეზად გარკვეულწილად იქცა ჩერჩილის მიერ ამ პერიოდში წამოჭრილი ინიციატივა სამმხრივი — სსრკ-ს, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის — პაქტის შესახებ, რომელმაც დე გოლი პრაქტიკულად გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საფრანგეთის ლიდერის მიერ საკმაოდ დიპლომატიურად ჩატარებულმა მოლაპარაკებებმა მოსკოვში ერთგვარად დათვური სამსახური გაუწია მას, რასაც სტალინის მხრივ მოყვა მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება საფრანგეთისადმი ყირიმის კონფერენციაზე.

უინსტონ ჩერჩილის მიერ 1945წ. 6 იანვარს სტალინისათვის გამოგზავნილი ბარათის დაწერის ჭეშმარიტი მიზეზი, ჩვენი აზრით, იყო არა დასავლეთის ფრონტზე შექმნილი რთული საბუდრო ვითარება, არამედ მისი შეფარული სურვილი, დაესწრო საბჭოთა კავშირისათვის ბერლინის აღება. 1945წ. დასაწყისისთვის ინგლის-ამერიკის ჯარები დასავლეთში და საბჭოთა ნაწილები აღმოსავლეთში თითქმის თანაბარ მანძილზე იყვნენ დაშორებული ბერლინიდან და, რასაკვირველია, ბრიტანეთის პრემიერს კარგად ესმოდა, რომ ომის შემდეგ უფრო მომგებიან მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა ის მხარე, რომლის ძალებიც პირველი შევიდოდნენ გერმანიის დედაქალაქში. შესაძლოა, მან იფიქრა, რომ კარგი იქნებოდა, თუ საბჭოთა არმია გადავიდოდა ფართომასშტაბიან შეტევაზე აღმოსავლეთში. ჩერჩილი ალბათ იმედოვნებდა, რომ ასეთ ვითარებაში გერმანელები მთელ თავის ძალებს გადაისროდნენ ამ ფრონტზე, რაც ინგლისელებს და ამერიკელებს ხელ-ფეხს გაუხსნიდა დასავლეთში. როგორც ჩანს, მას ეგონა, რომ გერმანელები არ მისცემდნენ საბჭოთა ჯარებს პოლონეთში სერიოზული წინსვლის საშუალებას, რისთვისაც საჭირო იქნებოდა დასავლეთის ფრონტიდან ყველაზე ბრძოლისუნარიანი შენაერთების აღმოსავლეთში გადაყვანა. ეს კი გამოიწვევდა ინგლი-

